

ალ. კარიჭვილი

274

დ

სასქელი
და
სოციალური დასვის
ღონისკიეგანი

თბილისი

1960

ს ა ს ჯ ე ლ ი
და
სოციალური დაცვის
ლონოსძიებანი

~~17.263~~
274



საბუნებისმეტყველო ბიბლიოთეკა

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა
თბილისი — 1960

წ ი ნ ა ს ი ზ ყ ვ ა ო ბ ა

საბჭოთა სისხლის სამართალი თავისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იცნობდა ორ ტერმინს: სასჯელსა და სოციალური დაცვის ღონისძიებებს. უკანასკნელი ტერმინი შემოღებულ იქნა პირველ საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც გამოიცა 1922 წელს. 1924 წლის „ძირითადმა საწყისებმა“ სავსებით უარჰყვეს ტერმინი სასჯელი და ერთადერთ ტერმინად აღიარეს „სოციალური დაცვის ღონისძიება“. ამჟამად საბჭოთა სამართალში აღდგენილია ტერმინი სასჯელი და უკანასკნელი პერიოდის საკანონმდებლო აქტები და სასამართლო პრაქტიკა სარგებლობენ ამ ტერმინით.

წინამდებარე შრომა მიზნად ისახავს გამოიკვლიოს სასჯელის შინაარსი და მიზნები საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით და მისი განსხვავება სოციალური დაცვის ღონისძიებებისაგან. სასჯელის შინაარსისა და მიზნების გამოკვლევა და დადგენა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების“ გამოცემასთან დაკავშირებით.

ავტორი

შესავალი

სასჯელის პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სისხლის სამართლის მეცნიერების დარგში. იურიდიული აზრი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იკვლევს სასჯელის ცნებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ცდილობს გამოარკვიოს მისი შინაარსი, შეისწავლოს მისი ბუნება, საფუძველი, ის მიზნები, რომლებსაც იგი ისახავს და ანხორციელებს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე.

სასჯელის ინსტიტუტი, ისე როგორც დანაშაული, მკიდროდ დაკავშირებულია სახელმწიფო ორგანიზაციასთან, წარმოიშვება უკანასკნელთან ერთად, ვითარდება მასთან კავშირში და საერთოდ განიცდის სხვადასხვა ცვლილებებს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ცვალებადობის ზეგავლენით.

ამიტომ ვინც შეისწავლის სასჯელის ინსტიტუტის ისტორიას, მან უნდა მიიღოს მხედველობაში მოცემულ სახელმწიფოში არსებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა, მათი ხასიათი, საერთო კულტურის დონე; მხოლოდ ასეთი შესწავლის საფუძველზე შესაძლო ხდება იმის გაგება, თუ როგორია სასჯელის საფუძველები და მიზნები.

სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციებს თავისებური სამართლებრივი სისტემები ახასიათებს. ყოველ ფორმაციას, ისტორიული პერიოდების მიხედვით, შემუშავებული აქვს თავისი შეხედულება დანაშაულსა და სასჯელზე, რაც, საბოლოო ანგარიშით, საწარმოო ძალთა განვითარებით არის განპირობებული. მაგრამ ამავე დროს მკვლევარმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ზემოთ აღნიშნულ სხვადასხვა პერიოდების და ფორმაციების განმასხვავებელ ნიშნებთან ერთად არსებობს საერთო ზოგადი ხასიათის ელემენტები, რომლებიც ჰქმნიან ერთიან სურათს. ერთი და იგივე ცნებები,

იდეები, ინსტიტუტები განუწყვეტლივ ხედება ისტორიკოსს სამართლის განვითარების ცალკეული საფეხურების შესწავლის პროცესში. აქედან ცხადია, რომ იურისტ-ისტორიკოსს ეკისრება ორგვარი მოვალეობა: მან უნდა შეისწავლოს და გამოიკვლიოს, ერთის მხრივ, მის მიერ აღებული იურიდიული ინსტიტუტის ისტორიულ ცვალებადობაში შემონახული მუდმივი შინაარსი, ხოლო, მეორე მხრივ გაითვალისწინოს ის კონკრეტული ცვალებადი ფორმები, რომლებშიც ეს ინსტიტუტი ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში გვევლინება.

როდესაც ვეცნობით სასჯელის ცნებას საკანონმდებლო დადგენილებების მიხედვით სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციებში, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ სასჯელის საერთო შინაარსი და მიზანდასახულობა ერთი და იგივე რჩება. სასჯელი, დაწყებული მონათმფლობელური ფორმაციით, ემსახურება ერთ და იმავე მიზანს: გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის მიერ შექმნილი სისტემის დაცვას. ესაა სასჯელის ძირითადი სოციალური შინაარსი, მაგრამ ამ სოციალურ შინაარსს აქვს თავისი სამართლებრივი ფორმა. მიუხედავად განსხვავებული თვისებებისა, რაც განსხვავებულ ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში პოულობს თავის ახსნას, სასჯელი, ისე როგორც სხვა სამართლებრივი ინსტიტუტები, იჩენს ერთგვარ მუდმივობას. ეს მუდმივობა გამოისახება იმაში, რომ იგი თავისი ბუნებით სამაგიეროს მიზღვის წარმოადგენს იმ დანაშაულისათვის, რომელიც სუბიექტმა ჩაიდინა. სამაგიეროს მიზღვის საწყისი ჩვენ გვხვდება სამართლის განვითარების ყველა საფეხურზე, იგი ახასიათებს ყველა ისტორიული პერიოდის სამართალს, მონათმფლობელური პერიოდით დაწყებული და კაპიტალისტური პერიოდის სამართლით დამთავრებული. მხოლოდ სოციალისტურმა სახელმწიფომ უარპყო სამაგიეროს მიზღვის პრინციპი და გარკვევით, კატეგორიული ფორმით აღნიშნა ეს თავის კანონმდებლობაში.

სამაგიეროს მიზღვის პრინციპი ისტორიულად აღიარებულია არა მარტო მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური ქვეყნების კანონმდებლობებში, იგი თავის ასახვას და თეორიულ დასაბუთებას პოულობს მათ იდეოლოგიურ სისტემაშიც. მაგრამ სასჯელის ბუნება, მისი შინაარსი, რა თქმა უნდა, მარტოდენ აღნიშნული საწყისით არ ამოიწურება. მის გვერდით კლასობრივ საზოგადოებაში მიღებულია უტილიტარული მიზნებიც; სახელმწიფო არ კმაყოფილდება მხოლოდ სამაგიეროს მიზღვით, იგი სასჯელს უსახავს აგრეთვე პრაქტიკულ, საზოგადო-

ებრივად სასარგებლო მიზნებს. მაშასადამე, იგი ცნობს პრევენციის ამოცანებს. ისტორიულად ვხვდებით ეგრეთწოდებულ აბსოლუტურ თეორიებს, რომლებიც სასჯელს ასაბუთებენ მეტაფიზიკური პოსტულატებით, ზნეობრივი კანონის, მარადიული სამართლიანობის მოთხოვნით და სხვ. ასეთია, მაგალითად, კანტის და ჰეგელის სისტემები, მაგრამ ისინი წარმოადგენენ გამოწაკლისს. ჩვეულებრივად ჩვენ ვხვდებით შემაერთებელ თეორიებს, რომლებიც სასჯელის ცნებას უკავშირებენ ორივე ზემოთ დასახელებულ საწყისს: სამაგიეროს მიზღვას და პრევენციას.

გასულ საუკუნეში წარმოიშვა ახალი ცნება — „უშიშროების დონის ძიება“ (Sichernde Massnamen, mesures de sûreté). ამ ცნების მომხრედ გამოდიოდა სოციოლოგიური სკოლა, რომელიც თავის მიზნად ისახავდა სისხლის სამართლის საერთო გადახალისებას, მის აშენებას ახალ საფუძველზე. სოციოლოგიური სკოლა თავდაპირველად გამოდიოდა რადიკალური რეფორმების პროგრამით, მაგრამ შემდეგში მან ნაწილობრივ უარი თქვა თავის პირვანდელ პროგრამაზე და კომპრომისის, დათმობის გზას დაადგა, რის შედეგად მიმდინარე საუკუნის დასაწყისში შემუშავებული იქნა სისხლის სამართლის კოდექსების პროექტები, სადაც სასჯელის გვერდით მოთავსებულია „უშიშროების დონის ძიებანი“, უკანასკნელთა ბუნება, რა თქმა უნდა, სასჯელის არსს არ ემთხვევა, მათი საფუძველი და მიზანდასახულობა სხვაა.

იმ მიზნით, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ სასჯელისა და „უშიშროების დონის ძიებათა“ ურთიერთდამოკიდებულება, უნდა გავერკვეთ შემდეგ მთავარ საკითხებში:

1. როგორია სასჯელის ბუნება, რა მიზნებს ისახავდა იგი ისტორიულად და რა მიზნებს ემსახურება თანამედროვე სახელმწიფოებში?

2. მეორეს მხრივ, საჭიროა „უშიშროების დონის ძიებათა“ დამახასიათებელი ნიშნების შესწავლა, გამორკვევა იმისა, თუ როგორ არის გაგებული კრიმინალისტების მიერ ამ ცნების შინაარსი, რა შეადგენს მის საფუძველებს და ამოცანებს.

მაგრამ ამ მთავარ პრობლემებთან დაკავშირებულია სხვა საკითხები, რომლებიც აგრეთვე მოითხოვენ სათანადო შესწავლას.

მთელი მასალა, რომელიც მოცემულია ჩვენს შრომაში, გამოკვლეულია შემდეგი გეგმის მიხედვით.

1. განხილულია საკითხი სასჯელისა და დანაშაულის ურთიერთ-

დამოკიდებულების შესახებ. იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად სვამენ საკითხს, თუ რომელია ამ ძირითად ცნებებიდან პირველი და თავისი ბუნებით და სწყვეტენ მას სხვადასხვა აზრით: ერთნი უპირატესობას ანიჭებენ სასჯელს, ხოლო მეორენი — დანაშაულს. არსებობს კიდევ მესამე შეხედულება, რომელიც სასჯელსა და დანაშაულს თვლის „თანაფარდობით ცნებებად“. საბჭოთა კრიმინალისტებმაც გამოთქვეს თავისი აზრი ამ საკითხზე, მათ შორის ყველაზე მართებულად და დამაჯერებლად უნდა ჩაითვალოს დურმანოვის შეხედულება, რომლის თანახმად პირველად ცნებას წარმოადგენს დანაშაული.

2. შრომის საერთო დასახულობის დანახმად, შესწავლილია ბურჟუაზიული თეორიები სასჯელის არსის და მიზნების შესახებ. განმარტებულია მთავარი თეორიები იმ კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც მიღებულია სისხლის სამართალში: აბსოლუტური თეორიები, რომლებიც სასჯელის საფუძვლად რომელიმე აბსოლუტურ საწყისს აცხადებენ; შეფარდებითი თეორიები, რომლებიც სასჯელის დასაბუთებისას საზოგადოებრივი სარგებლობის, მიზანშეწონილობის მოსაზრებით ხელმძღვანელობენ. ამასთან დაკავშირებით განმარტებულია პრევენციის იდეა და მისი სახეობანი. აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიების გარდა განხილულია ეგრეთწოდებული შემაერთებელი თეორიები, რომლებიც შედარებით უფრო მრავალრიცხოვანია.

ჩვენ, რასაკვირველია, ვერ შევუდგებით ამ თეორიების დაწვრილებით შესწავლას, ამიტომაც სანიშნოდ ავიღეთ მხოლოდ ზოგერთი მათგანი და დავკმაყოფილდით მათი დახასიათებით.

ბურჟუაზიულ თეორიებს საერთოდ ახასიათებს კვლევა-ძიებრივი ფორმალური მეთოდი. ამ მეთოდის გავლენას ვამჩნევთ სხვა საკითხების დამუშავებაშიც, მაგალითად, დანაშაულის სუბიექტურ ელემენტების შესწავლაში, სადაც ამ ძირითადი ცნების განხილვად ანალიზი ხშირად ღებულობს სქოლასტიკურ ხასიათს¹.

ბურჟუაზიულ სამართლის თეორიასა და კანონმდებლობაში სასჯელის არსი და ამოცანები გაგებულია სხვადასხვა მნიშვნელობით. ზოგიერთს ეს არსი ესმის როგორც ჩადენილი ქმედობის დაგმობა, მისი გაკიცხვა განსაზღვრული ეთიკური ნორმების (ბარი), ან სამართლებრივი ნორმების (სერგეევსკი) თვალსაზრისით, სხვები სასჯელის არსს ხედავენ დანაშავისათვის ტკივილის, წვალების მიყენებაში, მაგრამ, მიუხედავად ამ განსხვავებისა,

¹ იხ. ჩვენი შრომა „დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში“.

მინც შეიძლება ითქვას, რომ გაბატონებულ და საერთოდ მიღებულ ცნებას სამაგიეროს მიზღვის ცნება წარმოადგენს. სამაგიეროს მიზღვა არის ტრადიციის ძალით დამკვიდრებული საწყისი და მას სხვადასხვა ვარიაციით ვხვდებით თითქმის ყველა თეორიებში, რომლებიც ზემოთ დასახელებულ აბსოლუტურ და შემავრთებელ ჯგუფებს ეკუთვნიან¹. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენენ შეფარდებითი თეორიები, რომლებიც სასჯელს პრაქტიკულ, უტილიტარულ მიზნებს უსახავენ და ამის შესაბამისად სამაგიეროს მიზღვის საწყისზე უარს ამბობენ. მაგრამ არიან მწერლები, რომლებიც ცდილობენ დაამყარონ კავშირი სამაგიეროს მიზღვასა და ზოგად პრევენციას შორის ვინაიდან, მათი აზრით, ამ ორ ცნებას შორის შინაგანი ნათესაობა არსებობს.

ბურჟუაზიული თეორიების მიხედვით, მამასადამე, სამაგიეროს მიზღვა ის ძირითადი ცნებაა, რომელიც სასჯელის შინაარსს შეადგენს. რომ გადავხედოთ სასჯელის ისტორიას სხვადასხვა ხალხთა ცხოვრებაში, მათი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, შევამჩნევთ, რომ სამაგიეროს მიზღვის საწყისი მართლაც ყველგან ხელმძღვანელ როლს ასრულებს. ამ ფაქტს აღიარებენ სხვადასხვა მიმართულების მკვლევარნი. მაგრამ ამავე დროს იბადება კითხვა — სასჯელმა მომავალშიც უნდა შეინარჩუნოს ეს ხასიათი თუ არა? უნდა შეიცვალოს თუ არა სასჯელის შინაარსი, მან უნდა მიიღოს თუ არა უფრო მიზანშეწონილი, საზოგადოებრივი ცხოვრების რეალურ მოთხოვნილებებთან უფრო შეთანხმებული შინაარსი? სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა უმრავლესობა, გერმანელი კრიმინალისტის ბირკმეიერის მეთაურობით, ამ კითხვზე უარყოფითად უპასუხებდა. ბირკმეიერი ამტკიცებდა, რომ სასჯელი ისტორიულად ყოველთვის სამაგიეროს მიზღვას წარმოადგენდა, მან მომავალშიც უნდა შეინარჩუნოს ეს ხასიათი, ვინაიდან ამის გარეშე სასჯელი წარმოუდგენელიაო.

რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი ჩუბინსკი თითქმის ნახევარი საუკუნის წინ წერდა, რომ ამჟამად უკვე გადაჭრით უარყოფილია დასჯითი საქმიანობა, რომელიც არ ემსახურება კაცობრიობის მოთხოვნილებებს; მიმზღველი სამართლიანობა, კატეგორიული იმპერატივი, საერთოდ სამაგიეროს მიზღვა და სხვ. უკუგდებულა და დადგინდა შეხედულება სასჯელზე, როგორც დანაშაუ-

¹ სერგეევსკი ცალკე გამოყოფს „სამართლებრივ თეორიებს“ («правовые теории»), მაგრამ უკანასკნელი ჯგუფი ფაქტიურად შემავრთებელ ჯგუფს ეკუთვნის.

ლობასთან ბრძოლის იარაღზე, რომელიც უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ მიღწეულ იქნას საზოგადოებრივი სარგებლობის ის მაქსიმუმი, რომლის განხორციელება შესაძლოა დამნაშავეის პიროვნების ინდივიდუალური უფლებების განადგურების გარეშე¹.

ჩუბინსკის მსჯელობა უცნაურია იმ მხრივ, რომ, მისი აზრით, სამაგიეროს მიზლის საწყისი თითქოს მის ხანაში უკვე დაძლეული იყო და სისხლის სამართალი აღიარებდა მხოლოდ პრაქტიკული ამოცანების განხორციელების საჭიროებას. მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ ამ ავტორის სურვილს გამოხატავდა. ბურჟუაზიული კრიმინალისტები თავის შრომებში აქამდე განაგრძობენ ძველად მიღებული, ტრადიციული შეხედულების გადმოცემას და სასჯელს განიხილავენ როგორც სამაგიეროს მიზლის გამოვლენას. დასავლეთ გერმანიაში ამ შეხედულებას გამოთქვამენ ველცი, მაურახი, მეცგერი, შენკე, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სასჯელი თავისი არსით სამაგიეროს მიზლვაა, რომ იგი სიავია, რომელიც დამნაშავეს მიეყენება მის მიერ ჩადენილ სამართლის დარღვევისათვის². როგორც ვხედავთ, სასჯელის ბურჟუაზიულ თეორიას არავითარი წინსვლა არ ემჩნევა, იგი აქამდე ძველი, დრომოქმული ცნებების ტყვეობაში იმყოფება; იგი არაფერს ახალს არ ჰქმნის, მხოლოდ იმეორებს იმ აზრებს, რაც მრავალი საუკუნეების წინათ იყო წარმოშობილი და დამკვიდრებული სისხლის სამართლის დარგში.

3. ზოგადი სახით განხილულია სასჯელის განსხვავება სახელმწიფო იძულების სხვა ღონისძიებებისაგან, რომლებიც მას თავისი ზოგიერთი ნიშნით ენათესავენ. ასეთია, მაგალითად, ადმინისტრაციული და დისციპლინური სახდელები (административные и дисциплинарные взыскания). ამ საკითხის განხილვა ავტორს საჭიროდ მიაჩნდა იმ მიზნით, რომ სასჯელის დამოუკიდებელი ბუნება უფრო მკვეთრად ყოფილიყო დადგენილი და განსხვავებული იმ ინსტიტუტებისაგან, რომლებიც თავისი თვისებებით მას უახლოვდება.

4. განსაკუთრებული ყურადღებით შესწავლილია „სოციალური და ცვის ღონისძიებათა“ ცნება. ეს უკანასკნელი თავისი წარმოშობით ეკუთვნის გასული საუკუნის მეორე ნახევარს. იგი წამოყენებული და დამუშავებული იყო ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური სკოლების მიერ. „სოციალური და ცვის ღონისძიებათა“ ცნება არ შეადგენს მარტო განყენებული, თეორიული კონს-

¹ М. Чубинский, Курс уголовной политики, 1912, гл. 369.

² იხ. Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, 1957, S. 531.

ტრუქციების კუთვნილებას, იგი აგრეთვე შეთვისებულია სხვადასხვა სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიერ. მრავალი ქვეყნის მოქმედი სამართალი ითვალისწინებს სასჯელის გვერდით სოციალური დაცვის ღონისძიებებს.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კრიმინალისტები სხვადასხვანაირად წყვეტენ სასჯელისა და სოციალური დაცვის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. კლასიკური სკოლის ზოგიერთ წარმომადგენელს კომპრომისული, შემარიგებელი პოზიცია უკავია: ისინი ცნობენ სოციალური დაცვის ღონისძიების საჭიროებას, მაგრამ, მათი შეხედულებით, სასჯელსა და დაცვის ღონისძიებას შორის მაინც არსებითი განსხვავებაა. სასჯელი გამოხატავს გარკვეულ შეფასებობის მომენტს: სასჯელში ასახულია ჩადენილი ქმედობის დაგმობა, გაკიცხვა, იგი სამაგიეროს მიზღვაა და უკავშირდება ბრალის ცნებას, ხოლო დაცვის ღონისძიება გულისხმობს მოქმედი პირის საშიშროებას და მიმართულია იმაზე, რომ წინასწარ იქნას აცდენილი ეს საშიშროება. ასეთ განსხვავებას აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის ნახულობენ ცნობილი გერმანელი კრიმინალისტი ბირკმეიერი და რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი ეიელიენკო. ისინი მკვეთრად ასხვავებენ სასჯელს და დაცვის ღონისძიებას. მათი ერთმანეთში აღრევა ამ მწერლებს დაუშვებლად მიაჩნიათ. მიუხედავად ამისა, ისინი საჭიროდ ცნობენ დაცვის ღონისძიების შეტანას სისხლის სამართლის კოდექსებში, მაგრამ იმ პირობით, რომ არ იქნას წაშლილი ზღვარი ამ ორ ინსტიტუტს შორის.

ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებობს მეორე მიმართულება, რომელიც არ უპირისპირებს ერთმანეთს სასჯელსა და სოციალური დაცვის ღონისძიებებს. პირიქით, ეს ორი ცნება მას მონათესავე ცნებებად მიაჩნია. ორივე ემსახურება ერთ და იმავე დანიშნულებას — საზოგადოების დაცვას. ამ მიმართულებას ეკუთვნიან კრიმინალისტ-სოციოლოგები. ამ კონცეფციას თავის შრომებში ავითარებს და ასაბუთებს ლისტო. მასვე ეჭხრობა გერმანელი მწერალი ექსნერი, რომლის აზრით, სასჯელი და დაცვის ღონისძიება ორივე პრევენციას — როგორც საერთოს, ისე სპეციალურს — ახორციელებს; განსხვავება იმაშია, რომ სასჯელი ქმედობის და მოქმედი პირის გაკიცხვას უკავშირდება, ხოლო დაცვის ღონისძიება „ეთიკურად უფერულია“. ზოგიერთის შეხედულებით, სასჯელი და დაცვის ღონისძიება თავისი ბუნებით იდენტური ცნებებია. ამ აზრს ავითარებს გერმანელი კრიმინალისტი დელაქი, რომელმაც სრულიად წაშალა ყოველი ზღვარი სასჯელსა და

დაცვის ღონისძიებას შორის: მისთვის არსებობს მხოლოდ სასჯელი.

5. სოციალური დაცვის ღონისძიებათა ცნება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საბჭოთა სამართლის თვალსაზრისით. იგი პირველად შემოიღო რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა, რომელიც განსაკუთრებულ კარში (IV კარი) ითვალისწინებდა „სასჯელთა და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებების გვარებს და სახეებს“¹. მასადაამე, სასჯელი მიჩნეული იყო სოციალური დაცვის ერთ-ერთ სახეობად. 1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსით დაწყებული, „სოციალური დაცვის ღონისძიება“ გვხვდება საბჭოთა სისხლის სამართლის ყველა საკანონმდებლო აქტებში და „ძირითადი საწყისების“ გამოცემის დროიდან ტერმინი „სასჯელი“ სრულიად განდევნილი იყო ჩვენი კანონმდებლობიდან და მისი ადგილი „სოციალური დაცვის ღონისძიებამ“ დაიკავა. მხოლოდ 1934 წ. საბჭოთა სისხლის სამართალი დაუბრუნდა ძველ ტერმინოლოგიას და ხელახლა შემოიღო ტერმინი „სასჯელი“.

სასჯელისა და სოციალური დაცვის ღონისძიების ურთიერთდამოკიდებულება საბჭოთა სამართალში შემდეგი სახით გამოიხატება: სასჯელი ყოველთვის გულისხმობს ბრალს, როგორც თავის აუცილებელ საფუძველს. დაცვის ღონისძიება კი ეფარდება სოციალურად საშიშ პირს ბრალის გარეშე.

სასჯელი ყოველთვის გამოხატავს ქმედობის უარყოფითს შეფასებას, მის დაგმობას საბჭოთა სამართლისა და ეთიკის თვალსაზრისით; დაცვის ღონისძიება კი ეთიკურ შეფასებას არ უკავშირდება.

ამყამად „სოციალური დაცვის ღონისძიება“ მიჩნეულია ისეთ ტერმინად, რომელიც თავისი ბუნებით არ შეესაბამება საბჭოთა სისხლის სამართლის საფუძვლებს და ამოცანებს; ამგვარად, იგი უარყოფილია, როგორც უცხო სამართლიდან ნასესხები ცნება, რომელიც არ გამოხატავს ჩვენი სამართლის ბუნებასა და მიზნებს.

საბჭოთა სისხლის სამართალმა იმთავითვე უარი თქვა სამაგიეროს მიზღვაზე და სასჯელის შინაარსი და მიზნები დასაბუთა პრევენციის თვალსაზრისით. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გატარებული იყო ძირითადი აზრი, რომ სასჯელის მიზანია: ა) საერთოდ დანაშაულის წინასწარ აცდენა; ბ) საზოგადოებრივად საშიში ელემენტებისათვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობა და გ) მსჯავრდადებულის გამოსწო-

¹ «IV. Роды и виды наказаний и других мер социальной защиты».

რება შრომა-გასწორების ზეგავლენით და შეგუება მშრომელთა სახელმწიფოს საერთო ცხოვრების პირობებისათვის¹. ამ დებულებებით გამოთქმულია საერთო და სპეციალური პრევენციის მიზანდასახულობა: პირველი პუნქტი ითვალისწინებს საერთო პრევენციას, ხოლო მეორე და მესამე პუნქტები — სპეციალურ პრევენციას.

საბჭოთა სისხლის სამართალი ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის მითითებით დასჯისა და აღზრდის ამოცანების შეხამების შესახებ; ეს ძირითადი მითითება ასახულია საბჭოთა კანონმდებლობაში.

1958 წლის 22—25 დეკემბერს დამტკიცებული კანონის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების შესახებ ჩვენს მიერ დაყენებული საკითხის თვალსაზრისით შეიცავს მნიშვნელოვან და საგულისხმო დებულებებს. ახალი კანონის მე-20 მუხლი ლაპარაკობს სასჯელის მიზნების შესახებ და ადგენს:

„სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდადებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე აცილებულ იქნეს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდადებულის, ისე სხვა პირთა მიერ“.

ამ დადგენილების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად აღნიშნული მუხლის არაზუსტი რედაქციისა, კანონმდებელს სასჯელის მიზნები გაგებული აქვს პრევენციის მნიშვნელობით.

ამავე დროს ახალი კანონის მე-11 მუხლი ითვალისწინებს შეურაცხადობას და ადგენს: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში...“ კანონის სიტყვით „ასეთი პირის მიმართ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სამედიაციონო ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი“.

მაშასადამე, სასჯელის გვერდით „საფუძვლები“ ითვალისწინებენ „სამედიაციონო ხასიათის იძულებით ღონისძიებებს“, რომლებიც თავისი ბუნებით არსებითად განსხვავდებიან სასჯელისაგან. მათი გამოყენების საფუძველს არ წარმოადგენს

¹ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი.

ბრალეული ქმედობა, ისინი გამოიყენება იმ მოსაზრებით, რომ შეურაცხად მდგომარეობაში მყოფმა პირმა ჩაიდინა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა.

აქვე უნდა დავასახელოთ ის შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანმა ჩაიდინა დანაშაული, „რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს“. თუ სასამართლო დაინახავს, რომ შესაძლოა მისი გამოსწორება „სისხლის სამართლის სასჯელის გამოუყენებლად“, მას აქვს უფლება ასეთ პირს შეუფარდოს „აღმზრდელი ღონისძიებანი“. კანონმდებელი ხაზგასმით დასძენს, რომ აღმზრდელი ღონისძიებითი ღონისძიებანი „სისხლის სამართლის სასჯელს არ წარმოადგენს“ (მ. 10).

ამგვარად, კანონმდებლობის თვალსაზრისით, ეს უკანასკნელი ღონისძიებანიც თავისი შინაარსით სასჯელისაგან განსხვავდებიან.

6. შრომაში განმარტებულია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საკანონმდებლო დადგენილებანი სასჯელისა და დაცვის ღონისძიებების შესახებ. განხილულია უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ალბანეთის სისხლის სამართლის კოდექსებში მოცემული სათანადო ნორმატიული მასალა.

დაბოლოს, დახასიათებულია აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის დებულებანი სასჯელისა და დაცვის ღონისძიებათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

სასჯელისა და დანაშაულის პრინციპული დამოკიდებულება

სისხლის სამართალს ახასიათებს ორი ძირითადი ცნება — დანაშაული და სასჯელი. იურიდიულ ლიტერატურაში დაყენებული იყო საკითხი იმის შესახებ, თუ რომელია მათგან პირველადი. ეს საკითხი განხილული იყო როგორც უცხოელი, ისე რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტების მიერ. იგივე საკითხი დაყენებული და გარჩეული იყო საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც. ჩვენ აქ მოკლედ განვიხილავთ ამ საკითხს.

რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი ტაგანცევი წერდა, რომ დანაშაულებრივი ქმედობა, როგორც იურიდიული ურთიერთობა, შეიცავს ორ ცალკეულ მომენტს: დამნაშავეს დამოკიდებულებას კანონით დაცულ იურიდიულ ინტერესისადმი — დანაშაულს, და სახელმწიფოს დამოკიდებულებას დამნაშავეისადმი, რაც გამოწვეულია უკანასკნელის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობით — სასჯელს. ამიტომ, ამ ავტორის აზრით, შესაძლოა სისხლის სამართლის ორგვარი კონსტრუქცია: ან პირველ პლანზე დაყენებულია დანაშაული, რომლის მიმართ სასჯელი წარმოადგენს ცოტად თუ ბევრად აუცილებელ შედეგს, ანდა წინ წამოიწევა სასჯელი და დანაშაული განიხილება მხოლოდ როგორც სახელმწიფოს დასჯითი მოქმედების საფუძველი. აქედან არის ამ მეცნიერების ორგვარი სახელწოდება *jus poenale* და *jus criminale*, *droit pénal*, *droit criminel*; *Strafrecht* და *Criminalrecht*. მხოლოდ რუსულმა იურიდიულმა ენამ არ იცის ეს განსხვავება და ხმარობს ერთადერთ ტერმინს „уголовное право“¹.

¹ Таганцев, Русское уголовное право, 1902, т. I, гл. 18.

ტაგანცევი დასძენს, რომ კოდექსებში ჩვეულებრივ პირველ პლანზეა დაყენებული სასჯელთა სისტემა და ამიტომაც იმ მეცნიერულ შრომებში, რომლებიც ცდილობენ უმთავრესად განსაზღვრული კოდექსის მეცნიერულ დამუშავებას, პირველი ადგილი უკავია სასჯელს. მაგრამ, როგორც ჩანს, ტაგანცევი ემხრობა მეორე სისტემას: საკანონმდებლო მასალისადმი უფრო თავისუფალი მიდგომისას, წერს იგი, უფრო მოხერხებულია პირველი დაჯგუფების მიღება, ვინაიდან იგი შეესაბამება ამ იურიდიულ ურთიერთობათა — დანაშაულის და სასჯელის — წარმოშობის ბუნებრივ წესს¹. თავის ცნობილ კურსში ტაგანცევი სხვადასხვა პრობლემათა განმარტებას აწარმოებს ამ სისტემის მიხედვით: პირველ ტომში შეისწავლის დანაშაულის ცნებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო მეორეში — სასჯელს.

დაყენებულ პრობლემას დეტალურად იკვლევს რევოლუციამდელი კრიმინალისტი ყიჟილენკო. ყიჟილენკო აღნიშნავს, რომ სასჯელის საკითხი მთელი სისხლის სამართლის ძირითადი საკითხია. სასჯელით ხასიათდება თვით დანაშაული, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა დასჯადი აკრძალული ქმედობა. გამოვლევართ რა უმართლობის ერთანობის (единства неправды) წარმოდგენიდან, — წერს ყიჟილენკო, — ჩვენ დასჯადობის მომენტის მიხედვით ვასხვავებთ დანაშაულებრივ ქმედობას სხვა ნებადაურთველ ქმედობებისაგან. თუ ვიმსჯელებთ თანმიმდევრულად, უნდა ვაღიაროთ, რომ თვით სისხლის სამართლის მეცნიერების განხილვა უნდა იწყებოდეს სასჯელის ცნების, როგორც ძირითადი საკითხის, ანალიზით. ჯერ კიდევ ფეიერბახი ამბობდა, რომ ძირითადი ცნება, რომლიდანაც გამომდინარეობს მთელი სისხლის სამართალი, და რომელზეც ყველაფერი დაიყვანება, არის სამოქალაქო სასჯელის ცნება. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ცნების გარკვეულობისა ან გაურკვეველობისაგან დამოკიდებულია მთელი თეორიის კუმარობა ან მცდარობა, თანმიმდევრობა ან არათანმიმდევრობა და პრაქტიკის სიმტკიცე თუ მერყეობა. შემდეგ იგივე აზრი განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოთქვა ფრანგმა მწერალმა ბოსირმა, რომელმაც შენიშნა, რომ მარტო სახელწოდება „დასჯითი სამართალი“ (droit pénal) მოწმობს, რომ სასჯელის საკითხი არის პირველი საკითხი, თუ არა ფაქტების მხრივ, ყოველ შემთხვევაში ლოგიკური თვალსაზრისით. კისტიაკოვსკის სიტყვით, სისხლის სამართლის მიზ-

¹ Таганцев, Русское уголовное право, 1902, т. I, гл. 18

ნისა და არსის მიხედვით პირველი ადგილი უეჭველად ეკუთვნის სასჯელს. მასში გამოიხატება სისხლის სამართლის იდეა¹.


იმავე აზრს იზიარებს ჰ. მეიერი, რომელიც მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის ძირითადი ცნება, რომლის მეშვეობითაც სისხლის სამართალი გამოირჩევა სხვა დარგებისაგან, არის არა დასჯადი ქმედობის ცნება, არამედ სასჯელის ცნება, რომლისგანაც დამოკიდებულია დასჯადი ქმედობაც. ამ პოზიციასზე დგანან, ალბათ, ის კრიმინალისტები, რომლებიც თავიანთ ნაშრომებში გადმოცემენ პირველად მოძღვრებას სასჯელის, ხოლო შემდეგ დანაშაულის შესახებ. მაგრამ, დასძენს ყიეილენკო, კრიმინალისტა დიდ უმრავლესობას თავიანთ კურსებში მიღებული აქვს მასალის განლაგების სხვა სისტემა — პირველ ადგილზეა დაყენებული დანაშაული, ხოლო შემდეგ გადმოცემულია სასჯელი.

ამ სისტემას იზიარებდნენ ფრანგი, ბელგიელი კრიმინალისტები და აგრეთვე რევოლუციამდელ რუს კრიმინალისტთა უმრავლესობა. ისინი უთმობდნენ პირველ ადგილს დანაშაულის ცნებას და ამავე დროს არ თვლიდნენ საჭიროდ მოეცათ რაიმე წინასწარი განმარტება სასჯელის არსის შესახებ. სხვადასხვა მწერლებს შორის ყიეილენკო გამოყოფს გერმანელ კრიმინალისტს მერკელს, რომელიც ასაბუთებს ამგვარ მიდგომას მოცემულ საკითხისადმი. მერკელი ედავება ფრანგ იურისტს ბოსირს და უარყოფს უკანასკნელის შეხედულებას სასჯელის უპირატესობის შესახებ. მერკელი შენიშნავს, რომ ეს აზრი ისევე ლოგიკურია, როგორც მედიკურ მეცნიერებათა სახელწოდებიდან დასკვნის გამოტანა, რომ თითქოს წამლის ცნება არის prius ავადმყოფობის ცნების მიმართ და რომ დამწყებმა მედიკებმა ჯერ უნდა შეისწავლონ წამლები და მათი გამოყენება და შემდეგ ავადმყოფობანი.

ყიეილენკო არ ეთანხმება მერკელის ზემოთ მოტანილ მოსაზრებას; რომ არ შევვხვით აქ, — წერს იგი, — ზოგად საკითხს, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული დანაშაულის „არის“, უნდა ვთქვათ, რომ ფორმალურად დანაშაულის ცნება ამოიწურება იმის მითითებით, რომ იგი არის სამართლის დასჯადი დარღვევა და ეს სრულიად საკმარისია, რომ დანაშაული გამოვყოთ სამართლის დარღვევათა სხვა სახეებისაგან. ყიეილენკო ეთანხმება ძველ კრიმინალისტს კლიენშროდს, რომელიც ამბობს, რომ სასჯელის ცნების გარეშე შეუძლებელია დანაშაულის ფორმალური განსაზღვრა და მისი გამოყოფა სხვა სხვა ძალულ ქმედობებისაგან. გარდა ამისა, ყიეილენკოს აზრით, დანაშაულის ცნება უნდა იყოს უმრავლესობისაგან.

1 Жижиленко,

2 აღ. ვაჩიშვილი



სამართლის შედარება მედიცინასთან, რასაც ხშირად ვხვდებით ლიტერატურაში, თავისთავად არ წარმოადგენს ამა თუ იმ შეხედულების სისწორის დამამტკიცებელ საბუთს, რომელსაც კრიმინალისტიკა უნდა გაუწიოს ანგარიში¹. მერკელის მიერ გამოთქმული აზრის თითქოს უფრო სერიოზულ დასაბუთებას, ყიყილენკოს სიტყვით, ვნახულობთ ლიპმანის თეორიაში. ლიპმანის აზრით, ორ ძირითად ცნებიდან — დანაშაულის და სასჯელისა — სასჯელის ცნება პირველადი დადგენისათვის მიუწვდომელია და რამდენიც უნდა ვიდავოთ სასჯელის საფუძვლისა და მიზნის შესახებ, ერთი რამ მტკიცედ არის დადგენილი — სასჯელი უნდა იყოს დანაშაულის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა და მამასადამე, ბრძოლა იმ ძალებთან, რომლებიც გახდა შესაცნობი დანაშაულის შედეგად; ამიტომ სასჯელის ცნება და ამოცანები შეიძლება გამოვიყვანოთ დანაშაულებრივი ქმედობის თავისებურებებიდან. ასეთია ლიპმანის აზრი. ყიყილენკოს არც ეს აზრი მიაჩნია სწორად. ამ შეხედულების შესაფასებლად, ამბობს იგი, უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ლიპმანისათვის დანაშაული განსხვავდება აკრძალული მოქმედების სხვა სახეებისაგან არა გარეგანი შედეგებით, არამედ შინაგანი ნიშნებით, და რამდენადაც იგი თვლის, რომ დანაშაული არის „მოვალეობის საწინააღმდეგო ნებისყოფის განხორციელება“, რასაც იგი სამოქალაქო უმართლობაში ვერ ნახულობს, ამდენად იგი თანმიმდევრულია, როცა პირველ პლანზე აყენებს მოძღვრებას დანაშაულის, და არა სასჯელის, შესახებ. მაგრამ, განაგრძობს ყიყილენკო, თუ ჩვენ გამოვალთ სხვა წარმოდგენიდან, რომელიც მას ერთადერთ სწორად მიაჩნია, სახელდობრ, უმართლობის ერთიანობის (единство неправды) წარმოდგენიდან, პირველ პლანზე უნდა დავაყენოთ სასჯელი, და არა დანაშაული, ვინაიდან მხოლოდ ეს მომენტი შეიძლება გამოვიყენოთ იმ მიზნით, რომ განვასხვავოთ სისხლის სამართლის უმართლობა (уголовная неправда) და უმართლობის სხვა სახეობანი².

ყურადღებას იპყრობს ყიყილენკოს შემდეგი აზრი. სასჯელის მნიშვნელობა, — წერს იგი, — როგორც მთელი სისხლის სამართლის ძირითადი საკითხისა, განსაკუთრებული სიცხადით გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ცალკეული სკოლების და მიმართულებების განსხვავების წყაროს შეადგენს მათი შეხედულებანი სასჯელის არსზე და ამოცანებზე. თანამედროვე კრიმინალისტიკები გაყოფილია მოდავე სკოლებად არა იმ საკითხის გამო, თუ რას წარმოად-

¹ Жижиленко, Наказание, 1914, გვ. 8.

² იქვე, 9

გენს დანაშაული. არამედ სასჯელის არსის საკითხის გადაჭრის ნიადაგზე. სამაგიეროს მიზლის და საზოგადოებრივი დაცვის თეორიების, ზოგადი და სპეციალური პრევენციის თეორიების წარმომადგენელნი ერთნაირად უყურებენ დანაშაულის არსს, მაგრამ არ ეთანხმებიან ერთმანეთს თავიანთ შეხედულებებში სასჯელზე¹.

ეს აზრი უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს და, რა თქმა უნდა, იწვევს გაუგებრობას. როგორ შეიძლება სერიოზულად იმის მტკიცება, რომ კლასიკური და სოციოლოგიური სკოლები ერთნაირად განიხილავენ დანაშაულის შინაარსის საკითხს და რომ მთელი მათი განსხვავება ამოიწურება აზრთა სხვაობით სასჯელის გაგების დარგში. ამის მტკიცება ნიშნავს, რომ ავტორი იმდენად გატაცებულია ცალმხრივი თეორიით, რომ მას სრულებით ავიწყდება ის ღრმა განსხვავება დანაშაულის ცნების გაგებაში, რომელიც სთიშავს ერთმანეთისაგან აღნიშნულ სკოლებს; ცნობილია, რომ კლასიკური სკოლა დანაშაულს უყურებს როგორც განყენებულად გაგებულ ქმედობას, ხოლო სოციოლოგიურ სკოლას იგი ესმის სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორებით განპირობებული მოვლენის მნიშვნელობით.

ზემოთ ჩვენ გავეცანით ორ მოწინააღმდეგე შეხედულებას, რომლებიც სისხლის სამართლის ძირითადი ცნებებიდან ხაზს უსვამენ და პირველ ადგილზე აყენებენ ან დანაშაულს, ან სასჯელს. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი შეხედულება, რომლის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ითვალისწინებს ორივე მომენტს და ცდილობს თავის კონსტრუქციაში თანაბრად გამოიყენოს როგორც დანაშაულის, ისე სასჯელის ცნება.

ამ უკანასკნელ შეხედულებას გულისხმობს ჟიჟილენკო, როცა მიუთითებს, რომ სასჯელის აგების დროს (при построении наказания) უნდა მიექცეს ყურადღება, რომ მიღებული განსაზღვრა არ უნდა შეიცავდეს *circulus vitiosus*-ს. ეს უნდა იქნას გათვალისწინებული იმიტომ, რომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ჩვეულებრივ ვამჩნევთ სწორედ საწინააღმდეგო მოვლენას. ხშირად, ჟიჟილენკოს სიტყვით, იძლევიან სასჯელის ისეთ განსაზღვრას, რომელიც შეიცავს მითითებას, რომ იგი არის სიძვე, რომელსაც ნიშნავენ დანაშაულისათვის ან უფარდებენ დამნაშავეს. ამავე დროს დანაშაულის ცნება განისაზღვრება როგორც დასჯადი დარღვევა სამართლისა. ამგვარად, ერთი ცნება აქ განსაზღვრულია მეორის მეშვეობით. გერმანულ ლიტერატურაში უკვე აღ-

¹ დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

ნიშნული იყო, რომ დაუშვებელია სასჯელის ცნებაში დანაშაულის ან დამნაშავის მითითების შეტანა. ასეთი შენიშვნა ეკუთვნის მაკარევიჩს, რომელიც აღნიშნავს სისხლის სამართალში არსებულ გაუგებრობას, როცა იქმნება მოჯადოებული წრე; კითხვაზე — რა ისჯება? უპასუხებენ: დანაშაული; ხოლო კითხვაზე — რა არის დანაშაული? უპასუხებენ: ის, რასაც ვსჯით¹.

ამ მოსაზრების წინააღმდეგ რევოლუციამდელ რუსულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო აზრი კრუგლევსკის მიერ. კრუგლევსკი მიუთითებს, რომ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით განხილული განსაზღვრებანი არა თუ არ შეიცავენ რაიმე შეცდომას, კერძოდ, მოჯადოებულ წრეს, არამედ, პირიქით, ერთადერთი შესაძლო გამომხატველი არიან დანაშაულის და სასჯელის იმ იდეებისა, რომელთაც გაბატონებული შეხედულება იზიარებს. კრუგლევსკის სიტყვით, დანაშაული და სასჯელი წარმოადგენენ ეგრეთწოდებულ „თანაფარდობით სწებებს“ (соотносительные понятия), ე. ი. ისეთ იდეებს, რომლებიც, გარდა მათ მიერ აღნიშნული საგნისა, მიუთითებენ კიდევ მეორე საგნის არსებობაზე, რომელიც პირველთან გარკვეულ დამოკიდებულებაშია².

მაგრამ ყიყილენკო ამ მოსაზრებას არ ეთანხმება; იმ ფაქტებიდან, ამბობს იგი, რომ ჩვენ ვალიარებთ დანაშაულსა და სასჯელს „თანაფარდობით სწებებად“, ჯერ კიდევ არ გამომდინარეობს, რომ ერთის განსაზღვრაში უნდა იქნას შეტანილი მეორის მითითება, ხოლო ამ უკანასკნელის განსაზღვრაში — მითითება პირველზე. ყიყილენკო ფიქრობს, რომ სავსებით შესაძლოა ამის თავიდან აცილება, მით უფრო, რომ სასჯელის არსისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმ აკრძალულ ქმედობათა თავისებურებას, რომლებიც იწვევენ სასჯელს. შემდეგ გადმოცემაში ჩვენ ვნახავთ, თუ როგორ ასაბუთებს ყიყილენკო თავის შეხედულებას, როგორ არკვევს სასჯელის შინაარსს და გამოყოფს მას, შედარების გზით, მოსაზღვრე მოვლენებისაგან.

ნემიროვსკიც ამტკიცებს, რომ სასჯელთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების გადმოცემა წინ უნდა უსწრებდეს მოძღვრებას დანაშაულის შესახებ. თუმცა სასჯელი დანაშაულის შედეგია, მაგრამ ეს შედეგი ლოგიკური აუცილებლობით არ გამომდინარეობს დანაშაულის ბუნებიდან, არამედ განისაზღვრება კანონმდებლის ნებისყოფით; სასჯელის გამოყენება კანონმდებლის მიერ განპირო-

¹ Makarewicz, Einführung in die Philosophie des Strafrechts, 1906, 30.

² Круглевский, Учение о карательных мерах (Вопросы общественного введения, в. I, 1908), гл. 136.

ბებულია მართლწესრიგის დაცვის ამ საშუალების მნიშვნელობით და მისთვის მისაწვდომი მიზნებით. დანაშაული ხდება ასეთად სწორედ იმიტომ, რომ კანონი, საერთოდ დადებითი სამართალი, განსაზღვრულ სამართლის დარღვევას სასჯელს უკავშირებს. მაშასადამე, დასჯენის ნემიროვსკი, პირველად უნდა ვადიაროთ სასჯელის ცნება, დანაშაული კი წარმოებულ ცნებად. დანაშაულის შესახებ მოძღვრების საკითხები, მაგალითად, ბრალის, მცდელობის, უკიდურესი აუცილებლობის და სხვ. ღებულობენ ამა თუ იმ გადაჭრას იმის მიხედვით, თუ როგორ არის გაგებული სასჯელის არსი და მიზნები. ეს უკანასკნელი საკითხები მუდამ წამოიჭრება დანაშაულის ელემენტების და მისი ფორმების გამოკვლევისას და გზადაგზა გადაიჭრება იმ კრიმინალისტების მიერაც, რომლებიც მთელ მოძღვრებას სასჯელის შესახებ გადმოცემენ დანაშაულის შემდეგ, ეს კი იწვევს განმეორებებს და შესაძლოა ვახდეს წინააღმდეგობათა მიზეზი¹.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დაყენებული საკითხი განიხილა დ უ რ მ ა ნ ო ვ მ ა. სისხლის სამართალს, ამბობს დურმანოვი, საქმე აქვს ორ ძირითად ცნებასთან — დანაშაულსა და სასჯელთან, საკითხი იმის შესახებ, თუ რომელია მათგან პირველადი, შეადგენდა ხანგრძლივი დავის საგანს სისხლის სამართლის თეორიაში. ბურჟუაზიულ თეორეტიკოსთა დიდი უმრავლესობა ემხრობა იმ აზრს, რომ სისხლის სამართლის ძირითად ცნებას წარმოადგენს სასჯელი².

შეხედულებას სასჯელზე, როგორც, შედარებით დანაშაულთან, პირველად ცნებაზე, ჩვეულებრივ ასაბუთებენ იმით, რომ სწორედ სასჯელი წარმოადგენს სისხლის სამართლის სპეციფიკურ ატრიბუტს, რომ იგი არის ერთადერთი ნიშანი, რომელიც ასხვავებს სისხლის სამართალს სამართლის სხვა დარგებისაგან, რადგან მხოლოდ დასჯადობა აქცევს ქმედობას სისხლის სამართლის მოვლენად, ე. ი. დანაშაულად, ხოლო თუ ეს ნიშანი მას არ გააჩნია, იგი ეკუთვნის სამართლის სხვა რომელიმე დარგს³.

შეხედულება სასჯელზე როგორც პირველად ცნებაზე პოულობდა, დ უ რ მ ა ნ ო ვ ი ს სიტყვით, მტკიცე დასაყრდენს XIX—XX სს. კანონმდებლობაში. კოდექსები ჩვეულებრივ იწყება მუხლებით, რომლებიც სასჯელთა სახეებს და მათი გამოყენების საწყისებს განსაზღვრავენ, სისხლის სამართლის კოდექსის სახელწოდებაში გამოისახება სასჯელის ცნების პრიორიტეტის აღიარება. ასე-

¹ Немировский, Основные начала уголовного права, 1917, гл. 16.

² Дурманов, Понятие преступления, 1948, гл. 7.

³ იქვე, გვ. 8.

თია სახელწოდებანი: „სასჯელთა დებულება“, „Strafgesetzbuch“ და სხვ. მაგრამ ზოგიერთი ბურჟუაზიული თეორეტიკოსი ემხრობა საწინააღმდეგო აზრს და პრიორიტეტს დანაშაულს ანიჭებს, როგორც, მაგალითად, გერმანელი კრიმინალისტი მიტერმაიერი. რუსულ ლიტერატურაში ამგვარი შეხედულება პირველად გამოთქვა პუტინსკიმ, რომელიც ამბობს, რომ სასჯელის არსის და საფუძვლის განსაზღვრისათვის საჭიროა პირველ ყოვლისა გარკვეული ცნების შედგენა დანაშაულის შინაარსის შესახებ¹.

საბჭოთა ლიტერატურაში შეხედულება, რომ სისხლის სამართალში პირველად ცნებას წარმოადგენს დანაშაული, გამოთქმული იყო ა. ტრაინინის მიერ. სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს პირველ ორ გამოცემაში² ეს საკითხი საერთოდ არ ყოფილა დაყენებული, თუმცა დურმანოვის აზრით, სახელმძღვანელოში მიღებული სისტემა მოწმობდა, რომ უსიტყვოდ აღიარებული იყო დანაშაულის პრიორიტეტი. როგორ უყურებს ამ საკითხს საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა? ამ კითხვაზე დურმანოვი იძლევა შემდეგ პასუხს.

ჩვენი აზრით, წერს იგი, მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობა გამოდის იმ თვალსაზრისიდან, რომ დანაშაული შეადგენს პირველად ცნებას. დურმანოვი ასაბუთებს თავის შეხედულებას იმ მოსაზრებით, რომ სისხლის სამართლის კოდექსებში მიღებული სისტემის მიხედვით დანაშაულის განსაზღვრა (რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლი; საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლი) წინ უსწრებს არა მხოლოდ იმ ნორმებს, რომლებიც ადგენენ სასჯელის სახეებს და ფარგლებს, არამედ იმ ნორმასაც, რომელიც სასჯელის ამოცანებს განსაზღვრავს (რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი). რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის განხილვისას სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე 1922 წ. მაისში მომხსენებელმა, იუსტიციის კომისარმა დ. კურსკიმ, წარმოდგენილი პროექტის შინაარსის გადმოცემისას, შენიშნა: „... უწინარეს ყოვლისა ამ კოდექსმა ჩამოაყალიბა ძირითადი მოვლენა, რომელსაც იგი ებრძვის, — დანაშაული; კოდექსი განსაზ-

¹ Дурманов, დასახ. ნაშრომი, 9.

² 1938 და 1939 წწ. გამოცემები.

ღვრავს დანაშაულს როგორც მოვლენას, საშიშს იმ წყობილებებისათვის, რომელსაც ჩვენ ვიცავთ...“¹.

ამ მოსაზრებით დ უ რ მ ა ნ ო ვ ი ცდილობს დაამტკიცოს იმ დებულების მართებულობა, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა აღიარებს დანაშაულის პრიორიტეტს შედარებით სასჯელთან.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, რევოლუციამდელ რუსულ ლიტერატურაში ვხვდებით შეხედულებას, რომელსაც თვით დავა დანაშაულის თუ სასჯელის პრიორიტეტის შესახებ მიიჩნია ლოგიკურ გაუგებრობად; ამ თვალსაზრისით დანაშაული და სასჯელი თანაფარდობითი ცნებებია.

საბჭოთა ლიტერატურაში ასეთივე აზრი გამოთქვა უ ტ ე ვ ს კ ი მ.

უ ტ ე ვ ს კ ი ს სიტყვით, სასჯელი როგორც დანაშაულის შედეგი ყველაზე უფრო ასხვავებს სისხლის სამართალს სამართლის სხვა დარგებისაგან, რომელთაც აგრეთვე აქვთ საქმე კანონის დარღვევასთან, მაგრამ რომლებიც ამ დარღვევებს უკავშირებენ თვისობრივად სხვა იურიდიულ შედეგებს, მაგალითად, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალი.

ბურჟუაზიულმა იურისტებმა დიდი დრო და ძალა შეაღიეს დავას იმის შესახებ, თუ რომელს ამ ორი ძირითადი ცნებიდან — დანაშაულს თუ სასჯელს — ეკუთვნის პრიორიტეტი. ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კორიფეები სასჯელს თვლიდნენ სისხლის სამართლის ძირითად ცნებად. მაგრამ, — წერს უტევსკი, — მიუხედავად იმისა, რომ სასჯელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დარგში ენიჭება დიდი მნიშვნელობა, თვით დაყენება საკითხისა სასჯელის პირველადობის შესახებ მანკიერად უნდა ჩაითვალოს. დანაშაული და სასჯელი თანაბრად ძირითადი ცნებებია სისხლის სამართალში; ისინი განუყრელად დაკავშირებულია ერთმანეთთან. მოძღვრება სასჯელის შესახებ და მოძღვრება დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის მეცნიერების ტოლმნიშვნელი ნაწილებია (равнозначные части науки уголовного права)².

დ უ რ მ ა ნ ო ვ ი არ ეთანხმება ამ შეხედულებას. პირველ ყოვლისა, ამბობს იგი, დავა ეხება არა სისხლის სამართლის მეცნიერების ორ ნაწილს ან განყოფილებას — დანაშაულის და სასჯელის შესახებ მოძღვრებას, — არამედ დანაშაულს და სასჯელს, როგორც ობიექტური სინამდვილის მოვლენებს და მათ იურიდიულ ასახვას სამართლის სისტემაში. უდავოა, რომ დანაშაული და სასჯელი გა-

¹ Дурманов, Понятие преступления, 10.

² Уголовное право, Общая часть, 1943, გვ. 216.

წყურელად დაკავშირებულია ერთმანეთთან და არ შეიძლება მათი დაპირისპირება. მაგრამ ეს, დურმანოვის სიტყვით, სრულიადაც ვერ მოხსნის საკითხს ამ მოვლენათაგან ერთ-ერთის პირველობის შესახებ. მათი შეფარდებითობის და ერთნაირი მნიშვნელობის მითითება საკმარისი არაა¹.

სახელმწიფო აღიარებს ადამიანის განსაზღვრულ მოქმედებებს დანაშაულად და მათი ჩადენისათვის აწესებს სასჯელს. დურმანოვი აყენებს კითხვას: რა უდევს საფუძვლად სახელმწიფოს ამ აქტს? და უპასუხებს, რომ ამ აქტის საფუძველს უნდა შეადგენდეს ან ის, რომ ზოგიერთი მოქმედებანი, მათი რეალური საშიშროების გამო კაპიტალისტური მართლწესრიგისათვის ან ჩვენი საბჭოთა ქვეყნის მართლწესრიგისათვის, იწვევენ მათი ჩამდენი პირებისადმი სასჯელის გამოყენების აუცილებლობას, ანდა სახელმწიფო თვითნებურად ადგენს, რომ ადამიანთა არასასურველი ქცევის თავიდან ასაცილებლად მან უნდა ებრძოდეს ასეთ მოვლენებს მხოლოდ სასჯელის საშუალებით, ვინაიდან სხვა საშუალებანი არაა საკმარისი².

დურმანოვის აზრით, მეორე შეხედულებას, რომელიც იცავს სასჯელის პრიორიტეტს, საფუძვლად უდევს წარმოდგენა დანაშაულზე მხოლოდ როგორც ცნობიერების შეფასებით კატეგორიულად. სახელმწიფო, თავისი მიზნების მიხედვით, თითქოს თავისუფალი მოსაზრებით აღიარებს ამა თუ იმ ქმედობებს დასჯადად და, მასადაამე, დანაშაულებრივად. ამგვარად, დანაშაულს, როგორც იურიდიულ ცნებას, ამ შეხედულების თანახმად, არა აქვს არავითარი საფუძველი ობიექტურ სინამდვილეში, იგი არსებითად არაფრით არ განსხვავდება სამართლის დარღვევათა სხვა სახეებისაგან და მათგან გამოირჩევა მხოლოდ სამართლებრივი შედეგების ხასიათით. ეს კი ნიშნავს სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგის, უარყოფას. სისხლის სამართლის მთელი განსხვავება სამართლის სხვა დარგებისაგან დაყვანილია ქმედობის სამართლებრივი შედეგის ზოგიერთ განსხვავებაზე (სასჯელი და სხვა ღონისძიებანი). ამგვარად, — დაასკვნის დურმანოვი, — „სისხლის სამართალი ღებულობს წმინდა სუბსიდიარულ მნიშვნელობას, იგი თავისი სანქციით მხოლოდ ამაგრებს ნორმებს, რომლებიც სამართლის სხვა დარგებს, და მორალის ნორმებსაც კი, ეკუთვნიან. იგი თითქოს შეაკვებს ამ ნორმებს თავისი სპეციფიკური სანქციით“³.

¹ Понятие преступления, გვ. 11.

² იქვე, 11.

³ იქვე, 11.

დ უ რ მ ა ნ ო ვ ი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ბურჟუაზიული თეორეტიკოსი აღიარებს დანაშაულის პირველადობას, მაგრამ თავის აზრს არასაკმარისად ასაბუთებს. თანაც ეს რჩება ცარიელ დეკლარაციად, იგი არ ღებულობს შემდგომ განვითარებას სისხლის სამართლის ცალკეული ინსტიტუტების მიხედვით. დურმანოვი ამას ხსნის იმ გარემოებით, რომ ეს თეორეტიკოსნი გამოდიან იდეალისტური, უკეთეს შემთხვევაში ეკლექტიკური ფილოსოფიური საფუძვლებიდან, განიხილავენ დანაშაულს როგორც იურიდიულ მოვლენას და არც კი ეხებიან საკითხს მისი მატერიალური შინაარსის შესახებ, რომელიც დევს ნორმის ფარგლებს გარეთ, მაგრამ განსაზღვრავს მის წარმოშობას. თუმცა, დასძენს დურმანოვი, ეს შეესაბამება ბურჟუაზიული თეორიის კლასობრივ დანიშნულებას, რომელმაც უნდა დამალოს ბურჟუაზიული სამართლის კლასობრივი ხასიათი¹.

დურმანოვის მიერ გამოთქმული მოსაზრება საგულისხმოა უპირველეს ყოვლისა იმ მხრივ, რომ იგი მიზნად ისახავს დასმული საკითხის სოციალური საფუძვლების გამორკვევასა და შესწავლას. იგი მართებულად მიუთითებს, რომ დანაშაულის შინაარსი მკვლევარმა უნდა ეძიოს იურიდიული ნორმის გარეშე, რომ დანაშაული არაა მხოლოდ იურიდიული ცნება, დანაშაული განპირობებულია საზოგადოებრივი წყობით, იმ გარემოთი, რომელშიც იგი წარმოიშვა. ამ მხრივ დურმანოვის მსჯელობა უდავოდ საფუძვლიანია. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ნაკარნახევეა დანაშაულის მატერიალური განსაზღვრით, როგორც მოცემულია საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

აღნიშნული საკითხის თვით დაყენება ზოგიერთ ავტორს ზედმეტად მიაჩნია, ზოგი კი მას უყურებდა როგორც სქოლასტიკურს, მაგრამ ზემოთ მოცემული განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი ზედმეტი არაა და არც სქოლასტიკურია. ეს საკმაოდ მტკიცდება დურმანოვის მიერ მითითებული ფაქტით, რომ დანაშაულს გააჩნია თავისი დამოუკიდებელი მატერიალური შინაარსი, რომელსაც აქვს ღრმა სოციალური საფუძველი და რომელიც ფორმალურად გამოიხატება სამართლებრივ ნორმაში. ამიტომ დანაშაულის განსაზღვრას სასჯელის მეშვეობით ეკარგება მნიშვნელობა.

ზემოთ დახასიათებულ ორ დაპირისპირებულ შეხედულებას შორის უფრო სწორად მიგვაჩნია ის, რომელიც პირველ ადგილზე აყენებს დანაშაულს; სწორედ ამ უკანასკნელს უნდა მიენიჭოს უპი-

¹ Понятие преступления, გვ. 11.

რატესობა. ის ავტორები, რომელთაც ჩვენ გავეცანით, ლაპარაკობენ „პრიორიტეტზე“, „პირველადობაზე“ (первичность). ამ ტერმინების აზრი თითქოს ნათელია, მაგრამ რომ ჩავუკვირდეთ მათ შინაარსს, იგი არც ისე მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება. „პრიორიტეტი“ შეიძლება გავიგოთ სხვადასხვა მნიშვნელობით: პრიორიტეტი საერთოდ ესმით როგორც ისტორიული, ისე ლოგიკური მნიშვნელობით. როგორ ესმით ზემოთ დასახელებულ ავტორებს ეს ტერმინი? ვფიქრობთ, რომ ისინი, როცა ლაპარაკობენ დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთობის შესახებ, უმთავრესად ითვალისწინებენ საკითხის ისტორიულ მხარეს.

დაყენებული საკითხი უნდა გადაწყდეს იმ მნიშვნელობით, რომ დანაშაული, შედარებით სასჯელთან, წარმოადგენს პირველად მოვლენას როგორც ისტორიული, ისე ლოგიკური თვალსაზრისით. დანაშაულის ისტორიული პირველადობა მტკიცდება იმით, რომ სასჯელი წარმოიშობა, როგორც დანაშაულის საწინააღმდეგო ღონისძიება, როგორც ბრძოლის იარაღი, მიმართული მართლწესრიგის დარღვევის წინააღმდეგ.

გუჩუაჟიული თეორიები სსჯელის შესახებ

საკითხი სსჯელის არსის და მიზნების შესახებ იწვევდა ბურჟუაზიულ იურიდიულ ლიტერატურაში დაუსრულებელ დავას. ამ საკითხს მიძღვნილი აქვს მრავალი თეორიები, რომლებიც ცდილობენ სსჯელის შინაარსის განმარტებასა და შესწავლას; ამ თეორიების ავტორები თავიანთ გამოკვლევებში ჩვეულებრივ სარგებლობენ განყენებული, დოგმატური მეთოდით და ამ მეთოდის საფუძველზე აშენებენ ფორმალურ კონსტრუქციებს, რომლებიც არ უწყვენ ანგარიშს საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებს.

ბურჟუაზიულ ლიტერატურაში გავრცელებულია თეორია, რომელიც სსჯელს, ისე როგორც დანაშაულს, თვლის მარადიულ მოვლენად, რომელიც მუდამ არსებობდა და იარსებებს. ვხვდებით შეხედულებას, რომელიც სსჯელს განიხილავს სახელმწიფოსაგან მოწყვეტილად და ამტკიცებს, რომ სსჯელის ფუნქცია ეკუთვნის არა მარტო სახელმწიფოს, მას ადგილი აქვს აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივ კავშირებშიც.

სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლნი განსაკუთრებული ინტერესით ამუშავებენ საკითხს სახელმწიფოს დასჯითი უფლების (*jus puniendi*) შესახებ და ამ საკითხის შესწავლის ნიადაგზე წარმოშობილია მრავალი თეორიები, რომლებიც ცდილობენ დაასაბუთონ, რომ სახელმწიფოს ნამდვილად ეკუთვნის უფლება შეუფარდოს განსაზღვრული რეპრესიული ღონისძიება მოცემული მართლწესრიგის დამრღვევ პირებს. თუმცა არის ისეთი თეორიებიც, რომლებიც უარყოფენ სახელმწიფოს დასჯითს უფლებას.

სსჯელის მიზნების საკითხი იწვევდა დიდ ინტერესს და სწორედ ამ დარგში ჩვენ ვხვდებით მრავალრიცხოვან სისტემებს, რომ-

ლებიც გამოდიან იდეალისტური წინამძღვრებიდან და ავითარებენ წინასწარ მიღებულ იდეებსა და შეხედულებებს.

გასულ საუკუნეში გაბატონებულ მიმართულებას კლასიკური სკოლა წარმოადგენდა. კლასიკური სკოლა სასჯელის შინაარსს სამაგიეროს მიზლვაში ხედავდა; სამაგიეროს მიზლვა (Vergeltung, rétribution, возмездие) იყო მთავარი, სახელმძღვანელო ცნება კრიმინალისტ-კლასიკოსებისათვის. მაგრამ მათ შორის იყვნენ ისეთიც, რომლებიც სასჯელის დარგის ამ მთავარ ცნებას უარყოფდნენ და სასჯელს მიზნად უსახავდნენ სხვადასხვა, საზოგადოებისათვის სასარგებლო, უტილიტარული შინაარსის შედეგების განხორციელებას. ამ უკანასკნელი აზრის მიმდევარნი იზიარებდნენ პრევენციის თეორიას.

შემდგომ გადმოცემაში ჩვენ გავეცნობით ბურჟუაზიული სისხლის სამართლის მეცნიერების მიმართულებებს და ამ გადმოცემას ბუნებრივად ექნება შემოკლებული ხასიათი, ვინაიდან შრომის მცირე მოცულობა და ფარგლები არ გვაძლევენ შესაძლებლობას დაწვრილებით განვიხილოთ ის დიდი მასალა, რომელიც ამ დარგში მოიპოვება.

ყველა თეორიას, რომლებიც იკვლევენ სასჯელის ცნებას, საერთოდ ჰყოფენ ორ ძირითად ჯგუფად: აბსოლუტური და შეფარდებით თეორიებად.

ამათ ემატება კიდევ ეგრეთწოდებული შემთავრებელი თეორიები, რომლებიც ცდილობენ ორი მოწინააღმდეგე მიმართულების პრინციპების შერიგებას¹. ჩვენ მოკლედ განვიხილავთ აღნიშნული თეორიების შინაარსს.

1. აბსოლუტური თეორიები

აბსოლუტური თეორიების ჯგუფს ეკუთვნიან კანტისა და ჰეგელის თეორიები.

კანტის პრაქტიკული ფილოსოფიის ძირითად მომენტს წარმოადგენს კატეგორიული იმპერატივის, ზნეობრივი კანონის იდეა,

¹ ზოგიერთი ავტორი ამათ კიდევ უმატებს „სამართლებრივ თეორიებს“

(«правовые теории»). მაგრამ ვეცნობით რა ამ თეორიებს, ვრწმუნდებით, რომ ისინი სინამდვილეში „შემთავრებელ“ ჯგუფს ეკუთვნიან. გარდა ამისა, გაუგებრობას იწვევს მათი სახელწოდება — სხვა ჯგუფებიც ხომ სამართლებრივ ხასიათს ატარებენ.

რომელიც გულისხმობს ნებისყოფის თავისუფლების არსებობას.

დანაშაული ზნეობრივი კანონის დარღვევა და როგორც ასეთი იწვევს სასჯელის გამოყენებას. საყურადღებოა, რომ კანტის თეორიაში სასჯელი ლეზულობს პრიმიტიული მატერიალური ტალიონის ხასიათს. რომელია, — სვამს კითხვას კანტი, — სასჯელის პრინციპი, რომლითაც სამართლიანობა ხელმძღვანელობს? და უპასუხებს, რომ ესაა თანასწორობის პრინციპი. „იმ სიავეს, რასაც შენ მიაყენებ სხვას, თავის თავს აყენებ“, — წერს კანტი. შეურაცხყოფის შემთხვევაში შეურაცხყოფ საკუთარ თავს, ქურდობის, ფიზიკური ძალადობის, მკვლელობის შემთხვევაში მოქმედებს იგივე პრინციპი, რომელსაც კანტი ტალიონის სამართალს უწოდებს (*jus talionis*)¹.

სასჯელი შეეფარდება ადამიანს მხოლოდ იმიტომ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. კანტის მოძღვრების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი საერთოდ ზნეობრივ და, კერძოდ, სამართლის დარგში უარპყოფს სარგებლობის რაიმე კრიტერიუმის გამოყენებას. პრაქტიკული მიზნები და მოსაზრებანი სრულიად უცხოა მისთვის. სასჯელის შეფარდებისას სახელმწიფო არ უნდა ხელმძღვანელობდეს უტილიტარული მოსაზრებებით. ადამიანი წარმოადგენს თვითმიზანს და ამიტომ იგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საშუალება რომელიმე პრაქტიკული მიზნის განსახორციელებლად. სასჯელი არასოდეს არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ როგორც საშუალება სხვა სიკეთის მისაღწევად თვით დანაშაულისა ან საზოგადოებისათვის, ვინაიდან დაუშვებელია ადამიანის გამოყენება რაიმე მიზნისათვის და მისი აღრევა სანევთო სამართლის საგნებში, რისგანაც მას იცავს მისი თანდაყოლილი პიროვნება, მიუხედავად იმისა, რომ მან შეიძლება განაჩენით დაკარგოს მოქალაქეობა. „იგი დასჯილად უნდა იქნას ცნობილი, სანამ იმაზე იფიქრებენ ამ სასჯელიდან მიიღონ რაიმე სარგებლობა მისთვის ან მისი თანამოქალაქეებისათვის“².

დანაშავე უნდა დაისაჯოს მხოლოდ იმიტომ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, ე. ი. დაარღვია ზნეობრივი კანონი.

სასჯელის აბსოლუტურ თეორიას ავითარებს აგრეთვე ჰეგელი. ჰეგელის აზრით, სამართალი საერთოდ ნებისყოფის განხორციელებაა, ხოლო დანაშაული, როგორც ინდივიდუალური ნებისყოფის

¹ Im. Kant, *Metaphysik der Sitten*, herausg. von Kirchmann, 1870; 474; ამას იგი უწოდებს „Wiedervergeltungsrecht (*jus talionis*)“.

² იქვე, გვ. 173.

ღის გამოვლენა, არღვევს სამართალს. სასჯელი არის დანაშაულის უარყოფა; როგორც დანაშაულის უარყოფა, იგი წარმოადგენს დარღვეული სამართლის აღდგენის საშუალებას¹.

ჰეგელი უარყოფს ფეიერბახის მოძღვრებას, რომელიც დამყარებულია დამუქრებაზე (Androhung) სამართალი და სამართლიანობა, — ამბობს იგი, — გულისხმობენ თავისუფლებას და ნებისყოფას, ხოლო მუქარა მოასწავებს იმას, რომ ადამიანს ვეპყრობით როგორც პირტყევს².

ჰეგელის მოძღვრებისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი უყურებს სასჯელს როგორც დამნაშავეის უფლებას. ჰეგელის სიტყვით, ჩვენ რომ ვიხილავთ სასჯელს როგორც დამნაშავეის საკუთარ უფლებას, მოწმობს, რომ მას პატივს ვცემთ, როგორც გონიერ არსებას. პირიქით, პატივს არ ვცემთ მას, თუ ჩვენ არ ვიღებთ თვით მისი დანაშაულიდან მისი სასჯელის ცნებას და საზომს; ასევე ნაკლებად ვცემთ მას პატივს, როცა მას ვთვლით მავნე მხეცად, რომელიც საჭიროებს უვნებელყოფას ანდა როცა მას ვსჯით დაშინებისა და გამოსწორების მიზნით³.

ჰეგელის მოტიანილ სიტყვებიდან ჩანს, რომ მისი თეორია ეთიკური თვალსაზრისით უფრო მაღლა დგას შედარებით კანტის თეორიასთან, რომელიც ტალიონის პრინციპულ საწყისს აღიარებს. ამავე დროს ცხადია, რომ ჰეგელი სასჯელს ამყარებს მეტაფიზიკური სამართლიანობის მოთხოვნაზე და უარყოფს სასჯელის პრაქტიკულ მიზნებს — უვნებელყოფას, დაშინებასა და გამოსწორებას იმ მოსაზრებით, რომ უტილიტარული მიზნების განხორციელება ამცირებს ადამიანის გონიერ არსებას.

მისი სიტყვით, დანაშაულის მოხსნა არის სამაგიეროს მიზღვა (Wiedervergeltung), რომელიც სასჯელისა და დანაშაულის თანასწორობას გულისხმობს: ეს არის ღირებულების თანასწორობა⁴.

აბსოლუტური თეორიების ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე ეგრეთ-წოდებული თეოლოგიური თეორია, რომელიც დანაშაულს თვლის ღვთაებრივი მცნების დარღვევად და სასჯელსაც უყურებს

¹ Grundlinien der Philosophie des Rechts, გამოც. Bolland-ის მიერ, 1902, § 49.

² იქვე, § 99.

³ იქვე, § 100.

⁴ იქვე, § 101. ჰეგელი აღნიშნავს სასჯელისა და დანაშაულის თანასწორობის საკითხის სიძნელეს.

როგორც ზებუნებრივი ძალით დაწესებულ ინსტიტუტს. საერთოდ თეოლოგიური თეორიები გავრცელებული იყო შუასაუკუნეებში. გასულ საუკუნეში თეოლოგიური თეორიის წარმომადგენლად ითვლებოდა შტალი¹.

II. ზეზარდებითი თეორიები

შეფარდებითი თეორიები სასჯელს პრაქტიკულ მიზნებს უსახავენ. სასჯელი, მათი აზრით, უნდა იძლეოდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის სასარგებლო შედეგებს. ამიტომ ამ თეორიებს უტილიტარული თეორიები ეწოდება, ე. ი. ისეთი თეორიები, რომლებიც სასჯელის გამოყენებისას არ კმაყოფილდებიან მარტოდენ იმ საფუძვლით, რომ ინდივიდმა ჩაიდინა დანაშაული, არამედ მთავარ ყურადღებას აქცევენ სასჯელის შეფარდების სოციალურად სასარგებლო შედეგებს. მაშასადამე, ისინი გამოდიან არა რაიმე აბსოლუტურ პოსტულატიდან, მარადიული ზნეობრივი კანონის ან სამართლიანობის მოთხოვნიდან, არამედ აღიარებენ მიზანშეწონილებების საწყისს. ძირითადად ესაა ეგრეთწოდებული პრევენციის თეორიები და ისინი ითვალისწინებენ პრევენციის ორივე სახეს — საერთო და სპეციალურ პრევენციას.

I

პრევენციის თეორიამ განსაკუთრებული გავრცელება მოიპოვა XIX საუკუნის იურიდიულ მწერლობაში, მაგრამ მას ჩვენ ვხვდებით სამართლის ისტორიის სხვადასხვა საფეხურზე. ფილოსოფიის და სამართლის თეორიის გამოჩენილი წარმომადგენელი, უძველესი ეპოქით დაწყებული, ჩერდებოდნენ სასჯელის პრობლემის განხილვაზე და იკვლევდნენ მის შინაარსსა და მიზნებს.

ძველ საბერძნეთში მთელი რიგი მწერლებისა იკვლევენ სასჯელის მიზნების საკითხს. პლატონი თავის „კანონებში“ იხილავს ამ საკითხს და შეიძლება ითქვას, რომ იგი წმინდა პრევენციის მომხრეა. პლატონი ამტკიცებს, რომ სახელმწიფომ დამნაშავეს სასჯელი უნდა შეუფარდოს არა იმიტომ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, არამედ იმ მიზნით, რომ არც ამ პირმა და არც სხვებმა მომავალში არ

¹ ფრანგულ ლიტერატურაში თეოლოგიურ კონცეფციას ავითარებდა ჟოზეფ დე მესტრი. იხ. მისი „Les soirées de Saint-Petersbourg“.

ჩაიღინონ იგი. სასჯელი უნდა ემსახურებოდეს შემდეგ მიზნებს: დამნაშავეს გამოსწორებას, სხვა პირთა დაშინებას, გაუსწორებელ ბოროტმოქმედთა უვნებელიყოფას. პლატონის სიტყვით, უაზრობაა დასჯა ადამიანისა მხოლოდ იმიტომ, რომ მან ჩაიღინა რაიმე დანაშაული — ჩადენილს ხომ ვერავინ გახდის ჩაუდენლად, — რაც მოხდა, ის სამუდამოდ წარუშლელია¹. გონიერმა კანონმდებელმა იმგვარად უნდა მოაწყოს დასჯითი პოლიტიკა, რომ ამ უკანასკნელს საზოგადოებისათვის სარგებლობა უნდა მოჰქონდეს. ამ აზრს პლატონი ხშირად იმეორებს და ასაბუთებს სხვადასხვა დიალოგებში.

პლატონის აზრის გამოძახილი გვხვდება რომის მწერლობაში; მას იმეორებს რომელი ფილოსოფოსი სენეკა, რომლის მიხედვით „გონიერი სჯის არა იმიტომ, რომ ჩადენილია დანაშაული, არამედ იმიტომ, რომ მომავალში არ ჩაიღინონ იგი“. სენეკა დასძენს: „Revocari enim praeterita non possunt, futura prohibentur“ „წარსულის წაშლა ხომ არ შეუძლიათ, მომავალს კრძალავენო“ სენეკა თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს პლატონის აზრს, იგი, როგორც პლატონი, წმინდა პრევენციის თვალსაზრისზე დგას.

შუასაუკუნეების სამართლის მეცნიერებაშიც ვნახულობთ პრევენციის სისტემებს. აზრი სასჯელის პრევენციული ფუნქციების შესახებ დასაველეთ ევროპის საეკლესიო მწერლობამაც შეითვისა, მაგრამ მან ამ ცნებას, რასაკვირველია, თეოლოგიური ხასიათი მიანიჭა.

ფართო გავრცელება მოიპოვა პრევენციის იდეამ XVIII ს. „განმანათლებელთა“ შრომებში, რომლებიც, როგორც ცნობილია, ხელისუფლებისაკენ მიმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგიას გამოხატავდნენ. სასჯელის პრაქტიკული დანიშნულების იდეას იცავდნენ ფრანგები: მონტესკიე, ვოლტერი, სერვანი, ბრისო დე ვარვილი, ბუშე და, არეი და სხვ.; იტალიელები: ბეკარია, ფილანჯიერი, რენაცი, კრემანი².

ამ თვალსაზრისით განიხილავდა სასჯელის მიზნებს ჰობსი, რომლის სიტყვით, „...the aim of Punishment is not a revenge,

¹ „Nomoi“, IX წიგნი.

² იხ. Nagler, Die Strafe, 1918, გვ. 336, 337. ნაგლერი ამას უწოდებს „das Überwiegen des Relativismus“ და ამტკიცებს, რომ ეს მოძრაობა ევრდნობოდა ჰობსს.

but terrour...“¹). „...the end of punishing is not revenge and discharge of cholera; but correction, either of the offender, or of others by his example...“²) ჰობსი, მაშასადამე, სასჯელის მიზნად თვლის დაშინებებს, მაგრამ იგი ამით არ კმაყოფილდება და ასახელებს კიდევ გამოსწორებებს. ორივე შემთხვევაში იგი აღიარებს პრევენციას. ჰობსი უარყოფს შურისძიებას, სამაგიეროს მიზლვას, გულსწყრომის (cholera) დაკმაყოფილების მისწრაფებას.

მეორე ინგლისელი ფილოსოფოსი, ლოკი, იზიარებს იმავე შეხედულებას: ლოკიც უყურებს სასჯელს როგორც საზოგადოების დაცვის ღონისძიებას, რომელიც მოწოდებულია გავლენა მოახდინოს როგორც დანაშაულებზე, ისე საზოგადოების სხვა წევრებზე; მაგრამ ეს აზრი მის შრომაში თანმიმდევრულად გატარებული არაა, ვინაიდან იგი მოითხოვს, რომ სამართლის დამრღვევს უნდა მიეზღოს (to retribute) მისი ქმედობის პროპორციულად, რაც უკვე საერთოდ მიღებულ, ტრადიციულ სამაგიეროს მიზლის ცნებას მოგვაგონებს.

2

ყველაზე უფრო თანმიმდევრულად, განუხრელად პრევენციის აზრი გატარებულია ჩ. ბეკარიას შრომაში „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“. ბეკარია იხილავს დანაშაულისა და სასჯელის თანაზომიერების საკითხს და მიუთითებს, რომ დაბრკოლება, რომელიც აკავებს ადამიანს დანაშაულის ჩადენისაგან უნდა იყოს მით უფრო ძლიერი, რაც უფრო მნიშვნელოვანია დარღვეული სიკეთე და რაც უფრო ძლიერია სტიმული დანაშაულის ჩადენისა. მაშასადამე, უნდა არსებობდეს თანაზომიერება დანაშაულსა და სასჯელს შორის. სიმძიმის მსგავსი ძალის, რომელიც იწვევს ჩვენში პირადი კეთილდღეობისადმი მისწრაფებას, შეკავება შეიძლება მხოლოდ სათანადო დაბრკოლებებით. ეს ძალა, ამბობს ბეკარია, ვლინდება ადამიანის რთულ მოქმედებებში და სასჯელები, რომლებსაც იგი პოლიტიკურ დაბრკოლებებს („ostacoli politici“) უწოდებს, წინასწარ აღკვეთავენ ამ მოქმედებათა ურთიერთშეჯახების შესაძლო მავნე შედეგებს, მაგრამ არ სპობენ მათ გამომწვევ მიზეზს,

¹ Th. Hobbes, Leviathan, 1904, 226.

იქვე, 253.

გ. ი. ადამიანის მუდმივ თვისებას — გრძნობადობას¹. აქ კანონმდებელი ემსგავსება დახელოვნებულ ხუროთმოძღვარს, რომელიც აუქმებს სიმძიმის ძალის მავნე გავლენას და იყენებს მას იქ, სადაც ეს ხელს უწყობს შენობის სიმტკიცეს².

ბეკარია ამტკიცებს, რომ დანაშაულთა ერთადერთ და ჭეშმარიტ საზიარო წარმოდგენს ის ვნება, რომელსაც ისინი ერს აყენებენ. ცლებოდნენ ისინი, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ დანაშაულთა ნამდვილ საზომს შეადგენს მათი ჩამდენი პირის განზრახვაო. ზოგჯერ ადამიანები საუკეთესო განზრახვით საზოგადოებას აყენებენ დიდ ვნებას, ზოგჯერ კი, დაბალი სურვილის გავლენით, საზოგადოებისათვის მოაქვთ დიდი სარგებლობა.

ზოგი დანაშაულთა სიმძიმეს ზომავს მეტად დაზარალებული პირის ღირსების, ვიდრე მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მიხედვით. არიან ისეთნიც, რომლებიც დანაშაულთა საზომს ხედავენ ცოდვის სიმძიმეში (*la gravezza del peccato*). ცოდვის სიმძიმე, წერს ბეკარია, დამოკიდებულია ადამიანის სიბოროტეზე, რომლის სიღრმე, ღვთაებრივი ზეშთაგონების გარეშე, შეუტყობადია შეზღუდული არსებისათვის³. ამგვარად, ბეკარია დაასკვნის, რომ დანაშაულთა ნამდვილ საზომს წარმოდგენს ის ვნება, რომელსაც ისინი საზოგადოებას აყენებენ⁴.

სასჯელთა მიზანი, ბეკარიას აზრით, მდგომარეობს არა ადამიანის წამებასა და ტანჯვაში და არა იმაში, რომ არ არსებულად გასაღონ ჩადენილი დანაშაული. ნუთუ პოლიტიკურ სხეულს, რომელიც არა თუ თვითონ არ ხელმძღვანელობს გრძნობებით, არამედ ანელებს კერძო პირთა გრძნობებს, შეუძლია გამოიყენოს ასეთი უსარგებლო სისასტიკე — სიბოროტისა, ფანატიზმის და სუსტი ტირანების იარაღი? ნუთუ უბედურის კვნესას შეუძლია არარსებულად გახადოს ის, რაც ჩადენილია წარსულში? — სვამს კითხვას ბეკარია. მაშასადამე, დაასკვნის იგი, სასჯელის მიზანს შეადგენს მხოლოდ ის, რომ დანაშავეს მოესპოს შესაძლებლობა ხელახლა მიაყენოს ვნება საზოგადოებას და შეაკავოს სხვები დანაშაულის ჩადენისაგან⁵. ამიტომ უნდა იქნას გამოყენებული ისეთი სასჯელები, რომლებიც, იცავენ რა თანაზომიერებას დანაშაულთან, მოახდენდნენ ყველაზე

¹ C. Beccaria, *Dei delitti e delle pene*, 1824, § VI.

² იქვე, § VI.

³ იქვე, § VII.

⁴ იქვე, § VIII.

⁵ იქვე § XII.—„Il fine dunque non é altro che d'impedire il reo dal far nuovi danni ai suoi cittadini, e di rimuovere gli altri dal far ne ugn ali“.

უფრო ძლიერ და ხანგრძლივ შთაბეჭდილებას ადამიანთა ფსიქიკაზე და ყველაზე ნაკლებად სატანჯველი იქნებოდნენ დამნაშავეის სხეულისათვის¹.

ამგვარად, ბეკარია სასჯელის მიზნად აღიარებს საერთო და სპეციალურ პრევენციას — გავლენის მოხდენას როგორც თვით დამნაშავეზე, ისე საზოგადოების სხვა წევრებზე.

მეორე იტალიელი, ფილანჯიერი, ამტკიცებს, რომ კანონები წარმოადგენენ სათანადო მოტივებს, რომ შეაკავონ ადამიანები საზოგადოებისათვის მავნე მოქმედებათა ჩადენისაგან. იგი ხელმძღვანელობს პლატონის შეხედულებით და სასჯელის მიზნად მას მიაჩნია საერთო და სპეციალური პრევენცია: სისხლის სამართლის კანონი, მიმართავს რა მოქალაქეს, ამბობს: „შენ გეფარდება სასჯელი იმ მიზნით, რომ მოგისპონ შესაძლებლობა ახალი დანაშაულის ჩადენისა, აგრეთვე იმისათვის, რომ სხვებმა არ მისდიონ შენს მაგალითსო².

ფილანჯიერი გადაჭრით უარპყოფს შურისძიების და სამაგიეროს მიზღვის პრინციპს³.

* * *

ბენტამის მოძღვრება უტილიტარიზმის საფუძველზეა აგებული, მისი მოძღვრების სახელმძღვანელო იდეას, რომელიც მის ფილოსოფიურ და სოციალურ, აგრეთვე სამართლებრივ სისტემას განსაკუთრებულ ხასიათს ანიჭებს, სარგებლობის იდეა წარმოადგენს.

აქედან გასაგებია, თუ რა მნიშვნელობას მიაწერს ბენტამი პრევენციას. სასჯელის მთავარ მიზნად ბენტამი თვლის დანაშაულთა წინასწარ აცდენას. სასჯელის ძალა, მისი აზრით, უნდა იყოს არა ნაკლები იმისა, რაც საჭიროა, რომ გადაწონოს დანაშაულისაგან მისაღები სარგებლობის ღირებულება⁴. თუ ეს ძალა ნაკლებია, დანაშაული მაინც იქნება ჩადენილი და სასჯელს დაეკარგება თავისი ძალა. სარგებლობა ბენტამს ესმის ფართოდ, როგორც ყოველივე სი-

¹ C. Beccaria, Dei delitti e delle pene. 1824, § XII.

² Filangieri, La science de la législation, 1788, t. IV, p. 12.

³ „Ni la vengeance, ni l'expiation ne sont pas les objets des peines“. იქვე, გვ. 14. ფილანჯიერი ამბობს: „l'expiation „—„გამოსყიდვა“, რაც სამაგიეროს მიზღვას გულისხმობს.

⁴ И. Бентам, Введение в основания нравств. и законодательства. Основн. начала гражданского кодекса. Основн. начала уголовного кодекса, 1867, 175.

ამოწება ან მოგება, რომელსაც ადამიანი ღებულობს ან რომლის მიღებას იგი მოელის სურვილის დაკმაყოფილების შედეგად.

დანაშაულისაგან მოსალოდნელი სარგებლობა შეადგენს მოტივს, რომელიც იძლევა სტიმულს დანაშაულის ჩადენისათვის. მეორეს მხრივ, სასჯელის მოლოდინი შეადგენს შემკავებელ მოტივს, რომელიც თავის თავად ან სხვებთან ერთად მოქმედებს ადამიანზე საწინააღმდეგო მიმართულებით, აიძულებს რა მას თავი შეიკავოს დანაშაულის ჩადენისაგან¹.

ეთონების ძალა, *caeteris paribus*, უდრის სარგებლობას დანაშაულისაგან; სასჯელის ოდენობა უნდა მატულობდეს დანაშაულისაგან მოსალოდნელი სარგებლობის შესაბამისად².

როცა ბენტამის შეხედულებებს ვეცნობით, უნებურად გვაგონდება ბეკარიას მსჯელობა სასჯელის მოტივაციური ძალის შესახებ. უკანასკნელის აზრი ამის შესახებ, რომ სასჯელები „ostacoli politici“-ს (პოლიტიკურ დაბრკოლებებს) წარმოადგენენ. მეორეს მხრივ, იგი ენათესავება ა. ფეიერბახის თეორიას, რომელიც აგებულია ფსიქოლოგიური იძულებით, ადამიანის გრძნობადობაზე სისხლის სამართლის კანონში მოცემული სასჯელის მუქარის მოქმედების ცნებაზე. ეს მსგავსება სავსებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პრევენციის იდეა თავისი შინაარსით, ბუნებით სასჯელის მოტივაციური ძალას, გრძნობადობაზე შემოქმედებას გულისხმობს.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ბენტამი საერთოდ ითვლება უტილიტარული მიმართულების ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად, მის სისტემაში ვნახულობთ ისეთ ელემენტს, რაც მისი მოძღვრების საფუძვლებს არ ეთანხმება, ბენტამი წერს, რომ დანაშაულთან მჭიდრო ანალოგია აქვს სასჯელის იმ სახეს, რომელსაც სამაგიეროს მიზნად (retaliation) ეწოდება. ამიტომ, — დასძენს იგი, — ზოგ შემთხვევაში მას ექნება დიდი უპირატესობა სასჯელის ყველა სხვა სახეებთან შედარებით³. მეორე ადგილას ბენტამი აღნიშნავს, რომ ნაგალითის მიზანს, როგორც მთავარს, ემატება კიდევ „სამი დაბალი მიზანი“⁴: გამოსწორება (reformation), დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობა (disablement) და ანაზღაურება (compensation)⁴.

¹ დასახ. ნაშრომი, 175.

² იქვე, გვ. 179.

³ იქვე, 183.

⁴ იქვე, გვ. 190.

ბენტამის მოძღვრება დამყარებულია სარგებლობის, მიწანშეწონილების საწყისზე. მთელი მისი თეორია გამსჭვალულია ამ საწყისით. მაგრამ ამავე დროს იგი ნაწილობრივ აღიარებს სამაჯიეროს მიზლვასაც (retaliation).

3

XVIII საუკუნის ფილოსოფია წარმოადგენდა იმ ახალი კლასის ადეოლოგიას, რომელიც კაპიტალის პირველადი დაგროვების მთელი პერიოდის განმავლობაში ძალებს იკრებდა ფეოდალურ-აბსოლუტისტური წყობილების საბოლოო დამხობისათვის და საზოგადოების განვითარების ისტორიული კანონების ძალით ისწრაფოდა პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. მზარდი მწარმოებლური ძალები, წარმოშობილი და მომწიფებული ჯერ კიდევ ძველი ფეოდალური საზოგადოების წიაღში, გადაქრით მოითხოვდნენ თავისუფალი განვითარებისათვის ახალ საზოგადოებრივ ფორმებს და შინაარსის სოციალურ-პოლიტიკურ ფორმასთან ამ შეუსაბამობამ საზოგადოება მიიყვანა XVIII საუკუნის დამლევეს საფრანგეთის რევოლუციამდე.

განმანათლებლობის ფილოსოფია პოლიტიკური ბატონობისათვის მებრძოლი ბურჟუაზიული კლასის მისწრაფების და იმედების გამოხატველი იყო; სწორედ ფილოსოფია იძლეოდა ამ მისწრაფებათა თეორიულ დასაბუთებასა და გამართლებას. ბუნებითი სამართლისა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიები, ხელისუფლების დაყოფის პრინციპები, პიროვნების უფლებების გარანტიები წარმოადგენდნენ იმ განყენებულ დებულებებს, რომლებიც ემსახურებოდნენ კაპიტალისტური წყობილების საბოლოო გამარჯვების პრაქტიკულ მიზანს.

ხელისუფლებისაკენ მიმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგიები იმ გარკვეულ მოთხოვნათა პროგრამით გამოდიოდნენ, რომლებიც შემდეგში „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში“ იქნა ჩამოყალიბებული და საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილი. სავსებით გასაგებია, რომ იმავე ზოგადმა პრინციპებმა და საპროგრამო მოთხოვნებმა თავისი გამოხატულება სამართლის ცალკეულ დარგებში, და პირველ რიგში, სისხლის სამართალში პოვეს. ბუნებრივია, რომ სისხლის სამართალი გვერდს ვერ აუვლიდა იმ ფართო და მძლავრ მოძრაობას, რომელიც დაეუფლა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარეს; გასულ საუკუნეთა მიერ ნაანდერძევი ტრადიციული ცნებები სახელმწიფოსა და სა-

მართლის შესახებ მთლიანად იქნა უკუგდებული და მათ ადგილს დაუთმეს ახალ შეხედულებებს, რომლებიც მათი ავტორების აზრით, უფრო შეესაბამებოდნენ ბუნებითი გონებისა და მარადიული სამართლიანობის მოთხოვნებს¹.

სისხლის სამართლის ის მიმართულება, რომელიც კლასიკური სკოლის სახელწოდებითაა ცნობილი, ჩაისახა და ჩამოყალიბდა პროგრესული დემოკრატიული საწყისების იდეოლოგიური ბრძოლის პროცესში ფეოდალური წყობილების სამართლებრივ ინსტიტუტებთან. იგი სინამდვილეში წარმოადგენს განმანათლებლობის ფილოსოფიის შედეგს; თუმცა ამ მიმართულების ცალკეული დებულებები გამოთქმული იყო ჯერ კიდევ XVII და XVIII სს. ავტორების მიერ, როგორც იყენენ, მაგალითად, ბეკონი, ლოკი, მონტესკიე, ვოლტერი და სხვები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ მიმართულების ფუძემდებლად ითვლება ბეკარია. ბეკარიამ მთლიანი სისტემის სახით გარკვევით ჩამოაყალიბა ის ზოგადი პრინციპები და სისხლის-სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებიც საფუძვლად დაედო კლასიკურ სკოლას და რომლებმაც მომდევნო ხანის კრიმინალისტიკის შრომებში შემდგომი განვითარება ჰპოვეს.

კლასიკური სკოლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანია და ზოგიერთის აზრით ფუძემდებელიც ანზელმ ფეიერბახი, რომლის მსოფლმხედველობამ და მეცნიერულმა სისტემამ ღრმა კვალი დააჩნია სისხლისსამართლებრივი საკითხების შემდგომ დამუშავებას². თავისი ფილოსოფიური სისტემით ფეიერბახი უდაოდ კანტს უახლოვდება.

მარქსის განმარტებით კანტის ფილოსოფია „საფრანგეთის რევოლუციის იგერმანულ თეორიას წარმოადგენს“³. კანტი ცნობს საფრანგეთის რევოლუციის დემოკრატიულ პრინციპებს, მაგრამ მათ პრაქტიკული გონების მეტაფიზიკური მოთხოვნებით ასაბუთებს. სამართალი და ზნეობა კანტის ფილოსოფიის საერთო საფუძვლებთან არის დაკავშირებული და მათ ძირითად პრინციპს ზნეობრივი კანონი, კატეგორიული იმპერატივი წარმოადგენს. „სამართლისა და ზნეობის შერწყმა, — როგორც სამართლიანად აღნიშნავდა პროფ. პიონტკოვსკი, — თავის საწყისებში აახლოებდა სამართლის მთელ რიგ ინსტიტუტებს რელიგიურ იდეოლოგიასთან. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს, კერძოდ, კანტის სისხლის სამართლებრივი თეორიის

¹ ფ. ენგელსი, ანტი-დიუბინგი, 1952, შესავალი.

² ა. ფეიერბახის შრომას ეწოდება „Revision der Grundsätze und Grundbegriffe des positiven peinlichen Rechts...“

³ კ. მარქსი, ისტორიული სკოლის ფილოსოფიური მანიფესტი.

დარგში, მის მიერ პასუხისმგებლობის გავებაში. კანტი ანეითარებს ბურჟუაზიულ-სამართლებრივ მოთხოვნათა სისტემას იმ იდეალისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე, რომელიც მეცნიერებას და რწმენას ერთმანეთთან არიგებს¹.

კანტისათვის ადამიანის ნებისყოფის თავისუფლება როგორც ზნეობრივი, ისე სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგად საფუძველს შეადგენს. თავისუფლება, ადამიანის შინაგანი არსის გამოვლენას შეადგენს და სასჯელის ის წინამძღვარია, ურომლისოდაც იხსნება სისხლისსამართლებრივი შერაცხვის ყოველგვარი შესაძლებლობა.

ზნეობრივ კანონთან კავშირში იმყოფება სამაგიეროს მიზლის საწყისიც, რომელსაც კანტი ტალიონის ხასიათს ანიჭებს.

ფეიერბახი ამ ძირითად საკითხებში არსებითად შორდება კანტს, იგი უარყოფს ნებისყოფის თავისუფლებას სამართლებრივ სფეროში; ამ სფეროში იგი მკაცრი და თანმიმდევრული დეტერმინისტიკა, და თავის ფსიქოლოგიური იძულების თეორიას აგებს თანმიმდევრული დეტერმინიზმის საწყისებზე; იგი ამბობს, რომ სამართალი არ საჭიროებს თავისუფლების დაშვებას; თავისუფლების აზრსა და მნიშვნელობას იგი განსაკუთრებით ზნეობის ჩარჩოებით ზღუდავს.

ფეიერბახი იმავე დროს მტკიცედ ილაშქრებს სამაგიეროს მიზლის (Vergeltung) საწყისის წინააღმდეგ; მისი აზრით, მორალური, სამაგიეროს მიზლვა ითვალისწინებს ბრალსა და სასჯელს შორის პროპორციულობის გამორკვევას, ხოლო ამ პროპორციულობის დადგენა შეუძლებელია ადამიანის შეზღუდული გონების მეშვეობით.

ამგვარად, ფეიერბახი ორი ძირითადი პრობლემის გადაწყვეტისას მკვეთრად ემიჯნება კანტს. პროფ. პიონტოვსკი წერს: „ეყრდნობა რა კანტს, თავის სისხლისსამართლებრივ თეორიას აგებს გასული საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი გერმანელი ბურჟუაზიული კრიმინალისტი — ანზელმ ფეიერბახი“². ეს აზრი ჩვენ გარკვეული შენიშვნით უნდა მივიღოთ. უდაოა, რომ ფეიერბახს კანტთან ის აახლოვებს, რომ ფეიერბახი ზნეობის საფუძველად ნებისყოფის თავისუფლებას აღიარებს; ისიც უდაოა, რომ სამართლის სახელმძღვანელო პრინციპი — თითოეულის თავისუფლების შეთავსება ყველას თავისუფლებასთან — ნასესხებია კანტისაგან. მაგრამ არ უნდა დავი-

¹ Проблемы социалистического права, 1937, I. Уголовно-правовая теория Канта, 83. 172.

² Проблемы социалистического права, 1937, I. 83. 183.

ვიწყოთ, რომ მათ ერთმანეთისაგან აცალკევებს ზემოთ აღნიშნულ საკითხებში შეხედულებათა ძირითადი განსხვავება.

ფეიერბახის ზოგადი კონცეფციის საწყისების გამორკვევისას პროფ. პიონტკოვსკი ამბობს: „კანტის ფილოსოფიის დუალიზმმა (ადამიანის ხასიათის ინტელიგიბელურისა და ემპირიულის განსხვავებამ) მას საშუალება მისცა, მისი თეორიული გონების ძირითად დებულებებზე დაყრდნობით, განევითარებინა კანტის შეხედულებათა დიამეტრალურად საწინააღმდეგო აზრი სასჯელის შესახებ. კანტიანელმა ანშელმ ფეიერბახმა ეს სასჯელის, როგორც ფსიქოლოგიური იძულების, თეორიაში გააქეთა. მან თავის კონსტრუქციებს საფუძვლად დაუდო ადამიანის განხილვა როგორც „მოვლენისა“ — ადამიანის ემპირიული ხასიათისა“¹. პროფ. პიონტკოვსკის ეს დებულება სწორია; მაგრამ იგი არაა საკმარისი. იბადება კითხვა: რამ განაპირობა უშუალოდ ფეიერბახის სისხლის სამართლებრივი შეხედულებები? სად უნდა ვეძებოთ ის წყარო, რომლიდანაც ფეიერბახი უშუალოდ სესხულობდა თავისი სწავლების კონკრეტულ შინაარსს?

იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ დასმულ კითხვაზე, უნდა მივმართოთ იმ შეხედულებებს სასჯელის არსისა და მიზნის შესახებ, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული განმანათლებლობის ეპოქის წარმომადგენელთა შორის. პრევენციის იდეა, აზრი იმის შესახებ, რომ სასჯელი საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულ, უტილიტარულ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს, წარმომადგენდა აღნიშნული ეპოქის კუთვნილებას და არაერთგზის იყო გამოთქმული სხვადასხვა ავტორთა შრომებში².

უკანასკნელთა შორის ბეკარიას განსაკუთრებული ადგილი უკავია. მის თხზულებაში „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“ პრევენციის ცნებამ თავისი მკაფიო გამოხატულება პოვა; ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ფეიერბახის სასჯელის შესახებ სწავლების ფესვები.

პროფ. პიონტკოვსკი თითქოს არაპირდაპირ ადასტურებს ამ აზრს: „იმისათვის, — ამბობს იგი, — რომ უფრო გაუსვათ ხაზი კანტის სისხლისსამართლებრივი თეორიის „შემთანხმებლურ“ ხასიათს, საკმარისია აღნიშნოთ ბეკარიას შეხედულებანი იმავე საკითხების შესახებ. ბეკარია მკაცრად ილაშქრებს სასჯელის ყოველგვარი რელიგიური გაშუქების წინააღმდეგ, სასჯელის როგორც სამაგიეროს მიზ-

¹ Проблемы, გვ. 176.

² იხ. Nagler, Die Strafe, 1918, § 18. ნაგლერი თვლის, რომ ჯერ კიდევ ჰობსმა ჩაუყარა საფუძველი ფსიქოლოგიური იძულების თეორიას, გვ. 294.

ღვის აქტად ცნობის და დანაშაულის როგორც ადამიანის თავისუფალი ნებისყოფის შედეგად აღიარების წინააღმდეგ. ბეკარიას სისხლის სამართლებრივი შეხედულებანი მკვეთრად იყო დაპირისპირებული, ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიისადმი. კანტის სისხლის სამართლებრივი შეხედულებანი წარმოადგენდა ბურჟუაზიულ შეხედულებათა შეგუებას ძველი სამყაროს იდეოლოგიასთან¹.

აღნიშნული დებულებები, რომლებიც დამახასიათებელია ბეკარიას მოძღვრებისათვის, ზუსტად ემთხვევა ფეიერბახის დებულებებს და ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ საფუძველს უკანასკნელის თეორიის უახლოესი, უშუალო წყაროების საკითხის გადაჭრისათვის. ამ ფაქტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს².

თვით ფეიერბახი იძლევა იმ ავტორთა შეხედულების მოკლე ისტორიულ ნარკვევს, რომელთაც იგი თავის წინამორბედად თვლის. მათ შორის იგი საპატიო ადგილს ბეკარიას უთმობს³; ბეკარიამდეო, — წერს იგი, — მორალური და სამართლებრივი შერაცხვის საზღვრებს ერთმანეთში ურევდნენო. ფეიერბახის აზრით, ბეკარიამ არა მარტო გააღვიძა ზოგად სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის დარგში ქმედითი კვლევის როლი, არამედ აგრეთვე პირველად მიაქცევინა ყურადღება სისხლის სამართლის კანონმდებლობის ქვეშეშეპირი პრინციპზე, სახელდობრ, დანაშაულთა შეფასების სამართლებრივ მასშტაბზე. ბეკარიას მტკიცებით, კანონი უნდა განსაზღვრავდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედობათაგან თავის შეკავების მოტივებს და ეს მოტივები მით უფრო ძლიერი უნდა იყოს, რაც უფრო ძლიერია სტიმულები, რომლებსაც დანაშაულისაკენ მიჰყავთ ადამიანი. ფეიერბახი ბეკარიას დამსახურებას კიდევ იმაში ხედავს, რომ იგი დანაშაულის საზომად არ თვლის არც ცოდვის სიმძიმეს (დანაშაულის ზნეობრივი საწყისი), არც დაზარალებული პირის დირსებას. საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი, ბეკარიას მიხედვით, დანაშაულის ქვეშეშეპირი საზომს წარმოადგენს; და ეს, ფეიერბახის აზრით, მართებულია, თუ არ გავიგებთ ბეკარიას ისე, როგორც იგი გაიგო ზოგიერთმა მისმა მიმდევარმა, რომლებიც მოყვანილ შეხედულებას იყენებდნენ იმ

¹ Проблемы, გვ. 182.

² პროფ. პიონტოვსკი თავის მეორე შრომაშიც «Уголовно-правовые воззрения А. Фейербаха» (Проблемы, 1939), ასევე არ ჩერდება ამ მნიშვნელოვან საკითხზე.

³ об. Anhang zu der Lehre von den relativen Gründen der Strafbarkeit, Revision, II, 444-470. „Beccaria, ამბობს ფეიერბახი, verdient daher auch hier eine ehrenvolle Stelle“. იქვე, გვ. 448.

დებულების აზრით, რომ მხოლოდ მოქმედების შედეგმა (Effect) უნდა განსაზღვროს სასჯელის ზომა¹.

ფეიერბახის სისხლის სამართლებრივი მოძღვრების ქეშმარიტი ხასიათისა და შინაარსის ასახსნელად მხედველობაში უნდა მივიღოთ მისი ძირითადი აზრი იმის შესახებ, რომ სამართალმა ადამიანი უნდა შეისწავლოს როგორც ემპირიული მოვლენა, როგორც „ბუნებითი არსება“ (Naturwesen) აღქურვილი გარკვეული გრძნობებით, მიდრეკილებებით და სურვილებით; სწორედ აქ ძევს მისი სამართლებრივი სისტემის გამოსავალი წერტილი, ურომლისოდაც შეუძლებელია მისი მოძღვრების გაგება. გრძნობადობა და გრძნობითი მოტივები — აი დანაშაულობის წყარო და სახელმწიფო ხელისუფლებამ დასჯითი ფუნქციის განხორციელებისას ზემოქმედება უნდა მოახდინოს ადამიანის არსების სწორედ ამ მხარეზე. ერთადგილას ფეიერბახი ამბობს: „სურვილი ჩვენ ბიძგს გვაძლევს, გონება იკვლევს, ხოლო ნებისყოფა განსაზღვრავს“². ამაში იგი ხედავს ცდაში მოცემულ სასჯელის ფსიქოლოგიურ საფუძველს.

ბეკარიას სასჯელის მიზნად მიაჩნია მხოლოდ დანაშაულთა თავიდან აცილება და ამიტომ იგი გადაჭრით უარყოფს იმ აზრს, რომელიც სასჯელის შინაარსს ხედავს პროპორციის საფუძველზე თანასწორობისათვის თანასწორობის მიზლვაში; სასჯელს იგი არ თვლის მიზნულად სამართლიანობის აქტად; სასჯელი ემსახურება საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულ მოთხოვნილებებს და ამიტომ მიზანშეწონილ ხასიათს უნდა ატარებდეს.

ფეიერბახი, თავის მხრივ, როგორც დაინახავთ შემდეგში, ასევე ილაშქრებს სისხლის სამართალში სამაგიეროს მიზლის პრინციპის წინააღმდეგ. მისი აზრით, სამაგიეროს მიზლვა დაკავშირებულია ზნეობრივი ბრალის ცნებასთან, ხოლო ეთიკურ კატეგორიათა სამართლის დარგში გადატანას იგი დაუშვებლად თვლის. მისი შეხედულებით, ზნეობისა და სამართლის საფუძველები და კრიტერიუმი სავსებით სხვადასხვაგვაროვანია, ზნეობის პოსტულატებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ სამართლის სფეროში, რადგანაც სამართლებრივი ურთიერთობანი, ზნეობრივისაგან განსხვავებით, ემორჩილებიან მხოლოდ მიზეზობრიობის კანონს.

მაგრამ ბეკარიასა და ფეიერბახის მოძღვრებათა მსგავსების აღნიშვნასთან ერთად, არ უნდა დავივიწყოთ ის განსხვავებაც, რომე-

¹ Revision, II, გვ. 449. მაგრამ ფეიერბახი აქვე დასძენს, რომ ბეკარიას მოსაზრებები არ გამოირჩევიან გარკვეულობითი.

² იქვე, 142.

ლიც მათ შორის არსებობს. ფსიქოლოგიური იძულების თეორია ფეიერბახმა დაწვრილებით დაამუშავა და ეს თეორია თავისებურ ხასიათს ატარებს. მეთოდი, რომლითაც სარგებლობს ფეიერბახი, — ეს იურიდიული მეთოდია. ბეკარიას თხზულება წარმოადგენს ჰუმანიზმობისა და კაცობრიობისადმი სიყვარულის სულისკვეთებით გამსჭვალულ წიგნს, რომელიც შეიცავს ხელისუფლებისავენი მიმავალი ბურჟუაზიის დემოკრატიულ მოთხოვნათა პოლიტიკურ პროგრამას სისხლის სამართლის დარგში. ფეიერბახიც გამოდის დემოკრატიული საწყისების (პრინციპის: *nullum crimen, nulla poena sine lege*, პიროვნების უფლებათა გარანტიის) დამცველად, მაგრამ ეს უკანასკნელი მას დამუშავებული აქვს სისხლის სამართლებრივი პრობლემების მთლიან კომპლექსთან კავშირში მკაცრი იურიდიული, დოგმატური მეთოდის საფუძველზე.

ფეიერბახი მკვეთრად მიჯნავს ზნეობას და სამართალს, ზნეობრივ და სამართლებრივ სასჯელს. ზნეობრივი სასჯელის დროს, — წერს იგი, — სუბიექტი უპირისპირდება ზნეობრივ კანონს; აქ სასჯელის შეფარდება ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანი არღვევს სათნოების მოთხოვნებს და მისი განწყობილება არ შეესაბამება კანონს¹.

ყოველი სამართლის უმაღლესი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულის თავისუფლება უნდა ეხამებოდეს ყველას თავისუფლებას, რომ თითოეული თავისუფლად ანხორციელებდეს თავის უფლებებს და არავინ არ აყენებდეს ვნებას სხვის უფლებებს. მართლწესრიგი მოითხოვს, რომ არ იქნას დარღვეული თავისუფლების კანონი. სამართალი ეს *forum externum*-ია, რომელშიც ყოველგვარი შეფასება ხდება გარეგანი კანონების მიხედვით, და, მასთან დამე, მიმართულია იქითკენ, რომ დაცულ იქნას გარეგანი უფლებები. ზნეობრივი თვალსაზრისით გასაკიცხი მოქმედება წარმოადგენს არა სამართლებრივი, არამედ შინაგანი ზნეობრივი კანონის დარღვევას².

ფეიერბახს ზნეობრივი სასჯელი შეუძლებლად მიაჩნია, უკეთეს მის განმანხორციელებელ სუბიექტად გამოდის ადამიანი, ე. ი. არსება, შეზღუდული გონების მატარებელი. იმისთვის, რომ დავუშვათ ზნეობრივი სასჯელის შესაძლებლობა, უნდა ვივარაუდოთ, რომ უზნეობის და მოვალეობისადმი წინააღმდეგობის ხარისხი სავსებით გარკვეულადაა დადგენილი; მაგრამ ამ შინაგანი, ზნეობრივი

¹ Revision, I, გვ. 24—25.

² იქვე, 27.

მდგომარეობის ხარისხის გამორკვევა ადამიანის შეზღუდული გონებისათვის მიუწვდომელია.

გარდა ამისა, გამორკვეული უნდა იქნას ზუსტი პროპორცია მისაყენებელ ბოროტებასა და უზნეობის ხარისხს შორის. მაგრამ სად უნდა ვნახოთ მსგავსი შეფასების მასშტაბი? სად არის ის პრინციპი, რომელიც ხელს შეგვიწყობდა ამ პროპორციის დადგენაში, სასჯელისა და ზნეობრივ დაცემულობას შორის არსებული თანათარღობის გამორკვევაში?

ფეიერბახი აღნიშნავს, რომ მას შეუძლია იცოდეს თუ რა სიმბოროტის გამოყენებაა საჭირო იმისათვის, რომ დაძლეულ იქნას საშიში მიდრეკილებანი და მოტივები, რადგანაც ამ შემთხვევაში იგი ხელმძღვანელობს გამოცდილებით. მაგრამ იმისათვის, რომ დადგენილ იქნას პროპორცია ბოროტებასა და ზნეობრივ ბრალს შორის — ჩვენ არ გავვაჩნია არავითარი პრინციპი და თვით ოცნებაც კი მსგავსი შესაძლებლობის შესახებ სასაცილო თავხედობა იქნებოდაო¹. მხოლოდ ყოვლის მცოდნე შეუზღუდავ გონიერ არსებისაგან შეიძლება ველოდეთ ასეთი ზნეობრივი წესრიგის დადგენას. მხოლოდ იგი წარმოადგენს ზნეობრივ მსაჯულს, ხოლო სახელმწიფო — სამართლის მსაჯულია. მხოლოდ მას შეუძლია დასაჯოს უზნეობა, სახელმწიფო კი სჯის მხოლოდ მართლწინააღმდეგი ქმედობისათვის².

ამგვარად, მტკიცდება, რომ ფეიერბახი მკაცრ ზღვარს დებს სამართალსა და ზნეობას შორის და, კანტისაგან განსხვავებით, სამართლის სფეროში გადაჭრით უარყოფს ზნეობრივი სამაგიეროს მიზღვის პრინციპს, რომლის თანახმად სასჯელი პროპორციაში უნდა იმყოფებოდეს ადამიანის ზნეობრივ მანკიერებასთან. როგორც ვხედავთ, მის მიერ ზნეობრივი სასჯელის ცნების საწინააღმდეგოდ მოტანილი მოსაზრება თავისებურებით გამოირჩევა.

ინტერესს მოკლებული არაა ნაგლერი ის აზრი განხილული საკითხის შესახებ. ნაგლერი ამტკიცებს, რომ თუმცა ფეიერბახმა, ალბათ, „სავესებით დააღწია თავი სამაგიეროს მიზღვის იდეას, მაგრამ იგი უკუაგდება მხოლოდ ზნეობრივ სამაგიეროს მიზღვას“, ტრადიციის მიხედვით არასწორად ფიქრობს რა, რომ ამით იგი საფუძველს აცლის საერთოდ სამაგიეროს მიზღვას; მაგრამ, აღნიშნავს ნაგლერი, უნდა წავიკითხოთ „Revision“-ის შესავალი, რომ

¹ Revision, Einleitung, გვ. 34.

² იქვე, გვ. 34.

დავრწმუნდეთ, თუ რა ახლო დგას ფეიერბახი სამაგიეროს მიზლის პრინციპთან; შესაძლებელია მხოლოდ, რომ ამ პრინციპის სამართლებრივი ფორმის არცოდნამ ფეიერბახი მის უარყოფამდე მიიყვანა. თავის სახელმძღვანელოში („Lehrbuch“-ში) იგი პირდაპირ უწოდებს სასჯელს „საზოგადოებრივ დაკმაყოფილებას“ (öffentliche Genugtuung)¹.

თავის აზრს ნაგლერი ამაგრებს რ. შმიდტის შეხედულებით, რომელიც ფიქრობს, რომ ფეიერბახი, საბოლოო ანგარიშში, სამართლებრივი სამაგიეროს მიზლის პრინციპის აღიარებამდე მიდის. ამგვარად, ნაგლერი გამოთქვამს აზრს, რომელიც ეწინააღმდეგება საერთოდ მიღებულ წარმოდგენას ფეიერბახის თეორიის შესახებ. მაგრამ ამ აზრს ჩვენ ვერ ჩავთვლით საკმარისად დასაბუთებულად. მართალია, „Revision“-ის შესავალში და სხვა ადგილებშიც ფეიერბახი სარგებლობს ისეთი გამოთქმებით, რომლებიც, თითქოს, გვაძლევს საფუძველს დავუშვათ, რომ იგი უახლოვდება სამაგიეროს მიზლის პრინციპს²; მაგრამ ასეთი დაშვება სრულიად არ შეესაბამება მისი მოძღვრების შინაგან წყობასა და საერთო წინამძღვრებს. მკრთალი მითითებანი ამ სიახლოვის არსებობაზე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წარმოადგენდეს მისი თეორიის საერთო ხასიათის შესახებ მსჯელობის საფუძველს. სასჯელის თეორია ფეიერბახის მიერ მოფიქრებული და შესრულებულია საერთო პრევენციის აღიარებით და სისხლის სამართალში გაბატონებული სამაგიეროს მიზლის პრინციპის უარყოფის სულისკვეთებით.

4

სპეციალური პრევენციის ცნებას თავისი დამთავრებული სახით ჩვენ ვხვდებით გერმანელი კრიმინალისტი, კ. გროლმანის, მოძღვრებაში. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ დიდ ადგილს უთმობენ საერთო პრევენციის წარმომადგენლის, ა. ფეიერბახის, თეორიის დახასიათებასა და შეფასებას, მაგრამ კ. გროლმანი თითქმის მივიწყებულია, იშვიათად თუ ვნახავთ სადმე მცირეოდენ გამოთქმას მისი თეორიის შესახებ. ამიტომ ჩვენ

¹ Nagler, Die Strafe, 384.

² მაგალითად, აღიარება იმ დებულებისა, რომ სასჯელი არის „malum passionis, quod infligitur propter malum actionis“ (Revision, I, 5). მოსამართლე, სჯის რა დამნაშავეს, უნდა ხელმძღვანელობდეს სამართლიანობით, რომელიც შეურაცხყოფილია და მოითხოვს დაკმაყოფილებას (Genugtuung). Revision, Einleitung, XXVI.

საკიროდ მიგვაჩნია შეეჩერდეთ ამ კრიმინალისტის შეხედულებათა გადმოცემაზე და გავარკვიოთ, თუ როგორ ესმოდა მას პრევენციის შინაარსი და ამოცანები.

გროლმანი ფეიერბახის თანამედროვე იყო. ამ ორი კრიმინალისტის შეხედულებათა უახლოესი შესწავლის შედეგად მათ შორის გარკვეული მსგავსება ირკვევა. ის ავტორები, რომლებიც ფეიერბახისა და გროლმანის დოქტრინებს ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირებენ, ამავე დროს ყურადღების გარეშე სტოვებენ მათ შეხედულებათა მსგავსებას სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანესი საკითხების დარგში. ხოლო განსახილველ მოძღვრებათა მიუკერძოებელი შეფასება მოითხოვს მათ შორის არსებული ურთიერთობის გამოკვევას.

გროლმანი კანტის სკოლას ეკუთვნის. მაგრამ იგი უარყოფს სამაგიეროს მიზლის საწყისის მნიშვნელობას სისხლის სამართალში, იმ საწყისისას, რომელიც კანტის სისტემის თვალსაზრისით სახელმწიფოს დასჯითი საქმიანობის შინაარსია და სახელმძღვანელო მიზანს წარმოადგენს. როგორც ვხედავთ, გროლმანი ამ მხრივ მთლიანად იზიარებს ფეიერბახის აზრს, რომელიც სამაგიეროს მიზლის პრინციპს გადაკრით უარყოფს.

გარდა ამისა, გროლმანი, როცა სასჯელის სპეციალურ-პრევენციულ მიზნებზე ლაპარაკობს, იგი, ფეიერბახის მსგავსად, უთუოდ გამოდის იმ აზრიდან, რომ სასჯელის მეშვეობით ზემოქმედება უნდა ხდებოდეს ადამიანის ნებისყოფაზე და ამ გზით უნდა მიეცეს მას მართლწესრიგის მოთხოვნებიდან გამომდინარე მიმართულება. ამგვარად, თავის თეორიას ორივე აგებს ადამიანის ნებისყოფის მოტივაციის ცნებაზე სათანადო გრძნობების აღძვრის მეშვეობით. გროლმანის მოძღვრების გადმოცემისას ცხადი გახდება, რომ გროლმანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გრძნობად მოტივებს, როგორც იმ ერთადერთ საფუძველს, რომელსაც ეყრდნობა პრევენციის აზრი და მისი განხორციელება.

მაგრამ პრევენციის შინაარსისა და ხასიათის გაგებაში მკლავდება გროლმანისა და ფეიერბახის განსხვავება. ეს უკანასკნელი სასჯელის დანიშნულებას საერთო პრევენციაში ხედავს, და ამის თანახმად, მისთვის პირველ ადგილზე სასჯელით მუქარა დგას, სასჯელის ყველა დანარჩენი მიზნები და შედეგები დაქვემდებარებულ, მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. გრძნობადი სიავის მუქარა, რომელსაც სისხლის სამართლის კანონი შეიცავს, უნდა წარმოადგენდეს სტიმულს, რომელიც თავს შეაკავებინებდა მოქალაქეებს დანაშაულის ჩადენისაგან, და ამგვარად,

დაიკავდა მართლწესრიგის ხელშეუხებლობას. სასჯელის თვით შეფარდება კი მხოლოდ უნდა ამტკიცებდეს მუქარის ნამდვილ ძალას.

გროლმანი, პირიქით, საკითხის სიმძიმის ცენტრი გადააქვს დანაშაულის ჩამდენი პირისათვის სასჯელის შეფარდების დარგში. მისი აზრით, სასჯელმა ზემოქმედება უნდა მოახდინოს დამნაშავეზე, რომელმაც თავისი ქმედობით დაამტკიცა, რომ მას არ გააჩნია ნებისყოფის მართლწესრიგური განწყობილება; სასჯელი ეფარდება იმის გამო, რომ დამნაშავე საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს. პრევენციას, სამართლის დამრღვევის დაშინებით, იგი გამოოსწორებდა მის აქენ მიჰყავს; მაგრამ იგი შეეფარდება აგრეთვე გამოუსწორებელ პიროვნებათა უვნებელყოფის მიზნითაც.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გადაწყვეტისას გროლმანი მკვეთრად უპირისპირდება ფეიერბახს. გროლმანი იცავს ნებისყოფის თავისუფლებას, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს; ზედმეტია იმის მტკიცება, რომ გროლმანის ინდეტერმინიზმი გარკვევით ეწინააღმდეგება მოტივაციის ცნებას, რომელიც აუცილებლად საფუძველად უდევს ყოველგვარ პრევენციას. მაგრამ გროლმანი დასძენს, რომ ნებისყოფის თავისუფლება მას ესმის არა ზნეობრივი თავისუფლების აზრით; იგი სამართლისა და ზნეობის გამიჯვნის მომხრეა.

სპეციალური პრევენციის მოძღვრების საწყისები, რომლებიც გროლმანმა დამუშავა, XVIII ს. ლიტერატურაში უნდა ვეძებოთ. განსაკუთრებით ფართო გავრცელება პრევენციის თეორიებმა განმანათლებლობის ეპოქაში მოიპოვეს. ეს ეპოქა გამოდიოდა ბუნებითი სამართლისა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების იდეებიდან, თავის მიზნად იგი ისახავდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარდაქმნას გონებისა და მიზანშეწონილების საწყისებზე, და ამავე დროს ცდილობდა სასჯელის დასაბუთებას საზოგადოებრივი სარგებლიანობის პრინციპის საშუალებით.

გროლმანმა სპეციალური პრევენციის თეორია განმარტა თავის შრომაში Grundsätze der Criminalrechtswissenschaft. გროლმანის მიხედვით, სამართლებრივი მდგომარეობა მოითხოვს, რომ თითოეულს უნდა შეეძლოს ივარაუდოს, რომ საზოგადოების სხვა წევრები არ ჩაიდენენ დანაშაულს, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რწმენა, რომ ადამიანის ნებისყოფას ექნება საკმაო მოტივები დანაშაულისაგან თავის შესაკავებლად. ის, ვიზედაც

სარწმუნოდაა ცნობილი, რომ მას არ გააჩნია არა მართლზომიერ მიდრეკილებათა საწინააღმდეგო მოტივები, ეწინააღმდეგება სამართლებრივი იდეის მოთხოვნებს. უზრუნველყოფილი, საყოველთაო თავისუფლების მდგომარეობის თვალსაზრისით სულერთია, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობს ადამიანის ნებისყოფა მართლზომიერი ქმედობის დროს. თავისთავად არცერთი მოტივი არ ეწინააღმდეგება სამართალს და არც გამოირიცხულია ამ უკანასკნელის მიერ. ამის შესაბამისად, გროლმანი ამტკიცებს, რომ ზნეობრიობას, როგორც შინაგანი განწყობილების თანხმობას პრაქტიკული გონების მოთხოვნასთან, მნიშვნელობა არა აქვს როგორც საერთოდ სამართლისათვის, ისე კერძოდ სისხლის სამართლისათვის.

იძულება, როგორც ნებისყოფის განსაზღვრის და მოქმედების გარეგანი მოტივი, არა თუ არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, წარმოადგენს მართლწესრიგის დაცვის გარანტიას.

გროლმანი ეძებს პრევენციულ იძულების დასაბუთებას და მას იმაში ხედავს, რომ პიროვნებას არ გააჩნია მოტივები, რომელთაც შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ ნებისყოფის არამართლზომიერ გადაწყვეტილებას, რის გამოც, სანამ გრძელდება ეს მდგომარეობა, მუდამ არსებობს საშიშროებაც.

პრევენციულ იძულებას, რამდენადაც იგი მიმართულია იმის წინააღმდეგ, ვინც საშიშროებით იმუქრება, სამართლებრივი საფუძველი იმ შემთხვევაში გააჩნია, უკეთეს ადგილი ჰქონდა სამართლის ნებისმიერ დარღვევას ანდა მის მცდელობას¹. გროლმანი ამ სიტყვებით პრევენციის არსის ფორმულირებას იძლევა; როგორც ვხედავთ, მისი აზრით, პრევენცია მაშინ ხორციელდება, როცა ჩადენილია დანაშაული. აქ პრევენციის ის სახესხვაობაა მოხაზული, რომელიც სპეციალური პრევენციის სახელწოდებას ატარებს: პრევენციის სამართლებრივ საფუძველს მოცემული პიროვნების მიერ რომელიმე კონკრეტული დანაშაულის ან მცდელობის ჩადენა წარმოადგენს. მაგრამ გროლმანი ამავე დროს აღნიშნავს რომ ამ იძულების წარმოდგენას მომავალში უნდა ჰქონდეს იგივე გავლენა ადამიანის ნებისყოფაზე, როგორც იმ წარმოდგენასაც, რომელსაც იძულების გამოყენება წარმოშობს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უკანონო მოქმედებასთან დაკავშირებული გრძნობადი სიამოვნების წარმოდგენა უნდა დაუკავშირდეს წარმოდგენას უფრო მეტი გრძნობადი სიავის შესახებ, რომელიც თანსდევს ამ მოქმედებას, და ამგვარად, პრევენციული იძულება

¹ Grolman, Grönds. der Criminalrechtswissenschaft, 1825, §§ 6 და 8.

ბა თითოეულ შენთხვევაში გავლენას უნდა ახდენდეს გამათფრთხილებელი-სახით და უნდა უზრუნველყოფდეს მართლწესრიგის არსებობას¹.

პრევენციულ სიავეს, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობათა დამრღვევს შეეფარდება, გროლმანი სამართლებრივ სასჯელს უწოდებს. გროლმანი სასჯელებს დამამინებელ და აბსოლუტურ სასჯელებად ჰყოფს. სამართლებრივი თავისუფლების დამრღვევთათვის პრევენციული სიავის მიყენების უფლება არის სისხლის სამართალი, რომელიც სასჯელის შეფარდების მუქარის სახით ვლინდება².

გროლმანის სიტყვით, სამართლის განხორციელება სახელმწიფოში საერთოდ დადებითი სისხლის სამართლის კანონით არ არის განპირობებული; სახელმწიფოს განვითარების პირველ საფეხურზე იყო მოსამართლე, მაგრამ არ იყო კანონები; მიუხედავად ამისა, დანაშაულებრივ ქმედობათა დასჯადობის განსაზღვრისას გრძნობით ხელმძღვანელობდნენ. იგივე მდგომარეობაა იმ სახელმწიფოებში, სადაც არასრული კანონმდებლობა ვერ ითვალისწინებს ყველა დანაშაულს. გროლმანი დასძენს, რომ დადებითი კანონის გარეშე დასჯადობა, რა თქმა უნდა, შემოიფარგლება მხოლოდ იმ ქმედობებით, რომელთა მიმართ არ შეიძლება თავის მართლება მათი კანონსაწინააღმდეგო ხასიათის არცოდნით, რადგანაც საერთო წესით მხოლოდ სისხლის სამართლის კანონის არსებობას შეუძლია გამოიწვიოს ის რწმენა, რომ სუბიექტს წარმოადგენა უნდა ჰქონოდა ქმედობის დასჯადობის შესახებ.

გროლმანი და ფეიერბახი ერთი შეხედვით თითქოს ერთმანეთს უახლოვდებიან: ორივე აღიარებს სასჯელის დამამინებელ მნიშვნელობას; მაგრამ სინამდვილეში სასჯელის შინაარსისა და მიზნების საკითხში მათ შორის ღრმა განსხვავებაა. ფეიერბახი დაშინებას განიხილავს საერთო პრევენციის თვალსაზრისით, იგი პირველ ადგილზე აყენებს საერთო პრევენციას, ე. ი. სისხლის სამართლის კანონის მუქარის ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას საერთოდ მოქალაქეებზე, როგორც მართლწესრიგის შესაძლებელ დამრღვევებზე. ამ მუქარის ნამდვილ განხორციელებას (ჩი მეორე პლანზე აყენებს, მას დაქვემდებარებული მდგომარეობა უკავია და გარკვეულ როლს ასრულებს იმდენად, რამდენადაც სისხლის სამართლის კანონის შეფარდების საშუალებით.

¹ დასახ. შრომა, § 8.

² იქვე, § 9.

მუქარა ქმედით ძალას იძენს. გამოსწორების მიზანსაც კი იგი თავისი თეორიის მთავარ პრინციპს უმორჩილებს. მისი შეხედულებით გამოსწორების მიზანს სწორედ მუქარა ანხორციელებს, და არა სასჯელის შეფარდება.

გროლმანი სხვა თვალსაზრისზე დგას. მართალია, იგიც აღნიშნავს დაშინების მნიშვნელობას მომავალ შესაძლებელ დანაშაულთა წინააღმდეგ პრევენციული საშუალების სახით, მაგრამ მას დაშინება იმ ცალკეულ პიროვნებათა მიმართ შეფარდების თვალსაზრისით აინტერესებს, რომლებმაც უკვე ჩაიდინეს მართლწინააღმდეგი ქმედობა და რომელთაც უნდა შეეფარდოს სასჯელი.

სასჯელის პრობლემის გადაწყვეტისას გროლმანი ძირითად ყურადღებას მოცემულ დანაშაულს აქცევს, იგი ეძებს საშუალებებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა დანაშაულის შეკავება მომავალში სამართლის ახალ დარღვევათა ჩადენისაგან. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ გროლმანსა და ფეიერბახს შორის სასჯელის მიზნების საკითხში არსებითი განსხვავება.

ორივენი პრევენციის პრინციპიდან გამოსდებიან; ორივე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოტივაციის საწყისს: სასჯელის შემოქმედებას ადამიანის გრძნობადობაზე იმ შინაბიძგების გადასალახავად, რომლებიც მას მართლსაწინააღმდეგო ქმედობის ჩასადენად წარმართავენ. მაგრამ ფეიერბახი დაშინებას ზოგადი პრევენციის ჩარჩოებში იხილავს; ხოლო გროლმანი, თავის მხრივ, დაშინებას სპეციალური პრევენციის საწყისებით ასაბუთებს. როგორც აღნიშნული იყო, გროლმანიც აღიარებს სასჯელის წარმოდგენის დამაშინებელ გავლენას საზოგადოების წევრებზე; მაგრამ მისი მოძღვრების საერთო წინამძღვრების თვალსაზრისით დაყენებული საკითხის სიმძიმის ცენტრი აქ არა ძევს; მისთვის გამოსავალ მომენტს შეადგენს დამნაშავე, რომელმაც ჩაიდიონა დანაშაული, და რომელსაც, მამასადამე, უნდა შეეფარდოს სასჯელი.

5

შეფარდებითი თეორიები გვხვდება რევოლუციამდელ რუსეთშიც. აქაც ვნახულობთ მთელ რიგ კრიმინალისტებს, რომლებიც სასჯელს საზოგადოებისათვის სასარგებლო, პრაქტიკულ მიზნებს უსახავენ; მათ შორის ჩვენ აქ დავახასიათებთ კისტიაკოვსკის, ფოინიციკის და ტაგანციევის შეხედულებებს.

გასული საუკუნის კრიმინალისტი კისტიაკოვსკი, ეხება რა სასჯელის პრობლემას, მიუთითებს, რომ ადამიანი, რამდენადაც იგი ახსოვს ისტორიას და ჩვენს დრომდე, სასჯელის გამოყენებისას, უცვლელად ხელმძღვანელობს შემდეგი ზოგადი საფუძვლებით, მოტივებით და მიზნებით:

ა) დანაშაული აკარგვინებს ადამიანს რაიმე მატერიალურ ან ზნეობრივ სიკეთეს, ამიტომ იგი შეურაცხყოფილად გრძნობს თავს;

ბ) დანაშაულს გამოჰყავს იგი ნორმალური მდგომარეობიდან და იწვევს მასში შიშს, საფრთხის მოლოდინს მომავალში.

ამგვარი მდგომარეობიდან გამომდინარეობს სამი მოტივი: ა) მიუზღოს სიამე სიავისათვის მისი სიკეთის ან უფლების დამრღვევ პირს; ბ) მომავალში დაიცვას თავი დანაშაულისაგან დამნაშავეს ფიზიკური მოსპობით, ზიანის მიყენების შესაძლებლობის აღკვეთით, მასში ან სხვა პირებში შიშის გამოწვევით, რათა მომავალში არ იქნას ჩადენილი ასეთი დარღვევა სიკეთეთა და უფლებებისა; გ) დანაშაულის გზით წართმეული მატერიალური სიკეთის დაბრუნება ან ყოველ შემთხვევაში სათანადო ანაზღაურების მიღება¹.

სასჯელის ეს პრიმიტიული საფუძვლები, კისტიაკოვსკის აზრით, ახასიათებენ ცალკეულ ადამიანს და პირველად ჰქმნიან სასჯელს წინასახელმწიფოებრივ ხანაში; სახელმწიფოს შექმნის პროცესშიც ადამიანს უნდა ჰქონოდა იგივე გრძნობები და მიზნები და ამგვარად სახელმწიფოებრივ პერიოდშიც სასჯელის საფუძველი იგივე იყო. მაგრამ იგი გართულდა და სახე შეიცვალა: ყველა ის გრძნობები და მიზნები, რომლებიც წინასახელმწიფოებრივ ხანაში, სასჯელის წარმოშობისას, ინდივიდუალური, პირადი, სუბიექტური იყო, სახელმწიფოებრივ ხანაში იქცევიან კოლექტიურად, საერთოდ, უფრო ობიექტურად. ამგვარად, საზოგადოებასა და სახელმწიფოში სასჯელის საფუძველს შეადგენს რეაქცია არა კერძო პირისა, არამედ მთელი საზოგადოებისა, რომელიც ისწრაფვის ერთ და იმავე მიზნისაკენ. ამ გზით სასჯელი სიავისათვის სიავით მიზღვის კერძო ღონისძიებიდან იქცა იმავე ხასიათის ზოგად ღონისძიებად, კერძო პირთა უშიშროების ღონისძიებიდან საერთო ინტერესების და უშიშროების უზრუნველყოფის საშუალებად².

სახელმწიფოს წარმოშობის და განვითარების შედეგად შეიქმნა ახალი ინტერესები, ახალი უფლებები, საზოგადოებრივი თანაცხოვ-

¹ А. Кистьяковский, Элементарный учебник общего уголовного права, 1875. 29.

² იქვე, 30.

რების ახალი ფორმები. ყველა ისინი, მიუხედავად იმისა, თუ განვითარების რომელ საფეხურს ეკუთვნიან — მაღალგანვითარებულ ფორმებს, თუ განვითარების დაბალ საფეხურს — ყოველთვის ისწრაფვიან დაიცვან თავიანთი არსებობა და როცა განიცდიან სიივეს დანაშაულის გამო, მოითხოვენ სასჯელს ზემოთ აღნიშნული საფუძვლების მიხედვით¹.

ამ მოკლე გადმოცემიდან ჩანს, რომ კისტიაკოვსკი იზიარებს იმ შეხედულებას, რომელსაც საკმაოდ ხშირად ვხვდებით ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში: იგი სწყვეტს იმ ორგანულ კავშირს, რომელიც არსებობს სახელმწიფოსა და სასჯელს შორის და ამტკიცებს, რომ სასჯელის ინსტიტუტი მოქმედებს პირველყოფილ საზოგადოებაშიც, სახელმწიფოს წარმოშობამდე. სახელმწიფო მხოლოდ ჰქმნის ახალ ინტერესებს, უფლებებს, საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ფორმებს, ხოლო რაც შეეხება სასჯელის ძირითად საფუძვლებს, ისინი იგივე რჩება, რაც წინათ იყო. საფუძვლები კი, როგორც უკვე ვნახეთ, ფსიქოლოგიური შინაარსისაა. კისტიაკოვსკი სასჯელის წყაროს, მის უკანასკნელ საფუძვლებს ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაში ნახულობს. ადამიანს, როცა იგი ახდენს რეაქციას მისი ინტერესების დარღვევაზე, ამოძრავებს გარკვეული მოტივები, გრძნობები; მისი მიზანია სამაგიერო მიუხელონ თავის მოწინააღმდეგეს, უზრუნველყოს საკუთარი თავი მომავალში მოსალოდნელი საშიშროებისაგან, გავლენა მოახდინოს სხვა პირებზე და აინაზღაუროს ის ზარალი, რომელიც მას მიაყენეს. სასჯელის, როგორც იურიდიული ინსტიტუტის, სოციალური ანალიზის ცდას კისტიაკოვსკის ნაშრომში ჩვენ ვერ ვნახულობთ.

მაგრამ, როგორც ჩანს, კისტიაკოვსკის უფრო სწორად მიაჩნია ეგრეთწოდებული შეფარდებითი თეორიები. იგი აღნიშნავს, რომ უკანასკნელნი „უფრო ახლოს მივიდნენ სასჯელის ნამდვილი საფუძვლის გარკვევასთან, როცა მიუთითებდნენ სარგებლობაზე, სიკეთესა და პირად და კოლექტიურ თვითდაცვაზე, როგორც სასჯელის საფუძვლებზე“². იგი იქვე დასძენს, რომ ამ თეორიების სუსტი მხარე იმაში მდგომარეობდა, რომ მათ სარგებლობა, სიკეთე და პირადი და კოლექტიური თვითდაცვა ესმოდათ რაციონალური აზრით და ისინი მხედველობაში არ იღებდნენ ამ მოვლენათა ისტორიულ ცვალებადობას. აქედან ცხადია, რომ კისტიაკოვსკი შეფარდებითი თეორიე-

¹ А. Кистьяковский, Элементарный учебник общего уголовного права, 1875. 30.

² А. Кистьяковский. დასახ. შრომა, გვ. 30.

ზის მომხრეთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ. იგი უცილობლად მიზანშეწონილობის პრინციპის დამცველია.

რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი ფოინიციკი განიხილავს დასჯის უფლების საფუძვლების საკითხს და წერს, რომ სასჯელს, როგორც სამართლებრივ ინსტიტუტს, საფუძვლად აქვს ადამიანის სხვადასხვა მოთხოვნილებანი, რომლებიც უნდა იქნან დაკმაყოფილებული მისი მეშვეობით. ეს მოთხოვნილებანი მოცემულია ადამიანში, როგორც ინდივიდში, ან ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ფოინიციკი ჰყოფს მათ შემდეგ ჯგუფებად:

1) მატერიალური არსებობის მოთხოვნილებანი;

2) მოთხოვნილებანი, რომლებიც ადამიანის ბუნების გრძნობად, სენსუალურ მხარეს ეკუთვნიან;

3) მოთხოვნილებანი, რომლებიც მისი გონებრივი, ინტელექტუალური ბუნებიდან გამომდინარეობენ.

ყველა ისინი განაპირობებენ სასჯელს, ყოველი მათგანი ქმნიდა ამ ინსტიტუტის თავისებურ ნიშნებს¹.

მასასადამე, სასჯელი ემყარება მატერიალური არსებობის გრძნობად და ინტელექტუალურ მოთხოვნილებებს. მატერიალური არსებობის მოთხოვნილებანი იწვევენ რეაქციას, წინააღმდეგობას იმის მიმართ, რაც მავნეა ცალკეული პიროვნების ან სახელმწიფოსათვის; გრძნობადი მოთხოვნილებანი ამ რეაქციას ანიჭებენ ზნეობრივი აუცილებლობის ხასიათს, ხოლო ინტელექტუალური—მოითხოვენ შესაბამისობას ზარალსა და რეპრესიას შორის².

თანამედროვე შეხედულებით, ამბობს ფოინიციკი, სახელმწიფო გამოიყენებს სასჯელს მხოლოდ საერთოსახელმწიფოებრივ ინტერესებისათვის, იგი შეადგენს სახელმწიფო ხელისუფლების არა მარტო უფლებას, არამედ მოვალეობასაც. სისხლის სამართლის დარგში კერძო პირს ამჟამად ეკუთვნის აუცილებელი მოგერიების უფლება, საზოგადოებას — გაკიცხვის უფლება, ხოლო სახელმწიფოს — დასჯის უფლება³. სასჯელის სახელმწიფოებრიობის ხასიათიდან გამომდინარეობენ შემდეგი დასკვნები, რომლებიც ამ ინსტიტუტის ბუნებას განსაზღვრავენ.

სასჯელი, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტი, არ უნდა იქნას არეული: 1) სიმაგიეროს მიზღვასთან ცოდვისათვის, რასაც აქვს რელიგიური ხასიათი; 2) ცუდ შედეგებთან, რომლებიც გამოწვეულია

¹ Ф о й н и ц к и й, Учение о наказании в связи с тюремноведением. 1889, 24.

² იქვე, 24.

³ იქვე, 24.

ბუნების კანონების უგულვებელყოფით. ასე, მაგალითად, გარყვნილი ცხოვრება იწვევს ჩვეულებრივ ჯანმრთელობის მოშლას, ავადმყოფობას; მაგრამ სასჯელთან მას არაფერი აქვს საერთო; 3) სინდისის ქენჯნასთან; 4) მოგერიების ღონისძიებასთან, რომელსაც მიმართავს კერძო პირი თვითდაცვის მიზნით. კერძო დაცვის ღონისძიების გზით შესაძლოა დაიღუპოს ყველაზე უფრო ძვირფასი სიკეთე თავდამსხმელისა, მაგრამ ასეთი დაცვა კერძო საშუალებით კერძო ინტერესებისა არსებითად განსხვავდება სასჯელისაგან, რომელსაც სახელმწიფო საერთო ინტერესებისათვის იყენებს¹; 5) სხვა ღონისძიებებთან, რომლებითაც სარგებლობენ კერძო ინტერესების დასაცავად და დასაკმაყოფილებლად, როგორცაა, სამოქალაქო გადახდევინება, კერძო ჯარიმები (პირგასამტეხლო და სხვ.); 6) საზოგადოებრივ გაკიცხვასთან, რომელიც შედგება საზოგადოების ცალკე წევრთა შეხედულებებისაგან. ასეთი გაკიცხვა ხშირად შესაძლოა მეტად მძიმე იყოს პიროვნებისათვის; საზოგადოება წყვეტს მასთან კავშირს, უცხადებს მას უნდობლობას, აითვალისწინებს მას; მაგრამ იგი არაა სასჯელი, როგორც იმიტომ, რომ იგი არ გამომდინარეობს სახელმწიფოსაგან, ისე იმიტომაც, რომ იგი დამოკიდებული არაა სახელმწიფოზე. სახელმწიფოს არ ძალუძს აიძულოს საზოგადოება გაკიცხოს ისეთი მოქმედებანი, რომლებიც, საზოგადოების წევრთა ზნეობრივი რწმენით, ამას არ იმსახურებენ: პირები, რომლებმაც ჩაიდინეს მოქმედი კანონის უმძიმესი დარღვევა, ზოგჯერ სარგებლობენ საზოგადოების ნდობით და პატივისცემით. გაკიცხვა ეკუთვნის ზნეობრივ სამყაროს, ხოლო სასჯელი — სამართლის დარგს; 7) დაბოლოს, სასჯელი არ უნდა გავიგოთ როგორც დასასჯელი პირის უფლება. რასაკვირველია, წერს ფონიციკი, პირადი გასწორებისაგან, შურისძიების წესისაგან სასჯელის სისტემაზე გადასვლა, იერიზის სამართლიანი შენიშვნით, ყველაზე ხელსაყრელია დანაშაულის ჩამდენისათვის, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ მას შეუძლია მოითხოვოს სახელმწიფოსაგან დასჯა, როგორც თავისი უფლება, როგორც ამას მოითხოვდნენ ხელშეკრულების თეორიის ზოგიერთი წარმომადგენელი. სასჯელი არის სახელმწიფოს დამოუკიდებელი აქტი, განსაზღვრული მისი საკუთარი ინტერესებით; სახელმწიფო ხელისუფლება, იყენებს რა სასჯელს, ანხორციელებს არა მარტო თავის უფლებას, არამედ მოვალეობასაც;

¹ Ф о й н и ц к и й, Учение о наказании, 1889, 25.

ამ მოვალეობას არა აქვს კერძო თვისება, იგი საჯარო ხასიათისაა და საზოგადოების ინტერესებით განისაზღვრება¹.

ლაპარაკობს რა სასჯელის საგანზე, ფოინიციკი დიდ მნიშვნელობას მიაწერს დანაშაულებრივი ქმედობის ობიექტურ მხარეს. თანამედროვე ხანაშიც, ამბობს იგი, დარღვევის ობიექტური მომენტი ინარჩუნებს დიდ მნიშვნელობას, თუმცა იგი შევსებულია სუბიექტური მომენტით. ობიექტური მომენტის მიხედვით აწესებენ დასჯითი მოქმედების ფარგლებს. ამიტომ თანამედროვე სასჯელი ეფარდება მხოლოდ ობიექტივირებულ ხელყოფას: cogitationis poenam nemo patitur. წინადადება, რომელიც პირველად გამოთქმული იყო გალის მიერ, ხოლო ამჟამად გვხვდება ანთროპოლოგიური სკოლის ნაწერებში, რომ სასჯელი შეეფარდოს „დანაშაულებრივ ადამიანს“, რომელიც იჩენს დანაშაულისადმი მიდრეკილებას, თუნდაც რომ მას არ ჩაედინოს სისხლის სამართლის კანონის არცერთი დარღვევა, არ შეიძლება მიღებულ იქნას. სასჯელის ზომა დამოკიდებულია დაზარალებული სიკეთის მნიშვნელობაზე: არ შეიძლება მძიმე სასჯელის შეფარდება შედარებით მცირემნიშვნელოვანი სიკეთის დაზარალებისათვის. ობიექტური მომენტის უგულვებელყოფას შედეგად აქვს ან სამართლის და ზნეობის ერთმანეთში ადრევა, ან დასჯითი საქმიანობისათვის იმ თვისების მინიჭება, რომელიც საპოლიციო სახელმწიფოს ახასიათებს².

ფოინიციკის კონცეფციით, დანაშაულის მიზეზები ან პირობები შეიძლება დავიყვანოთ სამ ჯგუფზე: ა) კოსმიური პირობები, ბ) საზოგადოებრივი პირობები და გ) ინდივიდუალური პირობები. მამასადამე, დანაშაული განისაზღვრება, გარდა კოსმიურის და საზოგადოებრივი გარემოებებისა, პირადი პირობებით, რომლებიც გამოიხატება ადამიანის ნებისყოფითი მოქმედების თავისებურ წყობაში.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე ფოინიციკი აკეთებს დასკვნას, რომ დანაშაულთა პირადი პირობები, ერთობლივად განხილული, ჰქმნიან პიროვნების გარკვეულ მდგომარეობას, რომელსაც იგი „დანაშაულობის მდგომარეობას“ («состояние преступности») უწოდებს; სწორედ ეს მდგომარეობა შეადგენს სასჯელის საგანს. დასჯა ნიშნავს დანაშაულობის მდგომარეობასთან ბრძოლას; ამ ბრძოლას უნდა ჰქონდეს პირადი ხა-

¹ Фойницкий, Учение о наказании, 1889, 26.

² იქვე, 28.

სიათი, იმ მიზეზის ბუნების შესაბამისად, რომელიც მას იწვევს ცხოვრებაში¹.

ფოინიცი სასჯელის მიზანშეწონილებების პრინციპს იზიარებს; იგი იხილავს სასჯელის მიზანშეწონილების იდეას მის ისტორიულ განვითარებაში და დაასკვნის, რომ სასჯელი, არსებობს რა ყოველთვის საერთო ცხოვრების დასაცავად. ერთ შემთხვევაში უახლოეს მიზნად ისახავს უშიშროებას, მეორე შემთხვევაში— დაშინებას, ხოლო მესამეში—გამოსწორებას. მაგრამ ეს სხვადასხვა მიზნები არაა მექანიკურად განცალკევებული; ყველა ისინი, მხოლოდ მეტი თუ ნაკლები ხარისხით, ყოველ სასჯელშია მოცემული.

ფოინიცი მომხრეა პრევენციისა მისი ორივე ფორმით².

ფოინიცი იმ მიმართულების წარმომადგენელია, რომელსაც ბურჟუაზიულ სამართლის მეცნიერებაში სოციოლოგიური მიმართულება ეწოდება. სოციოლოგიური სკოლის თეორიის განვითარებაში მას მიუძღვის თვალსაჩინო როლი. მის მიერ წამოყენებული თეორიული მოსაზრებანი და კონსტრუქციები შემდეგში მთელი სკოლის ცნებათა სისტემაში შევიდა და საერთო კუთვნილება გახდა. ფოინიციის საერთო კონცეფცია როგორც დანაშაულის, ისე სასჯელის შესწავლის დარგში, შეიცავს იმავე ნაკლოვანებებს და იწვევს იმავე შენიშვნებს, რასაც მთელი სოციოლოგიური სკოლა.

ჩვენ გადავალთ რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტიკის, ტაგანცევის, თეორიის დახასიათებაზე. ტაგანცევი რუსულ ლიტერატურაში წარმოადგენს კლასიკურ სკოლას, მაგრამ ამ სკოლის სხვა წარმომადგენელთაგან განსხვავებით, მას ზოგიერთ ძირითად საკითხში უკავია დამოუკიდებელი პოზიცია და იგი თავისებურად ჭრის მათ.

ტაგანცევი განიხილავს დასჯის უტვლების საფუძველს და ამტკიცებს, რომ ეს საფუძველი უნდა ვეძიოთ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში, მისი არსებობის გონივრულ მიზნებში, ამ მიზნების მისაღწევად საჭირო საშუალებების თვისებაში, სამართლებრივი წესრიგის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების იძულებითი წყობის, თავისებურებებში. არაა საჭირო, ამბობს ტაგანცევი, იმის მტკიცება, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება არის აუცილებელი, ადამიანის თვით ბუნებიდან გამომდინარე პირობა მისი არსებობისა. არისტოტელეს მიერ გამოთქმული ეს დებულება ახლა ურ-

¹ Ф о й н и ц к и й, Учение о наказании, 1889, 42.

² იქვე, 66.

ყველად არის დადგენილი ანთროპოლოგიის მონაცემებით, ადამიანის პირველყოფილი კულტურის შესწავლით და სხვ¹.

საზოგადოებაში წარმოშობილი სამართლებრივი დებულებანი არ წარმოადგენენ რაღაც შემთხვევითს, ხელოვნურად მოგონილს, ისინი აუცილებელი შედეგია იმ ურთიერთმოქმედებისა, რომელიც სწარმოებს, ერთის მხრივ, ადამიანის ბუნებასა და მოთხოვნილებებს და, მეორეს მხრივ, საზოგადოებას შორის. სამართლის ცალკეული ინსტიტუტები ცვალებადი და წარმავალია, მაგრამ ურყევეია მისი არსი, მისი ძირითადი იდეა. საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების გარეშე, ცალკეული ადამიანის მოქმედების წესებისა და ფარგლების დადგენის გარეშე, წარმოუდგენელია საზოგადოებრივი ცხოვრება².

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამართლის ბრძანებანი მიმართულია არა ცალკეულ ინდივიდთა გონებისადმი; როგორც უდავო ჭეშმარიტება, არა ცალკეული პირის ზნეობრივ გრძნობისადმი, როგორც მორალური ბრძანება, არამედ პრაქტიკულ ნებისყოფისადმი, როგორც ხელისუფლების მოთხოვნები; ისინი არ კმაყოფილდებიან მათი თავისუფალი ნებაყოფლობით შესრულებით, არამედ მოითხოვენ მორჩილებას და ბრალეულად და პასუხისმგებლად აღიარებენ ყველას, ვინც მათ არ ემორჩილება³.

მაშასადამე, დასჯის უფლების საფუძველი, ტაგანცევის აზრით, თვით საზოგადოების არსებობის პირობებშია მოცემული, მაგრამ იბადება მეორე საკითხი: როგორია სახელმწიფოს დასჯითი საქმიანობის მიზანი?

სახელმწიფოს დასჯის უფლების დასაბუთების შემდეგ, — წერს ტაგანცევი, — აუცილებლად მივდივართ კითხვამდე — რატომ სჯის სახელმწიფო? სასჯელის მიზნების საკითხი დოქტრინაში შეადგენს დაუსრულებელი დავის საგანს. იმისათვის, რომ გავერკვეთ ამ უამრავ სისტემებსა და თეორიებში, ტაგანცევის სიტყვით, საჭიროა ვიქონიოთ მხედველობაში ის ტიპური ნიშნები, რომლებსაც სასჯელი ყოველთვის ატარებდა ისტორიაში და ატარებს მოქმედ სამართალშიც. სასჯელის გამოყენება ყოველთვის წარმოადგენდა მოქმედებას მომხდარის გამო და მომავალის გათვალისწინებით, იგი ემსგავსებოდა რომის პანთეონის ღმერთს—ორპიროვან იანუსს. რამდენადაც სასჯელი ეხება წარსულს, იგი არის სამა-

¹ Таганцев, Русское уголовное право, т. II, 1902, 876.

² იქვე, 877.

³ იქვე, 877.

გიეროს მიზღვა, შურისძიება, უფრო რეფლექტიური, ვიდრე მიზანშეწონილი აქტი. სახელმწიფო იძულებულია გამოიყენოს სასჯელი ადამიანის პიროვნების თვისებებით ან საზოგადოებრივი ცხოვრების გარდუვალი კანონებით, სასჯელი შეადგენს სახელმწიფოს აუცილებელ მოვალეობას; რამდენადაც სასჯელი მიმართულია მომავლისაკენ — იგი წარმოადგენს განსაზღვრული მიზნების მიღწევის საშუალებას, იგი განხილულია როგორც სახელმწიფოს უფლების განხორციელება, რომლითაც უკანასკნელმა უნდა ისარგებლოს გონივრულ საფუძველზე. ამის შესაბამისად, თეორიებიც დასჯითი მოქმედების შინაარსისა და მიზნების შესახებ იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: 1) თეორიები, რომლებიც მიმართულია წარსულისაკენ და სასჯელში ხედავენ მხოლოდ გადახდას მართლწესრიგზე ჩადენილი ხელყოფისათვის, დამნაშავეს მიერ ჩადენილი სიავისათვის — სამაგიეროს მიზღვის თეორიები და 2) თეორიები, რომლებიც მიმართულია მომავლისაკენ და სასჯელს განიხილავენ როგორც სახელმწიფოებრივი მიზანშეწონილი მოქმედების გამოვლენას — სარგებლიანობის თეორიები¹. ტაგანცევი მიუთითებს, რომ ამ ორ დაპირისპირებულ თეორიებს შორის არის კიდევ შემავრთბელი ჯგუფი².

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სასჯელის მიზნების განმარტებისა და დასაბუთების დარგში ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია სწორედ თეორიების ის ჯგუფი, რომელსაც ჩვეულებრივ შემავრთბელს უწოდებენ. ამის დასამტკიცებლად საკმარისია გადავხედოთ სასჯელის თეორიებს დაწყებული ძველი დროით — მონათმფლობელური პერიოდით და კაპიტალისტური პერიოდით გათავებულნი.

ტაგანცევი განიხილავს დასახელებულ ორ მთავარ ჯგუფში შემავალ სისტემებს, გადმოგვცემს პირველად ეგრეთწოდებულ აბსოლუტურ თეორიებს და შემდეგ — უტილიტარულ ან უსარგებლიანობის თეორიებს. გარდამავალ ჯგუფში იგი ათავსებს ფეიერბახის მოძღვრებას — ფეიერბახის თეორიას ჩვეულებრივ ათავსებენ უტილიტარულ თეორიათა ჯგუფში. მაგრამ ტაგანცევს ეს არასწორად მიაჩნია, ვინაიდან ფეიერბახი, მისი სიტყვით, შუა გზაზე გაჩერდა³. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ფეიერბახის მიერ წამოყენებული ფსიქოლოგიური იძულების

¹ Таганцев, Русское уголовное право, 881.

² იქვე, 882.

³ იქვე, 888.

თეორიასწორედ უტილიტარულ ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს. ფეიერბახის მოძღვრება ზოგადი პრევენციის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს.

თვითონ ტაგანცევი უარყოფს სამაგიეროს მიზღვის იდეას და ეს არის მისი სისტემის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი თავისებურება, რომელიც მას ასხვავებს კლასიკური სკოლის სხვა წარმომადგენლებისაგან. ამაზე ჩვენ შემდეგ გვექნება საუბარი¹.

6

ჩვენ განვიხილეთ შეფარდებითი თეორიების ჯგუფში შემავალი ზოგიერთი ავტორების შეხედულებანი. მთავარი ყურადღება მივაქციეთ ა. ფეიერბახის და კ. გროლმანის თეორიებს იმ მოსაზრებით, რომ ამ კრიმინალისტთა შრომებში ყველაზე უფრო მკვეთრად და დაწვრილებით არის დამუშავებული პრევენციის იდეა. ფეიერბახის კონცეფცია, როგორც ცნობილია, წარმოადგენს საერთო პრევენციის ერთ-ერთ თავისებურ სახეობას, ხოლო გროლმანი ცდილობს განმარტოს და დაასაბუთოს სპეციალური პრევენციის უპირატესობა. საერთოდ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში პრევენციის ეს ორი სახე მექანიკურად უპირისპირდება

¹ შეფარდებითი თეორიების წარმომადგენელთა ჯგუფს ეკუთვნის ს. მოკრინსკი. მოკრინსკი უარყოფს სამაგიეროს მიზღვის პრინციპს. მისი შრომის პირველი ნაწილი მიძღვნილია შემდეგი საკითხისადმი: ზოგადი და სპეციალური პრევენციის ერთიერთდამოკიდებულება. მოკრინსკი წერს: «Сваливать без разбору в общую кучу различные задачи наказания в литературе уголовной политики вошло почти в обычай. Лет пять тому назад, проф. Рихард Шмидт, едва ли не первый, позволил себе усомниться в удобстве совместной постановки целей — частного предупреждения с одной стороны и социального возмездия с другой. Отвергая рациональность всякой вообще системы, покоящейся на принципе возмездия, мы не имеем надобности останавливаться на вопросе, в свое время затронутом Шмидтом». С. П. Мокрицкий, Наказание, его цели и предположения, часть I, 1902, стр. 97 — 98. მოკრინსკის ანტერესებს საკითხი: რამდენად შესათავსებელია სპეციალური პრევენციის საწყისები საერთო რეპრესიის პოლიტიკასთან — არა სამაგიეროს მიზღვასთან, არამედ ფსიქოლოგიურ იძულებასთან. (იქვე, 98). მოკრინსკის აზრით, ზოგადი პრევენციის სისტემას აქვს ყველა შანსი შეინარჩუნოს ის ადგილი, რომელიც მას უკავია მოქმედ სამართალში. უშიშროების ღონისძიებებს (меры безопасности) ჯერ-ჯერობით არ შეუძლიათ შეცვალონ (заменить) სასჯელი, მაგრამ მათ შეუძლიათ დაიკავონ ადგილი მის გვერდით (рядом с ним) ანდა მის შემდეგ (или следом за ним), იქვე, გვ. 110.

ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ მათი ბუნება არსებითად ერთნაირია და ორივე ერთნაირი ამოცანების განხორციელების საქმეს ემსახურება — ესაა დანაშაულის წინასწარი აცდენა. მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ხშირად ვხვდებით აზრს, რომლის თანახმად საერთო პრევენცია წარმოადგენს ისეთ ცნებას, რომელიც თავისი ბუნებით ენათესავება სამაგიეროს მიზღვას და, ამგვარად, საერთო და სპეციალური პრევენცია ერთმანეთისაგან გათიშულია.

რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტის ნემიროვსკის აზრით, თუ დაგმობა-გაკიცხვის ელემენტი მნიშვნელოვნად აძლიერებს სასჯელის საერთო-პრევენციულ მოქმედებას, მეორეს მხრივ, იგი სასჯელს ანიჭებს სამართლიანი სამაგიეროს მიზღვის ხასიათს. სასჯელი წარმოადგენს არა უბრალო რეაქციას დანაშაულზე, იგი მოცემული საზოგადოების თვალსაზრისით არის დამსახურებული რეაქცია, რომელიც აკმაყოფილებს ამ საზოგადოების წარმოდგენას ჯერარსზე (о должном), რასაკვირველია, საერთოდ; წვრილმანებში სასჯელი შესაძლოა შორდება სამართლიანობის ხალხურ გაგებას, გამონათავს რა კანონმდებლის შეხედულებას, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მასზე, გამოიწვიოს სხვა სამართლებრივი შეხედულებანი; მაგრამ მას არ შეუძლია სრულიად გაწყვიტოს კავშირი ხალხურ წარმოდგენებთან. რაც უფრო ემთხვევა სასჯელი საზოგადოების მოლოდინს დანაშაულებრივი ქმედობის მიმართ, მით უფრო ძლიერია მისი ეფექტი. ამგვარად, — დაასკვნის ნემიროვსკი, — „სამაგიეროს მიზღვის იდეა ერწყმის საერთო პრევენციის იდეას, რომელიც გარდა ამისა დაშინებასაც მოიცავს“¹. ამ ფორმით სამაგიეროს მიზღვას მხარს უჭერს მრავალი კრიმინალისტი-კლასიკოსი, აგრეთვე „მესამე სკოლა“ და ზოგჯერ სოციოლოგებიც კი. მაგრამ უკანასკნელნი შეფასებას აკუთვნებენ არა იმდენად ქმედობას, რამდენადაც დამნაშავის პიროვნების თვისებებს, რაც იწვევს სასჯელის საზომის შეცვლას კონკრეტულ შემთხვევაში და დაკავშირებულია ბრალის სხვა, ვიდრე ეს აქამდე მიღებული იყო, გაგებასთან².

სხვა ადგილას ნემიროვსკი აყენებს საკითხს — „თუ რამდენად სპეციალური პრევენციის მიზნები ეთან-

¹ Э. Немировский, Основы. начала уголовного права, 1917, 109: «Таким образом идея возмездия сливается с идеей общего предупреждения, которое обнимает кроме того и устрашение».

² იქვე, 110.

ხმება საერთო პრევენციის მიზანს და სამაგიეროს მიზლის იდეას¹. და, როგორც ჩანს, ემხრობა ამ საკითხის კომპრომისულ გადაწყვეტას.

გერმანულ ლიტერატურაში აზრს სამაგიეროს მიზლის და საერთო პრევენციის ნათესაობის შესახებ ჰყავდა თავისი დამკველები, რომელთა შორის აქ დავასახელებთ რიხარდ შმიდტს.

შმიდტის სიტყვით, სასჯელი თრგუნავს თავისი იძულებითი ღონისძიებით ცალკეულ ინდივიდს იმ მიზნით, რომ აიცილინოს ახალი დანაშაულის ჩადენა. იგი ყოველთვის პრევენციის საშუალებაა რეპრესიის მეშვეობით. მაგრამ ამ შედეგს იგი აღწევს ორი გზით; მას შეუძლია:

1. დანაშაულისადმი მიდრეკილების წინააღმდეგ იმოქმედოს თვით დამნაშაულის პიროვნების მოსპობის გზით (უვნებელყოფა), სასჯელის შიშის გამოწვევით დანაშაულის განმეორების შემთხვევაში (დაშინება), საზოგადოებრივად სასარგებლო, მართლმშვიერი განწყობილების შექმნით (აღზრდა, გამოსწორება). ყველა ეს მეთოდი, როგორც დანაშაულის აცდენა ცალკეულ ინდივიდის მხრივ, „სპეციალურ პრევენციას“ წარმოადგენს. მაგრამ სასჯელი შეიძლება გაგებულ იქნას აგრეთვე:

2. როგორც რეაქცია მოსახლეობის მასებში არსებული დანაშაულებრივი მოქმედებისადმი მიდრეკილების წინააღმდეგ. ესეც ფსიქოლოგიურად სხვადასხვა გზით, სხვადასხვა ფსიქიური გავლენის გათვალისწინებით არის შესაძლო—ამას ეწოდება ხან დაკმაყოფილება, ხან გამოსყიდვა (Sühne), ხან კი სამაგიეროს მიზლვა (Vergeltung), ისინიც შეიძლება გაგებულ იქნას როგორც დანაშაულის აცდენა, როგორც „საერთო პრევენცია“².

სისხლის სამართლის განვითარება არ უნდა მიდიოდეს ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადასვლის გზით, გონიერი შემოქმედება შესაძლოა მხოლოდ სასჯელის ორივე მიზნის—სამაგიეროს მიზლის და უშიშროების დაცვის (Sicherheit)—შეხამების გზით³.

შმიდტს მიუღებლად მიაჩნია კრიმინალისტ-სოციოლოგების დებულება იმის შესახებ, რომ მხოლოდ „უშიშროების სასჯელი“ (die Sicherungsstrafe) მიმართულია რეალურ მიზანზე, ხოლო „სამა-

¹ Э. Немецковский, *დასახ. შრომა*, გვ. 142.

² R. Schmidt, *Grundriss des deutschen Strafrechts*, 1931, 5.

³ იქვე, 44.

გიეროს მიზლვას არა აქვს „მიზნობრივი მოქმედება“. ერთი მხრივ, — წერს შმიდტი, — საერთოდ შეუძლებელია უშიშროების დაცვის მოქმედების (უვნებელყოფა, გამოსწორება, დაშინება) შემოწმება. შეუძლებელია სარწმუნოდ განსხვავების გატარება გაუსწორებელსა და იმ პირებს შორის, რომლებიც საჭიროებენ გამოსწორებას ან მხოლოდ დაშინებას, ვინაიდან ყველა ასეთი მსჯელობა დამოკიდებულია სუბიექტურ შთაბეჭდილებებზე, განსაკუთრებით განუსაზღვრელი განაჩენის შემთხვევაში. პირიქით, სამაგიეროს მიზლვა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება მიზნობით სასჯელს (Zweckstrafe). იგი ისახავს დაცვის მიზანს და კიდევ აღწევს მას, ვინაიდან იგი, თანმიმდევრულად გამოყენებული, ხალხში ნერგავს სიკეთისა და სიბოროტის, სამართლისა და უმართლობის წარმოდგენებს¹. სამაგიეროს მიზლვა, ამრიგად, შმიდტის აზრით, თავისი შინაგანი ბუნებით ენათესავება უშიშროების დაცვის ღონისძიებას, მხოლოდ იგი მოქმედებს უფრო ფართო სფეროში².

იმისათვის, რომ კანონმდებელმა შეიგნოს სამაგიეროს მიზლვა როგორც სასჯელის მიზანი, შმიდტის სიტყვით, საჭიროა რომ იგი გამოდიოდეს სასჯელის საერთო პრევენციული ფუნქციის წარმოდგენიდან, ე. ი. რამდენადაც იგი მოქმედებს საზოგადოებაზე, სპეციალური პრევენციის ფუნქციის დაპირისპირებით, რომელიც მოქმედებს ცალკეული დამნაშავეს მიმართ³.

მამასაღამე, შმიდტი ცდილობს შეარიგოს ორი ცნება, რომლებიც თავისი შინაარსით ერთმანეთს ეწინააღმდეგება: სამაგიეროს მიზლვის პრინციპი და საერთო პრევენცია.

განხილულ საკითხს იკვლევს რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი ყიჟილენკო. ყიჟილენკო აღნიშნავს, რომ არსებობს შეხედულება, რომელიც სამაგიეროს მიზლვას თვლის საერთო პრევენციად. ამ შეხედულებას განსაკუთრებით დაწვრილებით ანვითარებს რ. შმიდტი. აკრიტიკებს რა ამ შეხედულებას, ყიჟილენკო შენიშნავს, რომ საერთო პრევენცია, როგორც იგი ესმით რ. შმიდტს და მის მიმდევრებს, არ წარმოადგენს არავითარ დამანასიათებელს არც საერთოდ სამაგიეროს მიზლვისათვის და, კერძოდ, არც დასჯითი სამაგიეროს მიზლვისათვის. კანონისადმი პატივისცემის განვითარება და სამართლებრივი აღზრდის დანერგვა არაა ისეთი მიზანი, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სასჯელის

¹ დასახ. ნაშრომი, 45.

² იქვე, 46.

³ იქვე, 46.

მეშვეობით. სამართლის მთელ სისტემას აქვს საერთო-პრევენციული ხასიათი. მხედველობიდან გამორჩათ ის, რომ სამაგიეროს მიზლვა არის მხოლოდ განსაზღვრული მომენტი სასჯელის ცნებაში, თანაც ისეთი მომენტი, რომელიც გეხვდება სასჯელის გარეშეც. ამგვარად, სამაგიეროს მიზლვა და დასჯითი სამაგიეროს მიზლვა სინონიმები გახდა¹.

მაგრამ ამავე დროს ყიყილენკო კმაყოფილებით მიუთითებს, რომ თვით ფაქტი საერთო პრევენციის წამოყენებისა სამაგიეროს მიზლის დასახასიათებლად საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ამის წყალობით შესაძლო ხდება დაცვა მეტად არაპოპულარული შეხედულებისა, რომ სასჯელი ეყრდნობა სამაგიეროს მიზლვას. ყიყილენკო ამ უკანასკნელი ცნების მომხრეა, მისთვის სამაგიეროს მიზლვა სასჯელის არსს შეადგენს და აქედან გასაგებია, რომ იგი, თუმცა არ იზიარებს ზემოთ გადმოცემულ შეხედულებას, მაგრამ მასში მაინც რაღაც დადებითს ნახულობს.

როგორ არის გადაჭრილი საბჭოთა სამართალში ზემოთ განხილული საკითხები? როგორ უყურებს საბჭოთა სამართალი ბურჟუაზიულ მეცნიერებასა და კანონმდებლობაში მიღებულ სამაგიეროს მიზლის პრინციპს და როგორ ესმის მას პრევენციის შინაარსი და მისი ფორმების ურთიერთდამოკიდებულება?

ამ საკითხებისადმი მიძღვნილია ჩვენი შრომის სპეციალური თავი², სადაც ისინი დაწვრილებით არის შესწავლილი. მაგრამ ვტაქრობთ, რომ უადგილო არ იქნება, აქაც შემოკლებული სახით შევეხოთ მათ.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ უკვე 1919 წ. გამოცემულ „რსფსრ სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისკში“ აღიარა, რომ დანაშაული კლასობრივ საზოგადოებაში გამოწვეულია იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წყობით, რომელშიც ცხოვრობს დამნაშავე და ამიტომ სასჯელი არაა სამაგიეროს მიზლვა „ბრალისათვის“, არაა ბრალის გამოსყიდვა. სასჯელი წარმოადგენს დაცვის ღონისძიებას და მას უნდა პქონდეს მიზანშეწონილი ხასიათი³. მაშასადამე, უკვე იმ მეტად მნიშვნელოვან საკანონმდებლო ძეგლში გატარებული იყო სასჯელის მიზანშეწონილობის საწყისი, რომლის თანახმად სასჯელი, როგორც სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, უნდა ემსახურობოდეს არა სამაგიეროს მიზლის და ბრალის გამოსყიდვის მეტაფი-

¹ А. Жижиленко, Наказание, 1914, 157.

² იხ. ამ შრომის მეექვსე თავი.

³ მე-10 მუხლი.

ზიკურ პრინციპებს, არამედ საერთო სარგებლობის საქმეს, საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებს, ხელს უნდა უწყობდეს მის ნორმალურ განვითარებასა და კეთილდღეობას.

ეს სახელმძღვანელო აზრი განუხრელად, მტკიცედ არის გატარებული ყველა მომდევნო საბჭოთა საკანონმდებლო აქტში — „ძირითად საწყისებში“ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში. ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსებში სასჯელის მიზანი სწორედ ამ თვალსაზრისით არის გაგებული. საქ. სსრ სს კოდექსის მე-7 მუხლი ადგენდა, რომ სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდების მიზანია: ა) საერთოდ დანაშაულის წინასწარ აცდენა, ბ) საზოგადოებრივად საშიშ ელემენტებისათვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობა და გ) მსჯავრდადებულის გამოსწორება შრომა-გასწორების ზეგავლენით და შეგუება მშრომელთა სახელმწიფოს საერთო ცხოვრების პირობებისათვის.

იმავე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ სოციალური დაცვის ღონისძიება მიზნად არ უნდა ისახავდეს **ს ა მ ა გ ი ე რ ო ს** **გ ა დ ა ხ დ ა ს** და **დ ა ს ჯ ა ს**.

კანონის ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ სასჯელს მიზნად აქვს დასახული პრევენცია მისი ორივე ფორმით. მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს საერთო პრევენციას, ხოლო პუნქტები „ბ“ და „გ“ — სპეციალურ პრევენციას.

საინტერესოა, თუ როგორ იყო გაგებული საბჭოთა სამართალში პრევენციის ორი ფორმის ურთიერთდამოკიდებულება. სოციალოგიური სკოლის მიხედვით, საერთო პრევენციის თანმიმდევრული გატარება გულისხმობს სისხლის სამართლის კოდექსის დამუშავებულ განსაკუთრებულ ნაწილს მკაფიოდ გამიჯნული დანაშაულთა ცალკეული შემადგენლობებით, რომლებიც დაკავშირებულია ნაკლებად მოძრავ დასჯით ფუნქციებთან, ჩადენილი დანაშაულის ობიექტური სიმძიმის შესაბამისად. ეს საჭიროა საერთო პრევენციის მისაღწევად. ეს საჭიროა იმისათვისაც, რომ სასჯელის ფაქტიური გამოყენება განუხრელად უნდა ახორციელებდეს საერთო პრევენციულ ზემოქმედებას: განსაზღვრული სიმძიმის დანაშაულისათვის მუდამ უნდა ინიშნებოდეს ცოტად თუ ბევრად ერთნაირი სასჯელი. მეორეს მხრივ, სპეციალური პრევენციის სისტემის თანმიმდევრული გატარება გულისხმობს დამნაშავეთა ცალკეული ტიპების და მათთან დაკავშირებულ ღონისძიებების დამუშავებასა და მკაფიოდ გამიჯნვას, რომელთა მეშვეობით შესაძლოა მოცემული დამნაშავეის საშიშროების აცდენა (სოციალური დაცვის ღონისძიებანი). ჩადენილი დანა-

შაული აქ წარმოადგენს მხოლოდ საშიში მდგომარეობის სიმპტომს; მას არ უკავშირდება განსაზღვრული დასჯითი სანქცია; განსაკუთრებული ნაწილის დანაშაულთა ცალკეულ შემადგენლობათა ზუსტი გამიჯვნა კარგავს თავის მნიშვნელობას. განსაკუთრებული ნაწილი საჭიროა მხოლოდ პირადი თავისუფლების გარანტიის მიზნით¹.

ამგვარად ახასიათებდა ა. პიონტკოვსკი საერთო და სპეციალური პრევენციის ურთიერთდამოკიდებულებას სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენლის, ლისტის, თვალსაზრისით და უნდა ითქვას, რომ ეს დახასიათება სინამდვილეს შეეფერება. ამიტომაც იყო, რომ კრიმინალისტ-კლასიკოსები უპირატესობას საერთო პრევენციას ანიჭებდნენ, ხოლო კრიმინალისტ-სოციოლოგები პირველ ადგილზე აყენებდნენ სპეციალურ პრევენციას.

ამ ორ მთავარ სკოლას შორის იყო კიდევ შემარავებელი მიმდინარეობა: ასეთია „მესამე სკოლა“, რომელიც ცდილობს შეარიგოს სასჯელის საწინააღმდეგო საწყისები. მისი აზრით, სასჯელი უნდა ახორციელებდეს სამართლიანი სამაგიეროს მიზლის გზით საერთო პრევენციას და ამავე დროს, დამნაშავის სუბიექტური თვისებების გათვალისწინების საფუძველზე, ანგარიშს უნდა უწევდეს სპეციალურ პრევენციასაც.

საბჭოთა სისხლის სამართალში პრევენციის ორი სახე მექანიკურად არაა გათიშული და ერთმანეთისადმი დაპირისპირებული. სოციალისტურ სახელმწიფოში, სადაც სასამართლოს განაჩენი გამოხატავს დანაშაულის და დამნაშავის შეფასებას ხალხის ინტერესების თვალსაზრისით, სასჯელს შეუძლია შეასრულოს როგორც საერთო, ისე სპეციალური პრევენციის ამოცანები².

საერთო-პრევენციული მნიშვნელობა აქვს პირველ ყოვლისა სასჯელით მუქარას, რომელიც გამოთქმულია თვით კანონში. სოციალისტურ სახელმწიფოში განაჩენით სასჯელის დანიშვნის და აღსრულების ყოველი ცალკეული შემთხვევა ახდენს სპეციალურ პრევენციას თვით მსჯავრდადებულის მიმართ და იმავე დროს მას აქვს საერთო პრევენციის მნიშვნელობა საზოგადოების მერყევი ელემენტების მიმართაც.

¹ А. Понтковский, Советское уголовное право, общая часть, 1929, стр. 125.

² Уголовное право, общая часть, 1948, 455.

მაშასადამე, საერთო და კერძო პრევენცია მკიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, ისინი არაა დაპირისპირებული ერთმანეთისადმი, არამედ მუდმივი თანამგზავრებია¹.

საბჭოთა სისხლის სამართალში საერთო და კერძო პრევენციის ამოცანების შეხამება, რასაკვირველია, არ გამოირიცხავს იმას, რომ სხვადასხვა კონკრეტულ ისტორიულ პირობებში, სოციალურ-პოლიტიკურ გარემოებათა მიხედვით სისხლის სამართალი პირველ პლანზე აყენებს ან საერთო, ან კერძო პრევენციას. მაგალითად, ომის პირობებში ძლიერდება სასჯელის საერთო-პრევენციული მოქმედება იმ დანაშაულთა დარგში, რომელთაც შეუძლიათ რაიმე ზიანი მიაყენონ მტერზე გამარჯვების საქმეს².

¹ Уголовное право, общая часть, 1948, 455.

² Советское уголовное право, ч. общая, 1952, 325.

შემაერთებელი (შეჩაული, კალაქჯარი) თეორიები

შემოთ ჩვენ დავახსიათეთ ორი ძირითადი ჯგუფი თეორიებისა სასჯელის შესახებ: აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიები. აბსოლუტური თეორიები სასჯელს ასაბუთებენ ზნეობრივი კანონის ან უზენაესი სამართლიანობის მოთხოვნით: დამნაშავეს სასჯელი ეფარდება მხოლოდ იმიტომ, რომ მან დაარღვია გარკვეული ნორმა, ჩაიდინა დანაშაული. ყველა პრაქტიკული მოსაზრება, სარგებლობის მოტივი ამ თეორიების თვალსაზრისით სასჯელის ცნებიდან ლოგიკურად გამორიცხულია.

შეფარდებითი თეორიები, პირიქით, სასჯელის შინაარსს და მიზნებს განიხილავენ მიზანშეწონილების თვალსაზრისით. მათ აინტერესებს სასჯელის პრაქტიკული დასახულობა, — თუ რა ამოცანები დგას სასჯელის წინაშე საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესების დაკმაყოფილების და უზრუნველყოფის დარგში.

გარდა აღნიშნული თეორიებისა, რომლებიც ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდება, არსებობს კიდევ ეგრეთწოდებული შემადართებელი თეორიები. რომლებიც ძირითად მიმართულებათა საწყისების და ცნებების შერიგებას ცდილობენ. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ჯგუფი ბევრად უფრო მრავალრიცხოვანია. მათ ვხვდებით იურიდიული აზროვნების განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე¹.

ჩვენი შრომის მიზანს, რასაკვირველია, არ შეადგენს შემადართებელი თეორიების ფართოდ და ამომწურავად გადმოცემა და განმარ-

¹ თუ რამდენად მრავალრიცხოვანია თეორიები სასჯელის შესახებ, იხ. Сергеевский, Русское угол. право, часть общая, 1910, 70.

ტება. ჩვენ შევისწავლით მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, ისეთებს, რომლებიც ნიმუშის სახით, მათი კონსტრუქციების თავისებურებების მიხედვით, სამართლებრივი აზრის ამ მიმართულების შინაგანი წყობის გაგებას გვიადვილებენ.

1

გერმანელი კრიმინალისტი ზაუერი ნეო-კლასიკურ მიმართულებას წარმოადგენს. სხვა კრიმინალისტებს შორის იგი გამოირჩევა თავისი უკიდურესი ეკლექტიზმით როგორც საერთოდ ფილოსოფიური, ისე კერძოდ, სისხლის სამართლის სახით.

ზაუერი ეხება სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ყველა ძირითად საკითხს და პირველ პლანზე აყენებს სასჯელის ცნებას. სისხლის სამართლის სისტემის აგების უძირითადეს ამოცანად მას მიაჩნია სასჯელის არსისა და მიზნის გამოკვლევა. მისი სიტყვით, როგორც ყოველ ტელეოლოგიურ მეცნიერებაში, აქაც მიზანი შეადგენს შემეცნების თეორიის თვალსაზრისით prius-ს არსის მიმართ. დოგმატიკურად კი, პირიქით, შესაძლოა არსით (Wesen) დაწყება, ხოლო შემდეგ გადასვლა მიზანზე¹.

ამ ავტორის მიხედვით, სრულიად არასაკმაოა მიღებული შეხედულებანი იმის შესახებ, რომ დანაშაულის დასჯა არის შინაგანი მოთხოვნილება, ან ლოგიკური ან ზნეობრივი აუცილებლობა, ან ზნეობრივი ან სახელმწიფო მოთხოვნილება. ამგვარი განმარტებებით მითითებულია მხოლოდ ისტორიული ან ფსიქოლოგიური ფაქტი ან მეთოდური საფუძველი. გარდა ამისა, ამბობს ზაუერი, ზნეობა და ლოგიკა ვერასდროს ვერ შეძლებენ სამართლებრივი სასჯელის დასაბუთებას².

რას წარმოადგენს სასჯელი?

სამართლებრივი სასჯელი არის დამნაშავეისათვის ტანჯვის მიყენება მძიმე ბრალეული უმართლობისათვის სამაგიეროს მიზლის მიზნით³. სამაგიეროს მიზლვა ნიშნავს ვინმესადმი მოპყრობას მისი უფაქცევის ან მისი განწყობილების ღირებულების შესაბამისად. ასეთია ზაუერის მიხედვით სასჯელის შინაარსი. მის საწინააღმდეგოდ დგას სასჯელის მიზანი; იგი მოთავსებულია შინაარსის გარეთ, რო-

¹ Sauer, Grundlagen des Strafrechts, 1921, 69.

² იქვე, 70.

³ დასახ. შრომა, 71

ვორც დროის მიხედვით, ისე ლოგიკურად. არსებობს სასჯელის სამი მიზანი: ა) სამაგიეროს მიზლა უმართლობისათვის (für Unrecht); ბ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა (Bewährung) ბრალის გამოსყიდვის გზით; გ) საზოგადოებისა და მისი წევრების უზრუნველყოფა და დაცვა¹.

მაშასადამე, სამაგიეროს მიზლა არ შეადგენს სასჯელის არსს (Wesen), როგორც ამას ხშირად ამტკიცებენ არა მარტო კლასიკური სკოლის, არამედ ახალი მიმართულების წარმომადგენლებიც. ისინი ყურადღების გარეშე სტოვებენ იმ ფაქტს, რომ კერძო სამართალიც მოწოდებულია სამაგიერო მიუზლოს სამართლის დარღვევისათვის, ვნების ანაზღაურების მოვალეობის დაკისრების, უსათუძვლო გამდიდრების დაბრუნების ან სხვა რომელიმე სახით. რატომ არ სურთ უწოდონ ამასაც სამაგიეროს მიზლვო? — აყენებს კითხვას ზაუერი. გარდა ამისა, სამაგიეროს მიზლვის ცნება გამოიყენება აგრეთვე ნორმატიულ სოციოლოგიაში, კულტურის, ფილოსოფიისა და სოციალური ეთიკის დარგში. როცა რომელიმე საზოგადოების მეთაური ურჩი წევრის მიმართ მიიღებს რაიმე ღონისძიებას, ესეც ხომ სამაგიეროს მიზლვაა? თანამდებობის პირთა გაერთიანება „სჯის“ თავის წევრს, მამა „სჯის“ თავის შვილს. „სოციოლოგიური სასჯელი“, ზაუერის მტკიცებით, სავსებით „სამაგიეროს მიზლვის სასჯელი“ (Vergeltungsstrafe) — დებულეა, რომელიც, მისივე სიტყვით, შეიძლება თითქმის პარადოქსად ჩაითვალოს².

უნდა ითქვას, რომ ეს დებულეა მართლაც პარადოქსის ხასიათს ატარებს: იგი ურევს ერთმანეთში სასჯელს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და დისციპლინურ ღონისძიებას³.

სამაგიეროს მიზლვა, განაგრძობს ზაუერი, აუცილობლად არის სასჯელის მიზანი, სამართლებრივი სასჯელის შემადგენლობითი ნაწილია, მაგრამ იგი არაა მისი შინაარსი, რადგან იგი სამართლებრივი სასჯელისაგან სრულიად განსხვავებულ მოვლენათა შინაარსსაც წარმოადგენს. და როცა სამაგიეროს მიზლვაში ნახულობენ სასჯელის შინაარსს, იგიწყებენ, რომ ის ღონისძიებანი, რომლებიც სამართლებრივ სასჯელს არ ეკუთვნიან, მაგრამ სამაგიეროს მიზლვას შეიცავენ,

¹ დასახ. შრომა, 71.

² იქვე, 73.

³ სასჯელისა და სხვა ღონისძიებათა განსხვავების შესახებ იხ. ამ შრომის შეთხე თავი.

არ უკავშირდებიან აუცილებლად ბრალის ცნებას. სამართლის არაბრალეულ დარღვევისათვისაც კი შეიძლება აღნიშნული ღონისძიებების გზით მიეზღოს სამაგიერო, თუმცა ნორმალური, ჩვეულებრივი წესით სამაგიერო მიეზღვება მხოლოდ ბრალეულს. სასჯელის შინაარსი არის ტანჯვა (Leiden), ტანჯვა დამნაშავესა, რომელმაც უნდა გამოისყიდოს თავისი ბრალი (seine Schuld zu sühnen)¹.

მაგრამ სასჯელს, სამაგიეროს მიზლის გარდა, აქვს კიდევ სხვა მიზნები; ეს მიზნებია, როგორც უკვე იყო აღნიშნული, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება და საზოგადოების და მის წევრთა უზრუნველყოფა: 'რაც შეეხება პირველს, იგი ზაუერს ესმის, როგორც საჯარო ინტერესის დაკმაყოფილება და შელახული სამართლებრივი მშვიდობის აღდგენა. მართლწესრიგის აღდგენაში ზოგიერთი ხედავს სასჯელის მიზანს, მაგრამ ეს ზაუერს ეჩვენება ცალმხრივად. ჩვენი სისტემატური კონსტრუქციიდან, ამბობს იგი, გამომდინარეობს ერთადერთი სწორი შეხედულება: მართლწესრიგის განმტკიცება თუმცა შეადგენს სასჯელის მიზანს, მაგრამ არა მის სპეციფიკურ მიზანს, ვინაიდან იმავე მიზანს ემსახურება კერძო სამართალი ვნების ანაზღაურების ინსტიტუტით; დაბოლოს, იმავე ამოცანას ასრულებს საპროცესო სამართალიც, თუმცა უკანასკნელს ახასიათებს მატერიალურ სამართალთან შედარებით, ერთი თავისებურება. იმ დროს როცა პროცესს მიზნად აქვს ობიექტური სამართლის განმტკიცება ცალკეულ შემთხვევაში, მატერიალური სამართლის მიზანს შეადგენს ობიექტური სამართლის განმტკიცება, ე. ი. იგი მიმართულია სახელმწიფო ნებისყოფის გამაგრებასა და განხორციელებაზე. ვინც ამგვარად განსაზღვრავს სასჯელის მიზანს, რასაკვირველია, სწორად მსჯელობს, მაგრამ იგი განსაზღვრავს არა სისხლის სამართლის სპეციფიკურ ამოცანას, არამედ საერთოდ სამართლის ამოცანას².

მაგრამ ზაუერი მიუთითებს, რომ არსებობს კიდევ სხვა მიზნები, რომლებიც უნდა განხორციელდეს სისხლის სამართალმა. ზაუერი აყენებს კითხვას: რატომ ატარებს საზოგადოება ცხოვრებაში სხვადასხვა ორგანოების მეშვეობით თავის ნებისყოფას? და უპასუხებს: თავისი და თავისი წევრების არსებობისა და შემდგომი განვითარებისათვის. ყოველი საზოგადოების მიზანია არსებობა და განვითარება. ესაა მთელი სოციოლოგიისა და სამართლის მეცნიერე-

¹ დასახ. შრომა, 73.

² იქვე, 74.

ზის უმაღლესი ტელეოლოგიური თვალსაზრისი. ამასთან დაკავშირებით ზაუერი ცნობს რელატიურ, ეგრეთწოდებულ პრევენციის თეორიებს, რომლებიც სასჯელს მიზნად უსახავენ: საზოგადოების და მისი წევრების უზრუნველყოფას; საერთო და სპეციალურ პრევენციას; გამოსწორებას, დაშინებას და უვნებელყოფას¹. საზოგადოება, განსაკუთრებით კი სახელმწიფო, იმიტომ ატარებენ ცხოვრებაში თავის ნებისყოფას, რომ აღნიშნული მიზნებიდან რაც შეიძლება მეტი მათგანი და მაღალი ხარისხით განახორციელონ. თუ სახელმწიფოს გონივრულ მოქმედებას მიზნად აქვს დასახული ეს მიზნები, რატომ არ ექნებოდა სასჯელს იგივე ამოცანა? და თუ ისინი საერთოდ მისაღწევია, სასჯელიც, ყოველ ექვს გარეშე, უნდა ცდილობდეს მთელი თავისი ძალით მათ განხორციელებას ერთნაირად—სასჯელის მუქარით, განაჩენის გამოტანით, სასჯელის აღსრულებით². როგორც ვხედავთ, აქ დასახელებულია სამი სხვადასხვა საფეხური სამართლის განხორციელებისა: სამართლის ნორმა, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი და განაჩენის სისრულეში მოყვანა. სამივე საფეხური ემსახურება ერთ და იმავე მიზანს: სამართლის განხორციელებას, მის გატარებას ცხოვრებაში.

ზემოთ განხილული თეორიები სასჯელის შინაარსს სამაგიეროს მიზღვაში ნახულობდნენ. ასეთი არის ბურჟუაზიულ სამართალში მიღებული და შეიძლება ითქვას გაბატონებული შეხედულება. მართალია, სამაგიეროს მიზღვის პრინციპი სხვადასხვანაირად არის გაგებული, მაგრამ იგი მაინც სასჯელის შინაარსის გამომსახველად არის მიჩნეული. ზაუერს კი აღნიშნული პრინციპი სასჯელის მიზნად მიაჩნია, ხოლო მის შინაარსად იგი თვლის ტანჯვას, წვალებას, რომელსაც ზოგიერთი კრიმინალისტი განიხილავს როგორც სასჯელის გარეგან ნიშანს (ყიყილენკო და სხვ.).

ამავე დროს ზაუერის თეორიისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი აღიარებს სასჯელის ეგრეთწოდებულ უტილიტარულ, პრაქტიკულ მიზნებს, ცნობს როგორც საერთო, ისე სპეციალურ პრევენციას. ამგვარად, იგი ცდილობს თავის მოძღვრებაში შეარიგოს, შეათანხმოს ერთმანეთს კლასიკური სკოლის ძირითადი ცნება და მოძღვრება საზოგადოებისათვის სასარგებლო მიზნების შესახებ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრევენციის ცნებას ორივე მისი ფორმით ჩვენ ხშირად ვხვდებით კრიმინალისტ-კლასიკოსების შრომებში.

¹ დასახ. შრომა, 77.

² იქვე, 77.

მასვე აღიარებს ევრეთწოდებული „მეცამე სკოლის“ წარმომადგენელი ნემიროვსკი, რომელიც, როგორც უკვე იყო აღნიშნული, თავის მიზნად ისახავდა სამაგიეროს მიზღვის „შერწყმას“ საერთო და სპეციალური პრევენციის ცნებებთან.

თუ რამდენად მისაღებია და მეცნიერულად დასაბუთებული ამგვარი ცდები, ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი. თავის ადგილას ჩვენ გავარჩევთ ამ საკითხს და გავეცნობით იმ შეხედულებას, რომელიც მიღებულია საბჭოთა სამართალსა და კანონმდებლობაში.

2

ჩვენ მოკლედ გავეცნობით და დავახასიათებთ გერმანელი კრიმინალისტის მ. ე. მაიერიის შეხედულებას სასჯელის პრობლემის დარგში. დასჯის საქმეში, — წერს ეს ავტორი, — სამი სახელმწიფო ორგანო მონაწილეობს: კანონმდებელი, მოსამართლე და სასჯელის აღსრულებელი თანამდებობის პირი. დასჯის სამი ინსტანცია არსებობს: სასჯელით მუქარა, სასჯელის შეფარდება და სასჯელის აღსრულება. მათ შორის ორგანული კავშირია, რადგან სასჯელის მუქარა თავის კონკრეტიზაციას პოულობს სასჯელის შეფარდებაში, ხოლო ეს უკანასკნელი ტარდება სასჯელის განხორციელების გზით¹. ეს განსხვავება უგულვებელყოფილია სასჯელის თეორიებში, რაც იხსნება იმ თავის თავად გამართლებული მისწრაფების დამახინჯებით, რომლის მიზანია ერთიანი პრინციპის შემუშავება. გარდა ამისა, ზოგიერთი თეორია სინამდვილეში არის მხოლოდ სასჯელის მუქარის ან სასჯელის აღსრულების თეორია. რაც შეეხება სასჯელის შეფარდების ცნებას, მას ყველაზე ნაკლებად ამუშავებენ, რასაც მაიერი ხსნის იმით, რომ მისი ამოცანა სასჯელის მუქარის და აღსრულების ჩამოყალიბებით უკვე გარკვევით არის განსაზღვრული².

სისხლის სამართალში მიღებულია შემდეგი საკითხების დაყენება: რა შეადგენს სასჯელის სამართლებრივ საფუძველს (Rechtsgrund) და მის მიზანს? მაგრამ სიტყვა სამართლებრივი საფუძველი ორაზროვანია. თუ იგი ესმით როგორც იურიდიულად რელევანტური საფუძველი, ეს სიტყვა ზედმეტია, ვინაიდან მოძღვრება სისხ-

¹ M. E. Mayer, Lehrbuch, 1923, 419.

² იქვე, 420.

ლის სამართლის კანონის და დანაშაულის შესახებ უნდა იძლეოდეს ამ ცნების განმარტებას. ჩვეულებრივ ამ ცნებით გულისხმობენ სასჯელის გამართლებას (Rechtfertigung) და ამით აყენებენ საკითხს, რომელიც უდავოდ შედის სისხლის სამართლის პრობლემათა წრეში, მაგრამ სამართლის ფილოსოფიის დარგსაც ეკუთვნის. ყველაზე უფრო მკვეთრად ეს მოჩანს მართლის მოძღვრებაში, რომელსაც სასჯელი ესმის როგორც სახელმწიფოს მოგერიების აქტი და ამ იურიდიული ცნების გამოყენებით იგი სასჯელის გამართლებას ფიქრობს. ვარდა ამისა, მაიერის სიტყვით, პრობლემის ტრადიციული ფორმულირება საბედისწერო აღმოჩნდა, ვინაიდან მან გამოიწვია წარმოდგენა, რომ აქ თითქოს ერთადერთი საკითხია, იმ დროს როცა აქ ორი საკითხია და ექვევარეშეა, რომ მიზანი, როგორც არ უნდა განსაზღვრონ იგი, არავითარ გამართლებას არ იძლევა, იგი თვითონ საჭიროებს გამართლებას¹.

მაიერი ასხვევებს სამ პრობლემას:

1. იურიდიულ პრობლემას, რომელსაც უკავშირდება თეორიული ინტერესი. იგი გამოისახება კითხვით: რა არის სასჯელი? რა არსებითი თვისებები ახასიათებენ მას?

2. კრიმინალპოლიტიკურ პრობლემას. იგი გამოხატავს პრაქტიკულ ინტერესს და უდრის კითხვას: როგორ უნდა დაისაჯოს? რაც შეიძლება მკაცრად თუ რაც შეიძლება ჰუმანურად? სასჯელს უნდა ექნეს დამაშინებელი, თუ გამასწორებელი ხასიათი?

3. სამართლის ფილოსოფიურ პრობლემას. იგი დამყარებულია იდეალურ ინტერესზე, იგი იხილავს დასჯას როგორც სახელმწიფოს მოქმედებას. აქ ისმის კითხვა: სახელმწიფო უფლებამოსილია თუ არა დასაჯოს მოქალაქენი და დასაჯოს ისე, როგორც ეს ხდება სინამდვილეში? შეიძლება სასჯელი არის სისასტიკე, რომელიც, მიუხედავად თავისი კანონიერებისა, მხოლოდ კულტურის განვლილი პერიოდების მემკვიდრეობას წარმოადგენს? როგორია მისი ფსიქოლოგიური საფუძველი? ხომ არაა იგი გამოწვეული ნებისყოფის თავისუფლების ილუზიით?².

სისხლის სამართლის მეცნიერებაში ტრადიციულად მიღებული სასჯელის თეორიების დაყოფა აბსოლუტურ და რელატიურ თეორიებად მაიერს გაგებული აქვს როგორც სამაგიეროს მიზღვის (Verbrechensvergeltung) და დანაშაულთან ბრძოლის (Verbrechensbekämpfung) გამომსახველი სისტემები. მაიერის აზრით, სამაგიეროს

¹ დასახ. შრომა, 420.

² იქვე, 421.

მიზღვის დეფინაცია ძნელი საქმეა. სამაგიეროს მიზღვის შინაარსი უნდა იქნას განცდილი („Das Wesen der Vergeltung muss erlebt werden“) და ფაქტიურად ადამიანთა უმეტესობით კიდევ როდესმე განცდილა. ვინც ამტკიცებს, რომ მას არ უგრძვნია სამაგიეროს მიზღვის მწვავე სურვილი, მას არ განუცდია ღრმა შელახვა, რომელიც მოითხოვს სამაგიეროს გადახდას, ანდა იგი მოკლებულია უნარს ღრმად შეიგრძნოს რაიმე. აქედან გასაგებია, რომ სამაგიეროს მიზღვის ცნება ყოველთვის იდგა სასჯელის თეორიების ცენტრში. მისი მეშვეობით ცხადი ხდება სასჯელის შინაარსი. სამაგიეროს მიზღვა თავისთავად, მიუხედავად იმისა, იქნება იგი კეთილშობილი თუ არა, ბრმა თუ მიზანშეცნობილი, შეადგენს ყველა სასჯელის და ყველა ღრრის სისხლის სამართლის არსს¹.

თუმცა სამაგიეროს მიზღვის მოთხოვნილება არაა ერთადერთი საფუძველი სისხლის სამართლისა, მაგრამ სამაგიეროს მიზღვა არის ერთადერთი საყოველთაო და ამიტომ არსებითი რგოლი დანაშაულსა და სასჯელს შორის. ესაა ძირითადი აზრი სამაგიეროს მიზღვის თეორიებისა, რომელიც გამოიხატება დებულებაში — *punitur, quia peccatum est* — და ამ თეორიების მეორე სახელწოდებაში: მათ ეწოდება აბსოლუტური იმიტომ, რომ ისინი სასჯელის მიზანს გამოორიციხავენ (*absolutio ab effectu*). როგორც კი სასჯელის მიზნად აღიარებენ რაიმე გავლენის მოხდენას დამნაშავეზე ან საზოგადოებაზე, დელიქტი უკვე არაა სასჯელის საფუძველი და იქცევა მხოლოდ დასჯის საბაბად².

იურიდიულ პრობლემას დამაკმაყოფილებლად სწყვეტენ მხოლოდ აბსოლუტური თეორიები. სასჯელზე შეუძლებელია რაიმე უფრო არსებითის თქმა, გარდა იმისა, რომ იგი სამაგიეროს მიზღვაა, სულ ერთია, თუ რომელ მართლწესრიგს ვგულისხმობთ, რადგან ყოველთვის დასჯადი ქმედობა უარყოფილია სასჯელის მეშვეობით³.

მაგრამ ამით ჯერ კიდევ არაა დადგენილი, აქვს თუ არა სასჯელს სხვა არსებითი თვისებები. ისინი უნდა იქნას გარკვეული იმ ცნებებით, რომლებიც დანაშაულთან ბრძოლის დარგს ეკუთვნიან. ცხადია, რომ სასჯელის რომელიმე განსაზღვრული მიზანი ამა თუ იმ მართლ-

¹ დასახ. შრომა, 423.

² იქვე, 423.

³ იქვე, 423.

წესრიგის მიერ ძლიერად არის წინ წამოწეული, მაგალითად, გამასწორებელი დაწესებულების მოწყობით, მაგრამ, მეორეს მხრივ, უნდა ითქვას, რომ ეს არ იძლევა სასჯელის განსაზღვრას. მაიერის სიტყვით, ამას ხელს უშლის ის გარემოება, რომ დასჯის სამ ინსტანციას ერთი და იგივე მიზანი არა აქვს და, მაშასადამე, არ შეიძლება წამოყენებულ იქნას რომელიმე ერთი საყოველთაო ნიშანი. გასწორება შეიძლება იყოს სასჯელის აღსრულების, და არა სასჯელით მუქარის, მიზანი. მაიერს შეუძლებლად მიაჩნია რომელიმე იურიდიული ინსტიტუტის განსაზღვრა მისი მიზნის მიხედვით. მას მოჰყავს ლაბანდის სიტყვები იმის შესახებ, რომ მიზანი ძვეს იმ ინსტიტუტის გარეშე, რომლის მეშვეობითაც იგი უნდა განხორციელდეს, იგი მდებარეობს იმ საშუალებათა ფარგლებს გარეთ, რომლებითაც უნდა იქნას მიღწეული; ამა თუ იმ სამართლებრივი ინსტიტუტის გასაგებად შესაძლოა სასარგებლო იყოს მისი მიზნის გამოკვეთვა, მაგრამ დაუშვებელია, რომ ამ ინსტიტუტის შინაარსის საკითხი გადაწყდეს იმის მიხედვით. თუ რომელ მიზანს ემსახურება იგი. სასჯელის გამოყენების სარგებლიანობა ნათელია: იგი ყოველთვის ემსახურებოდა მრავალ მიზნებს, მას ყოველთვის ჰქონდა დამოკიდებულება საზოგადოებასთან და დამნაშავესთან, იგი მოქმედებს, როცა სურთ დამნაშავეს გამოსწორება, როგორც აღმზრდელითი დაწესებულება, ხოლო როცა სურთ დამნაშავეს უვნებელიყოფა. — როგორც სულით ავადმყოფთა დაწესებულება; სასჯელი ხშირად ვერ აღწევს თავის მიზნებს და მიზნის მიღწევა უზრუნველყოფილია მხოლოდ მაშინ, როცა უფარდებენ უმაღლეს ღონისძიებას¹.

პირველი პრობლემის შესახებ მაიერი რეზუმეს სახით დაასკვნის: რასაც რელატიური თეორიები ამტკიცებენ სასჯელის დასახისათებლად, მოკლებულია საფუძველს. შემაერთებელი თეორიები ურევენ ერთმანეთში სწორს და მცდარს. მართებულად კრიან საკითხს სასჯელის შინაარსის შესახებ მხოლოდ წმინდა აბსოლუტური თეორიები, ისინი იძლევიან სწორ განსაზღვრას: სასჯელი არის დანაშაულის ის სამართლებრივი შედეგი, რომლითაც ხორციელდება სამაგიეროს მიზლევა, — რასაკვირველია, იგი ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დამნაშავეს მიმართ სამართლის დარღვევისათვის².

სამაგიეროს მიზლის თეორიები პრეტენზიას აცხადებენ, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ არა მარტო სასჯელის შინაარსის, არამედ

¹ დასახ. შრომა, 425.

² იქვე, 425.

ყველა პრობლემა, რომელიც სასჯელის დარგს ეკუთვნის. ეს პრობლემები მაიერს უსაფუძვლოდ მიაჩნია. ნორმატიული თვალსაზრისით, ამბობს იგი, სამაგიეროს მიზღვა უნაყოფოა. პირველ ყოვლისა იგი სრულიად უვარგისია სასჯელის გამართლებისათვის. სამაგიეროს მიზლის იდეა აგრეთვე უვარგისია როგორც კრიმინალპოლიტიკური პრინციპი, იურიდიული პრობლემა ეკუთვნის შემეცნების, ხოლო კრიმინალპოლიტიკური — ქმედობის დარგს; ერთი მოითხოვს მიზნებისაგან დამოუკიდებელ ახსნას (Erklärung), მეორე — მიზნებისაგან მიმართულ ნებისყოფის განხორციელებას (Willensbetätigung). სამაგიეროს მიზღვა არ შეიძლება იყოს ერთდამივე დროს როგორც შინაარსი, ისე მიზანი სასჯელისა. სამაგიეროს მიზღვა მიაჩნიათ სასჯელის „იდეად“, ამიტომ სათანადო თეორიები ღიად სტოვებენ საკითხს, თუ როგორ უნდა დაიხსაჯოს. ამ შეხედულებას აქვს თავისი პრაქტიკული შედეგები სასამართლო და საპატიმრო დაწესებულებებში. სასჯელის შეფარდების საქმეში სასამართლო თავისუფალია, თავისუფალია ამ სიტყვის უარესი მნიშვნელობით. სასჯელის აღსრულებაც თავისუფალია მიიღოს ესა თუ ის ღონისძიება, რადგან რა ღონისძიებაც არ უნდა მიიღოს საპატიმრო დაწესებულებათა ადმინისტრაციამ, ყოველთვის ადგილი ექნება სამაგიეროს მიზღვას¹.

მაიერი შენიშნავს, რომ კრიმინალპოლიტიკური პროგრამის განვითარება შესაძლოა მხოლოდ რელატიური თეორიების საფუძველზე. მაგრამ ამავე დროს იგი უარყოფს ამ თეორიების მისწრაფებას იკისრონ სასჯელის გამართლება (Rechtfertigung der Strafe). ისინი ხელს არ უწყობენ არც იურიდიულ და არც სამართლის ფილოსოფიის პრობლემის გადაჭრას; ისინი კრიმინალური პოლიტიკის თეორიებია და სხვა არაფერი, როგორც, მეორე მხრივ, აბსოლუტური თეორიები დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლევიან მხოლოდ იურიდიული ხასიათის კითხვაზე. ამით, — წერს მაიერი, — ნაგულისხმევია, რომ ტრადიციულად მიღებულ იდეებს აქვთ სხვადასხვა ფუნქციები, ისინი კი არ უნდა იქნას „შეერთებული“, არამედ „განაწილებული“ მათი განსხვავებული დანიშნულების, მოქმედების, ამოცანების მიხედვით².

ჩვენ შეეჩერდით მაიერის მოძღვრებაზე იმ მოსაზრებით, რომ იგი წარმოადგენს, სხვებისაგან განსხვავებით, ერთგვარად თავისე-

¹ დასახ. შრომა, 427.

² იქვე, 427.

ბურ კონსტრუქციას. იმ დროს როცა სხვა ავტორები ცდილობენ სხვადასხვა ცნებების შეერთებას, მაიერი „ანაწილებს“ ამ ცნებებს, იგი ლაპარაკობს „ამოცანის მრავალმხრივობის“ („Vielseitigkeit der Aufgabe) შესახებ.

მაიერი იკვლევს საერთო და სპეციალური პრევენციის საკითხს, რომელიც მას ესმის სასჯელით მუქარის და სასჯელის აღსრულების თეორიების მნიშვნელობით (Strafdrohungs- und Strafvollzugstheorien)¹.

პრევენცია, ე. ი. დანაშაულის წინასწარ აღდენა, სასჯელს უყენებს სხვადასხვა მოთხოვნებს. იმისდა მიხედვით, საერთოდ უნდა იქნას აცდენილი საზოგადოების წევრთა დანაშაული, თუ სპეციალურად გარკვეული პირისა, რომელსაც უკვე ჩადენილი აქვს რაიმე დანაშაული.

საერთო პრევენციის მოქმედება შეიძლება განხორციელდეს სასჯელის აღსრულების ან სასჯელის მუქარის გზით. პირველი პროგრამა, ე. ი. საზოგადოების დაშინება სასჯელის აღსრულების მეშვეობით ცალკეული პიროვნების მიმართ, მიღებული იყო შუა საუკუნეთა პრაქტიკაში და ტარდებოდა ცხოვრებაში „განათლების ეპოქამდე“. უმძიმესი სასჯელები სრულდებოდა საჯაროდ იმ მიზნით, რომ გამოეწვიათ მაყურებლებში შიში და გაეწიათ სამსახური გამაფრთხილებელი მაგალითის სახით.

საერთო პრევენციის მეორე თეორია — საზოგადოების დაშინება სასჯელის მუქარით, შეიცავს არა იმდენად ახსნას ან მოთხოვნას, რამდენად ფაქტის დადგენას, კონსტატაციას, რადგან ფსიქოლოგიურად უდავოა, რომ სასჯელის შიში ყოველთვის და ყოველგან ადამიანებს აკავებდა დანაშაულის ჩადენისაგან, ზოგჯერ როგორც ერთადერთი მოტივი, უფრო ხშირად კი — როგორც ერთ-ერთი მოტივი².

მაიერს უცნაურად ეჩვენება საერთო პრევენციის ამორჩევა სასჯელის თეორიის საფუძვლად. ამით, — ამბობს იგი, — ფსიქიკური ფაქტი, რომელიც ხსნის, თუ რატომ არ ჰქონდა ადგილი დასჯას. მითითებულია იმის გასაგებად, რატომ და რისთვის უფარდებენ სასჯელს. სასჯელის მუქარა, რა თქმა უნდა, არაა დადგენილი უმთავრესად ან მხოლოდ იმისათვის, რომ გამოიწვიოს მოქალაქეებში სთანადო მოტივები და როცა, სხვათაშორის, ეს ხდება, ამ მიზნის

¹ დასახ. შრომა, 428.

² იქვე, 428.

მნიშვნელობა ეკუთვნის სოციოლოგიის დარგს. საერთო პრევენციის იდეა სრულიად უძღურია კრიმინალოლოგიკური თვალსაზრისით; რადგან მის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს ის, რომ სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულისადმი ბიძგის მიმცემა მოტივის სიძლიერეს და არა ბრალის ხარისხს¹, რითაც აღიარებულია არა მარტო ეთიკურად მცდარი საზომი, არამედ გამოთქმულია ფსიქოლოგიურად მცდარი მოსაზრება — შიში სასჯელის მუქარის წინაშე დამოკიდებულია უფრო ნაკლებად სასჯელის მოსალოდნელ სიავზე, უფრო მეტად კი კრიმინალური პოლიციის უშიშროების ღონისძიებებზე. საერთო პრევენციის თეორიისათვის მთავარი, არსებითია ის, რომ სასჯელი აღსრულდეს, მაგრამ თუ როგორ შესრულდება იგი, ეს მეორეხარისხოვანი საკითხია².

აქედან, მაიერის აზრით, გასაგებია ის მკიდრო კავშირი, რომელიც არსებობს სამაგიეროს მიზღვასა და საერთო პრევენციას შორის³.

მამასადამე,⁴ მაიერის შეხედულებით, საკითხი იმის შესახებ, რომ სასჯელი მოქმედებს ადამიანთა ყოფაქცევაზე მოტივაციის გზით, ეკუთვნის სოციოლოგიის დარგს. აქედან სავსებით გასაგებია, რომ მაიერი იწონებს კელზენის სიტყვებს, რომ იურისტისათვის სამართლის ნორმას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ როგორც ინდივიდუალურ რეაქციას ცალკეული მართლწინააღმდეგობის მიმართ. თუ სამართლის ნორმას განიხილავენ მისი ადამიანთა მასაზე მოტივირების ძალის თვალსაზრისით, მისი უნარის თვალსაზრისით გამოიწვიოს ადამიანთა მართლზომიერი ყოფაქცევა, მაშინ ამგვარი სამართლის ცნება ღალატობს იურისტს სწორედ გადამწყვეტ მომენტში — სამართლის დარღვევის (უმართლობის — Unrecht) შემთხვევაში. ვინაიდან სწორედ ამ უკანასკნელის მიმართ სამართლის ნორმა თავისი მოტივების ძალის მხრივ ამჟღავნებს სრულ უძღურებას. სამართალი, როგორც მასების ფსიქოლოგიის ფაქტი, მისი რეალური მოქმედება ადამიანთა სულიერ ცხოვრებაზე, შეადგენს ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიურ კვლევა-ძიების საგანს⁵.

ასეთი აზრი სავსებით ბუნებრივი და გასაგებია იმ ავტორის მხრივ, რომელიც სამართალს უყურებს როგორც წმინდა ფორმალურ ცნებას, დამოუკიდებელს ფსიქოლოგიის და სოციალური ცხოვრების

¹ დასახ. შრომა, 429.

² იქვე, 429.

³ იქვე, 429.

⁴ Kelsen, Hauptprobleme..., 54.

ფაქტებისა და ურთიერთობებისაგან. მაგრამ იგი უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს მაიერის მოძღვრებაში, რომლის ძირითადი დებულების თანახმად სამართლის ნორმები კულტურის ნორმებს წარმოადგენენ და სისხლის სამართლის კანონმდებლობის დანიშნულებაა დაიცვას კულტურის ნორმები (Schutz von Kulturnormen)¹.

ვნახოთ, როგორ ახასიათებს მაიერი რეალური თეორიებს. როგორც აბსოლუტური თეორიები, — წერს იგი, — ენათესავენ საერთო პრევენციის ცნებას, ისე რეალური თეორიები — სპეციალურ პრევენციას, ვინაიდან ne peccetur უნდა გატარდეს პატიმარზე ზემოქმედების გზით. ამიტომ ყველა სპეციალური პრევენციის თეორიები სასჯელის აღსრულების პროგრამებია და, როგორც ასეთი, კრიმინალ-პოლიტიკური ბუნებისა: ისინი მიუთითებენ, თუ როგორ უნდა იქნას მოწყობილი სასჯელი იმისათვის, რომ გამოდგეს დანაშაულთან საბრძოლველად. ამის განხორციელება მხოლოდ მათ შეუძლიათ. მაგრამ რამდენადაც სპეციალური პრევენციის წარმომადგენელთ აქედან გამოჰყავთ სასჯელის ახსნა ან გამართლება, მათი პრეტენზია მოკლებულია საფუძველს².

დანაშაულის წინასწარ აცდენა შესაძლოა ან დამნაშავის უვნებელიყოფით, ე. ი. ხანგრძლივი ინტერნირებით, ან სიკვდილით დასჯით, ან გამოსწორებით, ან მისი დაშინებით. მაგრამ ცალმხრივი პრევენციის თეორია, რომელიც ამ სამი მიზნიდან ახდენს შერჩევას, განიცდის მარცხს დამნაშავეთა სხვადასხვაობის გამო. ვერც სასჯელის მიზნების კუმულაციის პრინციპი იძლევა დამაკმაყოფილებელ პასუხს; იგი დგას საწინააღმდეგო ამოცანების წინაშე³. მაიერის სიტყვით, სასჯელის მიზნების მხოლოდ განმანაწილებელ კომბინაციას შეუძლია თავიდან აიცილოს როგორც ცალმხრივობის ისე მრავალმხრივობის შეცდომები; განაწილების ცნებას მაიერი უკავშირებს დამნაშავეთა თავისებურებას⁴.

ამ თვალსაზრისით, წერს იგი, ლისტმა წამოაყენა დამნაშავეთა დაყოფა შემთხვევით და ჩვევით დამნაშავეებად. ლისტის პროგრამაში მაიერი ხედავს კავშირის შესუსტებას ქმედობასა და სასჯელს შორის და ამის შედეგად სამაგიეროს მიზლის უკანა პლანზე დაყენებას. უფრო მეტად, ვიდრე ეს შეესაბამება არსებულ მართლ-

¹ M. E. Mayer, Lehrbuch, 45.

² იქვე, 430.

³ იქვე, 431.

⁴ იქვე, 431.—“distributive Kombination der Strafzwecke“.

წესრიგს, მოქმედი პირი მიჩნეულია სასჯელის საგნად, ხოლო მისი სოციალური საშიშროება სასჯელის ზომად. ამგვარად „ქმედობა უნდა წარმოადგენდეს დანაშაულებრივი განწყობილების მხოლოდ სიმპტომს, მაშასადამე, იგი თავისთავად არაა ღირსი ყურადღებისა“¹.

აქამდის ჩვენ ვლაპარაკობდით მაიერის მიერ დაყენებულ ორ — ეურიდიულ და კრიმინალპოლიტიკურ — პრობლემაზე. პირველი ეხება სასჯელის შინაარსს, ხოლო მეორე — მის პრაქტიკულ მიზნებს. მაგრამ დარჩა კიდევ მესამე — სასჯელის გამართლების, ან, როგორც ამბობენ, დასჯის უფლების დასაბუთების საკითხი. როგორ უნდა მაიერი ამ უკანასკნელ საკითხს?

მიზანშეწონილების ყველა მოსაზრება, მაიერის სიტყვით, უვარგისია სასჯელის ან სასჯელის რომელიმე სახეობის გამართლებისათვის. მხოლოდ სამართლიანობის იდეას შეუძლია შეასრულოს ეს ამოცანა. მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ ეს აზრი? მაიერი განმარტავს, რომ „სამართლიანია მხოლოდ ის სასჯელები, რომლებიც ნაციონალური კულტურის მდგომარეობას შეესაბამება“².

გაბატონებული მოძღვრების თანახმად, ის სასჯელია სამართლიანი, რომელიც სამაგიეროს მიზლის იდეას შეესაბამება. ეს ფორმულა, ამბობს მაიერი, სწორია იმდენად, რამდენადაც სამაგიეროს მიზლის იდეა ემთხვევა ერთ მთავარ პუნქტში ხალხის მართლშეგნებას: ორივე მოითხოვვენ ბრალისა და სასჯელის პროპორციულობას³. სამაგიეროს მიზლვა უმკიდროეს კავშირში იქნებოდა სასჯელის გამართლებასთან, რომ შესაძლო იყოს მისგან მითითების მიღება, თუ როგორ უნდა დადგინდეს ეს პროპორცია. მაგრამ ეს ასე არაა. სამაგიეროს მიზლის თეორია შეიცავს პოსტულატს, მაგრამ არ იძლევა მის შესრულებას, იგისრულიად არ იძლევა ცოდნას ბრალისა და სასჯელის ოდენობის შესახებ. აღნიშნული პროპორციის დასადგენად საჭიროა განსაზღვრული კულტურული იდეალით ხელმძღვანელობა. ამგვარად, სამაგიეროს მიზლვა არ წარმოადგენს გამართლების პრინციპს, იგი მხოლოდ ფაქტია, რომელიც თვითონ საჭიროებს გამართლებას. როგორც მთელი სისხლის სამართლის კანონმდებლობა წარ-

¹ დაახ. შრომა, 432. მაიერი სწორად შენიშნავს, რომ ეს შეადგენს ეგზოტე-
წოდებულ კლასიკური და სოციოლოგიური სკოლების წინაღმდეგობის სა-
ფუძველს.

² იქვე, 435.

³ იქვე, 437.

მოადგენს კულტურის ნორმების აღიარებას, ისე კერძოდ პროპორციის წამოყენება დამყარებულია კულტურის ღირებულებათა აღიარებაზეო — წერს მაიერი¹.

მაგრამ მაიერს ავიწყდება, რომ კულტურა და კულტურული ღირებულებანი ერთდამივე საზოგადოების ფარგლებში და მით უფრო, სხვადასხვა ხალხთა ცხოვრებაში გაგებულია სხვადასხვა შინაარსით და მნიშვნელობით. თავისი აზრის საილუსტრაციოდ მაიერს მოჰყავს დე ლა ბარის მაგალითი, რომელსაც XVIII საუკუნეში რელიგიური დანაშაულისათვის მიუსაჯეს ცოცხლად დაწვა, ხოლო XX ს. დაუდგეს ძეგლი ეკლესიის წინ. მის თანამედროვეებს ცეცხლში დაწვა მიაჩნდათ სამართლიან სამაგიეროს მიზლად, მათ ჩამომავლობას კი ეს ძეგლი — სამართლიან ქება-დიდებად. მაიერი ამაში ხედავს „ცვალებადი კულტურის უზენაესობას“ („Souveränität der wandelbaren Kultur“²). მაიერს მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ XX საუკუნეში ხშირად ივიწყებენ „კულტურას“ და ეგრეთწოდებულ ცივილიზებულ ხალხებს პრაქტიკაში შემოაქვთ წესები, რომლებიც შორეულ ხანას, შუა საუკუნეების საზოგადოებრივ წყობილებას ეკუთვნოდნენ, ფეოდალურ იუსტიციას ახასიათებდნენ. სინამდვილეში ესეც ხომ „ცვალებადი კულტურის“ გამოვლენაა!

საერთოდ რომ შევაფასოთ მაიერის თეორია, უნდა ვთქვათ, რომ იგი ძირითადად იმეორებს იმ შეხედულებებს, რომლებიც მიღებულია ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში. როგორც ბურჟუაზიულ ავტორთა უმრავლესობას, მაიერსაც, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცდილობს გაატაროს სასჯელის ამოცანების „განაწილების“ ცნება, სასჯელის შინაარსად მაინც სამაგიეროს მიზლად მიაჩნია. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბრალისა და სასჯელის თანაზომიერების, პროპორციულობის საფუძვლად მაიერი აცხადებს კულტურის ნორმების აღიარებას, რომელიც მოცემულია ხალხის მართლმეგნებაში; ხალხის მართლმეგნება კი გამოხატავს განსაზღვრულ კულტურას სამართლის საკითხებში. ამგვარად, მაიერი სასჯელის ცნებას სამართლის ზოგადი თეორიის ცნებათა წრეს უკავშირებს.

¹ დასახ. შრომა, 438.

² იქვე, 438.

გერმანელ იურისტს ნაგლერს ეკუთვნის მონოგრაფიული შრომა, რომელიც სასჯელის პრობლემისადმი არის მიძღვნილი¹.

ნაგლერი აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის დარგი თავის სახელწოდებასა და თავისებურებას ლებულობს სასჯელისაგან **Strafrecht**. ბრალეული მართლწინააღმდეგი ფაქტი და მისი სამართლებრივი შედეგი შეადგენენ ერთად საფუძველს, რომელზეც აგებულია სისხლის სამართლის სისტემა. მრავალ საუკუნეთა მუშაობის შედეგად როგორც იუსტიციის, ისე მეცნიერების ხაზით უნდა გვეფიქრა, რომ ამ დარგის ძირითადი ცნებები საბოლოოდ იქნებოდა გამორკვეული. მაგრამ ეს მიზანი აქამდის არაა მიღწეული — წერს ნაგლერი². ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ძველი დავა სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის დარღვევის გამიჯვნის შესახებ. მოძღვრება დანაშაულზე დღესაც იწვევს დიდ დავას, მაგრამ ერთგვარი მტკიცე ძირითადი შეხედულებანი მაინც არის ჩამოყალიბებული. სასჯელის ცნება კი არაა აქამდის დადგენილი, რაც ჰქმნის უცნაურ შთაბეჭდილებას, ვინაიდან სასჯელი წარმოადგენს ყველაზე უფრო თვალსაჩინო სამართლებრივ და სოციალურ მოვლენას. სიტყვა — „სასჯელის“ შინაარსი თითქოს ყველასათვის გასაგებია, მას ხმარობენ ყოველდღიურ ცხოვრებაში, სამართლის ენაზეც იგი იწვევს გარკვეულ წარმოდგენებს. ლიპმანი ფიქრობდა, რომ, მიუხედავად სასჯელის მრავალი სხვადასხვა განსაზღვრებისა, გაცხარებული მოწინააღმდეგენიც კი უკვე დიდი ხანია შეთანხმდნენ საკითხის ძირითად გაგებაში. მაგრამ ნაგლერი არ იზიარებს ამ აზრს. ვინც, — ამბობს იგი, — დაკვირვებით შეისწავლის საკითხს, შეამჩნევს, რომ შეთანხმება ამ დარგში ჯერ კიდევ შორს არის და, გარდა ამისა, ძალიან მცირე წინასწარი შრომაა ჩატარებული დაყენებული საკითხის გასაშუქებლად და დასადგენად³.

ნაგლერი ასხვავებს სასჯელის სხვადასხვა სახეებს. საერთოდ, მისი სიტყვით, სასჯელი წარმოადგენს რეაქციას დანაშაულის მიმართ. მას უდავოდ მიაჩნია, რომ სასჯელი არაა პირველადი მოვლენა, უფრო მისაღებია, რომ იგი საწინააღმდეგო მოქმედებაა იმ ფაქტის მიმართ, რომელიც განცდილია როგორც საზოგადოდ მავნე. მაშასადამე, მისი გაგება და შინაარსობრივად განსაზღვრა შესაძლოა

¹ Nagler, Die Strafe, 1918

² იქვე, 1.

³ იქვე, 2.

წინაღ მომხდარი მოქმედების მიხედვით. ყველა აქამდის წამოყენებული შეხედულება და ფილოსოფიური კონსტრუქციები ერთმანეთს ეთანხმებიან იმაში მაინც, რომ სასჯელს აქვს რეაქციის ბუნება. ნაგლერი ასახელებს სასჯელის შემდეგ სახეებს: ბუნებრივს, მორალურს, სოციალურს და რელიგიურს¹. მაგრამ სამართლებრივ სასჯელს აქვს თავისებური, სპეციფიკური ნიშნები. რით ხასიათდება, ნაგლერის მიხედვით, სასჯელი ამ უკანასკნელი მნიშვნელობით?

სასჯელი, — წერს ნაგლერი, — წარმოადგენს თავისებურ სამართლებრივ მოვლენას ვნების ანაზღაურების ან პრევენციის ინსტიტუტების გვერდით. მისი სახელმძღვანელო აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ფსიქოლოგიური რეაქცია, რომელსაც იწვევს საზოგადოებაში სამართლის კონკრეტული დარღვევა, შეადგენს სამაგიეროს მიგების საგანს და ზომას. თანასწორის მიგებით (die Ausgleichung) მოცემულია სასჯელის მუდმივი ელემენტი. იგი გამოცხადებულია კანონით, დადგენილია სასამართლო განაჩენით და განხორციელებულია აღსრულებით. ამით მტკიცდება სასჯელის ცნების შინაგანი ერთიანობა: სასჯელის მუქარის, შეფარდების და აღსრულების შინაარსი ყოველთვის ერთი და იგივეა. შესაძლოა, საერთო სიტყვათხმარების მიხედვით, სასჯელის ცნების მიკუთვნება მხოლოდ აღსრულების მომენტისათვის და ამას აქვს ერთგვარი საფუძველი, რამდენადაც იგი წარმოადგენს სასჯელის განხორციელებას ცალკეულ შემთხვევაში; მაგრამ დოგმატურად იგი მოკლებულია დამოუკიდებლობას, ვინაიდან იგი დასჯის მოთხოვნას მხოლოდ ცხოვრებაში ატარებს². უკვე კრაუზემ სასჯელის აღსრულებას „მსჯავრის განგრძობა“ უწოდა.

ნაგლერი აღნიშნავს, რომ ტერმინი „სასჯელი“ გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში სხვადასხვანაირად არის გაგებული. საერთოდ კი იგი ნიშნავს სამართლის ბრალეული დარღვევის ექვივალენტს.

გარდა ამისა, იგი იხმარება სპეციალური აზრით, როგორც დასჯის კონკრეტული საშუალება — თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა და სხვ. ექვივალენტის მომენტი გამოთქმულია სასჯელის მთელი მოვლენის ცალკეულ ნაწილებში:

ა) სასჯელის დაწესება — ექვივალენტი მოცემულია თვით კანონში,

¹ დასახ. ნაშრომი, 40.

² იქვე, 559.

ბ) სასჯელის შეფარდება — ექვივალენტი მოცემულია მსჯავრის სახით,

გ) სასჯელის აღსრულება — ექვივალენტის განხორციელება¹.

ამგვარად, თანასწორობის საწყისი გატარებულია ყველა საფეხურზე, დაწყებული კანონით და აღსრულებით გათავებული. აქ საქმე გვაქვს ერთიან სამართლებრივი ხასიათის პროცესთან, რომელიც გამსჭვალულია ერთი იდეით.

სამართლებრივი სასჯელის ძირითად პრინციპად (Grundprinzip) ნაგლერს სამაგიეროს მიზლვა მიაჩნია. სამაგიეროს მიზლვა უკავშირდება სიამოვნების ან უსიამოვნების გრძნობას, რომელიც წარმოიშვა დარღვეული მდგომარეობის საფუძველზე და მოითხოვს ამ უკანასკნელის აღდგენას სათანადო რეაქციის გზით. ამასთანავე მარტო პასუხის გაცემა დარღვევის შინაარსის შესაბამისი მოქმედებით არ კმარა, საჭიროა ვიდრე, რომ ამას ერთვოდეს წარმოდგენა პასუხის თანასწორღირებულების შესახებ. მაგრამ თანასწორღირებულება (Gleichwertigkeit) არ ნიშნავს იმავე ფორმით გამოსახვას (Gleichförmigkeit), სამაგიეროს მიზლვა შეესაბამება სიტყვებს reddere, recompensare.

აქედან ნაგლერს გამოჰყავს დასკვნა, რომ სასჯელი არ უნდა იქნას გაგებული უარყოფით შეფასების მნიშვნელობით, როგორც ეს ესმის ბარს. ვაკიციხვა უკავშირდება უკვე დანაშაულის დადგენის უბრალო ფაქტს, ვინაიდან მართლწინააღმდეგობის და ბრალის ცნებები უკვე თავისთავად შეიცავენ მომხდარის დაგმობას. მიზლვა კი ნიშნავს ბევრად უფრო მეტს, ვიდრე ეს ლოგიკური ოპერაციაა — წერს ნაგლერი. ნაგლერის მსჯელობა სწორი არაა: დაგმობა, ვაკიციხვა მხოლოდ ლოგიკური ოპერაცია არაა. მიზლვის აქტი, — განაგრძობს ნაგლერი, — უარყოფით მსჯელობას ანხორციელებს პრაქტიკულად და ამ გზით უშუალოდ იკრება დამნაშავის სიკეთეთა სფეროში. რა თქმა უნდა, დაგმობა, დაწუნება სასჯელისათვის აუცილებელია, იგი ნიშნავს საერთოდ მომხდარი ფაქტის სამართლებრივ შეფასებას და სამართლისაგან გადახვევის სიმძიმეს, მაგრამ ამით სრულიადაც არ ამოიწურება სასჯელის არსი².

¹ დასახ. ნაშრომი, 559.

² იქვე, 562.

³ იქვე, 565.

სასჯელის უშუალო მიზანია ბრალისათვის გადახდა, მიზღვა (Schuldentgeltung), არც მეტი და არც ნაკლები. თავისთავად ამას უკავშირდება სამართლის განმტკიცებისათვის სასარგებლო შედეგები. საშიში მდგომარეობის მოხსნა, თავიდან აცილება არ შეადგენს მის საფუძველს; საერთო პრევენციაც არ შეადგენს მის საფუძველს; საერთო პრევენცია არაა სასჯელის ამოცანა. მაგრამ ნაგლერი ერთგვარად მაინც ცნობს საერთო პრევენციას, „რამდენადაც სამაგიეროს მიზღვაზე აგებული სასჯელის ინსტიტუტი, როგორც მთლიანობა, ემსახურება მართლწესრიგს“¹.

სამაგიეროს მიზღვის შინაარსი სამართლებრივი ხასიათისაა. აქ საქმე ეხება „მხოლოდ საყოველთაო, სამართლის სხვა დარგებშიც მოქმედი სამართლებრივი პრინციპის გამოყენებას სამართლებრივი მოვალეობის ბრალეული დარღვევის მიმართ“². მართლწესრიგის პასუხი მომხდარ ხელყოფაზე სწარმოებს სამართლებრივი საშუალებების გზით, სახელდობრ უფლებების შექცევის, შემცირების გზით.

მხოლოდ თანასწორით მიზღვის აზრი (Ausgleichsgedanke) ანიჭებს სასჯელის ინსტიტუტს სიმტკიცეს, ითვალისწინებს რა დანაშაულს, როგორც საფუძველს და იმავე დროს ბრალს, როგორც რეაქციის საზომს. ძალაშია ორი დებულება: „სასჯელის დადება შეიძლება მხოლოდ ბრალისათვის“ და „სასჯელის ზომა ბრალს უნდა შეესაბამებოდეს“. იმის წყალობით, რომ სასჯელი დაკავშირებულია ხალხის გრძნობასთან, იგი დებულებს სამართლიანობის ფართო დასაყრდენს, რომელიც მისი ხანგრძლივობის და სასარგებლო მოქმედების წინაპირობას წარმოადგენს.

მაგრამ თუ ასეთია სასჯელის ძირითადი საწყისი, რა ურთიერთობა აქვს მას პრაქტიკულ მიზნებთან? შეიძლება თუ არა სამაგიეროს მიზღვის შეთანხმება პრევენციის ცნებასთან?

ნაგლერი აღნიშნავს, რომ სამაგიეროს მიზღვა არაა გაქვავებული ნორმა, რომელიც მოითხოვს, რომ სადაც კი უნდა მოხდეს სამართლის ბრალეული დარღვევა, უსათუოდ მას უნდა მოჰყვეს დაუნდობელი სასჯელი. მართლწესრიგი სჯის არა მარტო იმიტომ, რომ დააკმაყოფილოს თანასწორით მიზღვის მოთხოვნილება. სამაგიეროს მიზღვა არ იძლევა ისეთ ფორმულას, რომელიც თითქოს ითვალისწინებდეს სასჯელის დაწვრილებით ორგანიზაციას ყველა მისი კონკრეტული ფორმით. ანდა გარეგან მექანიზმს, რომელიც მოითხოვს

¹ დასახ. ნაშრომი, 567.

² იქვე, 568.

კაცობრიობის ცხოვრების ავტოკრატიულად მოწესრიგებას. ამგვარად, ნაგლერის მოძღვრებაში Vergeltung-ის გვერდით ადგილი აქვს დათმობილი მიზნობითს მომენტსაც. სამაგიეროს მიზლვა, ნაგლერის განცხადებით, არაა თვითმიზანი, გაგებული სიამოვნების გრძნობის დაკმაყოფილების აზრით, იმის გამო, რომ აღდგენილია დარღვეული სამართლის წონასწორობა: სასჯელი ეფარდება არა მარტო სამაგიეროს მიზლისათვის. როგორც ადამიანის ყოველი მოქმედება ისახავს ამა თუ იმ მიზანს, ისევე სასჯელს ხელმძღვანელობას უწევს გარკვეული მიზნის წარმოდგენა. მართლწესრიგს არ შეუძლია უარი თქვას საერთოდ მართლმსაჯულებაზე. სამაგიეროს მიზლის ფსიქოლოგიური საფუძვლები იძლევიან მიმართულების ფართო ხაზებს; სასჯელის შეფარდება შეიძლება მხოლოდ დადგენილ ფარგლებში, დანარჩენში იგი მოძრაობს თავისუფლად. თუ როგორ მოაგვარებს სახელმწიფო სასჯელის საქმეს კერძო შემთხვევებში, ეს საკითხი გადაწყდება აღნიშნულ ფარგლებში კრიმინალური პოლიტიკის მოსაზრებათა მიხედვით, ე. ი. წმინდა სარგებლიანობის საფუძვლებზე¹.

მაშასადამე, ნაგლერის სისტემაში ვხვდებით ორივე მომენტს: სამაგიეროს მიზლვას და სარგებლიანობის საწყისს; მას ორივე საჭიროდ მიაჩნია. მათი ურთიერთობა მას წარმოდგენილი აქვს როგორც ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი ის და ფ ო რ მ ი ს ურთიერთობა, მაგრამ ხელმძღვანელობა მაინც პირველს ეკუთვნის. მიზანშეწონილება სამაგიეროს მიზლის გარეშე მხოლოდ ფორმაა. ღონისძიებას, რომელიც პოლიტიკურ მიზანს დაისახავდა სამაგიეროს მიზლის გარეშე, არ ექნებოდა სასჯელის ხასიათი, ვინაიდან მას არ ექნებოდა კავშირი ხალხის მართლშეგნებასთან. ნაგლერი აყენებს კითხვას: რატომ უარყოფთ ობიექტურ შერაცხვას, როგორც კულტურის საწინააღმდეგოს? რატომ ვაღიარებთ სასჯელის პიროვნულ ხასიათს? პრევენციის თვალსაზრისით უარყოფილი აქტი გასაგები და გამართლების ღირსი იქნებოდა; საჯარო სარგებლობა ხშირად მოითხოვდა ცალკეულ პირთა მსხვერპლს. მაგრამ თავის მართლშეგნებაში მძიმედ შეურაცხყოფილი ხალხი მთელი ძალით წინ აღუდგებოდა ამგვარ ტირანიასო — წერს ნაგლერი².

საგულისხმოა, რომ ამ ავტორის შენიშვნით, თვით სამაგიეროს

¹ დასახ. ნაშრომი, 581.

² იქვე, 582.

მიზღვა უშუალოდ შეიცავს გარკვეული მიზნის წარმოდგენებს¹. სხვა ადგილას იგი წერს: თვით სასჯელის აბსოლუტურმა თეორიებმა ვერ შეძლეს უკანასკნელი დასკვნების გამოტანა. ისინი ყოველთვის პრაქტიკული ხაზით მნიშვნელოვან დათმობაზე მიდიოდნენო².

თავის შრომაში ნაგლერი გულმოდგინედ იკვლევს სასჯელის თეორიების ისტორიულ განვითარებას და აგრეთვე სათანადო კანონმდებლობას ისტორიის სხვადასხვა პერიოდების მიხედვით. როგორც ჩანს ავტორის მიერ მოყვანილი მასალებიდან, მთავარი ადგილი უკავიათ იმ თეორიებს, რომელთაც შემაერთებელი თეორიები ეწოდება. თვით ნაგლერის მოძღვრება ამ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნება. იგი ცდილობს შეარიგოს სამაგიეროს მიზლის და მიზანშეწონილების საწყისები: პირველი განსაზღვრავს დანაშაულისა და სასჯელის პროპორციულობას, თანაზომიერებას, ხოლო მეორე შეავსებს იმ ჩარჩოებს, რომლებიც სამაგიეროს მიზლით არის დადგენილი³.

4

ფ რ ა ნ გ უ ლ იურიდიულ ლიტერატურაშიც თეორიების უმრავლესობა ეკუთვნის ეგრეთწოდებულ შემაერთებელ ჯგუფს. დაწყებული როსით, რომელიც მოღვაწეობდა გასული საუკუნის პირველ ნახევარში, მთელი XIX საუკ. და მიმდინარე საუკუნის განვლილი პერიოდის განმავლობაში ჩვენ ვხვდებით უპირატესად მოძღვრებებს, რომლებიც თავის მიზნად ისახავენ საწინააღმდეგო ცნებების — სამართლიანობის და სარგებლობის — შერიგებას.

ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა თვით როსი, რომლის მოძღვრებაში მთავარ როლს ასრულებს სამართლიანობის იდეა. მაგრამ სამართლიანობის გარდა მართლმსაჯულება ხელმძღვანელობს სარგებლობის მოსაზრებით, რომელიც შეადგენს სამართლიანობის საზღვარს. მაშასადამე, ადამიანის მართლმსაჯულება ახორციელებს ორივე საწყისს, სასჯელი ერთდროულად ემსახურება როგორც სამართლიანობის, ისე სარგებლობის იდეას. სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი, ე. ი. იგი უნდა შეეფარდოს მორალურად დასაგმობ ქმედობას და იმას, ვინც ბრალეულად ჩაიდინა ეს ქმედობა, იგი უნდა იყოს პროპორციული არა მხოლოდ ქმედობის სიმძიმის, არამედ მისი ჩამდენი პირის მანკიერებისა⁴. შემდეგ, მას უნდა შეეძლოს დანაშაულთა წინასწარ აცდენა. როსის სიტყვით, დანაშაულის

¹ დასახ. შრომა, 581.

² იქვე, 584.

³ იქვე, 598.

⁴ Rossi, Traité du droit pénal, 1829, t I, p. 292.

წინასწარ აცდენა — ესაა სასჯელის შედეგი, ეს არაა მისი პრინციპი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ ივიწყებს სასჯელის პრაქტიკულ მიზნებს, მის რეალურ შედეგებს.

ა. ფრანკი, იხილავს რა როსის შეხედულებას, ამტკიცებს, რომ ის, როგორც ამ სკოლის სხვა წარმომადგენელთა (კუზენის და გიზოს) შეხედულებანი, გამომდინარეობს უშუალოდ კანტის მოძღვრებიდან¹. ამ აზრის უსაფუძვლობა აშკარაა. როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ როსის შეხედულება უშუალოდ კანტის მოძღვრებიდან გამომდინარეობს, როდესაც როსი არ ივიწყებს სასჯელის უტილიტარულ მიზნებს, ხოლო კანტი, როგორც ჩვენ ვნახეთ, თავისი სისტემიდან სრულიად გამორიცხავს ყველაფერს, რაც კი სარგებლობის რაიმე ნიშანს ატარებს.

მეორე ფრანგი კრიმინალისტი, ორტოლანი, თავისი ძირითადი შეხედულებით უახლოვდება როსის. ორტოლანიც აღიარებს, — სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს, რომ დამნაშავეს უნდა მიეზღოს მისი ქმედობის შესაბამისად, მისი ბრალის პროპორციულად. მაგრამ ამით ჯერ კიდევ არაა დასაბუთებული დამნაშავეს დასჯის უფლება; დასჯის უფლება გამოყვანილი უნდა იქნას სარგებლობის საწყისიდან. სასჯელის მიზანია საზოგადოებრივი კეთილდღეობის დაცვა; მაგრამ ამ მიზანს ისახავენ საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა ღონისძიებანიც. ამ უკანასკნელთაგან სასჯელის ზომები განსხვავდებიან იმით, რომ დანაშაულის ჩამდენს აყენებენ გარკვეულ სიღვეს².

ამგვარად, ორტოლანის თეორიაც შემაერთებული მიმართულების ნიმუშს წარმოადგენს; ისიც ცდილობს შეარჩოს სამართლიანობის მოთხოვნა და უტილიტარული მიზნები.

ჩვენ დავახსიათებთ მიმდინარე საუკუნის ფრანგი კრიმინალისტების, გაროს და ვიდალის³ შეხედულებებს.

გაროს შეხედულებით, სასჯელის სოციალური დანიშნულება არაა იმ სიღვის გამოხსენება, რომელიც მან ჩაიდინა, სასჯელი მხოლოდ სოციალური დაცვის იარაღია („l'instrument de défense sociale“)⁴.

¹ Ad. Frank, Philosophie du droit pénal, 1880. 80.

² Ortolan, Eléments du droit pénal, 1886, t. 2.

³ თანამედროვე ფრანგი კრიმინალისტის დონდიე დე ვაბრის შეხედულების დახასიათება იხ. ამ შრომის მეხუთე თავში, სადაც განმარტებულია სასჯელისა და სოციალური დაცვის ღონისძიებათა ურთიერთდამოკიდებულება.

⁴ R. Garraud, Précis de droit criminel, 1926, p. 15.

გარო აყენებს კითხვას: აქვს თუ არა საზოგადოებას დასჯის უფლება? და თუ აქვს, რა პირობებში? ყოველ საზოგადოებას, ამბობს იგი, აქვს სოციალური ზნეობის მინიმუმი, რომლის პატივისცემა საზოგადოებრივი წყობილების არსებობის პირობას წარმოადგენს; სწორედ ეს მინიმუმი არის უზრუნველყოფილი სასჯელის გზით. სასჯელი არის სოციალური დაცვის აუცილებელი ფუნქცია, ურომლისოდ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეკარგება საფუძველი. რებრესის წყარო და ახსნა უნდა ვეძიოთ დანაშაულით გამოწვეულ სხვადასხვა გრძნობებში და ამ გრძნობების დაქმყოფილების აუცილებლობაში, რათა აღდგენილ იქნას დამნაშავეს მიერ შელახული საჯარო მშვიდობიანობა. ეს გრძნობებია: შიში ახალი დანაშაულის ჩადენისათვის თვით დამნაშავეს ან სხვა პირების მიერ, სიძულვილი დამნაშავეს მიმართ, შურისძიების სურვილი, მაგრამ ეს გრძნობები ჩაყენებულია გარკვეულ ჩარჩოებში: ისინი შენელებულია სამართლიანობის გრძნობით. სახელმწიფოს კოორდინაციაში მოჰყავს ეს განსხვავებული მორალური და უტილიტარული ხასიათის რეაქციები და ამ გზით იგი ახორციელებს დასჯით პოლიტიკას.

გარო ასხვავებს პასუხისმგებლობის სამ სახეს: მორალურ, ფიზიოლოგიურ და სოციალურ პასუხისმგებლობას. რებრესია არის სოციალური დაცვის აქტი, მაგრამ იგი სამართლიანია მაშინ, როდესაც ეფარდება პასუხისმგებელ ინდივიდს.

მორალური ანუ მეტაფიზიკური პასუხისმგებლობა გულისხმობს ნებისყოფის თავისუფლებას. ცხადია, — წერს გარო, — რომ ადამიანი შეიძლება მორალურად პასუხისმგებელი იყოს მხოლოდ თავისუფალი მოქმედებისათვის. ფიზიოლოგიურ პასუხისმგებლობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა ინდივიდი ფსიქიურად ჯანმრთელია. სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი ისმის მხოლოდ მაშინ, როდესაც ფიზიოლოგიური პასუხისმგებლობის საკითხი უკვე დადებითად არის გადაწყვეტილი. სოციალური პასუხისმგებლობა განპირობებულია იმ საშიშროებით, რომელსაც ინდივიდი წარმოადგენს საზოგადოებისათვის (*culpabilité* ან *témibilité*)¹. ეს საშიშროება გამოიხატება როგორც ჩადენილი ქმედობის ბუნებით, ისე მისი გამომწვევი ანტი-სოციალური მოტივების ხასიათით².

კანონმდებლობისათვის, რომელიც განსაზღვრავს სასჯელის ბუნებასა და მის ფარგლებს და მოსამართლისათვის,

¹ R. Garraud, Précis de droit criminel. 1926, p. 15.

² იქვე, 19.

რომელიც მას უფარდებს, ნაკლები მნიშვნელობა აქვს რეპრესიის პროპორციის დადგენას მორალურ პასუხისმგებლობასთან, ვიდრე მის გაზომვას იმ საშიშროების მიხედვით, რომელსაც დამნაშავე წარმოადგენს საზოგადოებისათვის (*témibilité*-ს მიხედვით)¹.

რა მიზანი აქვს სასჯელს? ყოველ საზოგადოებაში დანაშაული, რომელიც ანტისოციალური აქტია, იწვევს ორგვარ რეაქციას.

მორალური ხასიათის რეაქცია მდგომარეობს იმაში, რომ დანაშაული წარმოშობს შურისძიების მოთხოვნის იდეას, გამოსყიდვის (*d'expiation*) სურვილს. ეს გრძნობები დაკმაყოფილებულია სასჯელის სიძვირით, წვალებით, რომელიც რეპრესიის არსს შეადგენს.

უტილიტარული ხასიათის რეაქცია გამოიხატება პრევენციის სახით, რომელსაც აქვს ორგვარი შედეგი: პრევენცია დამნაშავეს და საზოგადოების სხვა წევრების მიმართ. როგორც დამნაშავეს, ისე საზოგადოების ინტერესების თვალსაზრისით სასჯელი წარმოადგენს საშუალებას, და არა მიზანს. სასჯელი თვითმიზანი არაა, იგი მხოლოდ საშუალებაა გარკვეული შედეგების მისაღწევად და ამ შედეგებით უნდა იხელმძღვანელოს ყოველმა საზოგადოებამ რეპრესიის ორგანიზაციის საქმეში. ამასთან დაკავშირებით გაროს მოჰყავს ის განსხვავება დამნაშავეთა შორის, რომელიც მიღებულია გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში — შემთხვევით დამნაშავენი, რომლებზეც ზემოქმედებას ახდენენ დაშინების ან გამასწორებელი ზომების მიღების გზით და პროფესიული ან ჩვევითი დამნაშავენი, რომელთა მიმართ გამოიყენება ელიმინაცია (*„élimination plus ou moins complète“*)².

გარო აღიარებს ნებისყოფის უფარდებით თავისუფლებას, რომელიც, მისი ზიტყვით, საკმარისია „ინდივიდუალური მორალური პასუხისმგებლობის“ დასასაბუთებლად; საერთო კანონების მოქმედების ჩარჩოებში „ნორმალური ადამიანი ინარჩუნებს დამოუკიდებლობის ზომას და რეაქციის ძალას“, ადამიანის ყოველი აქტი შეიცავს როგორც თავისუფლების, ისე აუცილებლობის ელემენტს³.

სასჯელის პრობლემის ანალიზის დროს გარო იჩენს ერთგვარ მერყევობას. სასჯელი მას მიაჩნია სოციალური დაცვის ფუნქციად, მაგრამ ამავე დროს იგი მას მორალური ხასიათის მიზნებსაც უსახავს.

¹ დასახ. ნაშრომი, 19.

² იქვე, 27.

³ იქვე, 185.

ფრანგი კრიმინალისტი ვიდალი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლად თვლის ნებისყოფის „შეზღუდულ თავისუფლებას“ („la liberté limitée“), ყოველ ადამიანში არის თავისუფლების და აუცილებლობის ელემენტი: ადამიანი თავისუფალია, რამდენადაც მას აქვს შესაძლებლობა ამოირჩიოს მოტივებს შორის, იგი ემორჩილება აუცილებლობას თავისი წარმოშობის, რასის, ეპოქის მიხედვით; ყველაფერი ეს ახდენს გავლენას მის ხასიათზე და განსაზღვრავს მისი არჩევანის მიმართულებას¹.

ამგვარად, ვიდალი იმეორებს იმ კონცეფციას, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია ფრანგულ ლიტერატურაში².

ვიდალის განმარტებით, სასჯელი არის სიკვდილი, რომელსაც საზოგადოების სახელით და სასამართლო განაჩენის საფუძველზე უფარდებენ დანაშაულის ჩამდენს, ვინაიდან მას მიუძღვის ბრალი და იგი სოციალურად პასუხისმგებელია ამ დანაშაულისათვის³.

იმ ფილოსოფიური სისტემის მიხედვით, რომელსაც იზიარებენ, სასჯელი განხილულია ან როგორც ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვის (d'expiation) საშუალება, ანდა როგორც სოციალური დაცვის ღონისძიება, რომლის დანიშნულებაცაა წინასწარ აიცილინოს მომავალში დანაშაულის განმეორება როგორც თვით მსჯავრდადებულის, ისე სხვების მიერ. მისი ბუნება, სიმძიმე, ინტენსიობა განიზომება სკოლების მიხედვით, დანაშაულის ბუნებით და სიმძიმით (კლასიკური სკოლა), დამნაშავის საშიშროებით — témibilité, redoutabilité (პოზიტიური სკოლა — école positiviste). ანდა ორივეთი ერთად (école éclectique)⁴.

ვიდალი განიხილავს სასჯელებს სხვადასხვა თვალსაზრისით. მათი მიზნის თვალსაზრისით, სასჯელები უნდა იყოს:

1. საერთო პრევენციული (exemplaires).

2. მტკივნეული (afflictives), ე. ი. დამნაშავისათვის სიკვდილის მიმცემი, რაც უნდა იყოს პროპორციული დანაშაულის სიმძიმის და მოქმედი პირის მანკიერებისა (perversité de l'agent).

3. გამასწორებელი, რომელიც გულისხმობს დამნაშავის ზნეობრივ გადახალისებას (სპეციალური პრევენცია)⁵.

¹ G. Vidal, Cours de droit criminel et de science pénitentiaire, 1921, 172

² იხ. Prins, Science pénale et droit positif.

³ Vidal, დასახ. შრომა, 592.

⁴ იქვე, 596.

⁵ იქვე, 597.

მათი კანონიერების თვალსაზრისით სასჯელები უნდა იყოს:

1. კანონიერი, ე. ი. დადგენილი მხოლოდ კანონით.

2. მორალური, ე. ი. არ უნდა შელახავდეს ზნეობას და საზოგადოებრივ ზნეობებს.

3. პიროვნული, იგი უნდა შეეხებოდეს უშუალოდ მხოლოდ ბრალდულ პირს¹.

მათი ზომის მიხედვით სასჯელები უნდა იყოს:

1. დანაშაულის და დამნაშავეის პასუხისმგებლობის პროპორციული. საინტერესოა, თუ როგორ ესმის ეიდალს ეს მოთხოვნა. სასჯელისა და დანაშაულის პროპორციის დასადგენად, — წერს იგი, — კანონმდებელმა უნდა დაიწყოს დანაშაულთა კლასიფიკაციით და მათი ურთიერთ სიმძიმის დადგენით და იბეჭდებდენალოს სოციალური აუცილებლობის და სამართლიანობის საწყისებით. სასჯელისა და დამნაშავეის პასუხისმგებლობის პროპორციის დადგენის საქმე კანონმდებელმა, რომელსაც არ შეუძლია წინასწარ იცოდეს დამნაშავეის ხასიათი და პიროვნება, უნდა გადასცეს მოსამართლეს, რომელსაც შეუძლია, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, კონკრეტულად შეაფასოს დასჯადობის აღნიშნული საწყისები. მაშასადამე, აუცილებელია, რომ კანონმდებელმა ნება დართოს-მოსამართლეს შეცვალოს სასჯელი ცალკეული დანაშაულისათვის. ამ მიზნით არის დაწესებული სასჯელის minimum-ი და maximum-ი, რომლის ფარგლებში მოსამართლეს შეუძლია იმოძრაოს და შეუფარდოს სასჯელი მოცემული კონკრეტული შემთხვევის თავისებურების შესაბამისად. ამას ემატება კიდევ შემამსუბუქებელ გარემოებათა ინსტიტუტი².

2. თანასწორი, ე. ი. უნდა იწვევდეს წვლების ერთ და იმავე ინტენსიობას ერთი და იმავე დანაშაულის ჩამდენ პირებში.

3. გაყოფადი, ე. ი. სასჯელს უნდა ჰქონდეს გაყოფის უნარი, იმ მიზნით, რომ შესაძლო გახდეს ზემოთ აღნიშნული იდეების ცხოვრებაში გატარება.

სასამართლო შეცდომების თვალსაზრისით შესაძლო უნდა იყოს სასჯელთა გაუქმება (*les peines doivent être rémissibles et révocables*)³.

ვიდალის საერთო კონცეფცია გვაძლევს საფუძველს მოვათავსოთ იგი შემაერთებელ თეორიათა ჯგუფში. ვიდალი თვლის სას-

¹ Vidal, დასახ. შრომა, 598.

² იქვე, 599.

³ Vidal, დასახ. ნაშრომი, 599.

ჯელს სოციალური დაცვის იარაღად („instrument de défense sociale“). იმავე დროს, მისი სიტყვით, დანაშაული იწვევს საზოგადოებაში აღშფოთებას, ხოლო სასჯელი აყენებს დამნაშავეს წვალებას და ამით აკმაყოფილებს ამ საზოგადოებრივ გრძნობას¹.

* * *

ინგლისელი კრიმინალისტი კენი, იხილავს საკითხს სისხლის სამართლის სასჯელის მიზნის შესახებ და უპირველეს ყოვლისა განმარტავს სასჯელის პრევენციულ მნიშვნელობას. დანაშაულის წინასწარ აცდენა, — წერს იგი, — მასთან შიშის გრძნობის დაკავშირებით. შესაძლოა მხოლოდ ერთდროული ორი პირობის არსებობისას: 1) დამრღვევს უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ იქცევა ცუდად, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ იგრძნობს შიშს და შიში მას ვერ შეაკავებს; სწორედ ამ მიზეზით სასჯელისაგან თავისუფლდება ის პირი, რომელმაც შეცდომით წაიღო სხვისი ქონება, ან ის, ვინც შეურაცხად მდგომარეობაში ჩაიღინა მკვლელობა და 2) ადამიანი არ შეიძლება დაისაჯოს ისეთი მოქმედებისათვის, რომლის არ ჩადენა მას ფსიქიკურად და ფიზიკურად არ შეეძლო, რადგან სასჯელის წინაშე შიშს არ შეეძლო მისი შეკავება ამ მოქმედების ჩადენისაგან. ამიტომ კანონმდებელი ხშირად არ სჯის ადამიანებს, რომლებიც მოკვლის მუქარის შედეგად იძულებულნი იყვნენ დახმარება აღმოეჩინათ მეამბოხეთათვის ანდა რომლებმაც ჩაიღინეს ქურდობა კლექტომანიის ზეგავლენით. აღნიშნული ორი პირობის არსებობისათვის, მაშასადამე, როცა შეკავება შიშის მეშვეობით გამართლებულია, სისხლის სამართალი მეტად ქმედითად სარგებლობს ამ საშუალებით. ვინაიდან სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართლისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისგებაში მიცემის უფრო ფართო შესაძლებლობას და იყენებს მის მიმართ უფრო მკაცრ სანქციებს².

კენი ასახელებს სხვადასხვა ქვეყნების ავტორიტეტულ ავტორებს — ბეკარიას, ბლექსტონს, ფეიერბახს და სხვ. — რომელთა აზრით, დანაშაულის განმეორების წინასწარ აცდენის იმედი წარმოადგენს სასჯელის გამოყენების არა მარტო ძირითად, არამედ ერთადერთ მიზანს³. აქედან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ კენი

¹ Vidal, დასახ. შრომა, 12—13.

² К. Кенни, Основы уголовного права, 1949, 30.

³ იქვე, 31.

⁴ იქვე, 32.

იზიარებს ამ შეხედულებას და რომ იგი თითქოს წმინდა პრევენციის მომხრეა. მაგრამ დაკვირვებითი განხილვა მისი შეხედულებისა გვარწმუნებს, რომ ასეთი დასკვნა სწორი არ იქნებოდა.

სასჯელი, კენის სიტყვით, შეიძლება ემსახურებოდეს დანაშაულთა წინასწარი აცდენის საქმეს სამი სხვადასხვა გზით:

1. მას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს დამნაშავის პიროვნებაზე ისეთნაირად, რომ მოუსპოს მას ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა, მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის ან სიკვდილით დასჯის გზით.

2. მას შეუძლია გავლენა მოახდინოს დამნაშავის შეგნებაზე, წინააღმდეგობა გაუწიოს მის დანაშაულებრივ მიდრეკილებას დაშინების ან შრომითი ჩვევების და მოვალეობის გრძნობის გამოწვევის გზით. აქ კენი ლაპარაკობს აღმზრდელითი ხასიათის ამოცანებზე.

3. სასჯელის ძირითად მიზნად კენი თვლის ზემოქმედებას სხვა პირთა შეგნებაზე აღმზრდელითი ღონისძიებების ან დაშინების გზით¹.

ამგვარად, კენი სასჯელს უსახავს საერთო და სპეციალური პრევენციის ამოცანებს. მაგრამ იგი ამით არ ზღუდავს სასჯელის მიზნებს. კენი ასახელებს კიდევ ორ მიზანს, რომლებსაც იგი „მეორეხარისხოვანს“ უწოდებს — ესაა დაზარალებულის გრძნობის დაკმაყოფილება და მთელი საზოგადოების ზნეობის გაუმჯობესება².

საბოლოოდ, კენი, როგორც ჩანს, აღიარებს ზნეობრივი სამაგიეროს მიზნების მნიშვნელობას სისხლის სამართალში³.

5

შემაერთებელ მიმართულებას თავისი წარმომადგენელნი ჰყავდა რევოლუციამდელ რუსულ ლიტერატურაში. მათ შორის ჩვენ აქ განვიხილავთ სერგეევსკის, უიტილენკოს და ნემიროვსკის შეხედულებებს.

დანაშაულის ყოველ ცალკეულ ფაქტს, — წერს სერგეევსკი, კანონი უკავშირებს განსაზღვრულ იურიდიულ შედეგს, რომელსაც სასჯელი ეწოდება და რომელიც თავისი გარეგანი შედეგნილობით მდგომარეობს იმაში, რომ დამნაშავეს მიეყენება გარკვეული

¹ К. Кенин. Основы уголовного права, 1949, 30.

² იქვე, 32—33.

³ იქვე, 35.

წვალემა, ვნება ან შევიწროება სასამართლო განაჩენით და სახელმწიფოს სახელით¹.

საკითხი სასჯელის არსის, მისი იურიდიული ბუნების ან მისი დამოკიდებულების შესახებ სახელმწიფოსა და კანონისადმი, მეტად ძველი საკითხია სისხლის სამართლის მეცნიერებაში, იგი უკვე კლასიკურ ფილოსოფოსებს აინტერესებდა. მაგრამ, მიუხედავად ამ ძველთაძველი არსებობისა, იგი აქამდის ატარებს შეუფერებელ სახელს — *jus puniendi* (დასჯის უფლება). სერგეევსკის ეს სახელწოდება არ მიაჩნია სწორად იმ მოსაზრებით, რომ იგი ნიშნავს უფლებას სუბიექტური აზრით, ე. ი. კანონზე დამყარებულ ძალას ან თავისი მოსაზრებით რაიმეს გაკეთების ან არ გაკეთების შესაძლებლობას. გამოთქმას „დასჯის უფლება“ შეიძლება ჰქონოდა მნიშვნელობა მხოლოდ იმ თეორიებისათვის, რომლებსაც სახელმწიფოს მოქმედება გამოჰყავდათ ადამიანთა ზემოთ მდებარე რომელიმე აბსოლუტური ავტორიტეტიდან. ამის გარეშე გამოთქმა „დასჯის უფლება“ კარგავს თავის ზუსტ აზრს და ნიშნავს არა მარტო სასჯელის შეფარდების უფლებას, არამედ სათანადო მოვალეობასაც².

ზოგი კრიმინალისტი პირდაპირ აცხადებს, რომ სახელმწიფოს უფლება დასჯაზე არ საჭიროებს დასაბუთებას (შიუტცე, კისტიაკოვსკი). კისტიაკოვსკის თეორიული დავა იმის შესახებ, აუცილებელია თუ არა სასჯელი, მიაჩნია ისევე უსაფუძვლოდ როგორც დავა — აუცილებელია თუ არა, რომ ადამიანმა იცხოვროს საზოგადოებაში,

¹ Сергеевский. Русское уголовное право, 1910, 63.

სერგეევსკის აზრით, მისი თეორია არ ეკუთვნის არც აბსოლუტურ, არც შეფარდებით და არც შერეულ თეორიათა ჯგუფებს. მაგრამ აბსოლუტურს იგი ემთხვევა იმ მხრივ, რომ სასჯელის საფუძველს ის ხედავს დანაშაულებრივი ქმედობის თვით ფაქტში, და არა იმ გავლენაში, რომელსაც ახდენს სასჯელი, — სასჯელი გამოიყენება *quia peccatum est* (დასახ. შრომა, 76). ამ ახალ მიმართულებას წარმოადგენენ ჰეინცე, ლაისტნერი, ბინდინგი, ბარი. მაგრამ, მეორეს მხრივ, სერგეევსკი ურადლებას აქცევს სასჯელის შედეგს და შესაძლოდ ცნობს პრაქტიკული შედეგისადმი ეს მისწრაფება გამოთქვას ძველი ფორმულით — *ne peccetur*, თუმცა, მისი სიტყვით, ეს არ იქნებოდა სასჯებით ზუსტი ხმარება შეფარდებითი თეორიების სახელმძღვანელო ტერმინისა (დასახ. შრომა, 110).

ზემოთქმულის მიხედვით, გვაქვს საფუძველი სერგეევსკის თეორია მივაკუთვნოთ შემართებელი თეორიების ჯგუფს.

² Сергеевский, Русское уголовное право, 1910, 85.

მაგრამ სერგეევსკის სიტყვით, სასჯელის მრავალსაუქუნოვანი არსებობის ფაქტი ჯერ კიდევ არაა საკმარისი მისი იურიდიული დასაბუთებისათვის.

როგორ ასაბუთებს აღნიშნულ უფლებას თვით სერგეევსკი?

სერგეევსკი იხილავს სასჯელთა გარეგან ფორმებს და ამ განხილვიდან გამოაქვს დასკვნა, რომ სასჯელთა ფორმები ან სასჯელის საშუალებათა გარეგანი შინაარსი, როგორც ცვალებადი ელემენტი, არ ეკუთვნის სასჯელის ინსტიტუტის არსს. მაგრამ, როცა იგი განიხილავს სასჯელის შინაგან მხარეს, იგი, მისი სიტყვით, ხედავს, რომ სასჯელთა ყველა ფორმებსა და სახეებში, მათ ისტორიულ განვითარებასა და თანამედროვე მდგომარეობაში ვლინდება საერთო იდეა—ესაა ის, რომ სასჯელში, როგორც უნდა იყოს მისი ფორმა და შინაარსი, ყოველთვის მოცემულია და გ მ ბ ა, გ ა კ ი ც ხ ვ ა და ნ ა შ ა უ ლ ი ს ა, თანაც არა უბრალო გაკიცხვა, არამედ გამოხატული ისეთ ფორმაში, რომელიც ზუსტად და ნათლად განსაზღვრავს გაკიცხვის ზომასა და ხარისხს, თვით ქმედობის შედარებითი მნიშვნელობის შესაბამისად. გაკიცხვა არის ერთადერთი, მყარი, შინაგანი ელემენტი ყოველი სასჯელისა. გაკიცხვა შეადგენს ყოველი სასჯელის არსს; ყოველივე დანარჩენი, როგორადაც არ უნდა იქნას იგი გარეგნულად წამოწეული პირველ პლანზე, არაარსებითი, ცვალებადი დამატებაა¹.

სერგეევსკის სიტყვით, ასეთი გამოყოფა სასჯელის ზოგადი იდეისა, ან მთლიანად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების არსისა სასჯელის გარეგანი ფორმებისაგან, იძლევა მთელი პრობლემის გასაღებს. დანაშაულებრივი ქმედობა არღვევს მართლწესრიგის ნორმებს, ხოლო სასჯელი არის ამგვარი ქმედობის და გ მ ბ ა, გ ა კ ი ც ხ ვ ა. არაა ძნელი იმის გაგება, რომ მართლწესრიგისათვის მის დამრღვევ ქმედობათა გაკიცხვა აუცილებლად საჭიროა.

ჩვენ არ შეგვიძლია, ამბობს სერგეევსკი, წარმოვიდგინოთ საერთოდ რომელიმე საზოგადოებრივი წყობილება, ადამიანთა საზოგადოებრივი შეერთების რომელიმე ფორმა, რომელსაც შეეძლოს არსებობა ისე, რომ არ განსაზღვროს მის მიერ დადგენილი წესრიგის დამრღვევი ქმედობანი, და არ გამოთქვას ამ უკანასკნელთა გაკიცხვა. ყოველი საზოგადოებრივი წესრიგი საჭიროებს ასეთ განსაზღვრას და უამისოდ შეუძლებელიცაა².

¹ Сергеевский, Русское уголовное право, 1910, 66.

² იქვე, 67.

სერგეევსკი თვითონ აღნიშნავს, რომ აზრი იმის შესახებ, რომ სასჯელის არსი მდგომარეობს დანაშაულებრივ ქმედობათა გ ა კ ი ც ხ ვ ა შ ი, ეკუთვნის გერმანელ იურისტს ბ ა რ ს, თუმცა მას იგი, სერგეევსკის სიტყვით, წარმოდგენილი აქვს დამახინჯებული სახით და ამიტომ იგი ვერ აკეთებს სათანადო დასკვნებს; ბ ა რ ი არ ასხვავებს სამართალს და ზნეობას და ამიტომ ლაპარაკობს არა სამართლის დარღვევის, არამედ უზნეო მოქმედების გაკიცხვის შესახებ¹.

სერგეევსკი განმარტავს სხვადასხვა თეორიებს, რომლებიც თავის მიზნად ისახევენ დასჯის უფლების დასაბუთებას და გადადის საკითხის განხილვაზე — თუ რ ა შე ა დ გ ე ნ ს სასჯელის შინა ა რ ს ს (содержание наказания).

რაც ზემოთ იყო თქმული გაკიცხვის შესახებ, ითვალისწინებდა სასჯელის არსის დახასიათებას და სრულიად არ ეხება სასჯელის გარეგან ფორმებს ან დასჯითი ღონისძიებების შინაარსს. მაშასადამე, სერგეევსკი ასხვავებს სასჯელის არსს (сущность наказания) და სასჯელთა ფორმებს, მათ გარეგან შინა ა რ ს ს (содержание карательных средств)². ვნება და ტანჯვა, დამნაშავისადმი მიყენებული, არ ეკუთვნის სასჯელის არსს; ისინი მასთან დაკავშირებულია მხოლოდ როგორც აუცილებელი ფორმა; გაკიცხვა შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ განსაზღვრული ფიზიკური და მორალური ვნების ფორმით. სასჯელის უმსუბუქესი ფორმის — საყვედურის გამოცხადება — მაინც წარმოადგენს დამნაშავისათვის ტკივილის, ზნეობრივი წვალეების მიყენებას. ამგვარად, როცა სერგეევსკი ლაპარაკობს სახელმწიფოს დასჯით უფლებასა და მოვალეობაზე, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ სასჯელის არსი; რაც შეეხება დამნაშავის წვალეებას, ესაა მხოლოდ გარეგანი აუცილებლობა; ჩვენ, ამბობს იგი, ფიზიკურად მოკლებული ვართ შესაძლებლობას გამოვხატოთ გაკიცხვა სხვა ფორმით. კიდევ მეტი, ეს არის სამწუხარო აუცილებლობა — სასჯელი, აყენებს რა დამნაშავეს წვალეებას, ამავე დროს აყენებს ვნებას მთელ საზოგადოებას³. სერგეევსკის მოპყავს გერმანელი კრიმინალისტის ბინდინგის სიტყვები, რომ სასჯელი არის უტარო ხმალი, რომელიც ჭრილობას აყენებს იმასაც, ვინც მით მოქმედებს.

მაშასადამე, სერგეევსკის კონცეფციით უნდა იქნას განსხვავებული სასჯელის არსი და მისი გარეგანი ფორმა წვალეება,

¹ Сергеевский, Русское уголовное право, 1910, 70.

² იქვე, 66.

³ იქვე, 84.

ტივილი, რაც დაკავშირებულია სასჯელთან, წარმოადგენს მის გარეგან ფორმას. ამგვარი დაყოფა სასჯელის ინსტიტუტში არ სისა და გარეგანი ფორმისა, სერგეევსკის სიტყვით, არ უნდა ეუცხოვოს იურისტს. იმასვე ვნახულობთ სხვა მრავალ ინსტიტუტებში. მართლმსაჯულების მთელი განხორციელება დაკავშირებულია ბევრ სხვადასხვა შევიწროებასთან სხვადასხვა პირებისათვის: ბრალდებულის, მოწმეებისა და ექსპერტებისათვის. მაგრამ არავის არ მოსდის აზრად, რომ პროცესის არსი ამ შევიწროებაშია; ის მხოლოდ სამწუხარო აუცილებლობაა. იგივე ითქმის სასჯელზე. ჩვენ, წერს სერგეევსკი, ვაღიარებთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გარდუვალ საჭიროებას, როგორც კანონმდებლის ბრძანებათა ავტორიტეტის გამაგრების აუცილებელ საშუალებას, მაგრამ დამნაშავეთა თვით დასჯას მის კონკრეტულ შინაარსში, მათ ტანჯვას და წვალებას, ვთვლით მხოლოდ აუცილებელ სიავედ, რომელსაც ჩვენ ვითმენთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არის სამართლის დამრღვევი მოქმედების სახელმწიფოს სახელით დაგმობის, გაკიცხვის ერთადერთი საშუალება, თანაც ისეთ ფორმაში, რომელმაც უნდა მიუთითოს დარღვევის ზომა და ხარისხი¹.

6

სასჯელის პრობლემა დეტალურად დაამუშავა თავის მონოგრაფიულ ნაშრომში პროფ. ა. ე. ე. ი. ე. ნ. კ. მ². ეიქილენკოს ნაშრომში მოცემულია დიდი მასალა როგორც რუსული, ისე უცხოური ლიტერატურიდან. ავტორი დაყენებული საკითხების განხილვისას ზოგჯერ გამოთქვამს თავისებურ შეხედულებას, მაგრამ საერთოდ იგი იზიარებს იმ თეორიებს, რომლებიც უკვე შემუშავებული და საკმაოდ გავრცელებული იყო ბურჟუაზიულ სამართლებრივ ლიტერატურაში.

ეიქილენკო იკვლევს სასჯელის როგორც გარეგან მხარეს, ისე მის შინაარსს. პირველი თვალსაზრისით იგი სასჯელს განსაზღვრავს, როგორც იძულებით ღონისძიებას, რომელიც წარმოადგენს პიროვნების უფლებრივ სიკეთეთა ზღვროში შეჭრას («вторжение в сферу правовых благ личности»)». ამავე დროს იგი სასჯელს ახასიათებს როგორც უმართლობის, ე. ი. სამართლის დარღვევის სამართლებრივ შედეგს («правовое последствие неправды»). სასჯელი გამოიყენება მხოლოდ ისეთი აკრძალული მოქმედების მიმართ, რომელიც შესაძლებლობის სტადიიდან სინამდვილის სტადიაში გადავი-

¹ Сергеевский, Русское уголовное право, 1910, 85.

² А. Живиленко, Наказание, 1914.

³ დაახ. ზომა, 62.

და, ე. ი. გამოიხატა ან დამთავრებულ დანაშაულში ან მის დაწყებაში, ზოგჯერ კი მომზადების სახით¹. ამის მიხედვით ყიყილენკო ასხვავებს სასჯელს და პრევენციულ ღონისძიებას. პირველი გულისხმობს დამთავრებულ ან დაწყებულ დანაშაულს, ხოლო მეორე — მომავალში მოსალოდნელ სამართლის დარღვევას. ესაა ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება, რომელიც ახასიათებს ყიყილენკოს კონცეფციას. მაგრამ, ცხადია, რომ ამ განსხვავების ზუსტად გატარება გარკვეულ სიძნელებთან არის დაკავშირებული.

იურისტთა დიდი უმრავლესობა სასჯელს განსაზღვრავს როგორც სიავეს. ყოველ ეჭვს გარეშეა, — წერს ყიყილენკო, — რომ სასჯელი არის სიავე და რამდენადაც ჩვენ ყოველ არასასურველ მოვლენას ვაკვალიფიცირებთ როგორც სიავეს, ამდენად სასჯელიც შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც სიავე. მაგრამ, დასძენს იგი, სასჯელის განსაზღვრა, როგორც სიავისა, არ ენება გამოსაკვლევი მოვლენის იურიდიულ მხარეს. სიავე და მისი კორელატი სიკეთე — ზნეობის სამყაროს, და არა სამართლის, ცნებებია. იმის თქმა, რომ სასჯელი არის სიავე, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მისი იურიდიული ბუნების მითითებას².

ასეთი მოსაზრება გამოთქვა ჰეინცემ, რომელმაც შენიშნა, რომ ფორმალურად დაუშვებელია სასჯელის შინაარსად სიავის ან წვალების მიჩნევა, ვინაიდან „სიავე“ და „წვალება“ არ წარმოადგენენ იურიდიულ ცნებებს, ხოლო იგი ფაქტიურადაც მცდარია, რადგან არა მარტო ობიექტურად, არამედ სუბიექტურადაც სასჯელი ხშირად შეადგენს სიკეთეს. ამას შეიძლება დავუმატოთ ჰეგელიანულთა აბეგისა და კესტლინის შეხედულება, რომლის თანახმად დამნაშავისათვის სასჯელი არის სიკეთე, ვინაიდან იგი აძლევს მას საშუალებას შეურიგდეს სამართლიანობას და დააკმაყოფილოს იგი.

მასადაამე, თუმცა სასჯელი წარმოადგენს სიავეს, მაგრამ ეს მომენტი გამოუსადეგარია სასჯელის, როგორც სამართლებრივი ცნების, განსაზღვრისათვის.

რა შეადგენს სასჯელის არსს?

ყიყილენკო, იკვლევს რა ამ საკითხს, მსჯელობს შემდეგნაირად.

აკრძალულ ქმედობათა სამართლებრივი შედეგები, ე. ი. სამართლის ის დაცვითი საშუალებანი, რომლებიც გამოიყენება დაწყებულ ან დამთავრებულ ნებადაურთველ ქმედობის მიმართ,

¹ დასახ. შრომა, 63.

² А. Жижиленко, Наказание, 1914, 34.

თავისი შინაგანი შინაარსით მეტად მრავალგვარია, თუმცა გარეგნულად ისინი ერთნაირად გამოიხატება. სასჯელი, დაცვის ღონისძიებანი, აღმკვეთი ღონისძიებანი, ზარალის ანაზღაურება — ყველა ეს ინსტიტუტი გარეგნულად შესაძლოა გამოისახოს ზემოქმედების ერთგვაროვან საშუალებებში, მაგრამ თავისი შინაგანი შინაარსით ისინი ღრმად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

როცა ყიყილენკო ლაპარაკობს ინსტიტუტის შინაარსზე, მას მხედველობაში აქვს მისი მნიშვნელობა ანუ სხვანაირად მისი ის ფუნქცია, რომელსაც იგი ასრულებს სამართლებრივ მოვლენათა საერთო წყობაში, ურომლისოდაც იგი წარმოუდგენელია, როგორც განსაზღვრული ინსტიტუტი. ესაა ის, რაც იმალება მოცემული ინსტიტუტის გარსის ქვეშ და რაც მას ანიჭებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ მნიშვნელობას. მაგრამ ინსტიტუტის ამ შინაარსს ყიყილენკო ასხვავებს იმ მიზნისაგან, რომელსაც იგი შესაძლოა იახავდეს. უმართლობის სხვადასხვა შედეგების მიზნები შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს, ხოლო საერთო მიზანი — მართლწესრიგის დაცვა — ყველას მათ თანაბრად ახასიათებს. და მსგავსად იმისა, რომ როცა ელაპარაკობთ თავისუფლების აღკვეთაზე, ჩვენ მხოლოდ გარეგანი ფორმის მიხედვით ვერ კიდევ არ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოცემული ღონისძიება არის სასჯელი, ისე იმის მითითებით, რომ ეს ღონისძიება მიღებულია საზოგადოებაზე ან ინდივიდზე ზემოქმედების მიზნით, არ შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სასჯელთან. ამგვარად, წერს ყიყილენკო, ყოველი ინსტიტუტის სამართლებრივი დახასიათებისათვის ანგარიში უნდა გაეწიოს არა მოცემული ღონისძიების ფორმას ანუ გარეგან გამოხატულებას და არა მის მიზნებს, არამედ მის შინაარსს¹.

ყიყილენკო აღნიშნავს, რომ სასჯელის შინაარსის განხილვის შედეგად, როგორც იგი გამოსახულია სახელმწიფოში მოქმედ სისხლის სამართალში და აგრეთვე სხვა შენაერთების სისხლის სამართალში, შეიძლება შევამჩნიოთ, რომ სასჯელის ინსტიტუტის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს სამაგიეროს მიზღვის ელემენტი (элемент возмездия)². რამდენადაც არ უნდა განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან ცალკეული მწერლები სამაგიეროს მიზღვის გა-

¹ А. Жижилєнко. Наказание, 1914, 113.

² იქვე, 113. ამ მსჯელობიდან ჩანს, რომ ყიყილენკო იზიარებს იმ თეორიას, რომელიც ცნობს სისხლის სამართლის არსებობას სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის გარეშეც.

გებაში, მაინც, ამ ავტორის სიტყვით, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ სულ სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენელი, მცირე გამოჩაყლისით, აღიარებენ, რომ სასჯელის ინსტიტუტი ემყარება სამაგიეროს მიზლის ცნებას. არიან მწერლები, რომლებიც უარყოფითად უყურებენ სამაგიეროს მიზლის იდეას, მაგრამ ისინი მაინც არ უარყოფენ, რომ სასჯელი მის ისტორიულ განვითარებაში და თანამედროვე სამართალში ემყარება სამაგიეროს მიზლის იდეას. ამ თვალსაზრისით აკრიტიკებენ ისინი თანამედროვე სისხლის სამართალს და სახავენ ახალ გზებს სასჯელის არსის პრობლემის გადასაწყვეტად. მთელ იმ დავას, რომელიც ჰყოფს კრიმინალისტებს სხვადასხვა სკოლებად, მხედველობაში აქვს არა სასჯელის ისტორიული ფორმები, არამედ მისი მომავალი ორგანიზაცია. თუ მრავალი მწერალი ამტკიცებს, რომ თანამედროვე სასჯელმა, რომელიც სამაგიეროს მიზლის იდეას ემყარება, შეასრულა თავისი ისტორიული ფუნქცია, ამქამდ დაკარგა თავისი აზრი როგორც დანაშაულობასთან ბრძოლის გამოსადეგმა ღონისძიებამ, და ამიტომ უნდა იქნას უარყოფილი, მეორეს მხრივ, არსებობს შეხედულება, რომ შემდეგშიც სასჯელი უნდა დარჩეს იგივე, რაც იყო აქამდე — სამაგიეროს მიზლად¹.

ამასთან დაკავშირებით ყიფილენკო აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ სახელდობრ რომელი მომენტი სასჯელში ხასიათდებოდა როგორც სამაგიეროს მიზლად, — წარმოადგენს სამაგიეროს მიზლად სასჯელის არსს, თუ იგი სასჯელის ერთ-ერთი მიზანია. იხილავს რა საკითხს, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული ტერმინი „სამაგიეროს მიზლად“, ყიფილენკო მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში არ არსებობს ერთნაირი გაგება ამ გამოთქმისა. მას მოჰყავს სხვადასხვა კლასიფიკაციები იმ შეხედულებებისა, რომლებიც გამოთქმული იყო დაყენებული საკითხის შესახებ.

ერთ-ერთი დაჯგუფება ეკუთვნის Köhler-ს. იგი ჰყოფს ყველა შეხედულებას ოთხ ჯგუფად: 1) შეხედულება, რომელიც ანიჭებს სამაგიეროს მიზლას მხოლოდ დესკრიფციულ მნიშვნელობას (ლისტი); 2) სამაგიეროს მიზლის გაგება, როგორც ტალიონისა და როგორც დაკმაყოფილების გრძნობისა (კანტი და მისი მიმდევარნი; მეორეს მხრივ — ჰიპოლი, ლეფლერი, ლამაში, ფინგერი, ლიპმანი და სხვ.); 3) სამაგიეროს მიზლის გაგება, როგორც აბსოლუტური და როგორც ზნეობრივი გამოსყიდვისა (ჰელშენერი, კესტლინი, ჰეპი); 4) სამაგიეროს მიზლის გაგება, რო-

¹ А. Жижиленко, Наказание, 1914, 114.

გორც მომხდარი დარღვევის საზიანო ღირებულების გამოსწორებისა (თვითონ Köhler-ი)¹.

მაგრამ ეს კლასიფიკაცია ყიეილენკოს არ აკმაყოფილებს, იგი მას მიაჩნია არასრულად და მცდარ საფუძველზე აგებულად.

თვითონ ყიეილენკომ წამოაყენა შემდეგი კლასიფიკაცია:

1) სამაგიეროს მიზლის გაგება, როგორც თანასწორით მიგებისა, (Ansgleichung); აქ მხედველობაში მიიღება ის, რომ სასჯელი წარმოადგენს ერთგვარ ექვივალენტს; თვით ეს გამოსწორება ცალკეულ ავტორებს ესმით სხვადასხვანაირად: ზოგჯერ იგი გაგებულია როგორც გამოსყიდვა, ზოგჯერ კი დარღვეული წონასწორობის აღდგენის მნიშვნელობით.

2) სამაგიეროს მიზლის გაგება, როგორც დაკმაყოფილებისა; დაკმაყოფილება ესმით ან ინდივიდუალური მოთხოვნის, ანდა საზოგადოებრივი მოთხოვნის აზრით.

3) სამაგიეროს მიზლვა გაგებულია საერთო პრევენციის აზრით;

4) სამაგიეროს მიზლვა გაგებულია როგორც ადამიანზე ზემოქმედება, რომელიც იწვევს მასში განსაზღვრულ ფსიქიკურ განცდებს;

5) სამაგიეროს მიზლვა ესმით, როგორც რეაგირება ჩადენილის წინააღმდეგ.

ყიეილენკოს სიტყვით, ძირითადი განსხვავება ამ შეხედულებებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ პირველი მთავარ ყურადღებას აქცევს არა იმდენად თვით სამაგიეროს მიზლის აქტის შინაარსს, რამდენადაც ამ აქტის გამომწვევი სამართლის დარღვევის შინაარსს; მეორეს და მესამეს სიმძიმის ცენტრი გადააქვს მესამე პირის განცდებზე; მეოთხე ხაზს უსვამს იმ პირთა განცდებს, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია სამაგიეროს მიზლის აქტი; მეხუთეს გაგებით ყველაფერი ამოიწურება იმ მოქმედების მითითებით, რომლითაც გამოისახება სამაგიეროს მიზლვა. გარდა ამისა, განსხვავება იმაშია, რომ პირველი სამი კონცეფციის მიხედვით ყურადღება ექცევა მიზნის მომენტს, იმ დროს როცა დანარჩენ ორში ეს მომენტი არ ჩანს².

ყიეილენკოს მიერ წამოყენებული კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა, მეტად ხელოვნურია. შესაძლოა კიდევ სხვა კლასიფიკაციების აგება, რომლებიც მაინც ვერ ამოწურავენ ისტორიულად მოცემულ, სხვადასხვა ეპოქებში შემუშავებულ კონცეფციების კონკრეტული ფორმების და ნაირსახეობების მრავალფეროვნებას.

¹ А. Жижилєнко, Наказание, 1914, 119.

² იქვე, 120.

ეიქილენკო შენიშნავს, რომ ლიტერატურაში გვხვდება კიდევ სხვა გაგება „სამაგიეროს მიზლისა“, მაგრამ ის არ ეხება ამ ცნების არსს. ასეთია, მაგალითად, სამაგიეროს მიზლის, როგორც ტალიონის გაგება (*jus talionis* კანტის მოძღვრებაში); მაგრამ გამოთქმა „ტალიონი“ ეიქილენკოს სიტყვით, ჯერ კიდევ არ იძლევა მითითებას სამაგიეროს მიზლის შინაარსზე, ტალიონი მიუთითებს მხოლოდ მის გარეგან გამოხატულებაზე და ხაზს უსვამს მხოლოდ თანასწორობის იმ მასშტაბს, რომელიც, ამ შეხედულების წარმომადგენელთა აზრით, საფუძვლად უნდა დაედვას სამაგიეროს მიზლის განხორციელებას: „per quod quis peccat, per idem punitur et idem“. ამ თვალსაზრისით ეიქილენკო არასწორად თვლის ბერნერის აზრს, რომელიც ახასიათებს სამაგიეროს მიზლს, კანტისაგან განსხვავებით, არა როგორც ტალიონს, არამედ როგორც პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ო ბ ი ს პ რ ი ნ ც ი ა ს; აქ მხოლოდ აღნიშნულია შეფასების მასშტაბი სამაგიეროს მიზლის განხორციელებისას და არაა მითითებული თვით ამ ცნების არსი¹.

ეიქილენკოს აგრეთვე არ აკმაყოფილებს ის შეხედულება, რომელიც სამაგიეროს მიზლს აიგივებს სამართლიანობასთან (ჰ უ გ ო მ ე ი ე რ ი, ლ ა მ ა შ ი, კ ო ლ ე რ ი). სამაგიეროს მიზლა და სამართლიანობა ერთმანეთს ყოველთვის არ ემთხვევა. ამა თუ იმ მოსაზრებით სამაგიეროს მიზლის განხორციელება შესაძლოა არ იქნას მიჩნეული სამართლიანად, რამდენადაც იგი არ შეესაბამება გაბატონებულ იდეას სამართლიანობის შესახებ².

ლიტერატურაში ენახულობთ შეხედულებას, რომელიც ამტკიცებს, რომ სამაგიეროს მიზლა არის შურისძიება. ამ შეხედულებას იზიარებენ, მაგალითად, ჰ ე ი მ ბ ე რ გ ე რ ი, მ ა კ ა რ ე ვ ი ჩ ი, ვ ა რ - გ ა და ს ხ³.

ეიქილენკო დაწვრილებით გადმოცემს და განმარტავს სამაგიეროს მიზლის სხვადასხვა გაგებას სისხლის სამართლის ლიტერატურაში, იგი გულმოდგინედ შეისწავლის მრავალრიცხოვან სისტემებს და თეორიებს ამ დარგში და თავის გადმოცემაში ხელმძღვანელობს იმ სქემით, რომელიც ზემოთ იყო დასახელებული. თავის შრომაში მან თავი მოუყარა დიდ თეორიული ხასიათის მასალას, იგი ყურადღებით შეისწავლის სამაგიეროს მიზლის მრავალ ნიუანსებს ცალკე-

¹ А. Жижиленко, Наказание, 1914, 121.

² იქვე, 121.

³ იქვე, 122.

ულ მწერალთა შრომების მიხედვით. ჩვენ შევჩერდებით მისი შრომის მხოლოდ ზოგიერთ ადგილებზე.

ეიქილენკო იწყებს ყველაზე უფრო გავრცელებული თეორიებით, რომელთა თანახმად სამაგიეროს მიზლვა წარმოადგენს თანასწორობის, გამოსწორების პრინციპის განხორციელებას. ეს თეორიები, მისი აზრით, უეჭველად წარმოიშვა ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის ზეგავლენით. თუმცა ჰეგელს პირდაპირ არ წამოუყენებია ეს დებულება, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ მისი სასჯელის თეორია, ე. ი. მისი ლოგიკური ანუ დიალექტიკური სამაგიეროს მიზლის თეორია ემყარება სწორედ მომხდარი სამართლის დარღვევის გამოსწორების ცნებას სასჯელის გზით. ეს დაკავშირებულია მის მოძღვრებასთან აბსოლუტური სულის განვითარების დიალექტიკური პროცესის სამი მომენტის შესახებ (თეზისის, ანტითეზისის და სინთეზის). დანაშაულს ჰეგელი განიხილავდა, როგორც კერძო ნებისყოფის ცნობიერ კონფლიქტს საერთო ნებისყოფასთან, ინდივიდუალური ნებისყოფა, რომელიც ეწინააღმდეგება საერთო ნებისყოფას, მას მიაჩნდა არარაობად და მოჩვენებით მოვლენად; სასჯელი, უარყოფს რა დანაშაულს, აღადგენს სამართალს. ჰეგელის აზრით, სასჯელის გზით მიღწეული გამოსწორება ხდება დანაშაულის და სასჯელის შინაგანი იდენტობის (იგივეობის) აღიარების საფუძველზე მათი ღირებულების მხრივ თანასწორობის მნიშვნელობით¹.

კლასიკური სკოლის ცნობილი წარმომადგენელი, ბ ი რ კ მ ე ი ე რ ი იზიარებს სამაგიეროს მიზლის კონცეფციას. მისი სიტყვით, სამაგიეროს მიზლვა ნიშნავს გასწორებას დანაშაულსა და მართლწესრიგს შორის, დანაშაულით მიყენებული სიავისათვის თანასწორი სიავით გადახდის გზით. სამაგიეროს მიზლვა არის წონასწორობის აღდგენა. სასჯელი უნდა შეიცავდეს დანაშაულის ადეკვატურ სიავეს; მას უნდა ახასიათებდეს ზომის პრინციპი; დანაშაულსა და სასჯელის პროპორციულობაში ხედავს ბირკმეიერი სასჯელის სამართლიანობას და სასჯელში განხორციელებული სამაგიეროს მიზლის განსხვავებას შურისძიებისაგან².

კლასიკური სკოლის მეორე გამოჩენილი წარმომადგენელი, ბ ი ნ დ ი ნ გ ი, სამაგიეროს მიზლვას განიხილავს, როგორც დაკმაყოფილებას, მაგრამ ეს უკანასკნელი მას ესმის არა დანაშაულით დაზარალებული პირის შურისძიების გრძნობის, ანდა მესამე პირთა დაკმაყოფილების მნიშვნელობით, არამედ როგორც სახელმწიფოს განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილება. ბინდინგის მოძღვრების

¹ А. Ж и л е н к о, Наказание, 1914, 125.

² იქვე, 135.

თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი გულისხმობს არა კერძო პირთა გრძნობების დაკმაყოფილებას, გარკვეულ ფსიქიკურ განცდებს, არამედ სახელმწიფოს, რომელსაც, რა თქმა უნდა, ამგვარი განცდები არ გააჩნია¹.

ჟიჟილენკო ეხება აგრეთვე იმ შეხედულებას, რომელიც სამაგიეროს მიზლვას საერთო პრევენციას უკავშირებს (общее предупреждение). ჩვეულებრივ საერთო პრევენცია ესმით, როგორც მესამე პირთა დაშინება სასჯელის მუქარით და მისი აღსრულებით, მაგრამ აქ იგი, ჟიჟილენკოს სიტყვით, ხასიათდება როგორც თავისებური რთული ფსიქიკური პროცესი, რომელიც ადამიანებში ხდება. სამაგიეროს მიზლის გზით სწარმოებს სამართლებრივი გრძნობების განმტკიცება და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდა. ამ შეხედულებას ავითარებენ სხვადასხვა მწერლები, განსაკუთრებით კი გერმანელი იურისტი რ. შმიდტი. ჩვენ აქ არ შევჩერდებით ამ თეორიის განმარტებაზე, ვინაიდან მის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი (იხ. ამ შრომის მეორე თავი, 6).

ჟიჟილენკო აღნიშნავს, რომ წარმოდგენა იმაზე, რომ სასჯელი ემყარება ჩადენილის უარყოფით შეფასებას გაზიარებულია მრავალი კრიმინალისტის მიერ, თუმცა ამ მომენტის მნიშვნელობა გაგებულა სხვადასხვანაირად — ერთნი ფიქრობენ, რომ სასჯელის თვით არსი ამოიწურება დაგმობის მომენტით (სერგეევსკი და სხვ.); მეორენი მიუთითებენ, რომ დაგმობა წარმოადგენს სასჯელის ერთ-ერთ ელემენტს სხვა ელემენტებთან ერთად (გაბატონებული შეხედულება); მესამენი გაკიცხვაში ხედავენ სასჯელის ერთ-ერთ მიზანს (ლამპაში). ყველა ამ სამ თვალსაზრისს, ჟიჟილენკოს სიტყვით, აქვს ის საერთო ნაკლი, რომ ისინი დაგმობის მომენტს აკუთვნებენ თვით სასჯელს, და არა სამაგიეროს მიზლვას, რომელიც სასჯელშია მოცემული. სამაგიეროს მიზლის ცნების ანალიზის დროს, ამბობს ჟიჟილენკო, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ჩადენილის შეფასება შედის თვით სამაგიეროს მიზლის ცნებაში; იგი ნაგულისხმევია სამაგიეროს მიზლის აქტით და ამიტომ არსებობს სამაგიეროს მიზლის ყოველ გამოვლენაში, დამოუკიდებლად იმისა, გამოიხატება იგი დადებით თუ უარყოფით ფორმაში. სასჯელს თან ერთვის დაგმობა, რამდენადაც იგი შეიცავს სამაგიეროს მიზლის მომენტს, ვინაიდან უკანასკნელი ემყარება ჩადენილი ქმედობის შეფასების იდეას².

¹ А. Жижиленко, Наказание, 1914, 151.

² იქვე, 179.

შეხედულება, რომ სასჯელის არსს შეადგენს დაგმოზა, პირველად გამოთქმული იყო ბარის მიერ, რომელმაც წამოაყენა თეორია ზნეობრივი დაგმობის ანუ გაკიცხვის შესახებ. ანალოგიური აზრი გამოთქვა რუსმა მწერალმა გესენმა, მაგრამ იგი საკითხს უდგება სხვა თვალსაზრისით — სასჯელის ფილოსოფიური კონსტრუქციის თვალსაზრისით. კრიმინალისტა შორის ბევრნი ამტკიცებენ, რომ სასჯელის დანიშვნაში გამოიხატება მსჯელობა ქმედობის უარყოფითი ღირებულების შესახებ. ამგვარ აზრს გამოთქვამენ მერკელი, ვახი. ბირკმეიერი, შტოსი, კრაუზი, კელერი (Köhler), ჰაფტერი, ნაგლერი და სხვ. ყველა სავსებით მართებულად აღიარებენ, რომ სასჯელის საფუძველს შეადგენს ჩადენილი ქმედობის შეფასება, მაგრამ მათი შეცდომა, ყიჟილენკოს სიტყვით, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი შეფასების ელემენტს უშუალოდ მიაწერენ თვით სასჯელს, და არა სამაგიეროს მიზლის ცნებას¹.

მაგრამ, თუ ასეთია თანამედროვე სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულება, მეორეს მხრივ, არიან მწერლები, რომლებიც უარყოფენ დაგმობის ცნებას, როგორც სასჯელის ელემენტს; ამავე დროს ჩვეულებრივ დაგმობა ესმით სწორედ ზნეობრივი გაკიცხვის მნიშვნელობით, რის გამოც იგი მიჩნეულია უვარგის მომენტად სასჯელის სამართლებრივ ინსტიტუტისათვის. ამიტომ უარყოფდა დაგმობის ცნებას ფონიციკი, რომელიც შენიშნავდა, რომ გაკიცხვა გასაგებია უზნეო მოქმედებათა მიმართ, მაგრამ გაუგებარია იმ ქმედობათა მიმართ, რომლებიც ზნეობრივად განურჩეველია და რომ გაკიცხვა არის საზოგადოებრივი ფუნქცია, ხოლო სასჯელი — სახელმწიფო ფუნქცია. გაკიცხვა გამოხატავს გამკიცხველის აზრს და არაფერს ამბობს გაკიცხულის ბედის შესახებ, სასჯელში კი — პირიქით. მაგრამ ასეთი შეხედულება, ყიჟილენკოს სიტყვით, გამოდის იქიდან, რომ სასჯელში მოცემულია ზნეობრივი გაკიცხვა; თუ ჩვენ უარს ვიტყვით ამ გაგებაზე, საფუძველი ეკარგება აღნიშნულ წინააღმდეგობასაც².

ყიჟილენკოს დადგენილად მიაჩნია, რომ სამაგიეროს მიზლის ცნებაში შედის მომხდარის შეფასების ელემენტი. მაგრამ იგი ამით არ კმაყოფილდება; იგი დამატებით იკვლევს შემდეგ საკითხებს: რა შეადგენს შეფასების საგანს და როგორია ამ შეფასების მასშტაბი?

¹ А. Жижиленко, Наказание, 1914, 187.

² იქვე, 189.

რაც შეეხება პირველ საკითხს, იგი, მისი სიტყვით, ისტორიულად იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორია კულტურის მდგომარეობა და გაბატონებული შეხედულებანი. ისტორია გვიჩვენებს, რომ შორეულ წარსულში ყურადღებას აქცევდნენ მხოლოდ ობიექტურ მომენტს და სრულიად მივიწყებული იყო საკითხი, თუ როგორ ისახებოდა ჩადენილი ადამიანის ფსიქიკაში. დაზარალებული სიკეთის მნიშვნელობა და მიყენებული ვნების ზომა პირველად იყო ერთადერთი მომენტები დანაშაულის ცნებაში, რომლებიც წინ იყო დაყენებული უკანასკნელის შეფასების დროს. დროთა მსვლელობაში ამგვარი შეფასება აღიარებულ იქნა არასაკმარისად და აღმოცენდა სუბიექტური მომენტი, რომლის მიხედვით მხედველობაში იღებენ არა მხოლოდ მიყენებული ვნების შიშველ ფაქტს, არამედ იმასაც, თუ რა დამოკიდებულებაშია ადამიანის მიერ ჩადენილი მის ფსიქიკასთან. ამ დამოკიდებულებას ეწოდება „ბრალ“ იმ შემთხვევაში. როცა ჩადენილია ისეთი რამ, რაც იწვევს უარყოფით შეფასებას, გაკიცხვას, და „დამსახურება“, უკეთუ ჩადენილია მოქმედება, რომელიც იწვევს დადებით შეფასებას, მოწონებას. სასჯელის თავისებურება გამოისახება იმაში, რომ ანგარიშს უწევენ დამნაშავეს ბრალს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ობიექტური მომენტი ყურადღების გარეშე დატოვებული, ისიც (დარღვეული სიკეთის მნიშვნელობა და მიყენებული ვნების ზომა) არაა გამორიცხული ჩადენილის შეფასებისას, მაგრამ იგი ღებულობს მნიშვნელობას არა როგორც დამოუკიდებელი მომენტი, არამედ შეფასებული სუბიექტურთან ერთად¹.

მეორე საკითხი ეხება შეფასების მასშტაბს. განსაზღვრული თანაფარდობა იმ მოქმედებასა, რომლის მიმართ სწარმოებს სამაგიეროს მიზლის აქტი და თვით ამ აქტს შორის უნდა არსებობდეს. უამისოდ წარმოუდგენელია სამაგიეროს მიზლის ცნებაო, — ამბობს ჟიჟილენკო. ამის უარყოფა არ შეუძლიათ იმ მწერლებსაც, რომლებიც სამაგიეროს მიზლვას თვლიან უბრალო რეაგირებად ნომხდარ ფაქტზე, ისინიც ამბობენ, რომ ეს რეაგირება უნდა იყოს განსაზღვრულ დამოკიდებულებაში, თანაფარდობაში იმ მოქმედებასთან, რომლის წინააღმდეგაც იგი მიიმართება. ასეთი თანაფარდობის არსებობის აუცილებლობის თვით წარმოდგენაში მოცემულია სამართლიანობის იდეა. რამდენადაც ეს თანაფარდობა დარღვეულია, სამაგიეროს მიზლვაც არასამართლიანად არის მიჩნეული. რა თქმა უნდა, ისტორიულად სამართლიანობის ცნების შინაარსი იცვლება².

¹ А. Жижнленко, Наказание, 1914, 191.

² იქვე, 194.

თანამედროვე სამართალში, — წერს ყიყილენკო, — ჩვენ ვხედავთ, რომ სასჯელთა დარგში შეფასების მასშტაბს შეადგენს იმის წარმოდგენა, რომ შესაძლოა განსაზღვრული დაახლოებითი თანაფარდობის დადგენა დანაშაულსა და სასჯელს შორის. საკმარისია გადავხედოთ სისხლის სამართლის კოდექსებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ მათი დასჯითი სისტემა ემყარება ამ წარმოდგენას. სხვადასხვა მოსაზრებით ამ კოდექსებში აღნიშნულია იმ სასჯელის საერთო ზომა, რომელიც დაწესებულია ამა თუ იმ დანაშაულისათვის, და შემდეგ ეს ზომა დიდდება თუ მცირდება იმ გარემოებათა მიხედვით, რომლებიც მოცემულია თვით დანაშაულში ან მის გარეშე. ყოველ კოდექსში ვნახულობთ დანაშაულთა მთელ კიბეს, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან თავისი სიმძიმით და ამის შესაბამისად განსხვავებული სიმძიმის სასჯელებსაც. ყოველ კოდექსში ვხვდებით შემთხვევებს, როცა სასჯელი ძლიერდება დანაშაულის განსაკუთრებული შედეგების მიხედვით, მაგალითად, სხეულის დაზიანების დროს პასუხისმგებლობა ძლიერდება ამა თუ იმ შედეგების დადგომის მიხედვით, განსაკუთრებით კი, სიკვდილის დადგომის შემთხვევაში. ასეთივე აზრი აქვს ბრალის დამამძიმებელ თუ შემამსუბუქებელ გარემოებათა მთელ სისტემას. იმასვე ვხედავთ, მაგალითად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეჯამების თუ გაძლიერების სისტემის მიხედვით სანქციის განსაზღვრის შემთხვევაში¹.

საბოლოოდ, ყიყილენკო იძლევა სასჯელის შემდეგ განსაზღვრას:

სასჯელი არის აკრძალული მოქმედების სამართლებრივი შედეგი, რომელიც წარმოადგენს ბრალეული პირის უფლებრივ სიკეთეთა სფეროში შეჭრას და ამით გამოხატავს მის მიერ ჩადენილი ქმედობის შეფასებას². შემდეგში ყიყილენკო ავსებს ამ ფორმულას მითითებით, რომ სასჯელი დაიდება სახელმწიფო ხელისუფლების სახელით³.

7

პროფ. ნე მი რო ვ ს კ ი, ეხება რა სასჯელის პრობლემას, იძლევა სასჯელის დახასიათებას. მისი აზრით, სასჯელი არის დამნაშაულისათვის რომელიმე სიკეთის ჩამორთმევა, როგორც განსაზღვრუ-

¹ А. Жижиленко, Наказание, 1914, 197.

² იქვე, 248.

³ იქვე, 675.

ლი ქმედობის შედეგი, რაც გამოიხატება ამ ქმედობისა და დამნაშავეის პიროვნების გაკიცხვაში სახელმწიფოს სახელით და ინიშნება საერთო წესით სასამართლო ორგანოების მიერ სამართლის და მით დაცულ სიკეთეთა დაურღვევლობის განმტკიცების მიზნით.

ნემიროვსკის აზრით, სასჯელის მიზანი ძვეს ამ ინსტიტუტის გარეშე და იგი განხილულია ცალკე. ნემიროვსკი ასახელებს სასჯელის შემდეგ ნიშნებს:

1. სასჯელი არის დამნაშავეისათვის რაიმე სიკეთის ჩამორთმევა, მთლიანად თუ ნაწილობრივად. სიკეთე უნდა ეკუთვნოდეს პირადად დამნაშავეს, რაც რამდენადმე ირღვევა ქონებრივ სასჯელთა დროს, რომლებიც შელახავენ მთელი ოჯახის ინტერესებს.

2. სასჯელი წარმოადგენს გარკვეული დანაშაულის შედეგს და გულისხმობს, რომ სუბიექტმა განახორციელა კანონში აღწერილი დანაშაულის შედგენილობა. ამ ნიშნით სასჯელი არსებითად განსხვავდება იმ ღონისძიებებისაგან, რომლებიც მას გარეგნულად უახლოვდებიან და რომლებიც მიიღება სუბიექტის საშიშროების გამო მომავალში შესაძლო დანაშაულთა წინასწარ აცდენის მიზნით, ანდა გამოძიებასა და სასამართლოში გამოცხადების უზრუნველსაყოფად. ანთროპოლოგიური სკოლის თვალსაზრისით რებრესისის საფუძველს შეადგენს არა დანაშაულის განსაზღვრული შედგენილობა, არამედ პიროვნების საშიში მდგომარეობა (опасное состояние личности); აქ სასჯელი ემთხვევა პრევენციულ ღონისძიებებს; და თუ მისი გამოყენებისათვის მოითხოვენ დანაშაულბრივ ქმედობას, ეს იმიტომ, რომ უკანასკნელი განიხილება როგორც საშიში მდგომარეობის უფრო ძლიერი სიმპტომი და სასჯელი იქცევა საზოგადოების დაცვის ღონისძიებად. სოციოლოგიური სკოლაც, და ეგრეთწოდებული „მესამე სკოლის“ ზოგიერთი წარმომადგენელიც, მიაწერენ მნიშვნელობას „საშიში მდგომარეობის“ ცნებას, მაგრამ არა როგორც სასჯელის საფუძველს, არამედ უფრო როგორც უკანასკნელის გვარის და ზომის განმსაზღვრელ გარემოებას. საკითხი საშიში მდგომარეობის შესახებ ისმის მრავალგზის რეციდივისტების და პროფესიით დამნაშავეების მიმართ¹.

მაგრამ თვით უახლესი მიმართულებების მეცნიერთა შორის არიან ისეთნი, რომლებიც უარჰყოფენ „საშიში მდგომარეობის“ ცნებას კანონმდებლობაში, ვინაიდან მათ იგი არასაკმარისად გარკვეულ ცნებად მიაჩნიათ და აგრეთვე ისეთად, რომელიც აძლევს

¹ Немировский, Основные начала уголовного права, 1917, 104.

სასამართლო და პენიტენციურ ორგანოებს თავისუფალი მოსაზრების ფართო შესაძლებლობას და იმუქრება პრინციპის — *nulla poena sine lege* — გაუქმებით.

3. სასჯელი გამოხატავს ჩადენილი ქმედობის და მისი ჩამდენის პიროვნების უარყოფით შეფასებას, სახელმწიფოს მხრივ გაკიცხვას ანუ დაგმობას¹.

ეს გაკიცხვა ატარებს, ნემიროვსკის სიტყვით, სამართლებრივ ხასიათს, რომელიც ზნეობრივს არ ემთხვევა მთლიანად. სამართლებრივი ანუ სახელმწიფოებრივი გაკიცხვა სასჯელის ფორმით შესაძლოა მიიმართებოდეს ისეთ ქმედობებზე, რომლებიც ეთიკურად და სოციალურად განურჩეველია, მაგალითად, მრავალი წვრილი გადაცდომა, ანდა ზნეობის პრინციპების შესაბამისი და უვნებელი საზოგადოებრივი მიზნებისა და ინტერესებისათვის.

გაკიცხვა ეხება არა მარტო ცალკეულ ქმედობას, არამედ დამნაშავეს პიროვნებასაც, გამოხატავს მისი სამართლებრივი უვარგისობის აღიარებას, ე. ი. მის ხასიათში ისეთი თვისებების არსებობას, რომლებიც მტრულია სამართლის მიმართ. — პიროვნების დანაშაულებრივი განწყობილების აღიარებას².

გაკიცხვა — მხოლოდ სასჯელის ერთ-ერთი ელემენტია, მაგრამ არა ერთადერთი არსებითი. სასჯელი არა მარტო უარყოფითი შეფასებაა, იგი ამავე დროს მოქმედებაა, რითაც დამნაშავეს ეკარგება რომელიმე სიკეთე.

მხოლოდ სასჯელის ამ ელემენტის მეშვეობით, წერს ნემიროვსკი, შეგვიძლია შევინარჩუნოთ კანონმდებლობაში მტკიცედ დამკვიდრებული და კრიმინალისტთა დიდი უმრავლესობით აღიარებული პრინციპი — სასჯელი მხოლოდ ბრალის საფუძველზე და ბრალის თანაზომიერად, პრინციპი, რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართლის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ნაყოფს. გაკიცხვის ელემენტის შესუსტების შედეგად შესაძლო ხდება დასჯა სულთ ავადმყოფისა და, საერთოდ, ყოველი პიროვნებისა, რომელმაც არაბრალეულად დაარღვია ნორმა, ან, უფრო სწორად, შექმნა ნორმის საწინააღმდეგო მდგომარეობა. ამავე დროს სასჯელში გაქრება ის ნიშანი, რომელიც მას ასხვევებს სოციალური დაცვის ღონისძიებებისაგან. ეს ნაბიჯი გადადგეს მხოლოდ ზოგიერთმა უკიდურესმა სოციოლოგებმა.

თუ გაკიცხვის ელემენტი, — განაგრძობს ნემიროვსკი, — მნიშვნელოვნად აძლიერებს სასჯელის საერთო — პრევენციულ მოქმე-

¹ Немировский, Основные начала уголовного права, 1917, 106.

² იქვე, 107

დებას, მეორეს მხრივ, იგი ანიჭებს მას სამართლიანი სამაგიეროს მიზლის ხასიათს. სასჯელი წარმოადგენს არა უბრალო რეაქციას დანაშაულის მიმართ, არამედ ისეთ რეაქციას, რომელიც დამსახურებულია მოცემული საზოგადოების თვალსაზრისით. აკმაყოფილებს უკანასკნელის წარმოდგენებს ჯერარსზე (о должном). რამდენადაც სასჯელი ემთხვევა საზოგადოების მოლოდინს დანაშაულებრივი ქმედობის მიმართ, მით უფრო ძლიერია მისი ეფექტი. „ამგვარად, სამაგიეროს მიზლის იდეა შეერწყმის (сливается) საერთო პრევენციის იდეას, რომელიც გარდა ამისა მოიცავს დაშინებაც“¹. ამ ფორმით, შენიშნავს ნემიროვსკი, სამაგიეროს მიზლის ცნებას მხარს უჭერენ მრავალი კრიმინალისტები — კლასიკოსები, აგრეთვე „მესამე სკოლა“ და ზოგჯერ კრიმინალისტ-სოციოლოგებიც. მაგრამ უკანასკნელნი შეფასებას აძლევენ არა იმდენად ქმედობას, რამდენადაც დამნაშავის პიროვნების თვისებებს, რაც იწვევს სასჯელის მასშტაბის შეცვლას და დაკავშირებულია ბრალის ჩვეულებრივისაგან განსხვავებულ გაგებასთან“².

მაგრამ სხვა მიმართულებების კრიმინალისტებიც საკითხს სამაგიეროს მიზლის მნიშვნელობის შესახებ სასჯელის განსაზღვრისას სწყვეტენ სხვადასხვანაირად; კიდევ უფრო მეტად განსხვავდებიან სამაგიეროს მიზლის თანამედროვე და ძველ დამკველთა შეხედულებანი სამაგიეროს მიზლის არსისა და დასაბუთების შესახებ³.

ახალი თვალსაზრისის სხვადასხვა ვარიანტების საერთო ნიშანი, წერს ნემიროვსკი, — ესაა სამაგიეროს მიზლის პოზიტიური განმარტება; იგი გაგებულია, როგორც სინამდვილეში არსებული ფსიქიკური მოვლენა, რომელიც სახელმწიფოს ემსახურება სასარგებლო მიზნების მისაღწევად: სახელმწიფოს ავტორიტეტის განსამტკიცებლად, ან საზოგადოების ან უფლებრივ სიკეთეთა დასაცავად, ან საზოგადოების თუ დაზარალებულის დასაკმაყოფილებლად, ან სამართლებრივი გრძნობის გასამაგრებლად და აღსაზრდელად და სხვ.⁴.

ძველი შეხედულების ვარიანტებს (კანტის, შტალის, ჰეგელის და მათ მიმდევართა კრიმინალისტების) აერთებს ის, რომ ისინი სამაგიეროს მიზლდას დასაბუთებენ მეტაფიზიკურად და მას

¹ Немировский, Основные начала уголовного права, 1917, 109

² იქვე, 110.

³ იქვე, 110.

⁴ იქვე, 112.

უყურებენ როგორც თვითმიზანს. მათი აზრით, სამაგიეროს მიზლვა აპრიორული დებულებაა, იგი არ საჭიროებს დამტკიცებას და პრაქტიკულ მიზნებს არ ემსახურება; კავშირი სამაგიეროს მიზლვასა და სასჯელს შორის აუხსნელი რჩება¹.

ზოგი კრიმინალისტი უარპყოფს სამაგიეროს მიზლვას, როგორც ბარბაროსული ეპოქის გადმონაშთს, შურისძიების ხანის გამოძახილს, თანამედროვე ზნეობის მოთხოვნის დარღვევას, ზოგი კი გამოდის მის წინააღმდეგ, ვინაიდან იგი მიაჩნიათ მეტაფიზიკური ფილოსოფიის კუთვნილებად, რომელიც არ შეესაბამება დასჯის ღონისძიებათა მიზანშეწონილ ორგანიზაციას. ამ მიმართულებას რუსულ ლიტერატურაში წარმოადგენენ ტაგანცევი და პოზნიშევი². მაგრამ სამაგიეროს მიზლვის მეტაფიზიკურ დასაბუთებას ამჟამად არ ჰყავს მომხრეები; ტალიონსა და შურისძიებას აგრეთვე არ ჰყავს დამცველები, ხოლო სამართლიანი სამაგიეროს მიზლიდან გამომდინარე სასჯელისა და ბრალის სიმძიმის შესაბამისობის მოთხოვნა თანაგრძნობას იწვევს ზემოთ დასახელებულ კრიმინალისტების მხრივაც. საზოგადოების ზნეობრივ შეხედულებებთან კავშირის გაწყვეტაში უფრო მიუძღვით ბრალი სამაგიეროს მიზლვის მოწინააღმდეგეებს — სოციოლოგებსა და ანთროპოლოგებს.

ასეთია ის მოსაზრებანი, რომლებიც მოჰყავს ნემიროვსკის თავისი შეხედულების დასასაბუთებლად. სწორედ სამართლიანი სამაგიეროს მიზლვის მომენტი, — ამბობს იგი, — არის კორექტივი, შემკავებელი საწყისი საზოგადოების უშიშროების იდეით გატაცების დროს. მეორეს მხრივ, სამართლიანი სამაგიეროს მიზლვის ცნებასთან დაკავშირებული დაგმობის, გაკიცხვის ელემენტი ანიჭებს სასჯელს ეთიკურ ხასიათს და განსაკუთრებულ ღირებულებას სამართლისათვის ბრძოლაში. სამართლიანი სამაგიეროს მიზლვის ნამდვილ მოწინააღმდეგედ, ნემიროვსკის სიტყვით, შეუძლია გამოვიდეს მხოლოდ იმას, ვინც დევნის სისხლის სამართლიდან ინდივიდუალური ბრალის ცნებას³.

სასჯელის ზემოთ დახასიათებული ნიშნის მიხედვით ხშირად ასხვავებენ სასჯელსა და სოციალური დაცვის ღონისძიებას. მაგრამ ნემიროვსკი ამ აზრს არ ეთანხმება. იგი ჰყოფს ამ ღონისძიებებს ორ ჯგუფად: 1. პროფილაქტიკური ღონისძიებანი, სამკურნალო ან აღმზრდელობითი ხასიათის და 2. პრევენციული ღონისძიებანი, როგორცაა, მაგალითად, საშიშ რეციდივისტების მოთავსება თავისუფლ-

¹ Немировский, Основные начала уголовного права, 1917, 112.

² იქვე, 114.

³ იქვე, 114.

ბის აღკვეთის ადგილებში — სამუშაო სახლებში მოთავსება და სხვ. ამ უკანასკნელ ღონისძიებებს ნემიროვსკი უყურებს, როგორც სასაჯელის გაგრძელებას ანდა სასაჯელის შეცვლას. ნემიროვსკი უარყოფს ძირითად განსხვავებას სასაჯელსა და ამ ღონისძიებებს შორის. მისი შეხედულებით, ყველა ის მოსაზრება, რომლითაც ცდილობენ დაასაბუთონ მათი განსხვავება, მოკლებულია საფუძველს. მეტი ყურადღების ღირსია, ამბობს იგი, ის შეხედულება, რომელიც ამ ღონისძიებებში ვერ ხედავს დაგმობის, უარყოფითი სამართლებრივი შეფასების ელემენტს. ამ საბუთს მიმართავენ სასაჯელისა და აღნიშნულ ღონისძიებათა გამიჯვნის მომხრეები, როგორც უკანასკნელ არგუმენტს. მაგრამ ნემიროვსკი არ ეთანხმება მას, იგი ამტკიცებს, რომ გაკიცხვის ელემენტი ამ ღონისძიებებსაც უკავშირდება. განსაკუთრებული დაწესებულებანი ჩვევითი რეციდივისტებისათვის და სამუშაო სახლები სახელს უტეხენ იმათ, ვინც იქ იყო მოთავსებული. ეს რომ ასე არ იყოს, უარეს ელემენტებს ექნებოდათ რაღაც პრივილეგია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მათ შეუფარდებდა დაცვის ღონისძიებას სასაჯელის მაგ იერ: ეს პირები სახელგაუტეხელი გამოვიდოდნენ¹.

ამ საკითხს ჩვენ გავარჩევთ შემდეგ გადმოცემაში.

4. სასაჯელის უკანასკნელ დამახასიათებელ ნიშანს ნემიროვსკი ხედავს იმაში, რომ იგი ინიშნება სახელმწიფოს სახელით და უკანასკნელის ორგანოებით. საერთო წესით, ასეთ ორგანოებს სასამართლოები წარმოადგენენ. სადაოა, ამბობს ნემიროვსკი, თუ რამდენად სასაჯელის დანიშვნა სწორედ სასამართლოების მიერ სასაჯელის არსებით ნიშანს შეადგენსო. ზოგიერთი უარპყოფს ამას, ეყრდნობა რა თანამედროვე სამართალშიც ცნობილ შემთხვევებს, როცა სასაჯელს უფარდებენ ადმინისტრაციული ორგანოები, მაგალითად, განსაკუთრებული მდგომარეობის დროს. ყოველ შემთხვევაში, პრინციპული თვალსაზრისით, წერს ნემიროვსკი, *de lege ferenda*, დაყენებულ საკითხზე უფრო დადებითად უნდა ვუპასუხოთ, ვინაიდან სამართლებრივი გაკიცხვის ელემენტი ნათლად, მკვეთრად მოჩანს მხოლოდ საქმის საჯარო სასამართლო წესით განხილვის პირობებში, რამაც უნდა დაადგინოს ბრალი და მისი ხარისხი. მეორეს მხრივ, *de lege la-*

¹ Немировский, Основные начала уголовного права, 1917, 117.

თა. ამ წესისაგან გადახვევა გამონაკლისს შეადგენს და სასჯელისათვის ტიპიური არაა¹.

სასჯელის მიზნად ნემიროვსკი თვლის სამართლებრივი ნორმების და მათ მიერ დაცულ სიკეთეთა დაურღვევლობის განმტკიცებას, ეს მიზანი რამდენადმე ხორციელდება:

1) საერთო პრევენციით, ე. ი. გავლენის მოხდენით მთელ მოსახლეობაზე, რაც სწარმოებს დანაშაულებრივი ქმედობის და დამნაშავის პიროვნების სამართლიანი უარყოფითი შეფასების (დაგმობის) გზით, სასჯელის მუქარის დამაშინებელი მოქმედებით, სასჯელის შეფარდების დამაშინებელი გავლენით.

2) სპეციალური პრევენციით, ე. ი. დამნაშავის პიროვნებაზე სასჯელის გავლენით, რომელიც შეიძლება გამოიხატოს: დამნაშავის ზნეობრივ გასწორებაში, რაც შესაძლოა თითქმის მხოლოდ ახალგაზრდა დამნაშავეთა მიმართ, ან ეგრეთწოდებულ იურიდიულ (სამოქალაქო) გასწორებაში, რომელიც გაგებულია იმ აზრით, რომ დამნაშავეს უნერგავენ სოციალურად სასარგებლო ჩვევებს და აძლევენ სასარგებლო ცოდნას, რაც მას იცავს რეციდივისაგან; დამნაშავისათვის დანაშაულებრივი მოქმედების გაგრძელების შესაძლებლობის მოსპობაში (უვნებელყოფა, ელიმინაცია); იმ პირის დაშინებაში, რომელიც იხდის სასჯელს. ეს შეხედულება წამოაყენა გ რ ო ლ მ ა ნ შ ა, იგივე იღვა სხვა ფორმით გამოთქვა ლ ა მ ა შ მ ა.

3) იმ დაკმაყოფილებით, რომელსაც განიცდის დაზარალებული, უკანასკნელი პატივისცემით ეპყრობა მართლწესრიგს და ამ გზით ხდება თვითგასწორების (саморасправа) თავიდან აცდენა².

¹ Н е м и р о в с к и й, Основные начала уголовного права, 1917, 119.

ზემოთ დაყენებულ საკითხზე იხ. Ж и ж и л е н к о, Наказание, 657. ეიელინკო მიუთითებს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სასჯელს ნიშნავს არა სასამართლო ორგანოები. ასეთია, მაგალ, პატიება, რომლის ძალით უმაღლესი ხელისუფლების ორგანო ამსუბუქებს სასჯელს ახალი სასჯელის დანიშვნის გზით. იქვე მას მოჰყავს სხვა შემთხვევები. რა თქმა უნდაჩავალითები ეკუთვნის რევოლუციამდელ რუსულ სამართალს.

² Н е м и р о в с к и й, указ. сочин., 128.

საგულისხმოა, რომ ნემიროვსკის სიტყვით, საკითხი *jus puniendi*-ს შესახებ, ე. ი. სახელმწიფოს უფლების შესახებ, რომლის ძალითაც იგი უფარდებს სასჯელს, ეკუთვნის სახელმწიფო სამართლის დარგს, და არა სისხლის სამართლის მეცნიერებას — «...вопрос о так называемом *jus puniendi*. поскольку он заключается в установлении правомочий государства, принадлежит к области учения о последнем, а не к науке уголовного права». იქვე, 149. იგივე აზრი გამოთქვა რ. შმიდტმა.

ამყამად, ნემიროვსკის სიტყვით, არ არსებობს თეორია, რომელიც არ აღიარებდეს სასჯელის მიზანშეწონილებას და ადვილს არ უთმობდეს საერთო და სპეციალურ პრევენციას. ამ აზრით ყველა თეორია შეიძლება ვცნოთ როგორც მიზნობითი, ან შეფარდებითი, ანდა უტილიტარული¹. განსხვავება მხოლოდ იმ მოცულობაშია, რომლითაც აღიარებულია ეს მიზნები: კლასიკოსებთან სჭარბობს საერთო პრევენცია — სამაგიეროს მიზლვა (общее предупреждение — возмездие), ხოლო სპეციალური პრევენციის მიზნებიდან ელიმინაცია ყველაზე ნაკლებ თანაგრძნობას ხვდება; სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელნი კი, პირიქით, ხშირად არ ცნობენ ზოგადი პრევენციის მნიშვნელობას ანდა დაშინებას მიაწერენ ერთგვარ როლს, მეორე მხარე კი — სამართლიანი უარყოფითი შეფასება იკარგება. „მესამე სკოლა“ აერთებს საერთო პრევენციას, სამაგიეროს მიზლვას და სპეციალურ პრევენციას ისეთნაირად, რომ ამ გზით ყველაზე უფრო ხორციელდება ძირითადი მიზანი — დანაშაულობის შემცირება².

სისხლის სამართლის მეცნიერებაში, განაგრძობს იგივე ავტორი, სასჯელის საკითხს აშუქებენ ცალმხრივად, წინ არის წამოყენებული ერთი რომელიმე მიზანი და სხვა მიზნები უგულვებელყოფილია, ანდა მათ ეხებიან მხოლოდ ვაკვრით, მეორეს მხრივ კი, მეტაფიზიკური ფილოსოფია ჰქმნის მოძღვრებას სასჯელის თვითმიზნობის შესახებ (о самоцельности наказания), სჯიან იმისათვის, რომ დასაჯონ, სამაგიეროს მიუზღვავენ იმისათვის, რომ შეასრულონ კატეგორიული იმპერატივის, დიალექტიკის კანონის მოთხოვნა, საზოგადოებრივთა თვის რაიმე სასარგებლო მიზნებისაგან დამოუკიდებლად, მხოლოდ quia peccatum est. სასჯელი, როგორც სამაგიეროს მიზლვა, აბსოლუტური თეორიების თვალსაზრისით, წარმოადგენს დანაშაულის აუცილებელ შედეგს, რომელიც თვით ამ ფაქტიდან გამომდინარეობს. დამნაშავე ადამიანი და მისთვის წვალების მიყენება არ შეიძლება გამართლებულ იქნას სარგებლიანობის მოსაზრებით, იგი შეიძლება მხოლოდ სამაგიეროს მიზლის აპრიორული საწყისების საფუძველზე. რატომ სწორედ სახელმწიფო უფარდებს სასჯელს და რატომ უფარდებს მას არა სამართლის ყოველი დარღვევისათვის? რით აიხსნება პატიება? ამ საკითხებზე აბსოლუტური თეორიები პალუს ვერ იძლევა³.

¹ Немировский, указ. сочин., 129.

² იქვე, 170.

³ იქვე, 131.

ისტორიულად ადამიანის საზოგადოების ყოველ მოქმედებას აქვს თავისი მიზანი. მაშინაც კი, როდესაც სასჯელი ვლინდება ტალიონის სახით, იგი უმსახურებოდა პრაქტიკულ მიზნებს და ითვისწინებდა მოცემული საზოგადოებრივი წყობის განმტკიცებას. სიმბოლურ ტალიონში სასჯელის თვალსაჩინო კავშირს დანაშაულთან უნდა გამოეწვია მოსახლეობაში უფრო მკვეთრი ასოციაცია და გამაფრთხილებლად უნდა ემოქმედნა¹.

აბსოლუტურ თეორიებთან ზოგიერთი საერთო ნიშნები აქვთ იმ თეორიებს, რომლებიც თუმცა აღიარებენ სასჯელის მიზანშეწონილებას, მაგრამ მის გამართლებას ეძებენ სხვა რამეში, როგორცაა სამართლიანობის თანდაყოლილი გრძნობა ან თავდაცვის ბუნებრივი უფლება, რომელიც სახელმწიფომდე არსებობდა და შემდეგ მასზე გადავიდა. ამ თეორიებს ნემიროვსკი შეერეულს (смешанные) უწოდებს. მათ უახლოვდება სამართლებრივი თეორია (правовая теория) მისი სხვადასხვა ვარიანტებით: ლაისტერიის, ჰეინცეს, ბინდინგის და სხვ. სამართლებრივი თეორია ასხვავებს სასჯელის უფლებას, რომელიც გამომდინარეობს სამართლის თვით იდეიდან და დანაშაულის თითქოს მეორე მხარეს, მის აუცილებელ თანამზავრს წარმოადგენს, და სასჯელის მოვალეობას სახელმწიფოსათვის; ეს მოვალეობა შეზღუდულია იმ მოსაზრებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინტერესი; სახელმწიფო სჯის მხოლოდ მაშინ, როდესაც სასჯელის გამოუყენებლობის სიკვამელი იმ სიკვამელზე, რომელიც მოცემულია თვით სასჯელში (ბინდინგი)².

სოციოლოგიური მიმართულების წარმომადგენლები ნაწილობრივად მიდიან კომპრომისზე, ცნობენ სამართლიანი სამაგიეროს მიზლის იდეის მნიშვნელობას, ყოველ შემთხვევაში დროებით, რომ არ გაწყვიტონ კავშირი ხალხის მართლშეგნებასთან, მაგრამ სიმძიმის ცენტრი მათ გადააქვთ სპეციალურ პრევენციაზე, რომლის ცალკეული მიზნები უკავშირდება დამნაშავეთა ამა თუ იმ კლასისადმი კუთვნილებას: თუ დამნაშავეთა კლასი შედგება ისეთი ელემენტებისაგან, რომლებიც ვარგისია სოციალური შეგუებისათვის, სასჯელს მიზნად უნდა ჰქონდეს გამოსწორება; თუ კლასი შედგება გაუსწორებელ დამნაშავეთაგან, სასჯელმა უნდა მიიღოს ელიმინაციის, უვნებელყოფის ხასიათი. შესაძლოა ისეთი მდგომარეობაც, როცა დანაშაული ადამიანის ცხოვრებაში შემთხვევით ეპიზოდს წარმოადგენდა, გამოწვეული იყო მძიმე, ტრაგიკული გარემოებებით, ამიტომ არაა მის-

¹ Немировский, указ. сочин., 131.

² იქვე, 132.

გან მოსალოდნელი ახალი დანაშაული, მაშასადამე, არაა საჭირო არც მისი გამოსწორება და არც მით უფრო ელიმინაცია; სასჯელს აქ შეიძლება მიზნად ჰქონდეს ან კანონზომიერი ყოფაქცევის სტიმულების გამაგრება ან საერთო პრევენცია და სამაგიეროს მიზლვა. ნემიროვსკი, აღნიშნულის შესაბამისად, ასხვავებს დამნაშავეთა სამ კლასს: 1) შემთხვევითი ანუ ეპიზოდური, მომენტის დამნაშავენი (მწვავე დანაშაულობა); 2) ჩვევითი და პროფესიული დამნაშავენი, რომელთა გამოსწორება შესაძლოა (ქრონიკული დანაშაულობა) და 3) გაუსწორებელი დამნაშავენი¹. ეს სქემა, ნემიროვსკის აზრით, მარტივია, იგი არაა უარყოფილი თვით ისეთი კრიმინალისტის მიერ, როგორც არის სერგეევსკი, მას არსებითად იცნობს მოქმედი კანონმდებლობაც. 1903 წლის სისხლის სამართლის დებულება ანიჭებს ჩვევით და პროფესიულ დანაშაულობას არსებით მნიშვნელობას სასჯელის დანიშვნისას, უფრო შორს მიდის ამ მიმართულებით ნორვეგიის კოდექსი. ზოგჯერ, ამბობს ნემიროვსკი, ამ კლასიფიკაციას უსაყვედურებენ, რომ იგი არის უსიცოცხლო, სქემატიური, მიუთითებენ, რომ იგი სქოლასტიკურია, იგი ჰქმნის განსაზღვრულ განაწილებას, რომელსაც არა აქვს არც მეცნიერული და არც პრაქტიკული აზრი².

თანამედროვე კანონმდებლობათა ტენდენცია, წერს ნემიროვსკი, რომ უფრო ქმედითი გახადონ რეპრესია, აგრეთვე თვით ცხოვრებით გამოწვეული აზრი დამნაშავეთა კლასიფიკაციის და სასჯელთა ინდივიდუალიზაციის შესახებ, რამაც თავისი მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა უახლოეს პროექტებში, მწვავედ აყენებენ საკითხს: რამდენად სპეციალური პრევენციის მიზნები ეთანხმება საერთო პრევენციის მიზანს და სამაგიეროს მიზლის იდეას?

როგორც ჩანს მისი მსჯელობიდან, ნემიროვსკი დადებითად ჰრის ამ საკითხს. ამჟამად, წერს იგი, მეტად თუ ნაკლებად სოციოლოგებიც და კლასიკოსებიც არსებითად აღიარებენ სასჯელის სხვადასხვა მიზნების შეერთებას, ეს კომპრომისი აშკარად აღიარებულია „მესამე სკოლის“ მიერ, როგორც ყველაზე უფრო სწორი გადაწყვეტა საკითხისა პრაქტიკული ამოცანების თვალსაზრისით. ეს პრაქტიკული თვალსაზრისი, ნემიროვსკის აზრით, წარმოადგენს მხოლოდ იმ საშიშროებას, რომ სპეციალური პრევენციის მიზნების გადაჭარბების შედეგად სასჯელმა შესაძლოა დაკარგოს სამართლებრივი გაკიცხვის ელემენტი, გაწყვიტოს კავშირი ბრალთან და არსებითად დაცვის ღონისძიებად გადაიქცეს, როგორც ეს ხდება სოციოლოგთა

¹ Немировский, указ. сочин., 138.

² იქვე, 139.

უკიდურეს ფრთასთან, ანთროპოლოგებსა და ფსიქიატრებთან. კომპრომისის დროს, ნემიროვსკის სიტყვით, სწორედ სამაგიეროს მიზლის იდეას, სამართლიანი შეფასების აზრით, და საერთო პრევენციის მიზანს შეუძლიათ მოგვეცეს საიმედო დასაყრდენი. ამიტომ მეცნიერულად უფრო სწორია და პრაქტიკულად ნაკლებად საშიში სასჯელის ძირითად მიზნად სამართლებრივი ნორმებისა და სიკეთეთა დაცვის აღიარება სამართლიანი სამაგიეროს მიზლის მეშვეობით, მაგრამ ასეთი სამაგიეროს მიზლვა უნდა იყოს მხოლოდ ის, რომლის დროსაც უარყოფითი შეფასება ეხება არა მარტო დანაშაულებრივ ქმედობას, არამედ, უმთავრესად, დამნაშავის პიროვნებასაც¹. შეფასების მასშტაბის ამგვარი გაღრმავებით, სასჯელი, ინარჩუნებს რა თავის სპეციფიკურ თავისებურებას — დამოკიდებულებას ბრალთან — შეძლებს უფრო მეტად, ვიდრე აქამდე, სპეციალური პრევენციის ამოცანების განხორციელებასაც. ამასთან ერთად ბრალის ცნებაშიც უნდა მიიღოს ჩვეულებრივისაგან რამდენადმე განსხვავებული შინაარსი². ბრალი ნემიროვსკის ესმის როგორც «დანაშაულებრივი განწყობილება» (преступное настроение), რომელიც არ ემთხვევა „საშიშ მდგომარეობას“, „ხასიათს“, „დანაშაულობის პირად მდგომარეობას“ («личное состояние преступности») და არც „ანტი-სოციალურ“ ან „ასოციალურ განწყობილებას“³.

ზემოთ დახასიათებული იყო ნემიროვსკის კონცეფცია სასჯელის შინაარსისა და მიზნების შესახებ. ნემიროვსკი სასჯელის შინაარსად თვლის უარყოფითი სამარლებრივი შეფასების, ე. ი. დ ა გ მ ო ბ ის, გ ა კ ი ც ხ ვ ის მომენტს, რომელიც გამოისახება სამაგიეროს მიზლვაში. ამასთან ერთად იგი ცნობს სასჯელის პრაქტიკულ მიზნებს — საერთო და სპეციალურ პრევენციას. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ იგი ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებს სამაგიეროს მიზლვას და საერთო პრევენციას, ეს ორი ცნება მის მოძღვრებაში ერთმანეთს («...идея возмездия сливается с идеей общего предупреждения...»). ეს აზრი, როგორც ვნახეთ, სხვა ბურჟუაზიულ კრიმინალისტების მიერაც იყო გამოთქმული (რ. შმიდტი). საერთო პრევენცია განხილულია როგორც ისეთი რამ, რაც თავისი ბუნებით სასჯელის მთავარ პრინციპს — სამაგიეროს მიზლვას — ენათესავება. ამგვარად, პრევენციის ორი სახე — საერთო და სპეციალური — ერთმანეთისაგან დაშორებულია, გათიშულია⁴.

¹ Немировский, указ. сочин., 145.

² იქვე, 146.

³ იქვე, 192.

⁴ პრევენციის საკითხი ჩვენ ზემოთ განვიხილეთ.

ბურჟუაზიული სამართლის მეცნიერებაში ვხვდებით ისეთ მიმდინარეობასაც, რომელიც უარჰყოფს სამაგიეროს მიზღვის პრინციპს. ამ მიმდინარეობას ეკუთვნიან კრიმინალისტები, რომლებიც პრევენციის მოძღვრებას იზიარებენ. ასეთია, მაგალითად, ა. ფეიერბახი, რომელმაც წამოაყენა საერთო პრევენციის თეორია, რაც ლიტერატურაში ცნობილია „ფსიქოლოგიური იძულების თეორიის“ სახელწოდებით¹. აქვე უნდა დავასახელოთ გროლმანი, როგორც სპეციალური პრევენციის წარმომადგენელი, რომელიც სასჯელის შიზნად თვლის გავლენის მოხდენას იმ პირზე, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, და ამ გზით მომავალში დანაშაულის თავიდან აცდენას². ინგლისელი ბენტამიც მწერალთა ამ ჯგუფში უნდა იქნას მოთავსებული³.

საჭიროდ მიგვაჩნია გავეცნოთ რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტების ტაგანცევის და პოზნიშევის შეხედულებას სასჯელის მიზნების შესახებ. ორივე უარჰყოფს ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში საერთოდ მიღებულ და, შეიძლება ითქვას, გაბატონებულ სამაგიეროს მიზღვის ცნებას. საინტერესოა იმ მოსაზრებების გაცნობა, რომლებითაც ეს ავტორები ხელმძღვანელობენ, როცა უარჰყოფენ ტრადიციით მიღებულ და განმტკიცებულ შეხედულებას.

ტაგანცევი, ლაპარაკობს რა დასჯის უფლების დასაბუთებაზე, წერს, რომ სახელმწიფოს დასჯითი უფლების დასაბუთება საზოგადოების, როგორც სამართლებრივი ორგანიზმის, ამოცანებით და მიზნებით, მას მიაჩნია უფრო სწორად. როგორც გვასწავლის ისტორია, ყოველი ორგანიზებული საზოგადოება, დაწყებული მისი პირველყოფილი ფორმებით და გათავებული თანამედროვე სახელმწიფოებით, ჰქმნის გარკვეულ წყობილებას, იცავს საზოგადოების და მის წევრთა მატერიალურ და სულიერ ინტერესებს და აწესრიგებს თავის წევრთა ურთიერთობებს სამართლებრივი ნორმებით. ამასთან ერთად, თვლის რა ყოველ ხელყოფას ამ ნორმებზე აკრძალულად, ამ ხელყოფათა განსაზღვრულ ჯგუფს მიაწერს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და მათ ჩამდენს ემუქრება სასჯელით. სასჯელის შეფარ-

¹ ზოგი ამტკიცებს, რომ ფეიერბახის თეორია არ გამოხატავს წმინდა პრევენციას. ეს აზრი არასწორად მიგვაჩნია.

² გროლმანის თეორია ზემოთ უკვე იყო დასახელებული (მეორე თავში).

³ ბენტამის შესახებ იხ. ზემოთ (მეორე თავი).

დების უფლება ეკუთვნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. ტაგანცევი აყენებს კითხვას: აქვს თუ არა სახელმწიფოს ამ მოქმედებას გონივრული გამართლება? წარმოადგენს იგი თუ არა სახელმწიფოს, როგორც იურიდიული ორგანიზმის, ერთ-ერთ უფლებას?¹

დასჯის უფლების დასაბუთება, ტაგანცევის აზრით, უნდა ვეძიოთ არა ცალკეული პირის თვისებებში, არამედ საზოგადოებრივი ორგანიზმის თვისებებსა და პირობებში. შურისძიების ინსტიტუტის გამოვლინება არის პროტოტიპი, და არა სახელმწიფოს დასჯითი უფლების წყარო. საზოგადოების დასჯითი უფლების წარმოშობის ახსნის ცდა შეთანხმებით, ხელშეკრულებით წარმოადგენს ფიქციას, რომელსაც არა აქვს არავითარი საფუძველი. მაშასადამე, დასჯის უფლების დასაბუთება უნდა ვეძიოთ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში, მისი მიზნების გონივრულობაში, ამ მიზნების მისაღწევად საჭირო საშუალებათა თვისებაში, სამართლებრივი წყობილების თავისებურებაში².

ტაგანცევი გადადის საჯელის შინაარსის და მიზნის საკითხზე და აღნიშნავს სამაგიეროს მიზლის თეორიების უსაფუძვლობას. თუ მიუთითებენ, ამბობს იგი, ზნეობრივ გრძნობას, რომელიც მოითხოვს სიავისათვის სიავით მიგებას, ივიწყებენ, რომ იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებული უშუალოდ უსწორდება დამნაშავეს, ჩვენ ვხედავთ არა სამართლიანობის მარადიული კანონების განხორციელებას, არამედ ქმედობას, რომელიც ცივილიზებულ საზოგადოებაში იწვევს ზნეობრივ გაკიცხვას. თუ ეყრდნობიან მათემატიკურ ფორმულას, რომ მიწის მიწისზე იძლევა პლუსს, რომ უარყოფის უარყოფით დგინდება ნორმალური მდგომარეობა, ავიწყდებათ, რომ ეს ფორმულა შეესაბამება არა სამაგიეროს მიზლის (возмездия), არამედ აღდგენის (восстановления) ცნებას, რომელიც ამ სახით გამოყენებულია მატერიალურ მოვლენათა სამყაროში; რომ უარყოფის, ე. ი. დანაშაულის, სასჯელის საშუალებით, არყოფილად გადაქცევა, შეუძლებელია: მკვლელის არავითარი დასჯა არ გამოაცოცხლებს მოკლულს, სიკვდილი სიკვდილისათვის თავის შედეგად იძლევა არა სიცოცხლეს, არამედ ორ სიკვდილს³.

სამაგიეროს მიზლის პრინციპი პრაქტიკულად უძლეურია პასუხისმგებლობის ხარისხის და ზომის განსაზღვრისას ცალკეული დანაშაულისათვის. კანტის მატერიალური ტალიონის პრინციპი, რომელიც იმეორებს ბიბლიის დებულებას — „თვალი თვალის წილ, კბილი

¹ Таганцев, Русское уголовное право, 1902, II, 875.

² იქვე, 876.

³ იქვე, 910.

კბილის წილ“, იმდენად სუსტია, რომ მასზე არც ღირს შეჩერება. მეტი მნიშვნელობა აქვს ჰეგელიანელთა მოძღვრებას, რომელიც მოითხოვს სასჯელის გათანასწორებას ბრალის თვისებასა და ოდენობასთან, კერძო ნებისყოფის საერთო ნებისყოფისაგან გადახვევის სიღრმესთან. მაგრამ, შენიშნავს ტაგანცევი, ამგვარი თანასწორობის განხორციელება კანონმდებელს დააკისრებდა შეუძლებელ ამოცანას — იგი იძულებული იქნებოდა დანაშაულთა კლასიფიკაციის და თვითეული მათგანისათვის პასუხისმგებლობის დადგენის დროს ზუსტად განესაზღვრა, რა ზომით და ხარისხით გამოიხატება ბრალი ცეცხლის წაკიდების, მკვლელობის, ქურდობის შემთხვევაში, წვალების, სახელდობრ რა ხარისხით, თავისუფლების აღკვეთის გარკვეულ ვადაში გამოხატული, წარმოადგენს დანაშაულებრივი ნებისყოფის თანასწორდირებულ უარყოფას. ამით აიხსნება ის, რომ ჰეგელის ყველაზე უფრო თანმიმდევრულმა მომხრეებმაც კი — კესტლინმა, ბერნერმა და სხვ. მოძღვრებაში პასუხისმგებლობის ზომის შესახებ შეიტანეს მიზანშეწონილების და სარგებლიანობის საწყისი. ტაგანცევის სიტყვებით, ეს იყო ცდა «соединить несоединимое и создать так называемые доктрины смешанные»¹.

ასევე არ აკმაყოფილებს ტაგანცევს სამართლიანობის თეორია. რასაკვირველია, იმის მტკიცება, რომ მხოლოდ ის სასჯელია სამართლიანი, რომელიც უპასუხებს სარგებლიანობის მიზნებს და რომ ამგვარი აუცილებელი სასჯელი წარმოადგენს სამართლიან მისაგებელს (воздаяние), არ გამორიცხავს ასეთი კონსტრუქციების უტილიტარულ ხასიათს: თუ დამნაშავე ისჯება არა მხოლოდ იმისათვის, რომ მან ჩაიდინა გარკვეული ქმედობა, რომელიც განსაზღვრავს დასჯადობის აუცილებლობას, მის გვარსა და სახეს, არამედ იმიტომ, რომ მისი დასჯა ითვლება საჭიროდ სახელმწიფო წესრიგის განსამტკიცებლად, მაშინ როგორც არ უნდა ვუწოდოთ ასეთ დოქტრინას. იგი არ იქნება სამაგიეროს მიზლის თეორია. მაგრამ როცა სამართლიანობა ესმით როგორც განსაზღვრული თანაფარდობა დანაშაულსა და პასუხისმგებლობის ზომას შორის, აქ სინამდვილეში საქმე გვაქვს სამაგიეროს მიზლის დოქტრინასთან. სასჯელის შეფარდება გამართლებულია არა იმით, რომ იგი სასარგებლოა, არამედ იმით, რომ იგი სამართლიანია, რომ სწორედ იგი დამსახურებულია დამნაშავეს მიერ. მაგრამ, — წერს ტაგანცევი, — სად უნდა აღმოვაჩინოთ სამართლიანი შეფასების, როგორც სამართლიანი სა-

¹ Таганцев, Русское уголовное право, 1902, II, 911.

მაგიეროს მიზღვის, საზომი? რას უნდა დაეყრდნოს კანონმდებელი ცალკეულ დანაშაულთა სამართლიანი შეფასების დადგენისას? რას მიიღებს იგი ნამდვილი სამართლიანობის საზომად? ხალხის ხმას, საკუთარი სინიღისის ჩვენებას, სხვა კანონმდებლობათა მაგალითს? ხალხის მიერ თვითგასამართლების დროს კარგავენ ადამიანობას; სისხლის სამართლის კანონმდებლობათა შედარება არკვევს ერთდამივე ქმედობათა ისეთ განსხვავებულ შეფასებას, რომ იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ არაფერი არაა ისეთი ცვალებადი, როგორც სამართლიანი სამაგიეროს მიზღვის ზომა. რაც შეეხება ცალკეულ პირთა სუბიექტურ შეხედულებებს, რომლებიც კოდექსის შედგენაში მონაწილეობენ, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია¹.

ტაგანცევის აზრით, არაა დამაკმაყოფილებელი არც ფეიერბახის თეორია, რომელმაც აღიარა მიზანშეწონილად მხოლოდ კანონის მუქარა, თვით დასჯა კი — სამაგიეროს მიზლად². ფეიერბახის მოძღვრებას ტაგანცევი უწოდებს „ფორმალური სამაგიეროს მიზღვის“ თეორიას. სასჯელის ცნობა სამართლიანად და დამსახურებულად მხოლოდ კანონის წინანდელი მუქარის ძალით, ეს, ტაგანცევის სიტყვით, ნიშნავს სასჯელის შინაარსის საკითხის გადაწყვეტას ფორმის მიხედვით, და არა არსებითად. სასჯელი ამ თეორიის თანახმად ეფარდება დამნაშავეს, მისი სარგებლიანობის და საჭიროებისაგან დამოუკიდებლად, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პირმა ჩაიდინა ქმედობა, აკრძალული კანონის მუქარით, იმის გამო, რომ მბრძანებელი ნებისყოფა, შელახული დამნაშავეს მიერ, დაკარგავდა მბრძანებლობას, უკეთუ დამნაშავე დაუსჯელი დარჩებოდა, იმის ძალით, რომ უფლება მორჩილებაზე დასჯის უფლებად იქცა³. ამგვარად, ტაგანცევი ბინდინგის თეორია ფეიერბახის თეორიას დაუკავშირა. ამ აზრს ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით; ფეიერბახსა და ბინდინგს შორის ღრმა განსხვავებაა როგორც სასჯელის, ისე სხვა ძირითად საკითხებში.

ამგვარად, — განაგრძობს ტაგანცევი, — „სასჯელისათვის სასჯელის“ იდეა («наказание для наказания») ვერ პოულობს ვერც თეორიულს და ვერც პრაქტიკულ გამართლებას. დამნაშავეისათვის მიყენებული სიავე, ხარჯები, რომელსაც ეწევა სახელმწიფო საპატიმრო დაწესებულებათა მოსაწყობად, მართლმსაჯულების განსა-

¹ Таганцев, Русское уголовное право, 1902, II, 912.

² იქვე, 912. ფეიერბახის თეორიას არსებითად, ტაგანცევის აზრით, ემხრობიან ლაისტერი და ბინდინგი. ეს აზრი ჩვენ უცნაურად გვეჩვენება.

³ იქვე, 913.

ხორციელებლად, შეიძლება გამართლებულ იქნას მხოლოდ იმ სარგებლობით, რომელსაც სახელმწიფო სასჯელისაგან მოელის. მიზანშეწონილება, რომელიც ამართლებს ყველა სამართლებრივ ინსტიტუტს, უნდა შეადგენდეს დასჯითი უფლების აუცილებელ ელემენტსაც¹.

როგორც ვხედავთ, ტაგანცევი გადაჭრით უარპყობს როგორც ეგრეთწოდებულ აბსოლუტურ, ისე შემარიგებელ ანუ გამაერთიანებელ თეორიებს. „სამაგიეროს მიზლის“ იდეა, მისი აზრით, მოკლებულია საფუძველს, ვინაიდან შეუძლებელია თანაზომიერების ზუსტად დადგენა დამნაშავეის ბრალსა და შესაბამისს სასჯელს შორის. ეს იდეა უძლურია ცალკეული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ზომის გასარკვევად და დასადგენად. ტაგანცევი არ ეთანხმება აგრეთვე იმ თეორიებს, რომლებიც ცდილობენ შეარიგონ საწინააღმდეგო საწყისები. ამ შეხედულების ნიმუშები ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ.

თუმცა უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კოდექსების მთელი სისტემა გამსჭვალულია მისწრაფებით დაადგინოს თანაზომიერება დანაშაულსა და სასჯელს შორის. ამას ამტკიცებს სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებულ ნაწილში მოცემული დანაშაულთა კლასიფიკაცია და მათი შესაბამისი სასჯელთა გარკვეული ზომა. კანონმდებელი წინასწარ, განყენებული სახით აწესებს ამ თანაზომიერებას, პროპორციულობას. სასამართლო, თავის მხრივ, ცდილობს ცხოვრებაში გაატაროს იგივე პრინციპი, შეუფარდოს კონკრეტულ შემთხვევაში ამა თუ იმ დანაშაულისათვის ის ნორმა, რომელიც ზოგადი სახით დადგენილია კანონმდებლის მიერ. რა თქმა უნდა, სასამართლო მექანიკურად როდი უფარდებს სასჯელს, მას აქვს უფლება თავის განაჩენში გაითვალისწინოს ამა თუ იმ შემთხვევის ინდივიდუალური თვისებები, მაგრამ იგი მაინც შეზღუდულია და მოქმედებს იმ ფარგლებში, რაც დადგენილია კანონმდებლობით.

მეორე რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი პოზნიშევი აგრეთვე უარყოფითად უყურებს სამაგიეროს მიზლის პრინციპს. პოზნიშევი ახასიათებს სასჯელის მეტაფიზიკურ თეორიებს და წერს, რომ სამაგიეროს მიზლის პრინციპი, წამოყენებული მეტაფიზიკური თეორიებით, განუხორციელებელია, ვინაიდან იგი მოითხოვს დანაშაულის და სასჯელის ექვივალენტობას, თანას-

¹ Таганцев, Русское уголовное право, 1902, II, 913.

წორობას. მაგრამ ადამიანის მართლმსაჯულებას არ ძალუძს ამ თანასწორობის განხორციელება. მას მოუხდებოდა დადგენა ყოველთვის სასჯელის საეგებისო მომავალი სიდიდისა, სახელდობრ, მას უნდა განესაზღვრა, თუ რაოდენ ტანჯვას მიაყენებს მოცემული სასჯელი მოცემულ დამნაშავეს. შემდეგ, დადგენა ისეთი გარკვეულობით, რომ შესაძლო ყოფილიყო ექვივალენტის აღმოჩენა, დამნაშავეს მიერ მიყენებული ტანჯვის, ან მისი დანაშაულებრივი ნებისყოფის მთელი სიბოროტისა, აგრეთვე შეუძლებელია¹. თეოლოგიური და მეტაფიზიკური თეორიების გარჩევიდან პოზნიშევს გამოაქვს დასკვნა: სასჯელი არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოადგენდეს სამაგიეროს მიზლვას დანაშაულისათვის². თუ არ შეიძლება დავუშვათ მიმზღველი სამართლიანობის არსებობა ცდისაგან დამოუკიდებლად, რადგან ადამიანთა ურთიერთობის მომწესრიგებელ ყოველ პრინციპს უნდა ჰქონდეს ემპირიული ხასიათი, უნდა მივიღოთ ის დასკვნა, რომ სამაგიეროს მიზლის პრინციპი მოკლებულია საფუძველს. ემპირიულ სფეროში მისთვის არ არსებობს არავითარი ნიადაგი. მართლაც — აყენებს კითხვას პოზნიშევი, — რატომ უნდა მიეზღოს ერთი სიავისათვის მეორე ექვივალენტური სიავით? რისთვის არის ეს გაორება სიავისა? უსამართლობა, ჩადენილი ვინმეს მიერ, არ იძლევა ისეთივე უსამართლობის ჩადენის უფლებას მოცემული პირის მიმართ. შურისძიების გრძნობა გვიკარნახებს ამნაირ მიზლვას, მეტი სიავითაც მიზლვას, ვიდრე განცდილი სიავეა, მაგრამ ამ მიზლვას არა აქვს ზნეობრივი გამართლება. მეორეს მხრივ, სასჯელის სისტემა, აგებული სამაგიეროს მიზლის საწყისზე, ბევრ თავის ნაწილში ზედმეტად მკაცრია და ცუდ გავლენას მოახდენს საზოგადოებაზე. დაბოლოს, თანასწორობისათვის თანასწორობის მიზლის საწყისი, როგორც არ უნდა გავიგოთ ეს თანასწორობა, პრაქტიკულად განუხორციელებელია³. უახლეს ლიტერატურაში, ამბობს პოზნიშევი, ვხვდებით შეხედულებას, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს სამაგიეროს მიზლის პრინციპი და გამორიცხოს მისგან თანასწორობის, ექვივალენტობის მოთხოვნა. ამ შეხედულებას გამოთქვამს, მაგალითად, რ. ფრანკი, რომელიც ამტკიცებს, რომ ყოველი სასჯელი არის სამაგიეროს მიზლვა. ყოველი სასჯელის არსებით ნიშანს შეადგენს ის, რომ იგი არის განზრახ და ცნობიერად მიყენებული სიავე. სამაგიეროს მიზლვა არაა მიზანი, იგი საშუალებაა და ემსახურება სო-

¹ Познышев, Основные начала науки уголовного права, 1912, 58.

² იქვე, 58.

³ იქვე, 59.

ციალური წესრიგის დაცვას. პოზნიშევის აზრით, ფრანკის შეხედულება მიუღებელია, ვინაიდან სამაგიეროს მიზღვის იდეა, შინაარსისაგან დაცარიელებული, გაურკვეველ ხასიათს ღებულობს და კარგავს ყოველ მნიშვნელობას¹.

სასჯელის მიზნად პოზნიშევი აღიარებს დანაშაულთა აცდენას. დანაშაულთა აცდენას აქვს ორმაგი ხასიათი; იგი შესაძლოა: 1. დანაშაულებრივი მოქმედებისაგან ფიზიკური შეკავების გზით და 2. დანაშაულისადმი ფსიქიკური წინააღმდეგობის გზით, სუბიექტის ფსიქიკაზე ზემოქმედების ფორმით; სასჯელი აიცდენს დანაშაულს უკანასკნელი საშუალებით. ამის შესაბამისად, პოზნიშევი განსაზღვრავს სასჯელის მიზანს, როგორც რაც შეიძლება ძლიერ ფსიქიკურ წინააღმდეგობას დანაშაულისადმი მიდრეკილების მიმართ². მაშასადამე, პოზნიშევის სასჯელის მიზანი ესმის პრევენციის მნიშვნელობით. აღნიშნული მიზანი, მისი საკუთარი სიტყვით, შეიცავს ორ აუცილებელ მომენტს: დანაშაულთა საერთო და კერძო პრევენციას. ეს მომენტები ლოგიკურად ერთმანეთს გულისხმობენ³.

პოზნიშევი სასჯელს განსაზღვრავს, როგორც უმართლობის იურიდიულ შედეგს (юридическое последствие неправды), რომელიც მისი შინაგანი და გარეგანი მხარის თანაზომიერია და განსაზღვრულია in concreto სახელმწიფო ხელისუფლების სასამართლო ორგანოების მიერ დადგენილი წესის მიხედვით⁴.

ამ ფორმულაში განსაკუთრებით საგულისხმოა ის ელემენტი, რომელიც ლაპარაკობს თანაზომიერებაზე. სასჯელი უნდა იყოს თანაზომიერი როგორც გარეგანი, ისე შინაგანი მხარისა; შინაგანი მხრით, რასაკვირველია, ბრალი იგულისხმება. ამგვარად, კანონმდებელმა და სასამართლომ უნდა დაადგინონ — პირველმა ზოგადი სახით, ხოლო მეორემ კონკრეტულად — თანაზომიერება (соразмерность) დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ თვისებებსა და სასჯელს შორის. ობიექტურ მხარესა და სასჯელის თანაფარდობის გამორკვევა, რა თქმა უნდა, უფრო ადვილია, მაგრამ იმის დადგენა, თუ რამდენად თანაზომიერია სასჯელი სუბიექტურად, დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. არსებითად თანაზომიერება იგივეა, რაც ექვივალენტობა, თანასწორობა და, მაშასადამე, ჩვენ აქ ვხვდებით იმავე ცნებას, რომელიც, რო-

¹ Познышев, Основные начала науки уголовного права, 1912, 59.

² იქვე, 73.

³ იქვე, 74.

⁴ იქვე, 37.

გორც ვნახეთ, მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზემოთ განხილულ თეორიებში.

9

საბჭოთა სამართალში სასჯელის პრობლემა ახალ საფუძველზეა დამყარებული. საბჭოთა სამართალი, და კერძოდ, სისხლის სამართალი ემსახურება სოციალისტური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიზნების განხორციელების საქმეს და ამით არის განპირობებული ის არსებითი თავისებურება, რომელიც საბჭოთა სამართლის ინსტიტუტებს სხვა ისტორიულად მოცემული სამართლებრივი ფორმებისაგან ასხვავებს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის უკვე პირველ წლებში გამოცემული საკანონმდებლო ძეგლი „რსფსრ სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისები“ გადაჭრით უარჰყოფს ბურჟუაზიულ სამართალში საერთოდ მიღებულ, გაბატონებულ „სამაგიეროს მიზღვის“ პრინციპს. „სახელმძღვანელო საწყისები“ ადგენენ, რომ სასჯელი არის იძულებითი ზემოქმედების ღონისძიება, რომლის საშუალებით ხელისუფლება უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოცემულ წესრიგს¹. სასჯელის ამოცანაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა დამნაშავესაგან და მომავალში შესაძლო დანაშაულის ჩაღენისაგან როგორც მოცემული პირის, ისე სხვა პირების მხრივ². საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა იმ პირის მომავალი დანაშაულებრივი მოქმედებისაგან, რომელმაც უკვე ჩაიდინა დანაშაული, შეიძლება ან მისი შეგუებით მოცემულ საზოგადოებრივ წესრიგთან, ან, უკეთეს მისი შეგუება შეუძლებელია, იზოლაციით, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში — მისი ფიზიკური მოსპობით³. სასჯელის არჩევისას უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ დანაშაული კლასობრივ საზოგადოებაში გამოწვეულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა წყობით, რომელშიც ცხოვრობს დამნაშავე. ამიტომ სასჯელი არაა სამაგიეროს მიზღვა „ბრალისათვის“, არაა ბრალის გამოსყიდვა («наказание не есть возмездие за вину», не есть искупление вины). „წარმოადგენს რა დაცვის ღონისძიებას, სასჯელი უნდა იყოს მიზანშეწონილი, თანაც სრულიად

¹ მე-7 მუხლი.

² მე-8 მუხლი.

³ მე-9 მუხლი.

მოკლებული ტანჯვას და არ უნდა აყენებდეს დამნაშავეს უსარგებლო და ზედმეტ წვალებას¹.

განსაკუთრებით საყურადღებოა მე-10 მუხლის დადგენილება, რომელიც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დანაშაული განპირობებულია საზოგადოებრივი ცხოვრების წყობით და აქედან აკეთებს დასკვნას, რომ სასჯელი არაა სამაგიეროს მიზღვა „ბრალისათვის“ და, მაშასადამე, იგი არ წარმოადგენს „ბრალის გამოსყიდვას“. ჩვენ არ შევჩერდებით აქ ბრალის საკითხზე, ეს უკანასკნელი განხილული გვაქვს სპეციალურად მონოგრაფიაში — „დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში“. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს „სახელმძღვანელო საწყისების“ თვალსაზრისი ისეთ მნიშვნელოვან და ძირითად საკითხში, როგორცაა სასჯელის საკითხი. ეს საკანონმდებლო ძეგლი უარპყფს სამაგიეროს მიზლვას იმ მოსაზრებით, რომ იგი გულისხმობს „ბრალის გამოსყიდვას“. ბრალი აქ გაგებულია როგორც ბოროტი ნებისყოფის გამოვლინება.

მომდევნო საკანონმდებლო ძეგლებში — 1922 და 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსებში, 1924 წლის „ძირითად საწყისებში“, 1938 წლის სასამართლო წყობილების კანონში — ყოველგან გატარებულია სასჯელის მიზანშეწონილების პრინციპი; სასჯელის მეშვეობით საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებს პრაქტიკულ, სოციალური მშენებლობისათვის სასარგებლო მიზნებს. საბჭოთა კანონმდებლობაში სასჯელის მიზნები და ამოცანები გაგებული იყო და არის ზოგადი და სპეციალური პრევენციის მნიშვნელობით.

ინტერესს არ იქნება მოკლებული გავეცნოთ, თუ როგორ იყო გადაჭრილი დაყენებული საკითხი წინაღობინდელ საბჭოთა ლიტერატურაში.

საკითხი სასჯელის მიზნების შესახებ, — წერდა ა. პიონტოვსკი თავის შრომაში „Советское уголовное право“² — წარმოადგენს ბურჟუაზიული სისხლის სამართლის თეორიის ერთ-ერთ ძირითად საკითხს, ეგრეთწოდებული „კლასიკური“ და „სოციოლოგიური“

¹ მე-10 მუხლი: «При выборе наказания следует иметь в виду, что преступление в классовом обществе вызывается укладом общественных отношений в котором живет преступник. Поэтому наказание не есть возмездие за «вину», не есть искупление вины».

² Советское уголовное право, 1929 წლის გამოცემა, ზოგადი ნაწილი.

სკოლების ძირითადი განსხვავება ამ საკითხის განსხვავებულ გადაწყვეტაში გამოიხატება.

კლასიკური სკოლის თეორეტიკოსთა უმრავლესობის გამოსავალ დებულებას წარმოადგენს დანაშაულის ინდეტერმინისტული გაგება. დანაშაული არის ადამიანის თავისუფალი ბოროტი ნებისყოფის შედეგი, ნებისყოფა თავისუფლად ახდენს არჩევანს „სიბოროტესა“ და „სიკეთეს“ შორის. ამიტომ ადამიანი მორალურად პასუხისმგებელია და მისი მორალური ბრალი მით უფრო მეტია, რაც უფრო მძიმეა თავისუფლად ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობა. სასჯელი არის სამაგიეროს მიზღვა ჩადენილი დანაშაულისათვის, მის აგებელი (воздаяние) დამნაშავეისათვის თანასწორი სიავით იმ სიავისათვის, რაც მიყენებულა დანაშაულით. ამიტომ სასჯელის ზომა უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილი დანაშაულის ობიექტურ სიმძიმეს. სამაგიეროს მიზღვა წარმოადგენს დამნაშავეისათვის ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვას. ამით სასჯელი ანხორციელებს უზენაესი მიმზღველი (воздающей) სამართლიანობის საწყისს. ასეთია ეგრეთწოდებული სასჯელის „აბსოლუტური“ თეორიები¹.

სოციოლოგიური სკოლა ეყრდნობა დეტერმინიზმს. იგი უარჰყოფს „ბოროტი“ ნებისყოფის არსებობას, ამით იგი უარჰყოფს დამნაშავეის „მორალურ“ ბრალს და მასთან დაკავშირებულ „სასჯელს—სამაგიეროს მიზღვას“, ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვას².

კრიმინალისტ-სოციოლოგის თვალსაზრისით სასჯელი არის საზოგადოების დაცვის აუცილებელი საშუალება („სასჯელი-დაცვა“). მისი გამოყენების საფუძველს შეადგენს არა დამნაშავეის მორალური ბრალი, არამედ გაბატონებული მართლწესრიგის არსებობის დაცვის აუცილებლობა. იმისათვის, რომ უფრო მიზანშეწონილად შეასრულოს ეს ამოცანა, სასჯელმა, სოციოლოგების აზრით, უნდა აიცილოს მომავალში ახალ დანაშაულთა ჩადენა მოცემული დამნაშავეის მიერ (სპეციალური პრევენცია). ამიტომ იგი უნდა შეესაბამებოდეს არა დანაშაულის ობიექტურ სიმძიმეს, არამედ დამნაშავეის ფსიქიკური წყობის ფორმებს და თავისებურებებს („საშიშ მდგომარეობას“). სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი წარმოადგენს ახალი მიმართულების ძირითად მოთხოვნას. შემთხვევით დამნაშავეის მიმართ უნდა იქნას გამოყენებული დაშინება დანაშაულის განმეორებისაგან შეკავების მიზნით, ჩვევით დამნაშავე უნდა იქნას იურიდიულად გამოსწორებული, ანდა ხანგრძლივად

¹ Советское уголовное право, 1929, 106.

² იქვე. 117.

იზოლირებული; სულით ავადმყოფთა მიმართ უნდა გამოიყენონ მკურნალობა; არასრულწლოვანებზე ზემოქმედების მიზნით აღიარებულია აღმზრდელობითი მკურნალობა¹.

იძლევა რა კრიმინალისტ-სოციოლოგების შეხედულებათა დახასიათებას, პიონტკოვსკი დასძენს, რომ მათ მიერ მოცემული გადაჭრა სასჯელის მიზნების საკითხისა არაა დიალექტიკური, იგი მეტაფიზიკურია. ეს გადაწყვეტა ნაკარნახევია მისწრაფებით მოეწყოს ბურჟუაზიული საზოგადოების ყველაზე უფრო ნამდვილი დაცვა მისი განვითარების გარკვეულ პერიოდში. კონკრეტულ-ისტორიულად მიზანშეწონილი გადაწყვეტა საკითხისა ბურჟუაზიულმა კრიმინალისტ-სოციოლოგებმა გამოაცხადეს აბსოლუტურად მიზანშეწონილად².

სოციოლოგიურმა სკოლამ ერთგვარი გავლენა მოახდინა ძველ „კლასიკურ“ სკოლაზე. ზოგიერთი კრიმინალისტ-კლასიკოსი უარს ამბობს ნებისყოფის თავისუფლების ცნებაზე. ზოგი მათგანი უარყოფს სამაგიეროს მიზლის იდეას ან მნიშვნელოვნად ცვლის მას, განიხილავს მას არა როგორც მარადიული სამართლიანობის აქტს, არამედ როგორც დანაშაულის წინააღმდეგ რეაქციას, რომელიც გამოსახავს ქმედობის და მოქმედი პირის სამართლებრივ შეფასებას. ამავე დროს სასჯელს — სამაგიეროს მიზლვას მრავალი კრიმინალისტ-კლასიკოსი იცავს უკვე არა „მიმზღველი სამართლიანობის“ საწყისის განხორციელებისათვის, არა „ბრალის გამოსყიდვისათვის“, არამედ იმ მიზნით, რომ დანაშაულით შესუსტებულმა მართლწესრიგმა დაამტკიცოს თავისი სიძლიერე. ამით მტკიცდება მართლწესრიგისათვის საჭირო მოქალაქეთა მართლშეგნება და იმ პირთა ფსიქიკაში, რომელთაც აქვთ დანაშაულებისადმი მიდრეკილება, იქმნება დანაშაულისაგან შემკავებელი კონტრპოტივები. სასჯელის „აბსოლუტური“ თეორიები ადგილს უთმობენ „შეფარდების“ თეორიებს³.

არსებობს ეგრეთწოდებული „მესამე სკოლა“, რომელიც დგას კლასიკური და სოციოლოგიური სკოლების შეთანხმების პოზიციასზე და ცდილობს დასჯითი სისტემა მოაწყოს ისე, რომ სასჯელი სამართლიანი სამაგიეროს მიზლის გზით ანხორციელებდეს საერთო პრევენციას და ამავე დროს სასამართლო სასჯელის არჩევისას ანგარიშს უნდა უწევდეს დამნაშავის სუბიექტურ თავისებურებას.

¹ დასახ. ნაშრომი, 117.

² იქვე, 123.

³ იქვე, 124.

რათა განახორციელოს სპეციალური პრევენციის ამოცანები. „მესამე სკოლა“, პიონტკოვსკის სწორი შენიშვნით, კომპრომისის სკოლაა. მეთოდოლოგიურად იგი მთლიანად ეკლექტურია¹.

პროლეტარული სისხლის სამართლისათვის, — განაგრძობს პიონტკოვსკი, — სასჯელი არ შეიძლება იყოს სამაგიეროს მიზლა ჩადენილი დანაშაულისათვის. როგორც მთელი თავისი პოლიტიკის, ისე თავისი სისხლის სამართლის პოლიტიკის საფუძვლად, პროლეტარული სახელმწიფო აღიარებს მარქსისტულ მეცნიერებას საზოგადოების შესახებ. ამიტომ მის სისხლის სამართალში არა აქვს ადგილი იდეალისტურ მეტაფიზიკას, „თავისუფალი ნებისყოფის“, დამნაშავის „მორალური ბრალის“, „სასჯელის — სამაგიეროს მიზლის“, ჩადენილი დანაშაულის „გამოსყიდვის“ ცნებებს. პიონტკოვსკის მოკვავს ლენინის სიტყვები, რომ მარქსიზმი უარჰყოფს ზნეობას, ამოღებულს გარეადამიანურ, გარეკლასობრივ ცნებიდან, რომ ესაა მოტყუება. მარქსისტული თვალსაზრისით, დანაშაულობის მიზეზები ძვეს არა ინდივიდის „თავისუფალ“ ნებისყოფაში, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში².

პროლეტარული სახელმწიფოს მთელი სისხლის სამართლებრივი იძულება, — წერს პიონტკოვსკი, — წარმოადგენს პროლეტარული დიქტატურის დაცვითი ღონისძიებების სისტემას. იძულებას დამნაშავის მიმართ შეიძლება ადგილი ექნეს მხოლოდ იმ ფარგლებსა და ფორმებში, რაც საჭიროა პროლეტარული დიქტატურის დასაცავად. „ამ დაცვითი სისტემის ასაგებად ერთადერთ კრიტერიუმს წარმოადგენს მხოლოდ მიზანი შეწონილებების კრიტერიუმი“³.

მარქსიზმისათვის მხოლოდ ეს შეხედულებაა მისაღები და იგი გატარებული იყო საკანონმდებლო ძეგლებში: მას აღიარებენ „სახელმძღვანელო საწყისები“, რსფსრ-ის 1922 წლ. სისხლის სამართლის კოდექსი, 1924 წლ. „ძირითადი საწყისები“ და რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსი⁴.

პიონტკოვსკის ადრინდელი შრომიდან მოტანილი მსჯელობა აღნიშნავს, თუ რით ხელმძღვანელობდა საბჭოთა თეორია და კანონმდებლობა, როცა უარს ამბობდა „სამაგიეროს მიზლის“ ცნებაზე.

საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოებში სასჯელის ცნებასთან დაკავშირებულ საკითხებს დათმობი-

¹ დასახ. ნაშრომი, 125.

² იქვე, 134.

³ იქვე, 135.

⁴ იქვე, 135.

ლი აქვს უკანასკნელი განყოფილება. რომ ვეცნობით ამ განყოფილებაში მოცემულ მასალას, ვღებულობთ ისეთ შთაბეჭდილებას, რომ იგი სათანადოდ დამუშავებული არაა, საჭირო მეცნიერულ სიმაღლეზე არ დგას. ამას უნდა დავუმატოთ, რომ სახელმძღვანელოს წინანდელ გამოცემებში სასჯელის პრობლემისადმი მიძღვნილი მასალა უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენდა შედარებით 1952 წლის გამოცემასთან. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ შემდეგ მაგალითს. 1939 წლის გამოცემაში ჩვენ ვხვდებით პარაგრაფს¹, რომელიც იძლევა სასჯელის და სოციალური დაცვის ღონისძიების, მათი დამოკიდებულების, განსხვავების განმარტებას. უდავოა, რომ ამ პარაგრაფს აქვს თავისი გამართლება — მკითხველმა უნდა იცოდეს, რა შინაარსისაა სისხლის სამართლის ეს ძირითადი ცნებები, როგორ უნდა გავიგოთ მათი განსხვავება? რას უკავშირდება ბურჟუაზიულ სამართალში „სოციალური დაცვის ღონისძიება“?

გარდა ამისა, 1939 წლის გამოცემაში შეტანილია ცალკე პარაგრაფი: „სასჯელი ბურჟუაზიულ სამართალში“, სადაც მოკლედ დახასიათებულია ეგრეთწოდებული აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიები და ამავე დროს განმარტებულია ზოგადი და სპეციალური პრევენცია². ვფიქრობთ, რომ ამ პარაგრაფში გადმოცემული თეორიების გაცნობას აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა. ამის გარეშე მკითხველი ვერ გაიგებს საბჭოთა სამართლის თავისებურებას, ვერ გაერკვევა საკითხში, თუ რა შეადგენს საბჭოთა იურიდიული ინსტიტუტების დამახასიათებელ, განმასხვავებელ ნიშანს. მაგალითის სახით ავიღოთ თუნდაც „სამაგიეროს მიზლის“ ცნება, რომელიც ზემოთ მოცემული განხილვის და მსჯელობის საგანს შეადგენდა. ჩვენ ვამბობთ, რომ ბურჟუაზიულ სამართალში ეს გაბატონებული ცნება უარყოფილია საბჭოთა სამართალში. როგორ უნდა გავაგებინოთ, დავუსაბუთოთ მკითხველს ეს უარყოფა, თუ არ ავუხსნით მას და არ განვმარტავთ იმ თეორიებს, რომლებიც ჩვენს მიერ უარყოფილია. ამიტომ სახელმძღვანელოს 1952 წლის გამოცემის მეოთხე განყოფილებაში მოთავსებული „მიძღვრება სასჯელის შესახებ“³ მეტად ღარიბია თავისი შინაარსით და, რასაკვირველია, შეესებას საჭიროებს.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო, გამოცემული 1943 წ., იძლევა სასჯელის შემდეგ განსაზღვრას: „სასჯე-

¹ § 76.

² § 78.

³ §§ 44—45,

ლი არის სასამართლოს მიერ დამნაშავეისადმი შესაფერებელი სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რომელიც აყენებს გარკვეულ წვალებას და სახელმწიფოს სახელით გამოხატავს დანაშაულის და დამნაშავეის დაგმობას (осуждение)¹.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო, გამოცემული 1948 წ., სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმავე ფორმულას, იმ განსხვავებით, რომ „დაგმობას“ ფრჩხილებში უმატებს სიტყვებს: „უარყოფითს შეფასებას“ (отрицательную оценку) და ამით იძლევა ერთგვარ განმარტებას.

იმავე სახელმძღვანელოს 1952 წლის გამოცემა იცნობს უფრო ფართო და სრულ ფორმულას: „სასჯელი საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით არის დამნაშავეისადმი სასამართლოს მიერ შესაფარდებელი სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რომელიც ათავსებს დასჯის და აღზრდის ამოცანებს, აყენებს დამნაშავეს განსაზღვრულ შევიწროებას ან ზღუდავს მის უფლებებს და გამოხატავს სოციალისტური სახელმწიფოს სახელით დამნაშავეისა და მისი ქმედობის უარყოფით შეფასებას“².

ამ ფორმულით მოცემულია სასჯელის ცნების სრული განსაზღვრა; რომ გავუკეთოთ მას ანალიზი, მივიღებთ შემდეგ ელემენტებს;

ა) სასჯელი წარმოადგენს სახელმწიფო იძულების ღონისძიებას;

ბ) სასჯელს, სხვა სახელმწიფო ღონისძიებებისაგან განსხვავებით, უფარდებს სასამართლო ორგანო;

გ) სასჯელი ანხორციელებს, ლენინის მითითების თანახმად, დასჯისა და აღზრდის ამოცანებს;

დ) იგი თავისი ბუნებით აუცილებლად დაკავშირებულია გარკვეულ შევიწროებასთან, უფლებათა შეზღუდვასთან;

ე) სასჯელი წარმოადგენს დანაშაულის და დამნაშავეის უარყოფით შეფასებას, მათ დაგმობას, გაკიცხვას. თავისი არსით სასჯელი არის გაკიცხვა, ქმედობის და მოქმედი პირის შეფასება როგორც ისეთისა, რაც არ უპასუხებს საბჭოთა ქვეყნის მიზნებს, ინტერესებს, ეწინააღმდეგება საბჭოთა მართლწესრიგს. როდესაც სასამართლოს გამოაქვს ამა თუ იმ კონკრეტულ საქმეზე განაჩენი, ამ განაჩენში ასახული უარყოფითი შეფასება გამოითქმება სახელმწიფოს სახელით.

¹ 1943 წლის გამოცემა, გვ. 218.

² იქვე, 319.

1958 წელს გამოცემული „საფუძვლები“ სასჯელის მიზნებს განსაზღვრავენ შემდეგნაირად:

„სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე აცილებულ იქნეს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიერ .

სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან ადამიანის ღირსების დამცირება“¹.

სასჯელის მიზნები ამ ფორმულის მიხედვით არ გამოირჩევა განსაკუთრებული გარკვეულობით. ცხადია, რომ კანონმდებელი სასჯელს მიზნად უსახავს პრევენციას ორივე მისი ფორმით, მაგრამ ამავე დროს მიუთითებს, რომ სასჯელი არაა მხოლოდ დასჯა (кара) ჩადენილი დანაშაულისათვის.

¹ მე-20 მუხლი. ამ მუხლის განმარტება იხ. მეექვსე თავში, § 8.

სასჯელი და სახელმწიფოპატივი იძულების სხვა ღონისძიებანი

დასმული მთავარი პრობლემის გამოკვლევის მიზნით საჭიროა კიდევ შესწავლა საკითხისა — თუ რა განსხვავებაა სასჯელსა და სახელმწიფო იძულების ისეთ ღონისძიებებს შორის, რომლებიც თავისი მიზანდასახულობით და ზოგიერთი თვისებებით მას უახლოვდება. ასეთია, მაგალითად, დისციპლინური, ადმინისტრაციული სახდელები და სხვ.

1

რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი ტაგანცევი, ეხება რა საკითხს სასჯელის ბუნების შესახებ, წერს: დანაშაულებრივი ქმედობის ცნებიდან გამომდინარეობს, რომ სასჯელი გამოსახავს იმ განსაკუთრებულ ურთიერთობას, რომელიც წარმოიშვება დამნაშავესა და სახელმწიფოს შორის. დამნაშავეს თვალსაზრისით სასჯელი წარმოადგენს მის მიერ ჩადენილის შედეგს, ხოლო სახელმწიფოს თვალსაზრისით — ღონისძიებას, რომელიც მიღებულია დამნაშავეს ქმედობის შედეგად¹.

მაგრამ, მსგავსად იმისა, როგორც არა ყოველი დარღვევა ავტორიტეტული ნებისა ითვლება დანაშაულებრივ ქმედობად და ამ ცნებას ვასხვავებთ არა მარტო ცოდვისა და უზნეობისაგან, არამედ უმართლობისაგან ფართო მნიშვნელობით, დაახლოებით განხილვა იმისა, რაც თან სდევს დანაშაულს, მიგვიითებებს, რომ არა ყველა მისი შედეგი, არა ყველა ზომა, რომელსაც ღებულობს სახელმწიფო დანაშაულის გამო ან მის შედეგად, ითვლება სასჯელად. ამით აიხს-

¹ Таганцев, Русское уголовное право, II, 1902, 823.

ნება ის გარემოება, რომ თვით სიტყვას „სასჯელი“ არა მარტო საყოფაცხოვრებო ენაზე, არამედ ლიტერატურაში და სისხლის სამართლებრივშიც კი მიაწერენ სხვადასხვა მნიშვნელობას. ამ მოსაზრებით ტაგანცკვი საჭიროდ ცნობს თვით სასჯელის ცნების მოცულობის და ფარგლების გამორკვევას და დადგენას¹.

რადგან სასჯელი არის იმ იურიდიული ურთიერთობის გამოხატულება, რომელიც მყარდება სახელმწიფოსა და დამნაშავეს შორის, ცხადია, სასჯელის დარღვს უნდა მიეკუთვნოს მხოლოდ დანაშაულის იურიდიული შედეგები, რომლებიც ცვლიან დასჯადი პირის უფლებებსა და ინტერესებს. ცხოვრებაში ხშირად უწოდებენ სასჯელს სხვადასხვა ფიზიკურ ტანჯვას, ავადმყოფობას, მატერიალურ შევიწროებას, რომლებიც თავს ატყდება დამნაშავეს სახელმწიფოს განკარგულებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ გასაგებია, რომ ყველა ასეთ მოვლენას არა აქვს იურიდიული ხასიათი. სასჯელისაგან უნდა გამოვეყოთ აგრეთვე ზნეობრივი ტანჯვა, სინდისის ქენჯნა, რომელსაც ზოგჯერ განიცდის დამნაშავე.

თეორიულად ბევრად უფრო ძნელია, ხოლო პრაქტიკულად უფრო მნიშვნელოვანია სასჯელის გამოყოფა დანაშაულის იმ შედეგებისაგან, რომლებიც არა მარტო აყენებენ დამნაშავეს მორალურ და ფიზიკურ ტანჯვას, არამედ ცვლიან მის უფლებრივ სფეროსაც, და რომლებსაც, მაშასადამე, აქვთ იურიდიული ხასიათი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მაინც ვერ მივაკუთნებთ სასჯელის დარღვს. ტაგანცკევს, თავის აზრის ნათელსაყოფად, მოჰყავს მაგალითები.

პირს, რომელმაც განზრახ გატეხა სევრის ვაზა, მისჯილი აქვს ჯარიმა და ამავე დროს ანაზღაურება ნივთის პატრონისათვის; პირს, რომელმაც, მოტყუების გზით, აიძულა ვინმე ქონებრივი უფლების გადაცემაზე, მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, ხოლო თვით გარიგება ცნობილია არანამდვილად; პირს, რომელმაც ააშენა სახლი ტექნიკური წესების დაუცველად, მიესაჯა დატუსაღება, ხოლო სახლი დაანგრის. მოტანილ შემთხვევაში ზარალის ანაზღაურება, ხელშეკრულების არანამდვილობა, საშიში შენობის დანგრევა მიეკუთვნება სასჯელს, თუ ყველა ეს ღონისძიება დანაშაულის განსხვავებულ იურიდიულ შედეგებს წარმოადგენს? პრაქტიკულად, წერს ტაგანცკვი, ამ ღონისძიებათა გამოყოფა სასჯელისაგან ვიწრო მნიშვნელობით აუცილებელია უკვე იმიტომ, რომ ისინი უნდა შეეფარდოს ისეთ ქმედობებსაც, რომლებიც ჩადენილია იმ პირების მიერ, რომელთა მიმართ სასჯელი ვერ გამოიყენება ხანდაზმულობის, სიკვდილის გამო

¹ დასახ. ნაშრომი, 823.

და სხვ. მათი განსაზღვრა შეუძლია არა მარტო სისხლის სამართლის სასამართლოს თავის განაჩენში, არამედ, გარკვეულ პირობებში, ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებსაც¹.

ტაგანცევი აყენებს კითხვას — რა ნიშნების მიხედვით უნდა გამოიყოს, თუნდაც ზოგადი ხაზებით, სასჯელი ამ quasi — სასჯელებისაგან?

ამისათვის, წერს იგი, უნდა გვახსოვდეს, თუ რა ნიშნებით ხასიათდება საერთოდ სისხლის სამართლის წესით დასასჯელ ქმედობათა იურიდიული ბუნება. დანაშაული არსებითად წარმოადგენს ხელყოფას სამართლის წესრიგის წინააღმდეგ; სამართლით დაცული ინტერესის, ვისიმე სუბიექტური უფლების დარღვევა არის მხოლოდ საშუალება ამგვარი ხელყოფისა; კიდევ მეტი, მართლწესრიგის ხელყოფა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფო აღიარებს, რომ ასეთ ხელყოფას, სახალხო ცხოვრების ისტორიულად შექმნილი პირობების შესაბამისად, ნამდვილად აქვს მეტად თუ ნაკლებად დიდი მნიშვნელობა სახელმწიფოს მშვიდობიანი არსებობისა და სწორი განვითარებისათვის. მაშასადამე, — დაასკვნის ტაგანცევი, — ვინაიდან სასჯელი წარმოადგენს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის შედეგს, არ შეიძლება სასჯელს მივაკუთნოთ:

1. იძულებითი ღონისძიებანი, რომელთაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ღებულობენ სამართლის დარღვევათა თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით, ან იმ ცალკეული პირების თუ პირთა ჯგუფების მეთვალყურეობის ღონისძიებანი, რომლებიც თავიანთი საქმიანობით, ცხოვრების წესით, წარსულით წარმოადგენენ საშიშროებას საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი წესრიგისა ან მშვიდობიანობისათვის;

2. იძულებითი ღონისძიებანი, რომელთაც სახელმწიფო ორგანოები ღებულობენ მათი კანონიერი მოღვაწეობის დამაბრკოლებელი პირობების თავიდან ასაცილებლად, კერძოდ, მაგალითად, ღონისძიებანი, რომელთაც იყენებენ სასამართლო ორგანოები — პროცესის სწორი მსვლელობისათვის, ადმინისტრაცია — საბაჟო, სასანიტარო ზედამხედველობისათვის და სხვ;

3. ის შედეგები და ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მხოლოდ დაზარალებულისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება, მისი ქონებრივი ინტერესებისა და უფლებების აღდგენა.

4. ის ღონისძიებანი, რომელთაც, თუმცა უფარდებენ სასამართ-

¹ დასახ. ნაშრომი, 824.

ლო ორგანოები, მაგრამ სახელმწიფოში არსებული სხვადასხვა იურიდიული და მორალური კავშირების და დაწესებულებების ინტერესების დასაცავად, დისციპლინის ინტერესებისათვის¹.

საბოლოოდ, ტაგანცევის აზრით, მხოლოდ ის ღონისძიებანი, რომელთაც სახელმწიფო იყენებს დანაშაულებრივ ქმედობათა ჩამდენი პირების მიმართ, ასეთი ჩადენის შედეგად, მართლწესრიგის და სამართლით დაცული ინტერესების უზრუნველსაყოფად, შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს დასჯით საქმიანობას.

ამგვარად, ტაგანცევის შეხედულებით, სასჯელის შინაარსი გაგებულა ვიწრო მნიშვნელობით; სასჯელი გამოყოფილია სხვა მოვლენებისაგან, რომლებიც მას თავისი ნიშნებით თითქოს ენათესავენ.

2

იმ მდგომარეობისა და აზრთა სხვაობის დასახასიათებლად, რომელსაც ვხვდებით დასმული პრობლემის კვლევაძიების დარგში, საჭიროა გავეცნოთ რევოლუციამდელი კრიმინალისტიკის ა. ე. ი. ი. ე. ნ. კ. ო. ს. შეხედულებას. ე. ი. ე. ლ. ე. ნ. კ. ო. ს. ეკუთვნის მონოგრაფიული შრომა სასჯელის შესახებ, სადაც იგი ვრცლად, დაწვრილებით იკვლევს საკითხების მთელ კომპლექსს, რომელიც სახელმწიფოს დასჯით მოქმედებას ლოგიკურად უკავშირდება².

სახელმწიფოს მიერ დაწესებული იძულებითი ღონისძიებანი, ამ ავტორის სიტყვით, იყოფა ორ ჯგუფად: ერთის მხრივ, ესაა პრევენციის ღონისძიებანი (предупредительные меры), ხოლო მეორე მხრივ, უმართლობის იურიდიული შედეგები (правовые последствия неправды), ეს ორი ჯგუფი ერთმანეთისაგან განსხვავდება იმით, რომ პირველი ითვალისწინებს მხოლოდ მომავალში შესაძლო უმართლობას (неправду), იმ დროს როდესაც მეორე ანგარიშს უწევს დაწყებულ ან და უკვე მომხდარ უმართლობას; პირველი მიმართულია იმაზე, რომ შეაფერხოს კანონსაწინააღმდეგო ქმედობის ჩადენა, ხოლო მეორე ამა თუ იმ გზით რეაქციას ახდენს დაწყებულ ან უკვე ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედობაზე³.

რამდენადაც პრევენციულ ღონისძიებებს ერთვის იძულების ელემენტი და მათ უკავშირდება პიროვნების უფლებრივ სიკეთეთა სფეროში შექრა, ისინი გარეგნულად ძალიან უახლოვდებიან სას-

¹ დასახ. ნაშრომი, 825.

² А. Жижиленко, Наказание, 1914.

³ იქვე, 75.

ჯელს და ამიტომ ადვილად შეიძლება არეულ იქნან ერთმანეთში. ეს გარეგანი მსგავსება პრევენციული ზომებისა და სასჯელისა თავის შედეგად იწვევს იმას, რომ დადებით, მოქმედ სამართალში ზოგიერთი მათგანი ფაქტიურად თითქმის გათანასწორებულია სასჯელთან, როგორც ეს მტკიცდება წინასწარი პატიმრობის სასჯელში ჩათვლის ინსტიტუტის არსებობით. მათი აღრევა შესაძლო ხდება იმიტომაც, რომ ხშირად გვხვდება ერთგვაროვანი ღონისძიებანი, რომლებიც ან პრევენციულ ღონისძიებებს და ან სასჯელს წარმოადგენენ, მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა¹.

პრევენციული ღონისძიებანი ასრულებენ ორგვარ ფუნქციას: ეს ან ისეთი ღონისძიებანია, რომელთა დანიშნულებაა არ დაუშვან აკრძალულ ქმედობათა ჩადენა, ან ისეთი ღონისძიებანია, რომლებიც ითვალისწინებენ გარკვეულ მოვალეობათა შესრულების იძულებით უზრუნველყოფას და არ დაუშვან მათი შესრულებისაგან თავის არიდება.

აკრძალულ ქმედობათა იძულებით წინასწარი აცდენის უფლების სუბიექტს, საერთო წესით, წარმოადგენენ საჯარო ხელისუფლების ორგანოები და მხოლოდ გამონაკლისის სახით ეს უფლება დათმობილი აქვს კერძო პირებს².

რაც შეეხება აღნიშნულ ღონისძიებათა პირველ ჯგუფს, ყოველგვარ მათ უწოდებს წმინდა პრევენციულს, ვინაიდან მათი ერთადერთი დანიშნულებაა აკრძალულ ქმედობათა წინასწარ აცდენა, ისინი გამოიყენება იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც საშიშია საერთოდ მართლწესრიგისათვის იმ აზრით, რომ მათგან მოსალოდნელია გარკვეული სამართლის დარღვევათა ჩადენა; ავტორს მოჰყავს ტაგანცევის სიტყვები, რომ ამ ღონისძიებათა მისაღებად არაა საჭირო აკრძალული მოქმედების ნამდვილად ჩადენის, კონკრეტული ბრალეულობის დადგენა, საკმარისია მხოლოდ მისი დადგომის ალბათობა, მოცემული პირის საერთო მანკიერება, სამართლის დარღვევის ჩადენის მიდრეკილება, ზოგჯერ კი მისი კუთვნილება მოსახლეობის გარკვეული დანაშაულებრივი ჯგუფისადმი.

აღნიშნული ღონისძიებების გვერდით, რომლებიც გამოიყენება მართლწესრიგისათვის საშიშ სუბიექტების მიმართ, ყოველ კანონ-

¹ დასახ. ნაშრომი, 75.

იქვე, 78.

მდებლობაში შეიძლება აღმოვაჩინოთ ისეთი პრევენციული ზომები, რომლებიც, აკრძალული მოქმედების აცილების მიზნის გარდა, ითვალისწინებენ იმ პირის ინტერესების უზრუნველყოფას, რომლის მიმართაც ისინი გამოიყენება. ასეთია ღონისძიებანი საშიშ შეუჩინებლობაზე საერთოდ არანორმალური სუბიექტების მიმართ. მათ მიზანს შეადგენს არა მარტო სამართლის დარღვევის წინასწარ აცილება, არამედ იმავე დროს მკურნალობა და დაცვა იმ პირებისა, რომელთაც ისინი ეფარდება. ამ ღონისძიებებს, ყოველგვარ სიტყვით, შეიძლება ეწოდოს პრევენციულ-სამკურნალო ღონისძიებანი. ასეთ ხასიათს ატარებს ღონისძიება, როგორცაა სულით ავადმყოფთა იძულებითი იზოლაცია და ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობა. ადამიანთა ორივე ეს კატეგორია წარმოადგენს საშიშროებას საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის და შესაძლოა ემუქრებოდეს სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთებს, მართლწესრიგი არ უცდის ამა თუ იმ ვნების დადგომას და წინასწარ ღებულობს სათანადო იძულებით ზომებს. თავისთავად ცხადია, რომ ეს ზომები წარმოადგენენ არსებითი ხასიათის ხელყოფას პირადი თავისუფლების ინტერესებზე, რის გამოც მათი გამოყენება უნდა ხდებოდეს სათანადო გარანტიების პირობებში და ისინი დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში¹.

ღონისძიებათა შემდეგ ჯგუფს შეადგენენ ისეთები, რომელთა მიზანია იმ მოვალეობათა შესრულების უზრუნველყოფა, რომლებიც დაკისრებული აქვს გარკვეულ პირს. ამათ ყოველგვარ უწოდებს პრევენციულ-უზრუნველყოფითს ღონისძიებებს (предупредительно-обеспечительные меры)². ვარაუდობს რა, რომ მოცემული მოვალეობის შეუსრულებლობა შეიძლება აცდენილ იქნას მხოლოდ პრევენციული ღონისძიების გამოყენებით, რადგან არაა საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს მოვალეობა ნებაყოფლობით იქნება შესრულებული, მართლწესრიგი მიმართავს აღნიშნულ ზომებს. მაგრამ, რასაკვირველია, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ზოგიერთ მოვალეობას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. აღნიშნული ღონისძიებანი გამოიყენება როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის პროცესში. ცალკეულ ამ დარგებში მათი დანიშვნის წესი და მოცულობა სხვადასხვაა. ზოგიერთი ამ ღონისძიებათაგანი გარეგნულად წარმოადგენს იმავე შექ-

¹ დასახ. ნაშრომი, 91.

² იქვე, 93.

რას ადამიანის უფლებრივ სიკეთეთა სფეროში, როგორც სასჯელი; მაგრამ ეს არ იძლევა საფუძველს, რომ ეს ორი ინსტიტუტი გავი- გვივით. ეს ღონისძიებანი უნდა განვასხვავოთ სასჯელისაგან, ვინაი- დან მათ აქვთ განსაკუთრებული დანიშნულება — აცდენილ იქნას საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობის შესაძლებლობა. რო- მელია ეს ღონისძიებანი? ყიეილენკო ასახელებს შემდეგს: 1) ღონის- ძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ბრალდებულის გამოცხადე- ბას, 2) ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოვალეობის შესრულებას, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს გამოძიებასა და სასამართლოს და 3) დამამტკიცებელ საბუთთა წარდგენის უზ- რუნველყოფის ღონისძიებანი¹.

აქ, როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს ისეთ მდგომარეობასთან, სადაც მიზნად ისახავენ წინასწარ აიცილონ თავიდან გარკვეული ნე- ბადაურთველი მოქმედება. ეს ღონისძიებანი გამოიყენება იმ შემთხ- ვევაში, როცა არსებობს საფუძველი იმის დაშვებისა, რომ მათი გა- მოყენების გარეშე არ იქნება შესრულებული განსაზღვრული მო- ვალეობა, რომელიც ეკისრება ამა თუ იმ პირს, რომელიც ექვემდებ- ანილია დანაშაულის ჩადენაში და რომ ექვემდებარებილი დაემალება ხელისუფლების ორგანოებს ან დაფარავს მის მიერ ჩადენილის კვალს. ამ ღონისძიებათა გამოყენების საფუძველს შეადგენს არა ის, რომ მოცემულმა პირმა ჩაიდინა ესა თუ ის დანაშაული, რომლისთ- ვისაც მან უნდა აგოს პასუხი, არამედ ის, რომ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ იგი ჩაიდენს ახალ დანაშაულებრივ ქმედობას იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს სასჯელი. ამგვარად, ამ ჯგუფში შემავალი პრევენციული ღონისძიებანი ხასიათდება საერთო ნიშ- ნით — მათი მიზანია მართლმსაჯულების ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა, მათი დანიშნულებაა თავიდან აცილება იმ პირო- ბებისა, რაც აფერხებს მართლმსაჯულების განხორციელებას.

დაბოლოს ყიეილენკო ასახელებს ღონისძიებათა კიდევ ერთ ჯგუფს, რომელიც ითვალისწინებს განსაზღვრული საპროცესო მო- ვალეობის შესრულების უზრუნველყოფას სამოქალაქო სამართლის პროცესის დარგში. სახელდობრ, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტი- ლების აღსრულების უზრუნველყოფას; ეს უკანასკნელი ღონისძიე- ბანი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის საპროცესო ურთიერ- თობის დაცვის ერთ-ერთ საშუალებას. ამგვარ ღონისძიებას წარმოად- გენდა რევოლუციამდელი კანონმდებლობის თანახმად გირაო მოძ-

¹ დასახ. ნაშრომი, 94.

რავი და უძრავი ნივთებისა ფულადი გადასახდელის უზრუნველსა-
ყოფად, ამასთან ერთად ნივთს ყაღალა დაედებოდა¹.

აქამდის ყიყილენკო ცდილობდა გაეტარებინა განსხვავება სას-
ჯელსა და პრევენციულ ღონისძიებებს შორის. მაგრამ საინტერესოა
ის, რომ განსაკუთრებულ თავში იგი იხილავს საკითხს სასჯელისა და
„აღმკვეთი ღონისძიებების“ განსხვავების შესახებ. უნდა ითქვას,
რომ „აღმკვეთი ღონისძიებანი“ მას თავისებურად ესმის. ყიყილენ-
კო აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელი ტერმინით იგი გულისხმობს
უმართლობის მთელ რიგ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც არ
ეკუთვნიან არც სასჯელის დარგს, არც სოციალური დაცვის ღონის-
ძიებების და არც ზარალის ანაზღაურების კატეგორიას. მეორეს
მხრივ, ყიყილენკო გამოჰყოფს „აღმკვეთ ღონისძიებებს“ პრევენციუ-
ლი ღონისძიებებისაგან. ერთი შეხედვით ეს ორი უკანასკნელი ჯგუფი
თითქოს ერთმანეთს ენათესავენ, მაგრამ ყიყილენკოს აზრით მათი
შინაარსი სხვადასხვა გვარისაა. ლიტერატურაში, — წერს ყიყილენ-
კო, — აღმკვეთი ღონისძიებანი (меры пресечения) და პრევენციუ-
ლი ღონისძიებანი (предупредительные меры) ხშირად არეულია
ერთმანეთში, მაგრამ მათ შორის განსხვავების გატარება სრულიად
ბუნებრივია ფორმალური მომენტის მიხედვით: პრევენციული ზო-
მები ითვალისწინებენ უმართლობის წარმოშობის შესაძლებლობას
(возможность возникновения неправды), იმ დროს როცა აღმკვეთი
ღონისძიებანი თან სდევნენ წარმოშობის პროცესში მყოფ ან უკვე
წარმოშობილ უმართლობას (за возникающей или же возникшей
неправдой). ამ ორი ცნების ერთმანეთში აღრევა რევოლუციამდელ
რუსულ ლიტერატურაში შესაძლოა გამოწვეული იყო სახელწოდებ-
ებით «Устав о предупреждении и пресечении преступлений».
ეს აღრევა, დასძენს ყიყილენკო, ემჩნევა, მაგალითად, ტაგანცევს,
რომელიც ერთად ლაპარაკობს დანაშაულთა პრევენციაზე და აღკ-
ვეთაზე. ამ ორი ცნების უფრო მკაფიო განსხვავების ცდა გატარებუ-
ლია 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების განმარტებით ბა-
რათში, სადაც ახსნილია მნიშვნელობა სიტყვებისა «п р е д у п р е ж-
д е н и е» და «п р е с е ч е н и е». იგივე განსხვავება აქვს აღნიშნუ-
ლი ლიუბლინსკის, რომელიც შენიშნავს, რომ გამოთქმა „აღკვე-
თა“ (пресечение) გულისხმობს უკვე დაწყებული მცდელობის შეწყ-
ვეტას, და არა საერთოდ წინასწარ აცდენას².

¹ დასახ. ნაშრომი, 110.

² იქვე, 364.

უნდა ითქვას, რომ როცა ვეცნობით ჟიჟილენკოს მიერ მოცემულ ზემოთ დასახელებულ ცნებათა და სათანადო ტერმინების განმარტებას, აუცილებლად გვებადება აზრი, რომ ეს ტერმინები პირობითი ხასიათისაა. ავიღოთ თუნდაც მსჯელობა, რომლის თანახმად პრევენცია გულისხმობს განზრახვას და ნაწილობრივ მომზადებას, ხოლო „აღკვეთა“ — მცდელობას¹. კრიმინალისტიკათვის ცნობილია ის დავა და აზრთა სხვაობა, რომელიც არსებობს იურიდიულ ლიტერატურაში მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის, განსხვავების შესახებ.

ჩვენ აქ არ შევუდგებით დაყენებული საკითხის შესწავლას, ჩვენთვის ამჟამად უფრო საინტერესოა, თუ როგორ აქვს ჟიჟილენკოს წარმოდგენილი „აღკვეთა ღონისძიებათა“ მოცულობა და შინაარსი.

აღკვეთა ღონისძიებებს ჟიჟილენკო ჰყოფს ორ ჯგუფად: პირველი მიმართულია უშუალოდ დამნაშავეის პიროვნების წინააღმდეგ, ხოლო მეორე იმ მოვლენათა წინააღმდეგ, რომლებშიც გამოისახება კანონსაწინააღმდეგო მოქმედება; პირველს, მაშასადამე, აქვს პირადი, მეორეს კი — ობიექტური ხასიათი.

მაგრამ თუ პირველი ჯგუფის ღონისძიებებს აქვთ, მეორისაგან განსხვავებით, პირადი ხასიათი, ეს თვისება არ არის რაღაც არსებითი თვით აღმკვეთი ღონისძიების ცნებისათვის. სრულიად შემთხვევითია ის გარემოება, რომ ეს ღონისძიება მიმართულია სამართლის დამარღვევი პიროვნების წინააღმდეგ და ეს აიხსნება იმით, რომ მოცემული ქმედობა არ შეიძლება შეწყვეტილი იქნას სხვანაირად, თუ არა უშუალო ზემოქმედების გზით დამნაშავეის პიროვნებაზე. ამ ზემოქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ხასიათი, იმ კანონსაწინააღმდეგო ქმედობის თავისებურების მიხედვით, რომელიც მისი მეშვეობით უნდა იქნას შეწყვეტილი; ქმედობა შეიძლება გამოიხატოს მოქმედებით და ამ შემთხვევაში აღმკვეთი ღონისძიების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ იძულების გზით უშუალოდ შეაწყვეტინოს დამნაშავეს მოქმედება; იმ შემთხვევაში კი, როცა ქმედობა გამოისახება უმოქმედობით, პიროვნებას აიძუ-

1 ჟიჟილენკო აღნიშნავს: «...выражение «предупреждение» предполагает преступление в состоянии злоумышления и отчасти приготовления; выражение «пресечение» имеет в виду предпринятое уже деяние, начиная от покушения и до выполнения преступником последнего действия...».

ლებენ, რომ მან შეასრულოს ის, რაც მას ევალებოდა (გერმანული ტერმინოლოგიით — Erfüllungszwang)¹.

რაც შეეხება იმ აღმკვეთ ღონისძიებებს, რომლებიც უშუალო ფიზიკურ ზემოქმედებით გამოიხატებიან, და რომელთა გამოყენება ეკუთვნის კერძო პირებს, ამ ჯგუფში ყოველნაირ უპირველეს ყოვლისა ათავსებს აუცილებელ მოგერიებას, ე. ი. თავდასხმელისათვის ზიანის მიყენების უფლებას კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის დროს².

ყოველნაირ მიუთითებს, რომ აუცილებელ მოგერიებას ჩვეულებრივ განიხილავენ როგორც პრევენციულ ღონისძიებას (Thon, Bierling და სხვ.). ყოველნაირ ეთანხმება ამ აზრს, მაგრამ მიუთითებს, რომ აუცილებელ მოგერიებას მხედველობაში აქვს არა მხოლოდ საერთოდ შესაძლო ხელყოფა, როგორც ყოველივე პრევენციულ ღონისძიებას, არამედ უკვე დაწყებული ხელყოფა. აუცილებელი მოგერიება წარმოადგენს უმართლობის (неправды) იურიდიულ შედეგს და მისი დასაშვებლობა განპირობებულია აკრძალული მოქმედების დაწყებით. ამ ინსტიტუტის მთელი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ამ გზით წინასწარ აიცდინება ზიანი, რომელიც მოელის ამა თუ იმ უფლებრივ სიკეთეს, აღიკვეთება დაწყებული ხელყოფა ამ სიკეთეზე. მოგერიების უფლება განსაზღვრულია არა უბრალოდ მოქმედი პირის საშიშროებით, არამედ თვით ხელყოფის არსებობით, თავდასხმის ფაქტით. ამავე დროს მოცემული ხელყოფა გამოიხატება ისეთ მოქმედებაში, რომელიც მცდელობის ან მომზადების სტადიებს შეესაბამება.

ჩვენ საკიროდ მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ ამ უკანასკნელ დებულებას. ამით ყოველნაირს სურს აღნიშნოს ის, რომ ხელყოფა უნდა იყოს დაწყებული, ის უნდა გამოიხატოს თუნდაც მომზადების სახით. მაგრამ სინამდვილეში ამ მომენტის დადგენა მეტად ძნელია. ტაგანცევი ეხება ამ საკითხს და წერს: იმ ხელყოფის დამახასიათებელ ნიშანს, რომელიც ჰქმნის მოგერიების უფლებას. წარმოადგენს საშიშროების ნამდვილად არსებობა, რომლის ძალითაც მოგერიება დებულობს აუცილებელ სახიათს, თანაც მოცემულ დროს, მოცემულ ადგილზე, მოცემულ პირობებში. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა იგულისხმება, რომ თავდასხმელობის განზრახვა გამოიხატა გარკვეულად რაიმე სახით. ასეთი პირობის არსებობა შეიძლება დადგინდეს მოცემული საქმის გარემოებათა შესაბამისად, თავდასხმის მნიშვნე-

¹ დასახ. ნაშრომი, 365.

² იქვე, 366.

ლობის, მისი საშიშროების მიხედვით. ყოველი ცდა, რასაც ვხვდებით წინანდელ დოქტრინაში, განსაკუთრებით კი გერმანულში, იურიდიულად განსაზღვრული მომენტის დადგენისა დანაშაულებრივი ხელყოფის განვითარებაში, რომლითაც იწყება მოგერიების უფლება, ესაფუძვლო აღმოჩნდა, ეინაიდან, მაგალითად, მოსამზადებელი მოქმედებანი არაა ყველა დანაშაულში, ხოლო მოგების დაშვება მხოლოდ მცდელობის დაწყებიდან — ხშირად მოგერიების ინსტიტუტს თავის მნიშვნელობას დააკარგვინებდა. მოგერიებისათვის ხშირად სრულიად საკმარისია თავდასხმის მუქარა, უკეთეს ასეთი მუქარა შეიცავს განცხადებას მოქმედების ახლო მომავალში დაწყების შესახებ, და არა მითითებას მომავალ, შორეულ ვნებაზე¹.

აუცილებელი მოგერიება გულისხმობს არა მარტო უკვე დაწყებულ ხელყოფას, არამედ ისეთსაც, რომელიც უშუალოდ მოსალოდნელია, როდესაც ადამიანი უშუალოდ დგას საშიშროების წინაშე. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოში სწორად არის აღნიშნული, რომ თავდასხმა თანაყოფიერია მაშინ, როდესაც მისი განხორციელება უკვე დაიწყო ან როდესაც მისი განხორციელების დაწყება უშუალოდ მოსალოდნელია.

ჩვენ შევჩერდით ამ საკითხზე იმ მოსაზრებით, რომ ყიყილენკოს მიერ წამოყენებული კლასიფიკაცია სხვადასხვა იძულებითი ღონისძიებებისა დამყარებულია სწორედ ზემოთ აღნიშნულ ნიშანზე: იგი გამოპყობს პრევენციულ ღონისძიებებს იმის მიხედვით, რომ უკანასკნელნი გამოიყენება მაშინ, როდესაც სამართლის დარღვევას (უმართლობას — неправда) ჯერ არაა აქვს ადგილი.

როგორც უკვე იყო ნათქვამი, ყიყილენკო მკვეთრად ასხვავებს სახელმწიფო იძულებითი ღონისძიებათა ორ დიდ ჯგუფს; 1. პრევენციული ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებს სამართლის მომავალ დარღვევას და 2. დარღვევის სამართლებრივი შედეგები, რომლებიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლის ნორმები ირღვევა ან უკვე დარღვეულია.

ამ უკანასკნელ ჯგუფში ყიყილენკო ასხვავებს:

1. სასჯელს (наказание),
2. დაცვის ღონისძიებებს (меры защиты),
3. აღმკვეთ ღონისძიებებს (меры пресечения),
4. ზარალის ანაზღაურებას (возмещение вреда).

ამ ოთხი კატეგორიიდან პირველ ორს ყიყილენკო უპირისპირებს სხვებს იმ მხრივ, რომ ისინი მიიმართება პიროვნების წინააღმდეგ.

¹ Таганцев, Русск. угол. право, 1902, 531.

ხოლო ორი უკანასკნელი ხასიათდება იმით, რომ მათ მიზანს შეადგენს მართლზომიერი მდგომარეობის აღდგენა. აქედან გასაგებია, რომ ყიყილენკო უფრო მეტ სიახლოვეს ნახულობს, ერთის მხრივ, სასჯელსა და დაცვის ღონისძიებებს, ხოლო, მეორეს მხრივ, აღმკვეთ ღონისძიებებსა და ზარალის ანაზღაურებას შორის¹.

აღმკვეთ ღონისძიებათა ჯგუფში ყიყილენკო, აუცილებელი მოგერიების გარდა, ათავსებს ეგრეთწოდებულ ნებადართულ თვითნებობას (дозволенное самоуправство). ამას მიეკუთვნება იძულებითი ზემოქმედების შემთხვევები, როდესაც ძალადობით წყდება არამართლზომიერი მდგომარეობა, რომელიც აყენებს ზარალს ამა თუ იმ პირს. ასეთია, მაგალითად, დაკავება სხვისი საქონლისა, რომელიც აფუჭებს ნათესებს, ასეთია გერმანული სამოქალაქო სამართლის დებულებით გათვალისწინებული შემთხვევა ნებადართული ზემოქმედებისა (დაზიანება ან დანგრევა) სხვის ნივთზე, იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც ეს ნივთი წარმოადგენს².

ზემოთ დასახელებული შემთხვევები ეკუთვნიან აღმკვეთ ღონისძიებათა იმ კატეგორიას, რომლებიც ყიყილენკოს სიტყვით, კერძო პირთა თავისუფალ განკარგულებაშია. შედარებით უფრო დიდი მოცულობისაა აღმკვეთ ღონისძიებათა ის ჯგუფი, რომელიც ეკუთვნის ხელისუფლების გარკვეულ ორგანოებს. ეს უკანასკნელი ბევრ რამეში უახლოვდება სასჯელს და ამდენად, რასაკვირველია, უნდა იწვევდეს კრიმინალისტიკის განსაკუთრებულ ყურადღებას. რევოლუციამდელი რუსული სამართლის მიხედვით ამ ჯგუფში შედიოდა: ა) იარაღის ხმარება; ბ) გაძევების ღონისძიებანი; გ) მოყვანის ღონისძიებანი; დ) დაკავების ღონისძიებანი³.

ყველა ზემოთ აღნიშნული ღონისძიება ხასიათდება იმით, რომ ისინი მიმართულია უშუალოდ სამართლის დამრღვევის პიროვნებაზე; ამ მხრივ აღმკვეთ ღონისძიებებს აქვთ იგივე „პირადი“ ხასიათი, რაც სასჯელს: სამართლის დამრღვევის პიროვნების მოცილებით აიცილება ეს ღონისძიებანიც⁴. მაშასადამე, ამ მხრივ ისინი ენათესავება სასჯელს; ყიყილენკო ცდილობს დაასაბუთოს მათი განსხვავება: სასჯელის დროს ეს პირადი ხასიათი გამომდინარეობს

¹ Наказание, 74, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თვით აღმკვეთ ღონისძიებებს შორის ატორი ნახულობს ისეთებს, რომელიც პიროვნებაზეა მიმართული.

² იქვე, 369.

³ იქვე, 371.

⁴ იქვე, 406.

სამაგეროს მიზღვის იდეიდან, რის გამოც სასჯელი უნდა დაეკისროს მხოლოდ იმას, ვისაც მიუძღვის ბრალი, აღმკვეთი ღონისძიების შემთხვევაში კი ეს განპირობებულია იმ კანონსაწინააღმდეგო ქმედობის ხასიათით, რომლის მიმართ მიღებულია ზომები.

მაგრამ ამ „პირადი“ ღონისძიებების გვერდით ქიქილენკო ითვალისწინებს განსაკუთრებულ ღონისძიებათა არსებობას, რომელთაც იგი უწოდებს ობიექტური ხასიათის აღმკვეთ ღონისძიებებს. ჩვენ არ შეეჩერდებით ამ უკანასკნელთა განმარტებაზე, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ავტორი აქ ათავსებს, მაგალითად, ქონების კონფისკაციას და ეს უკანასკნელი შეადგენს მის შრომაში დეტალური განხილვისა და ანალიზის საგანს¹.

სამართლის დარღვევის (უმართლობის — неправды) ობიექტური შედეგების განსაკუთრებული ბუნება, ქიქილენკოს სიტყვით, მკაფიოდ გამოისახება ამ ღონისძიების დანიშვნის პირობებში და იმ პირთა წრის განსაზღვრაში, რომელთაც იგი ეფარდება. მისი გამოყენებისათვის არაა საჭირო გარკვეული პირის ბრალეულობის დადგენა, ვინაიდან იგი გამომდინარეობს მხოლოდ სამართლის დარღვევის ფაქტიდან². მოცემული დარღვევის ჩამდენს შესაძლოა არც კი შეეფარდოს სასჯელი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი არ თავისუფლდება მოვალეობისაგან გამოასწოროს მის მიერ ჩადენილი.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, უმართლობის შედეგებს შორის ქიქილენკო ასხვავებს სასჯელს და ზარალის ანაზღაურების ღონისძიებებს. (меры возмещения вреда). მართლწესრიგს, წერს იგი, არ შეუძლია დაკმაყოფილდეს ისეთი მოქმედების მხოლოდ აკრძალვით, რომელიც ხელყოფს სამართლით დაცულ ინტერესს. მას არ შეუძლია შეურიგდეს უმართლობის არსებობის ფაქტს. ამვე დროს მის განკარგულებაშია საკმაოდ ენერგიული საშუალებანი, აღკვეთის სხვადასხვა ღონისძიებანი, რომელთა მეშვეობით წყდება უმართლობის გამოვლინება და აღდგენილ იქნება მართლზომიერი მდგომარეობა, დარღვეული სამართლის საწინააღმდეგო ფაქტით. მაგრამ მართლზომიერი მდგომარეობის აღდგენა შესაძლოა სხვა გზითაც: სხვისი ინტერესისათვის ზარალის მიმყენებელი პირის მიერ ექვივალენტის მიწოდებით, რომელიც შეესაბამება ამ ზარალს. ამგვარად, ზარალი, რომელიც მიაყენა ერთმა პირმა და განიცადა მეორემ, დაიფარება ექვივალენტის საშუალებ-

¹ ქიქილენკო არ თვლის კონფისკაციას სასჯელად, იგი მას მიაჩნია აღმკვეთ ღონისძიებად. იქვე, 488.

² Наказание, 415.

ბით. ამგვარი აღდგენა მართლზომიერი მდგომარეობისა ექვივალენტის მიცემის გზით შეადგენს უმართლობის განსაკუთრებული შედეგების შინაარსს, რომელთაც შეიძლება ეწოდოს ზარალის ანაზღაურების ღონისძიებანი.

თვით ზარალი, რომელიც უნდა იქნას ანაზღაურებული, შეიძლება იყოს როგორც მატერიალური, ისე მორალური, და ამის შესაბამისად ვნების ანაზღაურება შეიძლება წარმოვიდგინოთ დაზარალებულისათვის მატერიალური ან მორალური ექვივალენტის გადაცემის სახით: მატერიალური ვნება უნდა ანაზღაურდეს მატერიალური ექვივალენტით, ხოლო მორალური — მორალურით. მაგრამ იმის გამო, რომ ფული მიჩნეულია არა მარტო მატერიალური, არამედ ზოგ შემთხვევაში მორალურ ღირებულებათა საზომად, დასაშვებად არის აღიარებული მატერიალური ექვივალენტის წარდგენა გარკვეული ფულადი თანხის სახით იმ შემთხვევაშიც, როცა მიყენებულია მორალური ვნება, რამდენადაც შესაძლოა ამ უკანასკნელის გადაყვანა ფულზე, ფულადი შეფასების გზით. მაშასადამე, საერთო წესით მატერიალური ექვივალენტი მიჩნეულია დასაშვებ საშუალებად ყოველი ვნების, როგორც მატერიალურის, ისე არამატერიალურის, ასანაზღაურებლად. მაგრამ ისტორიულად ცნობილია შემთხვევები, როდესაც მორალური ვნება მოითხოვდა ანაზღაურებას მორალური ექვივალენტის ფორმით; ასეთი იყო ძველ რუსულ სამართალში „პატიების გამოთხოვნა“ (испрошение прощения), როგორც მიყენებული შეურაცხყოფის შედეგი. თანამედროვე სამართალში მორალური ანაზღაურების ხასიათს ატარებს სასამართლოს განჩინის პრესაში გამოქვეყნება იმ საქმეებზე, რომლებიც ადამიანის ღირსებას შეეხება¹.

მთავარი საკითხი, რომელიც აქ წამოიჭრება, არის შემდეგი: რას წარმოადგენს ზარალის ანაზღაურება შედარებით სასჯელთან? რა ურთიერთობაა ამ ორ ინსტიტუტს შორის?

ეკილენკო ყურადღებით იხილავს ამ საკითხს და უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს იმ თეორიებს, რომლებიც ურევენ ერთმანეთში სასჯელსა და ზარალის ანაზღაურებას და ვერ ნახულობენ მათ შორის პრინციპულ განსხვავებას. იმ იურისტებს შორის, რომლებიც იზიარებენ ამ შეხედულებას, იგი ასახელებს ბინდინგს, ეტკერს, ფერნეკს და სხვ. ამავე ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე მერკელი, რომლის აზრით, სასჯელი და ზარალის ანაზღაურება

¹ Наказание, 505.

წარმოადგენენ თავისი შინაარსით ერთგვაროვან და იდენტურ სა-
შუალებებს უმართლობის რეპრესიისათვის.

მაგრამ ავტორთა უმრავლესობა ცნობს, რომ სასჯელსა და ზარა-
ლის ანაზღაურებას შორის უნდა იქნას გატარებული მკვეთრი განსხ-
ვავება. სხვადასხვა ავტორები სხვადასხვანაირად ასაბუთებენ აღნიშ-
ნულ ცნებათა დაპირისპირებას. ასე, მაგალითად, ჰუგო მეიერი
მიუთითებდა, რომ სასჯელის მიზანია სამაგიეროს მიზლვა, ხოლო
ზარალის ანაზღაურების — დაზარალებულის დაკმაყოფილება.

თვითონ ჟიჟილენკოს შეხედულებით, იმისათვის, რომ გამოვეყოთ
სასჯელი ზარალის ანაზღაურებისაგან, გამოსავალ წერტილად უნდა
მივიღოთ სასჯელის ცნების ის განსაზღვრა, რომელიც აღნიშნავს მის
ფუნქციას სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებს შორის. სასჯელი,
მისი აზრით, წარმოადგენს სამაგიეროს მიზლვას, ხოლო
სამაგიეროს მიზლვა გამოიხატება ზემოქმედების სახით იმაზე, რაც
ჩადენილია, მისი შეფასების შესაბამისად. ამით განსხვავდება
სასჯელი დანარჩენ საშუალებებისაგან, რომელთა დანიშნულებას
შეადგენს სამართლის დაცვა (правоохранительные средства); ამით-
ვე იგი განსხვავდება ზარალის ანაზღაურებისაგან. ზარალის ანაზ-
ღაურებისათვის სრულიად უცხოა შეფასების მომენტი, რო-
მელიც სასჯელისათვის არსებითია. ზარალის ანაზღაურება არაა
ჩადენილის შეფასება მისი დაწინების, გაკიცხვის აზრით,
როდესაც აკრძალული ქმედობის ჩამდენს მიუსჯიან მის მიერ მიყენ-
ებული ვნების ანაზღაურებას, ამით არ გამოხატავენ მისი საქციე-
ლის გაკიცხვას. ჩამდენდაც დარღვეული მართლზომიერი
მდგომარეობის აღდგენა სწარმოებს ვნების ანაზღაურებით, ამდენ-
ად შეიძლება ითქვას, რომ ამ ინსტიტუტის ფუნქციას შეადგენს
დარღვეული მართლზომიერი მდგომარეობის აღდგენა. ამ თვალსაზ-
რისით იგი უფრო უახლოვდება აღმკვეთ ღონისძიებებს, ვიდრე სას-
ჯელს. ზარალის ანაზღაურება შედგება ორი მომენტისაგან: საზიანო
ქმედობის ჩამდენი პირის ქონებრივი სფეროს შემცირებისა
და დაზარალებული პირის ქონებრივი სფეროს სათანადო გადი-
დებასაგან. სწორედ ეს ორი მომენტი არსებითია ზარალის ანაზ-
ღაურებისათვის, იმ დროს როცა აღმკვეთი ღონისძიებანი ხასიათ-
დება მხოლოდ მართლშინააღმდები ქმედობის ან მისი შედეგების
აცილებით¹.

სასჯელში ჩვენ საქმე გვაქვს ამა თუ იმ პირის გარკვეული ყოფაქ-
ცივის შეფასებასთან, ამიტომ თვით ზემოქმედება, რომელსაც

¹ Наказание, 533.

იგი შეიცავს, მკიდროდ დაკავშირებულია იმის პიროვნებასთან, რომელმაც დანაშაულებრივი ქმედობა ჩაიდინა: მისი ყოფაქცევა შეფასდება მის უფლებრივ სფეროში შექრის გზით. ამაში მდგომარეობს სასჯელის ის მკვეთრად პირადი ხასიათი, რომელსაც ჩვეულებრივ ხაზს უსვამენ, როგორც სასჯელის თავისებურებას და რომელსაც ზარალის ანაზღაურებაში ვერ ვნახულობთ. ვინ აანაზღაურებს ზარალს, ეს სულერთია; ამიტომაც ზარალის ანაზღაურება განიხილება ზოგ შემთხვევაში, როგორც მოვალეობა იმ გარდაცვლილი პირის მემკვიდრეებისა, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული. სასჯელის მკაცრად პირადი ხასიათიდან გამომდინარეობს ის, რომ სასჯელის გამოყენების გამომრიცხველ გარემოებებს არა აქვთ მნიშვნელობა ზარალის ანაზღაურებისათვის. რევოლუციამდელი რუსული სისხლის სამართლის დებულების თანახმად, დამნაშავეის სიკვდილი, ხანდაზმულობა და პატიება არ ახდენდნენ გავლენას ზარალის ანაზღაურების საკითხზე¹.

გარდა ამისა, სასჯელის თავისებურებას, რაც მისი, როგორც სამაგიეროს მიზლის, არსიდან გამომდინარეობს, წარმოადგენს ის, რომ სასჯელის შეფარდება შეიძლება მხოლოდ იმ პირისათვის, რომელიც აღიარებულია ბრალეულად, რადგან ჩადენილის შეფასება, მოცემული სამაგიეროს მიზლვაში, მოითხოვს პირის ბრალეულობის აღიარებას. მსჯავრის დადების მომენტი უკავშირდება იმ პირის ბრალეულობის წარმოდგენას, რომელმაც ჩაიდინა გარკვეული ქმედობა, რაც უნდა იქნას შეფასებული. პირიქით, ზარალის ანაზღაურებისათვის სულერთია, იქნება ნებადაღებულ ქმედობის ჩამდენი პირი აღიარებული ბრალეულად თუ არა. აქ ყველაფერი ამოიწურება იმის მოთხოვნით, რომ სამართლის დარღვევით მიყენებული ვნება იქნას ანაზღაურებული. ამით აიხსნება ის, რომ ვნების ანაზღაურება შესაძლოა დაეკისროს შეუტრაცხად პირებსაც. ყიჟილენკო აღნიშნავს კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც განასხვავებს ზემოთ დახასიათებულ ორ ინსტიტუტს. სასჯელისათვის, ჩადენილის შეფასების პრინციპის ძალით, მნიშვნელობა აქვს ბრალის სიდიდეს, მის ხარისხს და რაც უფრო დიდია ბრალი, შესაბამისად მით უფრო მძიმეა სასჯელი. ზარალის ანაზღაურებისათვის კი ბრალის ზომას მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან აქ მხედველობაში მიიღება ფაქტიურად მიყენებული ვნების ოდენობა, რომელიც უნდა იქნას დაფარული².

¹ Наказание, 534.

² იქვე, 535.

და ბოლოს, ყიყილენკო მიუთითებს კიდევ ერთ განმასხვავებელ გარემოებაზე. სასჯელი შეიცავს შეფასებას, რომელიც წინასწარ არის დადგენილი მართლწესრიგით ცალკეული აკრძალული ქმედობებისათვის. კანონში მოცემულ ამ აბსტრაქტულ შეფასებას სასამართლო კონკრეტულად უფარდებს ამა თუ იმ საქმის თავისებურებათა მიხედვით. სასჯელი ამიტომ წარმოადგენს კანონში აღნიშნულ აკრძალულ ქმედობათა სამართლებრივ შედეგს; ამ ქმედობათა მიმართ ტარდება პრინციპი: *nullum crimen sine lege*. პირიქით, როცა ვლაპარაკობთ ვნების ანაზღაურებაზე, როგორც აკრძალულ ქმედობათა სამართლებრივ შედეგზე, არა აქვს მნიშვნელობა იმ გარემოებას, კანონი განსაკუთრებით მიუთითებს მოცემულ ქმედობაზე თუ არა, რადგან აქ არაა საჭირო წინასწარ დაწესება ამ ქმედობის სახელმძღვანელო შეფასებისა. ყოველი ვნება უნდა იქნას ანაზღაურებული, დამოუკიდებლად იმისა, გამომდინარეობს იგი აკრძალული მოქმედებიდან თუ არა. ვნების ზომა კი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რით გამოიხატა იგი ფაქტიურად¹.

ყიყილენკო სწორად აღნიშნავს, რომ სამართლის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე არ იყო გატარებული მკვეთრი განსხვავება სასჯელსა და ზარალის ანაზღაურებას შორის, რამდენადაც სასჯელი, გამოხატავდა რა ჩადენილის შეფასებას, ამავე დროს წარმოადგენდა დაზარალებულის ანაზღაურებას, მისთვის მიყენებული ვნების საზღაურს. ყიყილენკო აქ გულისხმობს პირველ ყოვლისა კომპოზიციების სისტემას, რომლის მიხედვით ყოველი სასჯელი მდგომარეობდა განსაზღვრული ფულადი თანხის გადახდაში და მიდიოდა დაზარალებულის სასარგებლოდ. მაგრამ სამართლის შემდგომი განვითარების ეპოქაშიც, როცა სასჯელი ღებულობს საჯარო ხასიათს, ე. ი. ინიშნება მთელი მართლწესრიგის, და არა დანაშაულისაგან უშუალოდ დაზარალებულის, ინტერესებისათვის, ზოგჯერ ჩნარჩუნებს თავის ძალას წინანდელი თვალსაზრისი, რომლის თანახმად სასჯელი, ფულადი გადასახდელის სახით დაიდება დაზარალებულის სასარგებლოდ. ასეთია, მაგალითად, რომაულ სამართალში *action-s mixtae*, რომლებშიც ნათლად არის გატარებული ორმაგი ხასიათი სასჯელისა და ვნების ანაზღაურებისა. განსაკუთრებული სიცხადით ეს მოხიანა *actio legis Aquiliae*-ს ბუნებიდან, რომელიც ჩვეულებრივ ხასიათდება, როგორც საჯარიმო სარჩელი, მიმართული ვნების ანაზღაურებაზე².

¹ Наказание, 536.

² იქვე, 557.

ზემოთ გადმოცემული იყო რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტების ტაგანცევის და ჟიჟილენკოს შეხედულებანი სისხლის სამართლის ერთ-ერთ მთავარ, ძირითად პრობლემაზე — სასჯელის პრობლემაზე. როცა ვიკვლევთ ამ უკანასკნელს, რასაკვირველია, არ შეიძლება შევჩერდეთ მხოლოდ სასჯელის ცნების განხილვაზე. გარდა ამისა საჭიროა კიდევ მოსაზღვრე ცნებების გამოკვლევა, შესწავლა იმ ცნებებისა, რომლებიც თავისი შინაარსით უახლოვდება სასჯელს და ამიტომ ხშირად განხილული იყო როგორც მასთან იდენტური, ერთგვაროვანი. ჟიჟილენკოს მიერ მის შრომაში მიღებული სისტემა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იმ მხრივ, რომ იგი ცდილობს გაატაროს მტკიცე, მკაფიო განსხვავება ისტორიულად მოცემულ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს შორის, რომლებიც სასჯელს ესაზღვრება. შეიძლება მკითხველი არ დაეთანხმოს მის მიერ წამოყენებულ კლასიფიკაციას, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ამ კლასიფიკაციის ცალკეული ნაწილები საბჭოთა გვლევარისათვისაც საგულისხმოა. საბჭოთა სამართლის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, სრულიად მიუღებელია. სამართლის არსის ის განსაზღვრა, რომელსაც ჟიჟილენკო იძლევა. ექვს იწვევს აგრეთვე პრევენციული და აღმკვეთი ღონისძიებების გამოიჯენა.

ამ ავტორისათვის დამახასიათებელია, რომ მისი სისტემის მიხედვით სასჯელის ბუნებას იზიარებენ და მის სახეებს წარმოადგენენ: 1) დისციპლინური ღონისძიებანი, 2) ადმინისტრაციული სახდელები, 3) სამოქალაქო სამართლის სასჯელი (პირგასამტეხლო, უპირობის ჯარიმა), 4) საპროცესო სახდელები.

გავეცნოთ მოკლედ თუ როგორ აქვს ავტორს წარმოდგენილი დისციპლინური სახდელის შინაარსი.

უპირველეს ყოვლისა ხაზი უნდა გაეყვას იმ გარემოებას, რომ ჟიჟილენკო დისციპლინურ სახდელს უწოდებს „გარესახელმწიფოებრივ სასჯელს“ (внегосударственное наказание). ვლადიმეროვმა რა, — წერს იგი, — რომ სასჯელი არის განსაკუთრებული სამართლის დამკველი საშუალება, ჩვენ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ სასჯელი არაა ინსტიტუტი, რომელიც გვხვდება მხოლოდ ადამიანთა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ყოველ საზოგადოებაში შესაძლოა დასჯითი ფუნქციის შესრულება, რომელიც არსებითად არაფრით არ განსხვავდება სახელმწიფოს დასჯითი ფუნქციებისაგან. ადამიანთა ყოველ შეერთებაში შესაძლოა აღმოვაჩინოთ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია არსებული წესრიგის დაცვაზე, და რომლებიც, ისე როგორც სახელმწიფო სასჯელი,

წარმოადგენენ ზემოქმედებას ჩადენილზე ამ უკანასკნელის შეფასების შესაბამისად¹. არაა საჭირო ბევრი მტკიცება იმისა, რომ ავტორი შესაძლოდ სცნობს სასჯელის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობას და, მაშასადამე, იზიარებს ბურჟუაზიულ ლიტერატურაში გავრცელებულ თეორიას, რომელიც სთიშავს ერთმანეთისაგან სახელმწიფოსა და სამართალს. თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ შესაძლოა სასჯელი ყოველ საზოგადოებაში, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ დანაშაულის მუდამ არსებობდა, იგი არსებობდა მაშინაც, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო წარმოშობილი სახელმწიფო.

ჟიჟილენკოს სიტყვით, აზრი იმის შესახებ, რომ სასჯელის ცნება არაა შეზღუდული სახელმწიფოს ინდივიდისადმი ურთიერთობის სფეროთი, გამოთქმულია მრავალი იურისტის მიერ, თუმცა არა ყველა მწერალი, რომელიც იზიარებს ამ თვალსაზრისს, თვლის შესაძლოდ სახელმწიფო სასჯელის სავსებით გათანასწორებას გარე სახელმწიფოებრივ სასჯელთან (внегосударственного наказания). ამ თვალსაზრისზე დგანან, მაგალითად, კოლერი, ჰოლცენდორფი, ჰეინცი, ჰუგო მეიერი, მერკელი და სხვ.

4

რევოლუციამდელმა რუსმა კრიმინალისტმა ე. ნემიროვსკიმ გამოთქვა აზრი დაყენებული საკითხის შესახებ.

ნემიროვსკის შეხედულებით, სასჯელისაგან უნდა იქნას განსხვავებული ზოგიერთი ინსტიტუტები, რომლებიც მას ემსგავსება. ასეთია დისციპლინური სახდელები, რომლებსაც იყენებენ სხვადასხვა არასახელმწიფოებრივი კავშირები, მაგალითად, ოჯახი, სკოლა, კლუბი, მეცნიერული საზოგადოება, ეკლესია, საერთოდ რომელიმე კორპორაცია, რომელსაც აქვს ძალაუფლება თავისი წევრების მიმართ. ეს ღონისძიებანი გამოიხატება ფორმებით, რაც სასჯელს მოგვაგონებს, მაგალითად, ამა თუ იმ კავშირიდან გარიცხვა, წევრისათვის დროებით პრაქტიკის აკრძალვა. გაკიცხვის ელემენტი ზოგჯერ აქ უფრო მკაფიოდ მოჩანს, ვიდრე სასჯელში². თანაც დისციპლინურ სახდელებს განსაზღვრავენ სახელმწიფო ორგანოები, მაგალითად, უფროსი ხელქვეითის მიმართ, ზოგჯერ სასამართლო ორგანოც. თვით კავშირების დისციპლინური ხელისუფლება ან აღიარებულია სახელმწიფოს მიერ, ან დაწესებულია კანონებით, სპეციალური წესდებებით და გადაეცემა (делегуруется) განსაზღვრულ კორპორაციებს. ამ კატეგორიის ღონისძიებანი ძალიან ემსგავსება

¹ Наказание, 579.

² Э. Н е м и р о в с к и й. Основные начала угол. права, 1917, 119.

სასჯელს — ასეთია, თანამდებობიდან დათხოვნა, დაპატიმრება მოკლევადით და სხვ.

მიუხედავად ამისა, დისციპლინური სახდელი არაა სასჯელი სისხლის სამართლის მნიშვნელობით. იგი ხშირად შეადგენს არა სამართლის დარღვევის, არამედ სხვა სოციალური ნორმების დარღვევის შედეგს, მათ აქვთ ბუნდოვანი ხასიათი, რომელიც არ თავსდება დანაშაულის შემადგენლობათა ფორმულაში. მაშინაც კი, როცა მოქმედება განსაზღვრულია კანონით, როცა ყოფაქცევა წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების დარღვევას, დისციპლინური სახდელი მაინც განსხვავდება სასჯელისაგან: იგი გამოიყენება არა სახელმწიფოს სახელით, არ გამოხატავს ამ უკანასკნელის მიერ დაგმობას, არამედ იმ შენაერთის სახელით, რომლის ინტერესიც დარღვეულია ამ ქმედობით. სხვადასხვა, თუნდაც სახელმწიფოებრივ, კავშირებს, რომლებიც საერთო სახელმწიფო ამოცანებს ემსახურებიან, აქვთ სამსახურებრივ ინტერესთა თავისი სპეციალური წრე. ამ ინტერესების დარღვევას უშუალო კავშირი აქვს იმ ორგანიზაციასთან, რომელსაც თანამდებობის პირი ეკუთვნის. მოვალეობათა და მათი შეუსრულებლობის ხარისხის განსაზღვრა ჩვეულებრივ დათმობილი აქვს იმ პირებს, რომლებიც ამა თუ იმ ორგანიზაციის სათავეში დგანან¹.

განსაზღვრულ პირობებში დისციპლინური დარღვევა გამოდის მოცემული კორპორაციის ინტერესების ფარგლებიდან და დებულობს დანაშაულებრივი ქმედობის მნიშვნელობას. მაშინ ამგვარი ქმედობა იწვევს სასჯელს, რომელიც ინიშნება სასამართლო წესით.

ნემიროვსკი აღნიშნავს, რომ დისციპლინური სახდელების მიმართ არ გამოიყენება წესები ხანდაზმულობის, ერთობლიობისა და პატივების შესახებ. ეს დებულება ეხება დაცვის ღონისძიებებს და სხვა ინსტიტუტებს, რომლებიც სასჯელს არ წარმოადგენენ და მას მხოლოდ ემსგავსებიან².

ნემიროვსკი სასჯელისაგან ასხვავებს აგრეთვე ზოგიერთ იძულებით ღონისძიებებს («понудительные меры»), რომლებიც მიზნად ისახავენ განსაზღვრული მოვალეობის შესრულების გამოწვევას. ასეთია, მაგალითად, ჯარიმა მოწმის სასამართლოში გამოუცხადებლობისათვის. ამ ღონისძიებებში არაა დაგმობის ელემენტი.

ნემიროვსკის სიტყვით, სასჯელისაგან უნდა იქნას განსხვავებული ფულადი სახდელები ხაზინის სასარგებლოდ, ზოგიერთ

¹ Немировский, Основные начала угол. права, 1917, 121.

² იქვე, 122.

თი ფისკალური დარღვევებისათვის. ფისკალური მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონი აკისრებს გადაუხდელი თანხის ორმაგი, სამმაგი ოდენობით გადახდას¹.

ნემიროვსკი მკვეთრად გამოყოფს სასჯელისაგან მიყენებულ ვნების ანაზღაურებას. ამ ორი ინსტიტუტის განსხვავება გამოისახება მათ ფუნქციაში, რითაც განისაზღვრება მათი შინაარსი: სასჯელის გამოყენების შედეგად დამნაშავე კარგავს რომელიმე სიკეთეს და მისი ქმედობა და პიროვნება დაიგმობა სახელმწიფოს სახელით, ხოლო ვნების ანაზღაურების ფუნქცია მდგომარეობს ქმედობით დარღვეული მართლზომიერი მდგომარეობის აღდგენაში მისი ექვივალენტის მიწოდების გზით. ვნების ანაზღაურებაში არაა დაგმობის ან გაკიცხვის ელემენტი და იგი დამოუკიდებელია მისი გამომწვევი მოქმედების ბრალეული ხასიათისაგან². ვნების ანაზღაურება შესაძლოა დაეკისროს მესამე პირსაც, როგორც იმ პირის მემკვიდრეს, ვინც ვნება მიაყენა.

ვნების ანაზღაურება ზოგჯერ შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა ქმედობამ, რომელსაც არა აქვს მართლსაწინააღმდეგო ხასიათი ანდა რომელიც წარმოადგენს უფლების განხორციელებას (რევოლუციამდელ სამართალში არსებული მიწის ჩამორთმევის უფლება რკინიგზის გასაყვანად)³.

ნემიროვსკი დასკვნის, რომ ამიტომ არაა სწორი ვნების ანაზღაურების მიჩნევა დანაშაულის ან საერთოდ მხოლოდ სამართლის დარღვევის შედეგად, როგორც, მეორეს მხრივ, არამართებულია ვნების ანაზღაურების გაიგივება სასჯელთან⁴.

5

საბჭოთა სამართალში მიღებულია შეხედულება, რომელიც ანხვავებს სასჯელსა და დისციპლინურ სახდელს. დისციპლინურ გადაცდომად (дисциплинарный проступок), თანამდებობრივი დანაშაულისაგან განსხვავებით, ითვლება დაწესებულების ან საწარმოს შინაგანაწესის ან სამსახურის წესების დარღვევა, თანაც ისეთი დარღვევა, რაც არ იწვევს მძიმე შედეგებს. თანამდებობრივ დანაშაულად ითვლება დანაშაულებრივი ხელყოფა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აპარატის სწორ, კომუნისტური მშენებლობის ინტე-

¹ Немировский, Основные начала угол. права, 1917, 122.

² იქვე, 122.

³ იქვე, 123.

⁴ იქვე, 124.

რეესების შესაბამისს მუშაობაზე, ჩადენილი იმ აპარატის მუშაკის მიერ¹. ხელყოფას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ზომის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და ამის მიხედვით იგი მიიღებს განსხვავებულ იურიდიულ კვალიფიკაციას. ხელყოფა შეიძლება გამოიხატოს სამსახურებრივი დისციპლინის მცირემნიშვნელოვან დარღვევაში, რომელსაც არ გამოუწვევია სერიოზული შედეგები, და, პირიქით, იგი შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფოებრივ ინტერესების სერიოზულ დარღვევას. პირველ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საფუძველი ვილაპარაკოთ დისციპლინურ გადაცდომაზე, ხოლო მეორეში — სისხლის სამართლის წესით დასაჯელ ქმედობაზე. აბსტრაქტული ფორმულის დადგენა, რომელიც ყველა შემთხვევისათვის გაატარებდა ზღვარს თანამდებობრივ დანაშაულსა და დისციპლინურ დარღვევას შორის, შეუძლებელია და არც არის მიზანშეწონილი; საქმიანობის ერთ სფეროში, მაგალითად, ტრანსპორტზე, დისციპლინის მცირეოდენი დარღვევა შეიძლება ადვილად გადაიზარდოს სერიოზულ სისხლის სამართლის დანაშაულში. სხვა შემთხვევებში კი ასეთი გადასვლა რიგ დამატებით პირობებზეა დამოკიდებული².

დისციპლინური გადაცდომის და თანამდებობრივი დანაშაულის გამიჯვნისათვის პრაქტიკაში მუდამ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ კანონი იძლევა იმ მოქმედებათა სიას და განსაზღვრას, რომლებიც თანამდებობრივ დანაშაულს შეადგენენ. აქედან ცხადია, რომ ის სამსახურებრივი დარღვევანი, რომლებიც არ უპასუხებენ სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებით გათვალისწინებულ ნიშნებს, არ ჩაითვლება თანამდებობრივ დანაშაულად, მაგრამ ისინი შესაძლოა დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენდეს. საქართველოს სსრ სისხლის სამ. კოდექსის 118 მუხლის შენიშვნა ადგენს:

„ამა მუხლის მე-2 ნაწილი არ გავრცელდება ისეთ სამსახურებრივ მცირე დანაშაულზე, რაც იმდენად უმნიშვნელოა, რომ საჭირო არ არის სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდება, და იწვევს სადისციპლინო პასუხისმგებლობას“.

სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედობის და დისციპლინური დარღვევის განსხვავების გატარების აუცილებლობა აღნიშნულია აგრეთვე 1953 წ. 27 მარტის ბრძანებულებაში ამნისტიის შესახებ, სადაც ვკითხულობთ:

„საჭიროდ იქნას ცნობილი სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადასინჯვა იმ მიზნით

¹ Советское уголовное право, часть особенная, 1957, 223.

² დასახ. ნაშრომი, 224.

ნით, რომ შეიცვალოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ზოგიერთი თანამდებობრივი, სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და სხვა ნაკლებად საშიში დანაშაულისათვის ადმინისტრაციული და დისციპლინური ღონისძიებებით, და აგრეთვე შერბილდეს სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობა ცალკეული დანაშაულისათვის“, (8 მუხლი).

სასამართლო პრაქტიკაც მიდის ამ გზით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სარკინიგზო კოლეგიის 1949 წ. 22 თებერვლის განჩინებაში კ. საქმეზე, აღნიშნულია:

„სასამართლო მოვალეა გაითვალისწინოს საქმის ყველა გარემოება ერთობლივად იმისათვის, რომ სწორად გადაწყვიტოს საკითხი, — ბრალდებულმა ჩაიღინა სისხლის სამართლის დანაშაული, თუ მის მოქმედებაში არის მხოლოდ დისციპლინური გადაცდომის ნიშნები“¹.

უფრო მოგვიანო განჩინებაში (1955 წ. 19 ოქტომბერი) ჩ. საქმეზე მითითებულია:

„რამდენადაც ჩ. მოქმედებით არაა მიყენებული ზარალი არც სახელმწიფოსა და არც კერძო პირებისათვის, არ არსებობდა საფუძველი მისი პასუხისმგებლობისათვის მისაცემად სისხლის სამართლის წესით, საკმარისი იყო დისციპლინური შემოქმედების გამოყენება“².

ამგვარად, საბჭოთა კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ასხვავებს თანამდებობრივ დანაშაულსა და დისციპლინურ დარღვევას და ამის შესაბამისად განსხვავებას ატარებს აგრეთვე სასჯელსა და დისციპლინურ სახდელს შორის.

მეორე საკითხი ეხება სასჯელისა და ადმინისტრაციული სახდელის ურთიერთობას. როგორ უნდა გადაიჭრას ეს საკითხი? ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელოში წერია: ადმინისტრაციული დარღვევა, დანაშაულისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს საშიშროებას საბჭოთა წესწყობილების საფუძვლებისათვის, თუმცა რიგ შემთხვევებში საშიშია სოციალისტური მართლწესრიგისათვის და ესაზღვრება კიდევ დანაშაულს, მაგრამ თავისი მცირემნიშვნელობის გამო. იწვევს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული წესით³. ეს განსაზღვრა, რა თქმა უნდა, სიზუსტით არ ხასიათდება. თუ დარღვევა საშიშია სოციალისტური მართლწესრიგისათვის, იგი „დანაშაული“ ყოფილა და არა „დანაშაულის მოსაზღვრე“. მაგრამ სახელმძღ-

¹ Советское уголовное право, часть особенная, 1957, 225.

² იქვე, 225.

³ Советское административное право, 1950, 174.

ვანლოს აზრი ისაა, რომ ამ ხასიათს ადმინისტრაციული დარღვევა ღებულობს მხოლოდ „რიგ შემთხვევებში“, საერთოდ კი მცირემნიშვნელოვანია და ამიტომ იწვევს განსაკუთრებული ხასიათის ღონისძიებათა გამოყენებას, რომელთაც ადმინისტრაციული სახდელები (административные взыскания) ეწოდება.

მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული დარღვევა გადადის დანაშაულში. ეს გადასვლა ხდება მაშინ, როდესაც დარღვევას აქვს ადგილი განმეორებით ანდა მას მოჰყვამძიმე შედეგები. დარღვევის განმეორების შედეგად დანაშაულში გადასვლის მაგალითს წარმოადგენს ქ. მოსკოვში საზოგადოებრივი წესრიგის და კეთილმოწყობის წესების დარღვევა კეთილმოწყობის წესების დარღვევისათვის პირველად დაწესებულია ჯარიმა 200 მანეთამდე, ხოლო განმეორების შემთხვევაში იგი იწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით (რსფსრ-ის სისხლის სამ. კოდექსის 109, 111 მუხლ. მიხედვით). დარღვევა სამხედრო აღრიცხვის წესებისა, გათვალისწინებული სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 30 ივლისის ბრძანებულებით, პირველად იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას (ჯარიმას), ხოლო განმეორებით დარღვევა იმავე წესებისა — პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით. იმავე ხასიათს ატარებს რსფსრ-ის სისხლ. სამ. კოდექსის 61 და 192-ა მუხლების დარღვევა. სერიოზული შედეგების გამო დარღვევის დანაშაულში გადასვლის მაგალითს წარმოადგენს რსფსრ-ის სისხლ. სამ. კოდექსის 75¹, 108 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევანი¹.

ზოგჯერ კანონმდებლობა, ითვალისწინებს რა სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობას დარღვევისათვის, სპეციალურად აღნიშნავს, რომ იგი შეიძლება დადგეს მაშინ, უკეთეს ამ დარღვევისათვის არაა დადგენილი პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული წესით².

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სამართალი შესაძლოდ ცნობს ადმინისტრაციული დარღვევის დანაშაულში გადაზრდის შესაძლებლობას, იგი მაინც ატარებს გარკვეულ განსხვავებას მათ შორის და ამის შესაბამისად ასხვავებს მათთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებს — ადმინისტრაციულ სახდელს და სასჯელის ღონისძიებას.

ღურმანოვი საფუძვლიანად წერს, რომ უმნიშვნელო დარღვევანი, რომლებიც იღვევება ადმინისტრაციული და დისციპლინური წესით,

¹ Советское административное право, 1950, 175.

² იქვე, 175.

არ ეხება საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ სისტემას და ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად. მისი აზრით, არ შეიძლება ჩავთვალოთ, მაგალითად, საზოგადოებრივად საშიშად ისეთი მოქმედება, როგორცაა ქუჩაზე გადასვლა აკრძალულ ადგილას, ტრამვაით სარგებლობა უბილეთოდ და სხვ. საბჭოთა კანონმდებლობა გამოდის იმ პრინციპიდან, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ნიშანი უსათუოდ ახასიათებს დანაშაულს. რსფსრ-ის სისხლის სამ. კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნა პირდაპირ უარპყფს ამ ნიშნის არსებობას იმ ქმედობაში, რომელიც თუმცა ფორმალურად მართლწინააღმდეგია, მაგრამ მცირემნიშვნელოვანია და მავნე შედეგი არ გამოუწვევია; ამგვარი ქმედობანი ყოველ შემთხვევაში შეიძლება გათანასწორობულ იქნას ადმინისტრაციულ და დისციპლინურ გადაცდომასთან¹.

ქვილენკო სასჯელის სახედ თვლის სამოქალაქო სამართლის სახდელს (внеуголовное, гражданское наказание), რომელიც მას-ესმის როგორც ის ღონისძიება, რომელსაც იყენებს სამოქალაქო სასამართლო ქონებრივ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში (ასეთია, მაგალითად, პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება იყოს როგორც კანონიერი, ისე ნებაყოფლობითი, ე. ი. დაწესებული იყოს განსაკუთრებული პირობით ხელშეკრულებაში მხარეთა ურთიერთშეთანხმებით)².

იმავე ავტორის აზრით, საპროცესო სახდელე ბი აგრეთვე წარმოადგენს სასჯელის ერთ-ერთ სახეობას. რევოლუციამდელ სამართალში იგი ნახულობს ამ სახდელთა შემდეგ ჯგუფს:

1) სახდელი, რომელიც დაედება სასამართლოში არგამოცხადებისათვის განსაზღვრულ პირებს, რომელთა დასწრება საჭიროა სასამართლოსათვის;

2) სახდელი, რომელიც დაედება ცალკეულ პირებს სასამართლოს განსაზღვრული მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის, აგრეთვე სასამართლო ხელისუფლების შეცდომაში შეყვანისათვის;

3) სახდელი, რომელიც დაიდება სასამართლო სხდომის წესის დარღვევისათვის³.

მაგრამ ყველა აღნიშნული ღონისძიება, რომელიც გაერთიანებულია საპროცესო ნიშნის მიხედვით, მხოლოდ პირობით შეიძლება ჩაითვალოს სასჯელის სახეებად. ისინი გარეგნულად ემსგავსე-

¹ Дурманов, Понятие преступления, 1948, 135.

² Ж и ж и л е н к о, Наказание, 652.

³ იქვე, 668.

ბიან სასჯელს, მაგრამ თავისი შინაგანი არსით სასჯელად ვერ ჩაითვ-
ლება, არსებითად ისინი უფრო დისციპლინურ ღონისძიებებს უახ-
ლოვდება. სპეციალურ ლიტერატურაში უკვე იყო გამოთქმული სათა-
ნადო შეხედულება. გერმანელი იურისტი ი ა ნ კ ა არ ცნობს საპრო-
ცესო სახდელს სასჯელად იმ მოსაზრებით, რომ მათი დანიშნულე-
ბაა სასამართლო პროცესში წესრიგის დაცვა.

სოციალური დაცვის ღონისძიებანი გუჩუაზიულ სამართალში

სოციალური დაცვის ღონისძიების ცნება სისხლის სამართლის მეცნიერებაში ერთ-ერთ ურთულეს ცნებად ითვლება. იგი წარმოადგენს გაცხოველებული და ხანგრძლივი დისკუსიის საგანს. სხვადასხვა მიმართულების ავტორები ცდილობენ მისი შინაარსის გამოკვლევას. რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი ე ი ე ი ლ ე ნ კ ი წერდა, რომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში თითქმის სრულიად არ არსებობს სოციალური დაცვის ღონისძიების განსაზღვრა და ამ გარემოებას იმით ხსნიდა, რომ ამ საკითხში მთავარი ყურადღება ექცევა არა იმდენად ამ ცნების გამოკვლევას, რამდენადაც მის განსხვავებას სასჯელისაგან. ხოლო არსებული განსაზღვრები არაა სავსებით სწორი, ვინაიდან არ მიუთითებენ ამ ცნების ყველა ელემენტს, ან არ მოიცავენ ამ ღონისძიებათა ყველა სახეებს, ან ვერ არკვევენ მიახლოებით მის არსს 'შედარებით სასჯელთანო'. ეს იყო აღნიშნული ე ი ე ი ლ ე ნ კ ი მ იერ მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამჟამადაც ამ საკითხის გარკვევის საქმეს წინსვლა არ ემჩნევა, იგი აქამდე გადაწყვეტილი არაა. ზოგიერთი ავტორი სოციალური დაცვის ღონისძიებას აიგივებს სასჯელთან, ზოგიერთი კი ხაზს უსვამს მათ ძირითად განსხვავებას. თვით მოცულობა სოციალური დაცვის ღონისძიების ცნებისა არაა ზუსტად დადგენილი. არიან მწერლები, რომლებიც მას ანიჭებენ ფართო მოცულობას, მეორეს მხრივ, არიან ისეთნიც, რომლებიც მას ზღუდავენ, ვიწრო ჩარჩოებში ათავსებენ.

ე ი ე ი ლ ე ნ კ ი მიუთითებდა, რომ სოციალური დაცვის ღონის-

¹ Наказание, 251.

ძიების ცნების არასიზუსტე, გაურკვეველობა აიხსნება უპირველეს ყოვლისა იმით, რომ თვით ტერმინი „დაცვის ღონისძიება“ ჯერ-ჯერობით უცხო იყო მოქმედი სამართლისათვის და თვით ცნება დაცვის ღონისძიებებისა ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ცნების სახით მხოლოდ ახალი სისხლის სამართლის კოდექსების პროექტებში (შვეიცარიის, გერმანიის, ავსტრიის, სერბიის, დანიის). მაგრამ, — დასძენს იგი, — კრიმინალისტები თანამედროვე სამართალშიც ნახულობენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც დახასიათებული უნდა იქნას, როგორც დაცვის ღონისძიებანი. თანაც იმ ღონისძიებათა თვით წრე, რომელსაც მოიცავს დაცვის ღონისძიებათა ზოგადი ცნება, ჯერ კიდევ არაა ზუსტად დადგენილი. ერთი და იგივე ღონისძიებანი სხვადასხვა მეცნიერთა მიერ და კოდექსების სხვადასხვა პროექტებში მიჩნეულია ხან დაცვის ღონისძიებებად, ხან კი — სასჯელად¹. ამგვარად, — დასკვნის ე ი ე ი ლ ე ნ კ ო, — სოციალური დაცვის ღონისძიების ცნება დიდი ხანი არაა, რაც შემოღებულ იქნა სისხლის სამართალში, რის გამოც ჯერ კიდევ არაა გარკვეული არც მისი არსი, არც მისი დამოკიდებულება სასჯელთან და არც მისი მოცულობა².

¹ Наказание, 251.

² იქვე, 252.

თვით ტერმინი „უშიშროების ღონისძიება“ დიდი ხანია იყო ცნობილი, მაგრამ პირველად იგი ესმოდათ როგორც ღონისძიება, რომელსაც იყენებდნენ იმ პირთა მძარბო, რომლებიც ექვემდებარებოდნენ იყენენ, ხოლო შეუძლებელი იყო მათთვის სასჯელის შეფარდება იმის გამო, რომ არ არსებობდა სათანადო მამხილებელი მასალა, როგორც ამას მოითხოვდა მტკიცებულებათა ფორმალური თეორია. Жижиланко, დასახ. შრომა, 251.

„სოციალური დაცვის ღონისძიების“ ცნება სისხლის სამართლის ლიტერატურაში შემოიღეს ევრეთწოდებული „პოზიტიური სკოლის“ წარმომადგენლებმა. ე. ფერის სიტყვით, სასჯელი არ უნდა იყოს სამაგიეროს მიზნად (rétribution), პროპორციული ბრალისა, არამედ დაცვა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს დამნაშავეს მავნეობას და იმას, თუ რამდენად შესაძლოა მისი შეგუება საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებისათვის (Sociologie criminelle 1914, 560—561). იმავე ავტორის აზრით, სისხლის სამართლის ანთროპოლოგია და სტატისტიკა, ისე როგორც სისხლის სამართალი, წარმოდგენენ სხვადასხვა თავებს ერთადერთი მეცნიერებისას, რომელიც შეისწავლის დანაშაულს როგორც ბუნებრივ და სოციალურ მოვლენას „და ყველაზე უფრო კმედით საშუალებებს საზოგადოების პრევენციული და რეპრესიული დაცვისათვის“ — et des moyens les plus efficaces pour la défense préventive et répressive de la société. (იქვე, 623).

ნახევარ საუკუნეზე მეტია მას შემდეგ, რაც ჟიჟილენკომ გამოთქვა ეს აზრი. სოციალური დაცვის ღონისძიების ცნება უკვე პროექტებიდან მრავალ კოდექსებშია შესული და შეთვისებული, მაგრამ ამ ავტორის მიერ მოცემული შეფასება, საერთოდ, აქამდე ინარჩუნებს თავის ძალას.

ჩვენს მიზანს შეადგენს გამოკვლევა იმ მთავარი შეხედულებებისა, რომლებსაც ვხვდებით „სოციალური დაცვის ღონისძიების“ ცნების შესწავლის დარგში. რატომ უნდა, ამ ვადმოცემას ექნება ზოგადი ხასიათი, ჩვენ გავცნობით სათანადო თეორიებს მხოლოდ საერთო ხაზებით და მხოლოდ ისეთებს, რომლებიც მთავარ მიმდინარეობებს წარმოადგენენ.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში ისტორიულად ვხვდებით ევრეთწოდებულ აბსოლუტურ თეორიებს, რომლებიც სასჯელის საკითხში ამა თუ იმ მეტაფიზიკური პრინციპებიდან გამოდიან. ვხვდებით აგრეთვე შეფარდებით თეორიებს, რომლებიც პრაქტიკულ მიზნებს აღიარებენ. მაგრამ თანამედროვე მეცნიერებაში გაბატონებულია შემართებელი თეორიები, რომლებიც ცდილობენ შეათანხმონ, შეარიგონ, საწინააღმდეგო საწყისები — სამაგიეროს მიზლის და პრევენციის ცნებები. უდავოა, რომ დაცვის ღონისძიებანი თავისი ბუნებით პრევენციის დარგს ეკუთვნიან.

კრიმინალისტ-სოციოლოგებს, ისე როგორც კრიმინალისტ-ანთროპოლოგებს, სასჯელი მიაჩნდათ „დაცვის ღონისძიებად“. ამ კონცეფციას იზიარებდნენ, მაგალითად, ლისტო, პრინსი, ვანჰამელი. მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ კლასიკური სკოლის წარმომადგენელი, მაგრამ ამ მხრივ კლასიკოსებს შორის საგრძნობი განსხვავება იყო: ერთნი კატეგორიულად უარჰყოფდნენ „სოციალური დაცვის“ ღონისძიებას, მეორენი კი ცნობდნენ მის მნიშვნელობას და სასჯელის საკითხში კომპრომისულ პოზიციებზე დგებოდნენ.

პირველთა რიგს ეკუთვნოდა იტალიელი კრიმინალისტი ლუკინი, რომელიც ილაშქრებდა „პოზიტივისტების“ წინააღმდეგ.

ლუკინის სიტყვით, „სამართალი არაა სოციოლოგიის ერთ-ერთი თავი“ („Le droit n'est pas un chapitre de la sociologie“). კერძოდ, იგი უარჰყოფს „სოციალური დაცვის“ ცნებას.

ლუკინისათვის გაუგებარია — როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ დსჯის უფლება „სოციალურ ფუნქციას“ („une fonction sociale“) შეადგენსო. L. Lucchini. Le droit pénal et les nouvelles theories. 1892, p. 69.

ლუკინმა თავის შრომაში „სოციალური დაცვის“ ცნების კრიტიკას მიუძღვნა სპეციალური თავი — chapitre I. La défense sociale.

დაყენებული პრობლემის თვალსაზრისით სხვადასხვა თეორიები შეიძლება დაეყოს ორ მთავარ ჯგუფად:

1. თეორიები, რომლებიც სასჯელის გვერდით ცნობენ დაცვის ღონისძიებათა საჭიროებას. მაგრამ მაინც ამ ორ ინსტიტუტს შორის ხედავენ არსებით, ძირითად განსხვავებას. ამ ჯგუფში უპირველეს ყოვლისა უნდა მოვთავსოთ ბირკმეიერი ს მოძღვრება.

II. თეორიები, რომლებიც სასჯელს და დაცვის ღონისძიებებს განიხილავენ როგორც მონათესავე მოვლენებს. ზოგიერთი იქამდე მიდის, რომ შლის ყოველ ზღვარს მათ შორის. ასეთია, მაგალითად, გერმანელი კრიმინალისტი დელაქის შეხედულება, რომლის თანახმად სასჯელი და დაცვის ღონისძიება იდენტური შინაარსის ცნებებია.

მეორე ჯგუფში ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა ნიუანსების შეხედულებებს, მაგრამ მათ შორის აქ ჩვენ დავახასიათებთ მხოლოდ ზოგიერთს.

I. თეორიები, რომლებიც სასჯელსა და დაცვის ღონისძიებათა შორის არსებით განსხვავებას ნახულობენ.

1

ამ თეორიების გაცნობას ჩვენ დავიწყებთ კლასიკური სკოლის გამოჩენილი წარმომადგენლის, გერმანელი კრიმინალისტი, ბირკმეიერის შეხედულების დახასიათებით.

სისხლის სამართლის ახალი მიმართულების დამსახურებად ბირკმეიერი თვლის იმას, რომ მან ძველ დებულებას — უკეთესია დანაშაულის წინასწარ აცდენა, ვიდრე ჩადენილის დასჯა — არა მხოლოდ ენერგიულად გაუსვა ხაზი, არამედ იმაზეც მიუთითა, რომ თვით სისხლის სამართლის კოდექსი მოწოდებულია განახორციელოს იგი გარკვეულ ფარგლებში. შევიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის სასახელო საქმედ უნდა ჩიათვალოს ის, რომ მან ეს აზრი სისტემატურად გაატარა. პროექტში არის განსაკუთრებული განყოფილება, რომელსაც სათაურად აქვს: „სასჯელი და დაცვის ღონისძიებანი“; უკანასკნელთა შორის დასახელებულია: მრავალჯისი რეციდივისტების მოთავსება სათანადო დაწესებულებაში (Verwahranstalt); გარჯნილთა და უსაქმოთა მოთავსება სამუშაო სახლში (Arbeitshaus), შეურაცხად და შემცირებული შე-

რაცხალოვის მქონე პირთა მოთავსება სამკურნალო და მზრუნველობით დაწესებულებაში. ახალგაზრდა დამნაშავეთა მოთავსება იძულებითი აღრზდის დაწესებულებაში. ბირკმეიერის აზრით, ამავ გზას უნდა დაადგეს აგრეთვე გერმანული სისხლის სამართალი¹.

მაგრამ როდესაც დაცვის ღონისძიებანი უფრო დიდი ოდენობით შედიან სისხლის სამართლის კოდექსში, სასჯელის გვერდით, იბადება საშიშროება ცნებათა აღრვეისა, განსაკუთრებით ეს ეხება დაცვის ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც თავისუფლების აღკვეთაში გამოიხატება. რა განსხვავებაა თავისუფლების აღკვეთასა, როგორც სასჯელსა და თავისუფლების აღკვეთას, როგორც ისეთ ღონისძიებას შორის, რომელსაც უფარდებენ პროფესიონალ დამნაშავეებს? ორივე ხომ სიავეა, რომელსაც სახელმწიფო იყენებს ჩადენილი დანაშაულის გამო მისი ჩამდენის მიმართ თავისი სასამართლოების მეშვეობით. ყველაზე უფრო სწორი იქნებოდა, აქამდე გაბატონებულ შეხედულებათა მიხედვით, განსხვავების ძებნა აღნიშნულ ღონისძიებათა მიზანში: სასჯელი ემსახურება სამაგიეროს მიზღვას, ხოლო დაცვის ღონისძიება თავის მიზნად ისახავს დაცვას (Sicherheit); პირველის მიზანია რეპრესია, მეორის — პრევენცია; სასჯელი ინიშნება quia peccatum est, დაცვის ღონისძიება — ne peccetur.

ეს განსხვავება, — ამბობს ბირკმეიერი, — იწვევს სკოლების დავას დაცვისა და სამაგიეროს მიზღვის მომხრეთა შორის და ხედება წინააღმდეგობას იმათ მხრივ, ვისაც სასჯელის მიზნად, აგრეთვე, მომავალი დანაშაულისაგან დაცვა მიაჩნია. ჩვენ უნდა ველოდოთ, — წერს ბირკმეიერი, — რომ ისინი მათი მეთაურის ლისტის სიტყვებით გვიპასუხებენ, რომ წინააღმდეგობა quia-სა და ne-ს შორის მხოლოდ მოჩვენებითია, რეპრესიის და პრევენციის განსხვავება „მხოლოდ ნაყოფია აქამდე გაბატონებული სკოლის ვიწრო აზროვნებისა“.

მართლაც, დაცვის თეორიის წარმომადგენელნი ყველა ცდას სასჯელის და დაცვის ღონისძიების განსხვავებისა უყურებდნენ როგორც დავას ცარიელი სიტყვების შესახებ. მაგრამ სხვა მხრივაც აღნიშნული განსხვავება ხან შეუძლებლად იყო მიჩნეული, ხან კი ცნებათა აღრვეას ხელს უწყობდნენ იმით, რომ ლაპარაკობდნენ დაცვის ღონისძიებათა „ორმაგ ბუნებაზე“ და მათ სასჯელის ხასიათს მიაწერდნენ, ანდა მათ ჰყოფდნენ წმინდა და შერეულ ღონისძიებებად და უქანასკნელნი ისე მკიდროდ უქავშირდებოდნენ

¹ K. Birkmeyer, Strafe und sichernde Massnahmen, 1906, 5.

სასჯელს, რომ პრაქტიკულად მათი განსხვავების აღმოჩენა შეუძლებელი ხდებოდა¹.

მაგრამ ბირკმეიერის სიტყვით, აბსოლუტურად საჭიროა სასჯელის და დაცვის ღონისძიებათა განსხვავება არა მარტო მეცნიერული, არამედ პრაქტიკული მოსაზრებებითაც, ვინაიდან სასჯელთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი ცნებები, როგორცაა სასჯელის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების, სასჯელის ჩათვლის, სასჯელის შეცვლის, სასჯელის გამოპრიცხველი პირობების ცნებები და სხვ. ან არ შეიძლება გამოყენებულ იქნან დაცვის ღონისძიებების მიმართ, ანდა, თუ ეს შესაძლოა, მხოლოდ მნიშვნელოვანი ცვლილებებით. მაშასადამე, მეცნიერების აუცილებელ მოვალეობას შეადგენს სასჯელი და დაცვის ღონისძიება განყენებულად ისე მკვეთრად განასხვავოს ერთმანეთისაგან, რომ პრაქტიკული მოღვაწისათვის ყოველთვის შესაძლო იყოს იმის დადგენა, კანონის თანახმად, დასანიშნავი ღონისძიების მიმართ გამოიყენება თუ არა სისხლის სამართლის საწყისები².

საფიქრებელი იყო, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებამ უკვე დიდი ხანია გადაწყვიტა ეს ამოცანა სასჯელის ცნების ზუსტი განსაზღვრით, რომლიდანაც თავის თავად უნდა გამოდინარეობდეს სასჯელისა და დაცვის ღონისძიების განსხვავება. უკვე ფეიერბახმა წამოაყენა დებულება, რომ ძირითადი ცნება, რომელსაც ემყარება მთელი სისხლის სამართალი, არის სასჯელის ცნება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ერთადერთი ცნების გარკვეულობასა ან გაურკვეველობაზეა დამოკიდებული მთელი თეორიის კემპარიტება ან მცდარობა, პრაქტიკის სიმტკიცე თუ მერყეობა.

მიუხედავად ამისა, — წერს ბირკმეიერი, — სისხლის სამართლის ეს ძირითადი ცნება არის ყველაზე უფრო გაურკვეველი არა მხოლოდ ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაში, არამედ სისხლის სამართლის მეცნიერებაშიც. ამ ავტორის სიტყვით, საჭიროა სასჯელის არსის და მისი მიზნის განსხვავება, უპირველეს ყოვლისა სასჯელის არსის (Wesen) განსაზღვრა, იმ მიზნისაგან დამოუკიდებლად, რომელსაც იგი ისახავს. ამ გზით შესაძლო ხდება სისხლის სამართლის სკოლების შეთანხმება. სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენელნი სულ უფრო და უფრო მიდიან იმის შეგნებამდე, რომ სასჯელის არსი, როგორც უნდა იყოს მისი მიზნები, ს ა მ ა გ ი ე რ ო ს მი ზ ნ-

¹ დასახ. ნაშრომი, 6.

² იქვე, 7.

ვაა. თვით ახალი მიმართულების მეთაურმა, ლისტმა, აღიარა, რომ სასჯელი სამაგიეროს მიზნაა¹.

რა არის სამაგიეროს მიზნა და სასჯელი? ბირკმეიერის აზრით, სამაგიეროს მიზნა თავდაპირველად ნიშნავდა თანასწორით გადახდას თანასწორისათვის, ამდენად სამაგიეროს მიზნა არის vox media, იგი ნიშნავს როგორც ჯილდოს, ისე სასჯელის შინაარსს².

სპეციალურად სამაგიეროს მიზნა სასჯელის გზით ნიშნავს გასწორებას (Ausgleichung) დანაშაულსა და მით შელახულ მართლწესრიგს შორის, დანაშაულით მიყენებული სიავისათვის თანასწორი სიავით გადახდას. დანაშაულს თვისი მოქმედებით დაარღვია სახელმწიფოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი ძალების წონასწორობა და, მასასადამე, შეარყია მართლწესრიგი. სამაგიეროს მიზნა წარმოადგენს ამ წონასწორობის აღდგენას³.

ბირკმეიერი განსაზღვრავს სასჯელის ნიშნებს:

1. სამაგიეროს მიზნა მოითხოვს, რომ თანასწორს მიეგოს თანასწორით (Gleiches mit Gleichem). სასჯელი უნდა წარმოადგენდეს სიავს, ისე როგორც თვით დანაშაული სიავია; იგი უნდა იყოს გრძობადი წვალბა. სივე უნდა გამოხატავდეს დანაშაულის უფლებრივ სიკეთეთა სფეროში შექრას.

2. სამაგიეროს მიზნა მოითხოვს კაუზალურ დამოკიდებულებას ორ მომენტს შორის: რითაც მიუგებენ და რისთვისაც მიუგებენ. მასასადამე, სამაგიეროს მიზნის მიზნებს თვით დანაშაული უნდა შეადგენდეს. როგორც ჯილდოს იძლევიან კეთილი მოქმედებისათვის, და არა მისი საბაბით, ასევე სასჯელს უნიშნავენ დანაშაულისათვის და არა მისი საბაბით. სასჯელი, როგორც რეაქცია უკვე მომხდარის წინააღმდეგ, არის რეპრესია, ე. ი. დათრგუნვა ავი ქმედობის, ავი ნებისყოფისა.

3. სამაგიეროს მიზნა არის გადახდა თანასწორით თანასწორისათვის. აქედან გამომდინარეობს, რომ იგი უნდა წარმოადგენდეს დანაშაულის ადექვატურ სიავს; იგი შეიცავს დოზირების პრინციპს: სიავის იგივე ოდენობა, რაც მიყენებულია დანაშაულით. სასჯელის და დანაშაულის ამ პროპორციულობაში გამოიხატება სასჯელის სამართლიანობა, მისი განსხვავება შურისძიებისაგან, რომელსაც აქვს

¹ დასახ. ნაშრომი, 10.

² იქვე, 10.

³ იქვე, 11.

ბრმა და უსამართლო ხასიათი. დანაშაული არის ბრალეული მართლ-საწინააღმდეგო მოქმედება, იგი შედგება მიზეზობრივობისა და ბრალეულობისაგან. ორივე უნდა იყოს სასჯელის ადექვატური. სასჯელი განსაკუთრებით მიიმართება ბრალის, ბოროტი ნებისყოფის წინააღმდეგ. სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპია — „არაა სასჯელი ბრალის გარეშე“, ამას ემატება შემდეგი დებულება: სასჯელი უნდა იყოს ბრალის თანასწორღირებული, „იგი უნდა შეეხოს დამნაშავეს მის მიერ მართლწესრიგის ბრალეულად დარღვევის ოდენობის შესაბამისად“¹.

4. თანამედროვე გაგებით სასჯელს და, მამასადამე, სამაგიეროს მიზლვას ახორციელებს სახელმწიფო. სასჯელს უფარდებენ სახელმწიფო ორგანოები — სისხლის სამართლის სასამართლოები.

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით ბიკემეიერი სასჯელს განსაზღვრავს შემდეგნაირად:

„სასჯელი არის დანაშაულის რეპრესია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ, რაც ხორციელდება იმით, რომ დამნაშავეს უფლებრივ სიკეთეთა დაზიანებისათვის მიეყენება შეფარდებით უფლებრივ სიკეთეთა თანასწორი დაზიანება სისხლის სამართლის სასამართლო განაჩენის საფუძველზე“².

მეორეს მხრივ, საჭიროა იმის გარკვევა, თუ რით განსხვავდება სასჯელი დაცვის ღონისძიებისაგან.

დაცვის ღონისძიება თავისი არსით სასჯელისაგან განსხვავდება იმით, რომ ან არავითარ დამოკიდებულებაში არაა ჩადენილ დანაშაულთან, ანდა სულ სხვა დამოკიდებულებაშია სასჯელთან. ის არ გულისხმობს აუცილებლად დანაშაულის ჩადენას: მისი გამოყენება შესაძლოა იმ პირების მიმართ, რომელთაც საერთოდ არ ვააჩნიათ დანაშაულის ჩადენის უნარი, როგორც, მაგალითად, სულით ავადმყოფებს ან ბავშვებს. რამდენადაც მას უფარდებენ დამნაშავეს, ჩადენილი დანაშაული წარმოადგენს არა მ ი ზ ე ს, არამედ მხოლოდ ს ა ბ ა ბ ს (Anlass). კაუზალური მნიშვნელობა აქვს უფრო დ ა მ ნ ა შ ა ვ ე ს ს ა შ ი შ რ ო ე ბ ა ს, რომელიც დამოწმებულია დანაშაულით იმის საშიშროება, რომ დამნაშავემ შეიძლება ჩაიდინოს კიდევ სხვა დანაშაული, ვერასოდეს ვერ დაასაბუთებს სასჯელს, მაგრამ მას შეუძლია დაასაბუთოს დაცვის ღონისძიების გამოყენების საჭიროება. სხვანაირად რომ ვთქვათ, დ ა ც ვ ი ს ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ი ს ა რ ს ს შ ე ა დ გ ე ნ ს პ რ ე ვ ე ნ ც ი ა, ვინაიდან ის, რასაც იგი ებრძ-

¹ დასახ. ნაშრომი, 14.

² იქვე, 15.

ვის, არის მხოლოდ მუქარა, ე. ი. ის, რაც ეკუთვნის მომავალს, რაც მოსალოდნელია. იგი არ შეიცავს სამაგიეროს მიზღვას, იგი მხოლოდ დაცვაა მოსალოდნელი დანაშაულისაგან. ამით უკვე დაცვის ღონისძიებანი როგორც პრევენცია მკვეთრად გამოიყოფა სასჯელისაგან, რომელიც რეპრესიას წარმოადგენს.

ამას, ბირკმეიერის აზრით, ემატება კიდევ შემდეგი. როგორც დანაშაული დაცვის ღონისძიებისათვის არაა კაუზალური, იგი აგრეთვე არაა სახელმძღვანელო მისი შინაარსისა და მოცულობისათვის. თავისი სახით და ზომით დაცვის ღონისძიება არ გამოიყენება ჩადენილი დანაშაულის და მისი სიმძიმის მიხედვით. მისი მასშტაბი არაა მოქმედი პირის ბრალი. ეს მასშტაბი ხშირად სრულიად არ არსებობს. მაგალითის სახით ავიღოთ ახალგაზრდა ან სულით ავადმყოფი. მისი მასშტაბი უფრო მოქმედი პირის ინდივიდუალობა და საშიშროებაა. მისი ამორჩევა და მოცულობა განპირობებულია არა ჩადენილის სიდიდით, არამედ მოსალოდნელი საშიშროების ზომით. მის არსს შეადგენს არა პროპორციული სიავის მიყენება, არამედ ინდივიდუალური მოპყრობა (individuelle Behandlung). ამიტომ მას არ ეთანხმება განსაზღვრული ვადის დადგენა, როგორც ამას მოითხოვს სასჯელი, ის უნდა იქნას დანიშნული გაურკვეველი ვადით, სანამ ეს საკირო იქნება. სასჯელის ზომის დანიშვნის საწყისები აქ არ გამოიყენება, აგრეთვე არ გამოიყენება სასჯელის ხანდაზმულობის წესები: დაცვის ღონისძიება არ მოიხსნება გარკვეული დროის გავლის შემდეგ, იგი მოიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა შეწყდება ის საშიშროება, რომლის წინააღმდეგაც იგი იყო მიღებული¹.

როგორც წმინდა პრევენციის ზომები, დაცვის ღონისძიებანი, ბირკმეიერის სიტყვით, ეკუთვნიან არა სასამართლოთა საქმიანობის სფეროს, არამედ მმართველობის დარგს. მაგრამ ამ განსხვავებას აქვს მხოლოდ გარეგანი ხასიათი და აქამდე იგი მტკიცედ არაა დადგენილი, ვინაიდან ცალკეული დაცვის ღონისძიებანი უკვე შეტანილია სისხლის სამართლის კოდექსში და, მაშასადამე, გადაეცა მოსამართლეს².

ბირკმეიერის შეხედულებით, ზემოთ მოცემული განმარტებებით მტკიცდება, რომ დაცვის ღონისძიებანი არ წარმოადგენენ სამაგიეროს მიზღვას და ყველასათვის, ვინც კი სასჯელის არსს სამაგიეროს

¹ დასახ. ნაშრომი, 17.

² იქვე, 17.

მიზლვაში ხედავს, ცხადია, რომ ისინი სასჯელისაგან განსხვავებულ მოვლენას შეადგენენ. ბირკმეიერმა მოგვცა სასჯელის განსაზღვრა. სასჯელის დაპირისპირებით იგი აგრეთვე იძლევა დაცვის ღონისძიებების განსაზღვრას. მისი სიტყვით, დაცვის ღონისძიებანი ისეთი ღონისძიებანია, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო საერთო საშიშ ადამიანისაგან მართლწესრიგის მოსალოდნელ დარღვევას აიცილენ თავიდან (präveniert) საშიში პიროვნებისადმი ინდივიდუალური მოპყრობის გზით (auf dem Wege individueller Behandlung)¹.

ბირკმეიერი გამოთქვამს აზრს, რომ მითითებული განსხვავება შეიძლება მოკლედ გამოიხატოს სიტყვებით: სამაგიეროს მიზლვა და დაცვა (Sicherheit), რეპრესია და პრევენცია. ეს კონცეფცია, — ამბობს იგი, — შესაძლოა გაიზიარონ ეგრეთწოდებული „მიზნობითი სასჯელის“ (Zweckstrafe) მომხრეებმაც, უკეთუ ისინი აღიარებენ, რომ ნამდვილი სასჯელის არსი არის სამაგიეროს მიზლვა. რასაკვირველია, ეს ეწინააღმდეგება მათ შეხედულებას, რომ სასჯელი და დაცვის ღონისძიებანი ორივე მიზნად ისახვენ პრევენციას და რომ ლოგიკურად სასჯელისა და დაცვის ღონისძიებების გათიშვა საფუძველს მოკლებულია. ბირკმეიერი გადადის მიზნის ცნების განხილვაზე².

ლისტი და სხვები, — ამბობს იგი, — ცნობენ, რომ სასჯელი სამაგიეროს მიზლვაა, მაგრამ ამავე დროს ამტკიცებენ, რომ იგი არ უნდა იყოს სამაგიეროს მიზლვაო. დამნაშავე უნდა დაისაჯოს არა სამაგიეროს მიზლის მიზნით, არამედ იმიტომ, რომ მისი თავისებურების მიხედვით იგი იქნას ან გამოსწორებული, ან დაშინებული ანდა უვნებელყოფილი. მაგრამ, ბირკმეიერის აზრით, ეს დაპირისპირება სასჯელის არსის და მისი მიზნისა არაა სწორი. თუ სასჯელი სამაგიეროს მიზლვაა, მაშინ შეუძლებელია მას დაესაზოს სხვა მიზანი გარდა სამაგიეროს მიზლისა. სასჯელი არის სამაგიეროს მიზლვა და მოქმედებს როგორც ასეთი. მაშასადამე, სასჯელის გამოყენებისას არ შეიძლება ამ მოქმედების სავსებით გამორიცხვა და სასჯელის გზით მხოლოდ პრევენციის განხორციელება; სამაგიეროს მიზლვას ყოველ შემთხვევაში უნდა ექნეს ადგილი სასჯელის მიზნებს შორის. ბირკმეიერს მოპყავს ადოლფ მერკელის აზრი იმის შესახებ, რომ, როგორც სამაგიეროს მიზლვა, სასჯელი ამავრებს სამართლის ნორმების ავტორიტეტს, იცავს საერთო ინტერესებს, წარ-

¹ დასახ. ნაშრომი, 17.

² იქვე, 18.

მატებით ებრძვის იმ ძალებს, რომლებიც ამ ინტერესების წინააღმდეგ გამოდიან. როგორც სამაგიეროს მიზღვა, სასჯელი გამოისყიდის დანაშაულს, დააკმაყოფილებს დაზარალებულს და ხალხის სამართლიანობის მოთხოვნილებას. ყველაფერი ეს, ბირკმეიერის სიტყვით, გვაძლევს ვთქვათ: სასჯელი არის სამაგიეროს მიზღვა და კიდევ უნდა იყოს ასეთი¹. ამ სიტყვებით მითითებულია ის ზღვარი, რომელიც ჰყოფს კრიმინალისტ-კლასიკოსებს და სოციოლოგებს სასჯელის პრობლემის გადაწყვეტის დარგში. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სასჯელის არსის და მიზნების პრობლემა არ დგას განკერძოებულად, სხვა საკითხებისაგან მოწყვეტილად. მას აქვს მჭიდრო კავშირი სისხლის სამართლის ზოგად საკითხებთან, რომელთა შორის აქ შეგვიძლია დავასახელოთ სისხლის სამართლის ისეთი ძირითადი საკითხი, როგორიცაა ბრალის საკითხი. ზემოთ უკვე განმარტებული იყო, თუ რა დამოკიდებულებას ნახულობენ კრიმინალისტები სასჯელისა და ბრალის ცნებებს შორის. განსაკუთრებული ძალით ეს კავშირი აღნიშნულია ა. ფეიერბანხის მოძღვრებაში².

სამაგიეროს მიზლის შედეგები, — განაგრძობს ბირკმეიერი, — ისეთია, რომ ჩვენ უნდა მოველოდეთ, რომ სასჯელის მეშვეობით შესაძლოა დამნაშავეთა დაშინება, გამოსწორება და უვნებელყოფა და ამ გზით ყოველი სასჯელის უკანასკნელი მიზნის მიღწევა, რომელსაც ისახევენ ყველა სისხლის სამართლის სკოლები: მართლწესრიგის დაცვა დანაშაულთან ბრძოლის გზით. მაშასადამე, დაშინება, გამოსწორება, უვნებელყოფა სამაგიეროს მიზლის მეშვეობით (durch die Vergeltungsstrafe) და არა, პირიქით, სამაგიეროს მიზლვა დაცვის საწყისის მეშვეობით (durch die Schutzstrafe). ეს იქნებოდა, ბირკმეიერის აზრით, ის ნიადაგი, რომელიც შექმნიდა შესაძლებლობას სისხლის სამართლის სკოლების ურთიერთშეთანხმებისა. ამგვარი სასჯელის შესახებ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მასში შერიგებულია ორი ცნობილი სხვადასხვა საწყისი: quia peccatum est და ne peccetur.

საბოლოოდ ბირკმეიერი სასჯელის და დაცვის ღონისძიების განსხვავებას აყალიბებს შემდეგნაირად: სასჯელი არის სამაგიეროს მიზლ-

¹ დასახ. ნაშრომი, 19.

² იხ. ჩემი შრომა „დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში“, 1957, გვ. 104—108.

ვა და ამით რეპრესია დაინიშნება სამაგიეროს მიზღვის მიზნით; ხოლო დაცვის ღონისძიებანი წარმოადგენენ მოპყრობას (Behandlung), მათ აქვთ პრევენციული ბუნება და ისინი გამოიყენება დაცვის მიზნით (zum Zweck der Sicherung)¹.

მაგრამ, მიუხედავად მათი მკვეთრი განსხვავებისა, სასჯელი და დაცვის ღონისძიებანი დანაშაულთან ბრძოლის დარგში ერთმანეთს უნდა შეავსებდნენ და დახმარებას უწყევდნენ, რა თქმა უნდა, არა ურთიერთ შეცვლის (vikariiren) აზრით. თავის თავად გასაგებია, რომ იქ, სადაც საჭიროა დაცვის ღონისძიება, ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად არ შეიძლება სასჯელის გამოყენება. მაგალითად, საშიში სულით ავადმყოფის მიმართ არ შეიძლება სასჯელის გამოყენება, ვინაიდან სასჯელი თავისი არსით სამაგიეროს მიზღვია. პირიქით, როცა მოცემულია რომელიმე დანაშაულის შედგენილობის ნიშნები, მაშინ არ შეიძლება სასჯელის ადგილი დაიკავოს დაცვის ღონისძიებამ, ვინაიდან უკანასკნელის გამოყენების შემთხვევაში სამაგიეროს მიზღვას არ ექნება ადგილი.

თუ ბირკმეიერი იმ ორი ინსტიტუტის ურთიერთ შეცვლის წინააღმდეგია, იმ მოსაზრებით, რომ ისინი ერთმანეთისაგან არსებითად, თავისი ბუნებით და საფუძვლებით განსხვავდებიან, მეორეს მხრივ, მისი სიტყვით, შესაძლოა და კიდევ საჭიროა მათი ურთიერთ-შეცვლა. საშიში პირების მიმართ მიღებულ უნდა იქნას დაცვის ღონისძიება, მაგალითად, სულით ავადმყოფობის შემთხვევაში, ანდა როცა ვინმე უკვე დასჯილია, ხოლო მისი საშიშროება, მიუხედავად სასჯელის მოხდისა, კიდევ გრძელდება. ამიტომ ბირკმეიერი დასაშვებად ცნობდა ასეთი დაცვის ღონისძიებათა შეტანას სისხლის სამართლის კოდექსში, რამდენადაც უფრო მიზანშეწონილია და სწორია მისი დანიშვნა მოსამართლის, და არა ადმინისტრაციული ორგანოს მეშვეობით. ამას ხელს არ უნდა უშლიდეს თეორიული მოსაზრება, რომელიც მოითხოვს „მოსამართლის თანამდებობის სიწმინდეს“ (Reinhaltung), უკეთეს ეს სასარგებლოა პრაქტიკული თვალსაზრისით. მაგრამ ამისათვის ბირკმეიერი საჭიროდ თვლის ზოგიერთი წინაპირობების არსებობას.

პირველ წინაპირობად იგი ასახელებს ისეთი მოქმედების ჩადენას, რომელიც ყოველ შემთხვევაში ობიექტურად დანაშაულს წარმოადგენს. იქ, სადაც დაცვის ღონისძიების მიღება საჭიროა ამ წინაპირობის გარეშე, მაგალითად, სულით ავადმყოფის მიმართ, რომელსაც

¹ დასახ. ნაშრომი, 20.

დანაშაული არ ჩაუდენია, მაგრამ შეეძლო მისი ჩადენა, დაცვის ღონისძიების მოწესრიგება ძვეს სისხლის სამართლის დარგის გარეთ¹.

მეორე წინაპირობად უნდა ჩაითვალოს საშიშროების არსებობა, რომ დამნაშავე ჩაიდენს კიდევ სხვა დანაშაულებრივ ქმედობებს.

დაბოლოს, შესაძლოა იყოს კიდევ სხვა საფუძველი, რომელიც აუცილებლად ან მიზანშეწონილად ხდის დაცვის ღონისძიების დანიშვნის გადაცემას სისხლის სამართლის მოსამართლისათვის. ბირკმეიერი ასახელებს რამდენიმე ამგვარ შემთხვევას, მათ შორის იმ მოსაზრებას, რომ დაცვის ღონისძიება წარმოდგენს პიროვნული თავისუფლების სფეროში შეჭრას, საერთოდ კი ფიქრობენ, რომ ეს თავისუფლება უფრო უზრუნველყოფილია მოსამართლის, ვიდრე მმართველობის ორგანოს ხელში².

ბირკმეიერის სიტყვით, დაცვის თეორია (Schutzstraftheorie) თანმიმდევრული განვითარების შედეგად მიდის მთელი სისხლის სამართლის გაუქმებამდე: სასჯელი იქცევა დაცვის ღონისძიებად, სისხლის სამართალი — დანაშაულის პროფილაქტიკად. და ამას აცხადებენ კულტურულ პროგრესად, იმ დებულების გამარჯვებად, რომლის თანახმად ყველაფრის შეგნება ყველაფრის პატიებას ნიშნავს — წერს ბირკმეიერი. ამ აზრს იგი, რასაკვირველია, უარყოფს. მისი სიტყვით, ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ თუ დანაშაული უკვე ჩადენილია, მაშინ ყველაზე უფრო ქმედითია და, მაშასადამე, სწორი და აუცილებელია სასჯელი. სასჯელმა უნდა იარსებოს, სანამ არსებობს დანაშაული — ამტკიცებს ბირკმეიერი³.

ჩვენ შევჩერდით კლასიკური მიმართულების წარმომადგენლის, ბირკმეიერის მოძღვრების გადმოცემაზე, ვინაიდან აქ ნათლად მოჩანს ამ მიმართულების შეხედულება იმ საკითხზე, რომელიც ზემოთ იყო დაყენებული. როგორია სასჯელის არსი და რა ურთიერთდამოკიდებულებაშია იგი დაცვის ღონისძიებებთან? ამ საკითხზე ბირკმეიერი და მასთან ერთად კრიმინალისტ-კლასიკოსთა უმრავლესობა იძლევა გარკვეულ პასუხს. მათი აზრით, სასჯელის შინაარსს შეადგენს სამაგიეროს მიზნება ბრალეული ქმედობისათვის. სასჯელი თავისი ბუნებით გულისხმობს პროპორციულობას ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედობასთან,

¹ დასახ. ნაშრომი, 22.

² იქვე, 23.

³ იქვე, 25.

სწორედ ამ პროპორციულობაში, თანაზომიერებაში გამოისახება სამართლიანი მიზლის პრინციპი. დაცვის ღონისძიება კი მხედველობაში არ იღებს დამნაშავეს ბრალს, იგი ითვალისწინებს ინდივიდის მხოლოდ საშიშროებას. მაშასადამე, ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებით განსხვავებას ნახულობენ.

ბირკმეიერი თავის თეორიას უწოდებს „შემაერთებელ თეორიას“. მართლაც, იგი შემაერთებელ თეორიათა (Vereinigungstheorien) ჯგუფს ეკუთვნის, რამდენადაც იგი აღიარებს სასჯელისა და დაცვის ღონისძიების, რეპრესიის და პრევენციის საჭიროებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ამ ორ ინსტიტუტს შორის მაინც ძირითად განსხვავებას ხედავს.

ამ გარემოებით უნდა აიხსნას ექსნერის აზრი ბირკმეიერის მოძღვრებაზე; ბირკმეიერის შემაერთებელი თეორია, — ამბობს ექსნერი, — არის წმინდა სამაგიეროს მიზლის თეორია, „durch den Schutzgedanken dürrtig geziert“¹.

2

ბირკმეიერის შეხედულებას უახლოვდება ბელინგი. ბელინგი, ისე როგორც ბირკმეიერი, კლასიკოსია და ამაში უნდა ვეძიოთ მისი ძირითადი კონცეფციის უკანასკნელი წყარო. სასჯელი როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, ბელინგის აზრით, არის წვალება (Leiden), რომელსაც მართლწესრიგი უკავშირებს გარკვეულ ქმედებას — *punitur postquam peccatum est*. თუ რამდენად გამართლებულია სასჯელი სამართლის ღირებულებათა მოძღვრების თვალსაზრისით, ამას იკვლევენ ეგრეთწოდებული სისხლის სამართლის თეორიები².

კლასიკური მიმართულება სასჯელის შინაარსს ხედავს სამაგიეროს მიზლვაში ბრალეული უმართლობისათვის. *Punitur, quia peccatum est*. ესაა სამაგიეროს მიზლის თეორია.

სოციოლოგიური სკოლის უკიდურეს მიმდინარეობას სურს სრულიად აღმოფხვრას სამაგიეროს მიზლის ცნება და სასჯელი ესმის როგორც საშუალება, რომლითაც დასჯილ პირს მოესპობა ახალ დანაშაულთა ჩადენის შესაძლებლობა დაშინების, გამოსწორებისა და უვნებელიყოფის გზით. *Punitur ne peccetur* — ესაა დაცვის (პრევენციის) თეორია.

¹ Exner, Die Theorie der Sicherungsmittel, 1914, 32.

² Grundzüge des Strafrechts, 1930, 3.

შემაერთებელი (სინკრეტული) თეორიები მიზნად ისახავენ სამაგიეროს მიზლის და დაცვის (Sicherheit) შეერთებას.

არის ისეთი შეხედულება, რომელიც ამტკიცებს, რომ სხვადასხვა სკოლების დავას არა აქვს მნიშვნელობა, თუ შეთანხმდნენ იმაზე, რომ სასაჯელის დანიშნულებაა საზოგადოების დაცვა¹.

ამგვარად ახასიათებს ბელინგი აზრთა განსხვავებას სისხლის სამართლის მეცნიერების დარგში.

უკანასკნელ შეხედულებას ბელინგი თვლის თავის მოტყუებად, ვინაიდან გამოსაყენებელი ღონისძიებანი უსათუოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ რას მივიღებთ სახელმძღვანელოდ—სამაგიეროს მიზლებს თუ დანაშაულის თავიდან აცილებას (Vorbeugung). სამაგიეროს მიზლის გამოყენება გამორიცხულია იმ პირის მიმართ, რომელსაც ჯერ არ ჩაუდენია დანაშაული, კიდევ რომ სხვა ნიშნებით ცხადი იყოს, რომ მას რაიმე სიბოროტე აქვს განზრახული. პირიქით, დაცვის პრინციპი მოითხოვს ზომების მიღებას ასეთი ინდივიდების წინააღმდეგაც. მეორეს მხრივ, ჩადენილი ქმედობა საკმაო საფუძველია სამაგიეროს მიზლისათვის, მაშინაც კი, როცა დამნაშავეისაგან არაა მოსალოდნელი ახალი დანაშაულის ჩადენა, ვინაიდან ამგვარ შემთხვევაში არ არსებობს გამაფრთხილებელი ზომების (პრევენციის) მიღების საფუძველი. შემდეგ, სამაგიეროს მიზლზე გულისხმობს, რომ პირს მიუძღვის ბრალი დანაშაულის ჩადენაში, ხოლო დაცვა შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ საშიში პიროვნების მიმართაც, რომელსაც არ გააჩნია შერაცხადობის უნარი (სულით ავადმყოფთა მიმართ). გარდა ამისა, სამაგიეროს მიზლის დროს ხელმძღვანელობენ პროპორციულობის ცნებით — დამნაშავეს უნდა მიეგოს ის, რაც მან თავისი ქმედობით დაიმსახურა, ხოლო დაცვის ღონისძიების გამოყენებისას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ საშიშროების აცილენას, მიუხედავად იმისა, მძიმედ თუ მსუბუქად ატყდება ეს თავს ინდივიდს².

ამგვარად, დასკვნის ბელინგი, „საზოგადოების დაცვის“ პრინციპი მეტად გაურკვეველია და მას არ შეუძლია მოგვეცეს სახელმძღვანელო გეზი, რომელიც დააკმაყოფილებდა კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის მოთხოვნილებებს. იგი გამოხატავს მხოლოდ მიზანს, რომელიც დგას საერთოდ მართლწესრიგის წინაშე, და წარ-

¹ დასახ. ნაშრომი. 3.

² იქვე, 4.

მოადგენს ცარიელ სიტყვას, თუ უფრო დაახლოებით არ იქნა გარკვეული, თუ რა არის სასჯელის სპეციფიკური არსი¹.

პრაქტიკული შედეგების განსხვავება ჰქმნის გადაულახავ დაბრკოლებას ყოველი შემაერთებული თეორიისათვის, რომელიც კმაყოფილდება ერთიანი „სასჯელის“ ღონისძიებით, რაც თითქოს ასრულებს სამაგიეროს მიზლის და დაცვის ორმაგ ფუნქციას. როგორ უნდა „დაისაჯოს“ მოქმედი პირი, როცა მისი გადაცდომა მცირეა, მაგრამ მისი საშიშროება მოითხოვს მკაცრ ღონისძიებას? აქ „სასჯელი“ უნდა იყოს ან, სამაგიეროს მიზლის წინააღმდეგ, უსამართლოდ შალალი, ანდა იგი უნდა წარმოადგენდეს დაცვის ცნების უარყოფას. რასაკვირველია, წერს ბელინგი, სამაგიეროს მიზლის და დაცვის ერთმანეთთან დაკავშირება შესაძლოა. მაგრამ არა ისე, რომ ისინი მათი შერწყმის შედეგად თითქოს „სასჯელს“ მოგვემდინნენ².

წმინდა დაცვის თეორიები (საზოგადოების დაცვა სამაგიეროს მიზლის ცნების გამოყენების გარეშე), ბელინგის სიტყვით, ხაზს სწორად უსვამენ იმ გარემოებას, რომ დანაშაულის პროფილაქტიკის მოწყობა მნიშვნელოვან სახელმწიფო ამოცანას წარმოადგენს. მაგრამ ისინი არ ეკუთვნიან სისხლის სამართლის დარგს. სახელმწიფო ხელისუფლების შექრა ცალკეულ ინდივიდთა უფლებრივ სფეროში სამართლებრივ სიკეთეთა დარღვევის აცილების მიზნით, ფაქტიურად მმართველობის, ადმინისტრაციულ ორგანოთა აქტს წარმოადგენს, — წერს ბელინგი. იგი დასძენს, რომ ამ აქტებისათვის „სასჯელის“ წოდებას მაშინაც არა აქვს აზრი, როცა ინდივიდმა წინათ ჩაიდინა დანაშაული, ვინაიდან დაცვის ღონისძიების შემთხვევაში ეს ღონისძიება გამოიყენება ჩადენილი ქმედობის საბაბით და ამიტომ აქ ადგილი არა აქვს სასჯელს ამ ქმედობისათვის³.

სიტყვიერად, — განაგრძობს ბელინგი, — სასჯელი არის სამაგიეროს მიზლა (in malam partem, ისე როგორც ჯილდო არის სამაგიეროს მიზლა (in bonam partem). სამაგიეროს მიზლის ცნება თავის ბეჭედს ასვამს სისხლის სამართალს. როცა სამართლის უნივერსალურ ისტორიაში სასჯელმა დაიკავა შურისძიების ადგილი, ეს ნიშნავდა, იმას, რომ ინსტინქტური, განუსაზღვრელი, ადგუნებული სა-

¹ დაახ. ნაშრომი, 4.

² იქვე, 4.

³ იქვე, 5.

მაგიეროს მიზღვა შეცვალა ნატიფმა (ობიექტივირებულმა) სამაგიეროს მიზღვამ. მის გამართლებას წინათ იმაში ნახულობდნენ, რომ დანაშაული თავის თავად იწვევს რეაქციას. სამართლის იდეიდან უშუალოდ გამომდინარეობს „უმართლობის მოხსნის“ პოსტულატი და სასჯელი სწორედ უმართლობის ასეთ მოხსნას შეადგენს. „მიზანს“ და „სარგებლობას“ არა აქვს მნიშვნელობა. ეს იყო ეგრეთწოდებული აბსოლუტური თეორიები: ღვთაებრივი სამაგიეროს მიზღვის — შტალე; დიალექტიკურ-ლოგიკური სამაგიეროს მიზღვის — ჰეგელი; ესთეტიკური სამაგიეროს მიზღვის — ჰერბარტი; მორალური სამაგიეროს მიზღვის — კანტი.

ყველა ეს თეორია, ბელინგის სიტყვით, წმინდა იდეალისტურია, ისინი არ უპასუხებენ იმ მიზნებს, რომელთაც სახელმწიფო და მართლწესრიგი ემსახურება. სახელმწიფოს ესაჭიროება გამართლება რეალურ პოლიტიკური მიზნობითი მოსაზრებების თვალსაზრისით, როცა იგი გამოდის როგორც სამაგიეროს მიმზღველი სუბიექტი¹.

ეს რეალურ-პოლიტიკური (სოციალურ-უტილიტარული) კონცეფცია თავისი ბუნებით წინასწარ ეგუებოდა დაცვის თეორიებს, რომლებიც, როგორც „რელატიური თეორიები“, აბსოლუტურ თეორიებს უპირისპირდებოდნენ. მაგრამ მათ ახასიათებს ის ნაკლი, რომ ვერ შეძლეს მიზნის ცნების დაკავშირება სამართლიან სამაგიეროს მიზღვასთან². რაში გამოიხატება ეს დაკავშირება?

ბელინგის აზრით, ეს დაკავშირება ორი სხვადასხვა საწინააღმდეგო საწყისისა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო, სჯის რა იმას, რაც მას უსამართლოდ მიაჩნია, ამით აკმაყოფილებს ხალხში მიღებულ სამაგიეროს მიზღვის იდეას. და ამაგრებს თავის ავტორიტეტს, ხოლო დასჯის უგულვებელყოფა გამოიწვევდა უწესრიგობას, სახელმწიფო ხელისუფლებისადმი უპატივცემლობას და სახელმწიფოს მიერ დაცულ წყობილებას განსაცდელში ჩააყენებდა. სამაგიეროს მიზღვა, ამბობს ბელინგი, მხოლოდ იმდენად ეკუთვნის სახელმწიფო ამოცანების დარგს, რამდენადაც იგი საჭიროა სახელმწიფოს „თვითმტკიცების“ (Selbstbehauptung; მიზნის მისაღწევად. Punitur quia peccatum est. ne respublica detrimentum auctoritatis capiat. აქვს თუ არა სასჯელს ის შედეგი, რომ დასჯილი ინდივიდი შემდეგში არ იდენს დანაშაულს, ამას არა აქვს მნიშვნელობა: მაშინაც კი, როცა მას არ მოყვება ეს შედეგი, სასჯელი მაინც აღწევს თავის მიზანს ავტორიტეტის განმტკიცების („ზოგადი პრევენციის“) გზით³. აქედან

¹ დასახ. ნაშრომი, 5.

² იქვე, 5.

³ იქვე, 5.

ჩანს, რომ ბელინგი უახლოვეს ერთმანეთს სამაგიეროს მიზლვას და ზოგად პრევენციას. უნდა ითქვას, რომ ეს შეხედულება ხშირად გვხვდება სისხლის სამართლის მეცნიერებაში.

ბელინგი ფიქრობს, რომ ამ აზრით თანამედროვე მეცნიერება სულ უფრო და უფრო სწორ გზას ადგება. ასეთად მას ნეო-კლასიციზმი მიაჩნია.

ზემოთ აღნიშნული განმარტების საფუძველზე ბელინგი მიუთითებს შემდეგ სახელმძღვანელო დებულებებს კანონმდებლობისათვის:

1. საჭიროა სისხლის სამართლის კოდექსი, რომელსაც სასჯელი ესმის ტრადიციული მნიშვნელობით როგორც სამართლიანი სამაგიეროს მიზლვა ბრალეული უმართლობისათვის, ისე რომ სასჯელის სიმძიმე პროპორციული უნდა იყოს ქმედობის სიმძიმისა, ხოლო, მეორეს მხრივ, დანაშაულებრივი ქმედობანი ზოგჯერ შეიძლება დარჩეს დაუსჯელი ან ნაკლებად დაისაჯოს, უკეთეს და რამდენად ეს დასაშვებია სახელმწიფო ავტორიტეტის დაცვის თვალსაზრისით.

2. ამასთან ერთად საშიში აღამიანების წინააღმდეგ იმ დაცვის ღონისძიებათა სისტემის სამართლებრივი მოწესრიგება, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სასჯელის წინაპირობებთან და არ მოითხოვენ მათი სიმძიმის და ჩადენილი ქმედობის სიმძიმის შესაბამისობას.

3. სადაც არსებობს წინაპირობები სასჯელისა და დაცვის ღონისძიებებისათვის (ჩადენილი დანაშაული და საშიშროება), რამდენადაც შესაძლოა, გამოჩნება ისეთი ღონისძიებებისა, რომლებიც თანაბრად ასრულებენ როგორც სასჯელის, ისე დაცვის ფუნქციას, სასჯელის აღსრულების გამოყენება იმავე დროს აღმზრდელობითი ზემოქმედების მიზნით; გამოუყენებლობა ისეთი სასჯელებისა, რომლებიც დაცვის საწყისის თვალსაზრისით ცუდ ზემოქმედებას მოახდენდნენ ინდივიდზე. რამდენადაც დაცვის საწყისი მოითხოვს ენერგიული ზომების მიღებას, ვიდრე ეს დასაშვებია სამაგიეროს მიზლის საწყისის თვალსაზრისით, დაცვის ღონისძიება უნდა დაერთოს სასჯელს (Angliederung an die Strafe), მაგალითად, სუსტი ნებისყოფის ინდივიდთა მიმართ, რომლებიც ნებისყოფის სისუსტის გამო იმსახურებენ მცირე სასჯელს, მაგრამ სწორედ ამიტომ იწვევენ შიშს, რომ სასჯელის მოხდის შემდეგაც საფრთხეს წარმოადგენენ¹.

¹ დასახ. ნაშრომი, 6.

გერმანულ-ავსტრიული პროექტები, ბელინგის სიტყვით, საერთოდ უახლოვდებიან ამ პროგრამას, ხოლო იტალიელი კრიმინალისტის ფე რ ი ს მიერ 1921 წელს შედგენილი პროექტი აგებულია წმინდა „დაცვის ღონისძიების“ ცნებაზე.

სასჯელის ცნების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მან დასასჯელ პიროვნებაში უსიამოვნების გრძნობა უნდა გამოიწვიოს. ის ღონისძიებანი, რომელთაც ეს მიზანი არა აქვთ, სასჯელს არ წარმოადგენენ. ამის მიხედვით ბელინგი სასჯელისაგან გამოჰყოფს:

1. ზარალის ანაზღაურებას; იგი ეკუთვნის სამოქალაქო სამართალს. ზარალის ანაზღაურებას ეკუთვნის აგრეთვე ეგრეთწოდებული „die Busse“ (ფულადი თანხა, რომელსაც დამნაშავე უხდის დაზარალებულს, იგი გვხვდება გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში, განსაკუთრებით შეურაცხყოფის, სხეულის დაზიანების დროს — §§ 188, 231).

2. ეგრეთწოდებული ობიექტური ღონისძიებანი, რომლებიც თუმცა ჩვეულებრივ დამნაშავესა ან მესამე პირისათვის უსიამოვნებაა, მაგრამ თავის მიზანს მაშინაც აღწევენ, როცა ბრალეულს არ ეხებიან ან იგი მათ არ განიცდის როგორც სიავეს. ამ ჯგუფში ბელინგი ათავსებს: ა) სხვადასხვა საგნების კონფისკაციას, ბ) პოლიციის მეთვალყურეობას, გ) გამასწორებელ დამატებით პატიმრობას, დ) უცხოელის გაძევებას სახელმწიფოს ფარგლებიდან. და ა. შ.¹

სასჯელი არის მართლწინააღმდეგობისათვის დანიშნული სამაგიეროს მიზღვის სიავე (Übel). ამიტომ სასჯელს არ წარმოადგენს ისეთი სიავე, რომელიც თუმცა მართლწინააღმდეგობის საბაზით აა გამოყენებული, მაგრამ მხოლოდ იმ მიზნით, რომ მომავალში მიღწეულ იქნას დამნაშავის მართლწომიერი ყოფაქცევა.

სასჯელი არის მხოლოდ ის სიავე, რომლითაც სახელმწიფო იმუქრება, ე. ი. ეგრეთწოდებული სახელმწიფო სასჯელი. მამასადამე, მას არ ეკუთვნიან ვიწრო ასოციაციებში, როგორც, მაგალითად, ოჯახში, სკოლაში, ეკლესიაში, კორპორაციებში მიღებული მსგავსი ღონისძიებანი; ასევე მას არ ეკუთვნის „ხელშეკრულების“ ანუ კონვენციური სასჯელი, ე. ი. ის შემთხვევა, როცა ვინმე ნებაყოფლობით, ხელშეკრულების საფუძველზე, კისრულობს ჯარიმის გადახდას, უკეთუ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება.

სასჯელი არის ის ღონისძიება, რომელსაც სახელმწიფო ნიშნავს როგორც საჯარო, საერთო, იძულებითი ხელისუფლების სუბიექტი. შინაგანი ღონისძიებანი, რომლებითაც სახელმწიფო აწესრიგებს სამ-

¹ დასახ. ნაშრომი, 6,

სახურებრივ ურთიერთობებს, ეგრეთწოდებული დისციპლინური სახ-
დელები სასჯელს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით არ წარმოად-
გენენ. სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, შეუძლია დააწესოს თანამდე-
ბობრივი მოვალეობის დარღვევისათვის, დისციპლინური სახდელის
გარდა, კრიმინალური სასჯელიც¹.

რომ ვადარებთ ერთმანეთს ბ ი რ კ მ ე ი ე რ ი ს და ბ ე ლ ი ნ გ ი ს
შეხედულებებს, ჩვენთვის ცხადი ხდება მათი შინაგანი ნათესაობა.
რასაკვირველია, მათ შორის არის განსხვავება, მაგრამ ძირითადად
ისინი მაინც ერთდამიანვე კონცეფციას იზიარებენ. სასჯელს ორივე
განიხილავს როგორც სამაგიეროს მიზღვას, რომელიც
მოითხოვს სასჯელისა და დანაშაულის პროპორციულობას.
სამართლიანი სამაგიეროს მიზღვა გულისხმობს, რომ დამნაშავეს უნ-
და მიეზღოს მისი ბრალის საფუძველზე და ბრალის შესაბამისად. რაც
შეეხება დაცვის ღონისძიებას, ის წარმოდგენილია „როგორც სულ
სხვა შინაარსის მქონე ინსტიტუტი. ამგვარად, სასჯელი და დაცვის
ღონისძიება არსებითად ერთმანეთისაგან გათიშულია.

3

ზემოთ ჩვენ გავეცანით გერმანელი იურისტის ზ ა უ ე რ ი ს მოძ-
ღვრებას სასჯელის შესახებ. ზაუერი უკიდურესი ეკლექტიკოსია და
ამდენად სრულიად ბუნებრივია, რომ იგი ცდილობს შეარიგოს ორი
საწინააღმდეგო შეხედულება.

პრევენციას, ზაუერის სიტყვით, უყურებენ როგორც ისეთ ცნე-
ბას, რომელიც გულისხმობს „გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ს“, ან „საშიშ-
როებას“. მაგრამ ზაუერი ამას არ ეთანხმება, ვინაიდან პრევენცია
ნიშნავს სასჯელის მიზანს. „გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა“ გამოხატავს
ობიექტს, ხოლო „ს ა შ ი შ რ ო ე ბ ა“ ნიშნავს ღირებულების
მასშტაბს².

„გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს ს ი ს ხ ლ ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს“ (Ge-
sinnungsstrafrecht) წინააღმდეგ ლაპარაკობს ის მოსაზრება,
რომ აქ სისხლის სამართალი უახლოვდება ზნეობას და გარდა ამისა
პროცესუალური თვალსაზრისით შეუძლებელია ამ განწყობილების
დადგენა³. ამათ ზაუერი უმატებს კიდევ იმ მოსაზრებას, რომ დამნა-

¹ დასახ. ნაშრომი, 7.

² Sauer, Grundlagen des Strafrechts, 1921, 156.

³ იქვე, 187.

შავის განწყობილება რომ იყოს გადამწყვეტი, მაშინ ერთნაირად უნდა დაისაჯოს მცდელობა და დამთავრებული დანაშაული, მოსამზადებელი და შესრულების მოქმედება, დამხმარე და ამსრულებელი. პირიქით, დაუსჯელი დარჩებოდა მრავალი გაუფრთხილებელი დამნაშავე, შემთხვევითი დამნაშავე (Gelegenheitsverbrecher) და სხვ.¹

ზაუერს სწორად არ მიაჩნია ექსნერის და მაიერის შეხედულება, რომ თითქოს დაცვის ღონისძიებანი „ე თ ი კ უ რ ა დ უ ფ ე რ უ ლ ი ა“ (ethisch farblos). ისინიც გულისხმობენ უარყოფით შეფასებას, სახელდობრ სოციალურ (სოციოლოგიურს და არა სპეციალურ სისხლის სამართლებრივს) მსჯელობას მოქმედი პირის საშიშროებაზე².

ზაუერი განსაკუთრებით იხილავს საკითხს სასჯელისა და დაცვის ღონისძიების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ჩვენ შევჩერდებით მისი შეხედულების დახასიათებაზე.

ზაუერი აყენებს საკითხს: წარმოდგენდნენ თუ არა სასჯელი და დაცვის ღონისძიება ლოგიკურ წინააღმდეგობას? და უპასუხებს: ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ა დ — კ ი, კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ — არა. საერთოდ აბსტრაქტულის და კონკრეტულის განსხვავება ზაუერის კონსტრუქციაში დიდ როლს ასრულებს. ზაუერი განმარტავს, რომ აბსტრაქტულად სასჯელი ყოველთვის არის დამნაშავის წვალება, მიმართული სამაგიეროს მიზნაზე და ბრალის გამოსყიდვაზე, ხოლო დაცვის ღონისძიება, პირიქით, საზოგადოების დაცვის და პრევენციის საშუალებაა საშიშროების წინააღმდეგ. მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში სასჯელს, რა თქმა უნდა, შეუძლია დაიცვას საზოგადოება, ისე როგორც, მეორეს მხრივ, იგი შეიძლება ამ თვალსაზრისით სრულიად უვარგისი აღმოჩნდეს. შემდეგ, დაცვის ღონისძიებაც კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, ხანგრძლივი თავისუფლების აღკვეთის დროს, შესაძლოა ნიშნავდეს წვალებას პიროვნებისათვის, — ამიტომ არსებობს წესი, რომ თავისუფლების აღკვეთა, განსაზღვრულ პირობებში, სამუშაო სახლში უნდა იქნას მოხდილი. მაშასადამე, ვინც ფიქრობს, რომ ეს ორი ღონისძიება ერთმანეთს გამორიცხავს, მას აქვს იგივე საფუძველი, როგორც იმას, რომელიც მათ ორ გადამკვეთ წრეს ადარებს³.

მეცნიერულად, — განმარტავს ზაუერი, — პირველ პლანზე ბუნებრივად დგას თვალსაზრისი, რომლის თანახმად სასჯელი და დაცვის

¹ დასახ. ნაშრომი, 189.

² იქვე, 187.

³ იქვე, 190.

ლონისძიება ერთმანეთს განყენებულად გამორიცხავენ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კანონი მათ სხვადასხვა შედეგებს უკავშირებს, განსაკუთრებით დაცვის ღონისძიებებს ადმინისტრაციული სამართლის მიხედვით აყალიბებს, ისე რომ მათ მიმართ არ გამოიყენება სპეციფიკური სისხლის სამართლებრივი წესები პატიების, ხანდაზმულობის შესახებ, შთანთქმის პრინციპი იდეალური კონკურენციის დროს და სხვ. ეს მოწესრიგება გასაგებია მხოლოდ ზოგადი თვალსაზრისით: სასჯელი და დაცვის ღონისძიება ერთმანეთს გამორიცხავენ, პირველი შეიძლება მოიხსნას პატიების გზით, უკანასკნელი არა. ეს სამართლებრივი შედეგი უაზრო იქნებოდა კონკრეტული თვალსაზრისით, რომლის მიხედვით სასჯელი და დაცვის ღონისძიება ერთხვევა ერთმანეთს; ვინაიდან თუ რომელიმე ინსტიტუტი, მაგალითად, ადმინისტრაციული ზედამხედველობა, განიხილებოდა როგორც სასჯელი, ისე დაცვის ღონისძიება, მაშინ არ ეცოდინებოდათ, უნდა გამოეყენებინათ თუ არა ნორმა პატიების შესახებ. აქედან ზაუერი აკეთებს დასკვნას, რომ ორივე ინსტიტუტის სამართლებრივი შედეგების გასაგებად საჭიროა აბსტრაქტული მიდგომა: სასჯელი და დაცვის ღონისძიება ერთმანეთს გამორიცხავენ¹.

სხვანაირად არის საქმე, როცა დასადგენია რომელიმე ღონისძიების ბუნება, — სასჯელია იგი თუ დაცვის ღონისძიება, რამდენადაც თვით კანონი გარკვევით არ ამბობს: ეს ღონისძიება მე მესმის როგორც სასჯელი, მეორე კი როგორც დაცვის ღონისძიება. ამგვარ შემთხვევაში, ზაუერის სიტყვით, გამოყენებული უნდა იქნას კონკრეტული თვალსაზრისი და დაისვას კითხვა, გამოსარკვევი ინსტიტუტის მიზანი, კანონის აზრით, უმთავრესად სამაგიეროს მიზნაა თუ პრევენცია. მაშასადამე, გასათვალისწინებელია მთავარი მიზანი, ვინაიდან კონკრეტულად ორივე ცნება შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს².

ზაუერი იძლევა სასჯელის და დაცვის ღონისძიების შემდეგ განსაზღვრას:

სასჯელი არის ისეთი სახელმწიფო ღონისძიება, რომელიც კანონის აზრით უმთავრესად იმაზეა მიმართული, რომ მიაყენოს დამნაშავეს წვალება მძიმე უმართლობისათვის სამაგიეროს მიზლის და ბრალის გამოსყიდვის მიზნით. პირიქით, დაცვის ღონისძიებანი ისეთი საშუალებანია, რომლებიც, კანონის აზრით, მიმართულია იმაზე, რომ საზოგადოება დაიცვას საშიშროებისაგან, გაუსწორებელი უვნე-

დასახ. ნაშრომი, 191.

² იქვე, 191.

ბელყოს, ხოლო გასწორების უნარიანი გამოასწოროს და აღ-
ზარდოს¹.

განსხვავების ამ ნიშნის მიხედვით ზაუერი განსაზღვრავს ცალ-
კეულ ღონისძიებებს. სასჯელის სახეები, მისი აზრით, შემდეგია:

1. სიკვდილით დასჯა, თავისუფლების აღკვეთა, უფლებათა ჩა-
მორთმევა და ქონებრივი სასჯელები: ჯარიმა, კონფისკაცია იმ საგნე-
ბისა, რომლებიც დამნაშავეს (არა მესამე პირს) ეკუთვნის, ქრთამის
სახით მიღებული ფულის ჩამორთმევა. ამათ ემატება იძულებითი
სამუშაო გადაუხდელი ჯარიმის მაგიერ. ყველა აღნიშნულმა ღონის-
ძიებამ, თავისი შინაარსით, პირველ რიგში უნდა მიაყენოს დამნაშა-
ვეს წვალება, მიუზღოს მას სამაგიერო, გამოისყიდოს მისი ბრალი².

2. დაცვის ღონისძიებანი ამ ავტორის აზრით შემდეგია:

ა) ჩამორთმევა იმ საგნებისა, რომლებიც დამნაშავეს არ ეკუთვ-
ნის, აგრეთვე საგნების მოსპობა (გაუყვარვისება — Unbrauchbar-
machung). გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 41 მიხედვით.
ეს ღონისძიებანი აუცილებლად არ მიიმართებიან დამნაშავეს წი-
ნააღმდეგ, მაშასადამე, მათ მიზანს არ შეადგენს სამაგიეროს მიზნვა
და ბრალის გამოსყიდვა.

ბ) საპოლიციო ზედამხედველობა, სახელმწიფოდან უცხოელთა
გაძევება. თვითონ ზაუერი ფიქრობს, რომ ეს ღონისძიებანი ზშირად
დამნაშავეში იწვევენ მძიმე განცდებს, ისინი მას აყენებენ წვალებას,
მაგრამ მათ იგი მაინც არ თვლის სასჯელად. რა თქმა უნდა, აქ აშკარა
წინააღმდეგობაა.

გ) აღზრდის და გამოსწორების დაწესებულებანი ახალგაზრდე-
ბისათვის; აქ, ზაუერის სიტყვით, განსაკუთრებული სიცნადით მო-
ჩანს პრევენცია.

დ) სამუშაო სახლი გარყვნილებისა და უსაქმურობის წინააღმდეგ.
შეურაცხად ან შემცირებულად შერაცხად საერთო საშიშ პირთა
მოთავსება სათანადო დაწესებულებებში. ადგილსამყოფელის შეზ-
ღუდვა საშიშ პირთა მიმართ. დამატებით პატიმრობა პროფესიონალ-
და ჩვევით დამნაშავეთათვის.

ე) დაბოლოს, ზაუერი ასახელებს ისეთ ღონისძიებას, როგორი-
ცაა მოწმის ან ექსპერტის სახით ფიცის ქვეშ გამოსვლის უფლების
ჩამორთმევა (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 161)³.

¹ დასახ. ნაშრომი, 193.

² იქვე, 193.

³ იქვე, 195.

საინტერესოა, რომ დაცვის ღონისძიებათა მოცულობა, მათი ცალკეული სახეები სხვადასხვა ავტორთა მიხედვით ხან ფართოვდება, ხან კი ვიწროვდება; ამავე დროს ის, რაც ერთ ავტორს მიაჩნია სასჯელად, მეორე ავტორის თვალსაზრისით დაცვის ღონისძიებას წარმოადგენს. ამგვარად, ამ ძირითად საკითხში სუბიექტურ შეხედულებას ფართო გასაქანი ეძლევა. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ორი ინსტიტუტი ზოგჯერ ერთმანეთს ემთხვევა.

პ რ ე ვ ე ნ ც ი ო ნ ი ს ტ ე ბ ი, ზაუერის განმარტებით, მეტ ყურადღებას აქცევენ პრაქტიკულ შედეგს, ხოლო სამაგიეროს მიზლის თეორეტიკოსებს უფრო აინტერესებს იდეალური მიზანი სამართლიანობის განმტკიცებისა. პირველთა ინტერესი უფრო რეალისტური (უტილიტარული) ხასიათისაა, უკანასკნელთა—უფრო იდეალისტური. პრევენცია ემყარება სამართლის დაცვის იდეას, სასჯელი—კონკრეტული სამართლიანობის ცნებას. პირველი მოითხოვს უფრო სოციალურს, პედაგოგიურს და მედიცინურ ინტერესს, ხოლო მეორე—ეთიკურ, იურიდიულ, კულტურულ—ფილოსოფიურ და რელიგიურს. ეს განსხვავება იმავე დროს ამტკიცებს, რომ ორივე ღონისძიება გამართლებულია, ორივე საჭიროა, ორივე ერთმანეთს ავსებს. მთლიანი მართლმსაჯულება, მთლიანი კულტურა არ იქნებოდა, რომ ვალიაროთ ერთი ღონისძიების ღირებულება და უარი ვთქვათ მეორეზე¹. ძველი კლასიკოსების ნაკლოვანება მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი ივიწყებდნენ პრაქტიკულ საჭიროებას, უკიდურესი ახალი მიმართულების ნაკლი კი არის ის, რომ ის უგულებელყოფდა სამართლიანობას².

ზღვარის მოხსნა სასჯელსა და პრევენციას შორის შეუძლებელია. თორემ საგიყეთი და აღმზრდელიობითი დაწესებულება სამარცხვინო იქნებოდა, და სასჯელი გამოიწვევდა მეტ თანაგრძნობას და შებრალებას, ვიდრე ეს სამართლიანია³.

ზაუერს მოჰყავს კ რ ე პ ე ლ ი ნ ი ს ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ი მ ის შესახებ, რომ სასჯელი თანამედროვე აზრით უქმდება იმ მომენტში, როცა იგი წმინდა დაცვის ღონისძიებად იქცევა; კრეპელინი სწორედ ამაში ხედავს ახალ შეხედულებათა უდიდეს მონაპოვარს, ვინაიდან სამაგიეროს მიზლის იდეა არ ეთანხმება ზნეობრივ შეხედულებას. იგი განვითარდა გულუბრყვილო შურისძიების გრძნობიდან და წარმოადგენს უცნაურ გადმონაშთს იმ ხანაში, რომელიც დაჟინებით გვასწავლის,

¹ დასახ. ნაშრომი, 196.

² იქვე, 196.

³ იქვე, 196.

რომ „ყველაფრის გაგება ყველაფრის პატიებას ნიშნავს“¹. ცხადია, რომ კრეპელინის აზრი ზაუერს მიუღებლად მიაჩნია.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ორივე მოწინააღმდეგე შეხედულება თავის გასამართლებლად მიმართავს ზნეობრივ გრძნობას. ზაუერი ამტკიცებს, რომ სამაგიეროს მიზლვას მოითხოვს ზნეობრივი გრძნობა, კრეპელინი კი, თავის მხრივ, იმავე ზნეობის სახელით უარჰყოფს სამაგიეროს მიზლის პრინციპს.

ზაუერის აზრით, სასჯელსა და პრევენციას შორის უღრმესი წინააღმდეგობაა. პრევენციას აქვს მხოლოდ გენეტიკური, ისტორიული, ფსიქოლოგიური საფუძველი, ხოლო ეს უკანასკნელი ცვალებადია დროთა მსვლელობაში და დამოკიდებულია სხვადასხვა ქვეყნების პირობებზე². გენეტიკურ-ისტორიულ-ფსიქოლოგიურ მეთოდს არ შეუძლია იმსჯელოს საგნის ღირებულებასა და შინაარსზე, ეს კი შეადგენს ყოველი ნამდვილი მეცნიერების მიზანს. პრევენციის შედეგია პრაგმატიზმი, „ეთიკური უტილიზმი“ („ethische Utilismus“), „ლოგიკური ფსიქოლოგიზმი“: მისი შემეცნების საფუძველი პრაქტიკული საჭიროებაა, მისი ღირებულება სარგებლიანობაა, მისი შინაარსი — ფაქტიური მიზნები და მისწრაფებანია. პრევენცია დიდად შორდება ნორმატიულ სოციოლოგიიდან და ეთიკიდან წარმოშობილ და სისხლის სამართალში გაბატონებულ იდეას და განიცდის მუდამ ცვალებად მიმდინარეობებს³.

მაგრამ ამავე დროს ზაუერი არ უარჰყოფს პრევენციის მნიშვნელობას. მხოლოდ მისი სარგებლობა სხვა მიმართულებით უნდა ვეძიოთო—ამბობს იგი. არაა საჭირო ლაპარაკი იმ სასარგებლო პრაქტიკულ შედეგებზე, რომლებიც მოაქვს მთელი კაცობრიობისათვის მიზანშეცნობილ ბრძოლას დანაშაულის წინააღმდეგ. არც იმაზეა საჭირო ლაპარაკი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პრევენციის ცნება სამაგიეროს მიზლის მართლზომიერების განსაზღვრის, მისი გასწორების და შევსების თვალსაზრისით⁴.

პრევენციის მეშვეობით მართლწინააღმდეგობის და ბრალის ცნებები ღრმავდება და ფართოვდება, „მატერიალურ“ ორიენტაციას ღებულობს. კრიმინალური პოლიტიკა და ფილოსოფია ერთად მოქმედებენ იმისათვის, რომ შეძლებისამებრ განახორციელონ სამართლიანობის მაღალი მიზანი. აქამდე დოგმატიკას, რომელიც ფორმალიზმი

¹ დასახ. ნაშრომი, 197.

² იქვე, 198.

³ იქვე, 198.

⁴ იქვე, 199.

იყო გაქვავებული, არ შეეძლო ამის გაკეთება. მაგრამ ამჟამად მის დარგში უკვე ორივე მხრით შეიჭრნენ და მისი ორი ძირითადი ცნება — მართლწინააღმდეგობა და ბრალი — ახალი სულისკვეთებით არის გამსჭვალული¹.

ასეთია ზაუერის შეხედულება სისხლის სამართლის მთავარ ცნებებზე — სასჯელსა და დაცვის ღონისძიებაზე. უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს ამ ავტორის მტკიცება, რომ ამ ინსტიტუტებს შორის ღრმა წინააღმდეგობაა და ამავე დროს ისინი ერთანხმება ერთმანეთს. უკვე აღნიშნული იყო, თუ რა გზით აღწევს ზაუერი ამ შეთანხმებას, კომპრომისს. ეს კომპრომისი შესაძლო ხდება იმის წყალობით, რომ ზაუერი ასხვავებს აბსტრაქტულ და კონკრეტულ თვალსაზრისს. აბსტრაქტული თვალსაზრისით სასჯელი და დაცვის ღონისძიებას შორის გარდუვალი უფსკრულია: სასჯელი გამოხატავს სამართლიან სამაგიეროს მიზლვას, დასჯის გზით დამნაშავეს მიეყენება წვალება და სწარმოებს ბრალის გამოსყიდვას, ხოლო დაცვის ღონისძიებას მიზნად დასახული აქვს საშიშროების თავიდან აცილება. დაცვის ღონისძიება ემსახურება პრევენციას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იგი უმთავრესად ახორციელებს სპეციალურ პრევენციას.

ასეთია აბსტრაქტული თვალსაზრისის ლოგიკური შედეგი. მეორეს მხრივ, კონკრეტული მსჯელობა სულ სხვა შედეგს იძლევა. ამ უკანასკნელი თვალსაზრისით, ზაუერის მიხედვით, შესაძლო ხდება აღნიშნული ძირითადი ცნებების შეთანხმება.

როგორც ვხედავთ, შერიგების მიზნით მეტად მარტივი ლოგიკური ხერხია გამოყენებული.

4

ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ ნეო-კლასიკოს ზაუერის კონცეფცია. საბოლოოდ, ზაუერს დაყენებულ საქთხში შემარიგებელი პოზიცია უკავია.

თავისებურ თვალსაზრისზე დგას გერმანელი იურისტი მ. მაიერი, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. მაიერიც, ისე როგორც ზაუერი, იდეალისტურ მსოფლმხედველობას იზიარებს. სასჯელი მისთვის სამაგიეროს მიზლვაა, რომელიც სამართლიანობის მოთხოვნას აკმაყოფილებს. მაგრამ ამავე დროს მაიერი აღიარებს მიზანშეწონილების პრინციპსაც. როგორ აქვს მაიერს წარმოდგენილი ურთიერთობა სამართლიანობასა და მიზანშეწონილებას შორის?

¹ დასახ. ნაშრომი, 199.

მაიერის სიტყვით, ეს ორი ცნება ისეთ ურთიერთობაშია, როგორც **ორი განშლადი ხაზი** („divergierende Linien“), რაც უფრო შორს მივყავებით ერთს, მით უფრო ვშორდებით მეორეს. აქედან მაიერს გამოჰყავს დასკვნა: თუ მართლწესრიგი კმაყოფილდება მხოლოდ რამდენადმე მიზანშეწონილი სასჯელებით, იგი საესებით არ კარგავს კავშირს სამართლიანობის მოთხოვნასთან. ამიტომ კანონმდებლობის და სასჯელის აღსრულების პრაქტიკა დამოკიდებულია იმ მოსაზრებაზე, თუ რამდენად უნდა იქნას განხორციელებული სასჯელის მიზანი¹.

აქ მაიერი სახავს ოთხ სხვადასხვა შესაძლებლობას.

ა) უკიდურესი სამართლიანობა, რომელიც სრულიად უყურადღებოდ სტოვებს მიზანშეწონილებას. ესაა კანტის ფორმალური თეორია.

ბ) უკიდურესი მიზანშეწონილება, რომელიც სრულიად უგულვებელყოფს სამართლიანობას.

გ) ორივე აღნიშნული უკიდურესობის უარყოფა. ამ ფართო საშუალო გზით მიდიან კულტურული პერიოდის ყველა სახელმწიფოთა კანონმდებლობანი. რასაკვირველია, აქ აღგილი აქვს კომპრომისს, მაგრამ, მაიერის აზრით, ეს არაა კომპრომისი თეორიასა და პრაქტიკას ან, როგორც შემაერთებელი თეორიები ფიქრობენ, აბსოლუტურ და შეფარდებით თეორიებს შორის, არამედ კომპრომისი მხოლოდ იზდენად, რამდენადაც დანაშაულობასთან ბრძოლა უარს ამბობს მის განკარგულებაში მყოფ საშუალებათა იმ ნაწილზე, რომელიც გამართლებული არაა².

დ) სამართლიანი სასჯელის შევსება მიზანშეწონილი ღონისძიებებით, რომელთაც სასჯელის ხასიათი არა აქვთ (დაცვის ღონისძიებანი). ამ პროგრამით განმანაწილებელი თეორია კრიმინალური პოლიტიკის დარგში გატარებული იქნება უკანასკნელ შედეგებამდე, ყოველ იდეას მიკუთვნებული აქვს მისი ადექვატური ამოცანა³. მაიერი თავის თეორიას დისტრიბუციულს, ე. ი. განმანაწილებელს უწოდებს, იგი უარჰყოფს ეგრეთწოდებულ შემაერთებელ თეორიებს, მაგრამ რომ დავუკვირდეთ მის შეხედულებას, სინამდვილეში ისიც შემაერთებელია.

მიზანშეწონილი ღონისძიებისათვის, რომელთაც არა აქვთ სასჯელის ხასიათი, შემოღებულია სახელწოდება: დაცვის ღონისძიება-

¹ M. E. Mayer, Lehrbuch, 19:3, 439.

² იქვე, 441.

³ იქვე, 442.

ნი. მოქმედ სამართალში ისინი გამოყენებულია გაუბედავად, ხოლო პროექტებში — მიზანშეცნობილად და ფართოდ¹.

მაიერი ს მიხედვით, სასჯელი და დაცვის ღონისძიებანი თანასწორია, რამდენადაც მხედველობაში ვიღებთ მხოლოდ იმ მოქმედებას, რომელსაც ისინი ახდენენ სუბიექტზე, ვინაიდან ორივე შემთხვევაში სასამართლოს განაჩენი დასჯად ყოფაქცევას უკავშირებს სხვადასხვა უფლებრივ სიკეთეთა დაკარგვას, განსაკუთრებით კი — თავისუფლების აღკვეთას. პირიქით, ორივე სამართლებრივი შედეგი ღებულობს არსებითად განსხვავებულ სახეს, როცა მათ იკვლევენ ქმედობის შედეგნილობასთან კავშირში: სასჯელის მეშვეობით ქმედობა დაიგმომა, ხოლო დაცვის ღონისძიება „ეთიკურად უფერულია“ („ethisch farblos“). აქ მაიერი იმეორებს ექსნერის სიტყვებს. მაგრამ ნემიროვსკი სწორად შენიშნავს, რომ არის დაცვის ისეთი ღონისძიება, რომელიც ჩირქს სცხებს იმ პირებს, რომელთა წინააღმდეგაც იგი იყო გამოყენებული (მაგალითად, განსაკუთრებული დაწესებულებანი ჩვევით რეციდივისტებისათვის და სამუშაო სახლები).

სასჯელის სიავე, მაიერის სიტყვით, არის სამაგიეროს მიზნად დასჯადი ქმედობისათვის და იგი ამ უკანასკნელში ნახულობს თავის საკმაო საფუძველს, ხოლო დაცვის ღონისძიებისათვის ქმედობა არის მარტოდენ საბაბი, მისი საფუძველია პიროვნების მდგომარეობა. „მამასადამე, დასჯადი ქმედობა როგორც დაცვის ღონისძიების წინაპირობა შენაცვლებადია (ersetzbar) — დასასჯელი ახალგაზრდა ხედება აღმზრდელობით დაწესებულებაში უპატრონოს — მაგრამ როგორც სასჯელის წინაპირობა იგი შეუცვლელია“². ამიტომ დაცვის ღონისძიება არაა შეგუებული არც ექსტენსიურად და არც ინტენსიურად დასჯად ქმედობასთან: საერთოდ საშიშ სულით ავადმყოფს სპეციალურ დაწესებულებაში უფრო მეტი ხნით მოათავსებენ ხოლმე და უფრო ღმობიერად ეპყრობიან, ვიდრე ეს მის დანაშაულს შეეფერება³; პროპორცია არსებობს მხოლოდ საშუალებასა და მის მიზანს შორის. „სასჯელის საშუალება თავისი იდეით არის სამართლიანი (gerecht), ხოლო დაცვის ღონისძიება თავის იდეით მიზანშეწონილი სამართლებრივი შედეგიაო“ („...zweckmäßige Rechtsfolge“) — წერს მაიერი⁴.

¹ მაიერი წერდა მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში.

² M. E. Mauer, Lehrbuch, 1923, 444.

³ იქვე, 444.

⁴ იქვე, 444.

ამგვარად, მაიერი სთიშავს ერთმანეთისაგან ამ ორ ინსტიტუტს; მისი აზრით, წინააღმდეგობა მათ შორის საკმაოდ მკვეთრია. მაგრამ ამავე დროს იგი ამტკიცებს, რომ სასჯელს შეუძლია იქონიოს დაცვის შედეგები, მას შეუძლია იმოქმედოს გამასწორებელი ხაზით; სინამდვილეში სასჯელი მუდამ მოქმედებდა ამ სახითო — წერს მაიერი. მაგრამ, — დასძენს იგი, — დაცვის ღონისძიებამ არ უნდა იკისროს პენალური (დასჯითი) ფუნქციები, თუნდაც რომ მას ეს შეეძლოსო. რატომ? იმიტომ, რომ თავისი ბუნების და ისტორიის მიხედვით იგი სასჯელთა სისტემის შევსებას, დამატებას (Ergänzung) წარმოადგენსო — ამბობს მაიერი¹.

როგორც თავის ადგილას იყო განმარტებული, მაიერი ასხვავებს სამ პრობლემას: იურიდიულს, კრიმინალპოლიტიკურსა და სამართლის ფილოსოფიისას. მესამე უკავშირდება საკითხს: სახელმწიფო არის თუ არა უფლებამოსილი დასაჯოს მოქალაქენი? მაშასადამე, აქ წამოყენებულია საკითხი სასჯელის უფლების დასაბუთების შესახებ, რომელსაც ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ექცევა დიდი ყურადღება და რომლის გადაწყვეტის დარგში არსებობს მრავალი სხვადასხვა თეორიები. სასჯელის გამართლება, მაიერის შეხედულებით, შესაძლოა მხოლოდ სამართლიანობის საფუძველზე, ხოლო სამართლიანია ის სასჯელები, რომლებიც შეესაბამება ნაციონალური კულტურის მდგომარეობას². მაგრამ ცხადია, რომ „ნაციონალური კულტურის“ ცნება სიზუსტით არ ხასიათდება, თუმცა ავტორი ამით ცდილობს დაუახლოოს სამართალი სოციალურ სინამდვილეს.

5

საფრანგეთის იურიდიულ ლიტერატურიდან ჩვენ მოვიყვანთ და დავახასიათებთ თანამედროვე კრიმინალისტიკის დონდოე დე ვაბრის, შეხედულებას, რომელიც გამოირჩევა იმით, რომ ცდილობს გამოარკვიოს დაცვის ღონისძიებათა ბუნება და მათი დამოკიდებულება სასჯელთან.

დონდოე დე ვაბრი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხში დგას აგნოსტიციზმის პოზიციაზე. მისი აზრით, რო-

¹ დასახ. ნაშრომი, 444.

² იქვე, 435. „კულტურის ნორმების“ შესახებ, გარდა „Lehrbuch“-ისა იხ. მაიერის „Rechtsnormen und Kulturnormen“, 1933.

გორც დეტერმინისტები, ისე ნებისყოფის თავისუფლების დამცველები გამოდიან აპრიორული, მეტაფიზიკური თვალსაზრისადან და მოკლებული არიან მეცნიერულ საფუძველს¹.

სასჯელს იგი განსაზღვრავს, როგორც ისეთ ღონისძიებას, რომელიც სამართლის დამრღვევს აყენებს წვალებას (*souffrance*). წვალების ცნება სასჯელის იდეასთან განუყრელად არის დაკავშირებული, ამ ელემენტის მიხედვით სასჯელი გამოიყოფა სხვა იძულებით ღონისძიებებისაგან — წერს ეს ავტორი².

სასჯელი ამით განსხვავდება საპოლიციო ღონისძიებებისაგან, რომლებსაც იყენებენ დანაშაულის ჩადენამდე, მისი აცდენის მიზნით.

სასჯელი აგრეთვე უნდა იქნას განსხვავებული სამოქალაქო ზარალის ანაზღაურებისაგან (*réparation civile*)³.

სასჯელისაგან ღონიერ დე ვაბრი გარკვევით გამოყოფს სოციალური დაცვის ღონისძიებებს — *moyens de défense sociale (mesures de sûreté)*. გამოცდილებამ გვიჩვენა, — წერს იგი, — რომ არის ბოროტმოქმედთა განსაზღვრული კატეგორიები — განსაკუთრებით ფსიქიკურად დეფექტიურები და ჩვევითი დამნაშავენი — რომლებიც სასჯელის დამაშინებელ გავლენას არ ემორჩილებიან; ამ დამნაშავეთა მიმართ არაა საკმარისი არც ქონებრივი სასჯელები და არც თავისუფლების აღკვეთა. ტრადიციული სკოლის მიერ წამოყენებულ მოთხოვნას, რომ თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა უნდა იყოს პროპორციული დანაშაულის სიმძიმისა, შედეგად აქვს ის, რომ ეს სასჯელი მეტად მოკლევადიანია იმისათვის, რომ გამოასწოროს, ან დააშინოს დამნაშავე.

ამიტომ საჭირო ხდება დამნაშავეთა აღნიშნულ კატეგორიების მიმართ ახალი რეპრესიული ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც მიმართულია გარკვეული მიზნის განხორციელებაზე: საზოგადოების დაცვაზე მავნე ელემენტებისაგან. ამ მიზნის განხორციელება შესაძლოა ან იმათი გამოსწორებით, რომელთაც აქვთ სათანადო უნარი, ანდა სხვების ელიმინაციის გზით.

დაცვის ღონისძიებათა სარგებლობის შესახებ, ღონიერ დე ვაბრის სიტყვით, სხვადასხვა სკოლებს შორის დავა არ არსებობს, მაგ-

¹ Donnedieu de Vabres, *Traité élémentaire de droit criminel et de législation pénale comparée*, 1943, p. 130.

² იქვე, 441.

³ იქვე, 241.

ჩამ აზრთა სხვაობაა იმის შესახებ, თუ რა ურთიერთდამოკიდებულებაა სასჯელსა და დაცვის ღონისძიებებს შორის.

პოზიტივისტების თვალსაზრისით, დაცვის ღონისძიებამ უნდა შეცვალოს სასჯელი. დაცვის ღონისძიებამ უნდა დაიკავოს სასჯელის ადგილი („la mesure de sûreté est destinée à remplacer la peine“), ვინაიდან იგი შეესაბამება სისხლის სამართლის განვითარების უფრო მაღალ საფეხურს. სასჯელი, რომელიც ნებისყოფის თავისუფლებას, მორალური სანქციის იდეას უკავშირდება და მოითხოვს ბრალთან პროპორციულობას, უკვე წარსულს ეკუთვნის. მომავალი ეკუთვნის სოციალური დაცვის ღონისძიებებს, რომელთაც აქვთ წმინდა მეცნიერული და უტილიტარული ხასიათი¹.

მაგრამ ნეო-კლასიკური სკოლა², რომელიც ხელმძღვანელობს მორალური სანქციის იდეით, ამ შეხედულებას არ იზიარებს. მისთვის სასჯელი, თავისი ტრადიციული ნიშნებით, საერთო სამართლის რეპრესიულ საშუალებას წარმოადგენს. დაცვის ღონისძიების გამოყენება გამართლებულია მხოლოდ გამონაკლისის სახით, როცა საქმე ეხება დამნაშავეთა განსაზღვრულ კატეგორიებს; მათ მიმართაც კი იგი არ გამოიციხავს სასჯელს.

როგორც ჩანს, ღონდღე დე ვაბრი ემხრობა უკანასკნელ შეხედულებას. სასჯელისა და დაცვის ღონისძიების თანაარსებობა (coexistence), მისი სიტყვით, მიღებულია „სისხლის სამართლის საერთაშორისო კავშირით“ („l'Union internationale de droit pénal“) და შეთვისებულია კანონმდებლობათა დიდი უმრავლესობით.

უნიტარული სისტემა, რომელიც ცნობს მხოლოდ დაცვის ღონისძიებას, აღიარებულია სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ სახელმწიფოში და საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსებით.

განსაკუთრებით საინტერესოა, თუ როგორ აქვს წარმოდგენილი ამ ავტორს სასჯელისა და დაცვის ღონისძიების განსხვავება. მისი აზრით, ამ ორ ინსტიტუტს შორის შემდეგი განსხვავებაა:

1. სასჯელი წარმოადგენს მორალური კანონის დარღვევის

¹ დასახ. ნაშრომი, 355.

² ღონდღე დე ვაბრს ნეო-კლასიკური სკოლა ესმის როგორც კლასიკური, მაშასადამე, არა ისე, როგორც ეს გაგებულია გერმანულ ლიტერატურაში.

შედგეს და იგი აყენებს წვალებას, სიაცეს დამნაშავეს. დაცვის ღონისძიებას კი ასეთი მიზანი არა აქვს (-la mesure de sûreté n'a pas de but afflictif-).

2. სასჯელი თავისი სახეებით, სიმკაცრით არსებითად პრობორციულია დანაშაულის ობიექტური სიმძიმისა. იგი მიმართულია წარსულისაკენ. რაც შეეხება დაცვის ღონისძიებას, აქ სამართლის დარღვევა განხილულია მხოლოდ როგორც სიმპტომი საშინაო მდგომარეობისა („un symptôme de l'état dangereux“), რომელიც ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს და განსაზღვრავს სოციალურ რეაქციას. იგი მიმართულია მომავლისაკენ.

3. სასჯელის გამოყენებას უკავშირდება გაკიცხვა (blâme). ეს ელემენტი უტყობა დაცვის ღონისძიებისათვის, რომლის მიზანია მხოლოდ სოციალური დაცვა, რაც ხორციელდება დამნაშავეს ან გასწორების, ან მისი მუდმივი ან დროებითი ელიმინაციის გზით¹.

ამ ძირითად განსხვავებას უკავშირდება სათანადო შედეგები ზოგიერთი წესების გამოყენების შესახებ, როგორცაა ხანდაზმულობა, ერთობლიობა, პატიება, ამნისტია, ახალი კანონების უკუქცევითი ძალის უარყოფა და სხვ.

ღონიერ დე ვაბრი მოქმედ ფრანგულ სამართალში ნახულობს დაცვის ღონისძიებებს და ასეთად მას მიაჩნია რელეგაცია (relégation) და ბინადრობის აკრძალვა (interdiction de séjour), რომლებსაც, მისი აზრით, არ მიუღიათ მათი ბუნების შესაბამისი კვალიფიკაცია².

სასჯელს და დაცვის ღონისძიებას, განმასხვავებელთან ერთად, აქვთ საერთო ნიშნებიც.

1. სასჯელი და დაცვის ღონისძიებანი ემსგავსება ერთმანეთს მათი ობიექტით. ისინი ერთდამავე ინტერესებს ეხებიან. საერთოდ ორივე აღკვეთს ან ზღუდავს თავისუფლებას. გამოწვევის სახით ზოგჯერ ორივეს აქვს ქონებრივი ხასიათი.

2. დაცვის ღონისძიებანი ისე როგორც სასჯელი, გულისხმობენ კანონის დარღვევას. ამ ნიშნით დაცვის ღონისძიება გამოირჩევა საპოლიციო ღონისძიებისაგან, რომლის მიზანია დანაშაულის ჩადენის აცდენა. დებულება nullum crimen, nulla poena sine lege გამოიყენება როგორც სასჯელის, ისე დაცვის ღონისძიების

¹ დასახ. ნაშრომი, 356.

² იქვე, 356.

მიმართ. „საშოში მდგომარეობის“ ცნების უკიდურესმა მომხრეებმა ვერ შეძლეს საწინააღმდეგო შეხედულების გატარება მოქმედ სამართალში.

3. დაცვის ღონისძიებანი, ისე როგორც სასჯელები, უნდა იქნას დანიშნული ჩვეულებრივი სასამართლო პროცედურის შედეგად, რომლის მსვლელობაში ბრალდებულმა უნდა ისარგებლოს დაცვის ყველა საშუალებით¹.

ღონდით დე ვაბრი ასხვავებს დაცვის ღონისძიებათა ორ მთავარ კატეგორიას: არასრულწლოვან და სრულწლოვან პირების მიმართ.

6

„სოციალური დაცვის ღონისძიების“ ცნების შინაარსის და მისი განმასხვავებელი ნიშნების გამოკვლევას სპეციალური თავი მიუძღვნა ე. ი. ი. ლენკომა თავის ცნობილ მონოგრაფიაში სასჯელის შესახებ.

ლიტერატურაში არსებული შეხედულებანი სოციალური დაცვის ღონისძიების ბუნების შესახებ, ამ ავტორის აზრით, შეიძლება დაყვანილ იქნას ორზე — ესაა ან უარყოფა პრინციპული განსხვავებისა სასჯელსა და სოციალური დაცვის ღონისძიებას შორის ან მისი აღიარება².

პირველ შეხედულებას იზიარებენ უმთავრესად ახალი მიმართულების მომხრეები, მათთვის სოციალური დაცვის ღონისძიება წარმოადგენს სასჯელს, თვით დაპირისპირება ამ ორი ინსტიტუტისა დაცვის თეორიისათვის შეუძლებელია. მაგრამ ამ შეხედულებას იზიარებენ სამაგიეროს მიზღვის დამცველებიც, მათი აზრით სოციალური დაცვის ღონისძიებანი შეიცავენ სასჯელის ყველა არსებით ნიშანს მისი თანამედროვე სახით. პირველ მიმართულებას წარმოადგენს ლისტე, ხოლო მეორეს — მერკელი³.

ლისტი თავის შრომებში არაერთხელ ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მთელი დავა ამ საკითხზე სიტყვებზე დავაა. ლისტე ამტკიცებდა, რომ აღნიშნული ცნებების მკვეთრი გამიჯვნა შინაარსის მხრივ შეუძლებელია, რომ სასჯელს შეუძლია შეითვისოს გასწორების იდეა და იმავე დროს იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას დაცვის მიზნით. „დამცველი სასჯელის“ ცნება არ წარმოადგენს ლოგიკურ წინააღმდეგობას; დაცვის ღონისძიება მხოლოდ მაშინ არაა უკვე სასჯელი, როცა არ უკავშირდება ობიექტურად დასჯად ყოფაქცევას;

¹ დასახ. ნაშრომი, 357. ამ წესიდან ავტორი ნახულობს ზოგიერთ გამონაკლისს.

² Наказание, 263.

³ იქვე, 263.

მაგრამ სწორედ ეს ამტკიცებს, რომ იგი არ შეიძლება განსხვავებულ იქნას სასჯელისაგან¹.

ყივილენკო ასახელებს კიდევ მერკელს, ფრანკს და აგრეთვე ზოგიერთ რუს კრიმინალისტებს.

მერკელი შესაძლოდ ცნობს სასჯელის და დაცვის ღონისძიების გათანაბრებას, მას მხედველობაში აქვს რეციდივისტების „დამცველი პატიმრობა“ (предохранительное заключение — Verwahrung შევიცარიის პროექტის მიხედვით, ვინაიდან ეს ღონისძიება, როგორც სასჯელი, გულისხმობს დელიქტს, მასში ნახულობს თავის გამართლებას და გამოიყენება სასამართლო განაჩენის ძალით². პაფტერი ხედავს „სამართლიანი სამაგიეროს მიზლის“ გამოვლენას იმაში, რომ, მაგალითად, მართლწესრიგის დამრღვევი მთვრალი პიროვნება მოთავსდება სამკურნალო დაწესებულებაში მკაცრი რეჟიმით და ამბობს, რომ ახალი დასჯითი ღონისძიებანი უნდა იქნას მიჩნეული სასჯელად, „როგორც დამნაშავეს პირად უფლებრივ სიკეთეთა სფეროში წვალების მიმყენებელი შექრა“³.

ფრანკი, იხილავს რა საერთო საშიშ დამნაშავეთა უვნებელყოფის მეთოდებს, შენიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკობენ სასჯელზე თუ დაცვის ღონისძიებაზე, ამას არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა. გერმანული დებულების პროექტის ავტორებიც გამოთქვამდნენ აზრს, რომ პრაქტიკულად არ არსებობს განსხვავება სასჯელსა და „დამცველ პატიმრობას“ შორის, ორივე შემთხვევაში მსჯავრდადებული მოკლებულია თავისუფლებას და პატიმრობას განიცდის როგორც სასჯელს⁴. იმავე თვალსაზრისზე დგანან ფრანგი კრიმინალისტები, რომლებიც, მაგალითად, რელეგაციას აკუთვნებენ სასჯელებს, თუმცა იგი გამოიყენება როგორც დამოუკიდებელი ღონისძიება სასჯელის მოხდის შემდეგ⁵. იმავე შეხედულებას მომხრეები ყავდა რუსეთში — შირიაევი, ისაევი და სხვ. ლიუბლინსკი სოციალური დაცვის ღონისძიებებს თვლიდა სასჯელის ნაირსახეობად.

იძლევა რა შეხედულებათა შეფასებას, ყივილენკო აღნიშნავს მათ ძირითად ნაკლს: აქ ის წმინდა გარეგანი გარემოება, რომ სასჯელისა და დაცვის ღონისძიების გამოყენების დროს მიმართავენ შემოქმედების ერთგვაროვან საშუალებებს, აღიარებულია ამ ინსტი-

¹ Наказание, 263.

² იქვე, 270.

³ იქვე, 270.

⁴ იქვე, 270.

⁵ იქვე, 270.

ტუტების იგივეობის საფუძვლად. თავისუფლების აღკვეთა, რომელსაც მიმართავენ როგორც სასჯელის, ისე დაცვის ღონისძიების შემთხვევაში, ამ თვალსაზრისით საკმაო საფუძველია ამ ინსტიტუტების გასაიგივებლად. მაგრამ თავისუფლების აღკვეთას, ყიყილენკოს სიტყვით, შეუძლია შეასრულოს სხვადასხვა დანიშნულება, და არა ყველგან, სადაც თავისუფლების აღკვეთაა, მოცემულია სასჯელიც; მოვიგონოთ წინასწარი პატიმრობა, თავისი მნიშვნელობით ესოდენ განსხვავებული სასჯელისაგან, მაგრამ გამოყენებული გარეხულად იმავე ფორმით, რაც სასჯელი¹.

ამგვარად, ამ ორი ინსტიტუტის გარეგანმა მსგავსებამ გამოიწვია წარმოდგენა მათ იგივეობაზე.

ყიყილენკოს აზრით, როცა ვლადპარაკობთ სასჯელზე, ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ იმ დებულებიდან, რომ თანამედროვე სასჯელი გაგებულია როგორც სამაგეროს მიზღვა, რომელშიც გამოიხატება გარკვეული შეფასება დამნაშავეის მიერ ჩადენილი სიავისა. მაგრამ თუნდაც რომ ვაღიაროთ, რომ თანამედროვე სასჯელი ითვისებს დაცვის ღონისძიების ნიშნებს, მხოლოდ ეს ჯერ კიდევ არ იძლევა საბაბს გავაიგივოთ სასჯელი და დაცვის ღონისძიება, რადგან საზოგადოების უზრუნველყოფის მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნას სხვადასხვა საშუალებებით².

ზოგიერთი ამტკიცებს, რომ დაცვის ღონისძიებასა და სასჯელს შორის რაოდენობითი განსხვავებაა. ყიყილენკო არ ეთანხმება ამ აზრს, მისი სიტყვით, მათ შორის თვისობრივი განსხვავებაა, ვინაიდან სასჯელში მოცემულია დანაშაულებრივი ქმედობის, კერძოდ დამნაშავეის ბრალის შეფასება, ხოლო დაცვის ღონისძიებანი გამოწვეულია მიზანშეწონილების მოსაზრებით, იმ წარმოდგენით, რომ საჭიროა მოცემული პირის მხრივ ახალი დანაშაულის ჩადენის აცილება³.

ყიყილენკო არ ეთანხმება არც მერკელს, რომელიც დაცვის ღონისძიებაში ხედავს სასჯელის ნიშნებს, როგორც იგი ესმის თანამედროვე სამართალს. უპირველეს ყოვლისა, ამბობს ყიყილენკო, არ შეიძლება სასჯელის არსებით, მხოლოდ მის დამახასიათებელ ნიშნად ჩაითვალოს ის, რომ იგი წარმოადგენს სამართლის დარღვევის სამართლებრივ შედეგს: ეს ნიშანი ახასიათებს სხვა მრავალ ინსტი-

¹ Наказание, 273.

² იქვე, 275.

³ იქვე, 275.

ტუტს. გარდა ამისა, დაცვის ღონისძიებათა დასახასიათებლად არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ ეს ღონისძიებანი ინიშნება, ისე როგორც სასჯელი, სასამართლოს მიერ, რადგან არა ყველაფერი, რაც ინიშნება უკანასკნელის მიერ, წარმოადგენს სასჯელს. მეორეს მხრივ, თვით დამანაშავეს თვალსაზრისს არა აქვს მნიშვნელობა: თუ იგი თვლის ამა თუ იმ შევიწროებას სასჯელად, ეს კიდევ არ იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ თეორიამ იგი სასჯელად აღიაროს¹.

ჟიჟილენკო გადადის იმ მწერლების შეხედულებების დახასიათებასა და შეფასებაზე, რომლებიც ცნობენ დაცვის ღონისძიებათა დამოუკიდებელ ბუნებას შედარებით სასჯელთან.

დაცვის ღონისძიებათა და სასჯელის განსხვავების საფუძველები შეიძლება დაყვანილ იქნას შემდეგ მთავარ ჯგუფებზე: 1) განსხვავება მიზნის მიხედვით, 2) გარეგანი გამოხატულების მიხედვით, 3) გამოყენების საფუძველის მიხედვით, 4) მათი მასშტაბისა და 5) შინაარსის მიხედვით².

ჟიჟილენკო იხილავს თეორიებს ამ კლასიფიკაციის საფუძველზე. განსაზღვრული მიზანი, მისი სიტყვით, არ შეიძლება წამოყენებული იქნას ამა თუ იმ ინსტიტუტის არსის დასახასიათებლად, ვინაიდან მიზანი დევს მისი შინაარსის გარეთ. კერძოდ, დაცვის ღონისძიებისა და სასჯელის დაპირისპირება ზოგადი და სპეციალური პრევენციის დაპირისპირების აზრით არ იქნება სწორი იმიტომ, რომ ორივე შეიძლება ისახავდეს თავის მიზნად სპეციალურ პრევენციას, ხოლო, მეორეს მხრივ, საერთო პრევენცია შეადგენს ყოველი სამართლის დაცვის ღონისძიების ამოცანას. მაგრამ თუ საერთო პრევენცია გაგებულია სხვა მნიშვნელობით, სახელდობრ, როგორც სამაგიეროს მიზლვა, ამით ხაზგასმულია სავსებით სწორი აზრი იმის შესახებ, რომ სასჯელი ემყარება სამაგიეროს მიზლვას, ხოლო დაცვის ღონისძიებისათვის ეს ელემენტი უცხოა³.

ზოგიერთი, მაგალითად, შტოსი, განსხვავებას მიზნის მიხედვით ნახულობს იმაში, რომ სასჯელი მიზნად ისახავს დამანაშავესათვის წვალეების მიყენებას, იმ დროს როცა დაცვის ღონისძიებას ასეთი მიზანი არა აქვს. მაგრამ ჟიჟილენკოს აზრით, აქ ლაპარაკია არა დასახელებული ინსტიტუტის განსხვავებაზე მათი მიზნის მიხედვით, არამედ მათი არაერთნაირ გარეგან გამოხატულებაზე⁴.

¹ Наказание, 276.

² იქვე, 277.

³ იქვე, 280.

⁴ იქვე, 281.

მეორე განსხვავებას დაცვის ღონისძიებასა და სასჯელს შორის ხედავენ მათ გარეგან გამოსახვაში, სახელდობრ იმაში, რომ სასჯელი ხასიათდება, როგორც სიავე, რომელიც არ შეადგენს დაცვის ღონისძიების არსებით ელემენტს. ამ შეხედულებას გამოთქვამს, მაგალითად, ბირკმეიერი, რომელიც ამბობს, რომ სასჯელისათვის სიავე არის არსი, ხოლო დაცვის ღონისძიებისათვის იგი მხოლოდ შემთხვევითი მოქმედებაა. იმასვე ამტკიცებენ რედვიცი, ბელინგი და სხვ. ამ შეხედულებასაც ყიეილენკო უარყოფს იმ უკვე ზემოთ აღნიშნული მოსაზრებით, რომ სიავე ან წვალება არ შეიძლება მიღებულ იქნას სასჯელის დასახასიათებლად. თუ ჩვენ,—მსჯელობს იგი,— დავახასიათებთ სასჯელს, როგორც სიავეს, იმის გამო, რომ იგი წარმოადგენს შექრას პიროვნების უფლებრივ სიკეთეთა სფეროში, მაშინ დაცვის ღონისძიებაც უნდა მივიჩნიოთ სიავედ, რადგან იგი წარმოუდგენელია იძულების გარეშე. ამიტომ გასაგებია, როცა—როლანდი, სხვა კრიმინალისტებისაგან განსხვავებით, თვლის დაცვის ღონისძიებას სიავედ და მიუთითებს, რომ იგი წარმოადგენს არა სიავის გამოსყიდვას, არამედ ახალი სიავის შექმნას, რომელიც ხელუხლებლად სტოვებს წინანდელ სიავეს და ზრუნავს მარტოოდენ მომავალზე¹.

არიან მწერლები, რომლებიც განსხვავებას სასჯელსა და დაცვის ღონისძიებას შორის მათი გამოყენების არაერთნაირ საფუძველში ხედავენ. ჩვეულებრივ მიუთითებენ, რომ სასჯელის გამოყენების საფუძვლად მიჩნეულია დანაშაულებრივი ქმედობა, ხოლო დაცვის ღონისძიების—მოქმედი პირის საშიშროება. ეს აზრი ხშირად გამოითქმის სისხლის სამართლის ლიტერატურაში. მას იზიარებენ ბირკმეიერი, ბელინგი, კრიგსმანი, შტოსი და სხვ. ყიეილენკო ფიქრობს, რომ აქ სწორად არის აღნიშნული ამ ორი ინსტიტუტის არსებითი განსხვავება. სასჯელის გამოყენების საფუძველს ყოველთვის შეადგენს ქმედობა თავის თავად აღებული; ეს ქმედობა უნდა იქნას შეფასებული და ამის შესაბამისად ინიშნება სასჯელი. ამასთან ერთად ყურადღება ექცევა დამნაშავეს ბრალს, რამდენადაც იგი გამოიხატება ქმედობაში. დაცვის ყველა ღონისძიება, პირიქით, ხასიათდება იმით, რომ მათი გამოყენების საფუძველს შეადგენს არა დანაშაულის ჩადენა, არამედ განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობა იმ პირისა, ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა, ის საშიშროება, რომელიც მან თავისი საქციელით გამოამჟღავნა².

¹ Наказание, 283.

² იქვე, 286.

პირის ეს ფსიქიკური მდგომარეობა განპირობებულია სხვადასხვა მიზეზებით, მაგალითად, არასაკმაო გონებრივი განვითარებით, გონებრივი არანორმალობით, საზოგადოებისათვის მავნე ფესვგადგმული ჩვევებით.

უიქილენკო ეთანხმება უკანასკნელ შეხედულებას. სწორედ ამაშია, მისი სიტყვით, სასჯელის და დაცვის ღონისძიების ძირითადი განსხვავება. იმ დროს როცა სასჯელის გამოყენება განპირობებულია პირის ბრალეულებების აღიარებით გარკვეული დანაშაულის ჩადენაში, დაცვის ღონისძიების გამოყენება მოითხოვს ამ პირის საშიში მდგომარეობის დადგენას და უნდა გაეწიოს ანგარიში იმ ფაქტს, რომ დაცვის ღონისძიებას ადგილი აქვს იქ, სადაც სასჯელზე ლაპარაკი არ შეიძლება; ასეთია ის ღონისძიებანი, რომლებიც გამოიყენება შეურაცხადი პირების მიმართ. ეს პირები არ ისჯებიან, მათ უფარდებენ მხოლოდ დაცვის ღონისძიებებს და ეს უკვე ამტკიცებს, რომ ეს ღონისძიებანი თავისი ბუნებით სასჯელისაგან განსხვავდებიან¹. სასჯელი უპირველეს ყოვლისა ანგარიშს უწევს წარსულს, გამოდის მოცემული პირის მიერ ჩადენილი ქმედობიდან, ხოლო დაცვის ღონისძიებანი, პირიქით, წარსულს უყურებენ როგორც საბაზს ზომების მისაღებად, ისინი იყურებიან მომავლისაკენ. რადგან თვით საშიშროება წარმოდგენილია, როგორც მუქარა და, მამასადამე, იგი მომავალს ეკუთვნის. დაცვის ღონისძიებანი გამოიყენება მხოლოდ იმიტომ, რომ მოცემული პირისაგან მოსალოდნელია განსაზღვრული დანაშაულის ჩადენა. დანაშაულის ჩადენა წარსულში სინამდვილეში არის მხოლოდ ამ საშიშროების სიმპტომი².

ზემოთ აღნიშნული ინსტიტუტების გამოყენების მასშტაბიც არაა ერთნაირი. ბირკმეიერი, მაგალითად, შენიშნავს, რომ დაცვის ღონისძიების მასშტაბი დამყარებულია არა დამნაშავეის ბრალზე, არამედ მის ინდივიდუალობასა და საშიშროებაზე. გამოთქმული იყო სხვადასხვა აზრი. მიუთითებენ, რომ დაცვის ღონისძიების მასშტაბს ჰქმნის არა დელიქტის სიმძიმე, არამედ დაცვის საჭიროების ხანგრძლიობა; რომ პატიმრობის ხანგრძლიობის წინასწარი გაურკვეველობა შეადგენს იმ ნიშანს, რომლის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, რომ აქ საქმე გვაქვს დაცვის ღონისძიებასთან და არა სასჯელთან; რომ სასჯელის გამოყენებისას მისი ოდენობა განისაზღვრება დაზიანებული უფლებრივი სიკეთის მნიშვნელობით, ხელყოფის სიმძიმის და დამნაშავეის ბრალის შესაბამისად, ხოლო დაცვის ღონისძიება განი-

¹ Наказание, 286.

² იქვე, 287

საზღვრება დაცვის მიზნის მიხედვით (შტოსი); რომ სასჯელის დროს მოითხოვება სიბოროტის და წვალების თანასწორი ოდენობა, დაცვის ღონისძიებისათვის კი ეს საჭირო არაა, აქ საჭიროა მხოლოდ პროპორცია მოქმედი პირის საშიშროებასა და უზრუნველყოფის აქტს შორის, ისე რომ აქ ქრება „სიმკაცრისა“ და „შეწყნარების“ ცნება (ნაგლერი); რომ დაცვის ღონისძიებანი გამოდიან ბრალის ფარგლებიდან (ბერნერი)¹.

ამას უკავშირდება იმის წარმოდგენა, რომ დაცვის ღონისძიების არსი, სასჯელისაგან განსხვავებით, იმაში მდგომარეობს, რომ იგი გულისხმობს ინდივიდუალურ მოპყრობას საშიშ სუბიექტთან და სახელმძღვანელო პრინციპად აქ აღიარებულია იმ პიროვნების თავისებურებებისადმი შეგუება, რომელიც განიცდის ამ ღონისძიების ზემოქმედებას².

ეიჟილენკო ცნობს მოყვანილ მოსაზრებათა სისწორეს. მართლაც, — ამბობს იგი, — სასჯელი ინიშნება იმ ზომით, რომელიც ბრალეულობის ზომას უნდა შეესაბამებოდეს; სასჯელის სიმძიმე აგრეთვე უნდა შეესაბამებოდეს თვით დანაშაულის მნიშვნელობას, როგორც ხელყოფას განსაზღვრულ უფლებრივ სიკეთეზე, რომელსაც აქვს გარკვეული ღირებულება. დაცვის ღონისძიების დროს, პირიქით, მისი „ზომა“ არ განისაზღვრება ბრალეულობის ზომასთან შესაბამისობის მოსაზრებით: ადამიანი შესაძლოა აღიარებული იყოს უდაოდ ბრალეულად და, მამასადამე, დასჯადად. მაგრამ მის მიმართ დაცვის ღონისძიების გამოყენება სავსებით გამორიცხული იქნეს, მაშინ იგი საშიშროებას არ წარმოადგენს³. შემდეგ, დაცვის ღონისძიების გამოყენებისას იმ სიკეთის მნიშვნელობა, რომელზეც ჩაიხსნა ხელყოფა, შეიძლება თავისთავად მცირეა. მაშინაც კი, როცა აქეთვე მცირე ღირებულებისაა, თუ ხელყოფის საშიშროება დიდი ხანაშავეს შეიძლება შეუფარდონ დაცვის ღონისძიება, რამდენადაც უკანასკნელისაგან მოელიან გარკვეულ სარგებლობას საზოგადოებისათვის⁴.

ბოლოს, ეიჟილენკო ხაზს უსვამს კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც ასაბუთებს დასახელებული ინსტიტუტების განსხვავებას. მან, — წერს იგი, — რომ დაცვის ღონისძიებისათვის უცხოა სიკეთის ან უდაგომობის ელემენტი, რომელიც:

სასჯელის საფუძველს შეადგენს. მას მოყავს სხვადასხვა მწერლების შეხედულება: ბირკმეიერიის, რომელიც ამბობს, რომ დაცვის ღონისძიებანი არ შეიცავენ დანაშაულებრივი ქმედობის შეფასებას; ნაგლერიის, რომელიც ამტკიცებს, რომ სასჯელს იწვევს ეთიკური მოსაზრება და მოითხოვს ხალხის სამართლიანობის გრძნობა, იმ დროს როცა დაცვის ღონისძიება გამომდინარეობს სარგებლიანობის და პოლიტიკური მიზანშეწონილობის მოსაზრებიდან; რედვიცი აგრეთვე ვერ ხედავს დაცვის ღონისძიებაში ქმედობის ეთიკური შეფასების მომენტს, ის მხოლოდ მიზანშეწონილების მოსაზრებას გამოხატავს; გრეტენერიის სიტყვით, დაცვის ღონისძიებაში არაა სამოსამართლო გაკიცხვის მომენტი; იმავე აზრს გამოთქვამს ჰიპელი, რომელიც აღნიშნავს, რომ დაცვის ღონისძიება არ გამოხატავს ეთიკურ დაგმობას, ბრალისათვის საყვედურს. ანალოგიურ შეხედულებას იზიარებდნენ რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტები; მაგალითად, ნაბოკოვის სიტყვით, სასჯელი შეიცავს დამნაშავის და მისი ქმედობის ზნეობრივი შეფასების განსაზღვრულ მომენტს, რაც სრულიად უცხოა დაცვის ღონისძიებისათვის, სასჯელში გამოითქმის განსაზღვრული შეფასება, განსაზღვრული გაკიცხვა; გერნეტიცი მიუთითებდა, რომ ყოველი სასჯელი გულისხმობს დამნაშავის დაგმობას, ე. ი. მის აღიარებას ბრალეულად. ძველი და თანამედროვე სისხლის სამართალი დაკავშირებულია სასჯელის—სამაგიეროს მიზღვის იდეასთან. სოციალური დაცვის ღონისძიებანი მოკლებულია კავშირს ამ იდეასთან¹.

ჟიჟილენკოს შეხედულებით, მითითებას იმაზე, რომ დაცვის ღონისძიებისათვის უცხოა მოქმედების შეფასების მომენტი (არა აუცილებლად ეთიკურისა) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასჯელისა და დაცვის ღონისძიების ურთიერთობის გასარკვევად. იმას, რაც არსებითია სასჯელისათვის და ურომლისოდ თვით სასჯელი წარმოუდგენელია, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დაცვის ღონისძიებისათვის. უკანასკნელის მიზანს არ შეადგენს დანაშაულის შეფასება. დაცვის ღონისძიება ანგარიშს უწევს დანაშაულებრივ ქმედობას, მხოლოდ როგორც დამნაშავის პიროვნების განსაკუთრებული თვისებების, მისი ფსიქიკური წყობის გამოვლენას, და განისაზღვრება პირის საშიშროებით, რომელიც მოცემულ შემთხვევაში შეიძლება იქნას დადგენილი².

¹ Наказание, 290.

² იქვე, 290.

რამდენადაც შეფასება ახასიათებს იმას, რასაც სამაგიეროს მიზღვა ეწოდება—ზემოქმედება ჩადენილზე მისი შეფასების შესაბამისად,—იმდენად ვაპრობთ, რომ დაცვის ღონისძიება არ იცნობს სამაგიეროს მიზლის ელემენტს¹. მისი საშუალებით არ მიეზღვება დამნაშავეს მისი მიერ ჩადენილი ქმედობისათვის, ცდილობენ მხოლოდ აიცილონ ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა მოცემული პირის მხრივ, იმის გამო, რომ მან თავისი მოქმედებით გამოავლინა დანაშაულებრივი თვისება. იძულებითი აღზრდის, მკურნალობის ღონისძიებანი, უვნებელყოფის ზომები—ყველა ისინი არ წარმოდგენენ სამაგიეროს მიზლის მომენტს; ყველა ისინი, რ. შმიდტის თქმით, მდებარეობენ სამართლიანი მიზნდევნი სასჯელის ფარგლებს გარეთ; ყველა განპირობებულია მარტოოდენ იმ წარმოდგენით, რომ მიზანშეწონილების მოსაზრებით საჭიროა გარკვეული ზომების მიღება, რომლებითაც დაცულ უნდა იქნას საზოგადოება. მათთვის უცხოა წარმოდგენა, რომ მათი დანიშვნა გამოწვეულია სამართლიანობის მოთხოვნით, ეს მომენტი კი პირველ პლანზეა დაყენებული, როცა ლაპარაკობენ სასჯელის გამოყენების დასაშვებლობის შესახებ².

ასეთია, ყიჟილენკოს სიტყვით, არსებითი განსხვავება დაცვის ღონისძიებასა და სასჯელს შორის. რა თქმა უნდა, ყიჟილენკოს მსჯელობა თანამიმდევრულია. ვინც სასჯელის არსს სამაგიეროს მიზნდაში ხედავს, მას არ შეუძლია გამოიტანოს სხვა ხასიათის დასკვნები. დაცვის ღონისძიებას აინტერესებს საზოგადოებრივი სარგებლიანობის, მიზანშეწონილობის ამოცანები. განყენებული სამართლიანობის იდეა არ შეადგენს მისი მოქმედების სახელმძღვანელო საწყისს.

უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი მოსაზრება. კრიმინალისტები ხშირად აღნიშნავენ, რომ სასჯელი თავისი ბუნებით მოითხოვს პროპორციულობას ჩადენილ ქმედობასა, ამ ქმედებაში მოსახლ ბრალსა და რეპრესიით მიყენებულ წვალებას შორის. ამ გზით მყარდება თანაზომიერება დანაშაულსა და სასჯელს შორის. ზოგიერთი მწერალი ამტკიცებს, რომ დაცვის ღონისძიების შემთხვევაშიც თითქოს საჭიროა პროპორციულობა გამოყენებულ ღონისძიებასა და პიროვნების საშიშროებას შორის. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ტერმინი აქ უვარგისია. აქ შეიძლება ლაპარაკი არა პროპორციულობის, არამედ შესაბამისობის შესახებ; უკანასკნელ შემთხვევაში იგულისხმება არა სამართლიანი დოზირება,

¹ Наказание, 290.

² იქვე, 291.

არამედ ისეთი ღონისძიების გამონახვა, რომელიც თავისი თვისებით მოცემულ პიროვნებას შეეფერება, შეესაბამება. სწორედ ამით გამოიხატება მიზანშეწონილების პრინციპი.

ჟიჟილენკო გამოთქვამს აზრს, რომ სოციალური დაცვის ღონისძიების გამოყენება არსებითად წარმოადგენს მოქმედებას, რომელიც გამოდის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებს გარეთ ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით¹. ცხოვრება გვიჩვენებს,—ამბობს იგი,—რომ გამოყენება ამა თუ იმ ღონისძიებისა, რომლის მიზანია საშიშროებისაგან საზოგადოების ინტერესების დაცვა, რამდენადაც იგი სასაჯელით არ გამოიხატება, დათმობილი აქვს ადმინისტრაციულ ორგანოებს. თანმიმდევრულად რომ ვიმსჯელოთ, რამდენადაც ლაპარაკია საშიშროების და არა ბრალეულობის დადგენაზე, დაცვის ღონისძიების მიღება ადმინისტრაციის საქმეს უნდა შეადგენდეს. ლიტერატურაში ვნახულობთ საკითხის ამგვარ გადაწყვეტას. ამ შეხედულებას ემხრობიან რ. შმიდტი და ნაზოკოვი. მაგრამ ეს შეხედულება გამოიხატის წარმოადგენს. საინტერესოა, რომ ისეთი ანტიპოდები, როგორც ბირკმეიერი და ლისტია, სოლიდარულად გამოდიან აღნიშნული შეხედულების წინააღმდეგ და ხელმძღვანელობენ პიროვნების უფლებების დაცვის, ინდივიდუალური თავისუფლების გარანტიის მოსაზრებით. საბოლოო ანგარიშით თვითონ ჟიჟილენკოც უარჰყოფს ზემოთ დასახელებულ შეხედულებას სხვადასხვა მოსაზრების გამო. მათ შორის იმის გამოც, რომ პიროვნების თავისუფლება უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ხოლო ასეთ გარანტიას იძლევა სასამართლო².

სისხლის სამართლის თეორიაში დაყენებული იყო საკითხი, თუ რამდენად დასაშვებია დაცვის ღონისძიების გამოყენება სასჯელთან ერთად ან სასჯელის მაგიერ³. ჟიჟილენკო ეხება ამ საკითხს და ეთანხმება ბირკმეიერის მიერ წამოყენებულ დებულებას, რომლის თანახმად რამდენადაც სურთ შეუფარდონ დაცვის ღონისძიება დასჯის ღირსს პირებს, იმდენად ამ პირების მიმართ პირველად უნდა გამოიყენონ სასჯელი; ამის შესაბამისად ჩვეულებრივ დაყენებული საკითხი დადებითად იჭრება, მაგალითად, შემცირებული შერაცხალობის მქონე პირების მიმართ,—აქ სასჯელი წინ უნდა უსწრებდეს სოციალური დაცვის ღონისძიების გამოყენებას (მკურნალობის ზომები). იგივე აზრია გატარებული საშიში რეციდივისტების მიმართ: მათ პირველად უფარდებენ სასჯელს, ხოლო შემდეგ—დაცვის ღო-

¹ Наказание, 292.

² იქვე, 297.

³ იქვე, 301.

ნისძიებას. რაც შეეხება სასჯელის შეცვლას (ეგრეთწოდებული *vicariiren*) დაცვის ღონისძიებებით, ამ მხრივ კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა შორის გერმანულ ლიტერატურაში არსებობს გარკვეული უარყოფითი მიმდინარეობა, განსაკუთრებით კატეგორიულ პასუხს იძლევა ამ საკითხზე ბ ი რ კ მ ე ი ე რ ი. თავის აზრს ეს კრიმინალისტები ასაბუთებენ იმით, რომ სასჯელისა და დაცვის ღონისძიებათა ფუნქციები სხვადასხვაა, ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა და, მაშასადამე, ერთი ვერ შეცვლის მეორეს. თუმცა იმ კრიმინალისტებს შორისაც, რომლებიც ახალ მიმართულებას არ ეკუთვნიან, არიან სასჯელის დაცვის ღონისძიებებით შეცვლის მომხრენი (კრიგსმანი, ჰიპელი).

უიქლინკო შენიშნავს, რომ ვინაიდან დაცვის ღონისძიებანი არსებითად განსხვავდება სასჯელისაგან, სისხლის სამართლის დებულებანი გათვალისწინებული სასჯელისათვის, არ შეიძლება კანონის განსაკუთრებული მითითების გარეშე გავრცელდეს დაცვის ღონისძიებაზე¹. თუ კანონი აღგენს სპეციალურ წესებს სასჯელის დანიშვნის შესახებ, მაგალითად; ბრალის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა შესახებ, ეს წესები არ უნდა იქნას გამოყენებული დაცვის ღონისძიების შეფარდებისას. უკანასკნელის დანიშვნის დროს სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს არა ბრალეულობის, არამედ დამნაშავეის საშიშროების ხარისხი, რომელიც მან გამოავლინა განსაზღვრული დანაშაულის სახით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს მოცემული სუბიექტის ცხოვრება, ის პირობები, რომლებშიც მიმდინარეობს მისი საქმიანობა. დაცვის ღონისძიების მიმართ არ გამოიყენება ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა ხანდაზმულობა და პატიება, რომლებიც ნიშნავენ იმას, რომ სახელმწიფო უარს ამბობს დასჯის უფლებაზე. პატიება მკიდროდ უკავშირდება ბრალს—აპატიებენ მხოლოდ ბრალეულებს; რამდენადაც გარკვეული პირი თავისუფლება აღკვეთილია თავისი საშიშროების გამო, მიზანშეწონილი არაა ამ ღონისძიების გაუქმება, როცა მისი საშიშროება ჯერ კიდევ გრძელდება. თვით მისი განთავისუფლება უნდა იყოს განპირობებული არა იმით, რომ შეიძლება მისი პატიება, არამედ იმით, რომ იგი უკვე არაა საშიში და, მაშასადამე, მისი პატიმრობა მიზანშეწონილი არაა. იმავე საფუძვლით ხანდაზმულობაც არ გამოიყენება დაცვის ღონისძიებათა მიმართ².

¹ Наказание. 303

² იქვე, 304.

ჟიჟილენკო ეხება კიდევ ერთ საკითხს, რომელზეც ჩვენ მოკლედ შევჩერდებით. დაცვის ღონისძიებათა დამოუკიდებელ ბუნებასთან დაკავშირებით.—წერს ეს ავტორი,—ლიტერატურაში ხშირად აყენებენ საკითხს იმის შესახებ, თუ სად, ე. ი. კანონმდებლობის რომელ დარგში უნდა დაეთმოს მათ ადგილი—საერთო სისხლის სამართლის კოდექსებში, თუ ისინი ცალკე უნდა იქნას გამოყოფილი¹. ამ საკითხს არა აქვს თავისთავად პრინციპული მნიშვნელობა, იგი საკანონმდებლო ტექნიკის საკითხია, მაგრამ ზოგჯერ მას ექცევა განსაკუთრებული ყურადღება იმ მხრივ, რომ აქ იქმნება შესაძლებლობა სასჯელის და დაცვის ღონისძიებათა ცნებების აღრევისა; ამ ორი ცნების გამიჯვნა წარმატებით ტარდება იმ შემთხვევაში, როცა ისინი მოთავსებულია კანონმდებლობის სხვადასხვა დარგებში. მაგალითად, რ. შ მ ი დ ტ ი ს სიტყვით, სოციალური დაცვის ღონისძიებების შეტანით სისხლის სამართლის კოდექსში ინგრევა ის კედელი, რომელიც ჰყოფს დანაშაულთა პროფილაქტიკას დასჯითი დარგისაგან. იმავე შეხედულებას იზიარებენ ბელინგი და ბირკმეიერი².

მოჰყავს რა სხვადასხვა შეხედულებანი ამ საკითხზე, ჟიჟილენკო შენიშნავს, რომ ადგილი, რომელიც ამა თუ იმ ინსტიტუტს უკავია კანონმდებლობის საერთო სისტემაში, ჯერ კიდევ არ წყვეტს საკითხს მოცემული ინსტიტუტის ბუნების შესახებ. მაგრამ იგი საბოლოოდ ეთანხმება ჰაფტერს, რომელიც შესაძლოდ ცნობს დაცვის ღონისძიების და სასჯელის მოთავსებას ერთ და იმავე კანონში, მხოლოდ კანონმდებელმა აუტენტურად უნდა გამოაცხადოს, რა უნდა ჩაითვალოს სასჯელად და რა დაცვის ღონისძიებად, თანაც უნდა მიუთითოს ცალკეული დარგისათვის სპეციალური წესები დანიშნის, ჩათვლის, შეწყვეტის, ხანდაზმულობის და სხვ. შესახებ, ისე რომ ამ გზით ერთი სისტემის მაგიერ დადგენილი იქნებოდა ორი სისტემა, რომლებიც ცალ-ცალკე დაისახავდნენ ორმაგ მიზანს: სამაგიეროს მიზლვას და საზოგადოების დაცვას³.

თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსების გაცნობა გვარწმუნებს, რომ იქ, სადაც შეთვისებულია დაცვის ღონისძიების ინსტიტუტი, გატარებულია სწორედ ეს უკანასკნელი სისტემა.

ჟიჟილენკომ წამოაყენა დაცვის ღონისძიებათა შემდეგი კლასიფიკაცია⁴.

¹ Наказание, 305.

² იქვე, 306.

³ იქვე, 306.

⁴ იქვე, 307.

პირველ ყოვლისა იგი ასხვავებს ამ ღონისძიებათა ოთხ ჯგუფს:

1. თავისუფლების აღკვეთას,
2. საპოლიციო ზედამხედველობას,
3. ზოგიერთი უფლებების ჩამორთმევას,
4. განაჩენის გამოქვეყნებას.

პირველ ჯგუფს იგი, თავის მხრივ, ჰყოფს ორ ქვეჯგუფად: 1. განდევნა განსაზღვრულ ადგილას ან განსაზღვრული ადგილიდან და 2. ინტერნირება. უკანასკნელ ქვეჯგუფში შეიძლება განვასხვაოთ: 1. იზოლაციის და სამკურნალო ღონისძიებანი, რომლებიც გამოიყენება: ა) შეურაცხადი პირების მიმართ, ბ) შემცირებული შერაცხადობის მქონე პირების და გ) ალკოპოლიკებს მიმართ; 2. არასრულწლოვან დამნაშავეთა იძულებითი აღზრდის ღონისძიებანი; 3. მათხოვართა, უსაქმურ პირთა და სხვათა ხელახლა აღზრდის ღონისძიებანი; 4. საერთო საშიშ რეციდივისტების უვნებელყოფის ზომები. ყველა აღნიშნულ ღონისძიებას, მიუხედავად მათი მრავალფეროვნებისა, საერთო აქვს ის, რომ ისინი არ შეიცავენ სამაგიეროს მიზლვას, არ იძლევიან ჩადენილი ქმედობის შეფასებას, მათ საფუძველს წარმოადგენს არა სამართლის დარღვევის ფაქტი, თავისთავად აღებული, არამედ დამნაშავეს განსაკუთრებული თვისებები, მისი საშიშროება, რომელიც მოითხოვს საზოგადოების ინტერესების უზრუნველყოფას¹.

ჩვენ გავეცანიით რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტიკის ყიეილენკოს კონცეფციას სასჯელის და სოციალური დაცვის ღონისძიების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. როგორც ვნახეთ, ყიეილენკოს აზრით, ამ ორ ინსტიტუტს შორის ძირითადი განსხვავებაა და ეს განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ სასჯელი თავისი არსით გამოხატავს სამაგიეროს მიზლვას (возмездие), ე. ი. დანაშაულის უარყოფით შეფასებას, მის გაკიცხვას, ხოლო დაცვის ღონისძიება ემყარება დამნაშავეს საშიშროების ცნებას.

7

იმავე საკითხს ეხება ე. ნემიროვსკი, რომლის 'შეხედულებას' სასჯელზე ჩვენ ზემოთ გავეცანიით².

ნემიროვსკიც იცავს სამაგიეროს მიზლის პრინციპს. მისი სიტყვით სამაგიეროს მიზლის მოწინააღმდეგეებს ბრალი მიუძღვით იმაში, რომ მათ გაწყვიტეს კავშირი საზოგადოების ზნეობრივ შეხედულებებთან. მას მხედველობაში ჰყავს სოციოლოგების და ანთროპოლო-

¹ Наказание, 307.

² Н е м и р о в с к и й, Основные начала уголовного права, 1917, იხ. ამ შრომის მესამე თავი.

გების უკიდურესი ფრთა. სწორედ სამართლიანი სამაგიეროს მიზლვა, ნემიროვსკის აზრით, წარმოადგენს კორექტივს, რომელიც შემკავებელ როლს ასრულებს საზოგადოების დაცვის იდეით გატაცების დროს, იმ იდეით, რომლის თანმიმდევრულ განვითარებას თვით მისი მომხრეებიც კი ვერ ბედავენ. სამართლიან სამაგიეროს მიზლვასთან დაკავშირებული დაგმობის, გაიცხვის ელემენტი ანიჭებს სასჯელს ეთიკურ ელფერს და განსაკუთრებულ ღირებულებას სამართლისათვის ბრძოლის საქმეში. სამართლიანი სამაგიეროს მიზლვის ნამდვილ მოწინააღმდეგეებად, ნემიროვსკის სიტყვით, შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც დევნის სისხლის სამართლიდან ინდივიდუალური ბრალის ცნებას¹.

სასჯელის აღნიშნული ნიშნის მიხედვით,—წერს ნემიროვსკი,— ხშირად გამოყოფენ მას სოციალური დაცვის ღონისძიებებისაგან. რუს კრიმინალისტებს შორის ამ შეხედულებას იზიარებს ყიყილენკო. მაგრამ ნემიროვსკი ამ აზრს მთლიანად არ ეთანხმება. დაცვის ღონისძიებებს იგი ჰყოფს ორ კატეგორიად; ერთ კატეგორიას ეკუთვნის პროფილაქტიკის ღონისძიებანი; სამკურნალო ანდა აღმზრდელობითი ხასიათის, როგორიცაა სახლები სულით ავადმყოფ ან სხვა შეურაცხად პირებისათვის, აღმზრდელობითი დაწესებულებანი დამნაშავე ბავშვებისათვის, რომლებიც შეუგნებლად მოქმედებდნენ². ამგვარ შემთხვევებში დანაშაული წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ სიმპტომს უშიშროების ღონისძიების მისაღებად, მაგრამ არა ერთადერთს; შეშლილს, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია. და უპატრონო ბავშვებსაც ათავსებენ ამ დაწესებულებებში. ეს ღონისძიებანი მართლაც არ გამოხატავენ პიროვნების დაგმობას, და მხოლოდ მათ არა აქვთ ორგანული კავშირი ჩადენილ ქმედობასთან, არც მათი გამოყენების ვადაა დამოკიდებული ამ ქმედობის სიმძიმესთან: მიზნის მიღწევა (განკურნება), ან იმ ასაკის მიღწევა, როცა აღზრდა უკვე შეუსაბამოა, განსაზღვრავენ ღონისძიების შეწყვეტის მომენტს³.

მეორე კატეგორია—ესაა პროექტებით და უახლესი კანონებით შემოღებული საშიში რეციდივისტების პრევენციული პატიმრობა, იმ დამნაშავეთა სამუშაო სახლებში მოთავსება, რომელთა ქმედობა გამომდინარეობს ცხოვრების საშიშ ჩვევებიდან. ეს ღონისძიებანი,

1 Немировский, Основные начала уголовного права, 1917. 33. 114.

2 იქვე, 115.

3 იქვე, 115.

ნემიროვსკის თქმით, არსებითად სასჯელის გაგრძელებას, მის შეცვლასაც კი წარმოადგენენ: პროექტების მიხედვით შესაძლოა მათი დანიშვნა სასჯელის მაგიერ. გერმანელ მეცნიერთა ცდები—გამოენახათ მათი სასჯელისაგან განმასხვავებელი ნიშანი იმაში, რომ ამ ღონისძიებებისათვის არაა არსებითი სიავის ან წვალების ელემენტი ან რომ წვალება აქ განზრახ არაა გამოწვეული, ან იმაში, რომ მათი მიზანი არაა დასჯა, არამედ პრევენციაა, უდავოდ უსაფუძვლოა და ამ ღონისძიებათა ნამდვილ შინაარსს ეწინააღმდეგება იმდენად, რომ ავტორები იძულებულია ამ მოჩვენებით ნიშნებს ხშირად სხვებიც მიუმატონ¹. მართლაც, ამბობს ნემიროვსკი, ამ ღონისძიებათა ძირითადი ნიშანი—თავისუფლების იძულებით აღკვეთა—არ იძლევა შესაძლებლობას გავატაროთ დემარკაციული ხაზი მათსა და საპრობილეს შორის (ფართო მნიშვნელობით): თუ აღნიშნავენ რეჟიმის ნაკლებ სიმკაცრეს, ამგვარი განსხვავება საპრობილის ნაირსახეობებშიც არსებობს. მიზანი აგრეთვე არ შეიძლება გამოვიყენოთ გამიჯვნის კრიტერიუმად, რადგან იგი შესაძარბებელ ინსტიტუტების გარეთ ძვეს; თუმცა სასჯელისათვისაც არაა უცხო ახალი დანაშაულის ჩადენის აცილება².

მეტი ყურადღების ღირსია, ნემიროვსკის სიტყვით, ის შეხედულება, რომელიც ამ ღონისძიებებში არ ცნობს დამგობის, უარყოფით სამართლებრივი შეფასების ელემენტს; ამ განსხვავებას მიმართავენ დაცვის ღონისძიებათა და სასჯელის გამიჯვნის მომხრეები, როგორც უკანასკნელ არგუმენტს. სინამდვილეში, ნემიროვსკის აზრით, ეს თვალსაზრისიც უნდა იქნას უარყოფილი: განსაკუთრებული დაწესებულებანი ჩვევით რეციდივისტებისათვის და სამუშაო სახლები ჩირქს ცხებენ იმათ, ვინც იქ იყო მოთავსებული და ხშირად, მაგალითად, ვინც წინათ მოიხადა მოკლევადიანი სასჯელი, კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ეს უკანასკნელი. ნემიროვსკი უარყოფს ჟიჟილენკოს აზრს, რომ თითქოს გადასახლებას არა აქვს გამაწბილებელი ხასიათი³.

განსხვავებას ნემიროვსკი ნახულობს მხოლოდ შეფასების მასშტაბში. ტრადიციული შეხედულება, რომელსაც აქვს ღრმა ფესვები, მოითხოვს სასჯელის სიმძიმის და ბრალის სიმძიმის შესაბამისობას⁴;

¹ Немировский, Основные начала уголовного права, 1917, 33-116.

² იქვე, 116.

³ იქვე, 117.

⁴ იქვე.

დაცვის ღონისძიებანი კი უარს ამბობენ შეფასების ამ წესზე და მხედველობაში იღებენ პიროვნების დანაშაულებრივი განწყობილების მეტნაკლებ სიმტკიცეს: თუმცა ქმედობა მცირემნიშვნელოვანია და ისჯება მოკლევალიანი თავისუფლების აღკვეთით, მაგრამ მისი ჩამდენი შეიძლება მოთავსებულ იქნას სამუშაო სახლში (работный дом) რამდენიმე წლის ვადით, უკეთუ გადაცდომა გამომდინარეობდა უსაქმურობის ჩვევიდან. „მაგრამ ამ ღონისძიებათა აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ქმედობა, თანაც განსაზღვრული სიმძიმისა; თუ რებრესია ძლიერდება, ეს შესაძლოა გამოხატავდეს შეხედულების შეცვლას ბრალის არსსა და ხარისხზე, და არა ამ ღონისძიებათა ყოველგვარი კავშირის უქონლობას ბრალთან და მათი ინტენსივობის დამოკიდებულებას მხოლოდ პიროვნების საშიშ მდგომარეობასთან“¹. ამით ნემიროვსკის შეხედულება დაყენებულ საკითხზე უკავშირდება ბრალის ცნებას².

ასეთია მოკლედ ნემიროვსკის კონცეფცია. იგი ცდილობს შეარიგოს ერთმანეთს სამაგიეროს მიზღვა და უტილიტარული, სოციალური მიზანშეწონილების საწყისები. სწორად უნდა ჩაითვალოს მისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ დაცვის ღონისძიებათა ზოგიერთი სახეები სრულიადაც არ გამოირიცხავენ შეფასების მომენტს; ასეთია, მაგალითად, ჩვევით რეციდივისტების პრევენციული პატიმრობა. ამდენად ყიჟილენკოს ზემოთ დასახელებული შეხედულება მოკლებულია საფუძველს.

II. თეორიები, რომლებიც სასჯელსა და დაცვის ღონისძიებებს განიხილავენ როგორც მონათესავე მოვლენებს

8

სოციოლოგიური სკოლის მთავარმა წარმომადგენელმა ფ. ლისტმა მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა სასჯელისა და სოციალური დაცვის ღონისძიების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. შემოკლებული სახით ლისტმა თავისი შეხედულება განმარტა „Lehrbuch“-ში.

სასჯელი, ლისტის სიტყვით, არის სიავე, რომელსაც მოსამართლე უფარდებს დამნაშავეს დანაშაულის გამო, იმისათვის, რომ გა-

¹ Н е м и р о в с к и й, Основные начала уголовного права, 1917. 33-118.

² ბრალი ნემიროვსკის ესმის უფრო ფართოდ, ვიდრე ეს მიღებულია კლასიკური სკოლის ტრადიციულ მოძღვრებაში. ბრალი მას ესმის, როგორც „დანაშაულებრივი განწყობილება“, რომელიც არ ემთხვევა „საშიშ მდგომარეობას“, „ხასიათს“ და სხვ. (დასახ. ნაშრ., გვ. 190—192).

მოხატოს საზოგადოებრივი უარყოფითი შეფასება ქმედობისა და მოქმედი პირისა. მაშასადამე, სასჯელის ცნებას ახასიათებს ორი ნიშანი: 1. დამნაშავეის სამართლით დაცული ინტერესების დაზიანება და 2. ქმედობისა და მოქმედის გაკიცხვა. პირველი ნიშანი შეიცავს სასჯელის სპეციალურ-პრევენციულ, ხოლო მეორე — საერთო პრევენციულ მოქმედებას¹.

სასჯელისაგან განსხვავდება: 1) დისციპლინური სახდელი, 2) მცირე მნიშვნელოვან დარღვევებთან დაკავშირებული ზომები, რომლებსაც ხშირად ვხვდებით საბაჟო და საგადასახადო კანონებში, 3) პირიქით, პოლიციური ანუ ადმინისტრაციული სასჯელი, ლისტის სიტყვით, მოქმედ გერმანულ სამართალს ნამდვილ სასჯელად მიაჩნდა².

„დაცვის ღონისძიებანი“, საერთოდ მიღებული ტერმინოლოგიით, ისეთი სახელმწიფო ღონისძიებანია, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ან ცალკეულ პირთა შეგუება საზოგადოებრივ ცხოვრებასთან (აღმზრდელიობითი ან გამასწორებელი ღონისძიებანი), ან შეგუების უნარს მოკლებულ პირთა გამოთიშვა საზოგადოებიდან (დაცვის ღონისძიებანი ვიწრო მნიშვნელობით). ეს ღონისძიებანი, ლისტის აზრით, სუსტად იყო დამუშავებული და შეტანილი იყო გერმანიის, ავსტრიის და შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსების პროექტებში. ამას წერდა ლისტი თითქმის ნახევარი საუკუნის წინ. მას აქვთ „დაცვის ღონისძიების“ ცნება შეტანილი იყო მრავალ სხვადასხვა კოდექსებში და მოქმედი კანონის ძალა მიიღო.

მოქმედ სამართალში, უკეთუ არსებობს ექვი, ღონისძიება უნდა ჩაითვალოს სასჯელად. ამიტომ სამუშაო სახლი, საპოლიციო ზედამხედველობა და სხვ. უნდა მიეკუთვნოს სასჯელებს. პირიქით, დაცვის ღონისძიებებად უნდა ჩაითვალოს: აღზრდა და თავშესაფარში (Asyl) მოთავსება; ჩამორთმევა და მოსპობა საგნებისა, რომლებიც შექმნილია დანაშაულის გზით ან გამოყენებულია დანაშაულის ჩასადენად³.

რაც შეეხება „დაცვის ღონისძიების“ და სასჯელის დამოკიდებულებას, ამ საკითხს ლისტი სწყვეტს შემდეგნაირად. ამ დარგში მიმდინარეობს დიდი დავა. ბირკმეიერი, მაგალითად, მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს აღნიშნულ ორ ცნებას. ლისტი არ ეთანხმება ამ აზრს, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება ფაქტიურ მდგომარეობას⁴.

¹ Lehrbuch, 1912, 252.

² იქვე, 256.

³ იქვე, 252.

⁴ იქვე.

უდავოა, — წერს იგი, — რომ დაცვის ღონისძიება არაა აუცილებლად დაკავშირებული რომელიმე დანაშაულის ჩადენასთან, და ამიტომ იგი გამოდის სასჯელის ფარგლებიდან; მაგალითად, როცა იძულებითი აღზრდა გამოიყენება უპატრონო ბავშვების და ახალგაზრდების მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ დანაშაულებად არ გამხდარან; ან საერთოდ სამიში სულით ავადმყოფის მიმართ მიღებული ღონისძიება, სანამ იგი ჩაიდენდეს დანაშაულს. მაგრამ როდესაც დაცვის ღონისძიება უკავშირდება გარკვეული დასჯადი მოქმედების ჩადენას, მას, რასაკვირველია, შეიძლება ჰქონდეს სასჯელის შინაარსი, ე. ი. ის შეიძლება წარმოადგენდეს უარყოფით შეფასებასთან დაკავშირებულ სიკვდილს; ეს მისაღებია სამაგიეროს მიზლის თეორიის თვალსაზრისითაც¹. და რამდენადაც ეს უკანასკნელი სასჯელისათვის დასაშვებად ცნობს დამატებით გასწორების და დაცვის მიზანს, იმდენად სასჯელი გადადის დაცვის ღონისძიების დარგში. სამართლის ორივე ინსტიტუტი ისეთივე ურთიერთობაშია როგორც ორი გადამკვეთი წრე: წმინდა სამაგიეროს მიზლის სასჯელი და წმინდა დაცვის ღონისძიება ეწინააღმდეგება ერთმანეთს, მაგრამ მათ საერთო სფეროში დაცვის ღონისძიებას შეუძლია დაიკავოს სასჯელის ადგილი (mit ihr „vikariieren“) და პირიქით. ასეთია, — დასძენს ლისტს, — სამი წინასწარი პროექტის თვალსაზრისი; დასაშვებად არის ცნობილი, რომ სამუშაო სახლმა დაიკავოს სასჯელის ადგილი².

მაშასადამე, დაყენებულ საკითხში ლისტს არ უკავია ისეთი მკვეთრი და შეურიგებელი პოზიცია, როგორც ეს მოსალოდნელი იყო მისი ძირითადი დებულებების მიხედვით.

თავისი „Lehrbuch“-ის იმ პარაგრაფში, სადაც ლაბარაკია სისხლის სამართლის სკოლების ბრძოლაზე, ლისტს მიუთითებს კლასიკური და სოციოლოგიური სკოლების წინააღმდეგობის შესუსტებაზე და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ის ფაქტი, რომ კლასიკოსთა მიერ აღიარებული „სამაგიეროს მიზლის“ პრინციპი დაყვანილია ზოგადი პრევენციის ცნებამდე; „quia peccatum“-ის ადგილს იკავებს „ne peccetur“ და ამქამდ დავა არსებითად სწარმოებს იმის შესახებ, თუ პრევენციის რომელ ფორმას უნდა ისახავდეს თავის მთავარ მიზნად სასჯელი — ზოგადსა თუ სპეციალურს³.

აქედან გასაგებია სასჯელის და დაცვის ღონისძიების შერიგების ცდა, რომელსაც ვნახულობთ ლისტის „Lehrbuch“-ში.

¹ Lehrbuch, 1912, 253.

² იქვე, 254.

³ იქვე, 92.

გერმანულ ენაზე გამოცემულია რამდენიმე მონოგრაფიული შრომა, მიძღვნილი ზემოთ დაყენებულ საკითხისადმი. ერთ-ერთი ამგვარი მონოგრაფია ეკუთვნის ექსნერს, რომელიც დაწვრილებით და ყოველმხრივ იკვლევს „სოციალური დაცვის ღონისძიების“ ცნების შინაარსს და ცდილობს გამოარკვიოს მისი დამოკიდებულება სასჯელის ცნებასთან¹.

ექსნერი განიხილავს სოციალური დაცვის ღონისძიების გამოყენების წინაპირობებს და ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად მიდის იმ დასკვნამდე, რომ მის საფუძველს შეადგენს საშიშროების ცნება. მაგრამ მას საჭიროდ მიაჩნია ამ უკანასკნელი ცნების შინაარსის გამოკვლევა.

საშიშროება ნიშნავს რაიმე მომავალი მავნე შემთხვევის ალბათობას (Wahrscheinlichkeit). აქ, მაშასადამე, საქმე ეხება მომავალს, მოცემულია პროგნოზი. ყოველი შემთხვევა დამოკიდებულია განსაზღვრულ ფაქტიურ გარემოებათა დადგომაზე. ყოველი გამოთქმა მომავალ ხდომილობაზე უნდა ემყარებოდეს განსაზღვრული ფაქტების და მათი მიზეზობრივი დამოკიდებულების ცოდნას. ამ ცოდნის მოცულობის მიხედვით, გამოთქმა მომავალზე შეიძლება გამოიხატოს აპოდიქტური ან პრობლემატური მსჯელობის ფორმით. ასტრონომია, მაგალითად, იძლევა, ვარსკვლავთა მოძრაობის კანონების მტკიცე ცოდნის საფუძველზე, სარწმუნო პროგნოზებს. მეტეოროლოგია, პირიქით, ნაკლებად არის განვითარებული, მისი პროგნოზები მხოლოდ საალბათო მსჯელობებია. ყოველი საალბათო მსჯელობა წარმოადგენს გარკვეული, მოცემული ფაქტისათვის ხელსაყრელი პირობების ცოდნას და ამავე დროს დამატებითი პირობების გაურკვეველობას. პირობების ერთი კომპლექსის სარწმუნო ცოდნას ემყარება ყოველი პროგნოზის შესაძლებლობა, პირობების სხვა კომპლექსის გამოურკვეველობას — სარწმუნო პროგნოზის შეუძლებლობა².

ამგვარ მდგომარეობაში ვართ, ექსნერის სიტყვით, როცა საშიშროებაზე, განსაკუთრებით კი, საშიშ პიროვნებაზე ვლაპარაკობთ. საშიში პიროვნება, კრიმინალური სამართლის მნიშვნელობით, არის პიროვნება, რომელიც, ალბათ, ჩაიდენს დანაშაულებრივ მოქმედებას

¹ F. Exner, Die Theorie der Sicherungsmittel, 1914. Sicherungsmittel იგივეა თავისი შინაარსით, რაც „სოც. დაცვის ღონისძიება“, sichere Maßnahmen, mesures de sûreté.

² F. Exner, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

როდესაც ამას ვამტკიცებთ ცალკეულ შემთხვევაში, ეს ნიშნავს: მოცემული პირი თავის თავში აერთებს პირობების კომპლექსს, რომელიც მისგან მოსალოდნელს ხდის დანაშაულის ჩადენას. ყოველთვის გაურკვეველია, რა მოხდება მომავალში, ამიტომ ვლაპარაკობთ არა სარწმუნობაზე, არამედ ალბათობაზე, არა მავნეობაზე (*Schädlichkeit*), არამედ მხოლოდ საშიშ-ოებაზე (*Gefährlichkeit*)¹.

ჩვეულებრივი დეფინიციები საშიშროებისა უფრო ვიწროდ არის გაგებული, ისინი ამიტომ არ აღნიშნავენ მისი გამოვლენის ყველა ფორმას, არამედ მიუთითებენ მხოლოდ საშიშროების განსაზღვრულ სიღადეს ან განსაზღვრულ სახეს.

საშიშროების სიდიდე განპირობებულია ორი ფაქტორით: დაზიანების შესაძლებლობის სიდიდით და შესაძლო დაზიანების სიდიდით. ზოგიერთი ლაპარაკობს საშიში ადამიანის შესახებ მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს არა მხოლოდ საერთოდ საშიშროება, არამედ მისი გაძლიერებული ხარისხი. ამ აზრით საშიშ დამნაშავეთა ჯგუფს უწინებელ დამნაშავეთა ჯგუფს უპირისპირებენ, მაგრამ ექსნერის სიტყვით, ეს სწორი არაა: როცა აღვნიშნავთ საშიშროებას, როგორც დაცვის წინაპირობას, უნდა ვიგულისხმოთ საშიშროების ნაკლები ხარისხიც².

რა თქმა უნდა, ეს უნდა გავიგოთ *cum grano salis*. სახელმწიფო არ ზრუნავს ყოველი საშიშროების გამო. ექსნერს მოჰყავს ვან ჰამელის სიტყვები იმის შესახებ, რომ საზოგადოების ყოველი საშიშროებისაგან დაცვის სურვილმა შეიძლება გამოიწვიოს ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებიც ერთი მხარის დაცვით სრულიად მოსპობენ სხვების თავისუფლებას. გარდა ამისა, საშიშროების ინტენსივობას აქვს თავისი მნიშვნელობა დაცვის მოწყობისათვის³.

საშიშროების სახე განსაზღვრულია მოსალოდნელი ზიანის სახეობით⁴.

მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია საშიშროების ექსტენსივობა. საშიში პირი მატარებელია ისეთი თვისებებისა, რომ მისგან მოსალოდნელია დანაშაულის ჩადენა. ეს მდგომარეობა შესაძლოა იყოს როგორც დროებითი, ისე ხანგრძლივი. ანარქისტი, რომელიც ბომბით ჩაესაფრება სახელმწიფო ეტლს, ზეინკლის შეგარდი, რომელიც ქურდობის განზრახვით ცდილობს თავისი პატრონის კარის ვალებას, ადამიანი, რომელიც სერიოზულად იმუქრება შურისძიების აქტით,—

¹ F. Exner, დაახ. ნაშრომი, 40

² იქვე, 83. 61.

³ იქვე, 62.

⁴ იქვე, 62.

ყველა, ვისაც სურს დანაშაულის ჩადენა, საშიში ადამიანია, ვინაიდან ახლანდელი მისი ცნობიერების მიხედვით ჩვენ გვაქვს საფუძველი მოველოდეთ მისგან დანაშაულის ჩადენას. მაგრამ ეს საშიშროება ეხება მხოლოდ გარკვეულ კონკრეტულ ქმედობას, იმ ქმედობას, რომელიც მან უკვე დაიწყო ან სუბიექტურად მაინც მოამზადა. ასეთ შემთხვევაში საშიშროებას აქვს მკვეთრი ხასიათი (akute Charakter)¹. საფრთხე ისპობა, როდესაც გეგმა ან შესრულებულია, ანდა მიტოვებულია ნებაყოფლობით ან უამისოდ.

სულ სხვა მდგომარეობაა მეორე შემთხვევაში. ესაა ქრონიკული საშიშროება. აქ ადამიანს აქვს დანაშაულისადმი მიდრეკილება. საფრთხე ეხება არა ერთ რომელიმე გეგმას, არამედ წარმოადგენს „საშიშ მდგომარეობას“ (gefährliche Zustand), რომელიც არაა, როგორც ზემოთ აღნიშნული, სწრაფწარმავალი, იგი გრძელდება დანაშაულის ჩადენის შემდეგაც და ჰქმნის სულ ახალ დანაშაულს და ახალ საშიშროებას².

ექსნერის სიტყვით, მკვეთრი (akute) და ქრონიკული (chronische) საშიშროება ენათესავება, მაგრამ სულაც არაა ინდენტური იმასთან, რასაც ხშირად შემთხვევით და ჩვევით დანაშაულობას უწოდებენ (Gelegenheits- und Gewohnheitsverbrechertum). ამ უკანასკნელი ცნებებით აღნიშნულია მხოლოდ ორი განსხვავებული მდგომარეობა, და არა პირთა ორი განსხვავებული ჯგუფი. ორივე მდგომარეობა შეიძლება განხორციელდეს ერთდროულად ერთ და იმავე პიროვნებაში. ყოველი ქრონიკულად საშიში პირი დანაშაულის ჩადენის დროს მწვავედ, მკვეთრად საშიშია (akut gefährlich). შემდეგ, საშიშროების ცნება არასოდეს არ გულისხმობს დანაშაულობას ტექნიკური მნიშვნელობით, რადგან სუბიექტურად არადანაშაულებრივი ხელყოფაც წარმოადგენს საშიშროებას. საშიშროება ნიშნავს პოტენციალურ, და არა აქტუალურ დანაშაულობას. ფაქტიური თავდასხმა არც საფრთხის წინაპირობაა და არც მისი შედეგი. მკვეთრი საშიშროებაც სინამდვილეში არ იწვევს დანაშაულს. მეორეს მხრივ, ქრონიკული საშიშროებაც არ გულისხმობს წინა დანაშაულს (Vordelikte), როგორც ჩვევითი დანაშაულობა. „დამწყები მდგომარეობით დანაშაუე“ ქრონიკულად საშიშია, მაგალითად, ახალგაზრდა დამნაშაუე, რომელიც პირველად დგას მოსამართლის წინაშე, ვინაიდან იგი თუმცა პირველად იდენს დანაშაულს, მაგრამ იმყოფება ისეთ მდგო-

¹ F. Exner, დასახ. ნაშრომი, 63.

² იქვე, 64.

მარეობაში, რომ თუ არ გამოსწორდა, სულ ახალ და ახალ დანაშაულს ჩაიდენს. საშიშროება ნიშნავს მხოლოდ პოტენციურ დანაშაულობას¹.

კიდევაც რომ დავუშვათ, რომ საშიშროების ეს ორი ფორმა ცხოვრებაში არაა მკაფიოდ განსაზღვრული, მაინც აქ საქმე გვაქვს ორ განსხვავებულ ტიპთან — წერს ექსნერი. მათი გაყოფა, ექსნერის სიტყვით, იმიტომ არის საჭირო, რომ ამ ორ შემთხვევაში სახელმწიფოებრივი მოგერიება განსხვავებულად უნდა მოეწყოს².

მკვეთრი საშიშროების წინააღმდეგ დაცვის ღონისძიებანი ტექნიკური მნიშვნელობით გამოიყენება მხოლოდ მეტად შეზღუდული მოცულობით. მთავარ საშუალებას მათთან საბრძოლველად წარმოადგენს სასჯელი. „დაცვის ღონისძიებათა“ საკუთარ დარგს მუდამ შეადგენს ქრონიკული საშიშროება. იმის შეგნება, რომ ზოგიერთი ინდივიდები, ხანგრძლივი მიდრეკილების გამო, მუდამ ემუქრებიან საზოგადოებას, აიძულებს სახელმწიფოს მიიღოს ენერგიული წინასწარი ზომები ამ ცალკეული პირების მიმართ. ექსნერი დაასკვნის: დაცვის უმნიშვნელოვანეს და უმეტეს ღონისძიებათა წინაპირობას წარმოადგენს ქრონიკული საშიშროება³.

როდესაც ლიტერატურაში ლაპარაკობენ საშიშროებაზე, ეს ცნება გაგებულა ვიწრო მნიშვნელობით. უკვე ფეიერბახი განსაზღვრავს საშიშროებას, როგორც პირის თავისებურებას, რომელიც იძლევა საფუძველს, რომ ეს პირი, ალბათ, დაარღვევს სამართალს. კრიმინალური პოლიტიკის წინაშე დგას ამოცანა აღმოაჩინოს ისეთი გზები, რომ საშიში ადამიანები უსაშიშრო გახადოს. უკვე გროლმანი, თანმიმდევრული სპეციალური პრევენციის წარმომადგენელი წერდა: უნდა ვეძიოთ ისეთი საშუალება, რომ საშიში პიროვნება ამ საშუალების გამოყენების შედეგად უკვე არ უნდა ითვლებოდეს საშიშად.

ექსნერი აღნიშნულ ღონისძიებათა შორის ასხვავებს ორ ჯგუფს: გამოსწორების საშუალებანი და დაცვის საშუალებანი. გამოსწორების ზომების გზით საშიშროების მიზეზები უნდა იქნას გაუქმებული, დაცვის ზომების გზით საზოგადოება უნდა იქნას დაცული ამ მიზეზების მოქმედებისაგან⁴.

მაგრამ ბუნებრივად იბადება კითხვა: რომელია საშიშროების ეს მიზეზები? ექსნერი იძლევა პასუხს ამ კითხვაზე.

¹ F. Exner, დაახ. ნაშრომი, 64.

² იქვე, 65.

³ იქვე, 67.

⁴ იქვე, 70.

ინდივიდის საშიშროება, ამბობს იგი, ნიშნავს მის მიდრეკილებას მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისადმი. ხანგრძლივი საშიშროების მიზეზები ახსნილი უნდა იქნას მისი წარმოშობის საფუძვლებიდან. იგი სხვა არაა, თუ არა თვით სუბიექტში მდებარე მულმივი პირობები მისი მართლსაწინააღმდეგო ყოფაქცევისა. მართლსაწინააღმდეგო მოქმედება შეიძლება წარმოიშვას მართლსაწინააღმდეგო ნებისყოფიდან; ესაა ნორმალური შემთხვევა. მაგრამ, ექსნერის სიტყვით, საშიშროების მიზეზები არაა იდენტური ნებისყოფის საშიში წარმოშობის მიზეზებთან. საერთო საზიანო ქმედობა შეიძლება სრულიად დამოუკიდებელი იქნეს სუბიექტის ნებისყოფისა და განწყობილებისაგან. იმისათვის, რომ ყოფაქცევა შეესაბამებოდეს საზოგადოების ინტერესებს, ადამიანს უნდა ჰქონდეს აგრეთვე უნარი, თავის მოქმედებაში გამოავლინოს კეთილი ნებისყოფა. საშიშროების მიზეზი, მაშასადამე, შეიძლება ისიც იყოს, რომ ადამიანს არა აქვს ეს უნარი, რომ მას არ შეუძლია მოიქცეს ისე, როგორც ამას მოითხოვს საზოგადოება. საშიშროებას, მაშასადამე, აქვს ორმაგი მიზეზი: იგი გამომდინარეობს ან იქიდან, რომ ადამიანს არ გააჩნია სოციალურად საჭირო ყოფაქცევის სურვილი, ანდა იგი მოკლებულია უნარს მოიქცეს ისე, როგორც ამას მოითხოვს საზოგადოება. მაგრამ როგორია ამ ორი განწყობილების მიზეზები?¹.

პირველი კითხვა ეხება დანაშაულის მიზეზებს და იგი შეადგენს კრიმინოლოგიის მთავარ პრობლემას. დანაშაული, ექსნერის აზრით, წარმოადგენს შინაგანი და გარეგანი ფაქტორების შედეგს. ამ ფაქტორების ცალ-ცალკე შესწავლას მეცნიერული თვალსაზრისით აქვს მნიშვნელობა — ამტკიცებს იგი. საინტერესოა, რომ ექსნერი ასხვავებს კრიმინალურ პოლიტიკას და სოციალურ პოლიტიკას. პირველის ამოცანას შეადგენს ინდივიდებზე ზემოქმედება ფსიქიკური და ფიზიკური საშუალებებით. მისი გამასწორებელი ღონისძიებანი მიმართულია იმაზე, რომ აიცილონ ცალკეულ პირებში მოცემული საშიშროების მიზეზები და ამ გზით განხორციელებულ იქნას საზოგადოების დაცვა. სოციალური პოლიტიკის ამოცანაა საერთო, საზოგადოებრივი რეფორმების გზით ბრძოლა საშიშროების გარეგანი მიზეზებთან. ჩვენი საქმეა, ამბობს ექსნერი, ცალკეულ ინდივიდთა გასწორება, კრიმინალური სოციოლოგიის და სოციალური პოლიტიკის მთელი დარგი ცალკეა გამოყოფილიო².

¹ F Exner, დასახ. ნაშრომი, 75.

² იქვე, 77.

ამგვარად, ექსნერი ზღუდავს კვლევადიების არეს. კიდევ უფრო ვიწროდ შემოფარგლავს იგი კვლევადიების დარგს იმ მოსაზრებით, რომ აქ უნდა იქნას შესწავლილი ქრონიკული საშიშროების მიზეზები, რომლებიც გულისხმობს ინდივიდის ხანგრძლივ, მუდმივ მიდრეკილებას, იმ დროს როდესაც მკვეთრი საშიშროება წარმოიშვა გარდამავალი დანაშაულებრივი მოტივების ზეგავლენით. ექსნერი ცდილობს გამოიკვლიოს ადამიანის ყოფაქცევის მუდმივი მოტივები, საკითხი იმ სტიმულებისა და თვისებების შესახებ, რომლებიც ადამიანის ნებისყოფას ხანგრძლივ სამართლისათვის საშიშ მიმართულებას ანიჭებენ¹.

საბოლოოდ, ექსნერი არსებითად არ იძლევა მოტივების გამოკვლევას, იგი კმაყოფილდება მხოლოდ იმ მდგომარეობის აღნიშვნით, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულებრივი მოტივების წარმოშობას და მოქმედებას. ეს მდგომარეობა მას ესმის როგორც განწყობილება, რომელიც უნდა ჩაითვალოს დანაშაულის წინაპირობად, ურომლისოდ მოტივი ვერ მიიღებს გადამწყვეტ ძალას.

ექსნერი ასახელებს ამ განწყობილებათა (Dispositionen) ოთხ სახეს²

ამ ოთხ მდგომარეობას საერთო აქვს ის, რომ თუ მათ ერთვის სხვა რომელიმე არახელსაყრელი გარემოება, ისინი ხელს უწყობენ დანაშაულის წარმოშობას, ხოლო დანაშაულის მოტივებს არ წარმოადგენენ; ისინი ასუსტებენ ხანგრძლივად წინააღმდეგობის გაწევის უნარს და ამდენად ქრონიკული საშიშროების მიზეზებად იქცევიან³.

ექსნერი აყენებს კიდევ ერთ საკითხს — თუ რა მნიშვნელობა აქვს ქმედობას სოციალური დაცვის თვალსაზრისით. რომ შევადგასოთ ამ საკითხის მთელი მნიშვნელობა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ პასუხი ამ კითხვაზე უკვე იძლევა სასჯელისა და დაცვის ღონისძიების ურთიერთობის გარკვევის ცდას.

სასჯელის მსჯავრი, ამბობს ექსნერი, წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას ქმედობისა და მოქმედის შესახებ, სასჯელი შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს გარკვეული დანაშაული. სხვა მდგომარეობაა დაცვის ღონისძიების (Sicherungsmittel) დროს. საშიშროება ასაბუთებს დაცვის საჭიროებას. აქ მნიშვნელობა არა

¹ F. Exner, დასახ. ნაშრომი, 77.

² 1. უპატრონობა ახალგაზრდისა, 2. გონებრივი სისუსტე, 3. ლოთობა.
4. სიზარმაცე. იქვე, 81. ამათ ექსნერი უმატებს კიდევ ერთ ტიპს: ნებისყოფის სისუსტეს. იქვე, 82.

³ იქვე, 82.

აქეს იმას, უკვე გამოვლინდა თუ არა გარეგნულად საფრთხე რაიმე ქმედობაში. გადამწყვეტია, თუ რაა მოსალოდნელი მომავალში. საფრთხის არსებობა არის დაცვის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი საფუძველი, მისი მიზანია საფრთხის აცილება. თავისი არსით იგი ქმედობისაგან დამოუკიდებელია, მის იდეალად უნდა ჩაითვალოს „წყაროს ჩაქვტვა“, ვიდრე მისგან საზოგადოებისათვის ვნება წარმოიშობოდეს.

იმ მოსაზრებიდან, რომ საშიშროება წარმოადგენს სახელმწიფო დაცვის ღონისძიების საფუძველს, გამომდინარეობს თავისებური ხასიათის სიძნელე. საშიშროება არ არის, როგორც ქმედობა, რაღაც გრძნობადი აღქმის საგანი, რომელიმე მოვლენა გარეგან სამყაროში, იგი საერთოდ არაა რაიმე რეალური, არამედ მსჯელობაა (Urteil), რომელსაც მესამე გამოთქვამს პიროვნებაზე. ისმება კითხვა: რა საფუძველზე გამოიტანება ეს მსჯელობა? როგორ უნდა დადგინდეს განსაზღვრული პირის საშიშროება? ყოველი დაცვის პრაქტიკული შესაძლებლობა და განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საშიშროების შემეცნების უტყუარი საშუალება¹.

ექსნერი იძლევა დაცვის ღონისძიებათა წინაპირობების შემდეგ განსაზღვრებს:

1. ერთადერთ წინაპირობად მოითხოვენ ინდივიდის საშიშროების დადგენას. ამით მოსამართლეს ეძლევა შესაძლებლობა, ყველა დამამტკიცებელი საბუთების საფუძველზე, გამოიტანოს მსჯელობა საშიშროების შესახებ.

2. დაცვის ღონისძიების გამოსაყენებლად თვით კანონმდებელი მიუთითებს გარკვეულ ფაქტებს, რომლებიც მისი აზრით საშიშროების არსებობას სარწმუნოდ ამტკიცებენ. მოსამართლემ მხოლოდ უნდა დაადგინოს ამ ფაქტების არსებობა.

3. დაცვის ღონისძიების წინაპირობად მიჩნეულია როგორც საშიშროების დადგენა, ისე გარკვეული ფაქტების, როგორც საშიშროების სიმპტომების, არსებობა. აქ მოსამართლემ უნდა გამოთქვას მსჯელობა საშიშროების შესახებ, მაგრამ ეს მას შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა იგი გამოვლინდა გარკვეული კანონმდებლის მიერ დაწესებული ფორმი².

პირველი შესაძლებლობა, — წერს ექსნერი, თანამედროვე კანონმდებლის მიერ უარყოფილია; არც მეორეა მიღებული. რჩება

¹ F. Exner, დასახ. ნაშრომი, 108.

² იქვე, 109.

მესამე, რომლის მიხედვით, საშიშროების გასარკვევად და დაცვის ღონისძიების გამოსაყენებლად საჭიროა ქმედობის დადგენა¹.

მამასადამე, ექსნერი დაცვის ღონისძიების გამოყენებისას აუცილებლად სცნობს ქმედობის არსებობას. თუ ქმედობა დაცვის ღონისძიებისათვის შეადგენს მხოლოდ საშიშროების სიმპტომს, იგი აქ ასრულებს დამამტკიცებელი საბუთის როლს. მოსამართლეს არ შეუძლია თავისუფალი რწმენით დაადგინოს საშიშროება და აქედან გამოიყვანოს დასკვნები, მას ეს შეუძლია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ პირობებში. წინასწარ ნაკარნახეია ის დამამტკიცებელი საბუთები, რომლებსაც იგი უნდა დაემყაროს².

საშიშროება გამოიხატება სიმპტომების სახით. არსებობს თუ არა ამგვარი სიმპტომები, გარდა კანონში აღნიშნული დანაშაულებრივი შედეგნილობისა? ანთროპოლოგიური სკოლა ასახელებდა სხვადასხვა ანატომიურ და ფიზიოლოგიურ ნიშნებს, რომლებიც თითქოს დანაშაულთა ტიპებს ახასიათებდა, მაგრამ ექსნერი უარყოფს ამ შეხედულებას.

ექსნერს, როგორც უკვე იყო ნათქვამი, წამოყენებული აქვს გარკვეული ინდივიდუალური განწყობილების ტიპები, როგორც ქრონიკული საშიშროების მიზეზები, მაგრამ, მისი სიტყვით, ეს განწყობილებანი თავისთავად საშიშროებისათვის საკმარისი არაა. იგი ასხვავებს საერთოდ ფსიქიკური მდგომარეობის სიმპტომებს და კონკრეტულ საშიშროების სიმპტომებს. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორ აშკარავდება სინამდვილეში ფსიქიკური მიდრეკილება ამა თუ იმ ინდივიდთან მოცემულ გარემოებებში.

ინდივიდის გარეგანი აქტები, რომლებიც მისი მომავალი ყოფაქცევის მაჩვენებლად ითვლება, შეიძლება ექსტებით, სიტყვით ან მოქმედებით გამოისახოს. მკვეთრი საშიშროების დროს სიტყვიერი გამოვლენა (მაგალითად, მუქარა) მთავარ როლს ასრულებს. მაგრამ ქრონიკული საშიშროების შემთხვევაში იგი გამოიხატება უმთავრესად მოქმედებით. სწორედ იმიტომ, რომ აქ საქმე გვაქვს მიდრეკილებასთან მოქმედებისადმი, საერთო წესით იგი შეიცნობა მხოლოდ მოქმედების მეშვეობით. ამ ქმედობათა შორის პირველი ადგილი უკავია იმ ჯგუფს, რომელიც ობიექტურად მაინც დანაშაულის შედგენილობას ანხორციელებს.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ექსნერის აზრით, სასჯელი დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს გარკვეული დანაშაული,

¹ F. Exner, დასახ. ნაშრომი, 109.

² იქვე, 110.

ხოლო დაცვის ღონისძიება, პირიქით, გამოიყენება ქმედობისაგან დამოუკიდებლად; უკანასკნელ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა იმას, გამოვლინდა თუ არა გარეგნულად საფრთხე ქმედობის სახით¹. ექსნერი, ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ, როგორც ჩანს მისი სიტყვებიდან, უკვე ამტკიცებს, რომ დაცვის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელია, რომ მოცემული იყოს ქმედობა და, რაც მთავარია, იმ სახით, როგორც ეს დადგენილია კანონმდებლობით, ე. ი. დანაშაულის შედგენილობის სახით. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ჩვენ გავიზარებთ „სიმპტომატიკების“ შეხედულებას, რომლის თანახმად დანაშაული არის სოციალური საშიშროების გარეგანი გამოხატულება, მისი სიმპტომი, უნდა მივიღოთ ისიც, რომ ინდივიდის საშიშროება შესაძლოა გამოისახოს სხვა გზებით და ფორმებითაც. დანაშაული არაა ამ საშიშროების ერთადერთი სიმპტომი, მაჩვენებელი.

იურიდიულ ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნავდნენ ამ გარემოებას, მიუთითებდნენ, რომ სოცოლოგიური სკოლა არ აკეთებს სათანადო დასკვნებს თავისი ძირითადი დებულებებიდან. ლისტის საკუთარი კონცეფციის განმარტებისას ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იგი მაინც დანაშაულს უკავშირებს, პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად და წინამძღვრად კანონით დადგენილი დანაშაულის შედგენილობანი მიაჩნია.

ექსნერი იმავე თვალსაზრისზე დგას დაცვის ღონისძიების ბუნების განმარტების დროს. იგი გვაძლევს თავისი პოზიციის განმარტებას. მისი სიტყვით, პოლიტიკური მოსაზრება აიძულებს მას აღიაროს „nulla poena sine crimine“ დაცვის ღონისძიების მიმართაც². ამ მდგომარეობაშია ყოველი სპეციალური პრევენციის თეორია, სულ ერთია, რა სახითაც უნდა გამოდიოდეს იგი — სასჯელის თეორიის თუ დაცვის ღონისძიების თეორიის სახით. ლისტის შეხედულებას არათანმიმდევრობას უსაყვედურებდნენ. ყველაფერი, რაც ამ მხრივ წამოყენებული იყო სპეციალური პრევენციის წინააღმდეგ, ინარჩუნებს თავის ძალას დაცვის ღონისძიების მიმართ³.

ექსნერს მოჰყავს ფრანგი კრიმინალისტის გარსონის სიტყვებში დებულების „nulla poena sine lege“ დარღვევის შესახებ: ერები, რომლებიც ცხოვრობენ თვითნებური რეჟიმის ქვეშ, ადვილად მიხედებიან მის საშიშროებას; ხოლო ისინი, რომლებიც დიდი ხანია

¹ F. Exner, დასახ. ნაშრომი, 113.

² იქვე, 114.

³ იქვე, 114.

სარგებლობენ ინდივიდუალური თავისუფლების დამცველი გარანტიებით, რასაკვირველია, ვერ იტყვიან მასზე უარს, ისე რომ არ დადგენენ საშიშროების წინაშე¹.

მაშასადამე, ექსნერი ხელმძღვანელობს პოლიტიკური მოტივით, როცა დაცვის ღონისძიებას დანაშაულებრივ ქმედობას უკავშირებს. მაგრამ, მისი აზრით ამ ზოგად პრინციპს აქვს თავისი გამონაკლისები².

უპირველეს ყოვლისა გამონაკლისი დაშვებული უნდა იქნას იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოებრივი დაცვის მოთხოვნა ემთხვევა საზოგადოებრივი ზრუნვის მოთხოვნას, ე. ი. როცა კრიმინალური პოლიტიკა და სოციალური პოლიტიკა ერთმანეთს ხვდებიან. სულით ავადმყოფთა და უპატრონო ახალგაზრდობის მიმართ სახელმწიფო ლებულობს სათანადო იძულებითი ზომებს, რაც ნაკარნახევია მათი მდგომარეობით.

ყველა სიმპტომებს შორის, რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდის საშიშროებას მოწმობენ, ქმედობა (die Tat), ექსნერის აზრით, მატერიალურად უმნიშვნელოვანესია და ფორმალურად აუცილებელია. მაგრამ იგი მხოლოდ ერთ-ერთი სიმპტომია, გარეგანი ნიშანია დაცვის საჭიროებისა და მისი მნიშვნელობა ამით ამოიწურება. იგი ასრულებს გარკვეულ როლს მხოლოდ მაშინ, როცა სიმპტომატურია ინდივიდისათვის. ექსნერი აყენებს კითხვას: რა პირობებში მიეწერება ქმედობას ეს თვისება? რადგან ყოველი დანაშაული არ წარმოადგენს აუცილებლად საშიშროების სიმპტომს და არც საშიშროების ყოველი საჭირო სიმპტომი არაა აუცილებლად დანაშაული³.

ქმედობა მხოლოდ მაშინ არის დაცვის ღონისძიების გამოყენების საბაზი, როცა იგი უპასუხებს განსაზღვრულ ობიექტურ და სუბიექტურ წინაპირობებს. ობიექტურად მართლწინააღმდეგი ქმედობა თავისთავად არასოდეს არაა საშიშროების სიმპტომი. იგი შეიძლება გახდეს დაცვის საბაზი მხოლოდ მაშინ, როცა მოწმობს, რომ მოქმედი პირი შემდეგშიც იქნება საშიში საზოგადოებისათვის. ეს ნიშნავს იმას, რომ სუბიექტსა და გარეგან ხდომილებას შორის უნდა არსებობდეს დამოკიდებულება, რომელიც იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას ქმედობის არსიდან მოქმედი პირის არსზე⁴.

¹ F Exner, დაახ. ნაშრომი, 114.

² იქვე, 118.

³ იქვე, 125.

⁴ იქვე, 128.

ქმედობა როგორც სიმპტომი გულისხმობს ორგვარ შერაცხვას: 1. ბრალად შერაცხვას; იგი ნიშნავს, რომ მოქმედება პირის ნების-ყოფიდან გამომდინარეობს. 2. საშიშროებად შერაცხვას, რაც ნიშნავს იმას, რომ მოქმედების წყაროს მუდმივად საშიში განწყობილება შეადგენს; მოქმედება არის ფსიქიკური მდგომარეობის გამოვლენა, რომელიც მოსალოდნელს ხდის ნებისყოფის მსგავს მოვლენებს¹. აღნიშნულ ორგვარ შერაცხვას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ბრალეულობა და საშიშროება იდენტური არაა. ყოველი ბრალეული მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს მუდმივი საშიშროების სიმპტომად².

სისხლის სამართალში მიღებულია დებულება, რომლის თანახმად პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც ქმედობა ბრალეულად ჩაიდინა; თუ დადგენილია, რომ ადგილი ჰქონდა „შემთხვევას“, პასუხისმგებლობა მოხსნილია. დაცვის ღონისძიებათა დარგში სხვა მდგომარეობაა. აქ დაცვის ღონისძიება შესაძლოა გამოყენებულ იქნას არაბრალეული პირის მიმართაც³.

დაბოლოს, უნდა დავახსიანოთ, თუ როგორ აქვს წარმოდგენილი ექსნერს სასჯელის და დაცვის ღონისძიების ურთიერთდამოკიდებულება. კრიმინალური პოლიტიკის მიზანია, — ამბობს იგი, — დანაშაულობის შემცირება. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მის განკარგულებაშია ორი იარაღი. ერთია სასჯელი, იგი მიმართულია საზოგადოებისადმი; მეორეა დაცვის ღონისძიება, იგი მიმართულია იმ ცალკეულ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც სასჯელის ფსიქიკური ზემოქმედებისათვის მიუწვდომელია: მას სურს განსაკუთრებული მოპყრობის გზით მოხსნას ინდივიდში არსებული საზოგადოებრივი საშიშროება. სასჯელის მიზანია უპირატესად ზოგადი პრევენცია, ხოლო დაცვის ღონისძიების — სპეციალური პრევენცია. რა თქმა უნდა, წინააღმდეგობა მათ შორის ამ მხრივ არც იმდენად მკვეთრია, ვინაიდან სასჯელმაც უნდა მოახდინოს გამასწორებელი გავლენა ცალკეულ პირზე, მეორეს მხრივ, დაცვის ღონისძიებამაც უნდა იქონიოს დამაშინებელი ზემოქმედება საზოგადოებაზე. მაგრამ, ექსნერის სიტყვით, ეს არის ორივე ინსტიტუტის დამატებითი

¹ F. Exner, დასა. ნაშრომი, 130.

² იქვე, 131.

³ იქვე, 132.

ფუნქცია და შეიძლება განხორციელდეს მთავარი მიზნის დაურღვევლად¹.

ამგვარად, ამ ავტორის აზრით, სასჯელის მიზანია საერთო პრევენცია და იმავე დროს იგი მოქმედობს სპეციალური პრევენციის ხაზით, რამდენადაც ეს შესაძლოა მთავარი მიზნის ფარგლებში.

დაცვის ღონისძიების მიზანია სპეციალური პრევენცია და იგი მოქმედებს საერთო პრევენციის გზით, რამდენადაც ეს დასაშვებია მთავარი მიზნის ჩარჩოებში².

ორივე ღონისძიება, მაშასადამე, ანხორციელებს როგორც საერთო, ისე სპეციალურ პრევენციას, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ხან ერთს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ხან მეორეს. „ორივე ღონისძიება დგას ერთნაირ ნიადაგზე, ორივე პრევენციული საშუალებაა, სახელდობრ, დანაშაულის წინააღმდეგ. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად ისინი სხვადასხვა გზით მიდიან. სასჯელი უნდა იყოს სიძვე, იგი ყოველ შემთხვევაში ყოველთვის წარმოდგენილი იყო როგორც სიძვე, თუმცა ყოველთვის როგორც სიძვე არ ყოფილა განცდილი. დაცვის ღონისძიებამ არ უნდა დააშინოს, ამიტომ იგი არასოდეს არაა გააზრებული როგორც სიძვე, თუმცა ხშირად როგორც სიძვეა განცდილი. სასჯელი დაკავშირებულია ქმედობისა და მოქმედის დაწუნებასთან (Missbilligung), დაცვის ღონისძიება კი არა, იგი „ეთიკურად უფერულია“ („es ist ethisch farblos“)³. სასჯელს აქვს გარკვეული სამართლებრივი და ეთიკური მოქმედება, სამართლებრივი შედეგები, რომლებსაც დაცვის ღონისძიება არ იცნობს⁴.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში არსებობს ორი სხვადასხვა მიმართულება დაყენებული საკითხის გადაწყვეტის თვალსაზრისით. ერთნი აცხადებენ, რომ სასჯელი და დაცვის ღონისძიება ემსახურებიან მიზნებს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო. მეორენი ამტკიცებენ, რომ ორივე ინსტიტუტი იდენტურია, ამიტომ მათი განსხვავება შეუძლებელია და ყალბ წინამძღვრებზეა დამყარებული. პირველ მიმართულებას ამჟამად ეკუთვნიან ცალკეული წარმომადგენელი სამაგიეროს მიზღვის აბსოლუტური თეორიისა; კლასიკური სკოლის მომხრეთა უმრავლესობა კი სასჯელის დანიშნულებას

¹ F. Exner, დასახ. ნაშრომი, 228.

² იქვე, 228.

³ იქვე, 229.

⁴ იქვე, 229.

ბას სიკეთეთა დაცვაში ხედავს და მას შეუძლია სწორად გაიგოს მისი დამოკიდებულება დაცვის ღონისძიებასთან¹.

ექსნერი მიუთითებს, რომ სასჯელსა და დაცვის ღონისძიებას შორის განსხვავების მოხსნას საფუძვლად უდევს სასჯელის არსის არასწორი გაგება. ამ შეცდომამდე მილიან ორი გზით; დასახელებული ინსტიტუტების გაიგივება ხდება: 1. მათი მიზნების გაიგივების და 2. მათი წინამძღვრებისა და შინაარსის გაიგივების გზით. ცხადია, რომ თუ ორი ღონისძიება თავისი მიზნებით ერთმანეთს სავსებით ემთხვევა, ისინი შინაარსობრივადაც ერთმანეთს უნდა დაემთხვეს. მეორეს მხრივ, თუ ორი ღონისძიება, კიდევ რომ მათი მიზნები სხვადასხვა იყოს, ფაქტიურად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან არც შინაარსით და არც წინამძღვრებით, მათი გაყოფა უაზრო იქნებოდა².

აცხადებენ, რომ დაცვის ღონისძიების ნამდვილი მიზანი—სპეციალური პრევენცია — სასჯელის მიზანსაც შეადგენსო; მაშასადამე, სასჯელი და დაცვის ღონისძიება ერთმანეთს. ამგვარად, სასჯელი იქცევა დაცვის ღონისძიებად. ასეთია ზოგიერთი ფსიქიატრის და უკიდურესი კრიმინალისტის (Aschaffenburg) შეხედულება. შესაძლოა მეორე ვარიანტი: დაცვის ღონისძიება იქცევა სასჯელად, არსებობს მხოლოდ სასჯელი. ასე მსჯელობენ იტალიელი პოზიტივისტები და ზოგიერთი გერმანელი კრიმინალისტები³. როგორც ჩანს ექსნერის ზემოთ დახასიათებული შეხედულებიდან, ეს ავტორი არ იზიარებს უკიდურეს თეორიებს: იგი უარპყობს როგორც იმ კონცეფციას, რომელიც შლის ყოველ ზღვარს სასჯელსა და დაცვის ღონისძიებას შორის, ისე იმ მოძღვრებას, რომელიც სავსებით სთიშავს ერთმანეთისაგან ამ ორ ინსტიტუტს.

ჩვენ შევჩერდით ექსნერის კონცეფციის გადმოცემაზე იმ მოსაზრებით, რომ ნათლად წარმოგვედგინა დაყენებული საკითხის მთელი სირთულე და მნიშვნელობა.

მოკლედ დავახასიათებთ გერმანელი კრიმინალისტის ე. დელაქის შეხედულებას, რომელმაც, ექსნერის სიტყვით, სრულიად წაშალა ზღვარი დაცვის ღონისძიებასა და სასჯელს შორის.

¹ F. Exner, დასახ. ნაშრომი, 230.

² იქვე, 231.

³ იქვე, 231.

დელაქი აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის განვითარებამ პირველ პლანზე დააყენა ორი პრობლემა: ბრალის პრობლემა და საკითხი სასჯელისა და დაცვის ღონისძიებების შინაარსისა და მათი გამოყენების შესახებ. უახლეს ლიტერატურასა და კანონმდებლობაზე დაყრდნობით დელაქი ცდილობს გამოიკვლიოს მეორე პრობლემა¹.

შტოსის მსგავსად, დელაქი აყენებს კითხვას: დაცვის ღონისძიება, რომელიც ადმინისტრაციული სამართლიდან არის ნასესხები, განიცდის თუ არა მისი სისხლის სამართალში გადატანის გამო ძირითად სამართლებრივ ცვლილებას? იტალიელი კრიმინალისტი ლონგიც სვამს კითხვას: ახალი ნორმები პრევენციის შესახებ ნამდვილად სისხლის სამართლის დარგს ეკუთვნიან თუ არაო? დელაქი იკვლევს ამ ძირითად საკითხებს.

კლასიკური სკოლის წარმომადგენლებმა, და პირველ რიგში ბირკმეიერმა, — წერს დელაქი, — დაუსაბუთებლად წამოაყენეს შეხედულება, რომ სასჯელი და დაცვის ღონისძიებანი თავისი შინაარსით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ სასჯელი გულისხმობს რეპრესიას, ხოლო დაცვის ღონისძიება — პრევენციას და რომ პრევენციის საიმპერიო ხაზით მოწესრიგება უფრო საპოლიციო ხასიათისა და წარმოდგენს ღრმა შექრას მოკავშირე სახელმწიფოთა ადმინისტრაციულ სამართალში. ამგვარად მიღებულია შემდეგი დებულებანი: სასჯელი არის სამაგიეროს მიზლვა, რეპრესია, ხოლო დაცვის ღონისძიება — არიდება, პრევენცია იმ აზრით, რომ თვით დასჯად მოქმედებასთან დაკავშირებული სპეციალური პრევენციული ღონისძიება წარმოდგენს დაცვის ღონისძიებას და ამდენად მას აქვს ადმინისტრაციული სამართლის ხასიათი².

გამოდის რა იქიდან, რომ სასჯელი არის სამაგიეროს მიზლის მიზნით დაწესებული რეპრესია დანაშაულისა, რომელიც ხდება იმ გზით, რომ დამნაშავეს სასამართლო განაჩენის საფუძველზე მიეყენება მისი ქმედობის და მასში გამოვლინებული ბრალის პროპორციული სიავე, ბირკმეიერი დაასკვნის, რომ ყველა ეს ღონისძიება, რომელიც, ამის საწინააღმდეგოდ, მიზნად პრევენციას ისახავს, უნდა იქნას გაგებული როგორც დაცვის ღონისძიება. დაცვის ღონისძიება გამოიყენება საერთოსაშიშ დამნაშავეს წინააღმდეგ, რითაც სახელმწიფო ცდილობს აიცდინოს თავიდან შემდგომი დარღვევა

¹ Delaquis, Die Umbildung des Strafbegriffs im modernen Kriminalrecht. Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft. B. 32, 1911, 672 იმავე ჟურნალში იხ. Kohlrausch-ისა და Aschaffenburg-ის გამოკვლევები ალკოჰოლიკებისა და საერთოსაშიშ დამნაშავეთა შესახებ.

² დელაქის დასახ. შრომა, 674,

მართლწესრიგისა პირველებისადმი ინდივიდუალური მოპყრობის (Behandlung) გზით.

დელაქი მიუთითებს, რომ ბირკმეიერის მიერ გატარებული განსხვავება რეპრესიისა და პრევენციისა არაა სწორი. მათ შორის მდებარეობს შერეული ფორმების დარგი, რომელთაც აქვთ ნახევრად სასჯელის და ნახევრად დაცვის ხასიათი. სწორედ ეს ნარევი ფორმები წარმოადგენენ იმ მოვლენებს, რომელთაც დაცვის ღონისძიებანი ეწოდება. მაშასადამე, ეს ცნება თავისი შინაარსით ზუსტად გარკვეული არ ყოფილა¹.

დაცვის ღონისძიება ესმით სხვადასხვა მნიშვნელობით. პირველ ყოვლისა იგი ესმით როგორც ისეთი ღონისძიება, რომელიც უკავშირდება დანაშაულის სუბიექტურ და ობიექტურ შედგენილობას და მიზნად ისახავს პრევენციას. შემდეგ იგი გაგებულია როგორც ღონისძიება, რომელიც უკავშირდება მართოდენ ობიექტურ შედგენილობას და დასახული აქვს იგივე მიზანი; დაბოლოს, როგორც ისეთი ზომები, რომელთა გამოსაყენებლად მხოლოდ საშიშროების არსებობა, მისი დადგომის შესაძლებლობაც კი საკმარისია. ამ სამი გაგებიდან დელაქი დებულობს პირველს².

დელაქი ხშირად ეკამათება კლასიკური სკოლის წარმომადგენელს ბირკმეიერს. კლასიკური სკოლის მოძღვრების მიხედვით, ამბობს, დელაქი, სასჯელი არის სისხლის სამართლის მოსამართლის მიერ შეყენებული რეპრესიისა სამაგიეროს მიზღვის მიზნით, რომელიც სიივეს წარმოადგენს და დამყარებულია ცალკეულ ქმედობაში გამოვლენილ ბრალზე. დაცვის ღონისძიება, პირიქით, არის პრევენცია ინდივიდუალური მოპყრობის მიზნით და ეყრდნობა დამნაშავის საერთოსაშიშ მდგომარეობას³. ამგვარად აყალიბებს დელაქი კლასიკური სკოლის მთავარ დებულებებს დაყენებული პრობლემის დარგში.

დელაქის სიტყვით, იგი არ უარყოფს, რომ ზოგიერთი ღონისძიებანი უპირატესად გამოიყენება პრევენციის, ხოლო სხვები პირველ ყოვლისა — რეპრესიის მიზნით. მაგრამ ეს არ იძლევა უფლებას ეს ღონისძიებანი გამოვაცხადოთ განსხვავებულად მათი შინაარსის მხრივ და მოვწყვიტოთ ისინი ერთმანეთს, როგორც ამას ფიქრობს, მაგალითად, ბირკმეიერიო — წერს დელაქი⁴.

¹ დასახ. შრომა, 680.

² იქვე, 681.

³ იქვე, 679.

⁴ იქვე, 684.

დელაქის აზრით, მთელი განსხვავება აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის ოდენობითია, და არა თვისობრივი. აქ მკვეთრად არის გამოთქმული დელაქის შეხედულება ამ საკითხში. დელაქი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამაგეროს მიზნად შემთხვევით დამნაშავეთა მიმართ (მისი გაგებით) რაღაც სხვაა, ვიდრე ეს ესმის ბირკმეიერს, და რომ თვით იგი შეიცავს „დაცვის“ მომენტს. სასჯელში ერთად არის მოცემული როგორც რებრესია, ისე პრვენცია.

მტკიცება იმის შესახებ, რომ სასჯელი არის რებრესია, ხოლო დაცვის ღონისძიება — პრვენცია, მოკლებულია საფუძველს. ამის შესაბამისად, დელაქის დადგენილად მიიჩნია, რომ სასჯელის ტრადიციულად დამკვიდრებულმა ცნებამ, რომელსაც მთელი სიმკვეთრით მხარს უჭერდა კლასიკური სკოლა, დაკარგა თავისი მნიშვნელობა?

დელაქი აყენებს კითხვას: რა შეადგენს ორივე ღონისძიების საფუძველს? და უპასუხებს, რომ ეს საფუძველი ზუსტად ერთი და იგივეა: დასჯადი მოქმედება. მაგრამ ამტკიცებენ, რომ სასჯელის დროს დანაშაული არის საფუძველი, ხოლო დაცვის ღონისძიების დროს — სამართლებრივი შედეგის გამოყენების საბაზი. ამით ბირკმეიერს სურს თქვას, რომ სასჯელი როგორც შედეგი დაიყვანება მოქმედებაზე, ანდა უფრო ზუსტად: ცალკეულ დასჯად მოქმედებაში გამოსახულ ბრალზე როგორც მიზეზზე. დაცვის ღონისძიება კი ემყარება არა დასჯად მოქმედებაში მოცემულ ბრალს, არამედ გულისხმობს განსაზღვრული მდგომარეობის სიმპტომს.

დელაქი არ ეთანხმება ამ დებულებას. ამეამად, ამბობს იგი, მხედველობაში იღებენ მოქმედების გვერდით განწყობილებას და თუ სურთ მიიღონ სწორი, გამოსადეგი შედეგები, ბრალი უნდა იქნას გაგებული როგორც მოქმედი პირის ფსიქიკური მდგომარეობა გარეშე სამყაროსთან კავშირში; ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, მოქმედება უნდა იქნას მიჩნეული როგორც მისი სიმპტომი, ხოლო სასჯელი — როგორც ამ ფსიქიკური წყობის შესაბამისი რეაქცია¹.

ლიტერატურაში დაყენებული იყო საკითხი — შეუძლიათ თუ არა სასჯელს და დაცვის ღონისძიებას შეცვალონ ერთმანეთი, დაიკავონ ერთმანეთის ადგილი? დელაქისათვის ეს საკითხი არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, იგი მისთვის იმთავითვე გადაწყვეტილია.

¹ დასახ. ნაშრომი, 684.

² იქვე, 685.

³ იქვე, 686.

შინაარსობლივად ისინი თანასწორია, ისინი განსხვავებულია მხოლოდ ცალკეული ელემენტების მხრივ და ეს განსხვავება მხოლოდ ოდენობითია, მაშასადამე, არაფერი არ ეღობება წინ იმის დაშვებას, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი შეცვლაც¹.

დელაქი იხილავს საკითხს, თუ რამდენად გამოიყენება დაცვის ღონისძიების მიმართ ისეთი იურიდიული ინსტიტუტი, როგორცაა ხანდაზმულობა და დადებითად წყვეტს მას. მაგალითის სახით მას მოჰყავს ის შემთხვევა, როდესაც ვინმე თავიდან აიცილებს დაცვის ღონისძიების აღსრულებას, მიღის საზღვარგარეთ, იქ კერძო დაწესებულებაში იმკურნალებს და განკურნების შემდეგ ბრუნდება სამშობლოში; მას, ცხადია, უკვე დაცვის ღონისძიებას არ შეუფარდებენ. ავტორის აზრით, არაა აგრეთვე გამორიცხული წინასწარი პატიმრობის ჩათვლა დაცვის ღონისძიების დროს. ვადამდე განთავისუფლებაც შესაძლოა დაცვის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში².

საბოლოოდ, დელაქი მიღის იმ დასკვნამდე, რომ სახელწოდებას არა აქვს მნიშვნელობა: ვილაპარაკებთ სასაჯელზე, თუ დაცვის ღონისძიებაზე, ეს სულერთია, მაგრამ ტრადიციის მიხედვით დელაქი მაინც უპირატესობას აძლევს სასაჯელის ცნებას გაფართოებული მოცულობით³.

რამდენიმე სიტყვით შევჩერდებით, დაყენებულ პრობლემასთან დაკავშირებით, იუსტიციის და ადმინისტრაციის განსხვავების საკითხზე, რომელიც კრიმინალისტებსაც აინტერესებდა. კლასიკური სკოლის წარმომადგენელი, ბირკმეიერი, ახალ მიმართულებას უსაყვედურებდა, რომ ის აუქმებს ზღვარს ამ ორ დარგს შორის. დელაქი ეკამათება ბირკმეიერს და მიუთითებს, რომ ზუსტი ზღვარის გატარება იუსტიციასა და ადმინისტრაციას შორის ძნელია. ამბობენ, რომ სასამართლო განაჩენი თავისი არსით უბეზრკილია, ხოლო მმართველობის აქტი თავისუფალია⁴. ეს თითქოს ძირითადი ნიშანია. მაგრამ ეს განსხვავება კონკრეტულ სინამდვილეში ქრება, ვინაიდან ცალკეულ შემთხვევებში საწინააღმდეგოს ვხედავთ: თავისუფალ მოსაზრებას სასამართლოებში და უბეზრკილობას მმართველობაში. ამ მხრივ საკმარისია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების გაცნობა. მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 32 ადგენს: სიკვდილით დასჯის და საკატორლო სამუშაოს გარდა შე-

¹ დასახ. ნაშრომი, 687.

² იქვე, 689.

³ იქვე, 690.

⁴ იქვე, 695.

იძლება დამატებით მიესაჯოს სამოქალაქო საპატიო უფლების აყრა. იმავე კოდექსის § 185 ადგენს: შეურაცხყოფა ისჯება ჯარიმით 600 მარკამდე ან დატუსაღებით ან საპყრობილეში მოთავსებით ვადით 1 წლამდე.

ასეთი მდგომარეობაა ცალკეულ შემთხვევებში. დელაქის მოპყავს გერმანელი იურისტის ლაუნის აზრი იმის შესახებ, რომ თუ თავისუფალი მოსაზრება (Ermessen) მოსამართლისა და ადმინისტრაციის თანამდებობის პირისა ერთნაირია, მაშინ განსხვავების გატარება მართლმსაჯულებასა და მმართველობას შორის შეუძლებელია. იმავე აზრს გამოთქვამენ ცორნი და ბერნაციკი. ამის მიხედვით დელაქი აყენებს კითხვას: მაშინ ხომ არაა წაშლილი ზღვარი სასჯელსა და დაცის ღონისძიებას შორის? ვინაიდან ეს მოსამართლის მოსაზრება სხვა არაფერია, თუ არა მიზანშეწონილება, მაგრამ „მოსაზრებას“ შესაძლოა ჰქონდეს განსხვავებული სტრუქტურა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მიხედვით. ზემოთ დასახელებულმა ლაუნმა შეისწავლა „შეზღუდული მოსაზრების“ და თავისუფალი მოსაზრების სხვადასხვა ფორმები, მაგრამ აქაც, დელაქის სიტყვით, არ ჩანს ზუსტი ზღვარი მმართველობასა და იუსტიციას შორის, მხოლოდ მტკიცდება, რომ მოსამართლის მოსაზრება ეკუთვნის უპირატესად კანონიერი შებორკილების დარღვს¹. მაშასადამე, დელაქი ეთანხმება იმ აზრს, რომ მოსამართლე მაინც შებოჭილია თავის მოღვაწეობაში კანონის დადგენილებებით. სხვანაირად იკარგება სასამართლო საქმიანობის თავისებურება შედარებით ადმინისტრაციასთან.

მაგრამ მაინც უდავოა, რომ მოსამართლეს თვით კანონის ძალით მინიჭებული აქვს ერთგვარი თავისუფალი მოსაზრების უფლება განაჩენის გამოტანის დროს. ამას ცნობს ყველა თანამედროვე კოდექსი, ყველგან ვნახულობთ შეფარდებით განსაზღვრულ სანქციებს. ლაუნს მოპყავს შემდეგი მაგალითი: კანონი ადგენს თავისუფლების აღკვეთას 1—5 წლის ვადით, მოსამართლე ამ დადგენილების საფუძველზე მიუსჯის თავისუფლების აღკვეთას 2 წლით: მას არ შეუძლია თქვას, რომ 3 ან 4 წელი აგრეთვე სამართლიანი იქნებოდაო; მის განაჩენს უნდა ექნეს ერთადერთი სწორი განაჩენის ძალა.

ამის შესაბამისად, როგორია მდგომარეობა დაცვის ღონისძიების დანიშვნის დროს? დელაქი აყენებს ამ კითხვას და იძლევა სხვადასხვა ვარიანტებს. მაგრამ მის მიერ მოყვანილი შემთხვევები მოწმობენ, რომ აქ მდგომარეობა არაა ისეთი, როგორც სასჯელის დანი-

¹ დელაქი, დასახ. ნაშრომი, 696.

შენის დროს, ვინაიდან ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით სასამართლო დასაშვებად ცნობს დაცვის ღონისძიების სისრულეში მოყვანას მმართველობის ორგანოს მეშვეობით; უკანასკნელს შეუძლია შეასრულოს ღონისძიება, განსაზღვროს მისი ხანგრძლივობა, მისი საბოლოო მომენტი. როგორც ვხედავთ, ადმინისტრაციას ამით ენიჭება შედარებით ფართო უფლებები.

უკვე შტოსმა დააყენა საკითხი იმის შესახებ, განიცდის თუ არა დაცვის ღონისძიება, რომელიც ნასესხები იყო ადმინისტრაციული სამართლიდან, ძირითად სამართლებრივ ცვლილებას მისი სისხლის სამართალში გადატანის შედეგად? ამ კითხვაზე დელაქი იძლევა შემდეგ პასუხს. იმ ვარაუდების გამო, რომ მოსამართლე დამნაშავეს ფსიქიკური მდგომარეობის საფუძველზე და ამ ფსიქიკური წყობის შესაბამისად გამოიყენებს დაცვის ღონისძიებას, რომელიც ერთხელ მმართველობას ეკუთვნოდა, ეს ღონისძიება მატერიალურადაც იუსტიციის აქტს წარმოადგენს. ამგვარად, განსხვავება სასჯელსა და დაცვის ღონისძიებას შორის იმ გაგებით, რომელიც მიღებული იყო აქამდე, დელაქის შეუძლებლად მიიჩნია. რატომ, — აყენებს იგი კითხვას, — ბირკმეიერი და მისი მიმდევრები დაეინებით ამტკიცებენ, რომ დაცვის ღონისძიებანი მხოლოდ მმართველობის ზომებს შეადგენენო? და უპასუხებს: იმიტომ რომ სხვაანაირად მათი კონცეფციის საფუძველი მცდარი აღმოჩნდებოდა¹.

ამ მოკლე ვადმოცემიდან ჩანს, რომ დელაქის შეხედულებით არ არსებობს არავითარი ძირითადი სხვაობა ზემოთ განხილულ ინსტიტუტებს შორის. მისი აზრით, არსებობს ერთადერთი ინსტიტუტი — სასჯელი, რომელიც გაგებულია ფართო მნიშვნელობით და მოიცავს დაცვის ღონისძიებებსაც.

11

რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი ე. ნემიროვსკი ახასიათებს კლასიკური სკოლის დამსახურებას და ამავე დროს აღნიშნავს მის ნაკლოვანებებს. ამ სკოლის მთავარ ნაკლოვანებად მას მიიჩნია ის, რომ მისი მოძღვრება მოწყვეტილია ცხოვრებას. სასჯელის საფუძველად მიჩნეულია სასჯელის და ბრალის სიმძიმის პროპორციულობის პრინციპი, მაგრამ ბრალის სიმძიმე იზომება შედეგების სიმძიმის მიხედვით: ხელყოფის ობიექტის მნიშვნელობით და მისთვის მიყენებული ვნების ხარისხით. ეს იყო შედეგი სამართლიანი სამა-

¹ დელაქი, დასახ. შრომა, 702.

გვერდის მიზღვის იდეისა კლასიციზმის კორიფების გაგებით. ნემიროვსკის ეს აზრი უდაოდ სწორია. მაგრამ ვერ დავეთანხმებით ამავე ავტორის აზრს, რომ თითქოს „იმასვე მოითხოვდა ფეიერბახის მიერ დასაბუთებული ფსიქოლოგიური იძულების იდეა და უფრო გვიან საერთო პრევენციის იდეა: რაც უფრო მაღალია სიკეთე, მით უფრო მეტი უნდა იყოს სასჯელის ზომა, — იმისათვის რომ შეაკავოს დანაშაულებრივი მისწრაფება, და გადაწონოს ამ იმპულსის ძალა (ფეიერბახი), ანდა უფრო ენერგიულად იქნას დაცული უფრო მეტი ღირებულების სიკეთენი“¹.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ნემიროვსკის შეხედულებას იმ მოსაზრებით, რომ აქ ერთმანეთში არეულია ორი საწინააღმდეგო პრინციპი: სამაგიეროს მიზღვა და პრევენცია. კლასიკური სკოლა საერთო წესით აღიარებდა პირველს, სასჯელის არსს იგი ხედავდა სამაგიეროს მიზღვაში, რომელიც თავისი ბუნებით სასჯელის და დანაშაულის თანაზომიერებას, პროპორციულობას მოითხოვს. ამდენად, ნემიროვსკის აზრი სწორია: «В основу кладется принцип пропорциональности наказания тяжести вины... К этому приводила идея справедливого воздаяния — возмездия, в понимании корифеев классицизма».

მაგრამ ამ პრინციპთან ფეიერბახის თეორიის გათანასწორება მართებულად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ფეიერბახი, რამდენადაც ჩვენ გვესმის მისი მოძღვრება, სამაგიეროს მიზღვის პრინციპის მომხრე არაა, იგი, პირიქით, თანმიმდევრულად ანვითარებს ზოგადი პრევენციის იდეას². მართალია, ზოგიერთი ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ თითქოს ფეიერბახის შრომაში გატარებულია სამაგიეროს მიზღვის პრინციპი, მაგრამ ეს აზრი არაა სათანადოდ დასაბუთებული³.

კლასიკური სკოლის ყველა წარმომადგენელი როდი იზიარებს სამაგიეროს მიზღვის პრინციპს. მრავალი ისეთი კრიმინალისტები, რომლებიც მას უარყოფენ. მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თვით დამაარსებელი კლასიკური მიმართულებისა. ა. ფეიერბახი, მას კატეგორიულად უარყოფს და ცდილობს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაამყაროს ფსიქოლოგიის დარგიდან ამოღებულ საფუძველზე. მისი მოძღვრება ზოგადი პრევენციის სახეობას წარმოადგენს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაყენებული სისხლის სამართლის ძირითადი პრობლემის გარკვევის მიზნით სასარგებლო იქნება იმ საკითხის

¹ Э. Немировский, Основные начала уголовного права, 1917, 23.

² იხ. ამ შრომის მეორე თავი, სადაც განხილულია პრევენციის თეორიები.

³ მაგალითად, ნავლერი.

განხილვა, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობენ ის ავტორები, რომლებიც უარს ამბობენ სისხლის სამართალში საერთოდ მიღებულ და საუკუნოვანი ტრადიციით განმტკიცებულ პრინციპზე.

უნდა განვასხვაოთ ორი საკითხი: როგორ უყურებს თანამედროვე ბურჟუაზიული სისხლის სამართალი—თეორია და კანონმდებლობა — სასჯელის შინაარსს და მის დანიშნულებას? როგორ არის წარმოდგენილი სასჯელის როლი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარების შემდეგ საფეხურებზე?

ჩვენ უკვე გავეცანით ცნობილი გერმანელი კრიმინალისტიკის, ბირკმეიერის, შეხედულებას, რომლის თანახმად სასჯელი არის სამაგიეროს მიზლვა და ასეთად უნდა დარჩეს. ბურჟუაზიულ მწერალთა უმრავლესობა სწორედ ამ აზრს იზიარებს. მაგრამ არიან ისეთნი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ თუმცა თანამედროვე სასჯელი ემყარება სამაგიეროს მიზლვას, მაგრამ მომავალში მას ეს ხასიათი არ უნდა ჰქონდესო. ეს განსხვავება კარგად აქვს აღნიშნული ჟიჟილენკოს, რომელიც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამაგიეროს მიზლვის წინააღმდეგ გამოდიან უმთავრესად არა *lex lata* —ს თვალსაზრისით, რადგან კრიტიკოსთა უმრავლესობა აღიარებს, რომ თანამედროვე სასჯელი ეყრდნობა სამაგიეროს მიზლვას, არამედ სწორედ *lex ferenda*-ს თვალსაზრისით, სახელდობრ მიუთითებენ სასჯელის თანამედროვე კონსტრუქციის უსწორობაზე და სასურველად მიაჩნიათ სასჯელის, როგორც სამაგიეროს მიზლვის, შეცვლა ახალი გაგებით, რომელიც სამაგიეროს მიზლვის ელემენტს სასჯელში უარპყოდს — სასჯელი წარმოდგენილია ამ ელემენტის გარეშე¹. მხოლოდ ზოგიერთი მწერალი თანამედროვე სასჯელშიც ვერ ნახულობს სამაგიეროს მიზლვას. ასე, მაგალითად, ტაგანცევი წერს, რომ მხოლოდ უძველესი სამართალი ცნობდა სასჯელის პრინციპად ტალიონს ან სამაგიეროს მიზლვას, მაგრამ უკვე XVI და XVII საუკუნეთა კანონმდებლობანი პირდაპირ ადგენდნენ, რომ სასჯელი გამოიყენება მისი სარგებლიანობის გამო. მეორე მწერალი, პოზნიშევი, აგრეთვე შენიშნავს, რომ სამაგიეროს მიზლვის იდეის ბატონობის ხანა მოისპო სამუდამოდ ყველაზე უფრო კულტურულ ხალხთა შგანებაშიო. ჟიჟილენკოს საერთო კონცეფციას ჩვენ უკვე გავეცანით

¹ Наказание, 216.

მეტად საინტერესოა, რომ ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში „სამაგიეროს მიზლვის“ (возмездия—Vergeltung) მაგიერ ვხვდებით სხვადასხვა ტერმინებს: Entgeltung (отплата), Retribution (воздаяние და სხვ. მაგრამ, ცხადია, რომ ეს ტერმინები საქმეს ვერ შევლიან.

და ჩვენთვის საესებით გასაგებია, რომ იგი აღნიშნულ შეხედულებას არ ეთანხმება. მისი სიტყვით, დასახელებულ ავტორთა აზრი აიხსნება იმით, რომ ისინი ტალიონს და სამაგიეროს მიზლვას თვლიან იდენტურ ცნებებად ან იმით, რომ სამაგიეროს მიზლვა სასჯელის მიზნად მიაჩნიათ. ამჟამად ჩვენ არ გვანტერესებს ყიყილენკოს აზრი ტაგანცევისა და პოზნიშევის შესახებ. ჩვენთვის უფრო საგულისხმოა ის ორი გაგება სამაგიეროს მიზლის იდეისა, რომელიც ზემოთ იყო დახასიათებული: ერთი გამოხატავს არსებულ მდგომარეობას (de lege lata), ხოლო მეორე — სასურველს, რომელიც კულტურის მოთხოვნას უფრო აკმაყოფილებს (de lege ferenda).

გავეცნოთ, თუ რა არგუმენტები იყო წამოყენებული სამაგიეროს მიზლის პრინციპის წინააღმდეგ. ყიყილენკოს სიტყვით, ეს არგუმენტი თავისი შინაარსით მეტად განსხვავებულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას მაინც შესაძლოდ მიაჩნია მათი დაყვანა რამდენიმე ჯგუფზე. ესაა შემდეგი მოსაზრებანი: 1) სამართლიანი სამაგიეროს მიზლის განხორციელების შეუძლებლობა სასჯელის მეშვეობით; 2) მისი დაუშვებლობა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც კაცობრიობის განვითარების შორეული სტადიის გადმონაშთისა და ამიტომ როგორც უგუნური და უზნეო მოვლენისა; 3) სამაგიეროს იდეის ცხოვრებისაგან მოწყვეტილობა; 4) მისი შეუთავსებლობა სასჯელის მიზანშეწონილობის საწყისთან; დაბოლოს, 5) მისი უვარგისობა საერთოდ ყველა სასჯელთა დახასიათებისათვის. ყიყილენკო დაწერილებით განიხილავს აღნიშნულ მოსაზრებებს, რომლებიც სისხლის სამართალში გაბატონებული პრინციპის წინააღმდეგ არის მიმართული. ჩვენ გავეცნობით მხოლოდ ზოგიერთს, ისეთს, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ამ მხრივ ყველაზე საგულისხმოდ შეიძლება ჩაითვალოს პირველი არგუმენტი, რომლის თანახმად სამართლიანი სამაგიეროს მიზლის განხორციელება სასჯელის მეშვეობით მიუღწეველია.

ამ თვალსაზრისით სამაგიეროს მიზლის წინააღმდეგ გამოდის მრავალი კრიმინალისტი, რომლებიც საერთოდ შესაძლოდ ცნობენ სასჯელის აგებას სამაგიეროს მიზლის გარეშე, მაგალითად, ბარი, ზეიფერტი, კრეპელინი, ჰეიმბერგერი, აშაფენბურგი, ვარგა. ბარის აზრით, სასჯელი და უმართლობა უთანაზომო სიდიდეებია და მხოლოდ მაშინ, თუ ისინი იქნებოდნენ თანაზომადი, შესაძლო გახდებოდა სამაგიეროს მიზლის გამართლება პრაქტიკაში თუ არა, თეო-

რიამი მაინც¹. ზეიფერტის სიტყვით, თვითმოტყუებაა ადამიანთა რწმენა, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გზით ისინი თითქოს ანხორციელებენ მიზნულევ სამართლიანობას. კრეპელინიც ამტკიცებს, რომ პროპორციულობა, რომელსაც თითქოს გამოხატავს სასჯელი, ნებისმიერია, ვინაიდან არ არსებობს შინაგანი თანაფარდობა ბრალსა და სასჯელს შორის². იმასვე ამბობენ აშაფენბურგი და ვარგა, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ შეუძლებელია სასჯელისა და ბრალის თანაზომადობა³. განსაკუთრებული სიმკაცრით გამოდის სამაგიეროს მიზლის წინააღმდეგ ჰეიმბერგერი, რომელიც მიუთითებს, რომ ადამიანის გონებისათვის სამართლიანი სამაგიეროს მიზლა მიუწოდომელია და რომ საერთოდ სამაგიეროს მიზლა არ შეადგენს სახელმწიფოს ამოცანას. თავისი აზრის დასაბუთების მიზნით ჰეიმბერგერი მიმართავს სისხლის სამართლის ისტორიას. წინათ, — ამბობს იგი, — მკაცრ სასჯელებს უფარდებლენ ისეთი ქმედობებისათვის, რომლებიც ახლა მსუბუქად ისჯება. იგი სვამს კითხვას: ვინ აღმოაჩინა ნამდვილი განტოლება დანაშაულისა და სასჯელს შორის — ძველმა დრომ თუ ახალმა? ბუნებრივია, რომ ჩვენ, როგორც ახალი დროის შვილები, ვფიქრობთ, რომ მართალი ვართ ჩვენ. მაგრამ მომავალში შესაძლოა ჩვენი სისტემის ისეთივე დაგმობა⁴. მეორეს მხრივ, იმავე ავტორის სიტყვით, ისეთი სასჯელის აღმოჩენა, რომელიც დანაშაულის განტოლება იქნებოდა, მიუღწევებელ იდეალს წარმოადგენს. ვინაიდან სასჯელის დანიშვნისას ბევრი რამ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული — სხვადასხვა სასამართლოები სხვადასხვანაირად აფასებენ ერთნაირ შემთხვევებს და ფიქრობენ, რომ სამართლიან სამაგიეროს მიზლვას ანორციელებენ. იმ დროს როცა ჩვენ არ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ნამდვილი განტოლება დანაშაულისა და სასჯელისა. ღირებულებანი, რომელთაც ჩვენ ერთმანეთს ვადარებთ, მეტად სხვადასხვაგვაროვანია. მითითება იმაზე, რომ ხალხში არსებობს მორალური და სამართლებრივი შეფასებითი მსჯელობანი, საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან, როგორც გვიჩვენებს ისტორია, ეს მსჯელობანი მუდამ იცვლება: ერთ და იმავე პერიოდშიც კი ისინი ერთნაირი არაა და იცვლებიან ცალკეულ წოდებათა და ინტერესთა წრეების მიხედვით⁵.

¹ Наказание, 217.

² იქვე, 217.

³ იქვე, 217.

⁴ იქვე, 218.

⁵ იქვე, 218.

ხალხის ცნობიერებაში არსებულმა მსჯელობებმა კიდევ რომ მიუთითონ კანონმდებელს და მოსამართლეს, თუ რომელი ქმედობებია უფრო მძიმედ დასასჯელი შედარებით სხვებთან, ისინი მაინც ვერ მიუთითებენ ღირებულების თანაფარდობას დანაშაულსა და სასჯელს შორის, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია გავზომოთ ბრალის სიდიდე, მით უფრო, რომ გარეგნულად ერთნაირად გავზომილი სასჯელები არაერთნაირად მოქმედებენ სხვადასხვა ადამიანებზე, და ამიტომ იმის სურვილი, რომ „ყველას მიენიჭოს თავისი“ — უნაყოფო ცდაა¹.

მეორე მოსაზრება, რომელიც მოჰყავთ სამაგიეროს მიზლის წინააღმდეგ, არის ის, რომ იგი დაუშვებელია თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც ძველი ეპოქის გადმონაშთი, რომ იგი არსებითად შურისძიებაა, გამოწვეულია ინსტიქტის გრძნობით, რომელიც გასაგებია კაცობრიობის განვითარების პირვანდელ სტადიებზე, მაგრამ ამჟამად მას უკვე არა აქვს საფუძველი. მაშასადამე, სამაგიეროს მიზლვა ეწინააღმდეგება გონების მოთხოვნებს და ამავდროს უზნეოა. ეს თვალსაზრისი ხშირად გვხვდება თანამედროვე ლიტერატურაში, მას, ეიელიენკოს აზრით, ეყრდნობა უმთავრესად თანამედროვე დასჯითი სისტემის ის კრიტიკა, რომელიც წამოყენებული იყო ანთროპოლოგების და სოციოლოგების მიერ. მაგრამ ის მწერლებიც კი, რომლებიც ამ სკოლებს არ ეკუთვნიან, აგრეთვე აკრიტიკებენ თანამედროვე სასჯელს იმავე ძირითადი მოსაზრების საფუძველზე².

გამოდიან რა იმ წარმოდგენიდან, რომ სამაგიეროს მიზლვა და შურისძიება იდენტური ცნებებია, ზოგიერთი მწერლები აცხადებენ, რომ სამაგიეროს მიზლვა ეწინააღმდეგება ზნეობას და ამიტომ დაუშვებელია კაცობრიობის კულტურული ცხოვრების თანამედროვე პირობებში; რომ იგი ნაკარნახევაა ცხოველური გრძნობით, ველური მდგომარეობის გადმონაშთია და სრულიად მოკლებულია ლოგიკურ და ზნეობრივ აზრს; რომ სასჯელები, რამდენადაც მათ მიზნად უსახავენ დამნაშავეისათვის ფიზიკური წვალების მიყენებას, წარმოადგენს მხოლოდ სისხლის აღების პირველყოფილი საწყისის ნაირსახეობას³.

¹ Наказание, 218. ტვანცევის და პოზნიშევის შესახებ იხ. ამ შრომის მე-სამე თავი. იმავე შეხედულებას ემხრობა ბელოგრიც-კოტლიარეცკი, Учебник русского уголовного права, 1903, 55—57.

² Жиленко, Наказание, 222.

³ იქვე, 225.

ვეცნობით რა ამ არგუმენტებს, ჩვენთვის ცხადი სდება ის დაბნეულება, რომელიც გაბატონებულია ბურჟუაზიულ ლიტერატურაში. ზოგიერთი კრიმინალისტი ამტკიცებს, რომ სამაგიეროს მიზლვას მოითხოვს სამართლიანობა, რომ, მაშასადამე, ეს პრინციპი გამოხატავს ზნეობრივ იდეას და შეესაბამება ხალხის მორალურ გრძნობებს; ხოლო, მეორეს მხრივ, იგივე პრინციპი აღიარებულია ზნეობის საწინააღმდეგო, პირველყოფილი გრძნობების, მისწრაფებების ამსახველ ინსტიტუტად.

როგორც აღვნიშნეთ, გამოთქმული იყო აზრი, რომ სამაგიეროს მიზლვის იდეას აქვს მეტაფიზიკური საფუძველი, რომ იგი მოწყვეტილია ცხოვრების სინამდვილეს, სასჯელი კი გამოწვეულია რეალური ცხოვრების მოთხოვნილებებით¹.

მიუთითებენ აგრეთვე, რომ სამაგიეროს მიზლვა შეუთავსებელია სარგებლობის იდეასთან. თვითონ ჟიჟილენკო არ ცნობს ამ მოსაზრებათა საფუძვლიანობას. თანამედროვე ლიტერატურაში, — ამბობს იგი, — უკვე არ ასაბუთებენ სასჯელს მეტაფიზიკური პრინციპებით და ამდენად ეს მოსაზრება კარგავს თავის ძალას; ხოლო, რაც შეეხება უკანასკნელ არგუმენტს, იგი შენიშნავს, რომ უნდა იქნას განსხვავებული სამაგიეროს მიზლვა, როგორც სასჯელის არსი, და სასჯელის პრაქტიკული მიზნები. სასჯელი, წარმოადგენს რა სამაგიეროს მიზლვას, ე. ი. ზემოქმედებას ჩადენილის გამო, მისი შეფასების შესაბამისად, უნდა ისახავდეს განსაზღვრულ მიზნებს².

დაბოლოს, ერთ-ერთ არგუმენტად სამაგიეროს მიზლვის წინააღმდეგ წამოყენებული იყო ის მოსაზრება, რომ ეს ცნება მეტად ეიწროა, იგი მხოლოდ სასჯელის ერთ-ერთი ფორმაა და არა ერთადერთი, რომ არა ყოველი სასჯელი წარმოადგენს სამაგიეროს მიზლვას (ფინგერი, კელერი, როლანდი და სხვ.). ჰიპელის სიტყვით, სასჯელი ყველგან არ ისახავს თავის მიზნად სამართლიან სამაგიეროს მიზლვას, არის მრავალი შემთხვევები (მაგალითად, ეთიკურად ინდიფერენტული საპოლიციო დარღვევანი), სადაც სამაგიეროს მიზლვის მოთხოვნილება არსებობს უმნიშვნელო ხარისხით და დარღვევანი სხვა მიზნების გამო ისჯება³.

ჟიჟილენკო აქაც არ ღალატობს თავის ძირითად კონცეფციას. მისი აზრით, სამაგიეროს მიზლვა შეადგენს არა სასჯელის მიზანს, არამედ მომენტს, რომელიც ახასიათებს სასჯელის თვით არსს, როგორც ჩადენილის შეფასებას; ამ ელემენტის გარეშე, მისი საკუ-

¹ Жижиленко, Наказание, 238.

² იქვე, 239.

³ იქვე, 241.

თარი სიტყვით, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სასჯელი, ამ თვალსაზრისით, — ამბობს იგი, — სასჯელი საპოლიციო გადაცდომისათვისაც და იმ ქმედობებისთვისაც, რომლებიც ნამდვილ ვნებას არ შეიცავენ, ერთნაირად სასჯელს წარმოადგენენ, რომელიც სამაგიეროს მიზლვას ემყარება, ვინაიდან აქაც, ისე როგორც ყველა სხვა სასჯელში, მოცემულია ისეთი ზემოქმედება ჩადენილის გამო, რომელიც მის შეფასებას გამოხატავს¹.

მეტად საგულისხმო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ თვით ბურჟუაზიული კრიმინალისტები უარს ამბობენ საერთოდ მიღებულ, შეიძლება ითქვას, გაბატონებულ პრინციპზე. სამაგიეროს მიზლის ცნების წინააღმდეგ, როგორც ვნახეთ, ბევრი რამ საყურადღებო იყო გამოთქმული. იმ მოსაზრებებს შორის, რომლებიც კი წამოყენებული იყო ამ ცნების წინააღმდეგ, ყველაზე უფრო დასაბუთებულად მიგვაჩნია ის, რომელიც მიუთითებს, რომ შეუძლებელია პროპორციულობის დადგენა სასჯელსა და დანაშაულს შორის. სავსებით გასაგებია, რომ სასჯელი, როგორც სამაგიეროს მიზლვა, აუცილებლად პროპორციულობის საწყისს გულისხმობს, უკანასკნელის გარეშე იგი წარმოუდგენელია. ვინც ამტკიცებს, რომ სასჯელის არსი არის სამაგიეროს მიზლვა, იგი ამით უკვე ითვალისწინებს სასჯელისა და დანაშაულის გარკვეულ თანაფარდობას, თანაზომიერებას, ე. ი. პროპორციულობას. მაგრამ აქ სრულიად ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორ უნდა გავიგოთ ეს პროპორციულობა? ეს ცნება თავისი ბუნებით, ცხადია, განტოლებას ნიშნავს: სასჯელის გზით მიყენებული სიძვე უნდა იყოს თანასწორი იმ სიძვისა, რომელიც დამნაშავემ თავისი ქმედობით გამოიწვია. რომელია ამ გაზომვის საფუძველი, მისი მასშტაბი? განა ადამიანს შესწევს უნარი დაადგინოს, ზუსტად გაზომოს სასჯელის დოზა და შეუფარდოს სწორედ ის ზომა სასჯელისა, რომელსაც დამნაშავეს მოქმედება იმსახურებს? ამიტომ სავსებით მართებულია ის შეხედულება, რომელიც ამტკიცებს, რომ სისხლის სამართალში მიღებული პროპორციულობა მეტნაკლებად თვითნებურია, ვინაიდან სასჯელსა და ბრალს შორის შინაგანი თანაფარდობა არ არსებობს.

ჩვენ ვლპარაკობდით სამაგიეროს მიზლის პრინციპის შესახებ, რომელიც საერთო აღიარებით სარგებლობს ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში. სისხლის სამართლის კოდექსებში ზოგადი სახით დადგენილია სანქციები ამა თუ იმ დელიქტ-

¹ Жижиленко, Наказание, 242.

ბისათვის. კანონმდებლის აზრით, ეს სანქციები ექვივალენტურია იმ დელიქტებისა, რომელთაც იგი სათანადო მუხლებში ითვალისწინებს. თანამედროვე კოდექსებში საერთო წესით მიღებულია შედარებით განსაზღვრული სანქციები, რაც ერთგვარ გასაქანს აძლევს სასამართლოს, რომელსაც შეუძლია იმოძრაოს გარკვეულ ფარგლებში, მაგრამ ექვივალენტობის ჩარჩოები მაინც წინასწარ დადგენილია. სასამართლო, თავის მხრივ, სასჯელის ექვივალენტობის საწყისს ატარებს ცხოვრებაში კონკრეტული ინდივიდუალური შემთხვევების მიხედვით; მას საქმე აქვს უშუალოდ ცალკეულ ინდივიდებთან. კანონმდებელი ითვალისწინებს საერთოდ ქმედობას, ხოლო სასამართლო შეისწავლის მოქმედ პირს. ორივე შემთხვევაში მიზნად არის დასახული პროპორციულობის, ექვივალენტობის განხორციელება.

12

ზემოთ მოყვანილი მასალების შესწავლის საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ბურჟუაზიულ სისხლის სამართალს სასჯელის საკითხში, ისე როგორც სხვა მრავალ ძირითად საკითხებში, ემჩნევა სრული დაბნეულობა. მათ არა აქვს უნარი გაარკვიოს სასჯელის არსი; მართალია, კრიმინალისტები ასეთად აღიარებენ სამაგიეროს მიზლვას, მაგრამ ამ ცნების შინაარსი სხვადასხვანაირად არის გაგებული, თვით ბურჟუაზიულ კრიმნალისტებს შორის ბევრია ისეთი, რომლებიც სამაგიეროს მიზლვას უარყოფენ და ხაზგასმით აღნიშნავენ მის გაურკვეველ, ბუნდოვან ხასიათს.

სასჯელის გვერდით და მასთან დაკავშირებით ჩვენ განვიხილეთ დაცვის ღონისძიებების ცნება, რომელსაც დიდი ყურადღება ექცეოდა და ახლაც ექცევა ბურჟუაზიული სისხლის სამართლის მეცნიერებაში. ამ ცნებისადმი განსაკუთრებული ინტერესი ბუნებრივად აიხსნება იმით, რომ მას ენიჭება არა მარტო, როგორც ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება, თეორიული, არამედ უაღრესად პრაქტიკული ხასიათი. ამ პრაქტიკული მიზანდასახულობით არის განპირობებული ის, რომ დაცვის ღონისძიებათა მთელი სისტემა შეტანილია სხვადასხვა სახელმწიფოთა უკანასკნელი პერიოდის სისხლის სამართლის კოდექსებში¹. საკანონმდებლო სახით ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა ხან-

¹ დაცვის ღონისძიებანი შეთვისებულია სხვადასხვა სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კოდექსებით. განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს.

ამ ღონისძიებებს ვხვდებით დანიის სისხლის სამართლის კოდექსში (1930 წ.).

გრძლივი დისკუსია, რომლის მიზანს შეადგენდა დაცვის ღონისძიების ბუნების, მისი არსის და სასაჯელთან ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევა და დადგენა. ამ საკითხშიც ბურჟუაზიულ მეცნიერებას იგივე დაბნეულობა ემჩნევა: რაც სასაჯელის შინაარსის ვარკვევის საქმეში. ზემოთ მოყვანილი მასალები ამას დამაჯერებლად ამტკიცებენ. რომ გადავხედოთ სათანადო ლიტერატურას, დავრწმუნდებით, რომ არა თუ არაა გამორკვეული დაცვის ღონისძიების ზოგადი ბუნება, არამედ არაა აგრეთვე დადგენილი მისი ცალკეული სახეებიც: მათი მოცულობა ერთ ავტორს ესმის უფრო ფართოდ, მეორეს კი — უფრო ვიწროდ.

ეს კოდექსი ითვალისწინებს სამუშაო სახლს (рабочий дом) და დაცვით პატიმრობას (предохранительное заключение) §§ 62—69. აქვე უნდა მოვიხსენიოთ უშიშროების სხვა ღონისძიებანი, როგორცაა, მაგალითად, ღონისძიებანი შეურაცხად და ფსიქიურად დეფექტურ პირთა მიმართ, ლთების მიმართ (§§ 70—73) და სხვ.

დასაჯალი მოქმედების ჩადენა იწვევს ან სასაჯელს, ან უშიშროების ღონისძიებას, რომელიც ცვლის სასაჯელს. ამგვარად, მოქმედებს „ერთი ლიანდის“ სისტემა («одноколейная» система), რომლის მიხედვით პრინციპში უშიშროების ღონისძიებანი არ შეიძლება დაინიშნოს დამატებით სასაჯელთან. ეს მთლიანად ეხება უშიშროების ორ მთავარ ღონისძიებას — სამუშაო სახლში მოთავსებას და დაცვით პატიმრობას, ხოლო სხვა სამართლებრივ შედეგების მიმართ არსებობს ცალკეული გამონაკლისები («Современное зарубежное уголовное право», 1957, стр. 147). მევეთრი საკანონმდებლო განსხვავება სასაჯელთა და უშიშროების ღონისძიებებისა არ ნიშნავს, რომ სასაჯელი უფრო მძიმე სიძვეა, ხოლო უშიშროების ღონისძიება — უფრო მსუბუქი. სამუშაო სახლი და დაცვითი პატიმრობა — ეს ზემოქმედების მძიმე ფორმებია. „სასაჯელის სეროვატებია“, რომლებსაც მათი განუხანღურელი ვადის გამო პრაქტიკაში დიდი სიფრთხილით იყენებენ. მეორეს მხრივ, უშიშროების ღონისძიებათა მიზნები ხშირად შესაძლოა მიღწეულ იქნას სასაჯელის აღსრულების სათანადო წესით: ფსიქოპათების და არასრულწლოვანთა საპრობილემო მოთავსებით, პნობით განთავსებულებით, პნობითი მსჯავრით. ყველაფერი ეს მთლიანად, ფრანც მარკუსის სიტყვით (სათანადო ნარკვევის ავტორია), მოწმობს, რომ დანიის სისხლის სამართლის კოდექსის განკარგულებაშია ფართო განსტოებული სისტემა დასაჯითი, დაცვითი, გამასწორებელი და სამკურნალო ღონისძიებებისა (დასახ. შრომა, 147).

იუვოსლავიის სისხლის სამართლის კოდექსი (1951 წ.) ითვალისწინებს უშიშროების ღონისძიებებს. სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია უშიშროების სამი ღონისძიება: 1. შეურაცხადი ან შემციობებულად შეურაცხადი პირის მოთავსება სულით ავადმყოფთა დაწესებულებაში ან სხვა დაწესებულებაში

დაბნეულობა განსაკუთრებით მატულობს, როცა კრიმინალისტები იკვლევენ სასჯელისა და დაცვის ღონისძიების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. ზოგიერთი ავტორის აზრით, ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებითი განსხვავებაა, სასჯელი და დაცვის ღონისძიება სულ სხვადასხვა ბუნების ინსტიტუტებია, მათი ერთმანეთში აღრევა და შეცვლა ლოგიკურად დაუშვებელია. მიუხედავად ამ ძირითადი განსხვავებისა, დაცვის ღონისძიება მაინც მიჩნეულია საჭირო ინსტიტუტად, რომელმაც უნდა დაიკავოს სათანადო ადგილი სისხლის სამართლის კოდექსებში. არიან ისეთი ავტორებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ სასჯელსა და დაცვის ღონისძიებას შორის ძირითადი განსხვავება არაა და რომ ორივე ეს ინსტიტუტი ასრულებს ერთდამოვე დანიშნულებას — საზოგადოების დაცვას. ამ მოსაზრებით ისინი შესაძლოდ ცნობენ, რომ დაცვის ღონისძიებამ განსაზღვრულ პირობებში შეცვალოს სასჯელი, დაიკავოს მისი ადგილი. ამ

მზრუნველობის ან მკურნალობის მიზნით. საკითხს ინტერნირების შესახებ წყვეტს სასამართლო. 2. კონფისკაცია იმ საგნებისა, რომლებიც დანაშაულთანაა დაკავშირებული. 3. ქვეყნიდან გაძევება უცხოელებისა, როგორც ფაქულტატიური ღონისძიება, უკეთუ ქმედობის მოტივების, მისი შესრულების ზერზის ან სხვა გარემოებათა მიხედვით სასამართლო მიიჩნევს, რომ უცხოელის ყოფნას სახელმწიფოში მოაქვს ვნება. უშიშროების ღონისძიებათა გამოყენება შესაძლოა აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ (დასახელ. შრომა, 544—546, 525).

არგენტინის სისხლის სამართლის კოდექსი (1922 წ.) ითვალისწინებს უშიშროების და გამოსწორების ღონისძიებებს. ანუ ეთებად მიჩნეულია: 1. ინტერნირება იმ პირებისა, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული სულით ავადმყოფობის მდგომარეობაში ან სხვა ავადმყოფურ მდგომარეობაში, ჩადენილის შეგნების გარეშე. 2. არასრულწლოვანთა მოთავსება სპეციალურ დაწესებულებებში. საინტერესოა ის, რომ ზოგიერთი სასამართლოები შესაძლოდ ცნობენ სასჯელის დანიშვნას აღმზრდელობით ღონისძიებასთან ერთად ან მის მაგიერ. უკეთუ ქმედობა არასრულწლოვანისა 14-დან 18 წლამდე იწვევს სასჯელს, რომელიც პირობით მსჯავრს გამოირიცხავს, აღმზრდელობითი ღონისძიებანი არ გააუყენება (დასახ. შრომა, 59—60).

შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი (1937 წ.) სასჯელთა სისტემის გვერდით იცნობს უშიშროების ღონისძიებებს, რომელთა სახეებს წარმოადგენენ: ჩვევით დამნაშავეთა ინტერნირება განუსაზღვრელი ვადით; სამუშაო სახლში მოთავსება აგრეთვე განუსაზღვრელი ვადით; შეურაცხადი და შემციობებულად შეურაცხადი პირების ინტერნირება სპეციალურ დაწესებულებებში საზოგადოებრივი უშიშროების და მკურნალობის მიზნით. (იხ. «Соврем. заруб. угол. право», т. 2, 1958).

უშიშროების ღონისძიებათა შემოღება ნიშნავდა კრიმინალისტ-სოციოლოგების წინადადებათა განხორციელებას საკანონმდებლო გზით.

უკანასკნელი მიმდინარეობის ზოგი წარმომადგენელი მიდის იქამდე, რომ სრულიად შლის იმ ზღვარს, რომელიც ჰყოფს ერთმანეთისაგან სასჯელსა და დაცვის ღონისძიებას. ამის მაგალითს, როგორც ვნახეთ, გერმანელი კრიმინალისტის, დელაქის, შეხედულება წარმოადგენს.

საბჭოთა სისხლის სამართალი უარჰყოფს სამაგიეროს მიზლის პრინციპს, ეს პრობლემა საბჭოთა სამართალში იმთავითვე მოხსნილია. აქედან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მას არ აინტერესებს სასჯელის და დაცვის ღონისძიების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, თუ, რა თქმა უნდა, სასჯელი გავებული იქნება, როგორც სამაგიეროს მიზლა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საბჭოთა სამართლისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორ იქნება გადაწყვეტილი საკითხი საერთოდ სასჯელისა და დაცვის ღონისძიების ურთიერთობის შესახებ, ვინაიდან სასჯელის ცნება ლოგიკური აუცილებლობით არ გულისხმობს სამაგიეროს მიზლვას, სასჯელი და სამაგიეროს მიზლა ჩვენთვის სინონიმები არაა. ჩვენ უარვყოფთ სამაგიეროს მიზლვას, რომელიც საბჭოთა სამართლის საფუძვლებს არ შეესაბამება, მათთვის უცხოა, მაგრამ ვალიარებთ სასჯელს, რომელიც საბჭოთა პოლიტიკის მიხედვით ახალ შინაარსსა და მიზანდასახულობას ღებულობს.

საბჭოთა სისხლის სამართალში უკვე პირველი სისხლის სამართლის კოდექსის დროიდან შემოღებული იყო სოციალური დაცვის ღონისძიების ცნება. შემდეგ თავში განმარტებული იქნება, თუ როგორ ესმოდათ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ეს ცნება¹.

¹ იხ. ამ შრომის მეექვსე თავი.

სოციალური ღირსების დონისკენის მხარე საზოგადოებრივი სისხლის
სამართლებრივი

1

საბჭოთა სამართალმა გადაქრით უარყო სამაგიეროს მიზლის საწყისი. სამაგიეროს მიზლა მისთვის მიუღებელი იყო როგორც მეტაფიზიკური შინაარსის ამსახველი იდეა. ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში სასჯელი წარმოადგენს მისაგებელს დანაშაულებრივი ქმედობისათვის, იგი მიზლა თანასწორი სიავით იმ სიავისათვის, რომელიც დანაშაულით არის მიყენებული. სამაგიეროს მიზლა ჩვეულებრივ ნებისყოფის თავისუფლების აღიარებას უკავშირდება. დამნაშავე ისჯება იმიტომ, რომ მისი ქმედობა ნებისყოფის თავისუფალი გადაწყვეტილების შედეგს, გამოვლენას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ყველა ბურჟუაზიული კრიმინალისტი ამ შეხედულებას არ იზიარებს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეგრეთწოდებული კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობა მას ემხრობა და სწორედ კლასიკური სკოლის შრომებში სასჯელის არსი გაგებულია, როგორც განმარტებული იყო, სამაგიეროს მიზლის მნიშვნელობით. კრიმინალისტ-კლასიკოსებისათვის სასჯელი ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვაა (искупление), იგი აკმაყოფილებს სამართლიანობის მოთხოვნას.

ბურჟუაზიულ კრიმინალისტებს შორის იყვნენ ისეთიც, რომლებიც უარყოფითად უყურებდნენ სამაგიეროს მიზლის საწყისს და სასჯელის დანიშნულებას პრაქტიკული, საზოგადოებისათვის სასარგებლო მიზნების განხორციელებაში ხედავდნენ. მათი შეხედულებით, სასჯელი უნდა ემსახურებოდეს პრევენციის მიზნებს. მეტად საგულისხმოა, რომ კრიმინალისტ-კლასიკოსები მთავარ ყურადღე-

ბას აქცევდნენ და უპირატესობას ანიჭებდნენ ზოგად პრევენციას, ხოლო კრიმინალისტ-სოციოლოგები — სპეციალურ პრევენციას. ამ ფაქტის ახსნა უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ამ ორი მიმართულების სახელმძღვანელო იდეები განსხვავებული ბუნებისაა: პირველს ამოსავალ წერტილად მიღებული აქვს დანაშაულებრივი ქმედობა, მეორეს კი — თვით დამნაშავის პიროვნება. ვხვდებით მწერლებს, რომლებიც უახლოებენ ერთმანეთს სამაგიეროს მიზლის საწყისს და ზოგად პრევენციას. ამგვარად, პრევენციის ორი, ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული, სახე გათიშულია და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მათ შორის თითქოს გაწყვეტილია კავშირი. სინამდვილეში კი ცხადია, ეს ასე არაა: პრევენციის ორივე ფორმა ერთდროულად მიზანს ემსახურება, ერთდროულად დანიშნულებას ასრულებს — მიზანშეწონილი სასჯელის განხორციელებას, საზოგადოებისათვის სასარგებლო ამოცანების ცხოვრებაში გატარებას.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველ წლებშივე საკანონმდებლო წესით გამოთქვა სამაგიეროს მიზლის უარყოფა და დაადგინა ახალი შეხედულება სასჯელის სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების შესახებ. 1919 წელს გამოცემული „სახელმძღვანელო საწყისები“ გარკვევით მიუთითებენ, რომ სასჯელის ამოცანას შეადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა იმ პირისაგან, რომელმაც უკვე ჩაიდინა დანაშაული, და მომავალში შესაძლო დანაშაულისაგან¹. იქვე აღნიშნულია, რომ „სასჯელი არაა სამაგიეროს მიზლდვა „ბრალისათვის“, არაა ბრალის გამოსყიდვა“². საბჭოთა კანონმდებლობა მიუხედავად სამაგიეროს მიზლის უარყოფისა, მაინც სარგებლობდა ტერმინით „სასჯელი“. საბჭოთა ხელისუფლების პირველ დეკრეტებში ყველგან ვხვდებით ამ ტერმინს და უკანასკნელი ხმარებაშია 1924 წლამდე, როდესაც გამოიცა „ძირითადი საწყისები“, სადაც კანონმდებელი უკვე სრულიად უარს ამბობს ამ ტრადიციულად მიღებულ ტერმინზე და განუხრელად სარგებლობს ახალი გამოთქმით — „სოციალური დაცვის ღონისძიება“. არ უნდა ბევრი მტკიცება, რომ ეს ახალი ტერმინი სრულიად არ შეესაბამებოდა საბჭოთა პოლიტიკის საფუძვლებსა და ამოცანებს. უფრო სწორი და მართებული იყო საბჭოთა საკანონმდებლო პირველ აქტებში მიღებული ტერმინი — სასჯელი. კანონმდებელს შეგნებულა ჰქონდა, რომ სასჯელის ცნებას აუცილებლად არ უკავშირდება სამაგიეროს მიზლდვა, როგორც ამას ამტკიცებდნენ ბურჟუაზიული მწერლები, რომ სას-

¹ მე-8 მუხლი.

² მე-10 მუხლი.

ჯელი შეიძლება არსებობდეს ამ ელემენტის გარეშეც. ეს იყო საფუძვლიანი მოსაზრება. მართლაც, რატომ არ იყო შესაძლო, რომ საბჭოთა სამართალს შეენარჩუნებინა ძველი ტერმინი იმ პირობით, რომ იგი გაწმენდილი და განთავისუფლებული იქნებოდა ტრადიციული შინაარსისაგან, იმ წარმოდგენებისაგან, რომლებიც მას იდეალისტური მეტაფიზიკის ცნების ხასიათს ანიჭებდნენ. სწორედ ამ აზრს იზიარებდა საბჭოთა კანონმდებელი თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში, ეს აზრი ნათლად არის გამოთქმული „სახელმძღვანელო საწყისების“ ზემოთ დასახელებულ დადგენილებებში, მაგრამ შემდეგში, როგორც ჩანს, გაიმარჯვა საწინააღმდეგო მოსაზრებამ და კანონმდებელმა იმ მოტივით, რომ სასჯელი გაგებულ იქნებოდა ძველი სამაგიეროს მიზლის იდეის მნიშვნელობით, უარი თქვა ამ ტერმინზე და შემოიღო „სოციალური დაცვის ღონისძიება“. უკანასკნელ ხანაში კი ისევ დაუბრუნდა ძველ ტერმინს და აღადგინა „სასჯელი“.

მაგრამ, მიუხედავად ამ ტერმინოლოგიური ცვლებადობისა, მაინც დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ საბჭოთა სამართალი კატეგორიულად უარყოფს სამაგიეროს მიზლის იდეას, რომლის თანახმად დამნაშავეს უნდა მიეზლოს სიავე, თანასწორი მის მიერ მიყენებულ სიავისა.

2

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ადრე დაიწყეს სასჯელის პრობლემის თეორიული დამუშავება. ამ პრობლემას სპეციალური შრომა მიუძღვნა პროფ. ჟიჟილენკომ¹. ვეცნობით რა ჟიჟილენკოს ნაშრომს, ვღებულობთ ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სისხლის სამართლის დარგში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, ავტორი შემოკლებული სახით გადმოცემს თავისი ძველი, რევოლუციის წინადროინდელი შრომის შინაარსს, იმეორებს თითქმის უცვლელად იმ მთავარ შრომაში განმარტებულ ზოგად დებულებებს.

სამართლის დარღვევის იურიდიულ შედეგებს ჟიჟილენკო ჰყოფს ოთხ ჯგუფად: 1) სასჯელი, 2) აღმკვეთი ღონისძიებანი, 3) ზარალის ანაზღაურება, 4) დაცვის ღონისძიებანი. ყოველ ჯგუფს აქვს თავისი სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ფუნქცია, რის გამოც შესაძლოა მკვეთრად განვასხვავოთ ისინი ერთმანეთისაგან და

¹ Очерки по общему учению о наказании, 1924.

კერძოდ მიუთითოთ, თუ რა ახასიათებს სასჯელს, როგორც განსაკუთრებულ ღონისძიებას¹.

ამ ღონისძიებათა შინაარსი უნდა იქნას განსხვავებული იმ მიზნისაგან, რომელსაც ისინი ისახავენ. სამართლის დარღვევის იურიდიულ შედეგებს აქვთ სხვადასხვა მიზნები, რომლებიც შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს, ხოლო ყველა ამ შედეგებს აქვთ ერთიანი საერთო მიზანი — მართლწესრიგის დაცვა. თუ, მაგალითად, ჩვენ ვიტყვი, რომ თავისუფლების აღკვეთა მიღებულია საერთოდ სამართლის დაცვისათვის ან მთელ საზოგადოებაზე ზემოქმედების (დაშინების) მიზნით, ან იმ ადამიანზე, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული (მისი გასწორების მიზნით), მარტოდენ ამით ჯერ კიდევ არ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოცემული ღონისძიება აუცილებლად სასჯელია. თავისუფლების აღკვეთას, როგორც დაცვის ღონისძიებას, შეიძლება ჰქონდეს იგივე მიზნები².

ვიხილავთ რა, — წერს ჟიჟილენკო, — სასჯელის შინაარსს, როგორც იგი გამოიხატება სისხლის სამართალში, რომელსაც ახორციელებენ როგორც სახელმწიფო, ისე ადამიანთა სხვა კავშირები, შეიძლება შევამჩნიოთ, რომ სასჯელის განმასხვავებელ ნიშანს, სამართლის დარღვევის სხვა იურიდიულ შედეგებთან შედარებით, შეადგენს სამაგიეროს მიზლის ელემენტი. ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულია აზრი, რომ სასჯელი არ უნდა იქნას გაგებული, როგორც სამაგიეროს მიზლვა, ამ თვალსაზრისით სწარმოებს მოქმედი სისხლის სამართლის კრიტიკა და სახავენ ახალ გზებს სასჯელის არსის საკითხის გადასაწყვეტად. ამასთან ერთად სასჯელს განსაზღვრავენ არა როგორც სამაგიეროს მიზლვას, არამედ როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალებას; სამაგიეროს მიმზღველი სასჯელის ნაცვლად წამოყენებულია დამცველი სასჯელის ცნება. მაგრამ, ჟიჟილენკოს სიტყვით, მთელ დავას, რომელიც სწარმოებს სისხლის სამართლის მეცნიერებაში და რომელიც ჰყოფს კრიმინალისტებს სხვადასხვა სკოლებად, მხედველობაში აქვს უმთავრესად არა სასჯელი, როგორც იგი არსებობდა და არსებობს, არამედ ის, თუ როგორი უნდა იყოს სასჯელი მომავალში. და თუ ამბობენ, რომ თანამედროვე სასჯელმა, სამაგიეროს მიზლვაზე დამყარებულმა, შეასრულა თავისი ისტორიული დანიშნულება და დაკარგა თავისი აზრი, როგორც საშუალებამ, რომელიც გამოსადეგია დანაშაულობასთან საბრძოლველად, მეორეს მხრივ, არსებობს ის შეხედულებაც, რომ სასჯელი შემდეგშიც უნდა

¹ Очерки по общему учению о наказании, 1924. 13.

² იქვე, 13.

დარჩეს, რაც იყო აქამდე, ე. ი. სამაგიეროს მიზღვა. ამგვარად, დავა სწარმოებს იმის შესახებ, სასჯელი წარმოადგენს თავისი არსით სამაგიეროს მიზღვას, ისე რომ სამაგიეროს მიზღვის გარეშე არაა სასჯელი, თუ სამაგიეროს მიზღვა არის მხოლოდ სასჯელის გამოვლენის ერთ-ერთი ისტორიული ფორმა და, მაშასადამე, სასჯელი შესაძლოა უიმიხოდოდ¹.

ჟიჟილენკო ამტკიცებს, რომ უარყოფითი დამოკიდებულება სამაგიეროს მიზღვის იდეისადმი აიხსნება უმთავრესად იმით, რომ არა აქვთ სწორი წარმოდგენა ამ ცნების არსისა და მისი როლის შესახებ.

საკითხი, თუ რაა სამაგიეროს მიზღვა, სისხლის სამართლის ლიტერატურაში გადაჭრილია სხვადასხვანაირად, მის დასახასიათებლად ხშირად წამოყენებულია ისეთი ნიშანი, რომელიც ძვეს ამ ცნების გარეშე და ზოგჯერ მიუთითებს იმ მიზანს, რომელსაც ისახავს საერთოდ სასჯელი ან რომელიმე მისი სახეობა, ან სასჯელი მისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე. სამაგიეროს მიზღვა ესმით: 1) როგორც გამოსყიდვა; 2) როგორც დაკმაყოფილება, თანაც ეს დაკმაყოფილება გულისხმობს ინდივიდუალურ ან საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოთხოვნებს; 3) ზოგადი გაფრთხილების მნიშვნელობით; 4) როგორც ადამიანზე ზემოქმედება, რომელიც იწვევს მასში განსაზღვრულ ფსიქიკურ განცდებს; 5) დაბოლოს, როგორც რეაქცია ჩადენილის წინააღმდეგ².

ყველა ამ გაგებიდან ჟიჟილენკოს მართებულად მიაჩნია მხოლოდ უკანასკნელი, მაგრამ იგი საჭიროდ ცნობს მის შევსებას გარკვეული შინაარსით. სამაგიეროს მიზღვის ანალიზი, მისი სიტყვით, იძლევა შემდეგი განსაზღვრის შესაძლებლობას: სამაგიეროს მიზღვა არის მოქმედება, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩამდენი პირისადმი და გამოხატავს ჩადენილის შეფასებას. სამაგიეროს მიზღვაში ნოცემული შეფასება ორგვარია; იგი შეიძლება იყოს დადებითი და ამ შემთხვევაში ჩვენ ვლაპარაკობთ ჩადენილის მოწონებაზე, ან უარყოფითი და ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დაწუნებას, დაგმობას, გაკიცხვას, ამის შესაბამისად დადებითი შეფასება ხორციელდება ჯილდოს სახით, ხოლო უარყოფითი შეფასება გამოიხატება სასჯელში.

სამაგიეროს მიზღვის არსისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორ უყურებს ამ აქტს ის პირი, რომლისადმიც მას იყენებენ და ემთხვევა თუ არა მისი შეფასება იმის შეფასებას, რომელიც სა-

¹ Очерки по общему учению о наказании, 1924, 14.

² იქვე, 14.

მაგიეროს მიზღვას ახორციელებს; მისი განცდებიც სამაგიეროს მიზღვის აქტის აღქმის აზრით სიამოვნების ან უსიამოვნების სახით აგრეთვე განუჩივებელია. ნორმალურად, რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ორივე პირის შეფასება ემთხვევა ერთმანეთს და ეს სასურველიცაა, ვინაიდან სამაგიეროს მიზღვის აქტი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მოცემული პირის ყოფაქცევის განსაზღვრული მოტივის შექმნის საშუალება¹.

სასჯელს ჟიჟილენკო განსაზღვრავს როგორც ნებადაურთველი ქმედობის სამართლებრივ შედეგს, რომელიც წარმოადგენს ბრალეულის უფლებრივ სიკეთეთა სფეროში შეჭრას და ამით გამოხატავს მის მიერ ჩადენილი ქმედობის შეფასებას².

სასჯელის დამახასიათებელ ნიშანს, რომლითაც იგი მსგავს ღონისძიებისაგან გამოირჩევა, შეადგენს ის, რომ სასჯელი არის ღონისძიება, რომელიც ინიშნება პირის ბრალეულობის აღიარების საფუძველზე³.

სასჯელი თავისი გარეგნული გამოხატულებით ყველაზე უფრო უახლოვდება განსაკუთრებულ ღონისძიებებს, რომლებიც ცნობილია სოციალური დაცვის ღონისძიებების სახელწოდებით. ჟიჟილენკო აღარებს ერთმანეთს ამ ორ ინსტიტუტს და ცდილობს გაარკვიოს მათი განსხვავება. როგორ ესმის მას სოციალური დაცვის ღონისძიებათა შინაარსი? ამ ღონისძიებით,—წერს იგი,—იგულისხმება განსაკუთრებული ზომები, რომელთაც იყენებენ სასჯელის მაგიერ, ან მასთან ერთად, დამნაშავეთა გარკვეული კატეგორიების მიმართ; ასეთია იძულებითი მკურნალობის ღონისძიებანი, რომლებიც გამოიყენება შეურაცხადი პირების მიმართ, არასრულწლოვან დამნაშავეთა იძულებითი აღზრდის ღონისძიებანი, საერთო საშიშ დამნაშავეთა, განსაკუთრებით კი რეციდივისტების, უვნებელყოფის ღონისძიებანი და სხვ. როგორც სასჯელი, ეს ღონისძიებანი განპირობებულია დანაშაულებრივი ქმედობის ფაქტით და ამიტომ ისინი ძალიან უახლოვდებიან სასჯელს. სოციალური დაცვის ღონისძიებებს ხშირად აიგივებენ სასჯელთან და მათ უყურებენ როგორც მომავალი ეპოქის სასჯელს. ჟიჟილენკო უეჭველად თვლის, რომ ეს შედარებით ახალი წარმოშობის ღონისძიებანი, თანდათანობით განდევნიან სასჯელს, ვინაიდან ისინი ამჟამად გამოიყენება იმ შემთხვევებში, სადაც დიდი ხანი არაა იყენებდნენ მხოლოდ სასჯელს, მაგალითად, არასრულ-

¹ Очерки по общему учению о наказании, 1924. 17.

² იქვე, 24.

³ იქვე, 24.

წლოვანთა მიმართ. შეიძლება კიდევ წარმოვიდგინოთ. ამბობს ეი-
ჟილენკო, რომ მომავალში ისინი სასჯელის ადგილს დაიკავენებნო.
მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ღონისძიებანი მკვეთრად განსხვავდე-
ბიან სასჯელისაგან და შეუძლებელია მათი შერწყმა ერთ სამართ-
ლებრივ ინსტიტუტში¹.

ეიჟილენკოს სიტყვით, დაცვის ღონისძიებანი თავისი შინაარსით
სრულიად დამოუკიდებელ და სასჯელისაგან განსხვავებულ დანაშაუ-
ლობასთან ბრძოლის ღონისძიებებს წარმოადგენენ. მათი გამოყენება
გამოწვეულია არა იმით, რომ საჭიროა სამართლის დარღვევის შე-
ფასება, არამედ მხოლოდ იმით, რომ თავიდან იქნას აცილებული
ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა იმ პირის მიერ, რომელ-
საც ისინი ეფარდება. მათი გამოყენების საფუძველს შეადგენს არა
ჩადენილი დარღვევა, თავისთავად აღებული, არამედ მისი ჩამდენი
პირის ისეთი განსაკუთრებული თვისებები, რომლებიც ახალი დარღ-
ვევებით იმუქრებიან. სამართლის დარღვევა ამ შემთხვევაში მხედ-
ველობაში მიიღება მხოლოდ როგორც სამართლის დამრღვევის
განსაკუთრებული ფსიქიკური თვისებების გამოვლენა. სოციალური
დაცვის ღონისძიებებს აქვთ, მაშასადამე, მხოლოდ პრევენციული
ხასიათი და ისინი გამოირჩევიან იმით, რომ მათ გამოყენება განპი-
რობებულია უკვე ჩადენილის ფაქტით, და არა მხოლოდ სამართლის
მოსალოდნელი დარღვევით. ამგვარად, ეიჟილენკოს აზრით, სოცია-
ლური დაცვის ღონისძიებანი—ეს ისეთი ღონისძიებანია, რომლებიც
ეფარდება დანაშაულის ჩამდენ პირებს და ჩადენილის შეფასებას
არ გამოხატავენ და რომლებიც, უწყვეტ რა ანგარიშს ამ პირების
განსაკუთრებულ ფსიქიკურ თვისებებს, მიმართულია მათ მიერ ახა-
ლი დანაშაულის ჩადენის აცილებაზე მათ უფლებრივ სიკეთეთა
სფეროში შექრის გზით².

ეიჟილენკო არკვევს სასჯელისა და სოციალური დაცვის ღონის-
ძიებების განსხვავებას. სასჯელის შეფარდების საფუძველს ყოველ-
თვის წარმოადგენს ქმედობა თავისთავად აღებული: ეს ქმედობა
უნდა იქნას შეფასებული, რის შესაბამისად ინიშნება სასჯელი. ამავ
დროს ყურადღება ექცევა დამნაშავის ბრალს, რამდენადაც იგი გა-
მოვლინდა თვით ქმედობაში. პირიქით, სოციალური დაცვის ღონის-
ძიებანი ხასიათდება იმით, რომ მათი გამოყენების საფუძველს შეად-
გენს არა დანაშაულის ჩადენა, არამედ ამ დანაშაულის ჩამდენის გან-

¹ Очерки по общему учению о наказании, 1924, 29.

² იქვე, 29,

საკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობა, ის საშიშროება, რომელიც მან ამა თუ იმ საქციელით გამოავლინა¹.

ამგვარად,—მსჯელობს ჟიჟილენკო,—იმ დროს როცა სასჯელის გამოყენება განპირობებულია პირის ბრალეულობის დადგენით, სოციალური დაცვის ღონისძიებათა გამოყენება განპირობებულია ადამიანის საშიში მდგომარეობით, და ამ მხრივ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დაცვის ღონისძიებას ადგილი აქვს მაშინაც, როცა სასჯელზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ასეთია ის ზომები, რომლებიც შეუძლებელია პირების მიმართ გამოიყენება. ეს პირები არ ისჯებიან, მაგრამ თუ ისინი საშიშია საზოგადოებისათვის, მათ მიმართ სავსებით დასაშვებია დაცვის ღონისძიებანი. მეორეს მხრივ,—წერს ჟიჟილენკო,—უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ სასჯელი უპირველეს ყოვლისა ანგარიშს უწევს წარსულს, გამოდის მოცემული პირის მიერ ჩადენილი ქმედობიდან, ხოლო სოციალური დაცვის ღონისძიებანი, პირიქით, წარსულს უყურებენ მხოლოდ როგორც მათი გამოყენების საბაბს, მათი ყურადღება მომავლისაკენ არის მიქცეული, ვინაიდან საშიშროების მუქარა მომავალს ეკუთვნის. წარსულში დანაშაულის ჩადენა არის მხოლოდ საშიშროების სიმპტომი. ამგვარად,—დაასკვნის ჟიჟილენკო,—„სოციალური დაცვის ღონისძიებათა და სასჯელის გამოყენების საფუძვლებში არსებობს დრმა პრინციპული განსხვავება“².

ამასთან ერთად აღნიშნული ორი ინსტიტუტის გამოყენების მასშტაბიც არაა ერთნაირი. სასჯელი ინიშნება იმ ზომით, რომელიც ბრალეულობის ზომას უნდა შეესაბამებოდეს. სასჯელის სიმძიმე უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულის მნიშვნელობას, როგორც ხელყოფისა განსაზღვრულ უფლებრივ სიკეთეზე, რომელსაც აქვს გარკვეული ღირებულება. პირიქით, დაცვის ღონისძიების დროს მათი ზომა არ განისაზღვრება ბრალეულობის ზომასთან მათი შესაბამისობის მოსაზრებით—ადამიანი შესაძლოა იქნას აღიარებული ბრალეულად და ამიტომ დასჯადად, მაგრამ მიუხედავად ამისა დაცვის ღონისძიების მის მიმართ გამოყენება იყოს გამორიცხული, რადგან იგი არ წარმოადგენს იმ საშიშროებას, რომელიც მოითხოვს ამგვარი ღონისძიების მიღებას. ამას ემატება ის მოსაზრება, რომ სოციალური დაცვის ღონისძიების გამოყენებისას იმ სიკეთის ღირებულებას, რომელიც შეადგენს ხელყოფის საგანს, თავის თავად არა აქვს მნიშვნელობა. ამ სიკეთეს კიდევ რომ არ ჰქონდეს დიდი ღირებულება, თუ დამნაშა-

¹ Очерки по общему учению о наказании, 1924, 29.

² იქვე, 30.

ვის საშიშროება დიდია, მას მაინც შეეფარდება დაცვის ღონისძიება, რამდენადაც დასაშვებია, რომ ამ გზით ეს საშიშროება იქნება აცდენილი¹.

დაბოლოს, ყიყილენკო მიუთითებს, რომ სოციალური დაცვის ღონისძიებას ნიშნავს ჩვეულებრივად სასამართლო, და არა აღმინისტრაცია. ეს აიხსნება იმით, რომ სოციალური დაცვის ღონისძიების გამოყენებისას საქმე საერთო წესით ეხება თავისუფლების აღკვეთას, თანაც ხანგრძლივი ვადებით, თანამედროვე სახელმწიფო კი დაუშვებლად ცნობს, რომ ადამიანს აღეკვეთოს თავისუფლება განსაზღვრული გარანტიების დაუცველად. დაცვის ღონისძიება ბუნებრივად ინიშნება განუსაზღვრელი ვადით, ვინაიდან აქ წინასწარ არ შეიძლება დადგენა, თუ როდის შეწყდება საშიშროება. მაგრამ თავისუფლების აღკვეთის ვადა დაცვის ღონისძიების შემთხვევაში არ შეიძლება სინამდვილეში იქნეს უსაზღვრო და იმ მიზნით, რომ აცილებულ იქნას სხვადასხვა ბოროტებანი, ჩვეულებრივ დგინდება თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა, რომლის ზევით მოცემული ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს².

ჩვენ შეგვიჩინებდა ყიყილენკოს შეხედულებათა განმარტებაზე და ვფიქრობთ, რომ ეს ზედმეტი არ იყო. ყიყილენკოს კონცეფციის სახით ჩვენ გვაქვს საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ ჰქონდა გავებული რევოლუციამდელ კრიმინალისტს ახალი საბჭოთა სამართალი. ყიყილენკოს თეორია ზემოთ უკვე დახასიათებული იყო და ვინც ყურადღებით მას გაეცნობა, უცილობლად გამოიტანს დასკვნას, რომ ამ ავტორს შეუცვლელად გადმოაქვს საბჭოთა სამართალში ის ძირითადი შეხედულებანი, რომლებიც მას გამოთქმული ჰქონდა თავის მონოგრაფიაში სასჯელის შესახებ. როგორც ჩანს, მას ვერ გაუგია საბჭოთა სისხლის სამართლის ბუნება, მისი თავისებურება და ის ახალი მიზნები, რომლებსაც იგი ისახავს.

თავისი იდეალისტური სისტემის შესაბამისად, ყიყილენკო ხშირად იმეორებს, რომ სამაგიეროს მიზნვა, დამყარებული ქმედობის შეფასებაზე, შეადგენს სასჯელის არსს, „ავსებს სასჯელს გარკვეული შინაარსით და ახასიათებს მხოლოდ სასჯელს“ («наполняет наказание определенным содержанием и характеризует одно только наказание»). არც ერთი სხვა ღონისძიებათაგანი, რომლებიც გარეგნულად სასჯელს ემსგავსება, არ შეიცავს ამ ელემენტს. სას-

¹ Очерки по общему учению о наказании, 1924, 30.

² იქვე, 30.

ჯელი სამაგეროს მიზლის გარეშე უკვე არაა სასჯელი, იგი იქცევა დაცვის ღონისძიებად¹.

ამას ჟიჟილენკო ამტკიცებდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე გამოსცა „სახელმძღვანელო საწყისები“, სადაც გარკვევით, საკანონმდებლო წესით დადგენილი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება უარჰყოფს სამაგეროს მიზლის საწყისს, რომ სასჯელი არაა სამაგეროს მიზლვა ბრალისათვის, რომ იგი დაცვითი ღონისძიებაა (оборонительная мера) და როგორც ასეთს მას უნდა ჰქონდეს მიზანშეწონილი ხასიათი («оно должно быть целесообразно»).

აღნიშნული თვალსაზრისით მეტად საინტერესოა, თუ როგორ განმარტავს ჟიჟილენკო პირველ საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის დადგენილებებს (რსფსრ სს კოდექსისა, რომელიც 1922 წ. გამოიცა).

ჟიჟილენკო ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს კოდექსი თითქოს აღიარებს მის მიერ გამოთქმულ შეხედულებას. მართალია, —წერს იგი, —სისხლის სამართლის კოდექსი თვლის სასჯელს „დაცვის ღონისძიებად («мерой оборонительной», მე-26 მუხლი) და თითქოს სოციალური დაცვის ღონისძიებათა სახეობად, რამდენადაც იგი ლაპარაკობს „სასჯელებზე ან სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებებზე“ (მე-5 მუხლი) ან „სასჯელებზე და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებებზე (მე-8 მუხლი). მართალია, იგი სასჯელისა და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებების საერთო ამოცანად ერთნაირად თვლის „მშრომელთა სახელმწიფოს დაცვას დანაშაულისა და საზოგადოებრივად საშიშ ელემენტებისაგან“ (მე-5 მუხლი), აგრეთვე ორივე ინსტიტუტის უახლოეს მიზნებს იგი აყალიბებს ერთნაირად (მე-8 მუხლი), მაგრამ ეს დარქმევა სასჯელისა და დაცვის ღონისძიებად ან სოციალური დაცვის ღონისძიებად გამოხატავს მხოლოდ იმ აზრს, რომ სასჯელი არის სამართლის დაცვის საშუალება («правоохранительное средство»), ისეთი საშუალება, რომლითაც დაცულია ახალი სოციალური წყობილება, რომელიც გარკვეულ სამართლებრივ ნორმებს ემყარება. თუმცა, —განაგრძობს ჟიჟილენკო, —სისხლის სამართლის კოდექსმა წამოაყენა საწყისი, უცნობი ძველი სამართლისათვის, იმის შესახებ, რომ სასჯელის ზომის განსაზღვრისას ანგარიში უნდა ვაეწიოს როგორც თვით დამნაშავეს, ისე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხარისხს და ხასიათს და ამრიგად პირველ პლანზე დაყენებულია დამნაშავეს საშიშროების ცნება (მე-7 და მე-

¹ Очерки по общему учению о наказании, 1924, 31.

24 მუხლები). მაგრამ, ყიყილენკოს სიტყვით, სისხლის სამართლის კოდექსის უფრო დაახლოებით განხილვა ცხადყოფს, რომ სასჯელი აქაც ემყარება სამაგიეროს მიზლვას, ე. ი. შეიცავს დამნაშავეის მიერ ჩადენილი ქმედობის შეფასების ელემენტს. ეს გამომდინარეობს უპირველეს ყოვლისა იქიდან, რომ კოდექსი, სოციალური დაცვის ღონისძიებათა ფართო ცნების გარდა, რომელიც მოიცავს სასჯელსაც, იცნობს მათ ვიწრო ცნებას, რაც მოწმობს, რომ მას სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი გააზრებული აქვს, როგორც არაიდენტური ცნებები. სასჯელთა სისტემა (მე-32 მ.) და სოციალური დაცვის ღონისძიებანი (მე-46 მ.) გამიჯნულია ერთმანეთისაგან და ეს დაპირისპირება ორი ინსტიტუტისა განსაკუთრებით მკვეთრად გამოთქმულია სიტყვებით: „სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენით ცვლიან სასჯელს ან მას ერთვინ, მიეკუთვნება...“ (მე-46 მ.). მაშასადამე, — დასკვნის ყიყილენკო, — სოციალური დაცვის ღონისძიებანი ეს ისეთი ღონისძიებანია, რომლებიც ცვლიან სასჯელს ან მას ემატებიან, და არა თვით სასჯელი¹. შემდეგ, ყიყილენკო მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებში მოცემულია ცალკეულ დანაშაულთა შეფასება, თანაც აღნიშნულია, რომ რაც უფრო მძიმეა დანაშაული, მით უფრო მკაცრად არის იგი შეფასებული და შესაბამისად ისჯება. ასეთივე შეფასება უნდა აწარმოოს სასამართლომ, როდესაც იგი კონკრეტულ შემთხვევაში ნიშნავს სასჯელის განსაზღვრულ ზომას ამა თუ იმ დანაშაულისათვის. ყოველგან ხაზგასმით არის მითითებული ჩადენილი დანაშაულის შეფასების აუცილებლობა. დაბოლოს, ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ ქმედობის შეფასება უნდა გამოხატავდეს მოქმედი პირის ბრალეულობას. მე-46 მუხლში დასახელებული სოციალური დაცვის ღონისძიებანი სწორედ იმით განსხვავდებიან სასჯელისაგან, რომ მათთვის ბრალეულობის საკითხს არა აქვს მნიშვნელობა. პირიქით, სასჯელისათვის მიღებულია სხვა საწყისი: მე-11 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ სასჯელი შეეფარდება მხოლოდ იმათ, ვინც მოქმედებდა განზრახ ან გაუფრთხილებლობით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასჯელი განპირობებულია დამნაშავეის ბრალეულობის აღიარებით².

ყიყილენკოს აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის ყველა აღნიშნული დადგენილება იძლევა სრულ საფუძველს მტკიცებისათვის

¹ Очерки по общему учению о наказании, 1924, 31.

² იქვე. 32.

რომ მასშიც სასჯელი, წარმოადგენს რა დაცვის ღონისძიებას, ემყარება სამაგიეროს მიზლის საწყისს, ე. ი. შეიცავს სამართლის დარღვევის შეფასებას პიროვნების ამა თუ იმ უფლებრივ სიკეთეზე სახელმწიფოებრივი ზემოქმედების გზით¹.

უდავოა, რომ საბჭოთა კანონმდებლობა უკვე პირველ სისხლის სამართლის კოდექსში ცნობდა ცალკეულ დანაშაულთა ყოველმხრივი განხილვისა და შეფასების საჭიროებას და სასამართლოებს სათანადო მოვალეობას აკისრებდა; სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლად მიჩნეული იყო განზრახვა და გაუფრთხილებლობა, რომლებიც ბრალეულობის ფორმებს წარმოადგენენ. მაგრამ არასწორი იქნებოდა აქედან გამოგვეტანა დასკვნა, რომ საბჭოთა სამართალი თითქოს სამაგიეროს მიზლის საწყისს აღიარებდაო. ყიეილენკოს სამაგიეროს მიზლვა ესმის როგორც რეაქცია ჩადენილის მიმართ. მაგრამ ეს გაგება მეტად ბუნდოვანია. რაც შეეხება შეფასების ელემენტს, საბჭოთა სამართალი ყოველთვის აღიარებდა მის აუცილებლობას. შეფასების გარეშე პასუხისმგებლობის ცნება როგორც სამართალში, ისე ზნეობის სფეროში წარმოუდგენელია. მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ შეფასებას საბჭოთა სისხლის სამართალში აქვს ახალი შინაარსი, სხვა ისტორიულ ეპოქებისაგან განსხვავებით, ახალი მიზნები და საფუძვლები.

3

1919 წელს გამოცემული „სახელმძღვანელო საწყისები“ სისხლის სამართლის ზოგად დებულებებს იძლეოდნენ და განმარტავდნენ ისეთ ცნებებს, როგორცაა სამართალი, დანაშაული, სასჯელი და სხვ. იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად იყო აღნიშნული, რომ ეს იყო პირველი ცდა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმების სისტემატიზაციისა². უკვე მითითებული იყო, რომ „სა-

¹ Очерки по общему учению о наказании. 1924. 32.

² „სახელმძღვანელო საწყისების“ გამოცემის მომენტისათვის საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა წარმოადგენდა სისხლის სამართლის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილების არასისტემატიზირებული ნორმების ერთობლიობას, თანაც აშკარად და მნიშვნელოვნად სკარბობდნენ განსაკუთრებულ ნაწილის ნორმები.

История советского уголовного права, под редакцией А. Герцензона. 1948, 159.

ამგვარად, „სახელმძღვანელო საწყისები“ წარმოადგენდნენ სოციალისტური სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმების სისტემატიზაციის ცდას. (იქვე, 159).

ხელმძღვანელო საწყისები“ სასჯელს უსახავენ მართლწესრიგის დაცვის მიზანს და სამაგიეროს მიზლვას უარპყოფენ¹.

პირველი საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი, გამოცემული 1922 წელს, უფრო ვრცლად და დამუშავებული სახით იძლევა დანაშაულისა და სასჯელის განსაზღვრებებს და განმარტავს ამ ორ ძირითად ცნებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ჩვენი შრომის საგანს შეადგენს სასჯელის ცნება და ამ მოსაზრებით ჩვენ შევჩერდებით და დავახასიათებთ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის დადგენილებებს სასჯელის შესახებ. თავის თავად გასაგებია, რომ სათანადო საკანონმდებლო მასალის გაცნობა გაგვიადვილებს იმ თეორიულ შეხედულებათა სწორად შეფასებას, რომლებიც თავის დროზე გამოთქმული იყო საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში.

1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის უმნიშვნელოვანეს წყაროებს წარმოადგენენ საბჭოთა მთავრობის დეკრეტები 1917—1922 წწ., „სახელმძღვანელო საწყისები“ და დიდი გამოცდილება რევოლუციური ტრიბუნალების და სახალხო სასამართლოებისა. დ. კურსკის სიტყვით, სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი წარმოადგენდა იმ მუშაკების „კრისტალიზებულ მართლშეგნებას“, რომლებსაც მაშინ მიჰყავდათ მართლმსაჯულების საქმე საბჭოთა რესპუბლიკაში².

რევოლუციამდელი სისხლის სამართლის კანონები არ შეიძლება ყოფილიყო საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი ძირითადი წყარო. მათ დაკარგეს ყოველივე მნიშვნელობა უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს, როგორც მიუღებელმა შინაარსითაც და ფორმითაც³.

დანაშაულისა და სასჯელის ცნებები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველ დღეებიდანვე განისაზღვრებოდა

¹ „სახელმძღვანელო საწყისები“ მე-7 მუხლში განსაზღვრავენ სასჯელის შინაარსს. „საბჭოთა სისხლის სამართლის ისტორიის“ ავტორების სიტყვით, „სახელმძღვანელო საწყისებს“ ამ მუხლში, ისე როგორც მომდევნო მუხლებში, ალბათ, მხედველობაში ჰქონდათ ხაზი გაეხადათ სასჯელის უტილიტარული როლისათვის, სურდათ მხილება სასჯელის ტრადიციული დოქტრინის — სამაგიეროს მიზლისა (Ист. советского уголовного права, 172). ისტორიის ავტორები წერენ „ალბათ“ (повидимому), მაგრამ აქ საალბათო არაფერია; უეჭველია, რომ კანონმდებელს ეს მიზანი ნამდვილად ჰქონდა.

² იქვე, 247.

³ Ист. советского уголовного права, 247.

მუშათა და გლეხთა მთავრობის დეკრეტებით და მოსამართლის სოციალისტური მართლშეგნებით¹.

ქმედობის დანაშაულობის და დასჯადობის განსაზღვრა სოციალისტური მართლშეგნების მიხედვით ნიშნავდა იმას, რომ ქმედობა უნდა ყოფილიყო განხილული მისი საშიშროების თვალსაზრისით საბჭოთა წყობილებისა და ახალი სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის².

1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის გამოცემამდე საბჭოთა სამართალი იცნობდა მხოლოდ ერთ ტერმინს — სასჯელს. „სახელმძღვანელო საწყისები“ და პირველი დეკრეტები სარგებლობენ მხოლოდ ამ ტერმინით. 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა შემოიღო ახალი ტერმინი — „სოციალური დაცვის ღონისძიება“. ეს იყო უცილობლად უცხო შეხედულებათა, უცხო ცნებათა სისტემის გავლენის შედეგი. სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი ლაპარაკობს სასჯელისა და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებათა მიზნის შესახებ და ეს მიზანი გაგებულია ზოგადი და სპეციალური პრევენციის მნიშვნელობით; მიზნად დასახულია: ა) საერთო გაფრთხილება; ბ) დამნაშავეის შეგუება საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებთან შრომა-გასწორებითი ზემოქმედების გზით; გ) დამნაშავეისათვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობა. მეოთხე კარს სათაურად აქვს: „სასჯელთა და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებათა გვარები და სახეები“ («Роды и виды наказаний и других мер социальной защиты»).

კანონმდებელი, ამრიგად, ასხვავებს სასჯელს და სოციალური დაცვის ღონისძიებათა სხვა სახეებს. მაგრამ ექვზვარეშეა, რომ მას სასჯელი სოციალური დაცვის ღონისძიებათა ნაირსახეობად მიაჩნია. როცა ვიხილავთ და ვარკვევთ სასჯელის შინაარსს, მის ბუნებას, ეს გარემოება დადგენილად უნდა ჩაითვალოს. ვინაიდან სასჯელი წარმოადგენს სოციალური დაცვის ერთ-ერთ სახეობას, მას არსებითად უნდა ჰქონდეს იგივე შინაგანი თვისებები, რაც საერთოდ სოციალური დაცვის ღონისძიებებს. კანონი ასახელებს მათ საერთო მიზანს, ამ მიზანშია გამოხატული ის ნიშანი, რომელიც ახასიათებს როგორც სასჯელს, ისე სხვა ღონისძიებებს, რომელიც ყველა ღონისძიებას აერთებს და ჰქმნის მათ შორის კავშირს და მთლიანობას. მათი გამაერთიანებელი მიზანია საბჭოთა მართლწესრიგის დაცვა, განმტკიცება. მაგრამ, მეორეს მხრივ, სასჯელს რაღაც სპეციფიკური ნიშანიც

¹ Ист. советского угол. права, 247.

² იქვე, 247.

უნდა ახასიათებდეს. სხვანაირად გაუგებარი რჩება მისი ცალკეულ სახეობად გამოყოფა. ლოგიკურად სახეობა იზიარებს გვარობით ნიშნებს და გარდა ამისა გულისხმობს სპეციფიკურ ნიშანსაც, რაც მას თავისებურ ხასიათს ანიჭებს. ეს თავისებურება სასჯელისა მდგომარეობს იმაში, რომ იგი, როგორც თავისი გამოყენების საფუძველს, აუცილებლად გულისხმობს განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, ე. ი. ბრალის არსებობას. კანონი, როცა ითვალისწინებს მიზანს, ლაპარაკობს სასჯელსა და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებებზე (მე-8 მუხლი), ხოლო, როცა განმარტავს განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, იგი აღნიშნავს მხოლოდ სასჯელს (მე-11 მუხლი): სასჯელი შეეფარდება მხოლოდ იმათ, ვინც მოქმედებდა განზრახ ან გაუფრთხილებლობით. მაშასადამე, მე-8 მუხლში აღნიშნულია საერთო მიზანი, ხოლო მე-11 მუხლში ის, რაც მხოლოდ სასჯელს ახასიათებს; ესაა მისი კავშირი სუბიექტურ მომენტთან — ბრალეულობასთან. ამაში უნდა ვეძიოთ სასჯელის სპეციფიკურობა შედარებით სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებებთან. ამგვარად, თუმცა 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელს განიხილავს როგორც სოციალური დაცვის ღონისძიებათა სახეობას, მაგრამ მაინც მას დამოუკიდებელი ადგილი აქვს დათმობილი. „1921 და 1922 წლების პროექტებმა და 1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსმა, ნათქვამია „საბჭოთა სისხლის სამართლის ისტორიაში“, მიიღეს ტერმინი „სასჯელი“, რომელიც განიხილებოდა როგორც სოციალური დაცვის ღონისძიებათა სახეობა. ასეთი ადგილი უკავია სასჯელს თანახმად სსკ-ის მე-5 და მე-8 მუხლებისა, რომლებიც ლაპარაკობენ სასჯელზე და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებებზე. მაგრამ ეს სიახლე წმინდა ტერმინოლოგიური დარჩა. მთელ კოდექსში სასჯელი, რომელიც ინიშნება დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენისათვის და ქმედობის სიმძიმეს და დამნაშავის საშიშროებას შეესაბამება, ფაქტიურად უპირისპირდება სოციალური დაცვის ღონისძიებებს, რომელთა რიცხვს უპირველეს ყოვლისა ეკუთვნიან სამკურნალო და სხვა ღონისძიებანი, სასჯელის ელემენტს მოკლებული“¹. საერთოდ ეს აზრი სწორია, მხოლოდ ვერ დავეთანხმებით იმას, რომ თითქოს ეს სიახლე წმინდა ტერმინოლოგიური ხასიათისაა («...это нововведение осталось чисто терминологическим»). ის წმინდა ტერმინოლოგიური არ ყოფილა; იგი მოასწავებდა ახალ შეხედულებას სასჯელზე, მაგრამ სს კოდექსის ავტორებმა მიიღეს, ასე ვთქვათ, დუალის-

¹ История советского уголовного права, под ред. Герцензона, 266.

ტური კონცეფცია. ვერ შეძლეს სრულიად უარის თქმა სასჯელის ცნებაზე და იმავე დროს დაუკავშირეს იგი უცხო არსენალიდან ნასესხებ „სოციალური დაცვის ღონისძიებათა“ სისტემას.

სასჯელთა სისტემას რომ დამოუკიდებელი ადგილი აქვს მიკუთვნებული, ეს ნათლად ჩანს მე-32 მუხლის შინაარსიდან, სადაც ჩამოთვლილია კონკრეტულად სასჯელის სხვადასხვა სახეები¹. თუ მე-32 მუხლი იძლევა სასჯელის ცალკეული სახეების დასახელებას, მაშინ აუცილებლად იბადება კითხვა: რომელია სოციალური დაცვის „სხვა ღონისძიებანი?“ მოცემულია თუ არა სს კოდექსში „სხვა ღონისძიებანი“?

სს კოდექსი ზუსტად ასახელებს ამ სხვა ღონისძიებებს. ეს ღონისძიებანი მითითებულია მე-46 მუხლში, რომელიც ადგენს: „სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენით ცვლიან სასჯელს ან მას ერთვიან, მიეკუთვნება:

ა) გონებრივად ან მორალურად დეფექტურთა დაწესებულებებში მოთავსება;

ბ) იძულებითი მკურნალობა;

გ) ამა თუ იმ თანამდებობის დაქერის ან ამა თუ იმ საქმიანობის ან ხელობის აკრძალვა;

დ) განსაზღვრული ადგილიდან გაძევება.

ასეთია ის ღონისძიებანი, რომლებიც კანონის დადგენილებით უნდა ჩაითვალოს სოციალური დაცვის „სხვა ღონისძიებებად“. მათი აღრევა სასჯელთან შეუძლებელია, თვითონ კანონმდებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ღონისძიებანი, სასამართლოს განაჩენით, ცვლიან ან ემატებიან სასჯელს («...заменяющим по приговору суда или следующим за ним»).

არსებითად იმავე შინაარსის საკითხებს ეხებიან მომდევნო მუხლები.

მე-47 მუხლი ადგენს: უკეთუ, სს კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად², სასამართლო არ უფარდებს ბრალდებულს სასჯელს, ხოლო ცნობს, რომ მისი თავისუფლად ყოფნა საშიშია საზოგადოებისათვის, სასამართლო გამოიტანს დადგენილებას მისი მოთავსების შესახებ გონებრივად ან მორალურად დეფექტურთა ან სამკურნალო დაწესებულებაში. მე-48 მუხლიც საშიშროების საკითხს ეხება და ადგენს: იმ მსჯავრდადებულ პირებს, რომლებიც სასამართლოს მიერ

¹ 1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-32 მუხლი ასახელებს სასჯელის ათ სხვადასხვა სახეს.

² მე-17 მუხლი ითვალისწინებს შეურაცხადობას.

ცნობილი არიან სოციალურად საშიშად პროფესიის ან ხელობის ან თანამდებობის შესრულებისას სისტემატური ბოროტად გამოყენების გამო, შეიძლება აეკრძალოს ხუთ წელზე არა უმეტესი ვადით მოცემული პროფესია ან ხელობა ან განსაზღვრული მოვალეობის შესრულება.

მე-49 მუხლის თანახმად, იმ პირებს, რომლებიც თავისი დანაშაულებრივი მოქმედების ან მოცემული ადგილის დანაშაულებრივ წრესთან კავშირის გამო ცნობილი არიან სოციალურად საშიშად, შეიძლება სასამართლოს განაჩენით აეკრძალოს განსაზღვრულ ადგილებში ყოფნის უფლება ვადით არა უმეტეს სამი წლისა.

დაყენებული საკითხის თვალსაზრისით საგულისხმოა მე-50 მუხლის შინაარსი, რომლის მიხედვით, სასამართლოს, ამოირჩევს რა სს კოდექსის სათანადო მუხლით გათვალისწინებულ სასჯელს, შეუძლია დაუმატოს მას ან სოციალური დაცვის აუცილებელი ღონისძიება, ან სხვა ნაკლებად მძიმე იმ სასჯელთაგან, რომლებიც დასახელებულია სს კოდექსის მე-32 მუხლის „1“-„k“ პუნქტებში¹.

„ლენინის მოძღვრებამ სოციალისტური სახელმწიფოს დასამართლის შესახებ და მისმა მითითებამ ერთიანი სოციალისტური კანონიერების განხორციელების საკურობის შესახებ საბჭოთა სახელმწიფოში თავისი გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა კანონმდებლობაში. გამოცემა საბჭოთა რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებისა, რომლებიც აგებული იყო ერთიან პრინციპებზე და თავისი ძირითადი ნიშნებით ერთმანეთს ემთხვეოდნენ, წარმოადგენდა სოციალისტური კანონიერების შესახებ ლენინის სწავლების კონკრეტულ განხორციელებას. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნით საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის წინაშე წარმოიშვა ახალი ამოცანები ერთიანი სოციალისტური კანონიერების შესახებ ლენინის მითითებათა შემდგომ გადასაწყვეტად“².

სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციამ დაადგინა, რომ სსრკ საკანონმდებლო ორგანოთა კომპეტენციას სისხლის სამართლის

¹ მე-32 მუხლში „1“-„k“ პუნქტებში აღნიშნულია:

ა) ქონების კონფისკაცია — საერთო ან ნაწილობრივი,

ბ) ჯარიმა,

გ) უფლებათა აყრა,

დ) თანამდებობიდან დათხოვნა,

ე) საზოგადოებრივი გაკიცხვა,

ვ) მიყენებული ვენების გამოსწორების დაკისრება.

² История советского уголовного права, под ред. Герцензона, 318.

დარგში ეკუთვნის საერთო-საკავშირო სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების განსაზღვრა. ამის შესაბამისად 1924 წ. გამოიცა „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისები“, რომლებიც საბჭოთა სოციალისტური სისხლის სამართლის მთელი საბჭოთა კავშირისათვის ერთიანი პრინციპების გამოხატულებას წარმოადგენენ. „ძირითადი საწყისების“ წყაროს შეადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები და სასამართლო პრაქტიკა¹.

ჩვენს მიერ დაყენებული პრობლემის თვალსაზრისით საინტერესოა ის ცვლილება, რომელიც „ძირითადმა საწყისებმა“ შეიტანეს სასჯელის დარგში. ამ ძეგლმა სრულიად უარყო სასჯელის ცნება, მის მაგიერ მიღებული იყო სოციალური დაცვის ღონისძიებათა ერთიანი ცნება, რომელთა მიზნად გამოცხადებული იყო: ა) დანაშაულთა წინასწარ აღდგენა; ბ) საზოგადოებრივად საშიშ ველემენტებისათვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობა; გ) შრომაგასწორების შემოქმედება მსჯავრდადებულზე.

სამაგიეროს მიზლის და დასჯის ამოცანებს სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ისახავენ. სოციალური დაცვის ყველა ღონისძიება უნდა იყოს მიზანშეწონილი და მიზნად არ უნდა ჰქონდეს ფიზიკური წვლების მიყენება და აღამიანის ღირსების დამცირება (მე-4 მუხლი). როგორც ვხედავთ, „ძირითად საწყისებშიც“ სოციალური დაცვის ღონისძიებათა ამოცანები გაგებულია წმინდა პრევენციის აზრით; მასადამე, აღიარებულია მხოლოდ მიზანშეწონილების პრინციპი და უარყოფილი „სამაგიეროს მიზლვა და დასჯა“ («возмездие и кара»). ეს უკანასკნელი ფორმულა გვხვდება სს კოდექსების შემდეგ გამოცემებში. უნდა ვიფიქროთ, რომ კანონმდებელს სიტყვები: «возмездие и кара» ესმის როგორც მონათესავე შინაარსის ტერმინები.

სოციალური დაცვის ღონისძიებებს ეს ძეგლი ჰყოფს სამ კატეგორიად:

- ა) სასამართლო-გამასწორებელი ხასიათის ღონისძიებანი;
- ბ) სამკურნალო ხასიათის ღონისძიებანი და
- გ) სამკურნალო-საპედაგოგო ხასიათის ღონისძიებანი (მე-5 მ.).

1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსი, როგორც იყო აღნიშნული, სასჯელს უკავშირებს განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, ე. ი. ბრალის ფორმებს. თუმცა კოდექსი არ ხმარობს სიტყვას „ბრა-

¹ История советского уголовного права, под ред. Герцензона, 319.

ლი“, მაგრამ იგი თავის თავად იგულისხმება. „ძირითადი საწყისე-ბი“ იძლევიან განზრახვისა და გაუფრთხილებლობის განსაზღვრას და თვლიან მათ იმ ღონისძიებათა გამოყენების წინაპირობად, რომელთაც სასამართლო-გამასწორებელი ღონისძიებანი ეწოდება (მე-6 მ.). აქედან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სასამართლო-გამასწორებელი ხასიათის სოციალური დაცვის ღონისძიება წარმოადგენს ღონისძიებათა იმ კატეგორიას, რომელმაც „ძირითად საწყისებში“ სასჯელის ადგილი დაიკავა. „საბჭოთა სისხლის სამართლის ისტორიაში“ სწორად არის აღნიშნული, რომ «по обычной терминологии уголовного права наказанием в собственном смысле являлись меры судбно-исправительного характера»¹.

„საბჭოთა სისხლის სამართლის ისტორიაში“ ვკითხულობთ, რომ „ძირითადი საწყისების“ მიერ უარის თქმა სასჯელის ცნებაზე არ ნიშნავდა რაიმე პრინციპულ ცვლილებას საბჭოთა სისხლის სამართალში². ჩვენ მთლიანად ამ აზრს ვერ დავეთანხმებით. სასჯელის ცნების უარყოფა საკმაოდ მნიშვნელოვან ცვლილებასთან იყო დაკავშირებული, მისი განდევნა სისხლის სამართლიდან, რასაკვირველია, რეპრესიის ბუნების ახალ გაგებას იწვევდა და უდავოდ ცნებათა ერთგვარ გაურკვეველობას ჰქმნიდა. იმავე შრომაში აღნიშნულია, რომ ლენინის და სტალინის გამოთქმებში სასჯელის შესახებ ჩვეულებრივ ნახშირია ტერმინი „სასჯელი“, და არა სხვა რაიმე ტერმინი. ტერმინოლოგიის შეცვლა დაკავშირებული იყო კანონმდებლის მისწრაფებასთან ხაზი გაესვა იმ გარემოებისათვის, რომ საბჭოთა სისხლის სამართალი უარყოფს სამაგიეროს მიზლვას, რომელიც ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში ჩვეულებრივ სასჯელის ცნებას უკავშირდება. მაგრამ, — სწორად არის ნათქვამი დასახელებულ შრომაში, — სამაგიეროს მიზლის უარყოფა, როგორც სასჯელის მიზნისა, სრულიადაც არ მოითხოვდა ტერმინოლოგიის შეცვლას. ხოლო, რაც შეეხება ტერმინს „სოციალური დაცვის ღონისძიება“, იგი სულაც არაა დამახასიათებელი საბჭოთა სისხლის სამართლისათვის, ვინაიდან ფართოდ არის ცნობილი თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში³. რა თქმა უნდა, სოციალური დაცვის ღონისძიებანი საბჭოთა სისხლის სამართლის სისტემაში არ უდრის ამ ღონისძიებებს ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში, მათგან პრინციპულად განსხვავდება. მაგრამ თავის თავად

¹ История советского угол. права, под ред. Герцензона, 321.

² იქვე, 321.

³ იქვე, 321.

ერთი ცნების შეცვლა მეორეთი არ იყო გამოწვეული აუცილებლობით და მის ნიადაგზე შეიძლება წარმოშობილიყო მცდარი შეხედულებანი; ასეთი შეცდომები მართლაც ერთ დროს გავრცელებული იყო საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში¹.

„ძირითადი საწყისები“ მთლიანად წარმოადგენდნენ საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის უმნიშვნელოვანეს დებულებათა სისტემას. ისინი საფუძვლად დაედო მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების ზოგად ნაწილს, რომლებიც გამოცემული იყო მომდევნო წლებში. „ძირითადი საწყისები“ საერთო-საკავშირო სისხლის სამართლის კანონია, რომელიც აქამდე მოქმედებს — საერთო-საკავშირო სისხლის სამართლის კოდექსის გამოცემამდე. თავისი მოქმედების მთელი დროის განმავლობაში „ძირითადი საწყისები“ არაერთხელ შეცვლილა და დამატება განუცდია, თანაც ამ ცვლილებებს ხშირად ჰქონდათ მეტად მნიშვნელოვანი, პრინციპული ხასიათი².

„ძირითადი საწყისების“ ეს დახასიათება, რა თქმა უნდა, საერთოდ სწორია და მართებულად ახასიათებს ამ ძეგლის მნიშვნელობას, მის მიზანს და დანიშნულებას საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების ისტორიაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანაში საბჭოთა კანონმდებლობა უარს ამბობს საერთო-საკავშირო სისხლის სამართლის კოდექსის შემოღებაზე და სისხლის სამართლის კოდექსების შედგენა კვლავინდებურად მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას ეკისრება.

ამგვარად, „ძირითადი საწყისებით“ დაწყებული, საბჭოთა სისხლის სამართალში დამკვიდრდა ერთადერთი ტერმინი — „სოციალური დაცვის ღონისძიება“, რომელიც სრულიად არ შეესაბამებოდა საბჭოთა სისხლის სამართლის ბუნებას და მის მიზნებს. მხოლოდ 1934 წ. გამოცემული კანონი სამშობლოს ღალატის შესახებ უბრუნდება ძველ ტერმინს და ხმარობს „სასჯელს“. შემდგომი საკანონმდებლო აქტები იმავე ტერმინით სარგებლობენ.

1958 წ. გამოცემული იყო სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, რომლებიც ხმარობენ ტერმინს — სასჯელი.

¹ История советского угол. права, под ред. Герцензона, 321.

² იქვე, 327.

პროფ. ა. პიონტკოვსკი თავის შრომაში «Советское уголовное право»¹ წერდა, რომ პროლეტარული სახელმწიფოსათვის ერთადერთი მისაღები შეხედულება სისხლის სამართლებრივი იძულების მთელ სისტემაზე, როგორც პროლეტარული დიქტატურის დაცვის საპირო მიზანშეწონილ ღონისძიებათა სისტემაზე, ჯერ კიდევ არ წყვეტს საკითხს ამ დაცვის ძირითადი ამოცანების შესახებ. იგი არ წყვეტს საკითხს პროლეტარული სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნების შესახებ, რომლებიც უპასუხებს დანაშაულობასთან ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ბრძოლის საქმის დაკენებას პროლეტარული დიქტატურის სხვადასხვა ეტაპებზე. პიონტკოვსკი აყენებს საკითხს: რას იძლევა ამ საკითხის გადასაწყვეტად ბურჟუაზიული თეორია? სისხლის სამართლის ბურჟუაზიული მეცნიერების სოციოლოგიურმა სკოლამ აღიარა დეტერმინიზმი, უარპყო მორალური ბრალი, ცნო დანაშაულის სოციალური წარმოშობა, სასჯელი მას მიაჩნია დაცვის ღონისძიებად, მიზანშეწონილება სისხლის სამართლის პოლიტიკის კონსტრუქციების ძირითად კრიტერიუმად და ამიტომ ეს სკოლა ერთი შეხედვით თითქოს რამდენადმე უახლოვდება მარქსისტულ მსოფლმხედველობას. მაგრამ, — ამბობს პიონტკოვსკი, — დიდი შეცდომა იქნებოდა ამ სკოლის შეხედულებათა არაკრიტიკულად მიღება და მათი გამოყენება პროლეტარული სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის დარგში. სოციოლოგიური სკოლა წყვეტს საკითხს სისხლის სამართლებრივი იძულების მიზნების შესახებ იმ აზრით, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკას ზაფუძვლად უნდა დაედოს სპეციალური პრევენციის ამოცანების განხორციელება. პიონტკოვსკის სიტყვით, ასეთი გადაწყვეტა არ შეიძლება გახდეს სახელმძღვანელო საწყისად პროლეტარული სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკისათვის. საკითხის ამ გადაწყვეტის ძირითად ნაკლოვანებას პიონტკოვსკი ხედავს იმაში, რომ იგი არაა დიალექტიკური, იგი მეტაფიზიკურია. ეს დაკავშირებულია ბურჟუაზიულ კრიმინალისტ-სოციოლოგების საერთო ვულგარულ-მატერიალისტურ მსოფლმხედველობასთან. იძულების გამოყენების პოლიტიკის დარგში, პიონტკოვსკის აზრით, უნდა განვასხვავოთ მისი საერთო პრევენციული და სპეციალურ-პრევენციული მოქმედება. საერთო პრევენცია და სპეციალური პრევენცია ერთმანეთისადმი ისეთ დამოკიდებულებაშია, როგორც „წინააღმდეგობათა

¹ А. Пионтковский, Советское уголовное право, общая часть, 1929, стр. 136. Изд. третье; პირველი გამოცემა გამოვიდა 1924 წ.

ერთიანობა“¹. იძულების გამოყენება ნიშნავს მოქმედებას დამნაშავეს პიროვნებაზე (სპეციალური პრევენცია) და მოქმედებას საზოგადოებაზე (საერთო პრევენცია). საერთო და სპეციალური პრევენციის „ერთიანობა“ მათ მუდმივ იგივეობას არ ნიშნავს. ბურჟუაზიული კრიმინალისტი-სოციოლოგები მეთოდოლოგიურად გამოდიოდნენ არსებითად სპეციალური და საერთო პრევენციის „გაიგივებიდან“. ეს შეცდომა უნდა იქნას თავიდან აცილებული პროლეტარული დიქტატურის იძულების პოლიტიკის დამუშავების დროს. კონკრეტული ისტორიული ეტაპის და დანაშაულობასთან ბრძოლის კონკრეტული დარგის მიხედვით, განმსაზღვრელი ამოცანის სახით, უნდა იქნას წამოყენებული ხან საერთო, ხან კი სპეციალური პრევენციის განხორციელება².

პროლეტარული დიქტატურის ეპოქის პირველ სტადიებზე რიგ შემთხვევაში მთავარი ადგილი უკავია საერთო პრევენციის განხორციელების ამოცანას: „აღმზრდელობითი“ და „მოტივაციური“ ამოცანების ცხოვრებაში გატარებას.

რამდენადაც მტკიცდება საბჭოთა წყობილება და იზრდება სოციალისტური მშენებლობა, სუსტდება ზოგადი პრევენციის შედეგების განხორციელების მოთხოვნილება. თანდათანობით მუშავდება ახალი საზოგადოებრივი დისციპლინა³.

პიონტკოვსკი დაასკვნის, რომ სრულიად არ იქნებოდა მიზანშეწონილი პროლეტარული სახელმწიფოს სისხლის სამართლებრივი იძულების სისტემის აგების ცდა საბჭოთა სახელმწიფოს პირველ სტადიებზე მხოლოდ სპეციალური პრევენციის ამოცანების განხორციელების მისწრაფებაზე და უკანა პლანზე დაყენება საერთო პრევენციის ამოცანებისა, როგორც ამას მოითხოვს სოციოლოგიური სკოლა⁴.

საერთო პრევენციის მიზნები ხორციელდება სოციალური დაცვის ღონისძიებათა დანიშვნის გზით ჩადენილი დანაშაულის სოციალური საშიშროების ხარისხის შესაბამისად. ქმედობის სოციალური საშიშროება განისაზღვრება როგორც მოცემული დროისა და ადგილის მთელი სოციალურ-ეკონომიური გარემოებებით, ისე მისი გავრ-

¹ А. П. Понтковский, Советское уголовное право, общая часть, 1929, стр. 137. Изд. третье.

² იქვე, 137.

³ იქვე, 143.

⁴ იქვე, 145.

ცელების ხარისხით მოცემული დროის და ადგილის პირობებში. რაც უფრო დიდია ჩადენილი დანაშაულის სოციალური საშიშროება, მით უფრო მკაცრია სოციალური დაცვის ღონისძიება. საერთო პრევენციის მისაღწევად საბჭოთა სისხლის სამართალი სარგებლობს სისხლის სამართლებრივი იძულების პროპორციული ფორმით¹. ეს ფორმა, ამბობს პიონტკოვსკი, ბურჟუაზიულ სამართალშიც ანხორციელებს სახელმწიფოს დასჯით მოქმედების საერთო პრევენციის ამოცანას. მაგრამ ბურჟუაზიულ და საბჭოთა სამართალს შორის არსებითი განსხვავებაა. საბჭოთა სამართალი იყენებს პროპორციულ ფორმას განსაზღვრული სოციალურ-კლასობრივი მიზნების მისაღწევად, ხოლო ბურჟუაზიული სამართალი სარგებლობს პროპორციული ფორმით „სასჯელის — სამაგიეროს მიზლის“ იდეოლოგიურ სამოსელში. იდეოლოგიური სამოსელი ნიღბავს იმ სოციალურ-კლასობრივ მოქმედებას, რომელიც ობიექტურად ხორციელდება გაბატონებული კლასის ინტერესების სასარგებლოდ სისხლის სამართლებრივი იძულების ამ ფორმით. საბჭოთა სისხლის სამართალი, სოციალიზმის დაცვის მიზნით, სარგებლობს „ბურჟუაზიული“ სისხლის სამართლებრივი ფორმით, რომელსაც აქვს დეფექტიზირებული სახე. იგი უარს ამბობს ბურჟუაზიული სახელმწიფოსათვის აუცილებელი პროპორციული ფორმის („სასჯელი — სამაგიეროს მიზლი“) იდეოლოგიურ სამოსელზე, რომელიც ფარავს მის ნამდვილ სოციალურ დანიშნულებას ბურჟუაზიული სისხლის სამართლის სისტემაში. პროპორციული ფორმა, პიონტკოვსკის სიტყვით, საბჭოთა სამართალში არ ნიშნავს ექვივალენტობის იდეას ბრალისათვის თანასწორით მიზლის მნიშვნელობით². ნათლად დასახული სოციალური მიზანი, რომლის მისაღწევად საბჭოთა სამართალი იყენებს სისხლის სამართლებრივი იძულების პროპორციულ ფორმას, გავლენას ახდენს რეპრესიული ზომების მთელი სისტემის საკანონმდებლო აგებაზე. საბჭოთა სისხლის სამართლის სისტემა ძალიან ელასტიურია, მოქნილია. რამდენადაც დანაშაულობასთან ბრძოლის მოცემულ დარგში ან მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არაა აუცილებელი უპირატესად საერთო პრევენციის ამოცანების განხორციელება, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სოციალური დაცვის ღონისძიებანი არა ქმედობის სოციალური საშიშროების, არამედ დამნაშავის სოციალური საშიშ-

¹ А. Пионтковский, Советское уголовное право, общая часть. 1929, стр. 146, изд. третье.

² იქვე, 146.

როების შესაბამისად — სპეციალური პრევენციის მიზნების მი-
საღწევად¹.

ამგვარად, საერთო პრევენცია უკავშირდება ქმედობის საშიშ-
როებას, ხოლო სპეციალური პრევენცია — მოქმედი პირის, ე. ი.
დამნაშავეის საშიშროებას.

სპეციალური პრევენციის მიზნები, — განაგრძობს პიონტოვს-
კი, — შეიძლება მიღწეულ იქნას სხვადასხვა გზით, იმის მიხედვით,
თუ როგორია დამნაშავეის სოციალური საშიშროების წყარო². სუ-
ლით ავადმყოფთა მიმართ ამ მიზნებს აღწევენ სამკურნალო ხასია-
თის სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდების გზით, არა-
სრულწლოვანთა მიმართ — სამკურნალო-საპედაგოგო სოციალური
დაცვის ღონისძიებათა გამოყენებით, ხოლო ფსიქიკურად ჯანსაღ
და სრულსაკოვანი პირების მიმართ გამოიყენება სასამართლო-გა-
მასწორებელი ხასიათის სოციალური დაცვის ღონისძიებანი. ეს უკა-
ნასკნელნი შემთხვევით დამნაშავეის მიმართ გამოიხატება იმით, რომ
მასში მტკიცდება შესუსტებული თავის შეკავების უნარი საზოგა-
დოებრივი გაკიცხვის, პირობითი მსჯავრის, ჯარიმის ან იძულები-
თი სამუშაოს შეფარდების გზით. იმ დამნაშავეთა მიმართ, რომელ-
თაც ესაჭიროება შრომა-გასწორების ზემოქმედება მათი შეგუების
მიზნით საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებთან, ეს ღონისძიება-
ნი უნდა გამოიხატოს ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ თავისუფლე-
ბის აღკვეთაში. ასეთია, პიონტოვსკის აზრით, სპეციალური პრევენ-
ციის ამოცანები, რომლებიც ხორციელდება უმთავრესად მშრო-
მელთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა მიმართ. დეკლასირებულ დამნა-
შავეთა მიმართ, რომლებიც გამოსწორების იმედებს არ იძლევიან,
სპეციალური პრევენციის ამოცანა ხორციელდება მათი ხანგრძლი-
ვი იზოლაციის ან მათი მოსპობის გზითაც³.

პიონტოვსკი იხილავს საბჭოთა კანონმდებლობის დადგენილე-
ბებს. 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, წერს იგი, საერ-
თო და სპეციალური პრევენციის ამოცანების აღიარებამ თავისი გა-
მოხატულება პპოვა მე-8 მუხლში, რომელიც სასჯელისა და სოცია-
ლური დაცვის სხვა ღონისძიებათა მიზნად ცნობს: ა) ახალ დარღვე-
ვათა საერთო აცდენას როგორც დამრღვევის, ისე საზოგადოების
სხვა მერყევი ელემენტების მხრივ, ბ) დამრღვევის შეგუებას საზო-

¹ А. Пионтковский, Советское уголовное право, общая часть, 1929, стр. 147.

² იქვე, 147.

³ იქვე, 147.

გადობრივი ცხოვრების პირობებთან შრომა-გასწორების ზეგავლენის გზით, გ) დამნაშავეისათვის ახალ დანაშაულთა ჩადენის შესაძლებლობის მოსპობას. მე-8 მუხლის პირველ პუნქტში, პიონტკოვსკის სიტყვით, საერთო პრევენცია არაა მკაფიოდ გამოყოფილი სპეციალურისაგან. ახალ დარღვევათა თავიდან აცდენა დამნაშავეის მხრივ წარმოადგენს სპეციალურ და არა საერთო პრევენციას. პიონტკოვსკის შენიშვნა სწორია, ერთ პუნქტში მოთავსებულია პრევენციის ორივე სახე. „ძირითადი საწყისების“ მე-4 მუხლის პირველ ნაწილში განსაზღვრულია სოციალური დაცვის ღონისძიებათა გამოყენების მიზანი: ა) დანაშაულთა წინასწარ აცდენა; ბ) საზოგადოებრივად საშიშ ელემენტებისათვის ახალ დანაშაულთა ჩადენის შესაძლებლობის მოსპობა; გ) შრომა-გასწორების ზემოქმედება მსჯავრდადებულზე. პირველი პუნქტი ითვალისწინებს საერთო პრევენციას, ხოლო მეორე და მესამე — სპეციალურს. 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსი სოციალური დაცვის ღონისძიებებს მიზნად უსახავს: ა) ახალი დანაშაულის ჩადენის წინასწარ აცდენას იმ პირთა მხრივ, რომლებმაც ჩაიდინეს იგი, ბ) საზოგადოების სხვა მერყევე წევრებზე ზემოქმედების მოხდენას და გ) დამნაშავეთა შეგუებას მშრომელთა სახელმწიფოს საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებთან. ამ მუხლის პუნქტები „ა“ და „გ“ ითვალისწინებენ სპეციალურ პრევენციას, ხოლო პუნქტი „ბ“ საერთოს.

საერთო პრევენციის ამოცანების განხორციელების მნიშვნელობის აღიარებამ, პიონტკოვსკის სიტყვით, თავისი გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ სასამართლო-გამასწორებელი ღონისძიების ზომის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ობიექტური მომენტიც — ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის სოციალური საშიშროება. 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი მე-24 მუხლში მოითხოვდა სოციალური დაცვის ღონისძიებათა ამორჩევით და დანაშაულებრივი ქმედობის სოციალური საშიშროების გათვალისწინებას. „ძირითადი საწყისები“ ამას მოითხოვენ მე-30 მუხლში. 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსი ამას აღნიშნავს მე-47 მუხლის „ბ“ პუნქტში. სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი, — ამბობს პიონტკოვსკი, — აკმაყოფილებს სისხლის სამართლის პოლიტიკის ორგანიზებული, გეგმავითი და ერთგვაროვანი გატარების მოთხოვნილებას საერთო პრევენციის ამოცანების განსახორციელებლად. პროლეტარული დიქტატურის პირველ ეტაპებზე საერთო პრევენციის შედეგების განხორციელების განსაკუთრებულ მნიშვნელობას 1922 წლის სს კოდექსში შეესაბამებოდა მე-27 მუხლის დადგენილება. ადგენს რა სასჯელის ზომას, სს კოდექსი ასხვა-

ვებს დანაშაულთა ორ კატეგორიას: ა) დანაშაული, რაც მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ დამყარებული მართლწესრიგის საფუძვლების წინააღმდეგ არის მიმართული ან მის მიერ აღიარებულია ყველაზე უფრო საშიშად, რომლებსთვისაც კოდექსით დაწესებული სასჯელის უმდაბლეს საზღვარზე ქვევით გადაწყვეტა სასამართლოს არ შეუძლია და ბ) ყველა დანარჩენი დანაშაული, რომლისთვისაც დაწესებულია სასჯელის უმაღლესი საზღვარი. ამ მუხლის პირველი პუნქტით კანონმდებელთა, პიონტკოვსკის აზრით, ხაზს უსვამდა ობიექტური მომენტის მნიშვნელობას, ქმედობის სოციალურ საშიშროებას სასჯელის ზომის განსაზღვრისას სათანადო დანაშაულთათვის. ეს ემსახურებოდა საერთო პრევენციის მიზნების განხორციელებას. რაც შეეხება მე-27 მუხლის მეორე პუნქტს, იქ მოცემულია უფრო თავისუფალი სანქციები, რაც შესაძლებლობას იძლეოდა უფრო მეტად გაეწიათ ანგარიში თვითონ დამნაშავეის სოციალური საშიშროებისათვის და მიეღოთ შესაბამისი ღონისძიებანი. მაშასადამე, ამით იქმნებოდა შესაძლებლობა უფრო ფართოდ გაეტარებინათ დანაშაულობასთან ბრძოლის დარგში სპეციალური პრევენციის მიზნები¹.

სპეციალური პრევენციის ამოცანების ფართო განხორციელების მისწრაფებამ თავისი გამოხატულება პპოვა როგორც საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსების საერთო სტრუქტურაში, ისე მათ ცალკეულ დადგენილებებში. 1922 წ. სს კოდექსის მე-24 მუხლი მოითხოვს, რომ სასჯელის შეფარდებისას ანგარიში უნდა გაეწიოს დამნაშავეის სოციალურ საშიშროებას. იგი სასამართლოს აკისრებდა მოვალეობას გამოერკვია დამნაშავეის პიროვნება, რამდენადაც იგი გამოვლინდა მის მიერ ჩადენილ დანაშაულში და მოტივებში და რამდენადაც შესაძლოა მისი გარკვევა მისი ცხოვრების და წარსულის საფუძველზე. იმავე მიზანს ემსახურებოდა აღნიშნული კოდექსის მე-25 მუხლი, რომელიც იძლეოდა დამნაშავეის საშიშროების ხარისხის ამსახველ გარემოებათა სიას; „ძირითადი საწყისები“ მე-30 მუხლში ხაზს უსვამენ იმას, რომ სოციალურა დაცვის ღონისძიების განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, თუ რამდენად საშიშია დამნაშავე — მისი პიროვნება, დანაშაულის მოტივები. 1926 წ. სს კოდექსის მე-45 მუხლი ადგენს, რომ სასამართლო-გამასწორებელი ღონისძიების დანიშვნისას სასამართლო ხელმძღვანელობს თავისი სოციალისტური მართლშეგნებით, ითვალისწინებს რა ჩადენილი დანაშაულის, საქმის გარემოებათა და დანა-

¹ დაახ. ნაშრომი, 149.

შაულის ჩამდენი პიროვნების საზოგადოებრივ საშიშროებას. 47-ე და 48-ე მუხლები მიუთითებენ რიგ გარემოებებს, რომლებიც მოწმობენ დამნაშავეის სოციალური საშიშროების მეტნაკლებ ხარისხს, რაც სასამართლომ უნდა მიიღოს მხედველობაში სოციალური დაცვის ღონისძიების ამორჩევისას¹.

იმისათვის რომ პრაქტიკაში ფართოდ იქნას გატარებული ინდივიდუალიზაციის საწყისი, სისხლის სამართლის კოდექსი ყველა დანაშაულის დროს, განსაკუთრებით კი იმ დანაშაულთა დროს, რაც არაა მიმართული საბჭოთა წესწყობილების საფუძვლების წინააღმდეგ, აწესებს სანქციების საკმაოდ ფართო ფარგლებს. ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა სასამართლო დარწმუნდება, რომ მიზანშეწონილი იქნება იმ უმდაბლეს საზღვარზე ნაკლები ღონისძიების შეფარდება, რაც კოდექსის შესაფერ მუხლშია გათვალისწინებული, ან სხვა, ისეთ ნაკლებად მძიმე ღონისძიებაზე გადასვლა, რაც ამ მუხლში გათვალისწინებული არ არის, მას შეუძლია ასეთი გადახვევა და ეს განაჩენში სათანადოდ უნდა დაასაბუთოს (51 მუხლი).

სპეციალური პრევენციის ამოცანები, პიონტკოვსკის სიტყვით, ხორციელდება სასამართლო-გამასწორებელი სოციალური დაცვის უმთავრესი ღონისძიებების მთელი ორგანიზაციის მეშვეობით². თავისუფლების აღკვეთა მოწყობილია ისე, რომ ნამდვილად მოახდინოს გავლენა პატიმარზე. სპეციალური პრევენციის ამოცანების ცხოვრებაში გატარებას ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოება, რომ საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით შესაძლოა ფართოდ იქნას გამოყენებული პირობითი მსჯავრი და ვადამდე პირობით განთავისუფლება. სპეციალური პრევენციის ამოცანებით არის ნაკარნახევი სამკურნალო და სამკურნალო-საპედაგოგო ხასიათის ღონისძიებათა გამოყენება. ჩვენმა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ, — ამბობს პიონტკოვსკი, — არასაკმაოდ მოაწყო სპეციალური პრევენციის ამოცანების განხორციელება პროფესიულ დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლის დარგში. პიონტკოვსკი თვლიდა, რომ ჩვენი სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთ უახლოეს ამოცანას ამ ხარვეზების შევსება წარმოადგენდა³.

ზემოთ ჩვენ გავეცანით ა. პიონტკოვსკის შეხედულებას სასჯელის ცნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. როგორც ვნახეთ, პიონტკოვს-

¹ დასახ. ნაშრომი, 150.

² იქვე, 151.

³ იქვე, 151.

კი განსაკუთრებული ყურადღებით იხილავს პრევენციის საკითხს საბჭოთა სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით და სწორად აღნიშნავს, რომ საბჭოთა კანონმდებლობა აღიარებდა პრევენციის საჭიროებას ორივე მისი ფორმით — საერთო და სპეციალურ პრევენციას. საბჭოთა კანონმდებლობა იძლევა როგორც საერთო, ისე სპეციალური პრევენციის განხორციელების ფართო შესაძლებლობას.

პიონტოვსკი სოციალური დაცვის ღონისძიებათა გამოყენების მთავარ მიზნად თვლიდა საბჭოთა წესწყობილების, მართლწესრიგის დაცვას და უარპყოფდა სამაგიეროს მიზლის საწყისს. «Для достижения общего предупреждения — წერს იგი, — советское уголовное право пользуется, таким образом, пропорциональной формой уголовно-правового принуждения»¹.

მაშასადამე, პიონტოვსკის აზრით, საბჭოთა სისხლის სამართალი სარგებლობს სანქციის პროპორციული ფორმით. მაგრამ ეს პროპორციული ფორმა მიღებულია ბურჟუაზიულ სისხლის სამართალშიც, სადაც იგი აგრეთვე ახორციელებს საერთო პრევენციის ამოცანებს. ამ ფაქტს აღნიშნავს თვითონ პიონტოვსკი, რომელიც დასძენს, რომ ბურჟუაზიულ სამართალში მიღებულ პროპორციულ ფორმასა და საბჭოთა სამართლის პროპორციულობას შორის არსებითი განსხვავებააო. რაშია ეს განსხვავება? «Советское уголовное право, — წერს პიონტოვსკი, — сознательно пользуется этой формой для достижения определенных социально-классовых целей. Буржуазное уголовное право пользуется этой формой уголовно-правового принуждения в идеологическом облачении идей «наказания—возмездия»... Советское уголовное право пользуется, в интересах охраны строящегося социализма, «буржуазной» уголовно-правовой формой в дефетнизированном виде. Оно отбрасывает необходимые для буржуазного государства идеологические покровы пропорциональной формы уголовно-правового принуждения («наказание-возмездие»), которые прикрывают ее действительную социальную роль в системе буржуазного уголовного права. Пропорциональная форма уголовно-правового принуждения в советском праве лишена идеи эквивалентности в смысле расплаты равным за вину»².

¹ დასახ. შრომა, 146.

² იქვე, 146.

პიონტოვსკი ამას წერდა იმ ხანაში, როდესაც საბჭოთა იურიდიული ლიტერატურა უარყოფდა ბრალის ცნებას, ვინაიდან იმდროინდელი შეხედულებით ბრალი წარმოადგენდა ისეთ ელემენტს, რომელიც თითქოს მხოლოდ ბურჟუაზიულ სამართალს ახასიათებდა.

თანამედროვე საბჭოთა სისხლის სამართალში ოდესღაც დევნილმა ბრალის ცნებამ დაიკავა სათანადო ადგილი და იგი საერთო აღიარებით სარგებლობს. ბრალი გაგებულია როგორც განზრახვა ან გაუფრთხილებლობა, გამოსახული ქმედობაში, რომელიც საშიშია საბჭოთა წყობილებისა ან სოციალისტური მართლწესრიგისათვის და იწვევს გაიცილებას საბჭოთა სისხლის სამართლის კანონის და კომუნისტური ზნეობის მხრივ. ამგვარად, ბრალში მოცემულია ზნეობრივი გაიცილების მომენტი, მაგრამ ამ ზნეობრივ გაიცილებას, ცხადია, აქვს ახალი შინაარსი და მიზანდასახულობა.

გარდა ამისა, პროპორციულობის ცნება ბუნდოვანი ცნებაა. პიონტოვსკი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა სამართალში პროპორციული ფორმა მოკლებულია ექვივალენტობის იდეასო. მაგრამ ესეც გაუფრთხილებია. პროპორციულობა და ექვივალენტობა მონათესავე ცნებებია.

5

ჩვენ საქიროდ მიგვაჩნია მოკლედ გავეცნოთ იმ შეხედულებებს, რომლებიც გამოთქმული იყო სასჯელის შინაარსისა და მისი ამოცანების შესახებ სხვადასხვა დროს გამოცემულ ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოებში.

1939 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოში განმარტებულია სასჯელის შინაარსი და მისი მიზნები სსრ კავშირში. სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ სასჯელი, ისე როგორც დანაშაული, წარმოადგენს სისხლის სამართლის ერთ-ერთ ძირითად ცნებას. თუ დანაშაული არის ის გამოსავალი ფაქტი, რომელიც შეადგენს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესრულების საფუძველს, სასჯელი არის საბოლოო აქტი, რომელშიც თავის უკანასკნელ გამოხატულებას პოულობს სასამართლოს საქმიანობა ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით¹.

სასჯელის არსისა და მიზნების ანალიზი სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებში მოწმობს, რომ ყოველი გაბატონებული კლასი სასჯელის მეშვეობით ახორციელებს ბრძოლის ამო-

¹ Уголовное право, общая часть, 1939, 255 (არის ქართული თარგმანი).

ცანას თავისი ინტერესების დარღვევების წინააღმდეგ. სასჯელს აქვს გარკვეული კლასობრივი შინაარსი — მოცემული საზოგადოებრივი წყობის ინტერესების დაცვა; საზოგადოებრივი წყობილების შეცვლასთან ერთად იცვლება სასჯელის შინაარსი, იცვლება მისი კლასობრივი მნიშვნელობა¹.

ბურჟუაზიული კრიმინალისტები მალავენ სისხლის სამართლის კლასობრივ ხასიათს და კმაყოფილებიან არა მარტო დანაშაულის ფორმალური განსაზღვრით, არამედ სასჯელის ფორმალური განსაზღვრითაც.

როცა მუშათა კლასი თავის სახელმწიფოში აწესებს სასჯელებს, რომლებიც გარეგნულად ბურჟუაზიული სისხლის სამართლის სასჯელებს მოგვაგონებს, არსებითად ეს თვისობრივად სხვა სასჯელებია, შეცვლილი პროლეტარული სახელმწიფოს მოთხოვნილებათა შესაბამისად. ლენინი წერდა: „როდესაც რევოლუციური კლასი ებრძვის შეძლებულ კლასებს, რომელნიც წინააღმდეგობას სწევენ, მან ეს წინააღმდეგობა უნდა ჩაახშოს; და ჩვენ შეძლებულთა ამ წინააღმდეგობას ჩავახშობთ ყველა იმ საშუალებით, რომლებითაც ისინი ახლობენ პროლეტარიატს — სხვა საშუალებები არაა გამოგონილი“².

მუშათა კლასის დიქტატურა გულისხმობს დამსობილი კლასების წინააღმდეგობის უღმობელ დათრგუნვას. ლენინის სიტყვით, დიქტატურა არის სახელმწიფო ძალაუფლება, რომელიც უშუალოდ ემყარება ძალმომრეობას. მაგრამ ლენინი ამავე დროს გვასწავლიდა, რომ მუშათა კლასის დიქტატურის არსი „არა მხოლოდ ძალმომრეობაშია და არა უმთავრესად ძალმომრეობაშია“. მისი მთავარი არსი მშრომელთა მოწინავე რაზმის, მისი ავანგარდის, მისი ერთადერთი ხელმძღვანელის, პროლეტარიატის ორგანიზებულობაა, დისციპლინიზებულობაა. პროლეტარიატის დიქტატურა არაა მხოლოდ ძალმომრეობა, არამედ მშრომელი მასების მიერ არაპროლეტარული კლასების ხელმძღვანელობა და სოციალისტური მეურნეობის მშენებლობაცაა, რომელიც უფრო მაღალი ტიპისაა, ვიდრე კაპიტალისტური მეურნეობა. ლენინმა და სტალინმა შექმნეს სწავლება სასჯელის ორერთიანი ამოცანის (двухединой задачей) შესახებ, რომელიც დიალექტიკურად ათავსებს მის ორ მხარეს: დათრგუნვის ამოცანას და აღზრდის ამოცანას. სკკპ (ბ) პროგრამამ, 1919 წ. მიღებულმა, მკვეთრად დააყენა მტრული კლასების წინააღმდეგობის დათრგუნვის ამოცანა, მაგრამ დათრგუნვის გვერდით პროგრამა ითვალისწინებს სას-

¹ Уголовное право, общая часть, 1939, 255.

² ლენინი, თხზ., ტ. XXII, 118.

ჯელის მეორე მხარეს — მის აღმზრდელობითს როლს. სოციალისტური სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად სასაჯელის ორი მხარის ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება შეიცვალოს.

სტალინის სიტყვით, რეპრესია არის შეტევის აუცილებელი ელემენტი, მაგრამ დამხმარე, და არა მთავარი ელემენტი. სოციალიზმის შეტევაში, ჩვენს თანამედროვე პირობებში, მთავარია ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპის გაძლიერება, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების განვითარების ტემპის გაძლიერება, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების ეკონომიური გამოდევნის ტემპის გაძლიერება, მასების მობილიზაცია სოციალისტური მშენებლობის ირგვლივ, მასების მობილიზაცია კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ამრიგად, სასაჯელი არ ასრულებს მთავარ როლს სოციალისტურ მშენებლობაში, იგი დამხმარე ელემენტია, მაგრამ აუცილებელი. მთავარია ეკონომიური პირობების გარდაქმნა, სოციალური ხასიათის ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავლობას, მის წინსვლას.

დასახელებულ სახელმძღვანელოში ცალკე პარაგრაფი აქვს დათმობილი საკითხს სასაჯელისა და სოციალური დაცვის ღონისძიებების შესახებ. საინტერესოა, თუ როგორ წყვეტს ამ საკითხს აღნიშნული შრომა, რომელიც ოფიციალურად იყო დაშვებული როგორც სახელმძღვანელო უმაღლეს იურიდიულ სკოლაში.

სახელმძღვანელო აღნიშნავს, რომ სკკპ პროგრამა, ლენინისა და სტალინის მრავალი მითითებანი და საკანონმდებლო აქტები რევოლუციის პირველი წლებისა სარგებლობდნენ ტერმინით „სასაჯელი“, და არასოდეს არც ლენინი და არც სტალინი არ ხმარობენ ტერმინს „სოციალური დაცვის ღონისძიებანი“. ეს უცხო ტერმინოლოგია შეითვისა რსფსრ 1922 წ. სს კოდექსმა, რომელიც ლაპარაკობდა „სასაჯელებზე და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებებზე“. 1924 წ. „ძირითადი საწყისები“ უარს ამბობენ ორმაგ ტერმინოლოგიაზე და სარგებლობენ ერთადერთი ტერმინით — „სოციალური დაცვის ღონისძიებანი“. „ძირითადი საწყისების“ შემდეგ ტერმინი „სასაჯელი“ სრულიად გამოირიცხული იყო ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სს კოდექსებიდან და შეცვლილი სოციალური დაცვის ღონისძიებებით. ტერმინი „სასაჯელი“, ზოგიერთი კრიმინალისტიკის აზრით, უცხოა საბჭოთა მართლშეგნებისათვის იმ მოტივით, რომ „სასაჯელი“ თითქოს იდეოლოგიურად უკავშირდება „სამაგიეროს მიზლის“ წარმოდგენას¹.

¹ Уголов. право, общ. часть, 1939, 260.

სახელმძღვანელო გამოცემის ამ შეხედულებების წინააღმდეგ. ჩვენს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, — ნათქვამია იქ, — „სოციალური დაცვის ღონისძიებათა“ ცნების შემოღება ნიშნავდა არა მარტო უხეირო ტერმინოლოგიას, არამედ შემოჰქონდა სოციალისტური სამართლისათვის უცხო და მავნე წარმოდგენა. სოციალური დაცვის ღონისძიებანი დაკავშირებულია არა ბრალთან, არამედ სოციალოგიური სკოლის ეგრეთწოდებულ „საშიშ მდგომარეობასთან“. ხოლო საბჭოთა სისხლის სამართალი სასჯელის განსაზღვრისას გამოცემის სწორედ დამნაშავეს ბრალიდან და სასჯელს ადგენს ბრალის ხარისხის შესაბამისად.¹

შემდეგ, სოციალური დაცვის ღონისძიებანი, როგორც ჩანს თვით მათი სახელწოდებიდან, დაცვის ხასიათს ატარებენ, იმ დროს როცა სასჯელი საბჭოთა სამართალში აქტიურ როლს ასრულებს.

დაბოლოს, „სოციალური დაცვის ღონისძიების“ შემოღების შედეგად არეული იყო ერთმანეთში სასჯელი, რომელსაც შერაცხად სრულწლოვან პირებს უფარდებენ, და ღონისძიებანი, რომელთაც შეურაცხად და არასრულწლოვანი პირების მიმართ იყენებენ: ამ ღონისძიებებს არაფერი აქვთ საერთო სასჯელთან. „ძირითად საწყისებში“ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში სოციალური დაცვის ღონისძიებებს ერთნაირად ეკუთვნიან სასამართლო-გამასწორებელი ხასიათის ღონისძიებანი (ე. ი. საკუთრივ სასჯელები) და სამკურნალო და სამკურნალო-საპედაგოგო ღონისძიებანი. სოციალისტური სამართალი დაუშვებლად ცნობს სასჯელის გამოყენებას შეურაცხადი პირების და არასრულწლოვანთა მიმართ განსაზღვრულ ასაკამდე. ღონისძიებანი, რომლებსაც მათ უფარდებენ, სასჯელი არაა, ისინი პრინციპულად განსხვავდება სასჯელისაგან².

მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1934 წლის 8 ივნისის კანონმა საშობლოს დილატიისათვის პასუხისმგებლობის შესახებ შემოიღო ტერმინი „სასჯელი“, ამ უბრალო და ყველასათვის გასაგებმა სიტყვამ კვლავ მოიბოვა მოქალაქეობის უფლება საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკაში³.

მაგრამ ტერმინის „სასჯელი“ ადგენის ფაქტიდან, რა თქმა უნდა, არ უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სასჯელი საბჭოთა სისხლის სამართალში მსგავსია ბურჟუაზიულ სამართალში მიღებული სასჯე-

¹ Уголов. право, общ. часть, 261.

² იქვე, 261.

³ იქვე, 261.

ლისა. პრინციპული კლასობრივ-პოლიტიკური განსხვავება სასჯელ-სამაგიეროს მიზლვასა, სასჯელ-შურისძიებასა — ექსპლოატირებულთა დათრგუნვის ღონისძიებასა ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში და საბჭოთა სამართლის სასჯელს შორის მთლიანად ინარჩუნებს თავის ძალას¹.

ასეთია ის მოსაზრებანი, რომლებიც გამოთქმულია სახელმძღვანელოში „სოციალური დაცვის ღონისძიებების“ წინაღმდეგ და ძველი ტერმინის „სასჯელის“ სასარგებლოდ და უნდა ითქვას, რომ ეს მოსაზრებები სავსებით საფუძვლიანია. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის არგუმენტი, რომ „სოციალური დაცვის ღონისძიებები“ უკავშირდება სოციალოგიური სკოლის „სამიშ მდგომარეობას“, ხოლო საბჭოთა სამართალი სასჯელის დანიშნისას ხელმძღვანელობს სწორედ დამნაშავეს ბრალის ცნებით და სასჯელს ადგენს ბრალის ხარისხის შესაბამისად («...советское уголовное право при определении наказания исходит именно из вины преступника, устанавливая наказания в соответствии со степенью вины»)².

ზემოთ ჩვენ დავახსიათეთ პიონტკოვსკის შეხედულება სასჯელის შესახებ, რომელიც მან გამოთქვა თავის 1929 წელს გამოცემულ შრომაში. პიონტკოვსკი გადაკრით უარჰყოფდა სასჯელს იმ მოსაზრებით, რომ სასჯელი დაკავშირებულია „სამაგიეროს მიზლის“ საწყისთან და რომ სამაგიეროს მიზლვა, თავის მხრივ, ბრალის ცნებას გულისხმობსო. იმ დროს, როცა პიონტკოვსკი წერდა თავის შრომას, ბრალის ცნების შეტანა საბჭოთა სისხლის სამართალში დაუშვებლად იყო მიჩნეული, იგი საერთოდ განდევნილი იყო სისხლის სამართლის დარგიდან. ბრალს უყურებდნენ როგორც ბურჟუაზიული სამართლის დამახასიათებელ ცნებას, რომლის გადმოტანა საბჭოთა სამართალში სოციალისტური სამართლის ძირითადი საფუძვლების საწინააღმდეგოდ, მათ დარღვევად იყო მიჩნეული. ვერ ამჩნევდნენ, რომ ერთი და იგივე ცნებები ბურჟუაზიულ და საბჭოთა სისხლის სამართალში სულ სხვადასხვა შინაარსს შეიცავდნენ. ბრალის შინაარსიც განსხვავებული იყო ბურჟუაზიულ სამართალში მიღებულ ცნებისაგან. ზოგიერთი კი იქამდე მიდიოდა, რომ საჭიროდ მიაჩნდათ სისხლის სამართლიდან ისეთი ცნებების გაწდევნა, როგორიცაა განზრახვა და გაუფრთხილებლობა.

პიონტკოვსკი წერდა: სისხლის სამართლის ბურჟუაზიულ თეორიაში განზრახვა და გაუფრთხილებლობა მჭიდროდ დაკავშირებულია

¹ Уголов. право, общ. часть, 261.

² იქვე, 261.

„ბრალის“ ცნებასთან. ისინი განხილულია როგორც „ბოროტი ნებისყოფის“ გამოვლენის ფორმები, „მორალური ბრალის“ გამოვლენის ფორმები. მაგრამ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიერ უარყოფა „მორალური ბრალის“ ცნებისა სულაც არ უღრიდა „განზრახვისა“ და „გაუფრთხილებლობის“ უარყოფას. მაშასადამე, პიონტკოვსკი აღიარებდა განზრახვასა და გაუფრთხილებლობას და იმავე დროს უარყოფდა ბრალის ცნებას; ცხადია, რომ ეს იყო უცნაური შეხედულება, ვინაიდან ბრალი ზოგადი ცნებაა, რომელიც მოიცავს განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, როგორც თავის ფორმებს. ამჟამად ჩვენ ეს გაუგებრობის შედეგად მიგვაჩნია, იმ ხანაში კი ბრალის უარყოფა მიაჩნდათ საბჭოთა სამართლის შინაარსის, მისი საფუძვლების გამოშსახველ დებულებად. გარდამავალი პერიოდის სისხლის სამართლებრივი ფორმის სპეციფიკურობა, პიონტკოვსკის სიტყვით, გამოიხატება კერძოდ იმაში, რომ „ბრალის“, როგორც რეპრესიის გამოყენების საფუძვლის, აღგის ეკავებს ქმედობის და მოქმედის სოციალური საშიშროების ცნება. როგორც ვხედავთ, აქ პიონტკოვსკი გადადის ბურჟუაზიული სოციოლოგიური სკოლის პოზიციებზე. პიონტკოვსკი განაგრძობს: «Эта дефетишизация основания применения принуждения влечет за собой дефетишизацию целого ряда уголовно-правовых категорий, служивших для измерения степени виновности, т. е. превращение их из «мерил виновности» в критерии социальной опасности лица и деяния»¹.

ამგვარად, პიონტკოვსკიმ სავსებით განდევნა სისხლის სამართლის სფეროდან ბრალის ცნება და ბრალეულობის ხარისხების საზომის მაგიერ შემოიღო დანაშაულის და დანაშაულის სოციალური საშიშროების კრიტერიები. ეს კი ნიშნავდა სოციოლოგიური სკოლის უკიდურესი მიმდინარეობის კონცეფციის გადმოტანას საბჭოთა სამართალში.

ამჟამად ბრალის ცნება საბჭოთა სისხლის სამართალში განხილულია როგორც პასუხისმგებლობის ძირითადი, აუცილებელი წინაპირობა, მაგრამ იმ ხანაში, როგორც ჩანს, იგი ბურჟუაზიული სამართლის კატეგორიად ჰქონდათ წარმოდგენილი.

პიონტკოვსკი იმავე თვალსაზრისით იხილავდა სასჯელის ცნებას. ბურჟუაზიული სისხლის სამართალი, — წერს იგი, — სარგებლობს სისხლის სამართლებრივი იძულების პროპორციული ფორმით „სას-

¹ А. Понтковский, Советское уголовное право, том первый, общая часть, 1929, стр. 237.

ჯელის — სამაგიეროს მიზლის“ იდეოლოგიურ სამოსელში“. საბჭოთა სისხლის სამართალი იყენებს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დაცვის მიზნით „ბურჟუაზიულ“ სისხლის სამართლებრივ ფორმას დეფექტიანი ირებულ სახით. იგი უყუარდება ბურჟუაზიული სახელმწიფოსათვის აუცილებელ პროპორციული ფორმის იდეოლოგიურ სამოსელს, რომელიც მალავს მის ნამდვილ სოციალურ როლს ბურჟუაზიული სისხლის სამართლის სისტემაში. ამრიგად, პიონტკოვსკი იძულებს პროპორციულ ფორმას უყურებდა როგორც „ბურჟუაზიულ“ სამართლის ინსტიტუტს, რომლითაც საბჭოთა სახელმწიფო სარგებლობს თავისი მიზნების მისაღწევად. მაგრამ იძულებს პროპორციული ფორმა საბჭოთა სახელმწიფოში არ ატარებს იმ ხასიათს: რაც მას აქვს ბურჟუაზიულ სამართალში: იგი მოკლებულია ექვივალენტობის იდეას ბრალისათვის სამაგიეროს მიზლის მნიშვნელობით.

მაგრამ ახლანდელი თვალსაზრისით, როცა ჩვენ ვცნობთ, რომ სასჯელი უნდა იყოს პროპორციული ბრალის ხარისხისა, პიონტკოვსკის შეხედულება რამდენადმე კარგავს თავის მნიშვნელობას. მართალია, საბჭოთა სამართალში ბრალს აქვს სხვა შინაარსი, იგი განხილულია საბჭოთა ეთიკის ნორმების თვალსაზრისით, სასჯელს ჩვენ უკვე არ უყურებთ როგორც სამაგიეროს მიზლს, მაგრამ მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საბჭოთა სამართალი აღიარებს სასჯელისა და ბრალის პროპორციულობის პრინციპს.

1939 წ. გამოცემული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო იხილავს პრევენციის საკითხს. მასში განმარტებულია სასჯელის აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიები. აბსოლუტური ეწოდება ისეთ თეორიებს, რომლებიც სასჯელის საფუძველს ხედავენ იმაში, რომ დამნაშავემ დაარღვია რაღაც მარადიული საწყისი, სასჯელი ამ თეორიების მიხედვით თვითმიზანს წარმოადგენს, იგი დამოუკიდებელია პრაქტიკული ინტერესებისაგან. შეფარდებითი თეორიები, პირიქით, სასჯელის საფუძველად თვლიან განსაზღვრულ უტილიტარულ, პრაქტიკულ მიზნებს. ამ თეორიების თანახმად, სასჯელი ხორციელდება არა იმიტომ, რომ ჩადენილი იყო დანაშაული, არამედ იმიტომ, რომ აცდენილ იქნას ახალი დანაშაული.

საერთო პრევენციის და სპეციალური პრევენციის განსხვავება სახელმძღვანელოში სწორად არის განმარტებული: საერთო პრევენციის თეორიები ცდილობენ ისე მოაწყონ რეპრესია, რომ მან შესძ-

1 დასახ. ნაშრომი, 146: «Буржуазное уголовное право пользуется этой формой уголовно-правового принуждения в идеологическом облачении идей «наказания-возмездия».

ლოს შეაკავოს დანაშაულის ჩადენისაგან საერთოდ საზოგადოების წევრები, ხოლო სპეციალური პრევენციის წარმომადგენელი ფიქრობენ, რომ სასჯელის ამოცანაა მოცემული დამნაშავის მხრივ ახალი დანაშაულის ჩადენის წინასწარ აცდენა.

სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ დაშინების თეორიებში არ უნდა ავიწიოთ ფსიქოლოგიური იძულების თეორია, რომლის ავტორი იყო ა. ფეიერბახი. მაგრამ უდავოა, რომ ა. ფეიერბახის თეორია მაინც საერთო პრევენციის ნაირსახეობას წარმოადგენს. ა. ფეიერბახის მოძღვრება, როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული ლიტერატურაში, იძლევა საფუძველს მკაცრ სასჯელთა დაწესებისათვის. ტ.განცევი. მაგალითად, პირდაპირ აცხადებს, რომ ფეიერბახის მოძღვრებას მიეყვებათ სასჯელთა საშინელ სიმკაცრემდე, რაც მტკიცდება ამ მოძღვრების პრაქტიკული გამოყენებით ბავარიის სახელგანთქმულ 1813 წლ. დებულებაში, რომელიც განცვიფრებას იწვევს თავის განსაკუთრებულ ნაწილში დადგენილ სასჯელთა სისასტიკით, რის გამოც მოცემული იყო ახალი კანონები იმ მიზნით, რომ შემცირებული ყოფილიყო მისი სიმკაცრე, ხოლო 1822 წელს მთავრობა უკვე შეუდგა ახალი პროექტის შემუშავებას¹. არსებითად ამავე აზრს გამოთქვამს ბინდინგი, რომელიც ამბობს, რომ ფეიერბახმა დაშინების მიზნით სასჯელები მეტად გააძლიერა².

სახელმძღვანელო სწორად აღნიშნავს, რომ, თუმცა ყველა დაშინების თეორია მიზნად ისახავს საერთო პრევენციას, მაგრამ საერთო პრევენციის თეორიები არ უდრის დაშინების თეორიებს. ასევე არსებითი განსხვავებაა სპეციალური პრევენციის თეორიებსა და გამოსწორების თეორიებს შორის³. რასაკვირველია, გამოსწორების თეორიები მიზნად ისახავენ სპეციალურ პრევენციას, მაგრამ არსებობს სპეციალური პრევენციის თეორიები, რომლებიც ცდილობენ პრევენციის ამოცანის განხორციელებას სხვა მეთოდებით, მაგალითად, დამნაშავის უვნებლყოფის, დაშინების და სხვა გზით⁴.

როგორც საერთო პრევენციის თეორიის, ისე სპეციალური პრევენციის ნაკლოვანება, ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოს თანახმად, გამოიხატება იმაში, რომ ისინი მეტაფიზიკურია, კონკრეტული პირობებისაგან, სასჯელის კლასობრივი შინაარსისაგან მოწყვეტილია, გამოფიტულია სისხლის სამართლის რეპრესიის პოლიტიკური

¹ Русское уголовное право, 1902, т. II, 890.

² Binding, Strafrechtliche und strafprozessuale Abhandlungen, t. I, 1915, S. 514.

³ Уголовное право, общая часть, 1939, 266.

⁴ იქვე, 267.

შინაარსისაგან. კლასიკურმა სკოლამ, რომელიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოთხოვნებს გამოხატავდა, წამოაყენა დებულება სასჯელის სიმძიმის დანაშაულთან შესაბამისობის შესახებ. ეს დებულება გამოსახავდა ყველა ადამიანის თანასწორობას კანონის წინაშე. მაგრამ იმპერიალიზმზე გადასვლის შემდეგ ბურჟუაზიას უკვე არ აკმაყოფილებდა სასჯელთა სისტემა, რომლებიც დანაშაულის სიმძიმის პროპორციული იყო. ბურჟუაზიას ესაჭიროებოდა რეპრესიის გაძლიერება, რომლის გატარება კლასიკური სკოლის ჩარჩოებში შეუძლებელი იყო. ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური სკოლების აღმოცენებას უნდა დაეკმაყოფილებინა რეპრესიის გაძლიერების ეს მოთხოვნა¹.

ნაცვლად სასჯელებისა, რომლებიც პროპორციული იყო დანაშაულის სიმძიმისა, სოციოლოგიური სკოლა კლასიკოსებთან კამათში იცავდა უშიშროების ღონისძიებებს, რომლებიც გამოიყენებოდა სასჯელის მაგიერ და განისაზღვრებოდა არა დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, არამედ დამნაშავეს სოციალური საშიშროების შესაბამისად. სოციოლოგების და კლასიკოსების დავას ამ საკითხში არ ჰქონდა მხოლოდ იურიდიული და თეორიული ხასიათი. ეს იყო უპირველეს ყოვლისა დავა ორ პოლიტიკურ მიმდინარეობას შორის ბურჟუაზიის ბანაკში — ბურჟუაზიული დემოკრატიის პრინციპების დამცველთა და ბურჟუაზიის რეაქციული ფენების ინტერესების წარმომადგენელთა შორის. სისტემა სასჯელებისა, რომლებიც დანაშაულთა სიმძიმის პროპორციული იყო, ბორკავდა სასამართლოებს, ვინაიდან არ აძლევდა მათ შესაძლებლობას გამოეყენებინათ რეპრესია იმ პირების მიმართ, რომელთაც კონკრეტული დანაშაული არ ჩუდენიათ, ხოლო რეპრესიის სიმძიმე შეზღუდული იყო დანაშაულის სიმძიმით².

სოციოლოგებისათვის დანაშაული არის მხოლოდ სოციალური საშიშროების სიმბტომი, მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო საბაზი დამნაშავესადმი იმ ღონისძიებათა შესაფარდებლად, რომელთა ამოცანას წარმოადგენს არა დასჯა, არამედ დამნაშავეს მიერ გამოვლენილი საშიშროების აცილება, მის მხრივ ახალი დანაშაულის ჩადენის წინასწარ აცილება. ამ ღონისძიებათა შესაფარდებლად არაა სავალდებულო დანაშაულის ჩადენა. უშიშროების ღონისძიებათა გამოყენება შესაძლოა მაშინაც, როცა პირმა რაიმე სახით გამოამყდენა თავისი საშიში მდგომარეობა (მაგალითად, მაწანწალობა, ალკოჰოლიზმი)³.

¹ Уголовное право, общая часть, 1939, 267.

² იქვე, 267.

³ იქვე, 268.

სახელმძღვანელო სწორად აღნიშნავს, რომ დავა კლასიკოსებ-
სა და სოციოლოგებს შორის ფორმალურად სწარმოებდა იმის შესა-
ხებ, — ისჯება დანაშაული თუ დამნაშავე. კლასიკოსები ამბობდნენ,
რომ ისჯება დანაშაული, სოციოლოგები კი ამტკიცებენ, რომ ის-
ჯება დამნაშავე. ეს ფორმალური დავა ფარავდა ორი პოლიტიკური
მიმართულების ბრძოლას ბურჟუაზიის ბანაკში: ბურჟუაზიულ-დემო-
კრატიული პრინციპების მომხრეთა და რეაქციული ფენების წარ-
მომადგენელთა შორის. მაგრამ რევოლუციური მოძრაობის დათრ-
გუნვის საქმეში ამ ორი მიმართულების წარმომადგენელი შეთანხმ-
დნენ და ამ შეთანხმების საფუძველზე ძალაში რჩება პროპორციულ
სასჯელთა სისტემა. მაგრამ ამასთან ერთად დასჯილს ეფარდება კი-
დეც უშიშროების ღონისძიებანი. „ვინაიდან უშიშროების ღონის-
ძიებანი არსებითად არაფრით არ განსხვავდებიან სასჯელებისაგან,
ორი სკოლის კომპრომისმა შედეგად გამოიწვია რეპრესიის ახალი
გაძლიერება“¹.

ასეთია ის შეხედულება სასჯელსა და უშიშროებაზე, რომელიც
გამოთქმულია სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვა-
ნელოში. ამ შეხედულების უფრო სრული დახასიათების მიზნით სა-
ჭიროა განვმარტოთ, თუ როგორ წყვეტდა სახელმძღვანელო საერ-
თო და სპეციალური პრევენციის ურთიერთდამოკიდებულების სა-
კითხს.

სოციალისტურ სისხლის სამართალში, — ნათქვამია სახელმძღვა-
ნელოში, — შეუქმლებელია საერთო და სპეციალური პრევენციის
ერთმანეთისაგან მოწყვეტა. სასჯელის შეფარდების ყოველ შემ-
თხვევაში ერთდროულად ხორციელდება მსჯავრდადებულის დას-
ჯისა და აღზრდის ამოცანა, ამასთან ერთად — მშრომელთა დის-
ციპლინისათვის აღზრდის ამოცანა. საერთო პრევენცია დიალექტი-
კურად შეხამებულია სპეციალურ პრევენციასთან. პრევენციის ეს
სახეები ერთმანეთისადმი დაპირისპირებული არაა, ისინი მუდამ თა-
ნამგზავრებია. უფრო მკაცრი სასჯელები, სპეციალური პრევენციის
თვალსაზრისით (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა შედარებით
ჯარიმასთან), იმავე დროს უფრო ეფექტიურია საერთო პრევენციის
თვალსაზრისით. იძულებით ღონისძიებებთან ერთად დამნაშავის მი-
მართ საბჭოთა მართლმსაჯულება ახორციელებს, როგორც გვას-
წავლის ლენინი, „მოსახლეობის შრომით დისციპლინისათვის აღზრ-
დის“ უდიდეს ამოცანას. დართგუნვის ღონისძიებათა გამოყენება
დამნაშავის — კლასობრივი მტრის მიმართ იმავე დროს დამაშინებ-
ლად მოქმედებს სხვა კლასობრივ მტრებზეც. სასჯელის გამოყენება

¹ Уголовное право, общая часть, 1939, 268.

მშრომელთა წრიდან გამოსულ დამნაშავეს მიმართ იმავე დროს აღმზრდელობით გავლენას ახდენს სხვა მშრომელებზე. სოციალისტურ სამართალში საერთო და სპეციალური პრევენციის ამოცანების შესამუშავებლად თავისი გამოხატულება ჰპოვა კანონმდებლობაშიც („ძირითადი საწყისების“ მე-4 მუხლი).

მაშასადამე, 1939 წ. ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო პრევენციის სახეთა ურთიერთდამოკიდებულებას განიხილავს დიალექტიკური ერთიანობის თვალსაზრისით. როგორც ვნახეთ, ეს აზრი გამოთქმული იყო უკვე პიონტოვსკის მიერ, რომელიც ამტკიცებდა, რომ საერთო და სპეციალური პრევენცია წარმოადგენენ „წინააღმდეგობათა ერთიანობას“, რომ იძულების გამოყენებას შედეგად აქვს მოქმედება დამნაშავეს პიროვნებაზე (სპეციალური პრევენცია) და მოქმედება საზოგადოებაზე (საერთო პრევენცია). პიონტოვსკი იქვე დასძენს, რომ «Единство» общего и специального предупреждения не означает их постоянного «тождества». მისი აზრით, კრიმინალისტ-სოციოლოგები, რომლებიც სისხლის სამართლის პოლიტიკას აგებდნენ სპეციალური პრევენციის საფუძველზე, მეთოდოლოგიური მხრივ არსებითად სპეციალური და საერთო პრევენციის გაიგივებიდან გამოდიოდნენ. ეს აზრი სწორი არაა, ვინაიდან კრიმინალისტ-სოციოლოგები პირველ პლანზე სპეციალურ პრევენციას აყენებდნენ, რაც სავსებით გასაგებია, ვინაიდან მათი ყურადღება უმთავრესად დამნაშავეს პიროვნებაზე იყო მიმართული.

რაც შეეხება პიონტოვსკის აზრს იმის შესახებ, რომ სპეციალური და საერთო პრევენცია „წინააღმდეგობათა ერთიანობას“ წარმოადგენენ, იგი საბჭოთა სისხლის სამართალში საერთო აღიარებით სარგებლობს.

ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ 1939 წ. გამოცემული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოს შეხედულებანი სასჯელის არსის, მისი მიზნების და სოციალური დაცვის ღონისძიებებთან მისი დამოკიდებულების შესახებ. უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელოში ეს საკითხები, თუმცა არაა სათანადოდ დამუშავებული, მაგრამ გადმოცემულია ისე, რომ მკითხველს შეუძლია იქონიოს საერთო წარმოდგენა სასჯელზე და ამ მთავარ პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

უფრო შემოკლებული მოცულობით იმავე საკითხებს განმარტავს 1943 წელს გამოცემული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო¹.

ამ სახელმძღვანელოში განმარტებულია სასჯელის ცნება, სასჯელის გამოყენების საფუძველი და მისი ამოცანები. სასჯელი, — ვკითხულობთ ამ სახელმძღვანელოში, — წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ ატრიბუტს, სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ გამოვლენას. მას აქვს იძულებითი ხასიათი: სასჯელი ერთ-ერთი საშუალებაა, რომლის დასმარებითაც ხორციელდება სახელმწიფო იძულება. სახელმწიფო იძულებით სარგებლობს არა მარტო სასჯელის გამოყენებისას, იძულება გამოიყენება აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, გადასახადის ასაკრეფად, ბრალდებულთა დასაკავებლად, სამოქალაქო დაწესებულებებში დისციპლინის დასაცავად და სხვ. მაშასადამე, სასჯელი სახელმწიფო იძულების მხოლოდ ერთ-ერთი ღონისძიებაა. მაგრამ მას აქვს თავისი სპეციფიკური ნიშნები, რომლებითაც იგი გამოირჩევა სახელმწიფო იძულების სხვა ღონისძიებებისაგან.

სასჯელისათვის უპირველეს ყოვლისა არსებითია მისი საჯარო ხასიათი. სასჯელის განხორციელება შეადგენს სახელმწიფოს ფუნქციას, მის უფლებასა და მის მოვალეობას. სასჯელი ხორციელდება სახელმწიფოს ინტერესებისათვის და მისი სახელით. მაგრამ საჯაროობა ახასიათებს სახელმწიფო მოქმედების სხვა მხარეებსაც, როგორცაა, მაგალითად, გადასახადთა აკრეფა, დაპატიმრება აღმკვეთი ღონისძიების სახით და ა. შ.

სასჯელისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი გამოიყენება სამართლოს მიერ. მართალია, ეს ნიშანი ახასიათებს აგრეთვე სამოქალაქო სამართლებრივ სახდელსაც, მაგრამ უკანასკნელისაგან სასჯელი გამოირჩევა თავისი სპეციფიკურობით (დაგმობა, გაკიცხვა სახელმწიფოს სახელით და სხვ.).

გარდა ამისა, სასჯელი წარმოადგენს აუცილებლად დამნაშავეისათვის გარკვეული მისთვის საგრძნობი წვალების მიყენებას. სასჯელი ყოველთვის მიმართულია დამნაშავეს პიროვნების წინააღმდეგ. მაშინაც კი, როდესაც იგი მიიმართება უშუალოდ მისი ქონებრივი ინტერესების წინააღმდეგ (მაგალითად, ჯარიმა ან კონფისკაცია), მის საბოლოო მიზანს მაინც დამნაშავეისათვის რაიმე წვალების მი-

¹ Уголовное право, общая часть, 1943, под ред. И. Голякова. სასჯელის ზოგად საკითხებს დათმობილი აქვს §§ 65—67 (გვ. 216—225).

ყენება წარმოადგენს. დამნაშავეს ქონებრივი ინტერესების დარღვევა—მხოლოდ ასეთი წვალების მიყენების საშუალებაა. სახელმძღვანელოში სწორად არის აღნიშნული, რომ სასჯელი, რომელიც დამნაშავეს არავითარ წვალებას არ აყენებს, კარგავს სასჯელის ხასიათს. სასჯელის დამაშინებელი მოქმედება წარმოუდგენელი იქნებოდა, სასჯელი რომ არ აყენებდეს დამნაშავეს არავითარ წვალებას. იგი არ მოახდენდა გავლენას არც თვითონ დამნაშავეზე და არც სხვა პირებზე. სასჯელი თავისი სიმძიმით, ე. ი. დამნაშავესათვის მიყენებული წვალების ზომით, მისი ბრალის ხარისხს უნდა შეესაბამებოდეს¹. სახელმძღვანელოს ავტორს, ალბათ, ავიწყდება, რომ სასჯელისა და ბრალის შესაბამისობის ანუ, საერთოდ მიღებული ტერმინოლოგიით რომ ვილაპარაკოთ, პროპორციულობის იდეა ურთულესი საკითხია სისხლის სამართლის დარგში და დიდ დაბრკოლებას უქმნის კრიმინალისტებს მათ კვლევადობაში.

დაბოლოს, სასჯელის არსებით ნიშანს შეადგენს დაგმობის, გაკიცხვის მომენტი. სასჯელი შეიცავს დამნაშავესა და დანაშაულის უარყოფით შეფასებას. გაკიცხვა, დაწუნება, როგორც სასჯელის შემადგენლობითი ელემენტი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას პოულობს სოციალისტურ სახელმწიფოში. გაკიცხვის მომენტი არაა მოცემული სახელმწიფო იძულების სხვა ღონისძიებებში. იგი უცხოა ქონებრივი სახდელისათვის, იგი არაა არც აღმკვეთ ღონისძიებებში, ვინაიდან ჯერ-ჯერობით არაა დადგენილი ბრალდებულის ბრალეულობა, მას ვერ ვხვდებით ადმინისტრაციულ ან დისციპლინურ სახდელში, რადგან ეს სახდელი გამოიყენება არა სახელმწიფოს სახელით, არამედ მმართველობის ქვემდებარე ორგანოების მიერ, დაწესებულების ან საწარმოს სათავეში მდგომი პირების მიერ.

ზემოთ დასახელებული ნიშნების მიხედვით სახელმძღვანელო იძლევა სასჯელის შემდეგ განსაზღვრას: სასჯელი არის სასამართლოს მიერ დამნაშავეს მიმართ გამოსაყენებელი სახელმწიფო იძულების საჯარო ღონისძიება, რომელიც იწვევს განსაზღვრულ წვალებას და სახელმწიფოს სახელით გამოხატავს დანაშაულისა და დამნაშავეს დაგმობას².

სოციალური დაცვის ღონისძიების შემოღებას სახელმძღვანელო უარყოფითად უყურებს და ამტკიცებს, რომ ამ ცნების შემოღება ჩვენს კანონმდებლობაში არა მხოლოდ ნიშნავდა უხეირო ტერ-

¹ Уголовное право, общая часть, 1943, под ред. И. Г. Голякова, 83. 218.

² იქვე, 83. 218.

მინოლოგიას, არამედ მას შემოქმონდა არასწორი წარმოდგენა ამ ღონისძიებათა შინაარსის შესახებ და შეეძლო გამოეწვია ამ ღონისძიებების აღრევა უშიშროების ღონისძიებებთან ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში. უკანასკნელში სოციალური დაცვის ღონისძიებანი დაკავშირებულია არა ბრალთან, არამედ ეგრეთწოდებულ საშიშ მდგომარეობასთან. ხოლო საბჭოთა სისხლის სამართალი სასჯელთა განსაზღვრისას გამოდის სწორედ დამნაშავეის ბრალიდან და ადგენს სასჯელს ბრალის ხარისხის შესაბამისად¹.

სახელმძღვანელოში განხილულია სასჯელის გამოყენების საფუძვლის საკითხი. სასჯელთა გამოყენების საფუძვლად სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების პირველ ფაზაში მიჩნეულია უპირველეს ყოვლისა ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის უღმობელი დათრგუნვის აუცილებლობა. სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების მეორე ფაზაში ამგვარ საფუძვლად მიჩნეულია სოციალისტური საკუთრების დაცვის, სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი და სხვ.

რაც შეეხება სასჯელის მიზნებს, ეს საკითხი განმარტებულია ლენინისა და სტალინის სწავლების თვალსაზრისით, რომლის მიხედვით სასჯელი დიალექტიკურად ათავსებს ორ ამოცანას—იძულების ამოცანას და აღზრდის ამოცანას. სკკპ პროგრამამ, რომელიც მიღებული იყო 1919 წ., დაადგინა საბჭოთა სისხლის სამართლის პრინციპული თავისებურებანი ლენინური სწავლების შესაბამისად სასჯელის ორერთიანი ამოცანის შესახებ («о двуединой задаче наказания»)².

სახელმძღვანელოში გატარებულია აზრი, რომ საბჭოთა სამართალში საერთო პრევენცია დიალექტიკურად შეხამებულია სპეციალურ პრევენციასთან («Общее предупреждение диалектически сочетается со специальным предупреждением»)³. ისინი არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ მუდამ თანამზავრებია.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელომ, რომელიც გამოცემული იყო 1948 წელს, სასჯელის ზოგად მოძღვრებას მიუძღვნა ხუთი პარაგრაფი, სადაც განხილულია შემდეგი საკითხები: სასჯელის კლასობრივი ბუნება, სასჯელის ცნება, სასჯელის გამოყენების საფუძველი და სასჯელის ამოცანები⁴.

¹ Уголовное право, общая часть, 1943, под ред., Н. Г. Голякова. 23. 219.

² იქვე, გვ. 222.

³ იქვე, 224.

⁴ Уголовное право, общая часть, 1948, 93—97.

1948 წლის სახელმძღვანელოში დასახელებული საკითხები განმარტებულია იმგვარადვე, როგორც წინანდელ გამოცემაში, სასჯელის ცნების ანალიზი და განსაზღვრა საესეებით იგივეა, საერთო და სპეციალური პრევენციის ურთიერთობა იმავე შინაარსით და მნიშვნელობით არის გაგებული.

1939 წლის გამოცემის სახელმძღვანელო, როგორც უკვე აღნიშნული იყო, განსაკუთრებულ პარაგრაფში იხილავდა სასჯელისა და სოციალური დაცვის ცნებათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხს¹. მომდევნო გამოცემები ამ სერიოზულ და ძირითად საკითხზე არ ჩერდებიან, ისინი მას ყურადღების გარეშე ტოვებენ.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოს 1952 წლის გამოცემა ხასიათდება იმით, რომ იგი, შედარებით წინა დროინდელ გამოცემებთან, მეტად შემოკლებული სახით, შეიძლება ითქვას ძალიან ლაკონურად, ეხება სასჯელის ზოგად საკითხებს. მათ დათმობილი აქვთ მხოლოდ ორი პარაგრაფი—შესავალი და სასჯელის მიზნები საბჭოთა სისხლის სამართალში². ამ გამოცემაში სასჯელის განსაზღვრა არსებითად იგივეა, რაც წინანდელ გამოცემებში, მხოლოდ მასში შეტანილია ზოგიერთი ცვლილება: სასჯელის განსაზღვრა შემდეგია: სასჯელი საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით არის სასამართლოს მიერ დამნაშავესადმი შესაფარდებელი სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რომელიც ათავსებს დასჯისა და აღზრდის ამოცანებს, აყენებს დამნაშავეს განსაზღვრულ წვალებას ან ზღუდავს მის უფლებებს და გამოხატავს სოციალისტური სახელმწიფოს სახელით დამნაშავესა და მისი ქმედების უარყოფით შეფასებას³. როგორც ვხედავთ, აქ მოცემული ფორმულა თავისი შემადგენლობითი ელემენტებით იმეორებს იმას, რაც წინა გამოცემებში იყო აღნიშნული. სასჯელის ცნების შემადგენლობაში ვნახულობთ იმავე ელემენტებს: 1. სასამართლოს მიერ შესაფარდებელი; 2. სახელმწიფო იძულების ღონისძიება; 3. რომელიც აყენებს დამნაშავეს გარკვეულ წვალებას (лишение, страдание) ან ზღუდავს მის უფლებებს (რაც ფაქტიურად იგივე წვალებაა); 4. გამოხატავს საბჭოთა სახელმწიფოს სახელით დამნაშავესა და მისი ქმედობის უარყოფით შეფასებას, ე. ი. დაგმობას, გაკიცხვას. ახალი არის ის, რომ განსაზღვრაში მითითებულია სასჯელის ორმაგი ამოცანა: დასჯა და აღზრდა (кара и воспитание).

¹ Уголовное право, общая часть, 1948, §§ 76.

² Советское уголовное право, часть общая, 1952, §§ 44—45.

³ იქვე, 319.

საერთოდ 1952 წ. გამოცემული ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო სასჯელის პრობლემის დამუშავების მხრივ ვერ ტოვებს დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას. სრულიად არაა დასმული სოციალური დაცვის ღონისძიების საკითხი, არაა გარკვეული ამ უკანასკნელის ბუნება, მისი დამახასიათებელი ნიშნები, მისი დამოკიდებულება სასჯელთან. ეს კი აუცილებლად საჭირო იყო უპირველეს ყოვლისა თუნდაც იმიტომ, რომ სოციალური დაცვის ღონისძიების ცნებამ საბჭოთა სისხლის სამართალში ხანგრძლივი დროის განმავლობაში გარკვეული როლი შეასრულა, მან კანონმდებლობიდან და სასამართლო პრაქტიკიდან საესებით განდევნა სასჯელის ცნება. გარდა ამისა, ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ ფაქტს, რომ თუმცა ტერმინი სასჯელი ამჟამად აღდგენილია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბჭოთა სისხლის სამართალში მაინც რჩება ერთი დარგი, სადაც სოციალური დაცვის ღონისძიებანი ინარჩუნებს თავის ძალას. მაგალითის სახით, შეიძლება მიუთითოთ იმ შემთხვევებზე, როდესაც საქმე გვაქვს შეურაცხად პირებთან. შეურაცხად პირს სასჯელი, რა თქმა უნდა, ვერ შეეფარდება, მას უნდა შეეუფარდოთ მხოლოდ სამკურნალო ხასიათის ღონისძიებანი—სათანადო დაწესებულებაში მოთავსება და მკურნალობა. იგივე ითქმის სამკურნალო-პედაგოგიური ხასიათის ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ, სადაც მიზნად აღწრდა დასახული.

როცა სახელმწიფო ღებულობს სამკურნალო ღონისძიებს სულით ავადმყოფთა მიმართ, მას მხედველობაში აქვს პირის საშიშროება, აქ ბრალზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. სასჯელი კი ყოველთვის გულისხმობს პიროვნების ბრალს და მის შესაბამისად ეფარდება.

ამგვარად, საბჭოთა სამართალში სოციალური დაცვის ღონისძიების ცნება, თუმცა ძალიან შეზღუდული, შემცირებული მოცულობით, მაინც დარჩება და ამდენად საჭირო იყო ამ ცნების შინაარსის, მისი თავისებურების გარკვევა.

6

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში სასჯელის ზოგად საკითხებზე აზრი გამოთქვა თავის დამხმარე სახელმძღვანელოში პროფ. ა. გერცენზონმა¹.

გერცენზონი აღნიშნავს, რომ სასჯელის დასაბუთება წარმოადგენს პრობლემას, რომელსაც იკვლევდნენ და იკვლევენ როგორც

¹ А. А. Герцензон, Уголовное право, часть общая, 1948.

სისხლის სამართლის თეორეტიკოსები, ისე ფილოსოფოსები, სოციოლოგები და ფსიქოლოგები. უძველეს დროიდან თანამედროვე ეპოქამდე დამუშავებულია ასობით სასჯელის სხვადასხვა თეორიები, რომელთა შორის ძირითადად უნდა ჩაითვალოს თეორიების ორი ჯგუფი: აბსოლუტური თეორიები, რომლებიც სასჯელს ასაბუთებენ აპრიორული დებულებებით — სამაგიეროს მიზლით, სამართლიანობით და ა. შ., და შეფარდებითი თეორიები, რომლებიც წყვეტენ სასჯელის პრობლემას სახელმწიფოს პრაქტიკულ მოთხოვნილებათა თვალსაზრისით. აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიები ცდილობენ დაასაბუთონ სახელმწიფოს უფლება დამნაშავეთა დასჯაზე, გამოარკვეონ სასჯელის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, რომლებიც მას მსგავს ინსტიტუტებისაგან გამოყოფენ, და განსაზღვრონ სასჯელის მიზნები და ამოცანები. სასჯელის თეორიების გამოკვლევასა უნდა გამოვიდეთ იქიდან, რომ ყველა ისინი გამოსახავენ გარკვეული კლასების იდეოლოგიას კონკრეტულ ისტორიულ გარემოში. სასჯელის ზოგიერთი თეორიები, ჯერ კიდევ ძველ სამყაროში წარმოშობილი, თავის ახალ დასაბუთებასა და განვითარებას პოულობენ სულ სხვა ეპოქაში, სხვა თეორიებმა თანამედროვე პერიოდამდე მოაღწიეს რაიმე არსებითი ცვლილებების გარეშე. მაგრამ მათი უმრავლესობა ცვლიდა ერთმანეთს და ამით გამოხატავდა ცვლილებებს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებში, სახელმწიფოს და სამართლის ფორმებში¹.

სასჯელის თეორიების დაყოფა ორ ძირითად ჯგუფად მარტო გერცენზონს არ ეკუთვნის, იგი საერთოდ მიღებულია იურიდიულ ლიტერატურაში. მიუხედავად მისი ფართო გავრცელებისა, ეს დაყოფა სამართლის ისტორიის ფაქტებს მთლიანად არ შეესაბამება. თეორიების აბსოლუტური და შეფარდებითი ჯგუფის გარდა არსებობს კიდევ შემაერთებელი ჯგუფი, რომელიც ცდილობს შეათანხმოს, შეარიგოს ერთმანეთს ის ძირითადი საწყისები, რომლებიც მოცემულია პირველ ორ ჯგუფში. მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ისტორიულად სწორედ ეს უკანასკნელნი, ე. ი. შემაერთებელი თეორიები სჭარბობენ, ისინი შედარებით უფრო მრავალრიცხოვანია და სამართლის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე მათ უკავიათ პირველი, გაბატონებული ადგილი. რაც შეეხება წმინდა აბსოლუტურ და წმინდა შეფარდებით თეორიებს, ისინი შედარებით იშვიათად გვხვდება.

¹ А. А. Герцензон, уголовное право, часть общая, 1948, 380.

გერცენზონი იხილავს სასჯელის თეორიებს სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმაციების მიხედვით—მონათმფლობელურ სახელმწიფოებში, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ამ ავტორის სიტყვით, სასჯელის აბსოლუტურ თეორიებს ჰქონდათ უპირატესად საერთო-თეორიული მნიშვნელობა, მათი პრაქტიკული როლი ბურჟუაზიული სახელმწიფოს მოთხოვნილებათა მიხედვით დიდი არ იყო. სასჯელის შეფარდებითი თეორიები კი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ საერთოფილოსოფიურ პრობლემებს და ისახავდნენ უმთავრესად პრაქტიკულ მიზნებს — ბურჟუაზიული სახელმწიფოს სისხლის სამართლის რეპრესიის ყველაზე რაციონალურ ორგანიზაციას¹.

ჩვენთვის უფრო საინტერესოა გერცენზონის წიგნის ის ადგილი, სადაც განმარტებულია საკითხი უშიშროების ღონისძიებათა შესახებ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, —წერს გერცენზონი, —სასჯელის თეორიები პოულობენ უკვე ახალ დასაბუთებას სასჯელის უშუალო ამოცანების შეცვლასთან დაკავშირებით. სასჯელი—სამაგიეროს მიზნად მრავალი თეორეტიკოსების მიერ მიჩნეულია უკვე მოძველებულ ცნებად. იგი არ უზრუნველყოფს ბრძოლის გაძლიერებას კაპიტალისტურ წესწყობილებაზე ხელყოფის წინააღმდეგ. ლომბროზოს მოძღვრებამ თანდაყოლილი დამნაშავეს შესახებ ახალი საფუძველი შეუქმნა სასჯელის თეორიას. სასჯელს მიზნად უნდა ჰქონდეს მხოლოდ საზოგადოების დაცვა თანდაყოლილ დამნაშავესაგან. საზოგადოების დაცვის ღონისძიებანი უნდა იქნას გამოყენებული, დამოუკიდებლად იმისა, ჩაიდინა თუ არა დანაშაული პირმა, რომელიც სათანადო წესით აღიარებული იქნება თანდაყოლილ დამნაშავედ, ე. ი. პირად, რომელსაც აქვს თანდაყოლილი დამნაშავენიშნები. საზოგადოების დაცვის ეს ღონისძიებანი კარგავენ ტრადიციული სასჯელის ხასიათს, ისინი გამოიხატება იმ პირთა ფიზიკურ მოსპობაში, რომლებიც მიჩნეულია თანდაყოლილ დამნაშავეებად, ან მათ მთელსიცოცხლე ან ხანგრძლივ იზოლაციაში. ლომბროზოს მიმდევრებმა დაცვის ამ ორ ღონისძიებას დაუმატეს კიდევ დამნაშავეთა მკურნალობა².

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში სასჯელის—სოციალური დაცვის თეორია დებულობს ახალ დასაბუთებას სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა შრომებში. სოციოლოგების თვალსაზრისით სასჯელი მიზნად ისახავს როგორც საერთო, ისე სპეციალურ პრევენ-

¹ А. А. Герцензон, уголовное право, часть общая, 1948, 386.

² იქვე, 368.

ციას. იგი ხორციელდება სამართლიანი სამაგიეროს მიზნის ფორ-
მით (სასჯელი ვიწრო მნიშვნელობით) და საზოგადოების დაცვის
ფორმით (გადასახლება, განდევნა, განუსაზღვრელი განაჩენი და
სხვ.). სასჯელი ვიწრო აზრით შეეფარდება ისეთ პირებს, რომლებმაც
ბრალეულად ჩაიდინეს კონკრეტული დანაშაული, ხოლო დაცვის
ლონისძიებანი გამოიყენება იმ პირების მიმართ, რომლებსაც თუმც
არ ჩაუდენიათ დანაშაული, მაგრამ რომლებიც ცნობილი არიან რო-
გორც საშიში მართლწესრიგისათვის, აგრეთვე სასჯელის (ვიწრო
მნიშვნელობით) დამატების სახით¹.

სასჯელის ეს დასაბუთება, — დასძენს გერცენზონი, — აღმოჩნდა
უფრო მოხერხებული, იგი უბასუხებდა იმპერიალიზმის ეპოქის
ბურჟუაზიული სახელმწიფოს ინტერესებს. იგი გამოიყენებული იყო
ევროპის და ამერიკის ბურჟუაზიული კანონმდებლობების მიერ².

გერცენზონი ლაპარაკობს XX ს. სასჯელის ბურჟუაზიულ თეო-
რიებზე და ასახელებს შემდეგს: სასჯელის ეთიკურ თეორიას, რომე-
ლიც სასჯელს ასაბუთებს ზნეობრივი საწყისების თვალსაზრისით;
სასჯელის ბიოსოციალურ თეორიას, რომელიც განსაკუთრებულ ყუ-
რადღებას აქცევს დამნაშავეთა „მკურნალობას“; სასჯელის ავტორი-
ტარულ თეორიას, მიღებულს ფაშისტურ სახელმწიფოში; რასისტულ
„თეორიას“, რომელმაც გამოიყენა ლომბროზოს თეზისი იმის შესა-
ხებ, რომ აუცილებელია უღმობლად გასწორება „დაბალ რასასთან“.
ბიოლოგიური და ბიოსოციალური თეორიები დიდი პოპულარობით
სარგებლობენ ჩ. ამ. შეერთ. შტატებში³.

სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა შეხედულებანი
გერცენზონის მიერ სასურველი სიზუსტით არაა გადმოცემული.

სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა შორის ზოგჯერ
საგრძნობი განსხვავებაა, ისინი სხვადასხვა მიმდინარეობებს ეკუთვნ-
ნიან. გერცენზონის სიტყვით გამოდის, რომ სოციოლოგიური სკოლა
ერთობლივად თითქოს ცნობს სასჯელს — სამაგიეროს მიზნებს და
ამავე დროს დაცვის ღონისძიებებს. ეს აზრი სწორად ჩაითვლება:
კრიმინალისტ-სოციოლოგთა საკმაოდ დიდი ნაწილი უარჰყოფს სამა-
გიეროს მიზნის ცნებას და სახელმწიფო იძულების ფორმად აღიარ-
ებს მხოლოდ სოციალური დაცვის ღონისძიებებს.

გარდა ამისა, გერცენზონი არ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ
კრიმინალისტ-სოციოლოგები მთავარ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სპე-

¹ А. А. Герцензон, уголовное право, часть общая, 1948, 387.

² იქვე, 387.

³ იქვე, 388.

ციალურ პრევენციას, რაც, როგორც უკვე იყო აღნიშნული, დაკავშირებულია მათი თეორიის მთავარ დებულებასთან, რომლის თანახმად პირველ პლანზეა დაყენებული დამნაშავე, ის პიროვნება, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული¹.

გერცენზონი იხილავს საკითხს სასჯელის დასაბუთების შესახებ სოციალისტურ საზოგადოებაში. საბჭოთა სისხლის სამართალში, — წერს იგი, — სასჯელის მიზანია მტრული ელემენტების წინააღმდეგობის დათრგუნვა და მერყევ მშრომელთა იძულებითი აღზრდა სოციალისტური მშენებლობის განხორციელების პროცესში. სოციალისტურ სახელმწიფოში სასჯელის დასაბუთებას წარმოადგენს ის, რომ საჭიროა სოციალიზმის საფუძვლების, მეურნეობის სოციალისტური სისტემის და სოციალისტური საკუთრების, სოციალისტური სახელმწიფოებრივი წყობილების და სოციალური მართლწესრიგის დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან².

ასეთია სასჯელის დასაბუთება საბჭოთა სამართალში. იგი ძირეულად განსხვავდება სასჯელის ბურჟუაზიულ თეორიებისაგან, რადგან ამჟამად გამოხატავს სასჯელის კლასობრივ მიზნებს და ხაზს უსვამს, რომ მისი მიზანია სოციალიზმის საფუძვლების დაცვა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა სასჯელის როლის ზედმეტად დაფასება სოციალისტურ სახელმწიფოში. ბურჟუაზიულ სახელმწიფოსაგან განსხვავებით, სადაც იძულება, განსაკუთრებით კი იძულება სასჯელის სახით, სახელმწიფო მმართველობის ძირითად ფორმას წარმოადგენს, სოციალისტურ სახელმწიფოში სასჯელი ასრულებს დამხმარე, და არა მთავარ როლს³.

სოციალისტურ სახელმწიფოში სასჯელის განმასხვავებელ ნიშანს შეადგენს ის, რომ იგი არაა მოწყვეტილი აღმზრდელით ღონისძიებებისაგან, მათთან მჭიდროდ არის დაკავშირებული⁴.

სასჯელი საბჭოთა სახელმწიფოში ახორციელებს საერთო პრევენციის ამოცანებს სპეციალური პრევენციის ამოცანებთან შეხამებით. საბჭოთა სამართალს მიერ შეფარდებული სასჯელი ახორციელებს ამ ამოცანებს იმის მიხედვით, თუ როგორია საქმის კონკრეტული გარემოებანი და დამნაშავეს პიროვნების თავისებურებანი.

გერცენზონის სიტყვით, დავა სასჯელის ამა თუ იმ ამოცანის

¹ იხ. А. Трайнин, Состав преступления..., 1951, гл. I.

² Уголовное право, часть общая, 1948.

³ А. А. Герцензон, уголовное право, часть общая, 1948, 389.

⁴ იქვე, 389.

უპირატესობის (პრიმატის) შესახებ თავის თანმიმდევრულ გადაქრას ბოულობს საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში¹.

დაბოლოს, გერცენზონი იძლევა სასჯელის განმასხვავებელი ნიშნების დახასიათებას. ასეთებად იგი თვლის: დამნაშავეს პიროვნების უარყოფით შეფასებას, რამდენადაც იგი გამოვლინდა მის მიერ ჩადენილ დანაშაულში; დამნაშავესათვის განსაზღვრული შეზღუდვის, წვალების მიყენებას; სამართლიანი დასჯის—სამაგიეროს მიზლის განხორციელებას ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, საქმის გარემოებების და დამნაშავეს პიროვნების საშიშროების შესაბამისად; საერთო და სპეციალური პრევენციის ამოცანების შეხამებულად («в их сочетании») ცხოვრებაში გატარებას².

გერცენზონს, როგორც ვხედავთ, სასჯელის დამახასიათებელ ნიშნებს შორის შეაქვს „სამართლიანი დასჯის—სამაგიეროს მიზლის“ ელემენტი («справедливой кары возмездия»). ამგვარად, გერცენზონი სოციალისტური სისხლის სამართლის თვალსაზრისით სასჯელს განსაზღვრავს როგორც „სამაგიეროს მიზლს“, რომელიც სამართლიანობას გამოხატავს; სასჯელი—სამაგიეროს მიზლვა უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულის სიმძიმეს, საქმის გარემოებებს და დამნაშავეს პიროვნების საშიშროებას. განსაზღვრა, მოცემული გერცენზონის მიერ, ცხადია, მართებულად ვერ ჩაითვლება. უპირველეს ყოვლისა საბჭოთა სამართლისათვის სრულიად უცხოა სასჯელის—სამაგიეროს მიზლის ცნება. საბჭოთა სამართალმა იმთავითვე გადაჭრით უარჰყო ეს ცნება, ხელმძღვანელობდა რა იმ მოსაზრებით, რომ სამაგიეროს მიზლის საწყისი იდეალისტური მსოფლმხედველობის გამოვლენა და საერთოდ ბურჟუაზიულ სისხლის სამართალს ახასიათებს. როგორც უკვე აღნიშნული იყო, საბჭოთა ლიტერატურაში ანალოგიურ შეხედულებას იზიარებდა პროფ. ჟიცილენკო, რომელიც ოციან წლებში ამტკიცებდა, რომ სასჯელის არსს საბჭოთა სისხლის სამართალში სამაგიეროს მიზლვა შეადგენსო. მაგრამ ეს იყო განცალკევებული აზრი, საერთოდ კი საბჭოთა სისხლის სამართლის თეორია უარჰყოფდა ამ შეხედულებას.

საბჭოთა სისხლის სამართალში მიღებულია პრინციპი, რომლის თანახმად სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულში გამოვლენილ ბრალის ხარისხს, ხოლო, რაც შეეხება სოციალური დაცვის ღონისძიებას, მისი გამოყენების საფუძველს შეადგენს მხოლოდ დამნაშავეს პიროვნების საშიშროება.

¹ А. А. Герцензон, уголовное право, часть общая, 1948, 389.

² იქვე, 389

პროფ. შარგოროდსკი თავის ბროშურაში შეეხო სასჯელის მიზნების საკითხს¹.

სასჯელის მიზნებისა და ამოცანების საკითხი,—წერს შარგოროდსკი,—სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში საბჭოთა სისხლის სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. სასჯელის ორერთიანმა ამოცანამ—იძულების ამოცანამ და აღზრდის ამოცანამ—თავისი კლასიკური ასახვა ლენინისა და სტალინის შრომებში ჰპოვა.

სასჯელის აღმზრდელობითი მხარე არ შეიძლება და არ უნდა იქნას მოწყვეტილი იძულების ელემენტებისაგან, რომლებიც მასშია მოცემული. სასჯელი ამ სახით ჩვენი სახელმწიფო მშენებლობის საშუალებას წარმოადგენს.

რეპრესია, წარმოადგენს რა აუცილებელ დამხმარე ელემენტს სოციალისტური სახელმწიფოს ხელში, ცელის თავის ხასიათსა და მიმართულებას მისი განვითარების სხვადასხვა ფაზებში. საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პირველ ფაზაში მთავარ როლს ასრულებდნენ სასჯელის ის ფორმები, სადაც ძირითადი იყო დამხობილი კლასების დათრგუნვა, ხოლო მეორე ფაზაში პირველი ადგილი უკავიათ სასჯელის აღმზრდელობით ფორმებს. საბჭოთა სისხლის სამართლის წინაშე დგას ამოცანა, ერთის მხრივ, გავლენა მოახდინოს საზოგადოების მერყევ წევრებზე — ეგრეთწოდებული საერთო პრევენცია, ხოლო, მეორეს მხრივ, ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობა იმ პირებისათვის, ვინც ჩაიდინა დანაშაული და მათი შეგუება მშრომელთა სახელმწიფოს საერთო ცხოვრების პირობებისათვის—ეგრეთწოდებული სპეციალური პრევენცია².

სასჯელის ინდივიდუალიზაცია საბჭოთა სისხლის სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს. შარგოროდსკის მოჰყავს ვიშინსკის სიტყვები იმის შესახებ, რომ სასამართლოს უნდა მოეთხოვოს სასჯელის მკაცრი ინდივიდუალიზაცია, უნდა გვახსოვდეს, რომ პატიმრობის წლების განსხვავებას აქვს ყოველი მშრომელისათვის, ყოველი მსჯავრდადებულისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა და არა მარტო მსჯავრდადებულისათვის, არამედ პროლეტარული სახელმწიფოსათვისაც. სასჯელი უნდა იყოს შესაბა-

¹ М. Шаргородский, Вина и наказание в советском угол. праве, 1945.

² დასახ. შრომა, 21.

მისი იმ ვნებისა, რომელიც ამა თუ იმ ადამიანმა ინდივიდუალურად თავისი დანაშაულით მიაყენა¹.

შემდეგ შარგოროდსკი გადადის სასჯელის დანიშვნის საერთო პრინციპების გადმოცემაზე, რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სათანადო მუხლების ახსნა-განმარტებას. ჩვენ ამ საკითხებზე არ შევჩერდებით, ვინაიდან აღებული თემის მიხედვით ჩვენი გამოკვლევის საგანს შეადგენს სასჯელის შინაარსი და მისი მიზნები.

საერთოდ შარგოროდსკის შრომა დაყენებულ საკითხებს იხილავს ზერელედ, რაც, ალბათ, აიხსნება იმით, რომ ავტორს მიზნად აქვს დასახული ბრალისა და სასჯელის ცნებების პოპულარული, ფართო საზოგადოებისათვის მისაწვდომი ფორმით განმარტება.

თავის მეორე შრომაში «Наказание по советскому уголовному праву» შარგოროდსკი დაწვრილებით განმარტავს დაყენებულ პრობლემას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასჯელი სოციალისტურ სისხლის სამართალში მიზნად არ ისახავს სამაგიეროს მიზლვას, შურისძიებას და დასჯას («Наказание в социалистическом уголовном праве не преследует цели возмездия, мести и кары»). სასჯელს—სამაგიეროს მიზლვას მიზნად აქვს დასჯა (кара), ტანჯვის მიყენება დამნაშავისათვის. დამნაშავემ თავისი წვალებით უნდა გამოისყიდოს თავისი ბრალი, თავისი ცოდვა, თავისი დანაშაული².

შეხედულებას, რომ სასჯელი არის სამაგიეროს მიზლვა, საფუძვლად უდევს ჩვენთვის უცხო იდეალისტური, როგორც წესი, რელიგიური ფილოსოფიური სისტემები³.

მაშასადამე, შარგოროდსკი გადაჭრით უარყოფს სასჯელს—სამაგიეროს მიზლვას.

შარგოროდსკი აღნიშნავს, რომ სოციალისტურ სისხლის სამართალში სასჯელის მიზანს არ შეადგენს წვალების მიყენება, მაგრამ იქვე დასძენს, რომ არაა სასჯელი, რომელიც ტანჯვას არ აყენებდესო—ასეთი სასჯელი უაზროა და იგი არც წარმოადგენს სასჯელსო⁴.

¹ М. Шаргородский, დასახ. შრომა, 21.

² М. Шаргородский, Наказание по советскому уголовному праву, часть вторая, 1958, 17.

³ იქვე, 17.

⁴ იქვე, 18.

სასჯელი თავისი შინაარსით ყოველთვის უკავშირდება რომელიმე სიკეთის აღკვეთას (სიცოცხლის, უფლების, ქონების, თავისუფლების და სხვ.) და, ამგვარად, სასჯელი, როგორც ყოველი აღკვეთა (лишение) დამნაშავეისათვის გარკვეული წვალეების მიყენებას წარმოადგენს. სწორედ ამ მნიშვნელობით სასჯელი წარმოადგენს დასჯას («Именно в этом смысле наказание является карой») ¹.

სასჯელი სოციალისტურ სისტემის სამართალში, შარგოროდსკის აზრით, მიზნად არ ისახავს დაზარალებულის დაკმაყოფილებას ან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას².

შარგოროდსკი შემდეგნაირად განსაზღვრავს სასჯელს:

სასჯელი საბჭოთა სისტემის სამართალში არის სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რომელსაც უფარდებენ მხოლოდ სასამართლო ორგანოები იმ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული. სასჯელი გამოხატავს დამნაშავეის და მისი ქმედობის უარყოფით შეფასებას სახელმწიფოს მიერ და წარმოადგენს დამნაშავეის რომელიმე სიკეთის აღკვეთას. სასჯელს მიზნად აქვს ახალ დანაშაულთა წინასწარ აცდენა როგორც თვით დამნაშავეის, ისე საზოგადოების სხვა მერყევ წევრთა მხრივ³.

რაც შეეხება ტერმინს „სოციალური დაცვის ღონისძიებანი“, ეს ტერმინი შარგოროდსკის მიუღებლად მიაჩნია შემდეგი მოსაზრებების გამო:

1. იგი ჰქმნის შთაბეჭდილებას თითქოს სასჯელს აქვს წმინდა დაცვითი ხასიათი, იმ დროს როდესაც სასჯელი სოციალისტური საზოგადოების პირობებში წარმოადგენს შეტევის ღონისძიებას, რომელიც მიმართულია დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად და მიზნად აქვს დანაშაულობის როგორც საზოგადოებრივი მოვლენის თანდათანობით ლიკვიდაცია;

2. ტერმინი „სოციალური დაცვის ღონისძიებანი“ არ შეიცავს რებრესიის სწორი ზემოქმედებისათვის აუცილებელ გაკიცხვის ელემენტს, რომელიც მოცემულია ტერმინში „სასჯელი“;

3. ტერმინი „სოციალური დაცვის ღონისძიებანი“ გაუგებარია მოსახლეობისათვის და ამიტომ საზიანოა შესაფარდებელ ღონისძიე-

¹ М. Шаргородский, Наказание по советскому уголовному праву, часть вторая, 1958, 18.

² იქვე, 20.

³ იქვე, 7.

ბათა საერთო-პრევენციულ ხასიათისათვის საზოგადოების მიერ მათი აღქმის თვალსაზრისით¹.

შარგოროდსკი სწორად მიუთითებს, რომ სოციალური დაცვის ღონისძიებანი საბჭოთა სისხლის სამართალში პრინციპულად განსხვავდებიან სასჯელისაგან. სოციალური დაცვის ღონისძიებანი საბჭოთა კავშირის მოქმედ სამართალში გამოიყენება მხოლოდ შეუზღუდავ პირთა და არასრულწლოვანთა მიმართ, რომელთაც სასჯელი არ შეეფარდება. ამ პირთა შორის სოციალური დაცვის ღონისძიებანი შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ იმას, ვინც ჩაიდინა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, სასამართლოს მიერ კანონის საფუძველზე, ე. ი. საბჭოთა სისხლის სამართალში სოციალური დაცვის ღონისძიებათა გამოყენება სრულიადაც არ არღვევს სოციალისტური კანონიერების პრინციპებს, პირიქით, იგი ემსახურება კანონიერების განმტკიცებას და მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველყოფას².

8

1958 წლის დეკემბერში დამტკიცებული იქნა „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები“, რომლებიც უცილობლად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მათ ძირითადი ცვლილებები შეაქვთ საბჭოთა სისხლის სამართალში; ისინი აწესებენ ახალ ნორმებს, რომლებიც უფრო შეესაბამება ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების პირობებსა და მოთხოვნილებებს.

„საფუძვლები“ იძლევიან ზოგად საწყისებს, რომელთა მიხედვით ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკები ადგენენ თავიანთ სისხლის სამართლის კოდექსებს.

„საფუძვლები“ ზუსტი და გარკვეული სახით აწესებენ, რომ „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“³.

განსაზღვრულია განზრახვის და გაუფრთხილებლობის შინაარსი. „საფუძვლები“ უარყოფენ ანალოგიის პრინციპს. „საფუძვლები“

¹ Наказание, გვ. 11.

² იქვე, გვ. 11.

³ მე-3 მუხლი.

განსაზღვრავენ: შეურაცხადობას, არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობას, მომზადებასა და მცდელობას, თანამონაწილეობას, აუცილებელ მოგერიებას და უკიდურეს აუცილებლობას, სასჯელის მიზნებს, სასჯელთა სისტემას, სასჯელის შეფარდების წესებს, სასჯელისაგან განთავისუფლებას, ნასამართლობის მოხსნას და სხვა ცნებებს, რომლებიც ზოგად ხასიათს ატარებენ.

განსაკუთრებით საგულისხმოა „საფუძვლების“ დადგენილება სასჯელის მიზნების შესახებ.

„საფუძვლები“ აღგენენ:

„სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდადებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე აცილებულ იქნეს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდადებულთა, ისე სხვა პირთა მიერ“¹.

სასჯელის მიზნები აქ ზუსტად არაა ჩამოყალიბებული. მოტანილი ფორმულის პირველი ნაწილი — „...არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდადებულნი...“, გულისხმობს სპეციალურ პრევენციას „ამ მხრივ უფრო სწორია საქართველოს სსრ სს კოდექსის პროექტი, რომელიც თანმიმდევრულად და უდაოდ მართებულად აღგენს —

სასჯელს მიზნად აქვს:

ა) მსჯავრდადებულის გამოსწორება და ხელახლა აღზრდა...;

ბ) მსჯავრდადებულისათვის ახალ დანაშაულთა ჩადენის შესაძლებლობის მოსპობა,

გ) საზოგადოების სხვა მერყევ წევრთა მხრივ დანაშაულთა ჩადენის წინასწარ აცილება.

ამ ფორმულაში უკეთ მოჩანს პრევენციის სხვადასხვა სახეები: პირველი ორი პუნქტი („ა“ და „ბ“) გამოხატავს სპეციალურ პრევენციას, ხოლო მესამე პუნქტი („გ“) ზოგად პრევენციას.

„საფუძვლები“ მე-20 მუხლის პირველ ნაწილშიც იძლევიან სპეციალურ პრევენციას („გ ა მ ო ს წ ო რ ე ბ ა და ხ ე ლ ა ხ ლ ა აღ ზ რ დ ა“), მაგრამ რატომღაც სრულიად უსაფუძვლოდ გამოყოფენ მას პრევენციის ორი სახისაგან, რომლებსაც მოიხსენიებენ მე-20 მუხლის ბოლოს.

¹ 20-ე მუხლი.

გარდა ამისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ „საფუძვლების“ მე-20 მუხლის შესავალ სიტყვებს:

„სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს...“ ეს დებულება გაუგებრობას იწვევს. მართლაც, როგორ ესმის კანონმდებელს „დასჯა“ (кара)?

ლინგვისტურად „кара“ და „დასჯა“ იდენტური ცნებებია. ვღებულობთ ისეთ შთაბეჭდილებას, რომ აქ თითქოს ტავტოლოგიასთან გვაქვს საქმე. მაგრამ მაინც არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ კანონმდებელს „кара“ ესმის სხვანაირად.

საკითხის გასარკვევად ავიღოთ რსფსრ-ის სსსს-ის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი, რომლის უკანასკნელ აბზაცში ვკითხულობთ: „სოციალური დაცვის ღონისძიებანი... სამაგიეროს მიზლის და დასჯის ამრცანას არ ისახავენ“. («Меры социальной защиты... задачи возмездия и кары себе не ставят»). «Меры социальной защиты» აქ, რასაკვირველია, სასჯელს ნიშნავენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ «возмездие» და «кара» დაყენებულია ერთმანეთის გვერდით, როგორც მონათესავე ცნებები.

მაშასადამე, რსფსრ-ის სს კოდექსი კატეგორიულად უარყოფს როგორც «возмездие»-ს, ისე «кара»-ს.

ამავე დროს „კანონი სასამართლო წყობილების შესახებ“, 1938 წ. გამოცემული, ადგენს: «Советский суд, применяя меры уголовного наказания, не только карает преступников, но также имеет своей целью исправление и перевоспитание преступников»¹.

ამგვარად, რსფსრ-ის სსსს-ის სამართლის კოდექსი უარყოფს «кара»-ს, როგორც სასჯელის მიზანს, ხოლო სასამართლო წყობილების კანონი, პირიქით, აღიარებს მას. დავუმატოთ, რომ ორივე კანონი ერთდროულად მოქმედებდა. ბევრი მტკიცება არ უნდა იმას, რომ აქ აშკარა წინააღმდეგობაა.

ჩვენ მოვიყვანეთ მოკლე ისტორიული ცნობა, რომელიც მოწმობს, რომ საბჭოთა კანონმდებლობას ისეთ მნიშვნელოვან, ძირითად საკითხში, როგორცაა სასჯელის შინაარსის და მიზნების საკითხი, ზოგჯერ ემჩნევა ერთგვარი გაურკვეველობა.

მიუხედავად ამისა, მაინც დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ საბჭოთა კანონმდებლობა იმთავითვე უარყოფდა სამაგიეროს მიზლის პრინციპს და სასჯელის დარგში ხაზგასმით აღიარებდა საზოგა-

¹ Статья 3. (ქართულად ეს მუხლი ტავტოლოგიას შეიცავს).

დობრივი სარგებლიანობის, მიზანშეწონილების საწყისს; იგი ცნობდა სასჯელის პრევენციულ მიზნებს.

ამ თვალსაზრისით უკეთესი იქნებოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დაგვეტოვებინა სასჯელის მიზნების ის ფორმულა, რომელიც მიღებული იყო ძველ სისხლის სამართლის კოდექსებში და ამ გზით აგვეცილებია თავიდან გაუგებრობა, რაც მეტად სახიფათოა საკანონმდებლო საკითხების დარგში, სადაც საჭიროა განსაკუთრებული სიზუსტე.



1959 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოში განმარტებულია სასჯელის პოლიტიკური და იურიდიული ბუნებისა და მიზნების საკითხები.

სასჯელსა და სახელმწიფო იძულების სხვა ღონისძიებებს შორის, აღნიშნულია სახელმძღვანელოში — არსებითი განსხვავებაა. ყველა შემთხვევაში, გარდა სასჯელისა, იძულება გამოიხატება იმაში, რომ პირს აიძულებენ შეასრულოს რომელიმე მისი სამოქალაქო მოვალეობა (გადასახადის გადახდა, ზარალის ანაზღაურება და სხვ.), რასაც სხვა მოქალაქეები ნებაყოფლობით ასრულებენ. სხვა ხასიათი აქვს სასჯელს. სასჯელი აუცილებლად უკავშირდება დასჯას (с ка-р-ой), დამნაშავეს რაიმე, ხშირად მნიშვნელოვან და არსებით სიკეთეთა, უფლებათა და ინტერესთა იძულებით შეზღუდვასა ან აღკვეთას¹.

საბჭოთა სისხლის სამართლისათვის აღნიშნული უფლებრივი შეზღუდვანი თვითმიზანს არ წარმოადგენენ. ისინი დაწესებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა თვით დამნაშავეს დასჯის და აღზრდის ამოცანების განსახორციელებლად და სხვა მერყევ მოქალაქეებზე ზემოქმედების მოსახდენად. მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები შეიცავენ ნორმას, რომლის თანახმად სასჯელს მიზნად არ უნდა ჰქონდეს ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან ადამიანის ღირსების დამცირება. ეს წესი პოულობს თავის შემდგომ განვითარებას შრომა-გამასწორებელ კოდექსებში, რომლებიც შეიცავენ პირდაპირ მითითებას, რომ რეჟიმი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არ უნდა აყენებდეს ფიზიკურ წვალებას და ადამიანის ღირსების დამცირებას.

¹ Советское уголовное право, общая часть, 1959, гл. 253.

სასჯელის მეორე პრინციპულ თავისებურებას საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით შეადგენს ის, რომ მასში შეხამებულია დასჯა (кара) და აღზრდა, დასჯის და აღზრდის განუშორებლობა, ამავე დროს დასჯა (кара), ე. ი. დასჯილისათვის რომელიმე სიკეთის, უფლების ან ინტერესების შეზღუდვა ან აღკვეთა აღმზრდელობით შემოქმედებას ახდენს მსჯავრდადებულზე და სხვა მერყევ ადამიანებზე¹.

კაპიტალისტურ ქვეყნებში სასჯელი ფიზიკურად და სულიერად ამახინჯებს მსჯავრდადებულს. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში სასჯელი ასრულებს დამაშინებელ როლს.

სრულიად მოკლებულია საფუძველს ბურჟუაზიულ კრიმინალისტთა მტკიცება, რომ მათი სასამართლოების მიერ შეფარდებული სასჯელი თითქოს ბრალეული პირის მორალურ გაკიცხვას გამოხატავს. სამართალში მიცემული პირები იქ უმეტეს შემთხვევაში მშრომელები არიან, რომლებიც მტრულად უყურებენ ბურჟუაზიულ სასამართლოს და მის განაჩენებს, არ ცნობენ არც მის პოლიტიკურ და არც მის მორალურ ავტორიტეტს².

1959 წელს გამოცემული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო იძლევა სასჯელის შემდეგ განსაზღვრებას:

„სასჯელი არის სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რომელსაც სასამართლო უფარდებს კანონის საფუძველზე დანაშაულში ბრალეულ პირს, და რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ სიკეთეთა, უფლებებისა და ინტერესების შეზღუდვასა და აღკვეთასთან; სოციალისტური სახელმწიფოს სახელით გამოხატავს ქმედობისა და მოქმედის უარყოფითს მორალურ-პოლიტიკურ და იურიდიულ შეფასებას და ახორციელებს დასჯისა და აღზრდის ამოცანებს“³.

ამ საკმაოდ ვრცელ ფორმულაში მოცემულია სასჯელის ყველა არსებითი ელემენტი. აღნიშნული განსაზღვრების მიხედვით, სასჯელი არის:

1. სახელმწიფო იძულების ღონისძიება,
2. რომელსაც სასამართლო უფარდებს კანონის საფუძველზე,
3. იმ პირს, რომელსაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში;
4. სასჯელი დაკავშირებულია გარკვეულ სიკეთეთა, უფლებათა და ინტერესთა შეზღუდვასა ან აღკვეთასთან;
5. სასჯელი გამოხატავს სოციალისტური სახელმწიფოს სახელით

¹ Сов. угол. право, общ. часть, 1959, гл. 254.

² იქვე, გვ. 254.

³ იქვე, გვ. 254.

ქმედობის და მოქმედი პირის უარყოფით მორალურ-პოლიტიკურ და ოურიდიულ შეფასებას და

6. ახორციელებს დასჯისა და აღზრდის ამოცანებს.

ამ ნიშნებით სასჯელის შინაარსი ამომწურავად არის გარკვეული და დახასიათებული.

განმარტავს რა სასჯელის ამოცანებს, 1959 წლის სახელმძღვანელო ხაზს უსვამს სასჯელის აღმზრდელობით მნიშვნელობას. აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს უპირველეს ყოვლისა კანონში გამონათულ სასჯელით მუქარას; იგივე მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს. დიდ აღმზრდელობით შემოქმედებას ახდენს გამამტყუნებელი განაჩენი საზოგადოების მერყევ წევრებზე.

მაგრამ, აღნიშნავს რა სასჯელის დიდ აღმზრდელობით როლს — განსაკუთრებით სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით — ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო სწორად მიუთითებს, რომ ამავე დროს არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ სასჯელის მეორე ამოცანა. დასჯაზე, როგორც სასჯელის ერთ-ერთ ამოცანაზე, უარისთქმა გამოიწვევდა დანაშაულობასთან ბრძოლის შესუსტებას, საერთო და სპეციალური პრევენციის შესუსტებას¹.

სახელმწიფო გარკვევით აცხადებს, რომ სამაგიეროს მიზლვა არ წარმოადგენდა და არ წარმოადგენს საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით სასჯელის ამოცანას («...возмездие не являлось и не является по советскому уголовному праву задачей наказания») ².

სამაგიეროს მიზლვა ბურჟუაზიულ სამართალში ღებულობს შურისძიების ხასიათს; საბჭოთა სისხლის სამართალი არ უარყოფს დამნაშავეს დასჯას მისი ბრალის სიმძიმის შესაბამისად, იგი არ იცნობს სამაგიეროს მიზლვას შურისძიების მნიშვნელობით.

მაგრამ, — განაგრძობს სახელმძღვანელოს ავტორი, — თუ სამაგიეროს მიზლვა გაგებული იქნა როგორც სამართლიანობის აქტი, როგორც დაქმყოფილება მორალური მოთხოვნისა — არ იქნას დატოვებული დამსახურებული სასჯელის გარეშე საბჭოთა საზოგადოების აღმფოთების გამომწვევი დანაშაული, — არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ასეთი სასჯელი აღიქმება მშრომელთა მიერ როგორც სამართლიანი სამაგიეროს მიზლვა დამნაშავეისათვის³.

¹ Советское угол. право, общ. часть, 1959, გვ. 260.

² იქვე, 260.

³ იქვე, გვ. 260.

სასჯელის ამოცანას არ შეადგენს დაზარალებულის ან საბჭოთა საზოგადოების ზნეობრივი დაკმაყოფილება. ამ მიზნით როდი ადგენს სასჯელს საბჭოთა სისხლის სამართალი. მაგრამ ამავე დროს არასწორი იქნებოდა იმის უარყოფა, რომ სასჯელის შეფარდებას შეუძლია დააკმაყოფილოს დაზარალებული. აგრეთვე სასჯელს შეუძლია გამოიწვიოს მთელი საბჭოთა საზოგადოების დაკმაყოფილება. კმაყოფილების გრძნობას განიცდიან მშრომელები, როდესაც სასამართლო მიუსჯის დამსახურებულ სასჯელს მძიმე დამნაშავეებს. მშრომელთა მიერ განცდილი ზნეობრივი დაკმაყოფილების გრძნობა მოწმობს, რომ მათ აქვთ განვითარებული სოციალისტური მართლშეგნება, რომელიც ვერ ურიგდება დანაშაულთა ჩადენას¹.

ზემოთ აღნიშნული შეხედულება უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი, ერთის მხრივ, ამტკიცებს, რომ საბჭოთა სამართალი უარჰყოფს სამაგიეროს მიზლის პრინციპს, ხოლო, მეორეს მხრივ, აღიარებს, რომ სასჯელის შეფარდება იწვევს საბჭოთა საზოგადოებაში ზნეობრივი გრძნობის დაკმაყოფილებას და ეს მოვლენა მას მიაჩნია სრულიად კანონიერად და ბუნებრივად. ამგვარად, აქ ადგილი აქვს ერთგვარ წინააღმდეგობას. თუ სამაგიეროს მიზლმა უკავშირდება ზნეობრივ გრძნობას და აკმაყოფილებს ჯანსაღ ზნეობრივ მოთხოვნას, რატომ არ უნდა ვაღიაროთ იგი და არ ვცნოთ საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიულ პრინციპად?

¹ Сов. угод. право, общ. часть, 1959, 33-261.

სასჯელი და სოსილური დახვის ღონისძიებანი სახალხო დემოკრატიულ სახელმწიფოთა სისხლის სამართალში

ჩვენს მიერ დაყენებული პრობლემის თვალსაზრისით საგულისხმო მასალას იძლევა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ვეცნობით რა ამ კანონმდებლობას, ცხადი ხდება, რომ მან განიცადა საბჭოთა სისხლის სამართლის ღრმა გავლენა როგორც ზოგად, ისე განსაკუთრებულ ნაწილში. დანაშაულის განსაზღვრა, ბრალისა და მისი ფორმების ცნება, თანამონაწილეობა, სასჯელის ამოცანები — ყველა ამ საკითხის დამუშავება სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში მოწმობს. რომ მათი ავტორები ხელმძღვანელობდნენ იმ ძირითადი იდეებით, რომლებიც მიღებულია საბჭოთა სამართალში, მის საფუძვლებს შეადგენენ. მაგრამ ამავე დროს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სისხლის სამართალს ახასიათებს ზოგიერთი თავისებურება, რომელიც მოითხოვს ყურადღებით შესწავლას. ამ სახელმწიფოთა ზოგიერთი სისხლის სამართლის კოდექსი მკაფიოდ ასხვავებს სასჯელს და უშიშროების ღონისძიებებს; სასჯელს ისინი უკავშირებენ ბრალეულობას — განზრახვას და გაუფრთხილებლობას.

მოკლედ განვიხილავთ ზოგიერთი მათგანის დადგენილებებს აღნიშნული საკითხის თვალსაზრისით.

1. უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელის მიზნებს შემდეგნაირად განსაზღვრავს — სასჯელის მიზანია: მშრომელთა ინტერესების დაცვა, იმ პირთა გამოსწორება და აღზრდა, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, აგრეთვე საერთოდ საზოგადოების წევრთა შეკავება დანაშაულის ჩადენისაგან (§ 50). კანონმდე-

ბელს სასჯელის მიზანი გაგებული აქვს პრევენციის მნიშვნელობით ორივე მისი ფორმით.

§ 50-ის მეორე ნაწილი განმარტავს, რომ სასჯელი, მისი საერთო მიზნების მიხედვით, ინიშნება იმ ზომით, რაც დანაშაულის და აგრეთვე დამნაშავეს პიროვნების საშიშროებას შეესაბამება. სასჯელის ზომა უნდა შეესაბამებოდეს პირის ბრალს, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც მხედველობაში მიიღება მოცემული პირის ან სასარგებლოდ, ან საწინააღმდეგოდ, და იმ ვნებას, რომელიც მიეყენება საზოგადოებას (დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი).

უნგრეთის სს კოდექსი ცალ-ცალკე ასახელებს სასჯელის ღონისძიებებს (§ 30) და უშიშროების ღონისძიებებს (§ 49).

სასჯელის ღონისძიებები შემდეგია: 1. სიკვდილით დასჯა; 2. საპყრობილეში მოთავსება; 3. ფულადი ჯარიმა; 4. ქონების კონფისკაცია — მთლიანი ან ნაწილობრივი; 5. პოლიტიკურ და ცალკეულ სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა; 6. აკრძალვა ამა თუ იმ საქმიანობისა ან ხელობისა; 7. განდევნა.

უშიშროების ღონისძიებებს ითვალისწინებს § 49, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ადგენს: უკეთუ იმ პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული 18 წლის ზევით ასაკში სულით ავადმყოფობის გამო არ შეიძლება შეეფარდოს სასჯელი, მაგრამ მისი სულიერი მდგომარეობის მიხედვით დასაშვებია, რომ იგი კიდევ ჩაიდენს რაიმე დანაშაულს, მას შეეფარდება უშიშროების დაცვის ღონისძიება. მეორე ნაწილის თანახმად, უშიშროების დაცვის ღონისძიებათა გამოყენების ვადა უდრის ერთ წელს. ეს ვადა იანგარიშება დაპატიმრებული პირის მიმართ აღნიშნულ ღონისძიებათა შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან და მისი შემოკლება არ შეიძლება არც წინასწარ პატიმრობის და არც სხვა რაიმე მიზეზის გამო. მესამე ნაწილის თანახმად, უშიშროების დაცვის ღონისძიებათა გამოყენების წლიური ვადა შეიძლება განგრძობილ იქნას («может быть продляем») ერთი წლით იქამდე, სანამ პირის საზოგადოებრივად საშიში მდგომარეობა განაგრძობს არსებობას. მეოთხე ნაწილის ძალით, უკეთუ მოიხსნა ის გარემოებანი, რომლებიც პირის საზოგადოებრივად საშიშ მდგომარეობას იწვევენ, უშიშროების დაცვის ღონისძიებათა გამოყენება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს.

იმავე პარაგრაფში (§ 49) დამატებით დადგენილია, რომ ხანდაზმულობის ან პატიების გამოყენების შემთხვევებში უშიშროების დაცვის ღონისძიებებს არ შეიძლება ჰქონდეს აღკვეთილი.

როგორც ვხედავთ, უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსი სწორად უდგება და ჭრის სასჯელისა და უშიშროების ღონისძიებათა ურთიერთდამოკიდებულების და გამოყენების საკითხს.

დამატებით საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც უნგრეთის სს კოდექსს ახასიათებს და დაკავშირებულია დაყენებულ საკითხთან. უნგრეთის სს კოდექსი იცნობს დანაშაულთა ორწევროვან კლასიფიკაციას: დანაშაულსა და გადაცდომას (проступок). შინაარსის მხრივ დანაშაულისა და გადაცდომის განსხვავება ცოტა არ იყოს ბუნდოვანია. დანაშაულად ითვლება კანონით დასჯადი საზოგადოებრივად საშიში მოქმედება (§ 1). გადაცდომაც საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას. ან უმოქმედობას წარმოადგენს (§ 72). უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ნაკლებად საშიშია¹. მაგრამ განსხვავება მათ შორის ზუსტად არაა გატარებული.

მეორეს მხრივ, განსხვავება უფრო გარკვეულ ხასიათს ღებულობს, როცა ყურადღებას ვაქცევთ ფორმალურ მომენტს — სანქციების სიდიდეს. გადაცდომისათვის გამოიყენება სასჯელის შემდეგი ღონისძიებანი: არესტი ერთი დღიდან ერთ თვემდე; ფულადი ჯარიმა (ხუთი ფორინტიდან 25 ათას ფორინტამდე); კონფისკაცია — უკეთუ კანონით არაა სავალდებულო, სასამართლოს მოსაზრებაზეა დამოკიდებული; განსაზღვრული საქმიანობის ან ხელობის აკრძალვა (ერთი თვიდან ერთ წლამდე), განსაზღვრული ადგილიდან განდევნა (უნგრეთის მოქალაქეს ეფარდება ვადით ერთი თვიდან ერთ წლამდე. §§ 76—83):

¹ უნგრეთის სს კოდექსი პირველი პარაგრაფის მეორე ნაწილში იძლევა საზოგადოებრივი საშიშროების განსაზღვრას: „საზოგადოებრივად საშიშია ყოველი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც საფრთხეში აგდებს ან ენებას აყენებს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სამეურნეო წესწყობილებას და აგრეთვე მოქალაქეთა პიროვნებას ან უფლებებს“.

§ 72 განმარტავს, რომ „გადაცდომად (проступком) ითვლება ისეთი საზოგადოებრივად საშიში მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც აღიარებულია ასეთად სამართლებრივი ნორმებით, ადმინისტრაციის განკარგულებით ან ხელისუფლების ორგანოებით, რომლებიც უფლებამოსილია საამისოდ კანონით, სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით ან მინისტრთა საბჭოს დადგენილებით“.

ამ ორი ფორმულის შედარებიდან ჩანს, თუ რამდენად გაურკვეველია შინაარსობრივად მათი განსხვავება. მაგრამ სანქციების მხრივ ეს განსხვავება უფრო გარკვეული ხდება.

განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ უშიშროების დაცვის ღონისძიებანი გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში არ გამოიყენება (§ 84).

2. ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის კოდექსის დადგენილებით სასჯელის გამოყენების მიზანია:

ა) მშრომელთა მტრების გაუვნებლება;

ბ) დანაშაულის ჩამდენი პირისათვის სხვა დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობა და მისი აღზრდა სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის სულისკვეთებით;

გ) აღმზრდელითი ზემოქმედების მოხდენა საზოგადოების სხვა წევრებზე.

სასჯელის აღსრულება არ უნდა ამცირებდეს ადამიანურ ღირსებას (§ 17).

§ 18 ჩამოთვლის სასჯელის ცალკეულ სახეებს. ძირითად სასჯელებს წარმოადგენენ: ა) სიკვდილით დასჯა; ბ) თავისუფლების აღკვეთა; გ) გამასწორებელი სამუშაოები. დამატებით სასჯელებად ითვლება: ა) მოქალაქეობის ჩამორთმევა; ბ) საპატიო სამოქალაქო უფლებათა ჩამორთმევა; გ) არმიიდან გარიცხვა; დ) სამხედრო წოდების ჩამორთმევა; ე) ქონების კონფისკაცია; ვ) ჯარიმა; ზ) განსაზღვრული საქმიანობის აკრძალვა; თ) გაძევება; ი) განსაზღვრულ ადგილას ცხოვრების აკრძალვა; კ) განაჩენის გამოქვეყნება; ლ) ცალკეული საგნების კონფისკაცია. დამატებითი სასჯელის დანიშვნა შეიძლება მხოლოდ ძირითადთან ერთად.

სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს დანაშაულებრივი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, ბრალის ხარისხს და ბრალეულის პირად თვისებებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მისი გამოსწორების შესაძლებლობას და აგრეთვე ანგარიშს უწევს დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს (§ 19, პირველი ნაწილი).

ამასთან ერთად კოდექსი იძლევა საგულისხმო დებულებას: ის გარემოება, რომელსაც კანონი ითვალისწინებს დანაშაულის შედგენილობის ელემენტის სახით, არ შეიძლება სასჯელის დანიშვნისას მიჩნეული იქნას როგორც ბრალის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოება (§ 19, ნაწილი მეორე).

ჩეხოსლოვაკიის კოდექსი, სასჯელის გარდა, სპეციალურ მუხლებში ითვალისწინებს „იძულებითს ღონისძიებებს“, რომლებიც თავისი შინაარსით იგივეა, რაც უნგრეთის კოდექსის „უშიშროების დაცვის ღონისძიებანი“.

ჩეხოსლოვაკიის სს კოდექსის (§ 69) მიხედვით იძულებითი ღონისძიების სახით («в качестве принудительных мер») შეიძლება გამოყენებულ იქნას: იძულებითი მკურნალობა, იძულებითი აღზრდა და საგნების ჩამორთმევა იმ პირობებში, რაც გათვალისწინებულია §§ 70, 71 და 74-ით. კოდექსი იძულებითი ღონისძიებების გამოყენების მიზნად თვლის: ა) საზოგადოების დაცვას იმ დანაშაულისაგან, რაც შეიძლება ჩადენილ იქნას მომავალში, ბ) ხელის შეწყობა იმისათვის, რომ ის პირი, რომლებსაც ავადმყოფობის ან არასათანადო აღზრდის გამო შეუძლიათ ჩაიდინონ დანაშაული, მკურნალობის და აღზრდის შედეგად გახდნენ საზოგადოების სასარგებლო წევრები. იმავე პარაგრაფის მეორე ნაწილში აღნიშნულია მეტად საყურადღებო დებულება: უკეთუ იძულებითი ღონისძიებების გამოყენების მიზანი არ ხორციელდება სასჯელის დანიშვნით და აღსრულებით, შესაძლოა მათი გამოყენება სასჯელთან ერთად («...то можно их применить и наряду с наказанием»). (§ 69-ის მეორე ნაწილი).

მომდევნო პარაგრაფებში კოდექსი ახასიათებს „იძულებითი ღონისძიებების“ ცალკეულ სახეებს. ეს სახეები შემდეგია:

იძულებითი მკურნალობა. უკეთუ დამნაშავეს შეურაცხადობის გამო არ ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ხოლო მისი თავისუფლად ყოფნა წარმოადგენს საშიშროებას, სასამართლო გამოიტანს დადგენილებას მისი გავზავნის შესახებ სამკურნალო დაწესებულებებში. სასამართლოს შეუძლია ამგვარადვე მოიქცეს, უკეთუ ალკოჰოლიკი ან ნარკოტიკი ჩაიდენს დანაშაულს სიმთვრალეში ან სხვა ამგვარ მდგომარეობაში.

იძულებითი მკურნალობა გრძელდება იქამდე, სანამ ამას მოითხოვს დასმული მიზნის განხორციელება. იძულებით მკურნალობისაგან განთავისუფლება სწარმოებს სასამართლოს გადაწყვეტილებით (§ 70).

იძულებით-აღმზრდელობითი ღონისძიებანი. სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღზრდის გამოყენების შესახებ, უკეთუ საქმის განხილვისას არასრულწლოვანის ბრალდების გამო დაადგენს, რომ არა აქვს ადგილი საჭირო ზრუნვას მისი აღზრდისათვის, ან რომ მისი აღზრდა არ იყო სათანადო, ან რომ არასრულწლოვანს ესაჭიროება ასეთი, ოჯახში მისი ცხოვრების პირობების მიხედვით (§ 71, ნაწილი პირველი).

იძულებითი აღზრდა ტარდება აღმზრდელობით დაწესებულებებში; იგი შეიძლება ჩატარდეს სამკურნალო დაწესებულებაში, უკეთუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობა. (§ 72). იძულებითი აღზრდა გრძელდება იქამდე, სანამ ეს საჭი-

სამკურნალო-საპედაგოგო ღონისძიებებს წარმოადგენენ:

ა) არასრულწლოვანის მიცემა მშობლების, შეილად ამყვანის, მეურვის ან ნათესავეების მზრუნველობაში, უკეთუ მათ შეუძლიათ მისი შენახვა, ან სხვა პირთა და დაწესებულებების მზრუნველობაში;

ბ) სპეციალურ აღმზრდელობით და სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსება (39 მუხლი).

კანონი ადგენს, თუ რა პირობებში შეიძლება სამკურნალო და სამკურნალო-საპედაგოგო ღონისძიებების გამოყენება. ეს ღონისძიებანი, კანონის სიტყვით, შეიძლება იქნან გამოყენებული სასჯელის ნაცვლად (вместо наказания), უკეთუ სასამართლო ცნობს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასჯელი არ გამოიყენება. სამკურნალო და სამკურნალო-საპედაგოგო ხასიათის ღონისძიებანი შეიძლება მიღებულ იქნან აგრეთვე სასჯელის დამატების სახით («в качестве дополнения к наказанию») იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ იყო გამოყენებული სათანადო ორგანოების მიერ საქმის სასამართლო განხილვამდე (მე-40 მუხლი).

ჩვენ დავახსიათეთ უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის და ალბანეთის სისხლის სამართლის კოდექსების დადგენილებანი ჩვენს მიერ დაყენებული ძირითადი საკითხის — სასჯელისა და უშიშროების დაცვის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

განხილული კოდექსები სასჯელის გვერდით გარკვეულ ადგილს უთმობენ უშიშროების დაცვის ღონისძიებებს და მათ ითვალისწინებენ იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს საქმე აქვს შეურაცხად პირებთან ან არასრულწლოვანთან, ე. ი. როცა საჭიროა სამკურნალო ან აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიების მიღება.

სასჯელის ამოცანები განსაზღვრულია საერთო და სპეციალური პრევენციის თვალსაზრისით; ეს ამოცანები განმარტებულია იმგვარადვე, როგორც საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

სასჯელის შეფარდების წინაპირობად მიჩნეულია ბრალი, რომელიც გამოიხატება განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ფორმით.

უშიშროების ღონისძიების გამოყენების საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ პიროვნების საშიშროება სახელმწიფოს, საზოგადოების თუ ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესებისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1957 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოში¹ განხილულია და ფართოდ შესწავლილი სამართლის აღნიშნული დარგის ყველა ძირითადი საკითხი. დანაშაული განსაზღვრულია როგორც საზოგადოებრივად საშიში, მორალურ-პოლიტიკურად დაგმობილი, მართლსაწინააღმდეგო და დასჯადი მოქმედება².

მეორე მხარე დანაშაულში გამოსახული „ძველის ბრძოლისა ახალის წინააღმდეგ“ არის სასჯელი. სასჯელი წარმოადგენს გარკვეულ, კანონით მოწესრიგებულ რეაქციას, რომლითაც მშრომელთა ხელისუფლება უპასუხებს დანაშაულებრივ ხელყოფას სისხლის სამართლით დაცული სახალხო დემოკრატიული წესწყობილების საზოგადოებრივ ურთიერთობათა წინააღმდეგ, იცავს ამ ურთიერთობებს და სახელმწიფო იძულების მეშვეობით ახორციელებს ცხოვრებაში.

სახელმძღვანელო სასჯელს განსაზღვრავს როგორც კანონით მოწესრიგებულ, სასამართლოს მიერ შესაფარდებელ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს იძულებით ღონისძიებას, რომლითაც დამნაშავეს, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო, მიეყენება გარკვეული შევიწროება და მისი ყოფაქცევა დაიგმობა სოციალისტური სამართლის და მორალის თვალსაზრისით. იგი მიმართულია იმაზე, რომ საზოგადოების წევრთა დანაშაულებრივი მოქმედებანი დათრგუნოს, დამნაშავე და აგრეთვე საზოგადოების სხვა მერყევი ელემენტები აღზარდოს დემოკრატიული კანონიერების პატივისცემის სულისკვეთებით და ამით მშრომელთა სოციალისტური სახელმწიფო და მართლშეგნება განამტკიცოს და აამაღლოს³. ეს განსაზღვრა მოიცავს ნიშნებს, რომლებიც საერთოა ყველა კონკრეტული სასჯელისათვის და ამავე დროს იძლევა კრიტერიებს, რომლებითაც სასჯელი გამოირჩევა სახელმწიფოს სხვა იძულებითი ღონისძიებებისაგან. იმის დადგენით, რომ სასჯელი როგორც განსაზღვრული სამართლებრივი ინსტიტუტი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს იარაღია, გარკვეულია მისი თვისობრივი განსხვავება ექსპლოატატორულ სახელმ-

¹ Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, Allgemeiner Teil, 1957.

² იქვე, 529.

³ იქვე, 531.

მწიფოში, განსაკუთრებით კი იმპერიალისტურ სახელმწიფოში მიღებული სასჯელისაგან.

სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ ბურჟუაზიული სისხლის სამართლის მეცნიერება მიდის სულ სხვა გზით. მისი განსაზღვრება გამოირჩევა იმით, რომ იგი მალავს სასჯელის კლასობრივ შინაარსს. დასავლეთ გერმანიის სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებულია მოძღვრება, რომლის თანახმად სასჯელის არსს და მის მიზანს შეადგენს „გამოსყიდვა“, „სამაგიეროს მიზღვა“ და სხვ. მაგალითად, ველცელი წერს, რომ სასჯელი არის სიავე, რომელიც მიეყენება დამნაშავეს ბრალეული ქმედობისათვის; იგი დამყარებულია სამართლიანი სამაგიეროს მიზღვის პოსტულატზე: ყოველ ადამიანს მიეზღვება ის, რასაც მისი მოქმედება იმსახურებს (კანტი). მაურაზიც ახასიათებს სასჯელს როგორც სიავეს, რომელიც სამართლის ძალით დაეკისრება დამნაშავეს მისი ბრალეული ქმედობისათვის და მის არსს სამაგიეროს მიზღვაში ხედავს. ასევე უყურებს სასჯელს მეცგერი, რომლის აზრით სასჯელი თავისი არსით სამაგიეროს მიზღვაა ჩადენილი ბოროტი ქმედობისათვის. იმავე აზრისაა პ. მაიერიც. ამ თეორიების მიხედვით, სასჯელის არსი დაყვანილია ტრანსცენდენტურ ღვთაებრივ, ზნეობრივ ან სხვა პრინციპებზე და ამოიწურება „ბრალის გამოსყიდვით“ ან, რაც იგივეა, „სამაგიეროს მიზღვით სამართლის დარღვევისათვის“. წარმოდგენა სასჯელზე როგორც „გამოსყიდვაზე“, „სამაგიეროს მიზღვაზე“ და სხვ. ექსპლოატატორული იდეოლოგიის გამოვლენას შეადგენს და ისეთივე ძველია, როგორც თვით ექსპლოატატორული საზოგადოებაო — წერს სახელმძღვანელო და მიუთითებს მონათმფლობელური საზოგადოების ფილოსოფიაზე, განსაკუთრებით ასახელებს პლატონსა და არისტოტელეს. აქ სახელმძღვანელო უშვებს გარკვეულ შეცდომას: პლატონი არ შეიძლება ჩაითვალოს „სამაგიეროს მიზღვის“ მომხრედ, იგი გადაჭრით უარპყოფს ამ ცნებას და იცავს წმინდა პრევენციის საწყისს.

სახელმძღვანელო განსაზღვრავს სასჯელის სპეციფიკურ თვისებებს. ეს თვისებები შემდეგია:

1. სასჯელი წარმოადგენს სახელმწიფო იძულების ღონისძიებას¹. სასჯელის სახელმწიფოებრივ ხასიათიდან გამომდინარეობს, რომ ყველა სხვა არასახელმწიფო იძულების ღონისძიებანი, რომლებსაც მიმართავენ დამნაშავეს წინააღმდეგ, არ შეიძლება ჩაითვალოს სასჯელებად და ამიტომ მათ არ შეუძლია დაიკავოს სასჯელის ადგილი.

¹ დასახ. ნაშრომი, 533.

სასჯელი უნდა იყოს — პრინციპულად ქმედობის ჩადენამდე — დადგენილი სახელმწიფოს ნორმატიული აქტი. სასჯელი უნდა იქნას დანიშნული ძირითადად მხოლოდ სასამართლო ორგანოების მიერ, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ კანონით მოწესრიგებული პროცედურით, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეთა დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებას.

2. სასჯელის განპირობებულობა დანაშაულით („Die Bedingtheit der Strafe durch das Verbrechen“) და სასჯელის შეზღუდვა მხოლოდ დამნაშავის პიროვნებით¹.

სასჯელის არსებითი ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ როგორც სახელმწიფო რეაქცია კონკრეტულ დანაშაულზე, იგი ყოველთვის განპირობებულია გარკვეული დანაშაულის ჩადენით და უშუალოდ მიმართულია მხოლოდ დამნაშავის პიროვნების წინააღმდეგ. ამის მიხედვით დანაშაული ყოველთვის არის სასჯელის სამართლებრივი საფუძველი (Rechtsgrund der Strafe) და უკანასკნელი ყოველთვის დანაშაულის სამართლებრივ შედეგს (Rechtsfolge des Verbrechens) წარმოადგენს. დანაშაულისა და სასჯელის კანონზომიერი კავშირის აღიარება შეადგენს იმ დებულების საფუძველს, რომლის თანახმად „არაა სასჯელი დანაშაულის გარეშე, არაა დანაშაული კანონიერი სასჯელის გარეშე“ (nulla poena sine crimine, nullum crimen sine poena legali). ეს დებულება წამოყენებული იყო აღმავალი ბურჟუაზიის პროგრესული იდეოლოგების მიერ რეაქციული ფეოდალური სამართლის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში და მიმართული იყო ფეოდალური იუსტიციის უსაზღვრო თვითნებობის წინააღმდეგ.

3. სახელმწიფო იძულების სპეციფიკური შინაარსი სისხლის სამართლის დარგში².

სასჯელის სპეციფიკური შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ დამნაშავეს მიეყენება განსაზღვრული შევიწროება, რითაც იმავე დროს გამოითქმება უარყოფითი საზოგადოებრივი შეფასება, უპირველეს ყოვლისა მორალურ-პოლიტიკური შეფასება დამნაშავის ყოფაქცევისა.

სასჯელთან დაკავშირებული შევიწროება გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფო იძულებით და საგრძნობლად იჭრება დამნაშავის პირად, საზოგადოებრივ და განსაკუთრებით სამოქალაქო უფლებებ-

¹ დასახ. ნაშრომი, 537.

² იქვე, 540.

ზის, თავისუფლებისა და ინტერესების სფეროში და ამ შევიწროებას, დანაშაულის სახის და სიმძიმის მიხედვით, სხვადასხვა ინტენსივობა აქვს.

საგრძობი შევიწროვების მიყენება წარმოადგენს აუცილებელ და გარდუვალ საშუალებას იმ მიზნის მისაღწევად, რომელსაც ისახავს მშრომელთა სახელმწიფო, ვინაიდან დამნაშავეისათვის განსაზღვრული სიავის (bestimmtes Maß) მიყენების გარეშე, შეუძლებელია როგორც სახალხო დემოკრატიული წესწყობილების მტრების წინააღმდეგობის დაძლევა და დამნაშავეზე და საზოგადოების მერყევე წევრებზე აღმზრდელობითი ზეგავლენის მოხდენა, ისე მშრომელთა მართლმეგნების, მათი რწმენის სახალხო-დემოკრატიული წყობილების ხელშეუხლებლობის და ავტორიტეტის შესახებ განმტკიცება და ამოღება¹.

მხედველობაში მისაღებია ის, რომ სასჯელი „უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილი დანაშაულის სახეს და სიმძიმეს და ეს უნდა შეადგენდეს მის უკიდურეს საზღვარს“².

სასჯელის შეფარდება ნიშნავს დამნაშავეს ყოფაქცევის მორალურ-პოლიტიკურ დაგმობას პროგრესული სოციალისტური სამართლის და ზნეობის თვალსაზრისით. დამნაშავე თავისი საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო საქციელით ყოველთვის შელახავს მშრომელთა სოციალისტური ზნეობის ელემენტარულ საწყისებს და ნორმებს, რომლებიც საზოგადოების ყველა წევრისაგან მოითხოვენ ახალ პროგრესულ საზოგადოებრივ ურთიერთობის შესაბამის ყოფაქცევას³.

მხოლოდ მაშინ, როცა დანიშნული სასჯელი უპასუხებს ამ პირობას, მას შეუძლია განახორციელოს თავისი აღმზრდელობითი მოქმედება როგორც დამნაშავეს, ისე საზოგადოების მიმართ.

სასჯელის მორალურ-პოლიტიკური შინაარსის აღიარებიდან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ დამნაშავეს ყოფაქცევის მორალურ-პოლიტიკური გაკიცხვის სიმკაცრე თავის ანარეკლს სასჯელის სიმძიმეში უნდა პოულობდეს⁴.

შემდეგ აქედან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს სხვა იძულებითი ღონისძიებანი, რომლებიც თუმცა დაინტერესებული პირისათვის შევიწროვებას წარმოადგენენ, მაგრამ ვინაიდან ამგვარ

¹ დასახ. ნაშრომი, 541.

² იქვე, 543.

³ იქვე, 544.

⁴ იქვე, 545.

მსჯელობას არ შეიცავენ, სასჯელად ვერ ჩაითვლება. ასეთია, მაგალითად, წინასწარი პატიმრობა, სასამართლო-სამკურნალო უშიშროების ღონისძიება, იძულებითი აღსრულება, ვნების ანაზღაურება და სხვ.

სახელმძღვანელო განსაზღვრავს სასჯელის ფუნქციებსა და მიზნებს. სასჯელის გამოყენება სახელმწიფოსათვის თვითმიზანი არაა. როგორც სახელმწიფო იძულების ღონისძიება, სასჯელი ყოველთვის ისახავს განსაზღვრულ სოციალურ-პოლიტიკურ მიზნებს, რომელთა შინაარსი სახელმწიფოს ფუნქციებით არის განპირობებული. ამიტომ სასჯელი წარმოადგენს ერთ-ერთ რგოლს იმ საშუალებათა სისტემაში, რომლებითაც სახელმწიფო როგორც განსაზღვრული კლასის ბატონობის იარაღი თავის ფუნქციებს ახორციელებს და გაბატონებული კლასის პოლიტიკას ცხოვრებაში ატარებს¹.

1. სასჯელის რეპრესიული მიზანი .

სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს დათრგუნვის ფუნქციის შესაბამისად, სასჯელი მიზნად ისახავს მშრომელთა მტრების წინააღმდეგობის და რესტავრაციის ცდების დაძლევის და ყველა სხვა დანაშაულებრივი მოქმედების დათრგუნვას².

2. დამნაშავეს გამოსწორება.

სასჯელის აღმზრდელობითი ფუნქცია უპირველეს ყოვლისა გამოიხატება უშუალო მიზანში, რომელიც მიმართულია იმაზე, რომ დამნაშავე აღზარდოს დემოკრატიული კანონების ზუსტი შესრულების სულისკვეთებით და იმავე დროს შესაფერი აღმზრდელობითი მოქმედება მოახდინოს საზოგადოების სხვა მერყევე წევრებზე³.

3. სასჯელის საერთო-აღმზრდელობითი მიზანი.

სახელმძღვანელოს სიტყვით, ყოველი სასჯელის შორეული მიზანია ყველა მოქალაქეში გამოიწვიოს რწმენა დემოკრატიული სახელმწიფოს და მართლწესრიგის თანამედევრულად დემოკრატიული ხასიათის და უპირატესობის შესახებ, აამაღლოს მშრომელთა მასების სოციალისტური მართლშეგნება და სოციალისტური მორალი და ამით ხელი შეუწყოს მათ შემოქმედებითს მუშაობას⁴.

4. დაბოლოს, სახელმძღვანელოში განმარტებულია საკითხი სასჯელის საზოგადოებრივ საფუძვლებზე. იქ აღნიშნულია, რომ სასჯელის ორივე ფუნქციის—დათრგუნვისა და აღზრდის—მოქმედება

¹ დასახ. ნაშრომი, 547.

² იქვე, 549.

³ იქვე, 552.

⁴ იქვე, 555.

დამოკიდებულია უფრო რეალურ საზოგადოებრივ პირობებზე და რიგ სხვა, პირველ ყოვლისა, იურიდიულ ფაქტორებზე¹

ზემოთ მოცემული „Lehrbuch“-ის მოკლე დახასიათებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი სასჯელის არსსა და მიზნებს იხილავს იმ საერთო საწყისების თვალსაზრისით, რომლებიც საბჭოთა სისხლის სამართალშია მიღებული. „Lehrbuch“-ის ავტორები როგორც დანაშაულის ცნების ანალიზის დროს, ისე სასჯელის ცნების შესწავლის დარგში ხელმძღვანელობენ იმ შეხედულებებით, რომლებიც ხანგრძლივი კვლევებიდან შედეგად შემუშავებული იყო საბჭოთა სისხლის სამართალში.

გერმანული სისხლის სამართალი სასჯელის გარდა იცნობს კიდევ უშიშროების ღონისძიებებს და აღმზრდელობით ღონისძიებებს ახალგაზრდების მიმართ.

ჩვენ შევჩერდებით ამ საკითხზე, ვინაიდან მას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენს მიერ დაყენებული პრობლემის შესწავლის თვალსაზრისით. დავიწყებთ იმ ინსტიტუტით, რომელსაც გერმანული სისხლის სამართალი უწოდებს „Die gerichtlichen Sicherungsmassnahmen“.

უშიშროების ღონისძიებანი ისეთი იძულებითი ღონისძიებანია, რომლებსაც სასამართლო ნიშნავს სასამართლო წარმოების წესით განსაზღვრულ ქმედობებთან დაკავშირებით სასჯელის ნაცვლად, მასთან ერთად ან მისგან დამოუკიდებლად იმ მიზნით, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილების და საზოგადოებრივი ცხოვრების უშიშროება დაცულ იქნას ამგვარი ქმედობების განმეორებისაგან².

სახელმძღვანელო იძლევა უშიშროების ღონისძიებათა (დაცვის ღონისძიებათა — Sicherungsmassnahmen) შინაარსის დახასიათებას. უშიშროების ღონისძიებანი თავისი არსით პრინციპულად განსხვავდება სასჯელისაგან. ისინი არ წარმოადგენენ რეპრესიულ ღონისძიებებს, რომლებიც სხვათა შორის მიზნად პრევენციულ მოქმედებასაც ისახავენ, არამედ მხოლოდ პრევენციული ხასიათის ღონისძიებებია³.

¹ დასახ. ნაშრომი, 557.

² იქვე, 656.

³ იქვე, 657.

თუმცა უშიშროების ღონისძიების დანიშვნა სასამართლოს მიერ გულისხმობს დასჯადი მოქმედების ან ისეთი საქციელის არსებობას, რომელსაც აქვს დანაშაულის გარეგანი ნიშნები და საშიშია საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებისათვის, მაგრამ იგი არ ემსახურება ამ ყოფაქცევის დასჯას. ეს ღონისძიება არ გამოხატავს ყოფაქცევის მორალურ-პოლიტიკურ დაწინაურებას, დაგმობას. მის საფუძველს შეადგენს დანაშაულში ან შეურაცხადი პირის მიერ ნორმის საშიშ გადალახვაში გამოაშკარავებული შესაძლებლობა ისეთი ხელყოფის განმეორებისა, რასაც იგი ებრძვის და რაც მან უნდა აიცილნოს. ამიტომ უშიშროების დაცვის ღონისძიებანი გამოიყენება საშიში საქციელის საბაბით, მათი მიზანია აღკვეთოს შემდგომი შესაძლო ხელყოფა საერთო ცხოვრების უშიშროების წინააღმდეგ. ამ მოსაზრებით უშიშროების ღონისძიების მოცულობის საფუძველს შეადგენს არა თვით ქმედობა (*nicht die Tat selbst*), არამედ ამ ქმედობაში გამოსახული სხვა დანაშაულთა და დარღვევათა ჩადენის შესაძლებლობა¹. მაშასადამე, ჩადენილი ქმედობა არის მხოლოდ ერთ-ერთი წინაპირობა (რასაკვირველია, აუცილებელი) უშიშროების ღონისძიების დანიშვნისათვის და ერთ-ერთი გარემოება, რომელიც სხვა მომენტებთან ერთად იძლევა იმის ცოდნას, თუ რამდენად, მოქმედი პირის ან ქმედობასთან დაკავშირებული სხვა ობიექტური ფაქტორების მიხედვით, შესაძლოა სხვა დანაშაულთა ან საშიშ ხელყოფათა ჩადენა საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგ. ამიტომ უშიშროების ღონისძიებათა დანიშვნის დროს პრინციპულად არაგითარი ძალა არ აქვთ იმ საწყისებს, რომლებითაც ხელმძღვანელობენ სასჯელის გამოყენების შემთხვევაში².

ცხადია, რომ გამოყენების სფერო იძულებითი ღონისძიებებისა, რომლებისთვისაც ქმედობა არის მხოლოდ საბაბი (*lediglich Anlass*), ხოლო გადამწყვეტ კრიტერიუმს შეადგენს განმეორების შესაძლებლობა, კონსტიტუციის და სისხლის სამართლის დემოკრატიული პრინციპების, აგრეთვე მოქალაქეთა უფლებების დასაცავად ვიწრო ფარგლებში უნდა იქნას ჩაყენებული. იგი უნდა იქნას შემოფარგლული იმ შემთხვევებით, როდესაც ობიექტურ გარემოებათა მიხედვით ზუსტად შეიძლება განმეორების საშიშროების დადგენა ასეთია სწორედ ეგრეთწოდებულ სასამართლო-სამკურნალო დაცვის ღონისძიებების შემთხვევები, რომელთა დანიშვნა გულისხმობს პიროვნების ავადმყოფურ ან სხვა რაიმე ფიზიკურ ან ფსიქიკურ

¹ დასახ. ნაშრომი, 658.

² იქვე, 658.

მდგომარეობას, რომლის ზუსტად დადგენა თანამედროვე მეცნიერების დახმარებით შესაძლოა და კონკრეტულ შემთხვევაში კიდევ უნდა დადგინდეს. შემდეგ ეს გარანტირებულია დაცვის იმ ღონისძიებების გამოყენებისას, რომლებიც მიმართულია განსაზღვრულ ობიექტურ გარემოებათა შეცვლაზე, რაც დაკავშირებულია ჩადენილ დანაშაულთან (დანაშაულის საშუალებათა ჩამორთმევა; საწარმოს დახურვა და სხვ.)¹.

ამ მოსაზრებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართალი ზღუდავს უშიშროების დაცვის ღონისძიებათა გამოყენების სფეროს მხოლოდ აღნიშნული სახეებით.

სახელმძღვანელო იხილავს ამ ღონისძიებათა ცალკეულ სახეებს:

1. სამკურნალო და მზრუნველობის დაწესებულებაში მოთავსება.

ეს ღონისძიება მიიღება სასჯელის ნაცვლად (an Stelle der Strafe), როცა პირი შეურაცხად მდგომარეობაში ჩაიდენს რაიმე მოქმედებას (დარღვევის გარდა — „ausser Übertretung“), რომლისთვისაც დაწესებულია სასჯელი. უკეთეს პირი იმყოფებოდა მნიშვნელოვნად შემცირებული შეურაცხადობის მდგომარეობაში, ეს ღონისძიება ემატება სასჯელს („tritt... die Unterbringung zu jler... Strafe hinzu“).

2. მოთავსება ალკოჰოლიკთა დაწესებულებაში. ამ ღონისძიებას ადგილი აქვს მაშინ, როცა მოქმედი პირი ჩვევის სახით ღებულობს მაგარ სასმელებს და ნარკოტიკულ საშუალებებს.

3. სამუშაო სახლში მოთავსება². ამ ღონისძიებას ღებულობენ მათხოვრობის, პროსტიტუციის შემთხვევაში და სხვ.

უშიშროების სხვა ღონისძიებებს შეადგენენ: იმ საგნების ჩამორთმევა, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენასთან: საგნების განადგურება (Unbrauchbarmachung), მაგალითად, წერილობითი შრომების, ნახატების და სხვ., შეურაცხყოფის, პორნოგრაფიული ნაწარმოების გავრცელების შემთხვევაში; წარმოების დახურვა და სხვ.³.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართალი იცნობს კიდევ აღმზრდელობითს ღონისძიებებს ახალგაზრდა დამნაშავეთა მიმართ.

¹ დასახ. ნაშრომი, 658.

² იქვე, 661.

³ იქვე, 668. მას ეწოდება: Die Unterbringung in einem Heim für soziale Betreuung“.

⁴ იქვე, 676—„Die Betriebschliessung“ და სხვ.

სახელმძღვანელო მიუთითებს, რომ იმ დროს როცა სრულასაკოვანი პირების მიმართ სასჯელი ძირითადად წარმოადგენს სახელმწიფო რეაქციას დანაშაულის წინააღმდეგ და დანაშაულის სამართლებრივ შედეგს, ახალგაზრდების მიმართ სასჯელი გამოწვეულია. მათ ეფარდებათ ძირითადად აღმზრდელობითი ღონისძიებანი, ხოლო სასჯელი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა აღმზრდელობითი ღონისძიებანი უკვე საკმარისი არაა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოების დაცვა და ახალგაზრდა დამნაშავეის გამოსწორება.

სათანადო კანონის ძალით (Jugendgerichtsgesetz) მინიმალურ ასაკად დაწესებულია 14 წელი, მაქსიმალურად—18 წელი. მაგრამ აღზრდის მიზნით შესაძლოა საჭირო აღმოჩნდეს აღმზრდელობითი ღონისძიებების შეფარდება სრულწლოვანობის მიღწევის შემდეგაც. ამ შემთხვევაში ისინი გამოიყენებული უნდა იქნას 20 წლის შესრულებამდე. აღმზრდელობითი ღონისძიებანი ინიშნება, ისე როგორც სასჯელი, განაჩენის ფორმით. მათი მიღება შეიძლება დამოუკიდებლად ან ერთად, აგრეთვე სასჯელთან ერთად („...allein oder nebeneinander und auch neben einer Strafe angeordnet werden“). ამგვარად, გონიერი კომბინაციით მოსამართლეს შეუძლია დანიშნული ღონისძიებების გზით მიაღწიოს უდიდეს აღმზრდელობითს შედეგს¹.

სახელმძღვანელო ახასიათებს აღმზრდელობით ღონისძიებათა სისტემას, რომელიც მოცემულია J G G-ის (კანონი არასრულწლოვანთა სასამართლოს შესახებ) § 9-ში. ამ კანონით გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებანი, როგორცაა, მაგალითად, გაფრთხილება (Verwarnung), მითითებანი (Weisungen), ოჯახური აღზრდა (Familienerziehung) და სხვ.².

ჩვენ მოკლედ გავცანით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის დადგენილებებს სასჯელისა და სოციალური დაცვის ღონისძიებების შესახებ. როგორც ვნახეთ, აღნიშნულ სამართალში გატარებულია ძირითადი განსხვავება ამ ორ ინსტიტუტს შორის.

¹ დასახ. ნაშრ., 80.

² იქვე, 681—683.

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
შესავალი	5

თ ა ვ ი I

სასჯელისა და დანაშაულის ურთიერთდამოკიდებულება	15
---	----

თ ა ვ ი II

ბურჟუაზიული თეორიები სასჯელის შესახებ	27
I. აბსოლუტური თეორიები	28
II. შეფარდებითი თეორიები	31

თ ა ვ ი III

შემაერთებელი (შერეული, ეკლექტური) თეორიები	67
--	----

თ ა ვ ი IV

სასჯელი და სახელმწიფოებრივი იძულების სხვა ღონისძიებანი	134
--	-----

თ ა ვ ი V

სოციალური დაცვის ღონისძიებანი ბურჟუაზიულ სამართალში	160
I. თეორიები, რომლებიც სასჯელსა და დაცვის ღონისძიებათა შორის არსებით განსხვავებას ნახულობენ	163
II. თეორიები, რომლებიც სასჯელსა და დაცვის ღონისძიებებს განიხილავენ როგორც მონათესავე მოვლენებს	207

თ ა ვ ი VI

სოციალური დაცვის ღონისძიების ცნება საბჭოთა სისტემის სამართალში	240
---	-----

თ ა ვ ი VII

სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი სახალხო დემოკრატიულ სახელმწიფოთა სისტემის სამართალში	299
--	-----

რედაქტორი ი. პავლიაშვილი

გამომცემლობის რედაქტორი ვ. გორგაძე

კორექტორი ლ. მუშუყუდიანი

კონტროლიორ კორექტორი ვ. მალანია

С 1 Января 1981 г.	
— 196	წლის I ნახკიდან
Цена	რ. კ.
ფასი	მან. 15 კპ.

შეკვეთა № 212

№ 01641

ტირაჟი 2.000

გადაეცა წარმოებას 5/II-60 წ., ხელმოწერილია დასაბუჟებლად 7/IV-60 წ.,
ანაწყოების ზომა 6×10. ქალაქის ზომა 60×92, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 20,
სააღრიცხველ-საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 17,54.

ფასი 11 მან. 60 კპ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ი. ჯავახიშვილის პროსპექტი, 1.

Типография Издательства ТГУ им. Сталина, Тбилиси,
проспект И. Чавчавадзе, 1.

